

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები

VII

შრომებში იბეჭდება სამეცნიერო გამოკვლევები, რომელიც მიძღვნილია ისტორიის, ფილოლოგიისა და სამართლის აქტუალური პრობლემებისადმი.

სარედაქციო კოლეგია

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე), აკადემიკოსი რინ მებრეველი, პროფესორი მინდია უგრესელიძე, პროფესორი ვახტანგ გურული, პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე, პროფესორი მანანა ტაბიძე, პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი, პროფესორი ეკა დუღაშვილი, პროფესორი კარლო ბზიშვილი, პროფესორი ავთანდილ კიკნაძე, პროფესორი ნონა თოდუა, პროფესორი სულხან კუპრაშვილი, პროფესორი ჯემალ კარალიძე, პროფესორი იასუჰირო კოჯიმა, ისტორიის დოქტორი ლევან ჯიქია (პასუხისმგებელი მდივანი).

ტომი გამოსაცემად მოამზადეს პროფესორმა ვახტანგ გურულმა და ისტორიის დოქტორმა ლევან ჯიქიამ

© გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“
© ავტორთა ჯგუფი

ISSN 2346-7657

Works of Faculty of Humanities and Law

VII

The Collection contains scientific researches dedicated to the issues of History, Philology and Jurisprudence.

Editorial board

Professor **Sergo Vardosanidze** (Chairman), Academician **Roin Metreveli**, Professor **Mindia Ugrekhelidze**, Professor **Vakhtang Guruli**, Professor **Giorgi Alibegashvili**, Professor **Tariel Putkaradze**, Professor **Manana Tabidze**, Professor **Rozeta Gujejiani**, Professor **Eka Dughashvili**, Professor **Karlo Bzishvili**, Professor **Avtandil Kiknadze**, Professor **Nana Todua**, Professor **Sulkhan Kuprashvili**, Professor **Jemal Karalidze**, Professor **Iasuhiro Kojima**, Doctor of History **Levan Jikia** (Responsible secretary).

The Collection was prepared for publication by Doctor of History, Professor **Vakhtang Guruli** and Doctor of History **Levan Jikia**.

o s o m n o s

ბელი ლევილის მამულისა

ბელია ქართველი ერის თანამედროვე ყოფაში უფრო მნიშვნელოვანი, საკუთარი თვითაქმის აღმაზევებელი, ისტორიული და სამომავლო სამეცნიერო-საგანმანათლებლო, ასევე შემოქმედებითი პერსპექტივების განხორციელებისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ჰპოვოთ, ვიდრე სექტემბრის მიწურულს საქართველოს მხარისთვის საფრანგეთში, პარიზის მახლობლად, დაბა ლევილში ცნობილი მამულის საქართველოს სახელმწიფოსთვის გადმოცემა იყო.

საქართველოსა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ამ აქტის დამადასტურებელ დოკუმენტს 2013 წლის 23 სექტემბერს მოაწერეს ხელი, 28-ში კი ჩვენი ოფიციალური წარმომადგენლები ამის თაობაზე ერთგვარი ანგარიშით მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგნენ.

გავისხენოთ ლევილის მამულის ისტორია, საფრანგეთში ქართული ემიგრაციისთვის მისი მნიშვნელობა.

– ლამაზი ფრანგული ლევილი (ვეილლე სურ-ორგე) დაბა პარიზიდან ოცდაათიოდე კილომეტრის მოშორებით სენისა და სუაზის დეპარტამენტში მდებარეობს. გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მისი სახელი მევიდრად დაუკავშირდა ქართულ ემიგრაციას, სადაც 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობამ 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთი შეიძინა და ემიგრანტთა ერთი ნაწილი, რომელთა შორის მრავალი გამოჩენილი პირი იყო იქ დასახლდა. იმთავითვე საზოგადოებით აღინიშნა, რომ ლევილის მამული, რომელიც, ფაქტობრივად, ქართული ემიგრაციის ცენტრად იქცა, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საკუთრება იყო. საქმე ისაა, რომ პირველი რესპუბლიკის მთავრობა, როდესაც წავიდა საფრანგეთში, დაიბრუნა პოლონეთისგან ის ვალი, რომელიც პოლონეთს ჰქონდა საქართველოსთან მიმართებაში. ე. ი. ის ქონება, ვალის სახით, დაბრუნებულ იქნა პოლონეთის სახელმწიფოს მიერ ქართველი ხალხისთვის საფრანგეთში პირველი რესპუბლიკის დევნილობაში მყოფი მთავრობისათვის. აი, ამ ფულით იქნა შეძენილი ლევილის მამული.

1928 წლის 30 აპრილს შედგენილი იქნა ანდერძი, რომელსაც ხელი მოაწერეს ნოე ჟორდანიამ, აკაკი ჩხენკელმა, ნოე რამიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, ევგენი გეგეჭკორმა, სამსონ ფირცხალავამ და კონსტანტინე კანდელაკმა. ამით დადასტურებული იყო ლევილის მამულის (საფრანგეთში მას შატო ლევილს უწოდებდნენ) საქართველოს რესპუბლიკისადმი საკუთრება და სამოქალაქო საზოგადოების, ეგრეთ წოდებული „ქართული კერისათვის“ მისი სამართავად გადაცემა. მეტად მნიშვნელოვანია, რომ 1958 წელს საზოგადოების კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება ლევილის მამულის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიისთვის გადაცემის თაობაზე. ამავე დროს, დადგენილებაში საქართველოს მხარის შესასრულებელი მთელი რიგი პირობა იყო დაყენებული.

1988 წლის გაზაფხულზე საფრანგეთში ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა მოწვევა მივიღეთ, რის საფუძველზე აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი გიორგი ციციშვილი და მე, იმჟამად საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, მივლინებული ვიყავით საფრანგეთში. ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებთან მრავალრიცხოვან შეხვედრათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბატონ მამია ბერიშვილთან შეხვედრა, რომელიც ემიგრაციაში წასული

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, რწმუნებით იყო აღჭურვილი. დეტალურად გავეცანით ლევილის მამულს, ვინახულეთ ქართველთა სასაფლაო, რომელსაც ბატონი მამიას მეუღლე, ქალბატონი ქრისტინე მეთვალყურეობდა. ჩვენ, არსებითად, სრული ინფორმაცია მივიღეთ 1958 წელს ნოტარიულად დამტკიცებული ანდერძის თაობაზე, მოლაპარაკებისას ხაზი გაესვა იმ გარემოებასაც, რომ უნივერსიტეტთან ერთად ლევილის მამულით მეცნიერებათა აკადემიაც ისარგებლებდა. ასევე საინტერესო შეხვედრა გვქონდა ქალბატონ ნინო ქურციკაშვილთან – „ბედი ქართლისას“ გამომცემლისა და რედაქტორის კალისტრატე სალიას მეუღლესთან.

ეს, ფაქტობრივად, საქართველოსთვის ლევილის მამულის დაბრუნების გრძელ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯები იყო.

1993 წელს პარიზში საქართველოს კულტურის დღეები ჩატარდა, რომელშიც, ბუნებრივია, ქართული საზოგადოების გარკვეული ჯგუფიც იღებდა მონაწილეობას, მათ შორის თავადაც გახლდით. მაშინ კვლავ დაისვა ლევილის მამულის საკითხი, საზოგადოება „ქართული კერის“ წევრებმა – ნოე ჟორდანიას ქალიშვილმა ქალბატონმა ნათელამ და აკაკი რამიშვილმა, საქართველოს დელეგაციის წევრები – იუსტიციის მაშინდელი მინისტრი კოტე კემულარია, სრულიად საქართველოს ყოველთა ქართველთა კონგრესის თავმჯდომარე, კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გურამ მუჩაიძე და მე, იმხანად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ლევილში შეხვედრაზე მიგვიწვიეს, რომლის დროს აზრთა ურთიერთგაცვლის შედეგად შეთანხმებულად მივიღეთ კომუნიკე, რომელშიც კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა ლევილის მამულის სამუდამო მფლობელი – შესაბამისად თბილისის უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიისადმი გადაცემის შესაძლებლობა გარკვეული პირობებით, რაც დოკუმენტში აისახა კიდევ.

კომუნიკე

ქ. პარიზი, მამული ლევილი,
07 ივლისი, 1993 წელი.

ჩვენ, ქვევით ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ როგორც ერთი მხარე, ლევილის მამულის უძრავი სამოქალაქო საზოგადოების „ქართული კერა“-ს წევრების სახელით ბატონი აკაკი რამიშვილი და ქალბატონი ნათელა ჟორდანია, მეორეს მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები, იუსტიციის მინისტრი ბატონი კოტე კემულარია, თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ბატონი როინ მეტრეველი, საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი გურამ მუჩაიძე, სრულიად საქართველოს კონგრესის პრეზიდენტი, ბატონი რეზო ჩხეიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის 7 წევრისა, ბატონების – ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის, ნოე რამიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ეგგენი გეგეჭკორის, სამსონ ფირცხალავას და კონსტანტინე კანდელაკის ხელისმომწერით. 1928 წლის 30 აპრილს შედგენილი ანდერძის პირობებს, რომ ლევილის მამული არის ნაყიდი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ და ეკუთვნის საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას. 1958 წელს საზოგადოების კრებამ დაამტკიცა ერთ-ხმად, რომ ლევილის მამული გადაეცემოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ამასთან უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი პირობები: ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაცია; სრული დემოკრატიზაცია და ადამიანის უფლებების დაცვა. აგრეთვე, ლევილის მამული უნდა გამოცხადდეს საქართველოს ელჩის საზაფხულო რეზიდენციად. იმ პირობის უცილობელი დაცვით, რომ ლევილის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს ემიგრანტების, მათი ოჯახის წევრების უფლებები, მათი სიცოცხლის ბოლომდე იქნეს შენარჩუნებული. ეს პირობები გაგრძელდა პარიზში მცხოვრებ ემიგრანტ ქართველებზე, რომელნიც სარგებლობენ ბინებით ლევილის მამულის ტერიტორიაზე. ლევილის მამულის გამგეობამ და საქართველოს მთავრობამ არ უნდა

დაუშვან ლევილის ტერიტორიაზე ბინის დაკავების ახალი შემთხვევები. პირველი მხარე იღებს თავის თავზე ვალდებულებას, მიანდოს საქართველოს რესპუბლიკას ლევილის მამულის ნასყიდობის და სხვა (მამულის გამგებლობასთან და ფლობასთან დაკავშირებული) დოკუმენტების ფოტოკოპირები. მეორე მხარე, კისრულობს ვალდებულებას დოკუმენტების პირების ანალიზის მიხედვით აწარმოოს ლევილის მამულის საქართველოსათვის გადაცემის მოსამზადებელი სამუშაოები.

ლევილის მამულის გამგეობის სახელით

ბატონი აკაკი რამიშვილი, ქალბატონი ნათელა ჟორდანი

საქართველოს რესპუბლიკის სახელით

ბატონი კოტე კემულარია,

ბატონი როინ მეტრეველი,

ბატონი გურამ მუჩაიძე,

ბატონი რეზო ჩხეიძე

საკითხის გადაწყვეტა, ადვილი არ გამოდგა, როგორც ჩანს, საფრანგეთის კანონმდებლობიდან გამომდინარე სირთულეების გამო. საქმის საბოლოოდ გასარკვევად დიდი მუშაობა ჩაატარა საფრანგეთში საქართველოს მაშინდელმა სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა, აკადემიკოსმა გონა ჩოგოვაძემ, საქართველოს დესპანმა ნათელა ლალიძემ. რეალობა ისაა, რომ საკითხი ბოლო პერიოდამდე არ გადაწყვეტილა. საფრანგეთში საქართველოს ამჟამინდელი, ელჩი როგორც ვიცი, ძალას არ იშურებდა საკითხის მოსაგვარებლად. ამასთან, საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ 1993 წლის 7 ივლისს პარიზში მიღებული კომუნიკე საზოგადოებისთვის შეგვეთავაზებინა და ამ ორიოდ თვის წინათ ის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნეთ, გარდა ამისა, მისი ასლი საფრანგეთში ჩვენს ელჩსაც გადავუგზავნეთ.

ძალიან დიდი როლი შეასრულა საქართველოსთვის ლევილის მამულის დაბრუნებაში ქვეყნის ახლანდელმა ხელისუფლებამ, განსაკუთრებით სერიოზულად იმუშავეს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ და იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. ისინი უშუალოდ დაუკავშირდნენ საფრანგეთში ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს, მოლაპარაკებები აწარმოეს მათთან, ყველა პროცედურული საკითხი საფრანგეთის კანონმდებლობასთან შეაჯარეს და ეს დიდი შრომაც ჯეროვნად დაუფასდათ: 23 სექტემბერს ბატონმა გელა დუმბაძემ, ქალბატონმა თეა წულუკიანმა და ემიგრანტთა წარმომადგენლობამ ხელი მოაწერეს დოკუმენტს ლევილის მამულის გადმოცემის თაობაზე.

მამულის გადმოცემასთან დაკავშირებულია რამდენიმე საკითხი. ცხადია, ლევილის შატო მხოლოდ ქართველი ხალხის საკუთრება იყო და ისტორიული აგებობის გამო სხვა ფორმა მიიღო, სესხისა და ფულის სახით მან მიიღო მატერიალური ქონების ფორმა. ძალიან მნიშვნელოვანია ის ხელმოწერები, მართლაც უპატიოსნესი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებისა, რომლებსაც, პრინციპში, არავინ და არაფერი ავალდებულებდა საჯაროდ განეცხადებინათ, რომ მათ დაიბრუნეს პოლონეთიდან ეს ვალი, მაგრამ ისინი მივიდნენ ფრანგ ნოტარიუსთან, გააფორმეს პატიოსნად ეს თამასუქი და თქვეს, რომ ჩვენ ამდენი და ამდენი თანხის ვალი გვაქვს ჩვენი ერის, რომელიც ჩვენს ხელთ არის, ვყიდულობთ ამა და ამ მამულსო (ლევილის შატო) ეს დოკუმენტი, რომელიც ბატონმა ტიერ ბერიშვილმა მიაწოდა ჩვენს წარმომადგენლებს, გაფორმდა 1928 წელს. ამ საბუთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი სახელმწიფოსთვის, ლევილის ბედის გადაწყვეტისათვის ნიშანდობლივია, რომ ხელს აწერს რამიშვილი, ჟორდანი, კანდელაკი, ჩხენკელი, გეგეჭკორი და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ექვთიმე თაყაიშვილი. ეს ის ხალხია, ვინც შეიძინა მამული.

ქართველ ემიგრანტებს ჰქონდათ საშუალება რომ გაეფორმებინათ, აღენიშნათ სადმე ეს მამული, როგორც საქართველოს საკუთრება, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს იმიტომ, რომ 30-40-იან წლებში გამოჩნდა ლევილში საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში, რომელსაც უთქვამს, რომ საქართველო აღარ არსებობს, საქართველო საბჭოთა კავშირია, ე. ი. ლევილის მამული არის საბჭოთა კავშირისო. ქართველმა პატრიოტებმა, რომ დაეცვათ ლევილის მამული „გასაბჭოებისაგან“, შექმნეს საზოგადოება და ოჯახებზე გააფორმეს, ანუ, კერძო საკუთრებად აქციეს ეს მამული. ე. ი. პირველი, რაც მნიშვნელოვანია, არის ის, რომ ხალხის ფულით შეძენილი მამულია, მათ დაგვიტოვეს ამის წერილი და კვალი და მეორე კი ის, რომ ჩვენი ქვეყნის გათავისუფლებამდე მამული რომ არ „გასაბჭოებულიყო“, არ წაერთმია სხვა ქვეყანას, კერძო საკუთრებაში დაარეგისტრირეს ოჯახებმა და ასე დაიცვეს და მოიტანეს დღემდე. ეს უკვე ხსნის იმ კონტექსტს, რა კონტექსტშიც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. რეალურად ეს გახდა კერძო საკუთრება რამდენიმე ოჯახის, განუყოფელი საკუთრება, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთს რომ მოეწერა ხელი, საქართველო ვერ გახდებოდა მესაკუთრე, ყველას ერთდროულად უნდა მოეწერა ერთი და იგივე ტექსტზე ხელი, რადგან განუყოფელი ქონება იყო და მოლაპარაკებებიც რამდენიმე ოჯახის რამდენიმე წარმომადგენელთან მიმდინარეობდა. უნდა აღენიშნოთ იმ ადამიანების შესახებ, ვინც ქართველ ხალხს არა მხოლოდ დაეხმარა და ხელი შეუწყო ლევილის გადმოცემის რეალიზებაში, არამედ სიხარულით აკეთებდა ამას, ეს გახლდათ ნოე რამიშვილის შვილიშვილი მიშელ რამიშვილი, პატივი უნდა მივაგოთ ასევე ტიერ ბერიშვილს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა საქმის კანონიერად მოგვარებისათვის.

საქართველოსთვის ლევილის მამულის გადმოცემა ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენაა მრავალი მიზეზით. **პირველი**, უდავოდ, ამ აქტის პოლიტიკური მნიშვნელობაა, რომ ის ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებას უწყობს ხელს. **მეორე** გარემოება ისაა, რომ, მართალია, ქართული ემიგრაცია იმთავითვე კეთილად იყო განწყობილი საქართველოს ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ამჯერად ეს დამოკიდებულება საქვეყნოდ გამოიხატა. **მესამე** მომენტი კი ამ „ძღვენის“ წმინდა პრაქტიკულად გამოყენების მხარეა. მართალია, ხელშეკრულებაში კონკრეტულადაა მითითებული, რომ ლევილის მამული ოფიციალურად გადაეცემა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მაგრამ მათი მეშვეობით მისით სარგებლობა ბევრ ხალხს შეეძლება.

საქმე ის გახლავთ, რომ ლევილის მამულის ბაზაზე შეიძლება შეიქმნას ქართულ-ფრანგული მეცნიერებათა აკადემია, ან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიალი საფრანგეთში, მოეწყოს ქართულ-ფრანგული კულტურული ცენტრი, რომელიც შემოქმედებითი სფეროს ყველა მიმართულებით იმოდგაწეებს, განთავსდეს სამუზეუმო, საგამოფენო, სასწავლო-საგანმანათლებლო, საბიბლიოთეკო სივრცეები, აიგოს შესაბამისი საცხოვრისი ჩასული სპეციალისტებისა თუ ასპირანტებისა და სტუდენტებისთვის, მიწვეული სტუმრებისთვის.

ისე კი ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა გაკეთდება მომავალში ლევილის მამულში, რადგან იქაურობას ძალიან დიდი ყურადღების მიქცევა სჭირდება ხელისუფლების მხრიდან – ამთავითვე საჭიროა გარკვეული სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რაც, მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტის მეშვეობით, ჩვენმა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს. ამ მხრივ, ცხადია, არანაირი პრობლემა არ იქნება, თან ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ამის გაკეთებას დიდძალი სახსრები არ დასჭირდება, რომ ბიუჯეტს ამ დამატებითი ტვირთის ატანა გაუჭირდეს.

P.S.

დიდი შრომა გასწიეს და ლევილის მამულის თაობაზე ხელშეკრულებას სახელმწიფოს მხრიდან ხელი მოაწერეს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ და იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, რომლებმაც, ქართველ მეცნიერებს, ზოგადად

ქართულ საზოგადოებრიობას ერთგვარი ანგარიში წარუდგინეს მეცნიერებათა აკადემიაში საგანგებო სხდომაზე. სიტყვით გამოსულმა მინისტრებმა დამსწრეთ მოლაპარაკებათა მიმდინარეობაზე, სხვადასხვა იურიდიული პროცედურის დროს წარმოშობილ სიძნელეთა დაძლევისა და მრავალ სხვა უაღრესად საგულისხმო საკითხზე მოუთხრეს. ამის დეტალურად გაგება ძალიან მნიშვნელოვანი იყო და, საზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ორივე მინისტრის გამოსვლას დამსწრე საზოგადოება ძალიან გულთბილად შეხვდა. ჩვენი სასიქადულო, მხრცოვანი მეცნიერი, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე სიტყვით გამოვიდა და დიდი მადლობა გადაუხადა მინისტრებს გარჯისათვის.

ამასთან, ისიც მინდა ვითხრათ, რომ აკადემიაში შეხვედრაზე სიტყვით გამომსვლელთა მიერ ლევილის მამულის მომავალთან დაკავშირებით მთელი რიგი საკითხი დაისვა. კერძოდ, გამოითქვა აზრი, რომ ლევილში ჩვენ შეგვიძლია საქართველო-საფრანგეთის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და შემოქმედებით სფეროებში ურთიერთობების საკითხებისა და სამომავლო პერსპექტივების განსახილველად გარკვეული დღეები დავაწესოთ. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ ჩვენში აუცილებლად უნდა შეიქმნას თუნდაც მცირე, მაგრამ ქმედითი სტრუქტურა, რომელიც თვალყურს ადევნებს ლევილის განვითარების პროცესს, რაც აუცილებელია საიმისოდ, რომ მას ფართო პრაქტიკული გამოყენება ჰქონდეს.

გიორგი XII-ის დიპლომატია (1798-1800)¹

ერეკლე II-ის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში რუსეთის დიპლომატიური და სამხედრო დაზვერვა თბილისიდან და თელავიდან ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ სრულ ინფორმაციას აწვდიდა საიმპერატორო კარს. ამ დროისათვის რუსეთში უკვე მიღებული ჰქონდათ გადაწყვეტილება გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) ახალი ტრაქტატით შეცვლის თაობაზე. ახალ ხელშეკრულებას უნდა გაეადვილებინა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და მისი რუსეთის იმპერიასთან შეერთება. ამ ჩანაფიქრის განხორციელებას რუსეთის საიმპერატორო კარი ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ აპირებდა. ყოველივე ეს ძალზე ამძიმებდა ქართლ-კახეთის მომავალი მეფის გიორგი XII-ის მდგომარეობას.

1. ვითარება ქართლ-კახეთის სამეფოში ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ. გიორგი XII-ის გამეფება. 1798 წლის 11 იანვარს თელავში გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II. ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი გიორგი. გიორგი XII უაღრესად რთულ საშინაო და საგარეო ვითარებაში გამეფდა. ალა მაჰმად ხანის შემოსევის (1795 წ.) შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა ან ბრძოლაში დაიღუპა, ან მტერმა ტყვედ წაიყვანა, გაჩანაგდა ქვეყნის ეკონომიკა, დაეცა ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობა, ჯარი პრაქტიკულად არტილერიის გარეშე დარჩა. სამეფოში შექმნილ რთულ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა დაპირისპირება სამეფო სახლში: **დარეჯან დედოფალი** და მისი შვილები: იულონ, ალექსანდრე, ვახტანგ, ფარნავაზ ბატონიშვილები სამკედრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ გიორგი XII-ს და მის უფროს ვაჟს ტახტის მემკვიდრე **დავითს**. დაძაბული იყო საგარეო ვითარებაც. ალა მაჰმად ხანის მკვლელობამ (1797 წ.) ირანიდან მომდინარე საფრთხე ვერ გაანეიტრალა. ქართლ-კახეთის სამეფოზე სალაშქროდ ემზადებოდა ალა მაჰმად ხანის მემკვიდრე, ირანის შაჰი **ფეთჰი ალი (ბაბა ხანი)**, ავარიის ხანი **ომარი** და სხვა დაღესტნელი მფლობელები.

ალა მაჰმად ხანის მიერ თბილისის დარბევის შემდეგ დედაქალაქში იმდენად გაუსაძლისი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მეფე და სამეფო სახლი თელავში გადავიდნენ. ავადმყოფობამ და შემდეგ სიკვდილმა ერეკლე II-ს არ დააცალა ტახტის მემკვიდრეობის შესახებ აქტის შეცვლა, რომლის მიხედვითაც უნდა შეცვლილიყო მემკვიდრეობის წესი, ტახტზე მეფის გარდაცვალების შემდეგ უნდა ასულიყო არა მეფის უფროსი ვაჟი, არამედ ძმებს შორის უფროსი. ერეკლე II-ს ძმები არ ჰყავდა, ამიტომ მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტს უფროსი ვაჟი გიორგი დაიკავებდა. ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესი გართულებებს გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ გამოიწვევდა: ძველი წესით, ტახტზე უნდა ასულიყო მეფე გიორგი XII-ის უფროსი ვაჟი **დავითი**, ახალი წესით, – ერეკლე მეფის მომდევნო ვაჟი **იულონი**, როგორც ძმებში უფროსი. ცხადია, ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესით შეურაცხყოფილი დარჩა ერეკლე მეფის უფროსი ვაჟი გიორგი. მამის სიცოცხლეში, რა თქმა უნდა, გიორგის უკმაყოფილება აშკარად არ გამოუთქვამს, მაგრამ ნათელი იყო, რომ ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესის მიღების მთავარ ინიციატორ დარეჯან დედოფალს

¹რედაქციისაგან. პროფესორმა ვახტანგ გურულმა გამოსაცემად მოამზადა სახელმძღვანელო „ქართული დიპლომატიის ისტორია (1700-1801)“. გთავაზობთ ერთ თავს ამ სახელმძღვანელოდან.

(ერეკლე მეფის მესამე მეუღლეს, ბატონიშვილ იულონის დედას) გიორგი ტახტზე დავით ბატონიშვილის უფლების შელახვას არ აპატიებდა.

დედოფალმა დარეჯანმა მეფე ერეკლე დაიყოლია და გიორგი ბატონიშვილი თელავიდან მოიცილა. ფორმალური საბაბი ბატონიშვილის თბილისში გაგზავნისა დედაქალაქში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების ხელმძღვანელობა იყო. გიორგი ავლაბარში ცხოვრობდა და ენერგიულად ხელმძღვანელობდა ქალაქის აღდგენის საქმეს. მასთან ერთად იმყოფებოდა უფროსი ვაჟი ბატონიშვილი დავითი. თბილისიდან გიორგი ბატონიშვილი ყაზახში, სოფელ სალა-ოღლიში გადავიდა და ყაზახის გაელენიანი თათრები შემოიკრიბა. თათრებმა ბატონიშვილი დიდი პატივით მიიღეს. სამეფო კარზე არსებული ვითარების შესახებ ცნობებს გიორგი ბატონიშვილი რეგულარულად ღებულობდა. ჯერ კიდევ მეფე ერეკლეს გარდაცვალებამდე დედოფალმა დარეჯანმა ინიციატივის ხელში აღება სცადა და ნაწილობრივ მოახერხა კიდევ. 1798 წლის 5 იანვარს დარეჯან დედოფალმა წერილი გაუგზავნა რუსეთის იმპერატორ პაველ I-ს. წერილიდან ირკვევა, რომ რუსეთის იმპერატორს ქართლ-კახეთის მეფისათვის 1797 წელს საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარიდან გაქცეული ჯარისკაცების შეპყრობა და რუსეთში გაგზავნა უთხოვია. დედოფალი თავს იმართლებდა იმით, რომ მეფე ერეკლე ექვსი თვე ავადმყოფობდა და არათუ დეზერტირების შეპყრობა, არამედ პაველ I-ის წერილსაც ვერ გასცნობია. 1797 წელს ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გასვლის შემდეგ ნაწილი დეზერტირებისა შეუპყრიათ, ნაწილს კი სამეფოს დატოვება მოუხერხებია. დარეჯან დედოფალი თავისი და შვილების სახელით იმპერატორს ჰპირდებოდა, რომ დეზერტირ ჯარისკაცებს კავკასიის ხაზის მთავარსარდალ ივან გუდოვიჩს გადასცემდა. 1798 წლის 5 იანვარსვე დეზერტირი ჯარისკაცების შესახებ იმავე შინაარსის წერილი დედოფალმა რუსეთის დედოფალ მარიას და რუსეთის იმპერიის კანცლერ ალექსანდრ ბეზბოროდკოსაც გაუგზავნა.

1798 წლის იანვარში თელავიდან სალა-ოღლიში ჩავიდა მაცნე და გიორგი ბატონიშვილს ერეკლე მეფის გარდაცვალების ამბავი შეატყობინა. იმავე დღეს ბატონიშვილმა თავის ერთგულებაზე დააფიცა მასთან მყოფი თავადები და აზნაურები. მეფეს პირველმა შეჰფიცა თავადმა იოანე ბაგრატიონმა, შემდეგ დაიფიცა ყაზახისა და ბორჩალოს თათრების ზედა ფენამ. გიორგის პირველ ხანებში გადაწყვეტილი ჰქონდა ნახევარძმის, ალექსანდრე ბატონიშვილის, დაპატიმრება. ერეკლე მეფის ავადმყოფობის პერიოდში გიორგისა და ალექსანდრეს ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. გავრცელდა ხმები, თითქოს ალექსანდრე თბილისის დაკავებას და ქართლის მეფედ თავის გამოცხადებას აპირებდა. გიორგიმ ალექსანდრე ვერ შეიპყრო, რადგან ამ უკანასკნელმა დუშეთს შეაფარა თავი. ყაზახისა და ბორჩალოს თათრების დაფიცების შემდეგ გიორგი გორში შევიდა და ქართლის თავადების ნაწილი და გორის მოსახლეობა დააფიცა თავის ერთგულებაზე. მეფე ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ გიორგი და ალექსანდრე ბატონიშვილების გარდა, თითქმის ყველამ თელავში, დარეჯან დედოფალთან მოიყარა თავი. თელავამდე მიადწია ხმებმა, რომ გიორგი ბატონიშვილმა ყაზახის, შამშადილუსა და გორის მოსახლეობა, ასევე ქართლის თავადების ნაწილი თავის ერთგულებაზე დააფიცა. დარეჯან დედოფალი, მისი შვილები და მათი მომხრე თავადები მიხვდნენ, რომ ბრძოლა ტახტისათვის წაგებული ჰქონდათ, თუმცა ერთბაშად დანებებას მაინც არ აპირებდნენ. დარეჯან დედოფლის განკარგულების თანახმად, თელავში, მეფის სასახლის წინ, შეიკრიბნენ ბატონიშვილები, თავადები და სხვა დიდმოხელენი, ასევე მეუფეები. ერეკლე მეფის მდივანმა **სულხან თუმანიშვილმა** შეკრებილთ ასე მიმართა: „მთავარეპისკოპოსებო, ეპისკოპოსებო და თავადებო! ჩვენ თქვენთან მოგვაგვლინეს დედოფალმა და უწმინდესმა კათალიკოსმა, რათა გამოგიცხადოთ, რომ ჩვენ თანახმა ვართ ქართლ-კახეთის მეფედ ვცნოთ ბატონიშვილი გიორგი. რადგან დედოფალი დარეჯანი, უფლის ნებით, ჯანმრთელადაა, მას სრული უფლება აქვს ატაროს დედოფლის ტიტული და ამ თვალსაზრისით ყველა უფლება ეკუთვნის მას. დაე, მეფე გიორგის მეუღლე იწოდებოდეს მეფის საცოლედ.“ სიტყვის დასრულების შემდეგ სულხან თუმანიშვილმა

იკითხა, ვინ იყო ასეთი გადაწყვეტილების მომხრე. შეკრებილთ შორის დუმილმა დაისადგურა. სულხან თუმანიშვილმა ისევ კითხვით მიმართა შეკრებილთ: „რას გვობრძანებთ, რა პასუხი მივუტანოთ ჩვენს აქ გამომგზავნებს?“ დუმილი არც ამჯერად დარღვეულა. სულხან თუმანიშვილმა კითხვა ისევ გაიმეორა. შეკრებილთ გამოეყო ხარჭაშნელი მთავარეპისკოპოსი (ხოლოყაშვილების საგვარეულოდან), რომელიც ადრე უფლისწულ გიორგის კარის მოძღვარი იყო. მთავარეპისკოპოსმა შეკრებილთ ასე მიმართა: „მე თქვენ შორის ყველაზე მდაბალი ვარ და ამიტომ უფლება არ მქონდა პირველს მელაპარაკა. ყველანი დუმხართ, ამიტომ შეკრებილთა სახელით მე ვიტყვი. მიპასუხეთ, რას უწოდებენ აქაური გზირის ცოლს?“ რამდენიმე ადამიანმა ერთად უპასუხა: „გზირის ცოლს“. ასეთი პასუხის შემდეგ მთავარეპისკოპოსმა შეკრებილთ კითხვით მიმართა: „ამის შემდეგ კიდევ გასურთ, მეფის ცოლს დედოფალი არ ვუწოდოთ?“ იქ მყოფთა შორის ბევრს გაეღიმა, თუმცა სიტყვა არავის დაუძრავს. სულხან თუმანიშვილმა განაცხადა, რომ დედოფალსა და პატრიარქს შეკრებილთა პასუხს გადასცემდა. თელავში, სასახლის წინ გამართული შეკრების შესახებ მომხრეებმა მოახსენეს გიორგი ბატონიშვილს. შეკრების მონაწილენი სათითაოდ გამოცხადნენ დარეჯან დედოფალთან და გიორგი ბატონიშვილთან (იგი ჯერ კიდევ არ ჩასულიყო თელავში) მორჩილებისა და ერთგულების გამოსახატავად. დარეჯან დედოფალი მიხვდა, რომ შექმნილ ვითარებაში უმჯობესი იქნებოდა მასა და მის შვილებს ბატონიშვილი გიორგი ქართლ-კახეთის მეფედ ეცნოთ. დარეჯან დედოფალმა შეადგინა დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თავად იგი და მისი შვილები თანახმანი იყვნენ, რომ ტახტზე ბატონიშვილი გიორგი ასულიყო. დოკუმენტს ხელს აწერდნენ დარეჯან დედოფალი და ბატონიშვილები. წერილობითი თანხმობის გაგზავნასთან ერთად დარეჯან დედოფალმა გიორგი მამის დაკრძალვაზე მიიწვია. დარეჯან დედოფლის შვილებმა გიორგის სთხოვეს ეკლესიაში წირვისას პირველად მოეხსენებინათ დარეჯან დედოფალი, ხოლო შემდეგ – მარიამ დედოფალი. გიორგისაგან ასეთი პასუხი მიიღეს: თელავში ჩამოვალ და დედოფლის ყველა მოთხოვნას დავაკმაყოფილებ, ოღონდ დავიცავ ყველა ტრადიციასო. გიორგი პირობას სდებდა, რომ მეფის დაკრძალვაზე განმკარგულებელი იქნებოდა დარეჯან დედოფალი, რადგან თავად სამეფოს საქმეებით იყო დაკავებული. გიორგი თელავში 1798 წლის 22 თებერვალს ჩავიდა. ამ დროისათვის მეფე ერეკლეს ცხედარი თელავიდან გამოსვენებული იყო და პროცესია მცხეთისაკენ მიემართებოდა. თელავში ბატონიშვილ გიორგის დახვდნენ დედოფალი დარეჯანი, ბატონიშვილი ვახტანგი და კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I. სამეფო სახლის სხვა წევრები მცხეთისაკენ მიმავალ პროცესიას გაჰყლოდნენ. გიორგი დარეჯან დედოფალს ეახლა და ერთად დაიტირეს მამა და ქმარი. დედინაცვალმა და გერმა სხვადასხვა საკითხზე ისაუბრეს. საუბრის ბოლოს გიორგიმ დარეჯან დედოფალს პირდაპირ განუცხადა, რომ იგი არ აპირებდა სამეფო მისი კარნახით ემართა, რადგან მან ტახტი მიიღო როგორც მეფის უფროსმა ძემ, მამისაგანვე მემკვიდრეობით მიიღო შეუზღუდავი ძალაუფლება.

ბატონიშვილმა გიორგიმ თავისთან იხმო გორის მთავარეპისკოპოსი და სთხოვა, რომ რეგალიის შესაბამისად სრულად შემოსილიყო, თან ჰქონოდა სახარება და ჯვარი. ამის შემდეგ გიორგიმ თელავის სასახლეში მიიწვია სამეფო სახლის წევრები, თავადები და დიდმოსხელენი. მოწვეულთა ნაწილი ბატონიშვილ გიორგის გამეფების მომხრე იყო და, ამდენად, მზად იყო, მომავალი მეფის წინაშე ერთგულების ფიცი დაედო. მოწვეულთა უმრავლესობა დარეჯან დედოფლის მომხრე იყო და სურდა სამეფოს მართვა-გამგეობა დარეჯან დედოფლის ხელში გადასულიყო. გიორგიმ კარგად იცოდა შეკრებილთა განწყობილება, ისიც კარგად უწყოდა, რომ დარბაზში უმრავლესობას დარეჯან დედოფლის მომხრეები შეადგენდნენ. მიუხედავად ამისა, მომავალი მეფე დარბაზში შემოვიდა მეფური ღირსებით, სრულიად მშვიდი, თავდაჯერებული და გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზად. ამ დროისათვის სასახლეს გიორგის მომხრეები იცავდნენ, დარბაზის კართანაც კი ისინი იდგნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ დარეჯან დედოფლის მომხრეები ძალას ვეღარ

გამოიყენებდნენ. გიორგიმ ისე, რომ სახეზე მდებარეობა არ დასტყობია, მტკიცე ხმით წარმოთქვა: „მშობელი ჩემი გარდაიცვალა. მე მისი უფროსი შვილი ვარ და სამეფო უნდა ჩავიბარო. აი, ჯვარი და სახარება. ვისაც გსურთ. შემომფიცეთ მე, ვისაც არ სურს, მიბრძანდით აქედან“. დარეჯან დედოფლის მომხრეებმა იცოდნენ, რომ დარბაზიდან და სასახლიდან ვერსად გავიდოდნენ. მათ რაიმეს მოფიქრების დროც აღარ დარჩათ. გიორგიმ სიტყვა დაასრულა თუ არა, მისმა მომხრეებმა ერთხმად შესძახეს: „გაუმარჯოს მეფე გიორგის!“ დარბაზში მყოფთაგან ყველამ დაიფიცა. მეორე დღეს, 1798 წლის 23 თებერვალს, თელავის საკათედრო ტაძარში, ბატონიშვილი გიორგი ოფიციალურად ეკურთხა მეფედ გიორგი XII-ის სახელით.

2. გიორგი XII-ის პირველი ნაბიჯები საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. დარეჯან დედოფალი, ბატონიშვილები და მათი მომხრეები გარეგნულად მაინც შეურიგდნენ გიორგი XII-ის გამეფებას, დედოფალმა მეფეს გაუგზავნა მეფე ერეკლესაგან დანატოვარი საგვარეული ხატები და ძვირფასეულობა. გიორგი XII-მ მხოლოდ ხატები დაიტოვა, ძვირფასეულობა კი დედოფალს დაუბრუნა. მეფის მხრიდან ეს კეთილშობილური ჟესტი იყო, ნაბიჯი შერიგებისა და თანხმობისაკენ. შერიგება კი არ შედგა. დარეჯან დედოფალი და ბატონიშვილები თავიანთ საუფლისწულოებში დაბრუნდნენ და გიორგი XII-ის წინააღმდეგ მომხრეების დარაზმვა დაიწყეს. არც დედოფალი და არც ბატონიშვილები მეფის ბრძანების შესრულებას სავალდებულოდ არ მიიჩნევდნენ. დარეჯან დედოფლისა და ბატონიშვილების საძრახ საქმეთა შესახებ საქმის კურსში იყო მეფე. მიუხედავად ამისა, მეფე გიორგი მაინც ცდილობდა ნახევარძმებთან კარგი ურთიერთობის დამყარებას. მეფემ დარეჯან დედოფალს სთხოვა დახმარება გაეწია **ალექსანდრე ბატონიშვილის** შემორიგებაში. დედოფალმა ალექსანდრე თავისთან მოიხმო, მაგრამ მან ნახევარძმასთან შერიგებაზე უარი განაცხადა. ალექსანდრემ დედას განუცხადა: მეფეს იმიტომ არ შეგურიგდები, რომ იგი არ დაიცავს ტახტის მემკვიდრეობის იმ წესს, რომელიც ერეკლე მეფემ დაამტკიცაო. ალექსანდრე ბატონიშვილი ბორჩალოში გაემგზავრა. გიორგი XII-მ თავის ვაჟს, იოანე ბატონიშვილს, დაავალა, ალექსანდრე თუნდაც ძალის გამოყენებით დაებრუნებინა უკან. ალექსანდრე ბატონიშვილმა შეიტყო თუ არა, რომ მეფეს მისი შეპყრობა სურდა, ბორჩალოდან ახალციხეში, ხოლო ახალციხიდან იმერეთში გადავიდა. ამის შემდეგ მეფე გიორგიმ დარეჯან დედოფალს მის წინააღმდეგ მტრულ მოქმედებაში დასდო ბრალი და კუთვნილი სოფლები ჩამოართვა. საუფლისწულო ჩამოართვეს ალექსანდრე ბატონიშვილსაც. ამის შემდეგ მეფემ ბატონიშვილების იულონისა და ვახტანგის შევიწროება დაიწყო.

მართალია, გიორგი XII-მ 1798 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში დარეჯან დედოფლის, ბატონიშვილებისა და მათი მომხრე თავადების განეიტრალება შეძლო, მაგრამ ამან სამეფოს სიმშვიდე ვერ მოუტანა. დარეჯან დედოფალი კვლავ ცდილობდა გიორგი XII-თვის ერთმმართველობა არ დაენებებინა. დედოფალმა მეფესთან შეუთანხმებლად ისევ დაიწყო მიმოწერა რუსეთის იმპერატორსა და დედოფალთან. 1798 წლის 10 მარტს დარეჯან დედოფალმა მეორე წერილი გაუგზავნა იმპერატორს. დედოფალი წერდა: 11 იანვარს გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე და ამიერიდან თქვენ გარდა მე და ჩემს შვილებს ნუგეშისმცემელი და მფარველი აღარ გვყავსო. ამ შესავლის შემდეგ დედოფალი პაველ I-ს მეფე ერეკლეს დანაბარებს ამცნობდა: მეფეს დედოფლისა და შვილებისათვის ადრეც მრავალგზის უთქვამს და სიკვდილის დღეს კვლავ გაუმეორებია, რუსეთის მფარველობის ქვეშ იყავით და ერთგულად ემსახურეთ იმპერატორსო. 10 მარტსვე იმავე შინაარსის წერილი დარეჯან დედოფალმა რუსეთის იმპერიის დედოფალ მარიასაც გაუგზავნა. 1798 წლის 14 მაისს პაველ I-ს, ხოლო 18 მაისს დედოფალ მარიას დარეჯან დედოფალმა კვლავ გაუგზავნა წერილები. მათში სხვა, შედარებით უმნიშვნელო ამბების გვერდით, გამოკვეთილია მთავარი: დარეჯან დედოფალი პაველ I-სა და დედოფალ მარიას ერთგულებას ეფიცება.

ნიშანდობლივია, რომ ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-მ რუსეთის იმპერატორ პაველ I-ს პირველი წერილი 1798 წლის 30 ივნისს გაუგზავნა. მეფე გიორგი იმპერატორს სთხოვდა დამტკიცებინა იგი ქართლ-კახეთის მეფედ, ბატონიშვილი დავითი – ტახტის მემკვიდრედ, როგორც ამას გეორგიევსკის ტრაქტატი ითვალისწინებდა. ბუნებრივია, რომ ამ სათხოვრით, ფაქტობრივად, გეორგიევსკის ტრაქტატის ერთ-ერთი მუხლის აღსრულების თხოვნით, ქართლ-კახეთის მეფეს ტახტზე ასვლისთანავე უნდა მიემართა რუსეთის იმპერატორისათვის. ოთხი თვით დაგვიანებას სერიოზული მიზეზი ჰქონდა. როგორც ჩანს, გიორგი XII საგარეო-პოლიტიკური კურსის გადასინჯვას აპირებდა. 1795 წლის სექტემბერში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ეს სულაც არ იყო მოულოდნელი. ყოველ შემთხვევაში, დადასტურებულია ის, რომ მეფე ოსმალეთის სულთანთან ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა. თავადი **ასლან ორბელიანი** (მეფის ქვისლი) საიდუმლო მისიით სტამბოლში გაემგზავრა. გზად გიორგი XII-ის ელჩმა ახალციხეში შეიარა და ფაშას სტამბოლში გამგზავრების ნებართვა სთხოვა. სანამ ახალციხის ფაშა სტამბოლიდან პასუხს მიიღებდა, საქართველოში დაბრუნდა მეფის უფროსი ვაჟი ტახტის მემკვიდრე **დავითი**, რომელიც ჯერ კიდევ ერეკლე II-ის სიცოცხლეში რუსეთში იყო გაგზავნილი სამხედრო განათლების მისაღებად. ბატონიშვილი არტილერისტის პროფესიას დაეუფლა და რუსეთის ჯარში მსახურობდა. ტახტის მემკვიდრემ მეფეს სასიხარულო ამბავი ჩამოუტანა: იმპერატორი პაველ I ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ კეთილგანწყობას იჩენსო. ამ ამბის შეტყობისთანავე მეფემ ასლან ორბელიანი სასწრაფოდ გამოიწვია ახალციხიდან. ვიზიტი სტამბოლში არ შედგა.

გიორგი XII ურთულეს ვითარებაში ავიდა ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტზე. ალა მაჰმად ხანის შემოსევის (1795 წ.) შედეგად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაიღუპა უამრავი ადამიანი, კიდევ უფრო მეტი ტყვედ იქნა წაყვანილი. ძლიერი დარტყმა მიიღო ქვეყნის ისედაც სუსტმა ეკონომიკამ, დაცარიელდა სახელმწიფო ხაზინა, რომლის შევსების სერიოზული წყარო სამეფოში აღარ არსებობდა. გადატაკებულმა მოსახლეობამ, რომელიც კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო შავმა ჭირმა, გადახდის უნარი დაკარგა. უამრავი კომლი მარჩენალის გარეშე დარჩა, მთელი რიგი სოფლები გაუკაცრიელდა. ყოველივე ზემოთ თქმულმა ძლიერი დარტყმა მიაყენა ქართულ ჯარს. პრაქტიკულად, ქართლ-კახეთის სამეფო ორგანიზებული სამხედრო ძალის გარეშე დარჩა, ჯარის გამოკვებისა და შეიარაღების სახსრები სახელმწიფოს აღარ გააჩნდა. სამეფო კარი ისევ თელავში იმყოფებოდა, რადგან თბილისი ნანგრევებად იყო ქცეული. თბილისში გადმოსვლის შემდეგ მეფე ცხოვრობდა მთელ ქალაქში გადარჩენილ ერთადერთ შენობაში – თავად ბებუთაშვილის სახლში. აქვე დაასრულა მან სიცოცხლე. გიორგი XII-ს სხვა მხრივაც მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. ერეკლე II-ის მეფობის ბოლო ხანებში, განსაკუთრებით მისი ავადმყოფობის პერიოდში, დარეჯან დედოფალი და ბატონიშვილები ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ – საუფლისწულოების გაფართოების მიზნით ისინი სულ ახალ და ახალ მიწებს იტაცებდნენ. უსამართლობა გაბატონდა ყველგან. გიორგი XII-ს, რომელსაც სულ უფრო და უფრო ასუსტებდა ავადმყოფობა, არც ფიზიკური და არც სულიერი სიმტკიცე აღარ ყოფნიდა წინ აღდგომოდა სულ უფრო მზარდ ანარქიას. გამეფებიდან რამდენიმე თვეში მეფეს ავადმყოფობამ იმდენად დარია ხელი, რომ თავად ბებუთაშვილის სახლიდან აღარ გამოდიოდა. მეფის ავადმყოფობა კიდევ უფრო დიდ სტიმულს აძლევდა მის მოწინააღმდეგეებს, პირველ რიგში – დარეჯან დედოფალსა და ბატონიშვილებს. ასეთ ვითარებაში სამეფოს მართვა-გამგეობა მეფის ახლობლებს, სამეფო სახლის წევრებს, უნდა ეკისრათ. სამწუხაროდ, სამეფო კარზე ვერ შეიქმნა ის ბირთვი, რომელიც ამ უმძიმეს ვითარებაში მეფეს გვერდით დაუდგებოდა. მეფის თანამოაზრეების ნაცვლად თავად ბებუთაშვილის სახლში უფრო ხშირად ჩნდებოდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი **პიოტრ კოვალენსკი**, რუსეთის ჯარის მეთაური გენერალ-მაიორი **ივან ლაზარევი**, ლეკებისაგან დაქირავებული მეფის მცველი რაზმის მეთაური და მისი თანმხლები ლეკები.

სულ ორად ორი ადამიანი ედგა გვერდით მეფეს – ბატონიშვილი დავითი და ბატონიშვილი იოანე.

3. საგარეო მდგომარეობის გართულება. ირანის აგრესიული გეგმები. სამეფო სახლში არსებულ უთანხმოებას, რომელიც, ცხადია, ძაბავდა ქვეყნის შიგნით ვითარებას, დაერთო საგარეო მდგომარეობის გაუარესება. 1798 წლის ივნისში თბილისში ჩამოვიდა ირანის ელჩი და გიორგი XII-ს ირანის შაჰ ფეთჰი ალის (ბაბა ხანის) 1798 წლის 5 ივნისის ფირმანი გადასცა. შაჰი ქართლ-კახეთის მეფეს ატყობინებდა, რომ მან ირანის შაჰის გვირგვინი დაიდგა და აზერბაიჯანში თავისი უფლებების განმტკიცებას შეუდგა. ირანის მბრძანებელი გიორგი XII-გან ერთი შვილის მძევლად გაგზავნას ითხოვდა. უარის შემთხვევაში იგი ქართლ-კახეთის სამეფოს განადგურებით იმუქრებოდა. გიორგი XII-მ რჩევსათვის პეტერბურგს მიმართა, საიდანაც შემდეგი პასუხი მიიღო: ირანის შაჰ ფეთჰი ალისთან ურთიერთობაში 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი მოეშველიებინა და მისთვის მძევლის მიცემაზე უარის თქმა იმით აეხსნა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ვასალი იყო. რუსეთის საიმპერატორო კარი ირანთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდა. ხელისუფლება, ერთი მხრივ, გიორგი XII-ს შაჰ ფეთჰი ალისათვის მძევლის მიცემაზე უარის თქმას ურჩევდა, მეორე მხრივ კი პეტერბურგში მყოფ ირანის ელჩობისათვის ძვირფას საჩუქრებს არ იშურებდა. რუსი დიპლომატები ირანის ელჩობას არწმუნებდნენ პაველ I-ის კეთილგანწყობაში. მართლაც, რუსეთის იმპერატორი ფეთჰი ალისათვის გაგზავნილ სიგელში ირანის შაჰს მოკავშირეობისა და მეგობრობისაკენ მოუწოდებდა. 1798 წლის 28 აგვისტოს პეტერბურგში მიიღეს გადაწყვეტილება მეფე გიორგისათვის ერჩიათ კეთილმეზობლური ურთიერთობა დაემყარებინა ირანთან, რადგან რუსეთს ამ უკანასკნელთან მშვიდობა და მეგობრობა აკავშირებდა. მართალია, გიორგი XII დარწმუნებული იყო, რომ ირანის შაჰი ფეთჰი ალი მუქარას სწრაფად ვერ აასრულებდა, მაგრამ მეფეს აფიქრებდა გავრცელებული ხმები. ამ ხმების მიხედვით, ირანის შაჰმა ერევნის ხანს 300 ათასი მანეთი და ცნობილი საგვარეულოებიდან თორმეტი მძევალი მოსთხოვა, თანაც 1799 წლის გაზაფხულზე გოგჩის ტბისაკენ გალაშქრებით დაემუქრა. გოგჩის ტბასთან ირანის ჯარის გამოჩენა, ცხადია, საშიში იყო ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. გიორგი XII-მ შეიტყო, რომ ყარაბაღის ხანმა იბრაჰიმმა შაჰ ფეთჰის აცნობა: ქართლ-კახეთის მეფე და საერთოდ, საქართველო ირანისაგან თავის დაცვას რუსეთის მეშვეობით ცდილობსო. იბრაჰიმ ხანი, ერთ დროს ერეკლე II-ის მოკავშირე ალა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამჯერად ფეთჰი ალის ქართლ-კახეთის სამეფოზე სალაშქროდ აქეზებდა.

4. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის განახლება. პეტერბურგიდან მიღებულმა პასუხმა, ცხადია, გიორგი XII არ დააკმაყოფილა. მიუხედავად ამისა, მეფე რუსეთთან ურთიერთობის გაგრძელებას აპირებდა. 1798 წლის 11 ოქტომბერს მეფე გიორგიმ საგანგებო სიგელით გარსევან ჭავჭავაძეს რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის მეფის სრულუფლებიანი წარმომადგენლის (მინისტრის) უფლებამოსილება დაუდასტურა. 11 ოქტომბერსვე ქართლ-კახეთის მეფემ წერილით მიმართა რუსეთის იმპერიის კანცლერ ალექსანდრ ბეზბოროდკოს. წერილი მეტად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ გიორგი XII ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე სიმართლეს მოახსენებდა რუსეთის იმპერიის კანცლერს. მეფემ მოკლედ, მაგრამ სავსებით ნათლად დაუხასიათა კანცლერს ქართლ-კახეთის სამეფოს მძიმე მდგომარეობა. იგი წერდა, რომ სამეფოს სამი ძლიერი მტერი ჰყავს: სპარსნი, ოსმალონი და დაღესტნელები (ლეკნი). მეფე გიორგი ალექსანდრ ბეზბოროდკოს პირდაპირ მოახსენებდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს შეეძლო მორიგებოდა მტერს, მაგრამ სამეფო კარმა ეს გზა არ აირჩია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქრისტიანობას ვერ უღალატებდა და მეორეც, რომ რუსეთის იმპერიის მფარველობაში იმყოფებოდა. კიდევ უფრო მეტი, რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკით უკმაყოფილო გიორგი XII წერდა: „არას დროს მაგ კარზედ შემწე და ჩვენთვის მზრუნველი არა გვეოლია. სანატრელს მამა ჩვენს (ერეკლე მეფეს – ვ. გ.) ჰქონდა სასოება დადებული კნიაზ პოტიომკინზედ (თავად

გრიგორი პოტიომკინზე – ვ. გ.), მაგრამ ის ჩვენ გვატყუებდა, ის მხოლოდ თავის სახელის განდიდებას ეძებდა და არავის სხვისთვის ზრუნავდა.“ მართალია, გიორგი XII სრულ სიმართლეს მოახსენებდა რუსეთის იმპერიის კანცლერს, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ სიმართლის მოსმენა პეტერბურგში არავის ესიამოვნებოდა. წერილის ბოლოს ქართლ-კახეთის მეფე აღნიშნავდა, რომ დიდი ხანია დარწმუნებული იყო ალექსანდრ ბეზბოროდკოს „კაცთმოყვარეობასა“ და „მამულისმოყვარეობაში“. მეფე კანცლერს სთხოვდა, ეშუამდგომლა რუსეთის იმპერატორთან, რათა მას მეფის სათხოვარი პუნქტები დაეკმაყოფილებინა. ქართლ-კახეთის მეფის სათხოვარი კი სულ ორი პუნქტისაგან შედგებოდა: 1. ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე გიორგი მეფის დამტკიცება; 2. ტახტის მემკვიდრედ დავით ბატონიშვილის დამტკიცება. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მსგავსი სათხოვარი გიორგი XII-მ 1798 წლის 30 ივნისსაც მიართვა პაველ I-ს, მაგრამ სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში პასუხი ვერ მიიღო.

1798 წლის ოქტომბერში გიორგი XII-მ ვრცელი წერილით მიმართა რუსეთის იმპერატორ პაველ I-ს. წერილის შინაარსი ასეთია: 1. ქართლ-კახეთის მეფე ერთგულებას უდასტურებდა რუსეთის იმპერატორს და სთხოვდა მფარველობა გაეწია მისი ქვეყნისათვის. რუსეთის იმპერიის მუდმივი მფარველობით დაიმედებული მეფე სხვა ქვეყნას აღარ სთხოვდა მფარველობას; 2. ერეკლე მეფე დახმარებისათვის უშუალოდ რუსეთის იმპერატორს კი არა, კავკასიის ხაზის მთავარსარდალს მიმართავდა, რის გამოც რუსეთიდან დახმარების მიღება გვიანდებოდა. ურთიერთობის ასეთმა წესმა გამოიწვია ის, რომ ალა მაჰმად ხანის შემოსევის დროს რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს ვერ დაეხმარა. მომხდარის გათვალისწინებით გიორგი XII პაველ I-ს სთხოვდა, ნება დაერთო პირადად მიემართა მისთვის; 3. ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორს სთხოვდა მის მეფედ, ხოლო დავით ბატონიშვილის ტახტის მემკვიდრედ დამტკიცებას. გიორგი XII ასევე ითხოვდა ქართლ-კახეთის სამეფოში მეფობა არასდროს შეწყვეტილიყო და მის მემკვიდრეებს „საუკუნოდ და შეურყევლად“ ემეფათ; 4. რუსეთის იმპერატორისგან მეფე ასევე ითხოვდა სამიათასიან ჯარს ზარბაზნებით, რომლის შენახვის ხარჯები რუსეთს უნდა გაეღო. საინტერესოა, რომ მეფე გიორგი რუსეთის იმპერატორს ჯარს სთხოვდა „უკვდავად და საუკუნოდ, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“; 5. მეფე რუსეთის იმპერატორს შეახსენებდა ძველ ამბავს: ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის ყოფნის დროს „ავს კაცებს“ ჯარის მეთაურებთან ენა მიჰქონდათ, რის გამოც ქართველებსა და რუსებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. ამ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მეფე გიორგი რუსეთის იმპერატორს სთხოვდა, ქართლ-კახეთის სამეფოში გამოსაგზავნი ჯარის მეთაურს უბრძანეთ, ურთიერთობა მხოლოდ ჩემთან ჰქონდესო. მეფე იმპერატორს ასევე სთხოვდა, რომ რუსეთის ჯარის მეთაურს უარი არ ეთქვა ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრების დაცვაზე, ხოლო თუ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის შეყვანა აუცილებელი გახდებოდა, ამის ნებართვას მეფე საგანგებოდ გამოითხოვდა პეტერბურგიდან; 6. თუ ქართლ-კახეთის სამეფოს მტრის თავდასხმის საშიშროება შეექმნებოდა, კავკასიის ხაზის მთავარსარდალს უფლება უნდა ჰქონოდა პეტერბურგთან შეუთანხმებლად გამოეგზავნა საქართველოში შვიდიათასიანი ჯარი, რომლის შესანახ ხარჯს მეფე გაიღებდა.

5. გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტები (1798 წლის 16 დეკემბრის ნოტა). რუსეთის საიმპერატორო კარი რეალურ დახმარებას არ აპირებდა. ამიტომ იყო, რომ 1798 წლის 16 დეკემბერს გარსევან ჭავჭავაძემ ნოტა გადასცა რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას. ნოტაში ჩამოყალიბებული იყო ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის სათხოვარი, რომელიც 12 პუნქტისაგან შედგებოდა. საგარეო საქმეთა კოლეგიაზე გარსევან ჭავჭავაძის ნოტა 1798 წლის 25 დეკემბერს განუხილავს იმპერატორ პაველ I-ის ფავორიტს, იმპერიის საგარეო პოლიტიკის პრაქტიკულ ხელმძღვანელს, ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველ გრაფ ფიოდორ როსტოპჩინს. ფიოდორ როსტოპჩინს ნოტის ყველა პუნქტზე თავისი აზრი გამოუთქვამს. გარსევან ჭავჭავაძის მირთმეული ნოტა ასეთი შინაარსისაა:

1. მეფე გიორგი ითხოვდა რუსეთის ჯარის ერთი კორპუსის (3.000 ოფიცერი და ჯარისკაცი) გამოგზავნას, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოში მუდმივად უნდა დარჩენილიყო. ჯარისათვის აუცილებელი პროვიანტი კორპუსის სარდლობას თავისი ხარჯით უნდა შეესყიდა იმავე ფასებში, რა ფასებითაც საკვებ პროდუქტს მეფის ქვეშევრდომები ყიდულობდნენ. თუ მტრის თავდასხმის შემთხვევაში რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოში კიდევ უფრო დიდ ჯარს (7.000 ოფიცერსა და ჯარისკაცს) გამოაგზავნიდა, მისი შენახვის ხარჯებს მეფე გაიღებდა. ნოტის პირველ პუნქტზე ფიოდორ როსტოპჩინს ასეთი რეზოლუცია დაუდია: ებრძანოს გენერალ-ლეიტენანტ კისელიოვს საქართველოში გასაგზავნად მოამზადოს ეგერთა ერთი პოლკი.

2. ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის გამოგზავნასთან ერთად მეფე გიორგი ითხოვდა 1784 წელს ეკატერინა II-ის მიერ ერეკლე მეფისათვის ნაბოძები არტილერიის იმ ნაწილის გამოგზავნას, რომელიც ჩრდილო კავკასიაში იყო ჩარჩენილი. ნოტის მეორე პუნქტს ფიოდორ როსტოპჩინის თანხმობის გამომხატველი რეზოლუცია ადევს;

3. მეფე გიორგი ითხოვდა ყარაბაღის სახანოდან ქართლ-კახეთის სამეფოში სომეხი მელიქების გადმოსახლებაში მხარდაჭერას. ნოტის მესამე პუნქტზე ფიოდორ როსტოპჩინის მიერ დადებული რეზოლუცია გვაუწყებს, რომ საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო რუსეთის იმპერიის კანცლერის მოხსენების მესამე პუნქტის თანახმად (კანცლერის რომელ მოხსენებაზეა საუბარი, მითითებული არ არის – ვ. გ.);

4. მეფე გიორგი ითხოვდა, რომ ქართლ-კახეთის მეფის იმ თავადებისა და აზნაურების გარდა, რომლებიც მოხსენებულნი იყვნენ გეორგიევსკის ტრაქტატში, რუსეთის საიმპერატორო კარმა თავადად და აზნაურად არავინ ცნოს, თუ მეფის სიგელით არ დასტურდებოდა მათი წოდება. ნოტის მეოთხე პუნქტზე ფიოდორ როსტოპჩინს ასეთი რეზოლუცია დაუდია: საკითხი გადაწყვეტილია კანცლერის მოხსენების მეოთხე პუნქტის ძალით (კანცლერის რომელ მოხსენებაზეა საუბარი, აქაც მითითებული არ არის – ვ. გ.);

5. მეფე გიორგი ითხოვდა ურმიელი სომხებისა და სირიელების ქართლ-კახეთის სამეფოში გადმოსახლების უფლებას. ნოტის მეხუთე პუნქტზე ფიოდორ როსტოპჩინს ასე წაუწერია: გადაწყდეს კანცლერის მოხსენების თანახმად (გაურკვეველია, კანცლერის რომელი მოხსენება იგულისხმება – ვ. გ.);

6. მეფე გიორგი მადლობას უხდოდა რუსეთის საიმპერატორო კარს იმის გამო, რომ რუსეთმა ირანის შაჰს მოსთხოვა არ შეჭრილიყო რუსეთის ვასალის, ქართლ-კახეთის სამეფოს, საზღვრებში. ნოტის მეექვსე პუნქტზე ფიოდორ როსტოპჩინს ასეთი რეზოლუცია დაუდია: ეს საკითხი კანცლერის მოხსენებაში იყო განხილული (კანცლერის რომელ მოხსენებას გულისხმობს, აქაც გაურკვეველია – ვ. გ.);

7. მეფე გიორგის ცნობა მიუღია, რომ ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი რუსეთის იმპერატორმა წმინდა ანას ორდენით დააჯილდოვა. ამასთან დაკავშირებით მეფეს შემდეგი სათხოვარი ჰქონდა: მე როცა ტახტის მემკვიდრე ვიყავი, რუსეთის იმპერატორმა წმინდა ალექსანდრ ნეველის ორდენით დამაჯილდოვაო, იქნებ ინებოს იმპერატორმა და ტახტის მემკვიდრეს წმინდა ალექსანდრ ნეველის ორდენი უბოძოსო. მეფე ასევე ითხოვდა იოანე ბატონიშვილის წმინდა ანას ორდენით დაჯილდოვებას. ნოტის მეშვიდე პუნქტზე ფიოდორ როსტოპჩინს ასეთი რეზოლუცია დაუდია: ეს საკითხი გადაწყვეტილია კანცლერის მოხსენების პირველი პუნქტის მიხედვით (კანცლერის რომელ მოხსენებაზეა საუბარი, მითითებული არ არის – ვ. გ.);

8. მეფე გიორგი ითხოვდა დედოფალ მარიამისათვის წმინდა ეკატერინეს ორდენს. ნოტის მერვე პუნქტზე ფიოდორ როსტოპჩინს ასეთი გადაწყვეტილება მიუღია: აღიძრას შუამდგომლობა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშე;

9. მეფე გიორგი აცხადებდა, რომ რუსეთში გავრცელებული ხმები, თითქოს თბილისში შავი ჭირი მძვინვარებდა, სინამდვილეს არ შეეფერებოდა (მეცხრე პუნქტზე ფიოდორ როსტოპჩინს რეზოლუცია არ დაუდია);

10. მეფე ითხოვდა საქართველოდან გატანილი წმინდა ნინოს ჯვრის დაბრუნებას, რომელიც იმხანად რუსეთში იყო დაცული. ნოტის მეათე პუნქტზე ფიოდორ როსტოპჩინს ასეთი რეზოლუცია დაუდია: გაარკვიეთ, სად ინახება ამჟამად ეს ჯვარი და მომასხენეთ;

11. მეფე გიორგის სურდა გაეგო, როდის განიხილებოდა და გადაწყდებოდა ნოტაში დასმული საკითხები. ნოტის მეთერთმეტე პუნქტზე ფიოდორ როსტოპჩინს კონკრეტული პასუხი არ გაუცია.

6. რუსეთის ჯარის შემოსვლა თბილისში (1799 წლის 26 ნოემბერი). 1799 წლის 18 იანვარს გარსევან ჭავჭავაძემ ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის გაგზავნის თხოვნით მიმართა რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას. პეტერბურგში ამჯერად ყურად იღეს ქართლ-კახეთის მეფის თხოვნა. 1799 წლის 23 თებერვალს იმპერატორმა პაველ I-მა ხელი მოაწერა რესკრიპტს კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-მაიორ **აფანასი ურაკოვისადმი**. რესკრიპტის თანახმად, კავკასიის ხაზის მთავარსარდალს ქართლ-კახეთის სამეფოში გასაგზავნად ეგერთა ერთი პოლკი უნდა მოემზადებინა. ჯარის გამოგზავნასთან ერთად პეტერბურგში მიღებული იქნა მეორე გადაწყვეტილებაც: 1799 წლის 18 აპრილს პაველ I-მა ხელი მოაწერა სიგელს, რომლის ძალითაც რუსეთის იმპერატორმა დაადასტურა ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტზე გიორგი XII-ის ასვლა, ხოლო დავით ბატონიშვილი ტახტის მემკვიდრედ ცნო. ამ პროცედურას ითვალისწინებდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის მესამე მუხლი. გიორგი XII-თვის პაველ I-ის სიგელისა და სამეფო ინვესტიტურების გადაცემა დაევალა ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე რუსეთის იმპერიის სრულუფლებიან წარმომადგენლად (მინისტრად) დანიშნულ **პიოტრ კოვალენსკის**. 1799 წლის ივლისის ბოლოს კოვალენსკი კავკასიის ხაზზე (სტანიცა ნაურში) ჩავიდა. იქ მას დახვდა 1799 წლის მარტში გენერალ-მაიორ აფანასი ურაკოვის ნაცვლად კავკასიის ხაზის მთავარსარდალად დანიშნული გენერალ-ლეიტენანტი **კარლ კნორინგი**. უგზობის გამო პიოტრ კოვალენსკის თბილისში გამომგზავრება, ისევე, როგორც ეგერთა პოლკის გამოგზავნა, საკმაო ხნით შეფერხდა. როგორც იქნა, ქართულმა მხარემ კავკასიის ხაზიდან საქართველოში მომავალი გზის (ლარსი-სტეფანწმინდა-დუშეთის მონაკვეთი) შეკეთება შეძლო. 1799 წლის 12 ოქტომბრისათვის გზა მოზდოკიდან თბილისამდე მზად იყო. 1799 წლის 13 ოქტომბერს კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა კარლ კნორინგმა ეგერთა პოლკის მეთაურ გენერალ-მაიორ **ივან ლაზარევს** უბრძანა 20 ოქტომბერს მდინარე თერგზე გადასულიყო და გაეგრძელებინა გზა თბილისისაკენ. ივან ლაზარევს ნაბრძანები ჰქონდა თბილისში ჩასვლისას ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-თვის ისეთივე სამხედრო პატივი მიეგო, როგორსაც რუსული სამხედრო წესდების მიხედვით მიაგებდნენ იმპერატორს. ლაზარევთან ერთად საქართველოში გამოემგზავრა კოვალენსკიც.

1799 წლის 20 ოქტომბერს ეგერთა პოლკი, კახაკთა მცირერიცხოვან რაზმთან და გენერალ-მაიორ **იაკობ ფონ გელვიხის** საარტილერიო ბატალიონიდან გამოყოფილ 4 საველე ზარბაზანთან ერთად ივან ლაზარევს საერთო მეთაურობით მდინარე თერგზე გადმოვიდა. გზის უმეტესი ნაწილი პოლკმა ნოემბრის თვეში, დიდთოვლობაში, ქარბუქსა და ყინვაში გამოიარა. გზაზე შეფერხებების გამო მგზავრობა დაგვიანდა და გზის გაგრძელება, ამასობაში ჯარს სურსათი გაუთავდა. ივან ლაზარევმა განკარგულება გასცა პროვიანტი ადგილობრივი მოსახლეობისგან შეესყიდათ. პირველ ხანებში ქართლ-კახეთის სამეფო კარმა რუსეთის ჯარის სურსათით მომარაგება ვერ უზრუნველყო. მოგვიანებით დუშეთში მყოფმა **გახტანგ ბატონიშვილმა** რუსეთის ჯარს სურსათი და ურმები გაუგზავნა, რუსებმა მიიღეს 80 წყვილი ხარი. გზაზე გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ ჯარს ხვდებოდა 50 ცხენი. ამ დახმარებამ რუსეთის ჯარის თბილისისაკენ გადაადგილება დააჩქარა.

1799 წლის 26 ნოემბერს, დილით ადრე, თბილისის მოსახლეობა ავლაბრის ხილით სოფელ **კუკიისაკენ** გაემართა, რათა შეხვედროდნენ მცხეთიდან თბილისისაკენ დაძრულ რუსეთის ჯარს. ლარსიდან მომავალი გზა მცხეთასთან არავის კვეთდა, მიუყვებოდა მტკვრის მარცხენა ნაპირს და ავჭალის, დიდუბისა და კუკიის გავლით თბილისში შემოდის.

გიორგი XII რუსულ ჯარს ქალაქის გარეთ შეხვდა. შეხვედრის მომენტში თბილისში საარტილერიო სალუტი მისცეს, დედაქალაქის ყველა ეკლესიის სამრეკლოდან ზარების რეკა გაისმა. თბილისისაკენ დაძრულ ჯარს წინ მეფე გიორგი XII, გენერალ-მაიორი ივანე ლაზარევი და ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე რუსეთის იმპერიის მინისტრი პიოტრ კოვალენსკი მოუძღოდნენ. რუსეთის ჯარი თბილისში ჩულურეთისა და ავლაბრის გავლით, ავლაბრისაკენ ხიდით შემოვიდა.

7. გიორგი XII-ის კორონაცია (1799 წლის 12 დეკემბერი). რუსეთის იმპერატორ პაველ I-ის 1799 წლის 18 აპრილის სიგელისა და სამეფო ინვესტიტურების თბილისში ჩამოტანის შემდეგ უნდა გამართულიყო გიორგი XII-ის საზეიმო კორონაცია. კორონაციამდე რამდენიმე დღით ადრე სამეფო რეგალიები მეფის რეზიდენციაში გადაიტანეს. 1799 წლის 5 დეკემბერს რუსი ოფიცერი ეგერთა პოლკისაგან გამოყოფილი საპატიო ყარაულის თანხლებით მეფის რეზიდენციისაკენ გაემართა. მსვლელობას უამრავი თბილისელი ესწრებოდა. საპატიო ყარაულს მიჰქონდა სამეფო ტახტი, თეთრი დროშა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის დერბებით, სამეფო ხმალი, პორფირი, გვირგვინი, სკიპტრა და დედოფალ მარიამისათვის განკუთვნილი მანტია ბრილიანტის თვლებით, ბრილიანტივით მორთული სამი ორდენი გიორგი XII-თვის, დედოფალ მარიამისათვის წმინდა ეკატერინეს ორდენი და ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილისათვის წმინდა ანას ორდენი. სულ ბოლოს მიჰქონდათ ვერცხლის ლანგარზე მოთავსებული იმპერატორ პაველ I-ის 1799 წლის 18 აპრილის სიგელი, რომელიც გიორგი XII-ის ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ასვლას ადასტურებდა. სამეფო რეგალიებთან ერთად რეზიდენციაში მივიდა კოვალენსკი, მეფეს მიესალმა და მოკლე სიტყვის შემდეგ საზეიმოდ გამოაცხადა, რომ რუსეთის იმპერატორმა პაველ I-მა მფარველობაში მიიღო და მეფობა დაუმტკიცა გიორგი XII-ს, ხოლო მეფის უფროსი ძე დავითი ტახტის მემკვიდრედ ცნო. ამის შემდეგ კოვალენსკის უნდოდა გიორგი XII-თვის სამეფო ინვესტიტურების გადაცემა, მაგრამ მეფემ იგი შეაჩერა და განაცხადა: „მე არ შემიძლია სამეფო ინვესტიტურები მივიღო მანამ, სანამ ფიცს არ დავდებ იმპერატორის ერთგულებაზე და სანამ არ ვადიარებ ქართლ-კახეთის მეფეებზე მისი ხელისუფლების უზენაესობას. მე მსურს ეს მოხდეს საზეიმოდ უფლის ტაძარში“.

1799 წლის 12 დეკემბერს, კორონაციის დღეს, პროცესია თბილისის სიონის ტაძრისაკენ დაიძრა. მეფეს თან ახლდნენ სამეფო ოჯახის წევრები და დიდებულები. პროცესიის წინ მიჰქონდათ სამეფო გვირგვინი და სკიპტრა. ეგერთა პოლკი, მეფისაგან საპატიო მანძილით მოშორებული, უკან მიჰყვებოდა პროცესიას. სიონში წირვის დასრულების შემდეგ მეფემ ბრძანა წაეკითხათ იმპერატორ პაველ I-ის სიგელი. სიგელის წაკითხვის შემდეგ გიორგი XII-მ რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი დადო.

8. გიორგი XII-ის 1799 წლის 7 სექტემბრის რწმუნების სიგელი რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენლებს. მეფედ დამტკიცების სიგელის მიღების შემდეგ, 1799 წლის სექტემბერში, გიორგი XII-მ სამადლობელი წერილი გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს. იმავე წერილიდან ვგებულობთ, რომ მეფეს რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის მეფის სრულუფლებიან წარმომადგენლად (მინისტრად) გიორგი XII-ს გარსევან ჭავჭავაძე დაუტოვებია, მაგრამ მასთან ერთად სრულუფლებიანი წარმომადგენლის (მინისტრის) რწმუნება უბოძებია თავად გიორგი ავალიშვილისა და თავად რევაზ ფალავანდიშვილისათვის. 1799 წლის 7 სექტემბრის რწმუნების სიგელის მიხედვით, მეფე თავის წარმომადგენლებს უფლებას აძლევდა: ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში ყოფნით ნუ დაკმაყოფილდებოდნენ, „დაუდევით არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რაითა ამიერიდგან დაიდგას სამეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად წესითა მით ვითარცა სხვანი იგი რუსეთსა შინა აყრობილნი პროვინციანი სარგებლობენ.“ როგორც ვხედავთ, გიორგი XII სუვერენულ უფლებებზე ხელს იღებდა, მფარველობით გათვალისწინებულ უფლებებს თმობდა, უფრო

მეტიც, ქვეშევრდომობასაც არ ითხოვდა და ქართლ-კახეთის სამეფოს უფლებრივად რუსეთის შიდა პროვინციებს უტოლებდა. ასეთი ყოვლად მიუღებელი დათმობის შემდეგ გიორგი XII თავის წარმომადგენლებს ქართლ-კახეთში მეფობის შენარჩუნების დავალებას აძლევდა: „სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფენი, გარნა ოდენ სამეფოს მემკვიდრითი-მემკვიდრედ ვითარცა წინაპარნი ჩემნი“. ცხადი იყო, რომ პირველი თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში პეტერბურგში მეორე თხოვნას აღარ გაითვალისწინებდნენ. გიორგი XII არა მარტო სამართლებრივად იღებდა ხელს მეფობაზე, არამედ უფრო შორს მიდიოდა, – იმპერატორს მისთვის და მისი შვილებისათვის სამემკვიდრეო მამულებს თხოვდა რუსეთის ტერიტორიაზე. მეფე თავის წარმომადგენლებს ავალებდა: „**ეგრეთვე ითხოვეთ... ყოვლისა რუსეთისა იმპერიასა შინა საშესაბამო აგარაკნი ჩემთვის და ძეთა ჩემთათვის საბოლოოდ და სამკვიდროდ...**“ რწმუნების სიგელზე ხელმოწერის შემდეგ მეფე გიორგის სიგელზე მინაწერი გაუკეთებია. მეფე თავის წარმომადგენლებს ავალებდა, მისთვის ჯამაგირის დანიშვნაზე ეზრუნათ: „**ესრეთვე ითხოვეთ ჯამაგირიცა შესაბამისა სახითა...**“

1799 წლის 7 სექტემბრის რწმუნების სიგელით ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-მ პრაქტიკულად 1783 წლის 24 ივლისის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების გადასინჯვა მოითხოვა, რაც სამეფოს სუვერენიტეტის უკიდურესად შეზღუდვაში გამოიხატა.

გიორგი XII-მ 1799 წლის სექტემბერში პეტერბურგში მიმავალ გიორგი ავალიშიილსა და რევაზ ფალავანდიშიილს (გარსევან ჭავჭავაძე ამ დროისათვის პეტერბურგში იმყოფებოდა) რწმუნების სიგელის გარდა, მეფემ პაველ I-თვის მისართმევი თხოვნა გაატანა. გიორგი XII ითხოვდა: 1. ქართლ-კახეთის სამეფოს დასაცავად ჯარის (6.000 ოფიცრისა და ჯარისკაცის) გამოგზავნას, რომელიც საქართველოში უნდა დარჩენილიყო მუდმივად; 2. რუსეთის ჯარის ირანის საზღვარზე (აზერბაიჯანში) განლაგებას, რადგან ქვეყანას ირანის სახანოების მხრიდან მუდმივი საფრთხე ემუქრებოდა. მეფე რუსეთის იმპერატორს აცნობებდა, რომ ქართული ჯარის სისუსტისა და რუსეთის ჯარის სიმცირის გამო ქვეყანა დაუცველი იყო, რითაც ირანი სარგებლობდა. შეწუხებული მეფე იმპერატორს სწერდა: ირანის ელჩი თბილისში მიზის და შვილსა მთხოვს მძევლად, თუ რუსეთის ჯარმა დროზე არ მოგვისწრო, და აქ მყოფი ჯარის იმედად დავრჩით, შვილის მძევლად მიცემა მომიწევსო. გიორგი XII შეკითხვის ფორმით მიმართავდა პაველ I-ს: ტახტის მემკვიდრე დავითი, თქვენს სამსახურში მყოფი გენერალ-მაიორი, როგორ მივცე ირანს მძევლად?

9. რუსეთის იმპერიის ახალი პოლიტიკური კურსი კავკასიასა და ირანში. რუსეთის ჯარის ერთი პოლკის თბილისში შემოსვლამ ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა. დაპირისპირება სამეფო სახლის წევრთა შორის კიდევ უფრო გაღრმავდა. კვლავ არსებობდა ქართლ-კახეთის სამეფოზე ირანის შაჰის გამოლაშქრების საფრთხე. რუსეთის იმპერატორი პაველ I ირანის, ასევე კავკასიის ხაზის სამხრეთით მცხოვრები ხალხებისა და სახელმწიფოების შინაურ საქმეებში არ ერეოდა. ამ პოლიტიკას ატარებდა იგი გარდაცვალებამდე (1801 წლის მარტი). როდესაც კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა კარლ კნორინგმა ოსეთსა და ყაბარდოს შორის დაწყებულ კონფლიქტში იმპერატორს ჩარევა ურჩია, პაველ I-მა განაცხადა: რუსეთი ოსეთისა და ყაბარდოს კონფლიქტში არ აპირებდა ჩარეულიყო მანამ, სანამ ეს კონფლიქტი რუსეთის საზღვარს არ მოუახლოვდებოდა. იმპერატორი თავის პოზიციას იმით ხსნიდა, რომ ოსები და ყაბარდოელები რუსეთის მფარველობაში იყვნენ და არა ქვეშევრდომობაში. ქართლ-კახეთის სამეფოც რუსეთის მფარველობაში იყო და არა ქვეშევრდომობაში. ეს ნიშნავდა შემდეგს: თუ რუსეთი იმავე პოლიტიკას გაატარებდა ქართლ-კახეთის სამეფოზე ირანის ლაშქრობის შემთხვევაში, ცხადია, გიორგი XII-ს პაველ I-ის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა. ქართლ-კახეთის სამეფო კარზე რუსეთის იმპერიის მინისტრად დანიშვნასთან ერთად პიოტრ კოვალენსკი დაინიშნა რუსეთის საქმეთა რწმუნებულად ირანში. პაველ I-მა კოვალენსკის დაავალა ურთიერთობა დაემყარებინა ირანის იმ ხანებთან, რომლებიც ქართლ-კახეთის სამეფოს გავლენით ან პირადი სურვილით რუსეთისადმი ლოიალურები იყვნენ. თუ

იმპერიისადმი კეთილგანწყობილი ირანის ხანები მის მფარველობაში შესვლას მოსურვებდნენ, კოვალენსკის მათთვის ხელი უნდა შეეწყო, მაგრამ ისე, რომ ყველაფერი ომის გარეშე, მშვიდობიანად დასრულებულიყო. კოვალენსკის ირანში რუსეთის გავლენა „ყოველგვარი ხარჯის გარეშე, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მცირე დანახარჯებით“ უნდა განემტკიცებინა. კოვალენსკის მკაცრი მითითება ჰქონდა იმის თაობაზე, რომ საქმე ირანში რუსეთის ჯარის გაგზავნის აუცილებლობამდე არ მიეყვანა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პაველ I ირანის აგრესიისაგან ქართლ-კახეთის დაცვას არ აპირებდა.

მიუხედავად პაველ I-ის მიერ ირანთან დამოკიდებულებაში შემუშავებული ახალი პოლიტიკური კურსისა, რუსეთის იმპერატორი 1799 წლის 16 აპრილის რესკრიპტით პიოტრ კოვალენსკის ავალებდა განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო ირანის შაჰის მოქმედებისათვის. დიპლომატს ფეჰთი ალი უნდა დაერწმუნებინა პაველ I-ის კეთილგანწყობაში და, ამავ დროს, მისთვის ეცნობებინა: **არ უნდა გაემეორებინა ალა მაჰმად ხანის შეცდომა და თავს არ უნდა დასხმოდა ქართლ-კახეთის სამეფოს.** რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიამ კოვალენსკის შეატყობინა, რომ რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გამიზნული იყო ახალი ტრაქტატის დადება. დიპლომატს ირანის შაჰისათვის უნდა ეცნობებინა, რომ მას **ქართლ-კახეთის სამეფოსთან ურთიერთობაში ანგარიში გაეწია იმ ვალდებულებებისათვის, რომლებსაც რუსეთი იკისრებდა ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ.** რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ახალი ტრაქტატის დადება გაჭიანურდა, ამიტომ იყო, რომ პიოტრ კოვალენსკიმ ფეთჰი ალის ვერაფერი შეატყობინა. დიპლომატს ისლა დარჩენოდა, რომ 1800 წლის 16 თებერვალს ირანის შაჰისათვის თბილისში თავისი ჩამოსვლის შესახებ ეცნობებინა. ამ ცნობასთან ერთად კოვალენსკიმ 1800 წლის 16 თებერვალსვე წერილი გაუგზავნა ირანის შაჰის კარზე საქმეთა მმართველს (კანცელარიის უფროსს) **ჰაჯი იბრაჰიმ ხანს** და ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებაში დახმარება სთხოვა. კოვალენსკიმ წერილები დაუგზავნა ასევე განჯის ხან **ჯაგადს** და ყარაბაღის ხან **იბრაჰიმს**. 1800 წლის 17 თებერვალს პაველ I-თვის გაგზავნილ მოხსენებაში კოვალენსკი აღნიშნავდა: წერილების მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად გულწრფელი იყო ჯაგად ხანისა და იბრაჰიმ ხანის თხოვნა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის თაობაზე. თუ ეს თხოვნა ნამდვილად გულწრფელი იყო, კოვალენსკი განჯისა და ყარაბაღის ხანების დახმარებით ეცდებოდა რუსეთის ქვეშევრდომობაზე დაეყოლიებინა **შირვანის, შაქისა და ერევნის** ხანები და, რაც მთავარია, **აგარის** ხანი **ომარი**.

10. გიორგი XII-ის თხოვნა ირანის აგრესიისაგან დაცვის თაობაზე. გიორგი XII, როგორც ჩანს, უკმაყოფილო იყო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მისი წარმომადგენლების გარსევან ჭავჭავაძის, გიორგი ავალიშვილისა და ელიზბარ ფალავანდიშვილის მიმართ არ გამოიჩინა სათანადო ყურადღება და დაფასება. 1800 წლის 14 იანვარს მეფე პიოტრ კოვალენსკის დახმარებას სთხოვდა, რომ ელჩებს მათი „პატივისა“ და „ჩინის“ შესაფერად მოპყრობოდნენ. კოვალენსკის შეუტყვია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლებმა რუსეთის იმპერატორს გიორგი XII-ის სათხოვარი მიართვეს. რუსეთის მინისტრი მეფეს სთხოვდა პეტერბურგში გაგზავნილი დოკუმენტის შინაარსი ეცნობებინა მისთვის. მეფე კოვალენსკის სწერდა, ამ დოკუმენტის შინაარსი ზეპირად უკვე მომხსენდა, და თუ წერილობით გნებავთ, ამასაც გაახლებთო: 1. ქართლ-კახეთის სამეფოში მუდმივად უნდა მდგარიყო რუსეთის ჯარი (3.000 ოფიცერი და ჯარისკაცი); 2. რუსეთის ჯარით ირანთან როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს, ისე აზერბაიჯანის საზღვრის დაცვა; 3. ახალციხის ფაშასათვის საფაშოს ტერიტორიაზე ლეკების ლაშქრის შესვლისა და ქართლ-კახეთის ტერიტორიის დარბევის აკრძალვა; 4. დაღესტნის მფლობელებისათვის ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმის აკრძალვა; 5. ეკატერინა II-ის მიერ 1784 წელს ერეკლე II-თვის ნაბოძები არტილერიის ჩრდილო კავკასიაში დარჩენილი ნაწილის დროულად თბილისში

გამოგზავნა; 6. ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარისათვის პურის შესასყიდი ფასის განსაზღვრა არა რუსეთში არსებული, არამედ ქართლ-კახეთში მოქმედი ფასით.

თბილისში ხმები დადიოდა, რომ ირანის შაჰი ქართლ-კახეთის სამეფოზე სალაშქროდ ემზადებოდა. პიოტრ კოვალენსკის სასწრაფოდ უნდა გაერკვია, რამდენად სანდო იყო ეს ხმები და, თუ შაჰის განზრახვა დადასტურდებოდა, ქართული და რუსული ჯარი ომისათვის უნდა მომზადებულიყო. კოვალენსკიმ ირანში სასწრაფოდ გაგზავნა გადამდგარი პორუჩიკი **მერაბოვი (მერაბიშვილი)**. იმავდროულად კოვალენსკიმ თბილისიდან გილიანის გავლით ირანში მზვერავი გაგზავნა, რომელიც, ვითომდა ვაჭარი, თეირანში უნდა ჩასულიყო, შეხვედროდა მერაბოვს, მიეღო საჭირო ინფორმაცია და სწრაფად დაბრუნებულიყო თბილისში. ირანში გაგზავნილებისაგან არანაირი ცნობა არ მოდიოდა, ხოლო ხმები შაჰის თბილისზე მოსალოდნელი ლაშქრობის შესახებ ძლიერდებოდა. გარკვეული დროის შემდეგ ირანის ლაშქარი (შეუმოწმებელი ინფორმაციით 12.000 მეზობლი) მართლაც დაიძრა ყარაბაღის სახანოსაკენ. ირანის შაჰს ყარაბაღის სახანოზე ლაშქრობის მიზეზი ნამდვილად ჰქონდა. ფეჰთი ალი იბრაჰიმ ხანს ასულს სთხოვდა ცოლად. ყარაბაღის ხანი თავს იკავებდა. მოლაპარაკება შეიდ თვეს გაჭიანურდა. შაჰი ყარაბაღისა და სხვა სახანოებისაგან უსიტყვო მორჩილებას ითხოვდა. იბრაჰიმ ხანი კოვალენსკის დაუკავშირდა და რჩევა სთხოვა.

სამხრეთ კავკასიაში აქტიური პოლიტიკის გატარებას ითხოვდა ირანის შაჰ ფეთჰი ალის ვაჟი, ტახტის მემკვიდრე **აბას მირზა**. აბას მირზა იყო ჭკვიანი, განათლებული, ენერგიული, გაბედული და სამხედრო საქმის კარგად მცოდნე ახალგაზრდა. შაჰი სწორედ აბას მირზასთან თათბირობდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების წინ. აბას მირზა მამას სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ხანების დამორჩილებისაკენ მოუწოდებდა, რაც, ცხადია, მეტად საშიში იყო სახანოების მოსაზღვრე ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. ირანიდან მოსული წინააღმდეგობრივი ცნობების მიუხედავად, გიორგი XII და სამეფო კარი პიოტრ კოვალენსკის არწმუნებდნენ, რომ შაჰი დიდხანს არ გადადებდა აგრესიული გეგმების განხორციელებას. მალე რუსეთის დაზვერვამ ირანიდან საიმედო ცნობები გამოუგზავნა კოვალენსკის. ყაზვინიდან თეირანში მიმავალი რუსი მზვერავები შეხვდნენ აბას მირზას ლაშქარს, რომელშიც, ყველაზე დიდი, 4.000 მეზობლი თუ იქნებოდა. აბას მირზას სულ ოთხი მსუბუქი ზარბაზანი გააჩნდა. მთელი ლაშქარი, განსაკუთრებით კავალერია, მძიმე მდგომარეობაში იყო. ამ ძალებით აბას მირზას სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასია უნდა დაემორჩილებინა. აბას მირზამ, პირველ რიგში, **ხოის** სახანოს დამორჩილება გადაწყვიტა. ხოის ხანი **ჯაფარ ყული** ირანის შაჰს ეურჩებოდა. ხოის აღება აბას მირზამ ვერ მოახერხა, უკან დაიხია და დადებული შეთანხმებით **ჯაფარ ყული** ხოის ხანად ცნო. ხოის სახანოდან აბას მირზა **ერევნის, განჯის, ყარაბაღისა და შემახის** ხანების დამორჩილებას გეგმავდა. ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი იძულებული გახდა ქალიშვილი თეირანში გაეგზავნა ირანის შაჰზე დასაქორწინებლად. იბრაჰიმ ხანის ქალიშვილის ცოლად შერთვა ასევე სურდა შემახის ხან **მუსტაფას**. გაიგო თუ არა საპატარძლოს თეირანში გამგზავრება, მუსტაფა ხანი თავს დაესხა გამცილებელ რაზმს და იბრაჰიმ ხანის ქალიშვილი გაიტაცა. ცხადია, ასეთი მოქმედებით შემახის ხანმა სამუდამოდ მტრად მოიკიდა ირანის შაჰი.

ხოის სახანოში განცდილი მარცხის შემდეგ აბას მირზა ბაქოს ხანის წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდა. სწორედ ამ დროს აბას მირზას ბანაკში გამოცხადდა **ალექსანდრე ბატონიშვილი**. ძმასთან, გიორგი XII-თან, დაპირისპირებული ბატონიშვილის მისვლით აბას მირზა კმაყოფილი დარჩა. ალექსანდრე ბატონიშვილმა აბას მირზას სთხოვა, ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვართან, გოგჩის ტბის მიდამოებში, განელაგებინა. აქ ირანის ლაშქარს შეუერთდებოდა განჯისა და ყარაბაღის ხანების ლაშქარი და ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ მოქმედებაზე შეთანხმდებოდნენ. 1800 წლის 30 ივლისს ალექსანდრე ბატონიშვილი დედას, **დარეჯან დედოფალს**, სწერდა: ირანის ლაშქარი ერევნის ციხესთან იდგა, ამ ლაშქართან ერთად შვიდი დღის შემდეგ გოგჩის ტბის მიდამოებში გამოჩნდებოდა

და, თუ უფლის ნება იქნებოდა, ღვთისმშობლის მიძინების დღისათვის ალექსანდრე ირანის ლაშქრით თბილისში შემოვიდოდა. თბილისში გავრცელდა ხმები, რომ შაჰის სარდალი **სულეიმანი** ერევანში მისვლის შემდეგ გიორგი XII-ს რუსეთის მფარველობის უარყოფას და ირანის ხელისუფლების უზენაესობის აღიარებას მოსთხოვდა. შექმნილ ვითარებაში ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი და განჯის ხანი ჯავადი ქართლ-კახეთის მეფეს ირანის შაჰის მორჩილებისაკენ მოუწოდებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ირანიდან თბილისში საგანგაშო ცნობები მოდიოდა, აბას მირზას წარუმატებელი ლაშქრობა გიორგი XII-სა და პიოტრ კოვალენსკის აფიქრებინებდა, რომ შაჰი ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ომს ვერ დაიწყებდა. მართლაც, ფეთჰი ალი ვარაუდობდა: ქართლ-კახეთის სამეფოში გამოგზავნილ რუსეთის მცირერიცხოვან ჯარს დიდ საფრთხეს უქმნიდა მტრულად განწყობილი ხალხები და ქვეყნები (მუსლიმური სამყარო – გ. გ.), ხოლო საშიშროების შემთხვევაში რუსეთიდან დამხმარე ჯარის მოსვლა დაგვიანდებოდა, რაც ქართლ-კახეთიდან რუსეთის ჯარის გაწვევის მიზეზი უნდა გამხდარიყო. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ირანის შაჰი რადიკალური მოქმედებებისაგან დრომდე თავს შეიკავებდა. შაჰს ასეთი აზრი განუმტკიცა რუსეთის დაზვერვის მიერ გავრცელებულმა ხმებმა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში შემოსული რუსეთის მცირერიცხოვანი ჯარი მხოლოდ მაღალი რანგის მოხელის, კოვალენსკის, გამცილებელი რაზმი იყო. რუსეთის დაზვერვა ასევე ავრცელებდა ხმებს, რომ კოვალენსკის მიზანი იყო დაედგინა, დამასკოდან საით გაემართებოდა საფრანგეთის ჯარი. თუ ოსმალეთის სულთანი ანატოლიაში ფრანგების შეჭრას წინ ვერ აღუდგებოდა, რუსეთი ოსმალეთს დიდი ჯარით დაესმარებოდა. ირანის შაჰმა ირწმუნა რუსეთის დაზვერვის მიერ გავრცელებული ხმები და რუსეთის იმპერატორის მიერ გაგზავნილი საჩუქრები დიდი პომპეზურობით მიიღო. საზეიმო ცერემონიალზე არ წაუკითხავთ პაველ I-ის მიერ ფეთჰი ალისათვის გაგზავნილი სიგელი, რადგან რუსეთის იმპერატორი მას შაჰად არ მოიხსენიებდა.

სანამ ირანის შაჰი რუსეთთან ურთიერთობას არკვევდა, აბას მირზა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის დამორჩილებას ცდილობდა. 1800 წლის ივნისში აბას მირზამ თბილისში ელჩი გამოგზავნა, რომელსაც გიორგი XII-თვის შაჰის ფირმანი უნდა გადაეცა. აბას მირზას ელჩი თბილისში 11 ივნისს ჩამოვიდა. გიორგი XII-ს ვერ გადაეწვიტა, როგორ მიეღო ელჩი. კოვალენსკისთან თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ ელჩი რუსეთის მინისტრის რეზიდენციაში მიეღო. ამით მეფე გიორგი რუსეთის იმპერატორის ერთგულებას დაამტკიცებდა. ელჩის მიღება 15 ივნისს დაინიშნა. 14 ივნისს ელჩთან გამოცხადდა ორი მოხელე – ერთი ქართლ-კახეთის მეფისა, მეორე – რუსეთის მინისტრისა, რომელთაც სტუმარი მეორე დღისათვის აუდიენციაზე მიიწვიეს. დარბაზში, სადაც აუდიენცია შედგა, საგანგებოდ შეიტანეს იმპერატორ პაველ I-ის სურათი. კოვალენსკის გარდა, აუდიენციაზე იმყოფებოდნენ ეგერთა პოლკის მეთაური გენერალ-მაიორი ივან ლაზარევი პოლკის შტაბისა და უფროსი ოფიცრების თანხლებით. რეზიდენციასთან განლაგდა ეგერთა პოლკის ერთი ასეული. მისაღმების შემდეგ ელჩმა გიორგი XII-ს გადასცა ირანის შაჰის ფირმანი. მეფე ელჩს დაჰპირდა, რომ ფირმანს წაიკითხავდა და პასუხსაც შეატყობინებდა. ელჩმა მეფეს განუცხადა, რომ სურდა, მას პირისპირ და საიდუმლოდ მოლაპარაკებოდა. გიორგი XII-მ ელჩის სურვილი არ შეიწყნარა და იქვე აუწყო: რუსეთის მინისტრის გარეშე ირანის ელჩთან საიდუმლო მოლაპარაკებას არ გამართავდა. ელჩი შეეცადა გამოსავალი ეპოვა და მეფეს მოახსენა: ჩემთვის დიდი პატივია მოლაპარაკება ვაწარმოო რუსეთის მინისტრის თანდასწრებით, ოღონდ იმ პირობით, თუ მოლაპარაკებას კიდევ სხვა ვინმე არ დაესწრებაო. დიპლომატიისათვის დამახასიათებელი მოქნილობით ირანის ელჩმა გიორგი XII-ს აგრძნობინა, რომ ირანის შაჰი აღშფოთებული იყო მისი პოლიტიკით. ელჩმა მეფეს ისიც განუცხადა, რომ მისი მბრძანებელი გაკვირვებული იყო, ორი წლის განმავლობაში ქართლ-კახეთის მეფეს მასთან არანაირი ურთიერთობა რატომ არ ჰქონია. და ბოლოს, ირანის ელჩმა იმედი გამოთქვა, ფირმანის წაკითხვის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე ირანის შაჰის სურვილებსა

და მოთხოვნებს შეასრულებდა. ამის შემდეგ გიორგი XII-მ სიტყვით მიმართა ელჩს: მამაჩემი, ქართლ-კახეთის გარდაცვლილი მეფე, 1783 წელს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა და მე არა მაქვს უფლება რუსეთის იმპერატორის ნების გარეშე რომელიმე სხვა ქვეყნის მოთხოვნა შევეასრულო. მეფემ ელჩს ასევე განუცხადა, რომ ირანთან ურთიერთობა ჩაბარებული აქვს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სრულუფლებიან წარმომადგენელს, მინისტრ პიოტრ კოვალენსკის და ქართლ-კახეთის მეფის მოვალეობა იყო ირანთან ურთიერთობაც მასთან შეეთანხმებინა. გიორგი XII-ის სიტყვის შემდეგ ელჩს მიმართა კოვალენსკიმ. რუსეთის მინისტრმა დაადასტურა პაველ I-ის კეთილგანწყობა ირანის შაჰისადმი და ამავე დროს აღნიშნა: მე არ ვიცნობ შაჰის ფირმანის შინაარსს და, თუ მისი გაცნობის პატივს დამდებთ, სიამოვნებით მოგახსენებთ ჩემს აზრსო. ირანის ელჩმა განაცხადა, რომ ასეთი უფლებამოსილება მას არ ჰქონდა.

აბას მირზას მიერ გამოგზავნილ ელჩთან ერთად თბილისში ჩამოვიდა ერევნის ხანის ელჩიც, რომელიც გიორგი XII-ს ირანის შაჰის მორჩილების გამოცხადებას ურჩევდა. ხანის ელჩმა ისიც დასძინა, რომ ქართლ-კახეთი ირანის შაჰის სამფლობელო იყო და ამიტომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა. ერევნის ხანის ელჩის თავხედობამ მეფე გიორგი იმდენად გამოიყვანა მდგომარეობიდან, რომ პასუხის გაცემაც ვერ მოახერხა. ელჩს უპასუხა კოვალენსკიმ: თქვენ თითქოს სრულიად დაგავიწყდათ, რომ ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორის მფარველობაშია, გირჩევთ, ხშირად გაიხსენოთ ეს და დარწმუნებული იყავით, რომ რუსეთის ხელმწიფე ასე ადვილად არ მიატოვებს თავის მფარველობაში მყოფს. ამაზე ერევნის ხანის ელჩმა უპასუხა: დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ასე იქნება, მეფეს რჩევას მხოლოდ იმიტომ ვაძლევ, რომ ირანის დიდი ლაშქარი ქართლ-კახეთის საზღვრებს უახლოვდებაო. ელჩს ისევ კოვალენსკიმ უპასუხა: რუსეთს აქაურ ქვეყნებში მტრები არა ჰყავს და ამიტომ არავისზე თავდასხმას არ აპირებს, მაგრამ თუ მის მფარველობაში მყოფ ქვეყანას ვინმე თავს დაესხმება, რუსეთი მის წინააღმდეგ საბრძოლველად ძალებს გამონახავსო. ერევნის ხანის ელჩი ამის შემდეგაც არ დაცხრა და გიორგი XII-ს კვლავ შაჰის მოთხოვნების შესრულება ურჩია. გაბრაზებულმა კოვალენსკიმ ერევნის ხანის ელჩს მიაძახა: „მოვიდეს და წაიღოს!“

აუდიენციის დასრულების შემდეგ მეფე გიორგიმ და პიოტრ კოვალენსკიმ წაიკითხეს ირანის შაჰის ფირმანი და აბას მირზას წერილი. ირანის მბრძანებელი წერდა, რომ აზერბაიჯანის დამორჩილების შემდეგ აბას მირზა დიდი ლაშქრით (30.000 მეზობელი) ურჩი ხანების დამორჩილებას გააგრძელებდა. ირანის შაჰი მეფე გიორგის ურჩევდა ტახტის მემკვიდრე დავითი აბას მირზასთან მძევლად გაეგზავნა, რითაც მეფე ირანის მბრძანებლისადმი უქვეშევრდომილეს განწყობას გამოხატავდა. აუდიენციის დასრულების შემდეგ წაიკითხეს ერევნის ხანის წერილიც. ხანი წერდა: „აქამდე ირანსა და საქართველოს (ქართლ-კახეთს – ვ. გ.) შორის განკერძოება და განსხვავება არ იყო და მომავალშიც არ იქნება“. ხანი მეფე გიორგის ურჩევდა ძმა ან შვილი მდიდრული საჩუქრებით ირანის შაჰისთვის გაეგზავნა და ამით გადაერჩინა სამეფო და თავისი თავი.

თბილისში ირანის ელჩის ჩამოსვლამ და შაჰის ფირმანმა გიორგი XII დაარწმუნა, რომ აუცილებელი იყო ომისათვის სერიოზულად მომზადება. 1800 წლის 4 აგვისტოს პიოტრ კოვალენსკი პეტერბურგში გაგზავნილ ერთ-ერთ მოხსენებაში წერდა, რომ ერევნის სახანოში აბას მირზას ლაშქრის გამოჩენამ თბილისში დიდი შიშინაობა გამოიწვია, მუსლიმებით დასახლებულ საქართველოს სამხრეთ პროვინციებშიც (ყაზახში, შამშადილუში) არ იყო სიმშვიდე. თბილისში არ იყო თავდაცვისათვის აუცილებელი შეიარაღება, არ არსებობდა ორგანიზებული სამხედრო ძალა, რაც აძლიერებდა პანიკას მოსახლეობაში. ყოველივე ამას თან ერთვოდა უთანხმოება სამეფო სახლში – დარეჯან დედოფლისა და ძმების დაპირისპირება მეფე გიორგისთან. თავდაცვის ორგანიზების მიზნით გიორგი XII-მ კოვალენსკის თავმჯდომარეობით რუსი სამხედროებისაგან შექმნა **საბჭო**, რომლის წევრადაც მიწვეული იყო **იოანე ბატონიშვილი**. ჯერ კიდევ 1800 წლის 18 ივნისს კოვალენსკი

პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებაში წერდა, რომ გიორგი XII-ს ირანის თავდასხმის შემთხვევაში ომისათვის აუცილებელი არც ფინანსები ექნებოდა და არც ჯარი ეყოლებოდა. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ომის შემთხვევაში ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის დახმარების იმედად იყო. კოვალენსკი კავკასიის ხაზის მთავარსარდალ კარლ კნორინგსა და რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას სთხოვდა მითითებას, როგორ ემოქმედა შექმნილ ვითარებაში. თავის მხრივ, გიორგი XII კავკასიის ხაზის მთავარსარდალს რუსეთის ჯარის ახალი კონტინგენტის გამოგზავნას სთხოვდა. 1800 წლის 24 ივნისს კარლ კნორინგმა გიორგი XII-ის თხოვნის შესახებ იმპერატორ პაველ I-ს მოახსენა. კავკასიის ხაზის მთავარსარდალს, კოვალენსკის გარდა, თბილისიდან ცნობებს აწვდიდა ეგერთა პოლკის მეთაური გენერალ-მაიორი ივან ლაზარევი. 1800 წლის 4 აგვისტოს ლაზარევი კარლ კნორინგს სწერდა: „აქ შინაარეულობაა. ყველა დელავს, ყველა გარბის ქალაქიდან.“

11. რუსეთ-ირანის ურთიერთობა და ქართლ-კახეთის სამეფო. პეტერბურგში პიოტრ კოვალენსკისა და კარლ კნორინგის მოხსენებებს ანგარიში გაუწიეს. 1800 წლის 10 ივლისს კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა მიიღო იმპერატორის რესკრიპტი, რომლის შინაარსი ასეთი იყო: 1. ქართლ-კახეთის სამეფოში გასაგზავნად სასწრაფოდ უნდა მოემზადებინათ დრაგუნთა 5 ესკადრონი; 2. დრაგუნთა ესკადრონები უნდა გამოეყოთ პუშკინისა და ობრესკოვის პოლკებიდან, რომლებიც კავკასიის ხაზის ცენტრალურ მონაკვეთზე იყვნენ განლაგებული; 3. დრაგუნთა 5 ესკადრონს უნდა დამატებოდა კავკასიის ხაზის ცენტრალურ მონაკვეთზე განლაგებული ქვეითი ჯარის 2 პოლკი, გრენადერთა 2 ბატალიონი, და ლიხაჩევის ეგერთა პოლკის 1 ბატალიონი. სულ ქართლ-კახეთის სამეფოში უნდა გამოგზავნილიყო დრაგუნთა 10 ესკადრონი და ქვეითთა 9 ბატალიონი, არტილერია შესაბამისი მომსახურე პერსონალით. ქართლ-კახეთში გამოსაგზავნი ჯარის სარდლობა დავალებული ჰქონდა კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგს. 1800 წლის 10 ივლისს იმპერატორი პაველ I კარლ კნორინგს სწერდა: „ქართლ-კახეთის სამეფოს დასაცავად ჩვენმა წინასწარმა სამზადისმა ირანის შაჰი შეიძლება აიძულოს ხელი აიღოს განზრახვაზე, ხოლო ქართლ-კახეთის მეფემ – გააგრძელოს მოლაპარაკება აბას მირზასთან, რათა გაარკვიოს მისი მოთხოვნები. იქნებ შაჰს დაჰყრობა არც სურს და მხოლოდ ის უნდა, რომ ქართლ-კახეთის მეფე მეზობლებთან ომში დაეხმაროს მას. ამ შემთხვევაში შეთანხმება შეიძლება ჩვენი მხრიდან საბრძოლო მოქმედებების გარეშე“.

პაველ I-ის 1800 წლის 10 ივლისის რესკრიპტი კნორინგისადმი ამ უკანასკნელმა მაშინ მიიღო, როდესაც კოვალენსკის მიერ ირანში გაგზავნილი პორუჩიკი მერაბოვი თბილისში დაბრუნდა. მერაბოვი თბილისიდან 1800 წლის 16 თებერვალს გავიდა და თეირანში მხოლოდ 17 აპრილს ჩააღწია. თეირანიდან იგი 27 აპრილს გამოემგზავრა. 1800 წლის 28 აპრილს ირანის შაჰი ფეთჰი ალი დიდი ლაშქრით (50.000 მებრძოლი) ხორასანში შევიდა. ლაშქრის ბირთვს შეადგენდა 20.000 რჩეული ცხენოსანი. ირანის ლაშქრის სუსტ მხარეს წარმოადგენდა არტილერიის სიმცირე (ირანის შაჰის არტილერიას შეადგენდა ალა მაჰმად ხანის მიერ თბილისიდან წადებული 8 ზარბაზანი) და პროვიანტის უქონლობა. ყოველივე ეს მერაბოვს შეუტყვია. თეირანიდან გამოსული მერაბოვი გზაში წინასწარი განზრახვით შეაფერხა ხოის ხანის მიერ გამოყოფილმა მეგზურმა. დიდი წვალეების შემდეგ ხოისა და გილიანის გავლით 1800 წლის 8 მაისს მერაბოვი ენზელში ჩავიდა, საიდანაც ბაქოს, შემახის, ნუხისა და განჯის გავლით 1800 წლის ივლისში თბილისში ჩამოაღწია. 1800 წლის 27 ივლისს მერაბოვმა მოხსენება წარუდგინა პიოტრ კოვალენსკის, რომელსაც თან დაურთო ირანის ვეზირ **იბრაჰიმის** წერილის რუსული თარგმანი. წერილი ეხებოდა ირანის შაჰის პოზიციას ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლასთან დაკავშირებით. ირანის ვეზირი წერდა: „ყველასათვის ცნობილია ჭეშმარიტებაა, რომ მას შემდეგ, რაც დედამიწა ოთხ ნაწილად გაიყო, ქართლი, კახეთი და თბილისი შედიოდა ირანის სახელმწიფოში. მათი მოსახლეობა მუდამ ემორჩილებოდა ირანის შაჰებს და ისინი რუსეთის მფლობელობაში არასდროს არ ყოფილან. თვითმპყრობელი ხელმწიფის მაჰმად ხანის (ალა

მაჰმად ხანის – გ. გ.) თანამედროვე მეფე ერეკლემ გადაწყვიტა ჩამოსცილებოდა თავის მფლობელებს და მიჰკედლებოდა ირანის მტერს (რუსეთს – გ. გ.). თქვენთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია, ასეთი მოქმედებისათვის რაც დაიმსახურა მეფე ერეკლემ, – თავს დაატყდა ხელმწიფის (აღა მაჰმად ხანის – გ. გ.) რისხვა და დიდი უბედურება. მოსახლეობა ან დახოცეს, ან ტყვედ აიყვანეს, ქვეყანა კი მიწასთან გაასწორეს. ირანში ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი სიბრძნითა და მშვიდობისმოყვარეობით ამცნო რუსეთის მონარქმა (პაველ I-მა – გ. გ.) ქვეყნიერებას თავისი მეფობის დაწყება. მაგრამ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სურვილი – მოსპოს საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული უფლება და უპირატესობა – სულაც არ ემსახურება სახელმწიფოს ღირსებისა და პატივის შენარჩუნებას.“ სავესებით ცხადი იყო, თუ რისი თქმა სურდა ირანის ვეზირს: ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლა და საქართველოში რუსეთის ჯარის გამოგზავნა ირანის უფლებების შელახვას ნიშნავდა, მთავარ დამნაშავედ კი ირანის ვეზირი ერეკლე II-ს მიიჩნევდა. იგი წერდა: „რა ღირსების მატარებელია მეფე ერეკლეს პირობები (გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები – გ. გ.)? რა პატივისცემას უნდა იმსახურებდეს მეფის ხელმოწერა? მაგალითად, რუსეთში მცხოვრებ ერთ-ერთ ხალხს ირანის მფლობელობაში შესვლა რომ მოეწადინებინა და ირანთან ტრაქტატი დაედო, ექნებოდა კი ძალა ასეთ გარიგებას? ეს ხალხი არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლებოდა ირანის მფლობელობაში მყოფად. მეფე ერეკლეს დროს ირანში არ იყო უმაღლესი ხელისუფალი (შაჰი – გ. გ.), რითაც ისარგებლა მეფემ და სრულიად რუსეთის თვითმპყრობელის მფარველობაში შევიდა. განა ეს შეიძლება იმის საფუძველი იყოს, რომ თბილისი ირანისგან ჩამოცილებულად და რუსეთის მფლობელობაში გადასულად მივიჩნიოთ? – ყოვლად შეუძლებელია!“ წერილის დასასრულს ვეზირი იბრაჰიმი წერდა, რომ საზღვარი ირანსა და რუსეთს შორის უნდა დარჩეს უცვლელი (იგულისხმება გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე არსებული საზღვარი – გ. გ.), დაცული იქნას წინათ დადგენილი უფლებები და უპირატესობანი, რათა თავიდან იქნას აცილებული მტრობა, უმიზნოდ დაღვრილი სისხლი და ხალხთა დარბევა, შენარჩუნებული იქნას მშვიდობა.

12. რუსეთის ხელისუფლების დონისძიებანი ირანის აგრესიისაგან ქართლ-კახეთის სამეფოს დასაცავად. თბილისში ირანის ვეზირ იბრაჰიმის წერილი მაშინ მიიღეს, როდესაც ირანის ლაშქარი (დაახლოებით 7.000-10.000 მეზრძოლი) აბას მირზას სარდლობით მდინარე არაქსის მარცხენა ნაპირზე გადმოვიდა. აბას მირზამ როგორც კი შეიტყო, რომ კავკასიის ხაზიდან საქართველოში რუსეთის ჯარის დამატებითი კონტინგენტი შემოვიდოდა, ლაშქარი ისევ არაქსის მარჯვენა ნაპირზე გადაიყვანა. იმავდროულად აბას მირზამ ფირმანები დაუგზავნა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ხანებს და ქართლ-კახეთის სამეფოზე სალაშქროდ მოუწოდა. აბას მირზას ლაშქრის მოახლოებასთან ერთად თბილისში მღელვარება გრძელდებოდა. შემფოთება დაეტყო გენერალ-მაიორ ივან ლაზარეუსაც. 1800 წლის 4 აგვისტოს იგი კარლ კნორინგს წერდა: „ქართველების იმედად ყოფნა არ შეიძლება, მათ ყოველ 10 კაცზე ორი თოფი აქვთ... ქართველებში შინაარეულობაა. სომხები, რომლებზედაც დიდ იმედებს ამყარებენ, მე ძალიან საეჭვოდ მეჩვენებიან“.

კარლ კნორინგი, იმპერატორის რესკრიპტის თანახმად, კავკასიის ხაზიდან საქართველოში ჯარის გამოგზავნას აჩქარებდა. მოულოდნელად 1800 წლის 3 აგვისტოს პიოტრ კოვალენსკიმ კარლ კნორინგს მისწერა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის დიდი კონტინგენტის გამოგზავნა აუცილებელი არ იყო, რადგან ირანის თავდასხმა არც ისე საშიში იყო, ხოლო ხმები მოსალოდნელი ომის შესახებ – გაზვიადებული. 1800 წლის 6 აგვისტოს კარლ კნორინგმა გიორგი XII-ის წერილი მიიღო. შემფოთებული მეფე კავკასიის ხაზის მთავარსარდალს წერდა: 1. ირანის შაჰი და აბას მირზა ჩემგან მოითხოვენ ტახტის მემკვიდრე დავითის მძევლად გაგზავნას. ეს მოთხოვნა რომ შევასრულო, შემდეგ მოითხოვენ ბატონიშვილების იოანეს, ბაგრატისა და თეიმურაზის მძევლებად მიცემას და ბოლოს, მეც მოითხოვენ მძევლად; 2. შაჰი ფეთჰი ალი და აბას მირზა მოითხოვენ ქართლ-

კახეთის სამეფოს გადაცემას ირანისათვის, რათა ისე ძარცვონ ქვეყანა, როგორც ადრე ძარცვავდნენ.; 3. ფეთჰი ალი და აბას მირზა მოითხოვენ ქართლ-კახეთის სამეფოს გამოსვლას რუსეთის მფარველობიდან და ირანის ქვეშევრდომობაში შესვლას. წერილის ბოლოს მეფე აცხადებდა, რომ იგი ღმერთის წყალობისა და რუსეთის იმპერატორის იმედად იყო და რაც უნდა მომხდარიყო, ირანის მონობას არ აპირებდა.

კოვალენსკის თავმჯდომარეობით შექმნილი საბჭო თბილისის თავდაცვის ორგანიზების მიზნით მუშაობას განაგრძობდა. კოვალენსკიმ ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლურე ხანებს თხოვნით მიმართა, თავი შეეკავებინათ და სამეფოს მტრებისათვის აშკარად თანაგრძნობა არ გამოეცხადებინათ. თბილისში მყოფი ქართული და რუსული ჯარი იოანე ბატონიშვილსა და პიოტრ კოვალენსკის დაექვემდებარა. ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი თბილისის გარნიზონის შემაღლებლობაში ჩაირიცხა. ქართლ-კახეთის სამეფოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულ მოლაშქრეთაგან ყველაზე უკეთ ორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი კახეთის ლაშქარი იყო. აღადგინეს ქალაქის კედელი. იქ, სადაც კედელი შედარებით სუსტი იყო, გაიყვანეს ღრმა თხრილი. გენერალი ლაზარევი სკეპტიკურად იყო განწყობილი და თვლიდა, რომ გატარებული ღონისძიებები თბილისის თავდაცვას ვერ უზრუნველყოფდა. იგი მიიჩნევდა, რომ ერთადერთი გამოსავალი რუსეთიდან ჯარის დამატებითი კონტინგენტის გამოგზავნა იყო. ლაზარევი ასევე შეცდომად თვლიდა ჩრდილო კავკასიიდან დრაგუნთა (ცხენოსანთა) გამოგზავნას, რადგან მთაგრეხილებითა და ხევებით დაფარულ საქართველოს რეგიონებში ცხენოსანი ჯარის ეფექტურად გამოყენება შეუძლებელი იყო. ლაზარევი მიიჩნევდა, რომ დრაგუნების ნაცვლად უნდა გამოეგზავნათ ეგერთა (ქვეითთა) პოლკი და ქვეითთა სამი ბატალიონი არტილერიით. ამის საპირისპიროდ კოვალენსკი თვლიდა, რომ საკმარისი იყო ეგერთა ერთი ბატალიონის გამოგზავნა. ივან ლაზარევი კარლ კნორინგს წერდა: „მე შევიტყვე, რომ მინისტრი (პიოტრ კოვალენსკი – ვ. გ.) საკმარისად მიიჩნევს ეგერთა ერთი პოლკის გამოგზავნას. მინისტრის მიზანია, რომ თქვენ აქ არ ჩამოხვიდეთ, ეს ძალიან სურს მას, მე კი თქვენს ჩამოსვლას ვისურვებდიო. კოვალენსკი ცდილობდა ჩრდილო კავკასიის ხაზიდან თბილისში მომავალი გზა და ხიდები შეეკეთებინა და გზის საქართველოს მონაკვეთზე ჯარისათვის პროვიანტი დაეხვედრებინა. თბილისში შეიქმნა პროვიანტის მთავარი ბაზა, გორსა და სიღნაღში – დამხმარე ბაზები. შექმნის დროისათვის ბაზებში ხორბლის მარაგი არ იყო. გიორგი XII რუსებს დაჰპირდა, რომ ჯერ თბილისის, ხოლო შემდეგ გორისა და სიღნაღის ბაზებში ხორბლის მარაგს შექმნიდა. თბილისის ბაზას შეეძლო დაეცია 300.000 ფუთი ხორბლის ფქვილი და 3.000 ფუთი ქერი ცხენებისათვის. თბილისის ბაზიდან ფქვილი გაიცემოდა როგორც ქართული ჯარისათვის, ისე გიორგი XII-ის მიერ დაქირავებული ლეკებისათვის. გორისა და სიღნაღის ბაზების შევსება ვერ მოხერხდა. 1800 წლის ივლისში ქართლისა და კახეთის რაიონებში ხორბლის დასამზადებლად გაგზავნილმა მოხელეებმა აგვისტოს ბოლომდე საერთოდ ვერ შემოიტანეს ხორბალი თბილისში. დამზადება ვერც შემდეგ თვეებში მოხერხდა. ივან ლაზარევი თავისი პოლკისათვის პური ბაზარზე შეისყიდა და გარკვეული მარაგიც შექმნა, რადგან თბილისის ბაზიდან ფქვილის მიღების იმედი არ ჰქონდა. არავის შეეძლო გაეცა პასუხი კითხვაზე: როგორ უნდა გამოეკვებათ ზამთარში რუსეთის ჯარის დამატებითი კონტინგენტი. შექმნილი ვითარებით შეშფოთებული ლაზარევი კნორინგს წერდა: „საქართველოში ჯარის გამოგზავნის შესახებ ადრევე მაცნობე, თორემ შეიძლება პროვიანტის, ფურაჟის, შემისა და ბინის გარეშე დარჩეთ“. ლაზარევი კნორინგს ასევე ურჩევდა, რომ სურსათის შესასყიდად „მოემარაგებინა სპილენძის ფული, რომელიც საქართველოში ისევე იყო მიმოქცევაში, როგორც ვერცხლისა“.

1800 წლის აგვისტოს დამდეგს თბილისში გავრცელდა ხმები, რომ მალე აბას მირზა ლაშქრობას დაიწყებდა. ამ ხმებს ავრცელებდა აბას მირზას ბანაკში მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი. როგორც 1800 წლის 16 აგვისტოს პიოტრ კოვალენსკი კარლ კნორინგისადმი გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა, აბას მირზას თბილისზე ლაშქრობის შესახებ

გავრცელებული ხმების ნამდვილობა დადასტურდა ალექსანდრე ბატონიშვილის წერილით, რომელიც რუსებს ჩაუვარდათ ხელში. რადგან გავრცელებული ხმები და წერილის შინაარსი ერთმანეთს დაემთხვა, იოანე ბატონიშვილმა და კოვალენსკიმ საქმის გამოძიება დაიწყეს. მათ ყურადღება მიაქციეს ალექსანდრე ბატონიშვილის კიდევ ორ წერილს, რომელთაგან ერთი ეგზავნებოდა სომეხ მელიქ აბოვს, მეორე კი – ქართლელ თავად ორბელიანს. სომეხი მელიქი აბოვი კარგ ურთიერთობაში იყო გიორგი XII-თან და თავისი ხალხით რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას ცდილობდა. იგი მეფე გიორგის გარკვეულ დახმარებას უწევდა ირანის მხრიდან ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრის დაცვაში. პიოტრ კოვალენსკიმ მელიქი აბოვი თბილისში დაიბარა, რომელიც ავადმყოფობის მიუხედავად, მინისტრთან გამოცხადდა და ალექსანდრე ბატონიშვილთან ყოველგვარი კავშირი უარყო. კოვალენსკიმ მელიქი აბოვი იმ ორ სომეხთან დააპირისპირა, რომელთაც ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი უპოვეს. გამოძიებით უტყუარად დადგინდა, რომ მელიქი აბოვი ალექსანდრე ბატონიშვილის თანამზრახველი არ იყო. თავის დროზე მეფე გიორგისა და კოვალენსკის შეთანხმებით მელიქი აბოვი და კიდევ ორი სომეხი სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების მიზნით აბას მირზას ბანაკში გაგზავნეს. მელიქ აბოვის გამყოფთაგან ერთი ირანელებმა იცნეს და ისიც იძულებული გახდა, თავის გადარჩენის მიზნით ასეთი რამ განეცხადებინა: მე მელიქ აბოვის მიერ გამოგზავნილი ვარ ალექსანდრე ბატონიშვილთან, რათა მას გიორგი XII-ის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ მოველაპარაკო. „შუამავალი“ მაშინვე გაათავისუფლეს და ალექსანდრე ბატონიშვილს წარუდგინეს. ამ უკანასკნელს სომხის გულწრფელობაში ეჭვი არ შეპარვია და 17 დღე თავისთან დატოვა, ხოლო დაბრუნებისას ორი წერილი გამოატანა: ერთი – მელიქ აბოვთან, მეორე – თავად ორბელიანთან. ბამბაკის ტერიტორიაზე ამ პროვინციის მმართველმა თავადმა გიორგი ციციშვილმა სომეხი შეიპყრო, წერილები ჩამოართვა და თბილისში გამოაგზავნა. თავადი გიორგი ციციშვილი რატომღაც მტრობდა მელიქ აბოვს, ამიტომაც მეფე გიორგისადმი გამოგზავნილ წერილში შეეცადა, მელიქ აბოვი მეფის ნამდვილ მოლაღატედ წარმოედგინა. სანამ სიმართლე დადგინდებოდა, თბილისის მოსახლეობაში მელიქ აბოვის მიმართ აგრესია სულ უფრო მატულობდა. ვითარების გარკვევის შემდეგ ქალაქი დაწყნარდა. თბილისში სიმშვიდემ საბოლოოდ მას შემდეგ დაისადგურა, რაც მიღებული იქნა დადასტურებული ცნობა, რომ აბას მირზამ უკან დაიხია და არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ლაშქარი (ერთი ცნობით, 7.000-10.000, სხვა ცნობით, 12.000 მებრძოლი) მდინარე არაქსის მარჯვენა ნაპირზე გადაიყვანა. კიდევ უფრო დამამშვიდებელი იყო ცნობა იმის შესახებ, რომ აბას მირზას ჯარი ცუდად იყო შეიარაღებული (ზოგიერთ მოლაშქრეს მხოლოდ ხელკეტები ჰქონდა), ირანელებს ისევ მხოლოდ 4 ზარბაზანი გააჩნდათ, პროვიანტის მარაგი კი მთლიანად ამოწურული იყო.

13. რუსეთის ჯარის დამატებითი კონტინგენტის შემოსვლა თბილისში (1800 წლის 23 სექტემბერი). საგარეო საფრთხის დროებით თავიდან აშორებამ ვერ გააუმჯობესა შინაპოლიტიკური ვითარება – სამეფო სახლში დაპირისპირება გრძელდებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილის აბას მირზას ბანაკში გამოჩენამ იმედები ჩაუსახა დარეჯან დედოფალს, იულონ, ვახტანგ, მირიან ბატონიშვილებს და მათ მომხრე თავადებს. დარეჯან დედოფალი და მისი ვაჟები კარგად სარგებლობდნენ იმით, რომ გიორგი XII-ის ჯანმრთელობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. მეფე იშვიათად ჩნდებოდა უახლოეს გარემოცვასთანაც კი. დარეჯან დედოფალმა და ბატონიშვილებმა ურთიერთობა გაწყვიტეს მეფესთან. თავიანთ საუფლისწულოებში მოკალათებული ბატონიშვილები, პირველ რიგში, იულონი და ვახტანგი, თავს უყრიდნენ გიორგი XII-ის მოწინააღმდეგეებს. ივან ლაზარევი 1800 წლის 25 აგვისტოს კარლ კნორინგს მოახსენებდა იმ დია დაპირისპირების შესახებ, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფო სახლში არსებობდა. გენერალი აღნიშნავდა, რომ დარეჯან დედოფალი და ბატონიშვილები ცდილობდნენ მეფის მოწინააღმდეგეებში ამბოხისა და უწესრიგობისაკენ მისწრაფება გაეღვივებინათ, ჩქარობდნენ როგორმე მოესწროთ თავიანთი „ბოროტი ჩანაფიქრის“ განხორციელება. 1800 წლის 31 აგვისტოს ლაზარევი კნორინგს მოახსენებდა:

დარეჯან დედოფალსა და ბატონიშვილებს იმედი ჩაუსახა ირანის შაჰის ფირმანმა, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილს ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე მისი უფლებების დაცვას ჰპირდებოდა. მოხსენებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ შაჰს ალექსანდრე ბატონიშვილისათვის ხანის ტიტული და ძვირფასი საჩუქრები უბოძებია. ივან ლაზარევს ისიც შეუტყვია, რომ ალექსანდრეს ირანის მბრძანებლისაგან თბილისის აღების გეგმაც მიუღია. გეგმის თანახმად, თბილისისათვის სამი მხრიდან უნდა შეეციათ: 1. სამხრეთიდან (განჯისა და ერევნის სახანოებიდან) ირანისა და ყაზახისა-შამშადილუს თათრების ჯარით – **ალექსანდრე ბატონიშვილს**; 2. სამხრეთ-დასავლეთიდან (ახალციხის საფაშოდან) ოსმალთა ჯარით – **სულეიმან ფაშას**; 3. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (ჭარ-ბელაქნიდან) ლეკთა ჯარით – **ომარ ხანს**. 1800 წლის 8 სექტემბერს ლაზარევი თბილისის აღების გეგმის შესახებ კარლ კნორინგს მოახსენებდა: „დარწმუნებული ვარ, რომ ეს გეგმა მხოლოდ ქაღალდზე იარსებებს. ვიცნობ ადგილობრივი ხალხის სილაჩრეს და დარწმუნებული ვარ, მოწინააღმდეგის მცირე ძალის გამოჩენის შემთხვევაშიც კი ისინი სახლებიდან გაიქცევიან და ხეობებს შეაფარებენ თავს, რითაც გაახარებენ თავხედ და არაფრის მაქნის მოწინააღმდეგეს“.

გიორგი XII-მ 1800 წლის 29 და 31 აგვისტოს წერილები გაუგზავნა კავკასიის ხაზის მთავარსარდალ კარლ კნორინგს და სასწრაფოდ რუსეთის ჯარის დამატებითი კონტინგენტის (6.000 მეგრძოლის) გამოგზავნა სთხოვა. 1800 წლის 9 სექტემბერს კარლ კნორინგი ივან ლაზარევს წერდა: მეფეს ჩააგონე, რომ საქართველოში რუსეთის ჯარი გამოიგზავნება დროებით, მტრის მოსაგერიებლად, შემდეგ კი მეფემ უნდა იზრუნოს საკუთარი ჯარის შექმნისათვის, მეფეს თავისუფლად შეუძლია ჯარის (5.000 მეგრძოლის) შენახვა. ამასთან ერთად, კარლ კნორინგმა გიორგი XII-ს აცნობა: იმპერატორმა მიბრძანა, ჯართან ერთად გამოვემგზავრო საქართველოში მხოლოდ მაშინ, როცა საფრთხე გაჩნდება. მას შემდეგ, რაც აბას მირზამ უკან დაიხია და მდინარე არაქსის მეორე ნაპირზე გადავიდა, საქართველოში ჯარის ადრე დაგეგმილთან შედარებით შემცირებული რაოდენობის (3.000 ქვეითის) გამოგზავნაც იკმარებდაო. ცხადია, გიორგი XII ასეთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა. 1800 წლის 8 სექტემბერს მეფე გიორგი კარლ კნორინგს სწერდა: მტერი მრავალრიცხოვანია და იგი მუდმივად მზად არის ჩვენს გასანადგურებლად. მეფე დაბეჯითებით ითხოვდა ქართლ-კახეთში რუსეთის ჯარის დიდი კონტინგენტის (6.000 მეგრძოლის) გამოგზავნას. ჯარის გამოგზავნა კი მართლაც გადაუდებელი იყო, რადგან დრო იენისიდან სექტემბრის ჩათვლით ყველაზე ხელსაყრელი იყო ჩრდილო კავკასიიდან ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარების გამოსაგზავნად. ისიც ცხადი იყო, რომ რუსეთის ჯარი თბილისში მანამ უნდა ჩამოსულიყო, სანამ ირანის ჯარი თბილისზე დაიძვრებოდა.

1800 წლის აგვისტოში ქართლ-კახეთის სამეფოში გამოსაგზავნი რუსეთის ჯარის ქვეითთა პოლკის მეთაურად დაინიშნა გენერალ-მაიორი **ვასილი გულიაკოვი**. 1800 წლის 14 აგვისტოს კარლ კნორინგი ივან ლაზარევს სწერდა, რომ საქართველოში იგზავნებოდა ვასილი გულიაკოვის ქვეითთა პოლკი არტილერიითურთ და კაზაკთა ასეული. კნორინგი ლაზარევს აცნობებდა, რომ კავკასიის ხაზიდან (მოზდოკიდან) ლარსამდე პოლკი ყველაფრით უზრუნველყოფილი იქნებოდა, ლარსიდან თბილისამდე პოლკის უზრუნველყოფა კი მას ეკისრებოდა. 14 აგვისტოსვე კარლ კნორინგმა გიორგი XII-ს აცნობა, რომ თვითონ ჯარის დანარჩენ ნაწილთან ერთად თბილისისაკენ დაიძვრებოდა, როგორც კი ამის აუცილებლობა გაჩნდებოდა. 1800 წლის 20 აგვისტოს ლაზარევმა კნორინგს აცნობა, რომ **ლარსში, სტეფანწმინდაში, კაიშაურში, ანანურსა და დუშეთში** ჯარს პროვიანტის მარაგს დაახვედრებდა.

1800 წლის 24 აგვისტოს კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა კარლ კნორინგმა იმპერატორ პაველ I-ს მოახსენა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში გასაგზავნად ქვეითთა პოლკი არტილერიითურთ და კაზაკთა ასეული მზად იყო. 25 აგვისტოს რუსეთის ჯარის ქვეითთა ერთი პოლკი და კაზაკთა ასეული გენერალ-მაიორ ვასილი გულიაკოვის

მეთაურობით კავკასიის ხაზიდან (მოზდოკიდან) დაიძრა და 23 სექტემბერს თბილისში შემოვიდა. იმავე დღეს ვასილი გულიაკოვმა პაველ I-ს თბილისში ჯარის შემოსვლის შესახებ უპატაკა.

1800 წლის 23 სექტემბერს, დილით ადრე, გიორგი XII, რომელსაც ცხენით მგზავრობა უკვე ძალიან უჭირდა, ეტლით თბილისიდან რუსეთის ჯარის შესახვედრად გავიდა. მეფეს თან ახლდნენ დედოფალი მარიამი, ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი დავითი, სხვა ბატონიშვილები, თავადები, თბილისის მოსახლეობა. მეფის ამაღლაში იმყოფებოდა სპარსეთის ის ელჩი, რომელმაც გიორგი XII-ს ირანის შაჰის ფირმანი და აბას მირზას წერილები გადასცა. თბილისიდან სამი ვერსის მანძილზე ორი კარავი დაედგათ, ერთი მეფისათვის, მეორე – დედოფლისათვის. გამოჩნდა თუ არა რუსეთის ჯარის პოლკი, მეფე გიორგი ამაღლითურთ მის შესახვედრად გაემართა. დედოფალი მარიამი კარავში დარჩა. მეფის მიახლოებისთანავე გენერალ-მაიორმა ვასილი გულიაკოვმა, რუსეთში მოქმედი სამხედრო წესდების მიხედვით, პატივი მიაგო გვირგვინოსანს – პოლკი შეჩერდა, გენერალი და ჯარი მეფეს მიესალმნენ. ნარიყალას ციხიდან სალუტი მისცეს. თბილისის ყველა ეკლესიის სამრეკლოდან ზარების რეკა ისმოდა.

14. დაპირისპირების გაძლიერება ქართლ-კახეთის სამეფოს სახლში. თბილისში რუსეთის ჯარის დამატებითი კონტინგენტის შემოსვლამ დაამშვიდა მეფე გიორგი, სამაგიეროდ, შეაშფოთა დარეჯან დედოფალი და ბატონიშვილები. 1800 წლის 22 სექტემბერს ბატონიშვილი ვახტანგი კარლ კნორინგს სწერდა: „როცა მან (გიორგი XII-მ – ვ. გ.) რუსეთის მცირერიცხოვანი ჯარის მოლოდინში ამდენი წყენა მოგვაყენა, მისი მფარველობისათვის მრავალრიცხოვანი ჯარის შემოსვლის შემდეგ უფრო მეტად არ შეგვავიწროებს?“ დედოფალი დარეჯანი, ბატონიშვილები იუღონი და ვახტანგი შიშობდნენ, რომ გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის ჯარის დახმარებით ტახტზე დავით ბატონიშვილი ავიდოდა, მით უფრო, რომ პაველ I-ის მიერ დავითი ტახტის მემკვიდრედ იყო დამტკიცებული. ამ შემთხვევაში ყურადღებას არ მიაქცევდნენ ერეკლე II-ის ანდერძს, რომლის მიხედვითაც, გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ბატონიშვილებში უფროსს, ე. ი. იუღონ ბატონიშვილს, უნდა ემეფა. განსაკუთრებით აქტიურობდა ბატონიშვილი ვახტანგი, რომელიც დუშეთში ცხოვრობდა. იგი დუშეთზე გავლისას შეხვდა საქართველოში საგანგებო მისიით მოვლინებულ გრაფ აპოლოს მუსინ-პუშკინს. ვახტანგ ბატონიშვილმა გრაფთან პირისპირ საუბრის სურვილი გამოთქვა. როგორც აპოლოს მუსინ-პუშკინის მოხსენებიდან ირკვევა, საუბრისას გრაფს ვახტანგ ბატონიშვილმა აცნობა, რომ მეფე გიორგი პირადად მას და განსაკუთრებით დედოფალ დარეჯანს ავიწროებდა. გრაფმა ბატონიშვილს განუცხადა: „მე ვერ გავბედავ აზრი გამოვთქვა ისეთ საქმეებზე, რომლებიც ჩემთვის არ მოუნდვიათ. გირჩევთ, ყოველი ჩემთან ნათქვამი მოახსენოთ იმპერატორს.“ ვახტანგ ბატონიშვილმა აპოლოს მუსინ-პუშკინს იმპერატორისათვის მისი წერილის გადაცემა სთხოვა, რაზეც გრაფისაგან უარი მიიღო. ვახტანგ ბატონიშვილმა გადაწყვიტა, პირადად იმპერატორისათვის წერილი არ გაეგზავნა, დედასთან და ძმებთან მოელაპარაკა და იმპერატორისათვის ერთობლივი წერილი მიერთმიათ. წერილი ბატონიშვილებმა 1800 წლის 7 ოქტომბერს შეადგინეს. ბატონიშვილები იმპერატორს სწერდნენ, რომ მთელი ხალხის სურვილი იყო, მეფე ერეკლე II-ის ანდერძის თანახმად, ტახტი გადასულიყო არა მამიდან შვილზე, არამედ უფროს ძმაზე. კარლ კნორინგმა სამეფო სახლში უთანხმოების შესახებ პოტრ კოვალენსკისა და ივან ლაზარევის მოხსენებებიდან უკვე დიდი ხნის წინ იცოდა. შექმნილ ვითარებაში დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლება კავკასიის ხაზის მთავარსარდალს არ ჰქონდა, ამიტომ იყო, რომ 1800 წლის 7 ოქტომბერს კარლ კნორინგი პაველ I-ს სთხოვდა რჩევას, თუ რა პოზიცია უნდა დაეკავებინა თბილისში მყოფ რუსეთის ჯარს გიორგი XII-ის გარდაცვალების შემთხვევაში. 1800 წლის 29 ოქტომბერს კარლ კნორინგმა პეტერბურგიდან რესკრიპტი მიიღო, რომელიც მას ავალებდა ივან ლაზარევისათვის გადაეცა შემდეგი: მეფის გარდაცვალების

შემდეგ ბატონიშვილებს შორის ღია ბრძოლის დაწყების შემთხვევაში რუსეთის ჯარს თბილისიდან კავკასიის ხაზზე გაეყვანა.

15. პიოტრ კოვალენსკის გაწვევა თბილისიდან. კარლ კნორინგს და შესაბამისად, რუსეთის საიმპერატორო კარს, უტყუარი ცნობები ჰქონდათ იმის შესახებ, რომ სამეფო სახელში უთანხმოების პარალელურად სულ უფრო ძლიერდებოდა უთანხმოება გიორგი XII-სა და ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს (მინისტრს) პიოტრ კოვალენსკის შორის. ჯერ კიდევ 1800 წლის 11 ივლისს იმპერატორმა პაველ I-მა საგარეო საქმეთა კოლეგიას მიმართა: „ვერ ვხედავ ქართლ-კახეთის სამეფოში ჩვენი მინისტრის ყოფნის აუცილებლობას, გიბრძანებთ, სახელმწიფო მრჩეველი კოვალენსკი მოხელეებითურთ გამოიწვიოთ, ხოლო ჩვენი ქვეშევრდომების საქმეები ჩააბაროთ ჩვენს გენერალურ კონსულს სპარსეთში, სასამართლო მრჩეველ სკიბინევსკის. ქართლ-კახეთის მეფე ყველა საქმის შესახებ, რომლებიც მას ჩვენს კართან (საიმპერატორო კართან – ვ. გ.) ექნება, დაუკავშირდეს კავკასიის ხაზზე ჩვენი ჯარების მთავარ მეთაურს (კავკასიის ხაზის მთავარსარდალს – ვ. გ.) ან იმ ჯარის მეთაურს (გენერალ-მაიორ ივან ლაზარევს – ვ. გ.), რომელიც მისი უმაღლესობის სამფლობელოში იმყოფება“. კოვალენსკიმ მიმდინარე საქმეები ივან ლაზარევს, ხოლო იმპერატორისაგან მიღებული ბრძანებები, რესკრიპტები, სხვადასხვა ინსტანციიდან მიღებული ინსტრუქციები და მის განკარგულებაში არსებული ფული კარლ კნორინგს ჩააბარა. პიოტრ კოვალენსკიმ თბილისი 1800 წლის 3 აგვისტოს დატოვა. თბილისიდან წასვლის შემდეგ, 1800 წლის 21 აგვისტოს, კოვალენსკიმ, რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის აზიის დეპარტამენტის გავლენიან მოხელეს, საიდუმლო მრჩეველსა და იმპერატორ პაველ I-ის ნდობით აღჭურვილ **სერგეი ლაშქარევს** წერილი გაუგზავნა და ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის დამატებითი კონტინგენტის გაგზავნის აუცილებლობა დაუსაბუთა.

1800 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ავარიის ხანი **ომარი**. ომარ ხანი უდაოდ ნიჭიერი, გაბედული, მამაცი ადამიანი იყო, შეეძლო ყველა ვითარებაში სარგებელი ენახა. ამჯერადაც ომარ ხანი ორმაგ თამაშს ეწეოდა: ერთი მხრივ, კავკასიის ხაზის მთავარსარდალ კარლ კნორინგს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლაში თანადგომას სთხოვდა და, მეორეს მხრივ, იმავდროულად რუსეთის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის სამეფოს დასარბევად ემზადებოდა. 1800 წლის 3 აგვისტოს კარლ კნორინგმა პაველ I-ს პეტერბურგში ომარ ხანის ელჩის გაგზავნის ნებართვა სთხოვა. იმავე წერილში კნორინგი იმპერატორს აცნობებდა, რომ გიორგი XII ომარ ხანს წლიურად 5.000 მანეთს უხდიდა, რათა სამეფოსათვის ლეკთა თავდასხმა აეცილებინა. პეტერბურგში ასე განსაჯეს: ომარ ხანის მფარველობაში მიღებით ქართლ-კახეთის სამეფო ლეკთა გამანადგურებელ ლაშქრობებს აიცილებდა თავიდან. 1800 წლის 26 აგვისტოს პაველ I-მა ხელი მოაწერა რესკრიპტს კნორინგისადმი, რომელიც კავკასიის ხაზის მთავარსარდალს ნებას რთავდა, ომარ ხანის ელჩი პეტერბურგში გაეგზავნა. ეს რესკრიპტი კავკასიის ხაზზე მაშინ მივიდა, როცა ომარ ხანი უკვე ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებში იყო შემოჭრილი.

16. ომარ ხანის შემოსევა. კაკაბეთის ბრძოლა (1800 წლის 7 ნოემბერი). 1800 წლის 24 აგვისტოს ივან ლაზარევი კარლ კნორინგს მოახსენებდა: ომარ ხანი, რომელსაც შეუერთდნენ ყაზიყუმუხის ხანი და ჩრდილო კავკასიის სხვა მუსლიმი მფლობელები, გაერთიანებული ლაშქრით სოფელ **ბელაქანში** შევიდა. ლაზარევმა, ცხადია, საქმის კურსში ჩააყენა გიორგი XII-ც. მეფემ რუს გენერალს სთხოვა ორივე ბატალიონით ბელაქნისაკენ დაძრულიყო. ლაზარევი ბელაქანში ომარ ხანის ლაშქრის შესვლას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. იგი მეფეს არწმუნებდა: ლაშქრობის დაწყების დროს ომარ ხანს არ ეცოდინებოდა აბას მირზას უკანდახვევისა და საქართველოში რუსეთის ჯარის ახალი კონტინგენტის გამოგზავნის ამბავი და როცა ამას შეიტყობს, ლაშქრობის დაწყებას ვერ გაბედავსო. როგორც ჩანს, ლაზარევი მთლად დარწმუნებული არ იყო, რომ მოვლენები ზუსტად ასე

განვითარდებოდა. ამიტომ იყო, რომ გენერალი მეფეს ურჩევდა: თბილისში ადღგენით სამუშაოებზე მყოფი ქიზიყის სოფლების მოსახლეობა შინ გაეშვა, რათა ომარ ხანის შემოსევის შემთხვევაში სამეფოს საზღვრები დაეცვათ. ივან ლაზარევი მეფეს ასევე სთხოვა კახეთის ლაშქარი (2.000 მეზობელი) ალაზნის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ განელაგებინა. ქართული ჯარის დასახმარებლად დაიძვრებოდა ორი რუსული ბატალიონი არტილერიითურთ. გენერალი მეფეს დაბეჯითებით სთხოვდა, რუსეთის ჯარისათვის პროვიანტი მოემზადებინა.

1800 წლის 8 სექტემბერს სიღნაღში მყოფმა ბატონიშვილმა **ბაგრატმა** მამას ომარ ხანის ლაშქრის მოახლოება შეატყობინა. ბატონიშვილი იმასაც სწერდა, რომ გადაწყდა, ჯარი არ დაენაწილებინათ და სიღნაღის ციხეში გამაგრებულიყვნენ. ქიზიყის მოსახლეობა მეფეს სთხოვდა ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილის მათთან გაგზავნას. ბაგრატ ბატონიშვილი ტყვეისა და თოფის წამლის ნაკლებობას უჩიოდა და მამას დახმარებას სთხოვდა. 1800 წლის 27 სექტემბერს ორი რუსული ბატალიონით ივან ლაზარევი თბილისი დატოვა და ქიზიყისაკენ დაიძრა. გენერალმა თბილისში წესრიგის დასაცავად პოლკოვნიკ **პაველ კარიაგინის** რაზმი დატოვა და თანაც მეფეს სთხოვა: პოლკოვნიკ კარიაგინისათვის დაედანტურებინა, რომ მას უფლება ჰქონდა მთელი სიმკაცრით აღეკვეთა ყოველგვარი უწესრიგობა. ლაზარევი წინააღმდეგი იყო ომარ ხანთან საბრძოლველად ყაზახის მუსლიმი მოსახლეობის ლაშქარი გამოეყვანათ. გენერალი წერდა, რომ თუ ეს აუცილებელი გახდებოდა, მაშინ ყაზახის მოსახლეობისათვის მძევლები უნდა გამოერთმიათ და თბილისში ჩამოეყვანათ. რუსი გენერლის აზრით, აჯობებდა ყაზახში ლაშქრის შესაკრებად თავადი **სოლომონ ავალიშვილი** გაეგზავნათ. ივან ლაზარევს იმედი ჰქონდა, რომ დუშეთში მყოფი ვახტანგ ბატონიშვილიც დაახმარდათ თავის ლაშქარს.

1800 წლის 6 ოქტომბერს გენერალ-მაიორი ივან ლაზარევი კარლ კნორინგს მოახსენებდა, რომ ომარ ხანი სოფელ ბელაქნიდან განჯისაკენ აპირებდა გალაშქრებას, რათა განჯის ხანი ჯავადი ტახტიდან გადაეყენებინა. შემდგომ ივან ლაზარევი მიიღო ცნობა, რომ ომარ ხანი ალაზნის მარცხენა სანაპიროზე დაბანაკდა. ომარ ხანის ბანაკში აღექსანდრე ბატონიშვილის გამოჩენას ელოდნენ. ამ დროისთვის აღექსანდრე ბატონიშვილს დაკარგული ჰქონდა იმედი, რომ აბას მირზას თბილისზე სალაშქროდ დაიყოლიებდა. ამიტომ იყო, რომ მან აბას მირზას ბანაკი დატოვა და ყარაბაღის ხანთან ქალაქ შუშაში გადავიდა. შუშაში აღექსანდრე ბატონიშვილთან გამოცხადდა ომარ ხანის სარდალი და ბატონიშვილი ომარ ხანის ბანაკში მიიწვია. გარკვეული ფიქრის შემდეგ აღექსანდრე ბატონიშვილი ამ მიწვევას დაეთანხმა. თავის თანამოაზრეებთან ერთად მან გადალახა მდინარეები: მტკვარი, იორი, ალაზანი და ომარ ხანის ბანაკში გამოცხადდა. ივან ლაზარევს ცნობა ჰქონდა, რომ 1800 წლის 25 ოქტომბრისათვის ბატონიშვილი უკვე ომარ ხანთან იმყოფებოდა. აღექსანდრე ბატონიშვილი კარგად გრძნობდა, რომ ომარ ხანთან ყოფნა სახელს უტეხდა მას. 1800 წლის 23 ოქტომბერს აღექსანდრე ბატონიშვილმა ერთ-ერთ ქართველ მიტროპოლიტს წერილი მისწერა. იგი მიტროპოლიტს ფიცით არწმუნებდა, რომ ომარ ხანთან სამშობლოს დარბევის მიზნით კი არ მისულა, არამედ თავისი კანონიერი უფლებების დასაცავად.

ქართულმა ჯარმა საბრძოლველად მომზადების ბრძანება მიიღო. ქართველთა დასახმარებლად ალაზნის ნაპირებისაკენ მიემართებოდა რუსეთის ჯარის ეგერთა (ქვეითთა) ერთი პოლკი და 60 კაზაკი გენერალ-მაიორ ივან ლაზარევის მეთაურობით. ჯერ კიდევ 1800 წლის 12 ოქტომბერს სიღნაღში მყოფი ბაგრატ ბატონიშვილი ივან ლაზარევს მოახსენებდა, რომ ომარ ხანი თავისი ლაშქრით ალაზნის მარცხენა სანაპიროზე სოფელ **ურდოს** ფონთან იდგა. ბაგრატ ბატონიშვილი გენერალს სთხოვდა, რაც შეიძლება სწრაფად მისულიყო სიღნაღის გარნიზონის დასახმარებლად, თანაც პროვიანტით რუსული პოლკის უზრუნველყოფას ჰპირდებოდა. 1800 წლის ოქტომბრის შუა ხანებში ომარ ხანმა ბატონიშვილ დავითს წერილი გამოუგზავნა, რომელშიც ქართლ-კახეთის სამეფოზე მისი ლაშქრობის მიზეზს უხსნიდა. ავარიის ხანი წერდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დალაშქვრა მხოლოდ

იმიტომ გადაეწყვიტა, რომ მას მეფე გიორგიმ ხარკის გადახდის პირობა სამჯერ მისცა, მაგრამ სამივეჯერ მოუტყუებია. ომარ ხანი პირობას დებდა, რომ თუ მეფე ხარკს გადაიხდიდა, ლაშქრობას შეწყვეტდა. ომარ ხანი მეფე გიორგის ასევე აცნობებდა, რომ ორი დღის შემდეგ მის ბანაკში ალექსანდრე ბატონიშვილი მივიდოდა, რომელსაც უკვე მიღებული ჰქონდა ირანის შაჰის ფირმანი. როგორც ავარიის ხანი სწერდა, ირანის შაჰი ალექსანდრე ბატონიშვილს ჯარითა და პროვიანტით დახმარებას აღუთქვამდა. ცხადი იყო, რომ ომარ ხანი გიორგი XII-ის დაშინებას ცდილობდა. ირანის შაჰი ალექსანდრე ბატონიშვილს ჯარითა და პროვიანტით დახმარებას არ დაპირებია. შაჰს რომ დახმარება შესძლებოდა, პირველ რიგში, აბას მირზას ლაშქარს გააძლიერებდა. დავით ბატონიშვილმა ზუსტად ამოიცნო წერილის მიზანი. არანაირი სერიოზული სამხედრო ძალა ალექსანდრე ბატონიშვილს არ ჰყავდა და ამ მხრივ იგი ომარ ხანს დახმარებას ვერ აღმოუჩენდა. ომარ ხანს ალექსანდრე ბატონიშვილის მასთან ყოფნა იმიტომ სურდა, რომ ქიზიყსა და საერთოდ მთელ კახეთში მღელვარება გამოეწვია. ომარ ხანი იმასაც ვარაუდობდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის გამოჩენა იმედს ჩაუსახავდა დარეჯან დედოფალს, იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებს და მათ მომხრე თავადებს. ამიტომ იყო, რომ დავით ბატონიშვილმა 1800 წლის 13 ოქტომბერს შექმნილი ვითარების შესახებ კავკასიის ხაზის მთავარსარდალს კარლ კნორინგს მოახსენა.

ომარ ხანის ლაშქარი დღითიდღე იზრდებოდა. ლაშქრის დიდ ნაწილს ცხენოსნები შეადგენდნენ, ომარ ხანს კი ცხენების გამოსაკვები ფურაჟი არ გააჩნდა. ხანი იძულებული გახდა ცხენოსანი ჯარი დაენაწილებინა და სხვადასხვა სოფელში გაეგზავნა. ომარ ხანის ცხენოსანი ჯარის დაქსაქსვის გამო შეუძლებელი გახდა იმის ამოცნობა, თუ ბოლო მომენტში სად მოიყრიდა ჯარი თავს და რა მიმართულებით განავითარებდა შეტევას. მალე მიიღეს ცნობა, რომ ომარ ხანის ლაშქარი ალაზნის მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდა. 1800 წლის 25 ოქტომბერს იოანე ბატონიშვილი ქიზიყიდან ივან ლაზარევს წერდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად მისულიყო სიღნაღში. ივან ლაზარევმა 1800 წლის 26 ოქტომბერს წერილებით მიმართა დუშეთში მყოფ ვახტანგ ბატონიშვილს და სომეხ მედიქ აბოვს. რუსმა გენერალმა ორივეს ომარ ხანის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ მოუწოდა, თვითონ კი რუსეთის ჯარის ეგერთა ერთი პოლკით და 60 კაზაკით 1800 წლის 29 ოქტომბერს სიღნაღისაკენ დაიძრა. ეგერთა პოლკის გარდა ივან ლაზარევმა თან წაიყვანა გენერალ-მაიორ ვასილი გულიაკოვის პოლკის ნაწილი და გულიაკოვის განკარგულებაში მყოფი ყველა კაზაკი, მან თბილისში მხოლოდ 10 კაზაკი დატოვა. სულ ლაზარევის განკარგულებაში იყო 45 ოფიცერი და 1.177 რიგითი (მათ შორის: გენერალ-მაიორ ივან ლაზარევის პოლკიდან: 21 შტაბის ოფიცერი და უფროსი ოფიცერი, 38 უმცროსი ოფიცერი, 320 რიგითი, 56 არასამწყობრო სამხედრო მოსამსახურე, 62 კაზაკი, 62 არტილერისტი; გენერალ-მაიორ ვასილი გულიაკოვის პოლკიდან: 22 უფროსი ოფიცერი, 35 უმცროსი ოფიცერი, 515 რიგითი, 82 არასამწყობრო სამხედრო მოსამსახურე).

1800 წლის 1 ნოემბერს ივან ლაზარევმა წერილი გაუგზავნა ომარ ხანს და სთხოვა აეხსნა ქართლ-კახეთის სამეფოზე ლაშქრობის მიზეზი. ლაზარევი ომარ ხანს ასეთი კითხვა დაუსვა: როგორ უნდა შეეთანხმებინა ერთმანეთთან ხანს რუსეთის იმპერატორის მფარველობაში შესვლის თხოვნა და რუსეთის იმპერატორის მფარველობაში მყოფ ქართლ-კახეთის სამეფოზე ლაშქრობა? გენერალი ომარ ხანს იმასაც სწერდა, რომ რუსეთის იმპერატორის მფარველობაში მისი მიღების საკითხი პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილი იყო. წერილის ბოლოს ივან ლაზარევი ომარ ხანს ეკითხებოდა: რას მოიმოქმედებდა, ლაშქრობას გააგრძელებდა, თუ სისხლის ღვრის აცილების მიზნით უკან გაბრუნდებოდა? ივან ლაზარევს ომარ ხანმა 1 ნოემბერსვე უპასუხა. ხანი წერდა, რომ პირადად მას რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედების არავითარი სურვილი არ ჰქონია, ლაშქრობა კი იმიტომ დაიწყო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს თავისი კანონიერი უფლებების დაცვაში დახმარებოდა. როგორც ვხედავთ, ომარ ხანმა ყველაფერი ალექსანდრე ბატონიშვილს გადააბრალა. იმავე დღეს, 1800 წლის 1 ნოემბერს ივან ლაზარევმა ალექსანდრე

ბატონიშვილსაც გაუგზავნა წერილი. გენერალი ალექსანდრე ბატონიშვილს პირობას აძლევდა თბილისში დაბრუნების შემთხვევაში მეფესთან და ძმებთან შეარიგებდა, საუფლისწულოს დაბრუნებაშიც დაეხმარებოდა. ლაზარევი ალექსანდრე ბატონიშვილს მშვიდად და უსაფრთხოდ ცხოვრების გარანტიასაც აძლევდა და რაც მთავარია, იმპერატორ პაველ I-გან შეწყალების მიღებას პირდებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილმა ივან ლაზარევს 1800 წლის 6 ნოემბერს უპასუხა. ბატონიშვილი გენერალს სწერდა: მეფე გიორგი უსამართლოდ იქცეოდა, მას და მის ძმებს საუფლისწულოები ჩამოართვა და თავის შვილებს დაუნაწილა. ალექსანდრე ბატონიშვილი შეუვალი იყო: „სანამ ცოცხალი ვარ ჩემს მამულსა და გლეხებზე უარს არ ვიტყვი, მისთვის ვიბრძოლებ, სანამ ცოცხალი ვარ...“. ალექსანდრე ბატონიშვილი გენერალს სწერდა: „იმედი მაქვს მალე შევხვდები ჩემ უფროს ძმებს და თქვენ შეკითხვებზე სრულ პასუხს მათთან შეხვედრის შემდეგ მიიღებთ. ჩვენ არასდროს გაერეულვართ ისეთ საქმეებში, რომელიც მიუღებელია რუსეთის იმპერატორისათვის და ამჯერადაც არ გვსურს ვიბრძოლოთ რუსეთის წარს. უფლის შეწევნით ჩვენ ვეცდებით უკეთესად და უფრო ერთგულად ვემსახუროთ იმპერატორს, ხოლო მისი წარის წინააღმდეგ არასდროს ვიბრძოლებთ, თუ თქვენ თვითონ არ დაიწყებთ ჩვენს დევნას“. მეფე გიორგისა და ივან ლაზარევის თვალის ასახვევად დარეჯან დედოფალიც შერიგებას ურჩევდა ალექსანდრე ბატონიშვილს, თუმცა ამავე დროს შვილს მოუწოდებდა ბოლომდე შეურიგებლად ებრძოლა თავისი უფლებების დასაცავად.

აბას მირზას ბანაკიდან ომარ ხანთან გამგზავრების წინ ალექსანდრე ბატონიშვილმა წერილი გაუგზავნა ირანის შაჰს. ბატონიშვილი ირანის მბრძანებელს ჯარით დახმარებას სთხოვდა და პირობას დებდა, რომ თბილისის დაკავების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ირანის ქვეშევრდომი გახდებოდა. შაჰმა ფეთჰი ალიმ ალექსანდრე ბატონიშვილს ქართლ-კახეთის სამეფოს ირანის ქვეშევრდომად გადაქცევის გეგმა მოუწონა, მაგრამ ხორასანში დაწყებული არეულობის მიზეზით ჯარით დახმარებაზე უარი უთხრა.

1800 წლის 1 ნოემბერს ივან ლაზარევის მეთაურობის რუსეთის ჯარი სიღნაღში შევიდა. ამ დროისათვის სიღნაღში უკვე იმყოფებოდა ქართული ჯარი (3.000 მებრძოლი) ბატონიშვილ ბაგრატიის სარდლობით. ქართული ჯარი ცუდად იყო შეიარაღებული. 2 ნოემბერს სიღნაღიდან ომარ ხანის ბანაკში დანთებული უამრავი კოცონი შენიშნეს. მტერი სიღნაღიდან 16 ვერსის მოშორებით იდგა, ამიტომ იმავე დღეს ივან ლაზარევმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა სიღნაღის გასამაგრებლად.

1800 წლის 1 ნოემბერს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ივან ლაზარევმა წერილი გაუგზავნა ომარ ხანს, რომელიც იმავე დღეს მიიღო ხანმა. იმავდროულად დედოფალ დარეჯანისაგან წერილი მიიღო ომარ ხანის ბანაკში მყოფმა ალექსანდრე ბატონიშვილმა. წერილების გაცნობის შემდეგ ომარ ხანმა და ალექსანდრე ბატონიშვილმა სამხედრო საბჭო მოიწვიეს. ამ დროისათვის ომარ ხანს 15.000 მებრძოლი ჰყავდა. ალექსანდრე ბატონიშვილი ითხოვდა ქიზიყში შეჭრას, ხოლო ლეკები ომარ ხანს საგარეჯოზე შეტევას ურჩევდნენ. საბოლოოდ ომარ ხანმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: 1. ლაშქრის ერთი ნაწილი (2.000 მებრძოლი) საგარეჯოს შეუტევა; 2. მეორე ნაწილი აღმოსავლეთიდან თბილისზე დაიძვრებოდა; 3. მესამე ნაწილი მტკვარს გადალახავდა და შეუერთდებოდა ვახტანგ, იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილების ლაშქარს. გაერთიანების შემდეგ ქართველთა და ლეკთა ლაშქარს დასავლეთის მხრიდან უნდა შეეცია თბილისისათვის. როგორც ვხედავთ, ომარ ხანს დიდი გეგმები ჰქონდა დასახული, მაგრამ ამ გეგმების შესასრულებლად მისი ლაშქარი არ გამოდგებოდა. ლეკები პროვიანტის ნაკლებობას განიცდიდნენ, ხოლო ფურაჟი ცხენებისათვის საერთოდ არ გააჩნდათ. პროვიანტის ის მცირე მარაგიც ლეკებმა ჭარელებიდან და ბელაქნელებიდან შეიძინეს, ხოლო ფურაჟის არარსებობის გამო ცხენებს ბალახით კვებავდნენ. პროვიანტის სიმცირე და ფურაჟის არქონა ომარ ხანის ლაშქარს სულ უფრო მძიმე მდგომარეობაში აგდებდა. მტრის ლაშქარში შექმნილი მდგომარეობის შესახებ კარგად იყო ინფორმირებული ლაზარევი.

ივან ლაზარევი ზუსტად შეაფასა ომარ ხანის შესაძლებლობანი და გადაწყვიტა მტერი ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებში არ შემოეშვა. 1800 წლის 4 ოქტომბერს ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი სიღნაღიდან ომარ ხანის შესახვედრად დაიძრა. სიღნაღიდან 12 ვერსზე ქართველთა და რუსთა ჯარი შეჩერდა და ომარ ხანთან გაგზავნილი წერილის პასუხს დაელოდა. უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ გადაწყდა აქტიური საბრძოლო მოქმედებების დაწყება. იოანე ბატონიშვილმა, გენერალ-მაიორმა ივან ლაზარევი და გენერალ-მაიორმა ვასილი გულიაკოვი საბრძოლო მოქმედების გეგმა შეიმუშავეს. ამ გეგმის თანახმად, 1800 წლის 5 ნოემბერს ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი ომარ ხანის ბანაკისაკენ დაიძრა და 6 ვერსზე მიუახლოვდა მტერს. 6 ნოემბერს, გამთენიისას, დაზვერვაზე გაგზავნილმა რაზმმა ცნობა მოიტანა, რომ ომარ ხანის ლაშქარი მთის ხეობებით მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირზე გაშლილ ველზე გავიდა. ქართულმა და რუსულმა ჯარმა ომარ ხანის ლაშქრის პარალელურად დაიწყო მოძრაობა, რათა ქვეყნის სიღრმეში მტრის გადაადგილება აღეკვეთა. 7 ნოემბერს რუსეთის ჯარი ივან ლაზარევისა და ვასილი გულიაკოვის მეთაურობით ორ ვერსზე მიუახლოვდა ივრის მარჯვენა ნაპირზე, ნიახურას ველზე, სოფელ კაკაბეთის ახლოს დაბანაკებულ ომარ ხანის ლაშქარს.

1800 წლის 7 ნოემბერს მდინარე ივრის ნაპირას, სოფელ კაკაბეთთან ახლოს, ნიახურას ველზე ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი ომარ ხანის ლაშქარს შეებრძოლა. ომარ ხანმა ბრძანება გასცა სასწრაფოდ გაემარტებინათ ტყის სანაპირო ზოლი, ხოლო ცხენოსანთა რაზმები მახლობელ სოფლებში გაეგზავნათ პროვიანტისა და ფურაჟის ხელში ჩასაგდებად. ქართველთა და რუსთა ჯარი განლაგებული იყო ველზე, რომელიც სამხრეთით მდინარე ივრამდე იყო გადაჭიმული, ველი დასავლეთიდან დიდი თხრილით, ჩრდილოეთიდან პატარა გორაკებით, ხოლო აღმოსავლეთიდან ხევებში ჩამომდინარე პატარა მდინარეებით იყო დაცული. ველზე გადიოდა გზა, რომელიც ივრისაკენ მიემართებოდა. ქართველთა და რუსთა ჯარმა ველზე მიმავალი გზის ნაწილი გაიარა, შემდეგ მარცხნივ შეუხვია და შეჩერდა. იქ, სადაც ველი მთავრდებოდა, მთაზე კოშკი შენიშნეს. კოშკიდან ლეკებმა ცეცხლი გახსნეს, რითაც ომარ ხანის ბანაკს ქართველთა და რუსთა ჯარის მოახლოება ამცნეს. ომარ ხანის ლაშქარმა ივრის მარცხენა ნაპირზე იწყო გადმოსვლა. ქართველთა და რუსთა ლაშქარი საბრძოლოდ მოემზადა. ცენტრში იდგა ქართველთა ჯარი იოანე და ბაგრატ ბატონიშვილების, მარცხენა ფლანგზე - რუსები გენერალ-მაიორ ვასილი გულიაკოვის, მარჯვენა ფლანგზე - რუსები გენერალ-მაიორ ივან ლაზარევის სარდლობით. ივრის მარცხენა ნაპირზე გადმოსვლის შემდეგ ომარ ხანმა ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარის მარჯვენა ფლანგს შეუტია და ცხენოსანი ჯარის დახმარებით ალყაში მოაქცია ლაზარევი. ლაზარევი სასწრაფოდ მოაწყო კარე და თოფებიდან და ზარბაზნებიდან გახსნილი ცეცხლით დიდი ზიანი მიაყენა მოწინააღმდეგეს. მარჯვენა ფლანგიდან უკუქცეულმა ლეკებმა ცენტრში განლაგებულ ქართველთა ჯარს შეუტოეს. იოანე და ბაგრატ ბატონიშვილებმა თოფებიდან და ზარბაზნებიდან ორგანიზებულად გახსნილი ცეცხლით მოწინააღმდეგე შეაჩერეს. ლეკთა ცხენოსანმა რაზმმა ქართული ჯარის ზურგში გაჭრა მოახერხა. ზურგში განლაგებული ქართველთა ჯარი ცუდად იყო შეიარაღებული. დაიწყო აშკარად უთანასწორო ბრძოლა. ვასილი გულიაკოვი სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება და ქართველთა ჯარს რუსი ქვეითები მოაშველა. ლეკებმა უკან დაიხიეს. ლეკები უკან ვერ დაიხევდნენ და ბრძოლის ველიდან ვერ გავიდოდნენ, თუ მარჯვენა ფლანგზე განლაგებულ რუსების რიგებს არ გაარღვევდნენ. უკვე ისედაც არაორგანიზებულად მოქმედი ლეკები მარჯვენა ფლანგის გარღვევის მცდელობისას ლაზარევის მეთაურობით კარგად ორგანიზებულ თავდაცვას წააწყდნენ. რუსებმა თოფებიდან და ზარბაზნებიდან უკანდახეულ ლეკებს ცეცხლი გაუხსნეს და დიდი ზიანი მიაყენეს. ბრძოლა ნიახურას ველზე სამი საათი გაგრძელდა და ომარ ხანის ლაშქრის დამარცხებით დასრულდა. 1800 წლის 12 ნოემბერს ქართველთა და რუსთა ჯარი თბილისში დაბრუნდა.

ომარ ხანმა ბრძოლაში დაჭრილთა და მოკლულთა სახით 2.000 მეგრძოლი დაკარგა, მიიმედ დაიჭრა თვით ომარ ხანიც. რუსების დანაკარგი უმნიშვნელო იყო: დაიღუპა 1 და დაიჭრა 1 ჯარისკაცი, კონტუზია მიიღო 1 ოფიცერი. რუსულ წყაროებში ქართველთა დანაკლისის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი **იოანე ბატონიშვილმა**, **ბაგრატ ბატონიშვილმა**, **გენერალ-მაიორმა ვასილი გულიაკოვმა** და პოდპორუჩიკმა **პიოტრ კოტლიარევსკიმ**. უნარიანი სარდლობისა და გამოჩენილი მამაცობისათვის იმპერატორმა პაველ I-მა ბაგრატ და იოანე ბატონიშვილები, გენერლები ივან ლაზარევი და ვასილი გულიაკოვი წმიდა იოანე იერუსალიმელის ორდენებით დააჯილდოვა. წმიდა იოანე იერუსალიმელის ორდენი მიიღო კიდევ რამდენიმე რუსმა ოფიცერმა, ხოლო ბრძოლაში მონაწილე ყველა ჯარისკაცმა მიიღო ფულადი ჯილდო – 1 ვერცხლის მანეთი.

დამარცხებული ომარ ხანი ჭარში დაბრუნდა. ჭარში ჩასვლისას მას სულ 10 მეგრძოლი ახლდა. დანარჩენი ლაშქარი დაიფანტა, მეგრძოლთა დიდი ნაწილი შინ დაბრუნდა, ხოლო 2.000 ლეკი ქალაქ შუშაში ყარაბაღის ხან იბრაჰიმთან დარჩა. იბრაჰიმ ხანთან დარჩა ალექსანდრე ბატონიშვილიც. 1800 წლის დეკემბერში ომარ ხანი ბელაქანში გადავიდა, თუმცა მას ჯარი თან არ ახლდა. ივან ლაზარევმა იცოდა, რომ ომარ ხანი ჭარში ლეკებისაგან ახალი ლაშქრის შეკრებას ეცდებოდა და წინასწარ მიიღო თავდაცვისათვის აუცილებელი ზომები. სიღნაღის ციხეში განლაგდა რუსეთის ჯარის ეგერთა სამი ასეული ზარბაზნით, სიღნაღიდან თბილისისაკენ მომავალი გზის მეთხუთმეტე ვერსზე – მუშკეტერთა ერთი ასეული ზარბაზნით. ომარ ხანმა ჭარში ლაშქარი ვეღარ შეკრიბა და ბელაქანში გამოხამთრება გადაწყვიტა. 1801 წლის 1 მარტს ომარი გარდაიცვალა.

17. გიორგი XII-ის ჯანმრთელობის გაუარესება და შინააშლილობის გაძლიერება. 1800 წლის ნოემბერში გიორგი XII-ის ჯანმრთელობა უკიდურესად გაუარესდა. გრაფი აპოლოს მუსინ-პუშკინი, რომელმაც გვირგვინოსანი 1800 წლის ნოემბერში ინახულა, ეჭვობდა, რომ მეფე 1801 წლის გაზაფხულამდე იცოცხლებდა. 1800 წლის 9 ნოემბერს კარლ კნორინგი სერგეი ლაშქარევეს მოახსენებდა, რომ, მკურნალი ექიმების აზრით, მეფის გამოჯანმრთელების არანაირი იმედი აღარ არსებობდა. ამ დროისათვის რუსეთის საიმპერატორო კარმა დანამდვილებით არ იცოდა, რა პირობებით ვარაუდობდა ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას და რა შინაარსის თხოვნით გააგზავნიდა იგი თავის წარმომადგენლებს პეტერბურგში. ამიტომ იყო, რომ საიმპერატორო კარზე გაფაციცებით აღევენებდნენ თვალს მეფის ჯანმრთელობის მდგომარეობას. დარეჯან დედოფალი, მისი შვილები და საერთოდ მთელი სამეფო ოჯახი დაინტერესებული იყო იმით, რომ მეფეს პეტერბურგში თხოვნის გაგზავნა მოესწრო და პასუხიც გარდაცვალებამდე მიეღო. დარეჯან დედოფალი, ბატონიშვილები იულონი, ვახტანგი და ფარნავაზი, ასევე მათი მომხრე თავადები ემზადებოდნენ იმისათვის, რომ მეფის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ბატონიშვილი დავითი არ ასულიყო. გიორგი მეფის მოწინააღმდეგენი და მომხრეები ცდილობდნენ საიდუმლოდ ემოქმედათ, თუმცა დაპირისპირება ცხადზე უცხადესი იყო და მისი მიჩქმალვა უკვე აღარ შეიძლებოდა. 1800 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში სამეფო ოჯახში არსებულმა კონფლიქტმა კულმინაციას მიაღწია. ტახტის მემკვიდრემ, ბატონიშვილმა დავითმა, გამოაცხადა, რომ ავადმყოფმა მეფემ მას მეფობა უბოძა და ამიერიდან სამეფოს კანონიერი უფლებით მართვას შეუდგა. დავით ბატონიშვილმა თავისთან დაიბარა მეფის ნახევარძმები – ბატონიშვილები და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში რუსეთის ჯარის დახმარებით დასჯით დაემუქრა. დავით ბატონიშვილმა ქართლის თავადებს, აზნაურებსა და მოსახლეობას გამოუცხადა, რომ მისი ძმა, ბატონიშვილი თეიმურაზი, ქართლის გამგებლად დანიშნა და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში რუსეთის ჯარის დახმარებით ყველას დასჯიდა. თეიმურაზ ბატონიშვილს ქართლის მოსახლეობა დავითის ერთგულებაზე უნდა დაეფიცებინა, ხოლო ქართლის ციხეები თავდაცვისათვის მოემზადებინა. 1800 წლის 20 დეკემბერს დავით ბატონიშვილი თეიმურაზ ბატონიშვილს

წერდა: გორის ციხე გაამაგრე, სურსათი და ტყვია-წამალი მოიმარაგე და შენი ბიძები გორში არ შემოუშვაო. დავით ბატონიშვილი თეიმურაზ ბატონიშვილს სერიოზულად აფრთხილებდა, რომ იგი ქართლის გამგებლად იყო დანიშნული და სრულ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო. უნდა აღინიშნოს, რომ დავით ბატონიშვილი ენერგიულად შეუდგა თავისი მომხრეების გამრავლებას, სამეფოს ყველა კუთხეში თავისი ერთგული ადამიანები დააგზავნა და სამოქმედო გეგმაც დაუსახა. გენერალ-მაიორი ივანე ლაზარევი დავით ბატონიშვილს ურჩევდა, რადგან მეფის გამოჯანმრთელების შანსი ჯერ კიდევ არსებობდა, გადამწყვეტ და მკაცრ ზომებს ნუ გაატარებდა მოწინააღმდეგეთა დასაშინებლად. დავით ბატონიშვილმა გენერალი დაარწმუნა, რომ სამეფოსათვის საშიში მოქმედებისაგან თავს შეიკავებდა. მეფე გიორგის ნახევარძმები – ბატონიშვილები გორში შეიკრიბნენ და ერთობლივი მოქმედების გეგმა დასახეს. დავით ბატონიშვილის მსგავსად ახალი მომხრეების შექმნის მიზნით ისინი სისასტიკეს არ ერიდებოდნენ. აპოლოს მუსინ-პუშკინი რუსეთის იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ბატონიშვილი ვახტანგი და მისი ძმები გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ბატონიშვილ დავითის ტახტზე ასვლას არ დაუშვებნო. ქართლის თავადების გადაბირების მიზნით აქტიურად მოქმედებდა დარეჯან დედოფალი. ერთ-ერთ წერილში დარეჯან დედოფალი აღნიშნავდა: ქართლი, კახეთი და ყაზახი ჩვენს მხარეზეა, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი მალე თბილისზე დაიძვრებაო. არსებობდა იმის რეალური საშიშროება, რომ სამეფო სახელში არსებულ დაპირისპირებაში მთელი ქართლ-კახეთის სამეფო ჩაბმულიყო. ხევსურები, რომლებიც დავით ბატონიშვილის ერთგულები იყვნენ, დაუპირისპირდნენ არაგვის ხეობის მოსახლეობას. დაპირისპირების მიზეზი ის იყო, რომ დუშეთში მცხოვრებმა ვახტანგ ბატონიშვილმა არაგვის ხეობის მოსახლეობის მიმხრობა მოახერხა. ხევსურები თავს დაესხნენ კახეთიდან დაბრუნებულ არაგველებს და სურსათი და ცხენები წაართვეს მათ. შეტაკებისას ბევრი დაიჭრა და დაიღუპა. შეიარაღებული დაპირისპირება აღინიშნებოდა სამეფოს სხვა ადგილებშიც. 1800 წლის 7 დეკემბერს გიორგი XII-მ თხოვნით მიმართა გენერალ-მაიორ ივანე ლაზარევს, რათა სამეფოში დაწყებული დაპირისპირება აღეკვეთა.

1800 წლის 26 ნოემბერს ბატონიშვილებმა იულონმა, ვახტანგმა და ფარნავაზმა წერილი გაუგზავნეს კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგს. ბატონიშვილები გენერალს სწერდნენ, რომ დავით ბატონიშვილი რუსეთის ჯარის დახმარებით მათი სამშობლოდან განდევნას ცდილობდა. ბატონიშვილები აცხადებდნენ, რომ არ იცოდნენ როგორ გამოსულიყვნენ შექმნილი ვითარებიდან: დავით ბატონიშვილის წინააღმდეგ ბრძოლით ისინი რუსეთის იმპერატორს განარისხებდნენ, ხოლო თუ ბრძოლაზე ხელს აიღებდნენ, მაშინ სამშობლოს დატოვება მოუწევდათ. იულონ, ვახტანგ და ფარნავაზ ბატონიშვილები კარლ კნორინგს სთხოვდნენ, თუ პეტერბურგიდან პასუხის მიღებამდე მეფე გიორგი გარდაიცვლებოდა, სამეფოს მართვა-გამგეობა ან პირადად ჩაებარებინა, ან ლაზარევისათვის დაევალებინა. 1800 წლის 14 დეკემბერს ბატონიშვილი ვახტანგი კარლ კნორინგს სწერდა, რომ მისი სურვილი იყო ალექსანდრე ბატონიშვილის დაბრუნება და ყოველნაირად ეცდებოდა მიზნის მიღწევას. თუ ალექსანდრე ბატონიშვილის დაბრუნება შესაძლებელი ვახდებოდა, ვახტანგ ბატონიშვილის აზრით, ერეკლე მეფის ანდერძის თანახმად, ძმებს უფროს-უმცროსობის კვალობაზე მორიგეობით უნდა ემეფათ. ვახტანგ ბატონიშვილი აცხადებდა, რომ ტახტის მემკვიდრეობის ერეკლესეული წესის დარღვევის შემთხვევაში რამდენიმე ბატონიშვილს სამშობლოდან გადახვეწა მოუხდებოდა. 1800 წლის დეკემბერში ვახტანგ ბატონიშვილის წერილის შინაარსი სხვა ამბებთან ერთად კარლ კნორინგმა იმპერატორ პაველ I-ს გააცნო. კარლ კნორინგის წერილის პეტერბურგში ჩატანის დრო დაემთხვა დედაქალაქში გიორგი XII-ის ელჩების ჩასვლას.

18. 1800 წლის 24 ივნისის ნოტა. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 1799 წლის 7 სექტემბერს გიორგი XII-მ ხელი მოაწერა რწმუნების სიგელს, რომლის მიხედვითაც რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის მეფის წარმომადგენლებს გარსევან ჭავჭავაძეს,

გიორგი ავალიშივილს და ელიზბარ ფალავანდიშივილს მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინათ რუსეთის ხელისუფლებასთან. 1800 წლის 24 ივნისს თბილისში შედგა ნოტა, რომელიც შეიცავდა გიორგი XII-ის სათხოვარ პუნქტებს რუსეთის იმპერატორისადმი. ეს ნოტა ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენლებს (ელჩებს): გარსევან ჭავჭავაძეს, გიორგი ავალიშივილსა და ელიზბარ ფალავანდიშივილს – უნდა წარედგინათ რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიაში. გიორგი XII-ის ელჩები პეტერბურგში ჩავიდნენ 1800 წლის ნოემბერში და 1800 წლის 24 ივნისის ნოტა გადასცეს რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას. ცხადია, ნოტა თბილისში გიორგი XII-ის უშუალო მონაწილეობით შედგებოდა, არ არის გამორიცხული, რომ მის შედგენაში პიოტრ კოვალენსკიც და ივანე ლაზარევიც მონაწილეობდნენ, თუმცა ნოტას ხელს გიორგი ავალიშივილი და ელიზბარ ფალავანდიშივილი აწერდნენ (გარსევან ჭავჭავაძე პეტერბურგში იმყოფებოდა და, როგორც ჩანს, ნოტის დედანს და რუსულ თარგმანს მან პეტერბურგში მოაწერა ხელი). ნოტა, ცხადია, ქართულ ენაზე შედგებოდა, ხოლო რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიაში მისი რუსული თარგმანი იქნა წარდგენილი. ნოტის რუსულ თარგმანსაც ქართლ-კახეთის მეფის სრულუფლებიანი წარმომადგენლები აწერდნენ ხელს. ჩვენ ციტირებას რუსული თარგმანიდან მოვახდენთ, რადგან პეტერბურგში ნოტის შინაარსზე სწორედ რუსული თარგმანის მიხედვით მსჯელობდნენ. ნოტაში აღნიშნულია, რომ გიორგი XII-ს ჯერ კიდევ მამის, მეფე ერეკლეს, სიცოცხლეშივე ჰქონდა გაუმჯდავნებელი (საიდუმლოდ დაცული) სურვილი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მონარქის „სრულ დამოკიდებულებაში და ქვეშევრდომობაში“ შესვლის შესახებ (რუსულ თარგმანში: „вполную зависимость и подданство“). ამ შესავლის შემდეგ ნოტაში ჩამოყალიბებულია ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“:

1. მეფე გიორგის მემკვიდრეებთან, სამღვდლოებთან, დიდებულებთან და ყველა თავის ქვეშევრდომთან ერთად სურდა, რომ სამუდამოდ მიეღო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა (რუსულ თარგმანში: „навсегда принять подданство Всероссийской Империи“). მეფე გიორგი პირობას დებდა, რომ პირადად იგი და მისი ქვეშევრდომები სრულად შეასრულებდნენ ყველა იმ მოვალეობას, რაც რუსეთის ქვეშევრდომებს ეკისრებოდათ, დაიცავდნენ რუსეთის იმპერიის ყველა კანონს და შეასრულებდნენ რუსეთის იმპერატორის ყველა ბრძანებას, რადგან რუსეთის იმპერატორს მიიხნევდნენ თავიანთ ხელმწიფედ და თვითმპყრობელად (რუსულ თარგმანში: „обещаясь свято исполнять все то, что исполняют Россияне, и не отказываясь ни от каких законов и повелений, по принятому обычаю в его царстве и народе, что только будет повеленно по благоусмотрению Всероссийского Императора как наследственного (природного) своего государя и самодержца“);

2. მეფე გიორგი ითხოვდა, რომ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლის შემდეგ, რადგან ქართლ-კახეთის სამეფო ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში, მისთვის შეენარჩუნებინათ მეფობა (რუსულ თარგმანში: “чтобы вместе с принятием его царства был поставлен царем”), ხოლო მის შემდეგ მისი მემკვიდრეები დაემტკიცებინათ მეფეებად (რუსულ თარგმანში: „... а после него и наследники его навсегда на престоле с утверждением в царском звании“). გიორგი XII ასევე ითხოვდა, რომ მეფეებს ქართლ-კახეთის სამეფოში ჰქონოდათ უმაღლესი (უპირველესი) ხელისუფლება (რუსულ თარგმანში: „и чтобы цари те имели первенствующую власть в своих царствах“);

3. მეფე გიორგი, როგორც ეს აღნიშნული იყო ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლებისათვის 1799 წლის 7 სექტემბერს მიცემულ რწმუნების სიგელში, ითხოვდა რუსეთის იმპერატორისაგან ჯამაგირის დანიშვნას და რუსეთში სოფლების ბოძებას;

4. მეფე გიორგი ითხოვდა, რომ მისი სათხოვარი პუნქტების განხილვამდე, იმპერატორის მიერ მათ დამტკიცებამდე და ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის

ახალი ხელშეკრულების დადებამდე გაზრდილიყო ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის რაოდენობა, რათა მტერს სამეფოზე თავდასხმის სურვილი არ გასჩენოდა;

5. მეფე გიორგი რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას სთხოვდა სასწრაფოდ განეხილა ნოტაში ჩამოყალიბებული სათხოვარი პუნქტები და წარედგინა იგი იმპერატორისათვის;

6. ქართლ-კახეთის მეფეს, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კიდევ ჰქონდა სათხოვარი, რომელიც რუსულ მხარეს გადაეცემოდა მას შემდეგ, რაც ნოტაში ჩამოყალიბებული სათხოვარი პუნქტები განიხილებოდა და იმპერატორი დაამტკიცებდა.

1800 წლის 24 ივნისის ნოტაში ჩამოყალიბებული გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტები გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წლის 24 ივლისი) პირობებიდან პრინციპულ უკანდახევას წარმოადგენდა. ერეკლე II რუსეთის იმპერატორის მფარველობაში შევიდა, ხოლო გიორგი XII რუსეთის იმპერატორის **ქვეშევრდომობას** ითხოვდა. **მფარველობა (Покровительство)** და **ქვეშევრდომობა (Подданство)** ორი განსხვავებული ცნებაა. მფარველობა ქართლ-კახეთის სამეფოს სუვერენიტეტის შენარჩუნების შესაძლებლობას იძლეოდა, თუმცა, გარკვეული შეზღუდვებით. ქვეშევრდომობა ძირითად სუვერენულ უფლებებზე ხელის ადებას ნიშნავდა და ფაქტობრივად, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ნაწილი ხდებოდა. ყურადღებას იმსახურებს ერთი არცთუ უმნიშვნელო დეტალი. გიორგი XII ქვეშევრდომობას ითხოვდა. რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში **ქვეშევრდომობა** ითარგმნებოდა **Подданство**-დ, თუმცა ხშირად ქვეშევრდომობა ითარგმნებოდა არა როგორც **Подданство**, არამედ, როგორც **Владычество**. რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, მათ შორის გარსევან ჭავჭავაძემ, შეიძლება არც კი იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა ქართულად **Владычество**. ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში **Владычество** რამდენიმე ქართული შესატყვისით არის წარმოდგენილი: **მეუფება, უფლება, სუფევა, მთავრობა, მფლობელობა, სამფლობელო**. რუსი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები **Владычество**-ს სწორედ **მფლობელობის** და **სამფლობელოს** მნიშვნელობით იყენებდნენ, ისინი მიიხრევიდნენ, რომ გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტები ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერატორის მფლობელობაში გადასვლას, რუსეთის იმპერატორის სამფლობელოდ გადაქცევას გულისხმობდა.

რატომ გადაწყვიტა გიორგი XII-მ ქვეყნისათვის დამღუპველი ნაბიჯის გადადგმა? – ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო სამხრეთ კავკასიაში შექმნილი ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური ვითარებით – ქართლ-კახეთის სამეფოს ირანის, ოსმალეთისა და კავკასიის მთიელების შემოსევებისაგან თავის დაცვა აღარ შეეძლო. ამას ემატებოდა სამეფო სახლის წევრებს შორის გააფთრებული დაპირისპირება – ბრძოლა სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებისათვის. სამეფო სახლის ორად გაყოფამ თავადებისა და სამღვდელოების ზედაფენის ორად გაყოფა გამოიწვია, მთელი ქვეყანა შინააშლილობაში აღმოჩნდა ჩათრეული. სიცოცხლის ბოლო თვეების განმავლობაში გიორგი XII-ს პიოტრ კოვალენსკისა და ივან ლაზარევთან ერთადერთი სათხოვარი ჰქონდა: მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე დავით ბატონიშვილის აყვანა. მართალია, დავით ბატონიშვილი პაველ I-ის მიერ ტახტის მემკვიდრედ ოფიციალურად იყო დამტკიცებული, მაგრამ ავადმყოფ მეფეს ეს დამშვიდების საშუალებას არ აძლევდა. ბოლოს მეფე გიორგი იმ დასკნამდე მივიდა, რომ დავით ბატონიშვილის ტახტზე ასვლა სამეფოს შინააშლილობისაგან ვერ იხსნიდა, დაპირისპირება სამეფო სახლის წევრებს შორის ისევ ძველებურად გაგრძელდებოდა. უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი, დიაბეტის რთული ფორმით დაავადებული, დედინაცვლისა და ნახევარძმების დაუსრულებელი ინტრიგებით თავმოებურებული მეფე, სრულიად ბუნებრივია, რომ გამოსავალს ეძებდა. სამეფოსათვის საბედისწერო ჟამს მეფის გვერდით არათუ თანამოაზრეთა ჯგუფი, არამედ ერთი მეტ-ნაკლებად კომპეტენტური მრჩეველიც კი არ იდგა. მეფესთან იშვიათად შედიოდნენ ბატონიშვილი დავითი და თავადი სოლომონ ლიონიძე, სამაგიეროდ, მეფის საწოლში ხშირად იმყოფებოდნენ: ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე

რუსეთის იმპერიის სრულფუნქციონირების წარმომადგენელი (მინისტრი) პიოტრ კოვალენსკი, საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარის მეთაური გენერალ-მაიორი ივან ლაზარევი, რუსეთის ჯარის ეგერთა პოლკის მეთაური გენერალ-მაიორი ვასილი გულიაკოვი და მეფის მიერ დაქირავებული ლეკთა რაზმის მეთაურები. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ რუსების აქტიური მონაწილეობით იქნა შედგენილი გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტები. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ დავით ბატონიშვილმა სათხოვარი პუნქტების შინაარსი არ იცოდა.

19. აპოლოს მუსინ-პუშკინის 1800 წლის 10 დეკემბრის მოხსენება. რუსეთის საიმპერატორო კარის დავალებით ქართლ-კახეთის სამეფოში იმყოფებოდა გრაფი აპოლოს მუსინ-პუშკინი, რომელმაც გამოიკვლია ქართლ-კახეთის სამეფოში არსებული წიაღისეული სიმდიდრე (ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის საბადოები). 1800 წლის 10 დეკემბერს აპოლოს მუსინ-პუშკინმა მოხსენება მიართვა გიორგი XII-ს. მოხსენებაში ჩამოყალიბებული იყო ის პრინციპები, რომელთა საფუძველზე ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის მადნების ექსპლუატაციის თაობაზე ხელშეკრულება უნდა დადებულიყო. აპოლოს მუსინ-პუშკინმა შვიდი შეკითხვა დაუსვა გიორგი XII-ს:

1. შეძლება თუ არა მეფე საბადოების ექსპლუატაციის დაწყებისათვის აუცილებელი პირობების შესრულებას (მუშახელის მობილიზებას, ხე-ტყითა და წყლით მომარაგებას და სხვა აუცილებელი მასალებით უზრუნველყოფას)? მეფე გიორგიმ ამ კითხვას დადებითად უპასუხა;

2. შეძლება თუ არა მეფე მიწების გამოყოფას საბადოების გამაგრებისათვის აუცილებელი შენობების ასაგებად, ასევე საბადოების მუშებისათვის სახნავის, სათიბის და საძოვრის გამოყოფას? მეფე გიორგიმ ამ კითხვასაც დადებითად უპასუხა;

3. თანახმა იყო თუ არა მეფე, რომ იმავე პირობებით გაგრძელებულიყო მომავალში გახსნილი საბადოების ექსპლუატაცია? მეფე გიორგი ამ პირობასაც დაეთანხმა;

4. რა დახმარების აღმოჩენა შეეძლო მეფეს საბადოებზე სამუშაოდ მოწვეული სპეციალისტებისათვის, მაგალითად ბერძნებისათვის? მეფე გიორგიმ ვალდებულება აიღო სამუშაოდ მოწვეული სპეციალისტებისათვის გამოეყო მუშები და საერთოდ, გაეკეთებინა ყველაფერი საბადოების ექსპლუატაციის დაწყებისათვის;

5. შეძლება თუ არა მეფე ხუთი წლის განმავლობაში საბადოს მუშები უზრუნველყო პურით? მეფე გიორგიმ მუშების პურით უზრუნველყოფა თავის თავზე ვერ აიღო, მაგრამ პირობა დადო, რომ გამოსცემდა ბრძანებას, რომელიც მუშებს საშუალებას მისცემდა პური სამართლიან ფასებში შეესყიდათ;

6. მეფის აზრით, რუსეთის ჯარის რა რაოდენობა იყო აუცილებელი საბადოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად? მეფე გიორგი მიიჩნევდა, რომ თბილისის რუსული გარნიზონის გარდა, საბადოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო იქნებოდა რუსეთის ჯარის დამატებითი კონტინგენტი – 3.000 მებრძოლი;

7. როგორი უნდა ყოფილიყო მეფის წილი საბადოებიდან მიღებულ შემოსავალში? მეფე თვლიდა, რომ ეს საკითხი უნდა გადაჭრილიყო რუსეთის იმპერატორის შეხედულებისამებრ.

ცხადია, აპოლოს მუსინ-პუშკინი ქართლ-კახეთის სამეფოში მარტო ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის საბადოების დამუშავების საკითხთან დაკავშირებით არ იყო ჩამოსული. მას ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შეფასება, ასევე პრორუსულ და ანტირუსულ ძალთა თანაფარდობის დადგენა ევალებოდა. აპოლოს მუსინ-პუშკინი ზედმიწევნით ზუსტად უნდა გარკვეულიყო მეფე გიორგისა და დარეჯან დედოფლის დაჯგუფებებს შორის მიმდინარე დაპირისპირებაში. შეიძლება ითქვას, ყველა დავალება რუსმა ემისარმა წარმატებით შეასრულა. მუსინ-პუშკინმა იმპერატორ პაველ I-ს მოახსენა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ ელიტაში (სამეფო სახლის წევრები, გავლენიანი თავადები და მეფეები) პრორუსული ორიენტაციის მომხრენი სჭარბობდნენ. რუსი ემისარი იმპერატორს სწერდა, რომ გავლენიან თავადებთან საუბრისას მან სცადა გაერკვია, როგორი იყო მათი შეხედულება ქართლ-კახეთის სამეფოს მომავალზე. როგორც აპოლოს მუსინ-

პუშკინი იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავს, თავადების პასუხი ასეთი ყოფილა: თუ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის შემადგენლობაში არ შევა, მაშინ იგი უნდა შევიდეს ან ირანის ან ოსმალეთის ქვეშევრდომობაში, ან მას კავკასიის მთიელები დააქცევინ.

20. 1800 წლის 24 ივნისის ნოტის (გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტების) განხილვა რუსეთის მთავრობაში და მისი შედეგები. აპოლოს მუსინ-პუშკინს აზრი გამოუთქვამს 1800 წლის 24 ივნისის ნოტაში ჩამოყალიბებული გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტების შესახებ და იმპერატორისათვის ქართლ-კახეთის მეფის სათხოვარი პუნქტების დაკმაყოფილება ურჩევია. მუსინ-პუშკინის გარდა, იმპერატორს იმავეს ურჩევდნენ სხვა გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწეებიც.

რუსეთის საიმპერატორო კარმა პოლიტიკური და სამხედრო ელიტის რჩევის საფუძველზე გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტების დაკმაყოფილება გადაწყვიტა. იმხანად არც არავის დაუმაღავეს, რომ გადაწყვეტილების მიღებისათვის ძირითად მოტივს წარმოადგენდა არა ქართლ-კახეთის სამეფოს გადარჩენა, არამედ რუსეთის იმპერიის მისწრაფება სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებისაკენ. ყურადღება მახვილდებოდა ოთხ მთავარ ფაქტორზე:

1. ჩრდილო კავკასიაში არსებული გამაგრებული ხაზი (კავკასიის ხაზი) ვერ უზრუნველყოფდა მთიელთა წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლას. თუ ასეთივე ხაზი სამხრეთ კავკასიაშიც შეიქმნებოდა, მთიელები ორმხრივი დარტყმის ქვეშ მოექცეოდნენ. თუ მთიელები მაინც არ დანებდებოდნენ, მაშინ მორჩილებას მათ შიმშილით აიძულებდნენ. იმ დროისათვის კავკასიის მთიელები კვებისათვის აუცილებელ პროდუქტს ან ჩრდილო კავკასიაში (ძირითადად მოზდოკში) ან საქართველოში (ძირითადად თბილისში) ყიდულობდნენ.

2. საქართველო მდიდარი იყო წიაღისეულით, რომლის დამუშავება რუსეთისათვის ეკონომიკურად მეტად ხელსაყრელი იყო;

3. ქართლ-კახეთის სამეფო ირანისა და ინდოეთისაკენ მიმავალ სავაჭრო გზაზე მდებარეობდა და ამდენად, ამ რეგიონში ფეხის მოკიდებით რუსეთი დიდ მოგებას ნახავდა;

4. ოსმალეთთან ომის შემთხვევაში შავი ზღვის სამხედრო ფლოტით, მცირე აზიის სანაპიროზე ჯარის გადასხმასთან ერთად, ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარები შეიძლება შეჭრილიყვნენ ოსმალეთის ჩრდილოეთ პროვინციაში და დაეკავებინათ ანატოლია, რითაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდნენ ოსმალეთს. პირიქით, თუ ოსმალეთი მოახერხებდა საქართველოს ტერიტორიის და მათ შორის ქართლ-კახეთის ტერიტორიის დაკავებას, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა კავკასიის ხაზი, შესუსტდებოდა რუსეთის პოზიციები ყირიმში.

ამ მოსაზრებებს გაუწია ანგარიში რუსეთის საიმპერატორო კარმა, როდესაც გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტების დაკმაყოფილება გადაწყვიტა.

ზემოთ ხსენებულ მოსაზრებებთან ერთად აპოლოს მუსინ-პუშკინი, ასევე სხვა პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები იმედს გამოთქვამდნენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების შემდეგ იმავეს მოითხოვდა იმერეთის სამეფო და ამრიგად, მთელი საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდებოდა.

ცხადია, რუსეთის საიმპერატორო კარს გათვალისწინებული ჰქონდა ისიც, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში (მფლობელობაში) გადასვლას შეიძლება გართულებები მოჰყოლოდა. რუსებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ გართულების შემთხვევაში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა კავკასიის ხაზიდან (გეორგიევსკიდან, მოზდოკიდან) თბილისისაკენ მომავალი გზის დაცვას, რათა რუსეთის ჯარის მოძრაობა არ შეფერხებულიყო. ამ გზის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი არავის ხეობაში ვახტანგ ბატონიშვილის საუფლისწულოზე გადიოდა. რუსეთის საიმპერატორო კარს იმედი ჰქონდა, რომ გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ ბატონიშვილის მიმხრობას შეძლებდნენ.

21. მოლაპარაკება პეტერბურგში. 1800 წლის 24 ივნისის ნოტი (გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტებით) პეტერბურგში ჩასულ ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლების გიორგი ავალიშვილისა და რევაზ ფალავანდიშვილის, ასევე პეტერბურგში მყოფი გარსევან ჭავჭავაძის მიღება და მათთან მოლაპარაკების წარმოება დაევალა იმპერატორ პაველ I-ის ფავორიტს, რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ფაქტობრივ ხელმძღვანელ ფიოდორ როსტოპჩინს და პაველ I-თან დაახლოებულ პირს, ცნობილ დიპლომატს, საიდუმლო მრჩეველ სერგეი ლაშქარევს. შეხვედრა შედგა 1800 წლის 14 ნოემბერს. ფიოდორ როსტოპჩინმა ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლებს განუცხადა, რომ იმპერატორი პაველ I თანახმა იყო მეფე გიორგი XII და მისი ხალხი მიეღო ქვეშევრდომობაში. ქვეშევრდომობაში მიღებისათვის იმპერატორმა ერთი პირობის შესრულება მოითხოვა: ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლებიდან ერთ-ერთი თბილისში უნდა დაბრუნებულიყო და მეფისა და ხალხისათვის უნდა ეცნობებინა პაველ I-ის თანხმობის შესახებ. თუ ამის შემდეგ გიორგი XII და მისი ხალხი მეორედ ითხოვდნენ ქვეშევრდომობაში მიღებას და საგანგებო სიგელსაც მოაწერდნენ ხელს, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში იქნებოდა მიღებული.

პარალელურად რუსეთის საიმპერატორო კარმა შეკითხვა გაუგზავნა კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგს. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა გაერკვია, დამატებით რა რაოდენობის ჯარი უნდა გაეგზავნათ ქართლ-კახეთის სამეფოში: 1. მეზობელი სახელმწიფოებისა და ხალხების თავდასხმისაგან სამეფოს დასაცავად; 2. სამეფოში შინაგანი წესრიგის დასაცავად და ახალი მმართველობის დასამყარებლად.

1800 წლის ნოემბრის შუა ხანებისათვის რუსეთის საიმპერატორო კარზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. გიორგი XII-ს სიკვდილამდე შეუნარჩუნდეს მეფობის უფლება;

2. გიორგი XII-ის სიკვდილის შემდეგ მისი უფროსი ვაჟი, რუსეთის იმპერატორის მიერ ტახტის მემკვიდრედ ცნობილი დავითი, დამტკიცდეს საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს – გ. გ.) გენერალ-გუბერნატორად და ამასთან ერთად შეუნარჩუნდეს მეფის ტიტული (დავით გიორგის ძის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნა დიდ სირთულედ არ იქნა მიჩნეული, რადგან დავითი რუსეთის იმპერატორის სამსახურში იმყოფებოდა, მინიჭებული ჰქონდა გენერლის სამხედრო წოდება და ერთხანს მსახურობდა რუსეთის ჯარში);

3. ქართლ-კახეთის სამეფო მიემატოს რუსეთის იმპერიის გუბერნიების რიცხვს „საქართველოს სამეფოს“ სახელით.

თავდაპირველად რუსეთის საიმპერატორო კარს არ სურდა ქართლ-კახეთის სამეფოს შინაურ მმართველობაში ჩარეულიყო. გადაწყდა თბილისში გაგზავნილიყო ერთი რუსი მოხელე, რომელიც გიორგი XII-ს დაეხმარებოდა სამეფოში წესრიგის დამყარებაში და თვალყურს ადევნებდა მართლმსაჯულებას. პაველ I ქართველებს პირდებოდა, რომ ყველა თანამდებობა (სამოხელეო, სასამართლო, საეკლესიო) შენარჩუნებული იქნებოდა, რუსეთის ჯარი კი მეზობელი სახელმწიფოებისა და ხალხებისგან სამეფოს დაცვას უზრუნველყოფდა. რუსეთის იმპერატორმა ასევე გადაწყვიტა: გიორგი XII-ს და მის ოჯახს, ასევე სამეფო სახლის წევრებს ჯამაგირი ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავლებიდან უნდა მიეღოთ. თუ სამეფო სახლის წევრები საცხოვრებლად რუსეთში გადავიდოდნენ, მათ უბოძებდნენ მამულებს და მათი ღირსების შესაფერის წოდებებს.

გიორგი XII-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად გაუარესებისა და მეფის მოსალოდნელი გარდაცვალების გამო რუსეთის საიმპერატორო კარმა მოქმედების საგანგებო გეგმა შეიმუშავა. 1800 წლის 15 ნოემბერს კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა კარლ კნორინგმა პაველ I-ის რესკრიპტი მიიღო, თუ როგორ უნდა ემოქმედა მეფის გარდაცვალების შემთხვევაში. კავკასიის ხაზის მთავარსარდალს ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობისათვის უნდა გამოეცხადებინა, რომ მას პეტერბურგიდან

ტახტის მემკვიდრის, დავით გიორგის ძის მეფედ გამოცხადების ბრძანება არ ჰქონდა მიღებული. 1800 წლის 15 ნოემბერს კარლ კნორინგმა იმპერატორის მეორე რესკრიპტიც მიიღო. პაველ I კავკასიის ხაზის მთავარსარდალს უბრძანებდა ქართლ-კახეთის სამეფოში დამატებით გაეგზავნა დრაგუნთა ერთი და ქვეითთა სამი პოლკი. კნორინგს ასევე ებრძანა ახალი რესკრიპტის მიღებისთანავე თვითონაც გამგზავრებულიყო ქართლ-კახეთის სამეფოში ან გაეგზავნა ერთი გენერალი. იმპერატორი კარლ კნორინგს წერდა, რომ მას „პატივი ექნებოდა რუსეთისათვის შეერთებინა ტერიტორია (რუსულ დედანში: „Область“), რომელსაც ემუქრებოდა ყველა მეზობელი ხალხი“. ფიოდორ როსტოპჩინი კნორინგს სწერდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ „ბოლო მოეღებოდა მთიელთა თვითნებობას და კასპიისპირეთის მფლობელთა შფოთს“.

22. რუსეთის საიმპერატორო კარის გეგმები გიორგი XII-ის გარდაცვალების დროისათვის. რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს ქვეშევრდომობაში მიღების თაობაზე პოზიციის შეჯერების შემდეგ გიორგი ავალიშვილი და ელიზბარ ფალავანდიშვილი თბილისში გამოემგზავრნენ. მათ თან მოჰქონდათ ფიოდორ როსტოპჩინის 1800 წლის 23 ნოემბრის წერილი. **რუსეთის ხელისუფლების პირობების გაცნობის შემდეგ გიორგი XII-ს ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო. თუ მეფე ქვეშევრდომობის მიღების თაობაზე რუსეთის ხელისუფლების პირობებს დასთანხმდებოდა და საგანგებო სიგელსაც მოაწერდა ხელს, გიორგი ავალიშვილსა და ელიზბარ ფალავანდიშვილს ეს სიგელი პეტერბურგში უნდა ჩაეტანათ. პეტერბურგში გამგზავრებამდე მეფე გიორგის რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლებისათვის ელჩები უნდა ეწოდებინა.**

1800 წლის ნოემბერის ბოლოს გიორგი ავალიშვილი და ელიზბარ ფალავანდიშვილი პეტერბურგიდან თბილისში გამოემგზავრნენ. პეტერბურგში დარჩა მხოლოდ გარსევან ჭავჭავაძე. ქართველი ელჩები რუსეთის იმპერიის დედაქალაქში მხოლოდ 1801 წლის თებერვალში დაბრუნდნენ. 1801 წლის აპრილში კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა კარლ კნორინგმა ჯართან ერთად ქართლ-კახეთის სამეფოში გამგზავრების ბრძანება მიიღო. ჯერ კიდევ 1800 წლის 26 ნოემბერს როსტოპჩინი კნორინგს წერდა: „აუცილებელია დრომდე ქართლ-კახეთის სამეფოში ყველაფერი პირვანდელი სახით დარჩეს. თავადებმა თქვენ უნდა გაცნობონ რამდენად სასარგებლოა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის რუსეთის მფარველობაში შესვლა. დაამშვიდეთ თავადები, რომ მეზობლებისა ნუღარ ეშინიათ. ამ თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგში იქნება და ჩვენ გვექნება ბედნიერება მონაწილეობა მივიღოთ იმ საქმის აღსრულებაში, რომელიც ღმერთსა და ხელმწიფეს ესათნობა“. კარლ კნორინგმა, იმპერატორ პაველ I-ის ბრძანების თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფოში გამოსაგზავნად მოამზადა: დრაგუნთა პოლკი (მეთაური გენერალ-მაიორი სემიონ პორტნიაცინი), გრენადერთა პოლკი (მეთაური გენერალ-მაიორი სერგეი ტუჩკოვი) და მუშკეტერთა პოლკი, რომელიც უშუალოდ კარლ კნორინგის დაქვემდებარებაში იყო. გარდა ამ სამი პოლკისა, ქართლ-კახეთის სამეფოში იგზავნებოდა მესხეთე საარტილერიო პოლკის ოთხი ზარბაზანი. როდესაც ზემოთ აღნიშნული პოლკები ქართლ-კახეთის სამეფოში ადრე გამოგზავნილ რუსეთის ჯარს შეუერთდებოდა, მთლიანად საქართველოში რუსეთის სამხედრო ძალების სერიოზული რაოდენობა მოიყრიდა თავს: ქვეითთა 8 ბატალიონი, კავალერისტთა 10 ესკადრონი, კაზაკთა 1 ასეული, 4 მძიმე ზარბაზანი, 15 საველე ზარბაზანი. ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარი ასე უნდა განაწილებულიყო: **თბილისში** – გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგის მუშკეტერთა პოლკი, გენერალ-მაიორ ივან ლაზარევის ქვეითთა პოლკიდან 1 ბატალიონი, დრაგუნთა 2 ესკადრონი და მთელი არტილერია (4 მძიმე და 15 მსუბუქი ზარბაზანი); **თელავში** – გენერალ-მაიორ ვასილი გულიაკოვის პოლკის მუშკეტერთა 1 ბატალიონი, ეგერთა 1 ასეული და დრაგუნთა 2 ესკადრონი; **ლორეში** – გენერალ-მაიორ სერგეი ტუჩკოვის გრენადერთა პოლკის 1 ბატალიონი, ეგერთა 1 ასეული და დრაგუნთა 2 ესკადრონი; **გორში** – გენერალ-მაიორ

სერგეი ტუჩკოვის გრენადერთა პოლკის 1 ბატალიონი, ეგერთა 1 ასეული და დრაგუნთა 2 ესკადრონი, **დუშეთში** - ეგერთა 1 ასეული. რუსეთის ჯარების განლაგებისას გათვალისწინებული იყო ის, რომ თბილისი ყოველი მხრიდან დაცული ყოფილიყო და საჭიროების შემთხვევაში ჯარებს შეუფერხებლად მოეყარათ თავი თბილისთან.

1800 წლის 15 დეკემბრის შემდეგ რამდენჯერმე გავრცელდა ხმა გიორგი XII-ის გარდაცვალების შესახებ. 20 დეკემბერს გორთან, სოფელ **ჭალაში**, შეიკრიბნენ ბატონიშვილები (დარეჯან დედოფლის ვაჟები) და მოწოდება დაუგზავნეს ქალაქ გორის მცხოვრებლებს, სამღვდელოებას და საერთოდ ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობას. მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ ერეკლე II-ის მიერ დამტკიცებული ტახტის მემკვიდრეობის წესის თანახმად, გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე უნდა გამხდარიყო ძმებში უფროსი, ბატონიშვილი **იულონი**. ბატონიშვილებმა თავიანთი მომხრეები გორში მიიწვიეს, ვინც გორში არ გამოცხადდებოდა, დასჯით ემუქრებოდნენ. ბატონიშვილმა დავით გიორგის ძემ მცხეთაში შემაგალი გზა გადაკეტა, ჩხრეკდნენ თბილისისაკენ მომავალ ადამიანებს, ეძებდნენ საიდუმლო წერილებს. ჩხრეკას თან სდევდა მგზავრების ძარცვა. ივან ლაზარევმა დავით ბატონიშვილს ჰკითხა, თუ რატომ იდგა მცხეთასთან პიკეტი მაშინ, როდესაც ლეკების შემოსევის საშიშროება არ არსებობდა. დავით ბატონიშვილმა რუს გენერალს უპასუხა, რომ მას არავითარი პიკეტი არ დაუყენებია და ამიტომ არაფერი იცოდა, ღამით კი პიკეტი მოხსნა, თუმცა ბიძებთან ბრძოლაზე ხელი არ აუღია.

1800 წლის 22 დეკემბერს თბილისში ხმა გავრცელდა, რომ მძიმედ ავადმყოფმა მეფე გიორგიმ სიონის ტაძარში მოისურვა გადაყვანა, რათა ქვეშევრდომები ტახტის მემკვიდრე დავითის ერთგულებაზე დაეფიცებინა. სამეფო სახლის წევრების ნაწილი, თავადები და თბილისის მოსახლეობა სიონის ტაძრისაკენ დაიძრა. სიონისაკენ გაემართნენ რუსი გენერლები: ივან ლაზარევი და ვასილი გულიაკოვი. როგორც ლაზარევის 1800 წლის 25 დეკემბრის მოხსენებაშია აღნიშნული, სიონის ტაძარში დაფიცების ცერემონიალი არ ჩატარებულა. აღსრულდა მხოლოდ იმ წმიდანთა ნეშტთა აღმოყვანება, რომლებიც ალა მაჰმად ხანის შემოსევის დროს ტაძარში იყო გადაძალული. ივან ლაზარევს ისიც დაუდგენია, რომ დაფიცების შესახებ ხმები დავით ბატონიშვილის მიერ ყოფილა გავრცელებული. თბილისიდან დავით ბატონიშვილი კახეთში გაემგზავრა. როგორც 1800 წლის 23 დეკემბერს კახეთიდან ივან ლაზარევს აცნობეს, ბატონიშვილი დავითი და მისი მომხრეები კახეთის თავადებს, აზნაურებს, სამღვდელოებასა და საერთოდ მოსახლეობას მოუწოდებდნენ თხოვნა გაეგზავნათ ლაზარევისათვის, რომ დავით ბატონიშვილი მეფედ ეცნო. დავით ბატონიშვილის მომხრეები კახეთის მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ თუ იგი სამეფო ტახტზე არ ავიდა, მეფე გიორგის ძმები (ერეკლე მეფისა და დარეჯან დედოფლის ვაჟები) სამეფოს ირანის შაჰის ქვეშევრდომად აქცევდნენ. ბატონიშვილის მომხრეებმა მიზანს მიაღწიეს – კახეთის მოსახლეობამ დავით გიორგის ძის ერთგულებაზე დაიფიცა.

სამეფო ტახტის მაძიებელ ბატონიშვილთა შორის ბრძოლას დასასრული არ უჩანდა. დაპირისპირებულმა მხარეებმა შეიტყვეს, რომ მალე თბილისში დაბრუნდებოდნენ პეტერბურგიდან წამოსული გიორგი ავალიშვილი და ელიზბარ ფალავანდიშვილი. ცხადია, ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლების თბილისში ჩამოსვლის ზუსტი თარიღი არ იცოდა ივან ლაზარევმაც. ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ გიორგი ავალიშვილისა და ელიზბარ ფალავანდიშვილის თბილისში ჩამოსვლამდე კარლ კნორინგისაგან მიღებული ჰქონდა საიდუმლო ბრძანება: ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რომ გიორგი XII-ს თავისი წადილი აღესრულებინა, საჭიროების შემთხვევაში გენერალს შეეძლო რუსეთის ჯარიც გამოეყენებინა. კნორინგი ლაზარევს ასევე აცნობებდა, რომ ზამთრის მიუხედავად, იგი მზად იყო ჯართან ერთად კავკასიის ხაზიდან თბილისისაკენ დაძრულიყო.

1800 წლის დეკემბრის დამდეგიდან პეტერბურგში სხვადასხვა წყაროდან მიდიოდა ცნობები გიორგი XII-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად გაუარესებისა და

უახლოეს ხანებში მეფის მოსალოდნელი გარდაცვალების შესახებ. პეტერბურგში ჩქარობდნენ. იმპერატორმა პაველ I-მა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების საკითხი განსახილველად გადასცა **სახელმწიფო საბჭოს** და თან უბრძანა შექმნილი ვითარების გამო საკითხის განხილვა დაეჩქარებინა. იმპერატორი სახელმწიფო საბჭოს სწერდა, რომ იგი მოვალე იყო მფარველობაში მიღებულ ქვეყანაში უზრუნველყო წესრიგი და მტრებისაგან დაცვა.

23. რუსეთის იმპერატორ პაველ I-ის 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოში ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების საკითხი 1800 წლის 17 დეკემბერს განიხილეს. სახელმწიფო საბჭოში შიშობდნენ, რომ გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ბატონიშვილებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყებოდა. შექმნილი ქაოსი ოსმალეთსა და ირანს საშუალებას მისცემდა დაეპყრო ქართლ-კახეთი, ხოლო ჩრდილო კავკასიის მთიელებს – განუკითხავად ეძარცვათ ქვეყანა. სახელმწიფო საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ საქართველოში ოსმალეთისა და ირანის გაბატონება, ასევე ლეკთა და სხვა ხალხების განუკითხავი თარეში საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთის პოზიციებს ჩრდილო კავკასიაში. **რუსეთის იმპერიასთან ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთების საკითხის განხილვისას სახელმწიფო საბჭოს წევრები პირველ რიგში ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვის აუცილებლობას კი არ ანიჭებდნენ გადამწყვეტ მნიშვნელობას, არამედ იმას, თუ რა სარგებლობას მოუტანდა ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთება რუსეთს.** სახელმწიფო საბჭოს წევრებმა ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთებას შემდეგი მიზეზის გამო დაუჭირეს მხარი: 1. ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთების შემდეგ გამოირიცხებოდა სამხრეთ კავკასიაში ირანისა და ოსმალეთის დამკვიდრების საშიშროება და უსაფრთხო გახდებოდა იმპერიის სამხრეთი საზღვარი; 2. საქართველოში დამკვიდრების შემდეგ რუსეთს საშუალება მიეცემოდა მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი ჩრდილო კავკასიაში, გამოერიცხა ირანისა და ოსმალეთის მხარდაჭერა ჩრდილო კავკასიის მუსლიმი მოსახლეობისადმი; 3. ირანთან და ოსმალეთთან ომის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორია ჯარების თავმოყრისა და ირანისა და ოსმალეთის ტერიტორიაზე შეჭრისათვის გამოეყენებინა; 4. სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებით რუსეთს საშუალება მიეცემოდა დაეცვა რუსეთიდან ირანსა და ინდოეთში მიმავალი სავაჭრო გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი; 5. რუსეთს საშუალება მიეცემოდა აეთვისებინა და გამოეყენებინა საქართველოს წიაღისეული სიმდიდრე.

სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებამ გავლენა იქონია პაველ I-ის პოზიციაზე. იმპერატორი აღარ დაელოდა პეტერბურგიდან თბილისში გაგზავნილი ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩების გიორგი ავალიშვილისა და ელიზბარ ფალაგანდიშვილის დაბრუნებას და **1800 წლის 18 დეკემბერს ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ.** მანიფესტი დაუყოვნებლივ გაუგზავნეს კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგს. ამასთან ერთად, კნორინგმა მიიღო იმპერატორის ბრძანება, რომ მანიფესტი მხოლოდ გიორგი XII-ის გარდაცვალების შემთხვევაში გამოექვეყნებინა. თუ ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩების გიორგი ავალიშვილისა და რევაზ ფალაგანდიშვილის პეტერბურგში ჩასვლის დროისათვის გიორგი XII კვლავ ცოცხალი იქნებოდა, კნორინგი მანიფესტის გამოქვეყნებისა და შემდგომი მოქმედების შესახებ ბრძანებას პეტერბურგიდან მიიღებდა.

24. გიორგი XII-ის გარდაცვალება. 1800 წლის 28 დეკემბერს თბილისში 54 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII. 26-27 დეკემბრის ღამე გენერალ-მაიორმა ივან ლაზარევმა მეფის რეზიდენციაში გაატარა. 27 დეკემბერს დილით გენერალი ისევ მივიდა მეფის სამყოფელში და მომაკვდავის მონახულების შემდეგ თბილისში განლაგებული რუსის ჯარის კომენდანტურაში გამოცხადდა. ლაზარევმა ოფიცრებს საბრძოლო მზადყოფნა უბრძანა. კომენდანტურიდან გენერალი მეფის რეზიდენციაში

დაბრუნდა. მეფე გიორგიმ იკითხა, თუ როდის დაბრუნდებოდა პეტერბურგიდან გარსევან ჭავჭავაძე. ლაზარევმა უპასუხა, რომ გარსევან ჭავჭავაძე მალე ჩამოვიდოდა თბილისში. გენერალს მეფესთან ლაპარაკი ჯერ კიდევ არ დაესრულებინა, როცა მეფის საწოლში **დავით ბატონიშვილი** და თავადი **სოლომონ ლიონიძე** შემოვიდნენ. მეფე გიორგისა და ბატონიშვილ დავითის ურთიერთობა ბოლო ხანებში დაიძაბა. მეფე სახელმწიფო საქმეების თაობაზე უფრო ხშირად **იოანე ბატონიშვილს** ეთათბირებოდა, იოანეც ხშირად მოინახულებდა ხოლმე ავადმყოფ მამას. ამან ტახტის მემკვიდრე დავითი ძალზე გააღიზიანა და იგი ხშირად აღარ ჩნდებოდა მეფის რეზიდენციაში, იშვიათად შედიოდა მეფის საწოლში. მეფე გიორგიმ სოლომონ ლიონიძეზეც აიყარა გული, არ სიამოვნებდა, რომ დავით ბატონიშვილმა მრჩევლად ის გაიხადა. ბატონიშვილ დავითისა და სოლომონ ლიონიძის საწოლში შემოსვლა მეფეს არ ესიამოვნა. აშკარა იყო, რომ ივან ლაზარევისა და სოლომონ ლიონიძის თანდასწრებით მეფეს ტახტის მემკვიდრესთან საუბარი არ სურდა. სოლომონ ლიონიძემ მეფეს ჰკითხა:

- თქვენს უმაღლესობას ხომ არ სურს ტახტთან და სამეფოსთან დაკავშირებით რაიმე უბრძანოს მემკვიდრეს?

მეფემ სოლომონ ლიონიძის შეკითხვა უპასუხოდ დატოვა. ამის შემდეგ დავით ბატონიშვილი შეეკითხა მეფეს:

- როგორ არის თქვენი ჯანმრთელობა?
- ახლა მე ისე ჯანმრთელად ვარ, როგორსაც შენ არ ისურვებდი, – უპასუხა მეფემ ბატონიშვილს.

1800 წლის 27 დეკემბერს მეფე გიორგი აბსოლუტურად საღად აზროვნებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მის სხეულს სენი უკვე სრულად დაუფლებოდა. 28 დეკემბერს, დილის 11:00 საათზე ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII გარდაიცვალა.

გიორგი XII ისე გარდაიცვალა, რომ დავით ბატონიშვილთან შერიგება ვერ მოასწრო. ყველამ კარგად უწყოდა, თუ რა დიდი დრო და ენერჯია შეაღია მეფემ დავით ბატონიშვილის ტახტის მემკვიდრედ აღიარებას და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დავითი სამეფო ტახტზე ასულიყო. ამის სანაცვლო სიყვარული, ყურადღება და პატივისცემა მომაკვდავმა მეფემ მემკვიდრისაგან ვერ მიიღო. სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვულ მეფეს სხვაც ბევრი რამ უკლავდა გულს. მან ვერ მიაღწია სამეფო სახლის წევრთა შორის თანხმობისა და სიყვარულის დამკვიდრებას, ძმებმა მრავალგზის დაარღვიეს მისთვის მიცემული ფიცი. სიკვდილის წინ დარეჯან დედოფალმა რამდენჯერმე მოინახულა მეფე. ერთხელ მის საწოლთან მისულ დარეჯან დედოფალს მეფე ხელზე ემთხვია და უთხრა: „მე დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე...“.

1800 წლის 30 დეკემბერს გიორგი XII-ის ცხედარი სიონში გადაასვენეს. 1800 წლის 31 დეკემბერს ივან ლაზარევი კარლ კნორინგს მოახსენებდა, რომ სამეფო სახლის წევრებთან, დიდებულებსა და თბილისის მოსახლეობასთან ერთად გადასვენების პროცესიაში მონაწილეობდა რუსეთის ჯარის 3 ბატალიონი. დედოფალი მარიამი ლაზარევს სთხოვდა არ დაეჩქარებინათ მეფის დაკრძალვა. გენერალმა დედოფალს თხოვნა შეუსრულა. მეფე გიორგის ცხედარი სიონის ტაძრიდან გამოასვენეს და პროცესია მცხეთისაკენ გაუდგა გზას. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, მამის – ერეკლე II-ის – გვერდით დაკრძალეს.

გიორგი XII-მ სამეფო იმაზე გაცილებით მძიმე მდგომარეობაში დატოვა, ვიდრე ერეკლე II-მ: გართულებული საგარეო-პოლიტიკური ვითარება, ირანის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დალაშქრის საშიშროება, განხეთქილება სამეფო სახლში მძიმე მემკვიდრეობად ერგო უმეფოდ დარჩენილ ქართულ პოლიტიკურ ელიტას.

Wachtang Guruli

Diplomatie Georgs XII

(1798-1800)

Resümee

Im Artikel geht es um die Beziehungen des letzten Königs von Kartl – Kachetien Georgs XII. (1798-1800) zum Kaiserreich Russland. Es werden hier nämlich folgende Fragen behandelt: die Inthronisation Georgs XII. und seine ersten innenpolitischen und außenpolitischen Schritte; die Verschlechterung der außenpolitischen Lage von Kartl-Kachetien; Aggressive Pläne vom Iran; die Erneuerung der Beziehungen zwischen dem Königreich Kartl-Kachetien und dem Kaiserreich Russland; die Bittpunkte Georgs XII. (Note vom 16. Dezember 1798) an den Kaiser Russlands Paul I.; das Beglaubigungsscheiben Georgs XII. vom 7. September 1799 für die bevollmächtigten Vertreter des Königreiches Kartl-Kachetien am Kaiserlichen Hof Russlands; der neue politische Kurs des Kaiserreiches Russland im Kaukasus und im Iran; Russisch-persische Beziehungen und das Königreich Kartl-Kachetien; die Verschlechterung des Gesundheitszustandes Georgs XII. und die wachsenden innenpolitischen Unruhen; die Note Georgs XII. vom 24. Juni 1800 (die Bittpunkte) an den Kaiser Russlands; der Vortrag Apoll Musin-Puschkins vom 10. Dezember 1800 vor dem Kaiser Russlands; die Prüfung der Note vom 24. Juni 1800 durch die russische Regierung und deren Ergebnis; die Pläne des Kaiserlichen Hofes Russlands für die Zeit des Verscheidens Georgs XII.; das Manifest des Kaisers Russlands Paul I. vom 18. Dezember 1800 über die Aufhebung des Königreiches von Kartl-Kachetien und dessen Vereinigung mit dem Russischen Kaiserreich.

**რელიგიურ დღეობათა ტრანსფორმაციისა და პაგანიზმის კონკრეტული
მაგალითები სვანეთის ტრადიციული ყოფიდან**

ცნობილია, რომ სვანეთის ყოფამ დღემდე შემონახა მრავალი რელიგიური დღეობა. დღეობათა ტიპოლოგია იძლევა საინტერესო სურათს: დღესასწაულთა დიდი ნაწილი საეკლესიო კალენდართაა განპირობებული, არის ლოკალური ხასიათის დღესასწაულებიც – ამა თუ იმ ეკლესიის სატაძრო დღესასწაულები, ხოლო დღეობათა შედარებით მცირე ნაწილი ადგილობრივ ნიადაგზეა წარმოქმნილი და ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად არის დაწესებული (მაგალითად, ჰულიშ-ულიშ, ლიხვიში-ლიქვრეში, ლალხორა მიშლადედ და ა. შ.). მიუხედავად სხვადასხვა ისტორიისა, ყოველი დღეობა საეკლესიო კალენდარს მიჰყვება და აღნიშვნის თარიღების გამოთვლა დიდი საუფლო დღესასწაულების, ძირითადად კი აღდგომის მიხედვით ხდება, ზოგიერთ დღეობას კი უძრავი თარიღიც აქვს.

სვანეთის ტრადიციულ ყოფაში დასტურდება ისეთი დღესასწაულებიც, რომელთა სარიტუალო პრაქტიკის გენეზისის კვლევა საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივია. ნაშრომში წარმოდგენილია სწორედ ამ ტიპის ორი სვანური ხალხური დღეობის აღწერა და ანალიზი: დღეობების სახელწოდებებია „ჯგირგანაშობა“ და „საბიაშობა“.

„ჯგირგანაშობა“ და „საბიაშობა“ ლოკალურ დღეობათა რიცხვს მიეკუთვნება, ორივე მათგანი საეკლესიო ტრადიციებითაა განპირობებული, მაგრამ, სპეციალური კვლევის გარეშე, ამ დღეობების სახელწოდებები გაუგებარია და რთულია რიტუალის გენეზისის, ტრანსფორმაციისა და პაგანიზმის ეტაპების კვლევა.

„ჯგირგანაშობა“ ხალხური დღეობაა, მას აქვს ლოკალური ხასიათი და იმართებოდა ბეწოს თემის სოფელ ტეგებში. დღეობა აღინიშნება „ჰულიშ“-ობის სადღესასწაულო ციკლის შაბათ დღეს („ჰულშა სამტინ“) და დღეობის თარიღს გამოითვლიან „ჰულიშობის“ დღესასწაულის მიხედვით. „საბიაშობა“ აღინიშნებოდა ეცერის თემის განაპირას წელიწადში ორჯერ, ადგილზე, რომელსაც ჰქვია „საბიაშ“. ლოცვა წელიწადში ორჯერ იმართებოდა: ზაფხულში, ჰულიშობის ციკლის შაბათ დღეს და ზამთრობით, ბარბარობის მომყოლ დღეს, ანუ, 5 (18) დეკემბერს.

რა დღესასწაულია „ჰულიშობა“? „ჰულიშობა“ ხალხური დღეობაა. მას აღნიშნავენ სვანეთის ორივე ნაწილში, როგორც ზემო (მესტიის მუნიციპალიტეტი), ასევე ქვემო სვანეთში (ლენტეხის მუნიციპალიტეტი), ოღონდ ქვემო სვანეთში დღეობას „ულიშ“-ს უწოდებენ. დღეობა მყარად არის ჩართული ხალხურ დღესასწაულთა წლიურ ციკლში. მას გამოითვლიან საეკლესიო კალენდრის მიხედვით: დღეობა ერთი კვირით უნდა უსწრებდეს პეტრე-პავლობის მარხვის დაწყებას.

XIX-XX საუკუნეების მასალით „ჰულიშობა“ ხანგრძლივ დღესასწაულთა ციკლს მიეკუთვნებოდა, გრძელდებოდა ერთიდან ხუთ დღემდე¹. ჩვენი დროისათვის დღეობა ერთდღიანია და კვირაობით სრულდება მესტიაში, ნაკრაში, ფარში, ბეწოში, ლენტეხში, ლენტეხში და სხვ.

სადღესასწაულო ლოცვა მიმართული იყო დარისა და კარგი მოსავლიანობის დაბედებისაკენ. ცნობილია, რომ დარის დაბედებასა და ავდრისაგან (ქარიშხალი, სეტყვა, ზვავი, მეწყერი) დაცვას საქართველოში ყველგან და მათ შორის, სვანეთშიც, წმიდა ელია წინასწარმეტყველს ევედრებოდნენ და საეკლესიო კალენდრით დაწესებულ შესაბამის დღეს დღესასწაულობდნენ (ელიაობა/ილიაობა): ძველი სტილით 20 ივლისს (ახალი სტილით 2 აგვისტოს), რადგანაც ამ დღეს აღნიშნავდა ეკლესია წინასწარმეტყველ ილია თეზბიტელისა (IX ს. ქრისტეს შობამდე) ხსენების დღეს. შემდეგ უკვე ამას დაერთო წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძისა, 1907) ხსენების თარიღი.

¹ბესარიონ ნიჟარაძე. სახალხო დღესასწაულები სვანეთში. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. I. თბილისი, 1962, გვ. 64.

სვანეთში ელიაობა (ილიაობა) დიდი დღესასწაული იყო. მას ზეიმობდნენ არა მხოლოდ იმ სოფლებში, სადაც ილია წინასწარმეტყველის ეკლესიები მდებარეობდა (მაგალითად, ლენჯერი), არამედ ყველგან. ბუნებრივია, იბადება კითხვა – რამ განაპირობა კიდევ ერთი ამგვარი შინაარსის დღეობის დაწესების აუცილებლობა? მეცნიერთაგან პირველი ამ საკითხით დაინტერესდა დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე. მის მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალით, „*ძლიერ ადრე, ენგურის სათავეებში, მთიდან მოწყვეტილა საყინულე, სვანურად „ჰოლ“, ანუ „ვოლ“, ყინულს ენგური დაუგუბებია... მთელი სვანეთის სოფლები წაულეკავს. ამ უბედურების შემდეგ ხალხს, რომ იგი მეორედ არ გამეორდეს, დაუწესებია ეს დღესასწაული „ჰულიში“². აქ აღარ შევუდგები „ჰულიშობის“ დაწესებით აღწერას³, მას ეძღვნება ერთი კონკრეტული, უკვე გამოქვეყნებული ნაშრომი⁴. „ჰულიშობა“ ამ შემთხვევაში, საინტერესოა, როგორც „ჯგირვანაშობისა“ და „საბიაშობის“ (ერთი ვარიანტის) გამოთვლის ორიენტირი.*

„ჯგირვანაშობა“

შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით „ჯგირვანაშობა“ არქაული, თავდაპირველად ასტრალური, ხოლო შემდეგ – ნაყოფიერების ღვთაებად მიჩნეული – ბარბაქუს კულტის გამოძახილია⁵.

„ჯგირვანაშობის“ რიტუალი აღწერილი აქვს სოსო კვიციანს: „*ბენოს სასოფლო საბჭოს სოფელ ტეებიშის დასავლეთით, სასაფლაოსთან ახლოს... პატარა, ნახევრად დანგრეული ბაზილიკა... იქვე ორ მეტრაზე მოწყობილია ფიქალის ქვით დახურული კერია. ამ ბაზილიკას ადგილობრივი მოსახლეობა „ჯგირვანაშს“ უწოდებს, ხოლო დღეობას „ჯგირვანაშობას“. ივნისის თვეში ახალ მთვარეზე დღეობა ჰულიშობის წინა დღეს (რომელსაც ჰქვია ჰლაშა სამტინ) მდინარე ჰელდრას ზემოთ მცხოვრები სოფლის ქალები იკრიბებიან ამ დღეობაზე... მლოცველებს აქ მიჰქონდათ ყველი, ფქვილი, ამ დღისათვის ნაყიდი შესაწირავი ხბო. იმ ოჯახის ქალებს კი, რომლებსაც პირველი ხბომონაგები ძროხა ჰყავდათ, ახალ მთვარეზე ორშაბათის ნაწველი თოთო ყველი და კვირისთავი“⁶.*

რა არის კვირისთავი? ხალხურ ყოფაში არსებობდა ტრადიცია ბრტყელი, თხელი მომცრო ზომის ქვების გახვრეტისა, რომლებსაც ჰქონდათ სარიტუალო მნიშვნელობა: ქვების ნახვრეტში ქალები ჩააწვეთებდნენ იმ ძროხის პირველ რძეს, რომელიც პირველ ხბოს მოიგებდა. ამ წესის შესრულების შემდეგ ქვები (კვირისთავები) წმიდა ბარბარეს ეკლესიებთან მიჰქონდათ და იქ ტოვებდნენ. სვანეთში „კვირისთავი“-ს შეწირვის ტრადიცია უშუალოდ წმიდა ბარბარეს დღეობას და ეკლესიებს უკავშირდება.

ჯგირვანაშის ეკლესიასთან ქალების მიერ შესრულებული დღეობა მკაცრად საქალებო იყო, მასში მამაკაცები არ მონაწილეობდნენ. დღეობაზე თავს იყრიდნენ მოხუცი და ახლადდაქორწინებული ქალები. ისინი ეკლესიის მიმდებარედ აცხობდნენ ხაჭაპურებს, ლემზირებს⁷, ხარშავდნენ ხორცს, ამზადებდნენ ლეცვმარს⁸ და სხვ. ლოცვა და საერთოდ მთელი რიტუალი მიმართული იყო მსხვილფეხა საქონლის, კერძოდ კი ფურების განაყოფიერების და წველის მატებისაკენ. სოსო კვიციანს მოჰყავს ლოცვის ტექსტიც: „...*ბარბოლს დიდება. ბარბოლ! შენს მადლს, ამშვიდე, ამრავლე, კარგი წველა მიეცი მის მიმყოლ ადამიანებთან შენს მადლს, მადლიანო!*“⁹. ლოცვას წარმოთქვამდა სამი მოხუცი ქალი – „*ლემზირებითა და კვირისთავებით აღმოსავლეთისაკენ ხელებაპყრობილნი*“¹⁰. მლოცველები ლოცვის მონაწილე ყველა ქალს ამ სიტყვებით დალოცავდნენ. შემდეგ კი იმართებოდა პურობა.

²ბესარიონ ნიჟარაძე. სახალხო დღესასწაულები სვანეთში. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. I. თბილისი, 1962, გვ. 64-65.

³ჰულიშობის/ულიშობის დღესასწაულის თანმხლები ელემენტია დოლი. მაგალითად, მესტიის თემში სეტის წმიდა გიორგის ეკლესიიდან დროშა „ლემ“-ს გამოასვენებდნენ და იმართებოდა დოლი, დოლი იმართება ბენოს თემშიც, ლენჯერშიც, ნაკრაშიც, ფარშიც.

⁴როზეტა გუჯეჯიანი. ელიაობა სვანეთში.– კრებული „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“. IX. თბილისი, 2005, გვ. 50-71.

⁵ვერა ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. დროშა „ლემ“, მკელ-მადლი, მსე, XII-XIII. 1963, გვ. 147; იოსებ კვიციანი. სვანური დღეობა ჯგირვანაშობა.– ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, №34, 1974, გვ. 69.

⁶იოსებ კვიციანი. სვანური დღეობა ჯგირვანაშობა.– ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, №34, 1974, გვ. 68-69.

⁷ლემზირ ჰქვია სარიტუალო კვერს, იგი წარმოადგენს სეფისკვერის გახალხურებულ ვარიაციას სვანეთში.

⁸ამოხელილი ყველისა და ფქვილის ნაზავი.

⁹იოსებ კვიციანი. სვანური დღეობა ჯგირვანაშობა.– ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, №34, 1974, გვ. 68.

¹⁰იოსებ კვიციანი. სვანური დღეობა ჯგირვანაშობა.– ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, №34, 1974, გვ. 68.

სოსო კვიციანის დასკვნით, „როგორც შესაწირავი, ისე ლოცვის ტექსტი და რიტუალი მიგვანიშნებს, რომ დღეობა იმართებოდა მზის ქალღვთაების ბარბოლის – ქალბარბის სახელობაზე... მთელი ეს ცერემონიალი არქაული ჩანს და მესაქონლეობისა და მიწისმოქმედების ადრეული ხანიდან უნდა მომდინარეობდეს... მიუხედავად ასეთი არქაულობისა, დღეობაზე თავის კვალი დაუტოვებია ქრისტიანობას. ამ წარმართულ სალოცავზე ქრისტიანული ტაძარი აშენებულია და დღეობის სახელსაც, საფიქრებელია, ქრისტიანული იერი დაჰკრავს. ფიქრობენ, რომ ჯგირვანაშობა – ჯგირწმინდა იანის ან იოვანეს სახელს უკავშირდებოდას“⁴¹.

მკვლევარ სოსო კვიციანის ბოლო წინადადება, ჩემი აზრით, უადრესად საგულისხმოა. ეს მოსაზრება მიბიძგებს „ჯგირვანაშობის“ თავდაპირველი არსის ძიებისაკენ. საერთოდ, „ბარბოლ“-ის სახელზე შესრულებულ ლოცვას სვანეთში ყველგან ერთნაირი ხასიათი აქვს. მლოცველნი არიან ქალები, რომლებიც მიემართებიან წმიდა ბარბალეს/ბარბარეს ეკლესიებისაკენ და სალოცავის გვერდით არსებულ მინაშენში, ე. წ. ლაღბაშ-ში გამართულ კერძადას, აცხობენ შესაწირავ ღვინოს (სეფისკვერებს) – მარხვისას, ხოლო ხსნილში – ხაჭაპურებს. მლოცველები წმიდა ბარბალეს ოჯახის წევრების მშვიდობიანობას და ჯანმრთელობას, ასევე მეწველი საქონლის გამრავლებას და წველადობის გაზრდას შესთხოვდნენ. ამგვარი ლოცვა („ლიმზირ“) დღესაც ხშირია. ლაღბაშში არის ეკლესიასთან არსებული მინაშენი, სადაც სალოცავი ატრიბუტები მზადდება. ლაღბაშ-თან შესრულებულ ლოცვას, რომელსაც წინ უძღვის კვერების ან ხაჭაპურის გამოცხობა ლაღბაშ-ის კერაზე, ლიღბაშ-ში ჰქვია და ნიშნავს ქალების მიერ ამა თუ იმ ეკლესიის მინაშენთან შესრულებულ ლოცვას. ტერმინი საკმაოდ გამჭვირვალეა და „დიღბა“-იდან მომდინარეა⁴².

ცნობილია, რომ წმიდა ბარბარესადმი თავყვანისცემა სვანეთში მეტად ძლიერია. რწმენა-წარმოდგენების კვლევის დროს თვალსაჩინოა რელიგიური სინკრეტიზმის ნიშნები, ქრისტიანი წმინდანის ბარბარეს ხატება შეზრდილია ქრისტიანობამდელ ქართველთა ერთ-ერთ მთავარ ღვთაებასთან – მზის ქალღვთაების სახეობასთან⁴³. ბოლო ხანებში გამოქვეყნებულია სამეცნიერო კვლევები, რომლებშიც აქტუალიზებულია ბარბარობის დღეობისა და რწმენა-წარმოდგენების ქრისტიანული ინტერპრეტაციის ხალხური ასპექტები⁴⁴.

ჩნდება ბუნებრივი კითხვა, რატომ უნდა შესრულებულიყო „ბარბოლის“ სახელზე გამართული ლოცვა (რიტუალი) არა წმიდა ბარბარეს რომელიმე ეკლესიასთან, რომლებითაც ესოდენ მდიდარია სვანეთის სოფლები, არამედ სხვა წმინდანის სახელობის ეკლესიასთან – „ჯგირვანაშ“-თან? ტერმინი „ჯგირვანაში“ ხომ სრულიადაც არ არის „ბარბოლის“ იდენტური. რომელი წმინდანი იხსენიება სვანეთის ყოფაში „ჯგირვანაშ“-ად. ფაქტია, „ჯგირვანაში“ კომპოზიცია. მის პირველ ნაწილში გამოიყოფა ფუძე „ჯგირ“, მეორე ნაწილში – „(ი)ვან“, ხოლო –აშ, ცნობილია, რომ სვანურში დაბოლოებაა, კუთვნილების მანვენებელი. ნაგენეტივარ სახელთა სვანური ფორმანტია, შესატყვისი სალიტერატურო ქართული -ის-ა⁴⁵.

ფუძე „ჯგირ“-თან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული აკაკი შანიძეს სვანური ტერმინის „ჯგირავ“-ის ანალიზის დროს, აკაკი შანიძე „ჯგირავ“-ის პირველ ნაწილად გამოყოფს „ჯგირ“-ს. მისი დასკვნით, „ჯგირ“-ი სვანურშიც იხმარება და გამოიყენება ზმნის ფორმათა საწარმოებლადაც, „კურთხევის“ მნიშვნელობით: ლიჯგრი – კურთხევა, ლეჯგრი – დასაკურთხებელი“⁴⁶. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ „ჯგირვანაში“-ც ფუძე „ჯგირ“-ის შემცველია.

საინტერესოა, სვანეთის ყოფაში კიდევ რა დროს და რა კონტექსტში გამოიყენება ფუძე „ჯგირ“. ეს ფუძე შემდეგ სიტყვებში შემოგვრჩა: 1. ჯგირავ (წმ. გიორგი ან წმ. გიორგის სახელობის ეკლესია); 2. ლიჯგრი (კურთხევა); 3. ჯგირვანაშ (ტყეების ეკლესიის სახელი); 4. ჯგირვანაშობ (ჯგირვანაშის ეკლესიასთან გამართული ზემოთ აღწერილი დღეობა); 5. ჯგირევანი (სოფელ იელში შემონახულია მომცრო ეკლესია).

⁴¹ იოსებ კვიციანი. სვანური დღეობა ჯგირვანაშობა.– ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, №34, 1974, გვ. 68-69.

⁴² ნინო გაბულდანი. რამდენიმე საკრალური ტერმინის სემანტიკური ცვალებადობის შესახებ.– ჟურნალი „სვანეთმეცნიერო ძიებანი“, №11, თბილისი, 2001, გვ. 249-272.

⁴³ ვერა ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფილისი, 1939; ვერა ბარდაველიძე. სვანური საგალბოელი „ბარბალ დოლაში“.– ენიმკის მოამბე. V-VI. 1940; ვერა ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბილისი, 1941.

⁴⁴ ნინო მინდაძე, როზეტა გუჯუჯიანი. ერთი სვანური ხალხური დღეობის შესახებ (ლიქვრეში-ლიხვიდში-მეხრობი).– კრებული „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“. V. თბილისი, 2002, გვ. 238-257.

⁴⁵ კონსულტაციისათვის მადლიერებას გამოვხატავ პროფესორ ქეთევან მარგიანის მიმართ.

⁴⁶ აკაკი შანიძე. სვანური კულტის ტერმინი „ჯგირავ“.– ჟურნალი „მაცნე“, ენის... სერია, 2, 1973, გვ. 116.

თავისთავად საინტერესოა, მოექებნება თუ არა ტერმინ „ჯგირვანაშ“ პარალელები საქართველოს სხვა მხარეებში? ანდრო ლეკიაშვილის დაკვირვებით, მეგრულში არსებული ტერმინი „ჯგერაგუნა“ ორ სიტყვას აერთიანებს: მეგრულ სიტყვას „ჯგირ“-ს, რაც დღეისათვის კარგს, კეთილს ნიშნავს და „აგუნას“. მეცნიერის აზრით, „ჯგირ“ მეგრულში „ძველად წმინდასაც“ აღნიშნავდა. ე. ი. მეგრული ჯგერაგუნა იგივეა, რაც წმ. აგუნა... ეს ერთადერთი მაგალითია, როცა ქრისტიანული წმინდანის სახელს წინ უძღვის ეპითეტი „ჯგირ“. ჩვენ ვიცით მეორე მაგალითიც: ესაა **ჯგირი ივანე**, ამ სახელითაა ცნობილი სამეგრელოში იოანე მახარობელი. საგულისხმოა, რომ მას შეესატყვისება **სვანეთში ჯგირვანი, შესაბამისად, მისი დღეობის სახელწოდება ჯგირვანაში**¹⁷.

„ჯგირ“ ფუძის არსებობამ სვანურსა და მეგრულში, შესაძლოა, გვაფიქრებინოს ამ ფუძის მომდინარეობა საერთოქართული პერიოდიდან, თუმცა ეს საკითხი ეთნოლოგიური კვლევის კომპეტენციას სცილდება და ლინგვისტოა კვლევის სფეროშია მოქცეული.

სვანეთში გვაქვს იონა წინასწარმეტყველის, იოანე ნათლისმცემლის ან იოანე მახარებლის ეკლესიები (ან ნაეკლესიარები), მათი სახელები ხალხურ ყოფაში ითქმის, როგორც „იან“, „იანაშ“, „იენაშ“, „ნათელმცემელ“. გასარკვევია, ვისი სახელობისაა ეკლესია „ჯგირვანაში“ – იოანე წინასწარმეტყველისა, იოანე ნათლისმცემლისა თუ იოანე მახარებლისა. ჩემი აზრით, პასუხი მოცემულია **დღეობის თარიღში**. დღეობა ივნისის ბოლოს იმართებოდა, პეტრე-პავლობის მარხვის დაწყებამდე, წინა კვირაში. ივნისი ხალხურ კალენდარში „**ივანობისთველ**“ იწოდება, ვინაიდან ძველი სტილით **24 ივნისს** (ახ. სტ. 7 ივლისს) ქრისტიანული ეკლესია აღნიშნავს **იოანე ნათლისმცემლის შობის დღეს** – შობა პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესი. ცნობილია, რომ პეტრე-პავლობის მარხვა მთავრდება ახალი სტილით 11 ივლისს (ძველი სტილით, 28 ივნისი), მას მოჰყვება 12 ივლისის (ძველი სტილით, 29 ივნისი) დღესასწაული დიდებულთა და ყოვლადქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი (64) და პავლესი (67). ჯგირვანაშობა იმართებოდა, როგორც ითქვა, ივნისში, ახალ მთვარეზე, ჰულიშობის **შაბათ** დღეს. ანუ, თარიღი მიახლოებულია (მაგრამ არაზუსტია) იოანე ნათლისმცემლის შობის დღესთან.

ის ფაქტი, რომ სადღეობო რიტუალის პირვანდელი აზრი მივიწყებულია და მას წმიდა ბარბარესადმი ვედრების სახე აქვს მიღებული, შემდეგი მიზეზით აიხსნება: ხანგრძლივი დროის მანძილზე (ობიექტურ ისტორიულ გარემოებათა გათვალისწინებით) კანონიკურ სწავლებას მოკლებულ მოსახლეობას მიავიწყდა დღეობის თავდაპირველი არსი, იგი უფრო ფართოდ გავრცელებულმა და ყოფასთან მჭიდროდ გადაჯაჭვულმა – მესაქონლეობის ტრადიციებიდან გამომდინარე – წმიდა ბარბარეს ხატებამ გადაფარა.

„ჯგირვანაშობის“ მსგავსად, „საბიაშობის“ ორივე ლოცვაც „ბარბოლისადმია“ მიმართული. ვერა ბარდაველიძის მასალით, „საბიაშობ“-ს მართავდნენ ეცერელი ქალები იმავე „**ჰულშა სამტინ**“ დღეს, როდესაც ბეზოში „ჯგირვანაშობა“ აღინიშნებოდა, ქალები ასრულებდნენ ტრადიციულ ლიღბაშ-ის (3) რიტუალს, შინიდან წადებულნი ფქვილითა და ყველით ლაღბაშ-თან ხაჭაპურს აცხობდნენ და „ბარბოლსა“ და „ჰულშა სამტინ“-ს შესწირავდნენ მეწველი საქონლის გამრავლებისათვის¹⁸.

საველე-ეთნოგრაფიულმა კვლევამ გამოავლინა, რომ „საბიაშობა“ იმართებოდა ზამთრობითაც, ბარბარობის მეორე დღეს. მოხრობელებს თვითონ მიუღიათ მონაწილეობა ამ რიტუალში, მაგრამ ახსოვთ, რომ დღეობის აღნიშვნა XX ს-ის 40-იან წლებში შეწყვეტილა. მანამდე კი მლოცველი ქალები საბიაშისკენ გაუვალ თოვლშიც იკაფავდნენ გზას და „ბარბოლის“ სახელზე გამართულ „ლიმზირ“-ს (ლოცვას) აწყობდნენ¹⁹. მოხრობელებმა არ იცოდნენ, ვისი სახელობისა იყო ის ადგილი (საბიაში), ან რატომ ლოცულობდნენ იქ, მაგრამ მეტად ფასეული და მნიშვნელოვანია მათი ინფორმაცია დღეობის თარიღთან დაკავშირებით: როგორც ცნობილია ბარბარობის (17 (4) დეკემბერი) მომდევნო დღე საეკლესიო კალენდრის მიხედვით, ეძღვნება **ღირს მამასა და ღმერთმოსილს საბა განმწმენდილს (+532)**. 18 (5)

¹⁷ანდრო ლეკიაშვილი. წმინდა გიორგის ქართული კულტის საკითხისათვის.– „საენათმეცნიერო კრებული“, თბილისი, 1979, გვ. 149.

¹⁸ვერა ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბილისი, 1941, გვ. 14-15.

¹⁹როზეტა გუჯუჯიანი. საველე-ეთნოგრაფიული დღიური. 2003 წელი. მოხრობელები: ვარდო ზაქარიას ასული გურჩიანი, 79 წლის, რუსუდან ბესარიონის ასული საბანიძე, 65 წლის. მასალა ჩაწერილია მესტიის რაიონის ეცერის თემის სოფელ ბარში 2003 წლის ივლისში.

დეკემბერი მთელ საქართველოში „საბაობის“ სახელითაა ცნობილი. ეს დღეობა, მკვლევართა დაკვირვებით, განსაკუთრებით ფართოდ აღინიშნებოდა დასავლეთ საქართველოში და იგი „ბარბარობასთან იყო „გადაბმული“²⁰. საბიშის ტერიტორიაზე ძველად არსებული ეკლესია რომ, მართლაც, ღირსი მამის საბა განმწმენდელის სახელზე იყო აგებული, დასტურდება ამ ადგილის სვანური ტოპონიმითაც: ტერმინი „საბიაშ“ შეიცავს ფუძეს „საბ(ა)“-ს, ხოლო „-აშ“ ტრადიციული დაბოლოებაა, კუთვნილების მაჩვენებელი, როგორც არის მაგალითად, ლამარაშ (ასე ეძახიან ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებს), ბარბალაშ (წმ. ბარბალეს სახ. ეკლესია და მისი მიდამოები) და ა. შ. მოსაზრებას განამტკიცებს დღეობის თარიღიც, რადგან, „ცნობილია, რომ თითოეული ტაძარი შენდებოდა ...საღმრთო ისტორიის ამ თუ იმ მომენტის ან ამ თუ იმ კონკრეტული წმინდანის მოსახსენებლად. ტაძრის დღესასწაული კი ის დღეა, რომლის საგანგებო ზემოთ აღსანიშნავადაცაა ეს ტაძარი აგებული“²¹.

როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში, საბაობის აღნიშვნის ტრადიცია დავიწყებას მიეცა, მაგრამ ხალხურმა კალენდარმა შემოინახა ხსოვნა იმისა, რომ ბარბარობის მომყოფ დღეს, საბიაშშიც სრულდებოდა ღოცვა მირ ეს ხსოვნა თანდათანობით ტრანსფორმირდა „ბარბოლის“-ადმი თაყვანისცემის რიტუალად. რაც შეეხება ზაფხულის „საბიაშთან“ გამართულ „ლიბაშ“-ს, იგი უთუოდ მსგავსია სვანეთში შემონახული სხვა დღეობებისა, რომლებიც „ჭულშა სამტინ“-ის დღეს სრულდება და რიტუალი მიმართულია წმიდა ბარბარესადმი, წარმოადგენს საქალგობ ღოცვას. მლოცველები წმიდა ბარბარეს ევედრებოდნენ ოჯახის მშვიდობიანობას, მეწველი საქონლის გამრავლება და წველადობის გაზრდას.

ქართველ მთიელთა სულიერი კულტურის კვლევის ისტორიაში ფართოდაა წარმოდგენილი ხალხური რწმენა-წარმოდგენების არქაულობა და რელიგიური სინკრეტიზმი, მაგრამ, გარკვეულ ობიექტურ მიზეზთა გამო, ნაკლებადაა გამოვლენილი დღეობა-დღესასწაულთა ქრისტიანული ხასიათი, თუმცა, ცნობილია, რომ ქრისტიანული სარწმუნოება „უმნიშვნელო და ზედაპირული დაფენება კი არ არის მთიელთა რელიგიური სისტემისა, არამედ მისი ძირითადი და ორგანური კომპონენტისა, არამედ მისი ძირითადი და ორგანული კომპონენტი“²². რასაკვირველია, არ გამოირიცხება სვანეთის ხალხურ დღესასწაულებში რელიგიური სინკრეტიზმის ნიშნების არსებობა, მაგრამ, ამასთანავე, კვლევის ობიექტურობა მოითხოვს ყოველი რიტუალის კვლევას ისტორიული განვითარების დინამიკაში, ეპოქალური დანაშრევების გამოკვეთას და ტრანსფორმაციული პროცესების გამოვლენას. ჩვენი დროისათვის უკვე შესაძლებელია ტრადიციული სულიერი კულტურის სხვაგვარი, კერძოდ, ქრისტიანული ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც.

ამრიგად, ჩემი აზრით, „ჯვირვანაშობა“, „საბიაშობა“ წარმოადგენს ტრანსფორმირებულ რიტუალებს, როდესაც მივიწყებულია დღეობის პირვანდელი არსი და დღეობების კონკრეტული შინაარსი გადაფარულია სვანეთში ფართოდ გავრცელებული სწავლებით წმიდა ბარბარეს შესახებ. ეს არ არის გასაკვირი, რადგან საქმე გვაქვს ისტორიულ (კულტურულ) მეხსიერებასთან, რომელსაც ახასიათებს მოვლენების გაძარცვა კონკრეტული და ინდივიდუალური ნიშნებისაგან და იტოვებს მხოლოდ იმას, რაც ხალხისათვის განსაკუთრებით გასაგები და ნაცნობი კატეგორიებით არის გამოხატული²³. ისტორიული მეხსიერება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინახავს ფაქტებს, მაგრამ ხდება ფაქტების მკვეთრი მითოლოგიზება და გახალხურება²⁴. საყურადღებოა კლოდ ლევი-სტროსის მეთოდური ხასიათის მითითებაც, რომლის თანახმად, დღეს არსებული ფაქტებისა და მოვლენების მნიშვნელობის შესაფასებლად არაა საკმარისი ამ ფაქტებისა და მოვლენების წარმომავლობის დადგენა, არამედ, ამასთან ერთად, საჭიროა, გათვალისწინება და გააზრება აწმყოში არსებული მიზეზებისა, რომლებმაც განაპირობეს ფაქტებისა და

²⁰ნინო აბაკელია, ქეთევან ალავერდაშვილი, ნინო ღამბაშიძე. ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბილისი, 1991, გვ. 8.

²¹ექვთიმე კოჭლამაზაშვილი. სულთმოფენობა თუ სამეობა.– ჟურნალი „ჯვარი ვახისა“. 2. თბილისი, 1991, გვ. 28.

²²ანდრო ლეკიაშვილი. ქართველ მთიელთა რელიგიური გადმონაშთების ინტერპრეტაციისათვის.– ჟურნალი „მაცნე“. ისტორიის სერია. 1. 1985, გვ. 54.

²³М. Элиаде. Миф и история, кт. Космос и история, Избранные работы, Москва, 1987, стр. 55-64.

²⁴Jan Assmann. Collective Memory and Cultural Identity. Author(s): Jan Assmann and John Czaplicka Source: New German Critique, No. 65, Cultural History/Cultural Studies (Spring - Summer, 1995), pp. 125-133. Jan Assmann, *Moses The Egyptian: The Memory of Egypt In Western Monotheism* (Harvard University Press, 1997).

მოვლენების დღევანდელი სახით ფუნქციონირება²⁵. ე. ი. სვანეთის ტრადიციულმა საზოგადოებამ, რომლის ტრადიციული სულიერი კულტურა შედარებით მდგრადი, კონსერვატიული ბუნებითა და განსაკუთრებული რელიგიურობით გამოირჩეოდა, ვერ იგუა ორი კონკრეტული დღეობის გაქრობა დღესასწაულთა წლიური ციკლიდან, ხოლო ვინაიდან იმ კონკრეტულ დღეობათა ნამდვილი არსი უკვე დავიწყებული იყო, ხალხმა დღესასწაული შემოინახა იმგვარი ღოცვის („ლიმზირ“) შესრულებით, რომლის რიტუალი და დანიშნულება ყველაზე უფრო ნაცნობი და ხშირი იყო მორწმუნეებისათვის, ანუ დღეობა ტრანსფორმირდა წმიდა ბარბარესადმი მიმართულ ღოცვად.

Rozeta Gujejiani

Specific examples of transformation and paganization of religious holidays from Svans' traditional life

Summary

Everyday's life in Svaneti has kept up to day many religious folk festivals and rituals, major part of which is conditioned by church calendar, though there are local folk festivals, too – namely patronal festivals of one or another church. Relatively small part of feasts is originated on local ground and is created in commemoration of specific historical events (for instance, Hoolisch-oolish, Likhvdishi-likvreshi, Lalkhora mishladeg etc.). Each holiday is brought in line with church calendar and date calculation for their celebration occurs according to grand ecclesial feasts. Traditional life of Svaneti has kept even such holidays, study of genesis of ritual practice of which is very difficult and contradictory. Description and analysis of two particular Svan folk holidays of this type is represented in this work: they are called „Jgirvanashoba“ and „Sabiashoba“. On the basis of comparison of already existing description of both holidays and current situation the following state of things is showed up:

„Jgirvanashoba“ and „Sabiashoba“ are ranked among local holidays, since tradition of their celebration is kept only in two communities, while both of them are conditioned by church traditions.

Study of names and dates of these holidays showed up that „Jgirvanashoba“ is a folk form of festival devoted to Saint John the Baptist, during which the prayer was offered near the church of Saint John the Baptist (Jgirvanash), though in converted form the prayer is devoted to Saint Barbara. This holiday is celebrated on Saturday during folk holiday „Hoolishoba“.

There are known two variation of Sabiashoba. Summer variation is described by Vera Bagdavidze (on Saturday during the folk holiday “Hoolishoba”), while winter version is given in my materials (the second day of Saint Barbara's day). Both of them are celebrated in Etsera community, near the place called „Sabiash“. On the basis of comparison of holiday rituals and dates was showed up the primary essence of Sabiashoba: this holiday is established according to church calendar, is devoted to Saba Gantsmendili (+532), that is also confirmed by toponym „Sabiash“. The 18th (5th) of December is known throughout Georgia by the name of „Sabaoba“.

Holiday terminology is also noteworthy from linguistic viewpoint and obviously these data are taken into account in this work, too.

It is worth noticing the following kinds of holiday donations. Rules of cooking and donation of each of donations are displayed.

Both holidays are strictly segregated according to gender character and are meant for women.

The fact that primary idea of holiday rituals is forgotten and they take the form of prayer addressed to Saint Barbara, can be explained by following reason: for a long period (taking into account objective historical factors) the population deprived of the opportunity to get canonical education forgot the primary essence of

²⁵К- Леви-стросс. Структурная антропология, Москва, 1983, стр. 230.

holiday and it was overlapped by icon of Saint Barbara, which was far more extended and closely intertwined with everyday life – proceeding from cattle-breeding tradition.

The opinion is expressed that these holidays, despite their archaic image are originated on Christian ground and are extant in converted form – in the form of traditional prayer offered in favor of Saint Barbara.

Similar to „Jgirvanashoba“, the primary essence of the ritual of „Sabiashoba“ is forgotten and meaning of holiday, specific content of fests is overlapped by Saint Barbara’s doctrine widely extended in Svaneti. This is no wonder, since we deal with so-called collective memory, which is characterized by events’ alienation from specific and individual features and which only keeps the fact that is especially understandable for people and is expressed by familiar categories.

Information reflecting „Hulishoba“, the starting point for date calculation of this holiday is represented in details in the course of holidays’ analysis.

**ბერძნების აფხაზეთიდან გასახლების ისტორიისათვის
(1949-1955)**

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ცივი ომი დაიწყო. მსოფლიო ორ ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკად გაიყო. საბჭოთა კავშირი ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რათა ე. წ. სოციალისტური სისტემის ფარგლებში რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო აღმოჩენილიყო. განსაკუთრებული ბრძოლა დაიწყო საბერძნეთისათვის, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შედეგად თითქმის განადგურებული იყო. საბჭოთა კავშირი ცდილობდა რაღაც არ უნდა დაჯდომოდა საბერძნეთის „გაწითლებისათვის“ მიეღწია. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დროულად აამოქმედა ე. წ. „მარშალის გეგმა“ (1947 წ.), რომელიც მსოფლიო ომისგან დანგრეული ევროპის სახელმწიფოებისათვის ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობდა. მარშალის გეგმის ფარგლებში სერიოზული ფინანსური მხარდაჭერა მიიღო საბერძნეთმა. საბერძნეთი სოციალისტური სამყაროს მიღმა დარჩა. ამ გარემოებამ კიდევ ერთხელ უბიძგა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას დაეწყო ე. წ. „აგენტების“ ძებნა. მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ აფხაზეთში მცხოვრები ბერძნული მოსახლეობა. საბჭოთა საქართველოს (და საბჭოთა კავშირის) პოლიტიკური ხელმძღვანელობა ბერძნულ მოსახლეობას (და არა მარტო მათ) ერთგვარ საფრთხედ აღიქვამდა. ბერძნები კომპაქტურად ცხოვრობდნენ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. საბჭოთა უშიშროების სამსახურები მუდმივად ადევნებდნენ მათ თვალყურს და სწავლობდნენ ბერძნების პოლიტიკურ განწყობას¹.

1949 წლის 7 ივნისს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ჩხუბიანიშვილმა თხოვნით მიმართეს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იოსებ სტალინს, რათა საქართველოდან გაესახლებინათ რამდენიმე ეთნიკური უმცირესობა, მათ შორის ბერძნები აფხაზეთიდან. კრემლიდან დასტურმაც არ დააყოვნა, იოსებ სტალინი ნებას რთავდა საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთიდან გაესახლებინა ბერძნები. გასახლებულთა ქონება ადგილობრივ კოლმეურნეობებს უნდა გადასცემოდა².

1949 წლის 14 ივნისს, დილის 4 საათზე, დაიწყო სპეცოპერაცია კოდური სახელწოდებით „ტალღა“ და დასრულდა დილის 8 საათზე. გასახლებას დაექვემდებარა აფხაზეთში მცხოვრები ბერძნების 5619 ოჯახი, რომელთაგან 3989 იყო ბერძნული მოქალაქეობის მქონე, 1218 ოჯახი – ყოფილი ბერძნული მოქალაქეობის მქონე ან მოქალაქეობის საერთოდ არმქონე, 412 ოჯახი - ადრე ბერძნული მოქალაქეობის მქონე და იმდროისათვის კი საბჭოთა მოქალაქეობის მქონე. გასახლებულთაგან მამაკაცი იყო 7957, ქალი – 8224, ბავშვი – 7811, სულ – 23992 ადამიანი³.

სპეცოპერაციაში მონაწილეობდა 3945 ოპერატიული თანამშრომელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს 7159 ოფიცერი და ჯარისკაცი, საბჭოთა პარტიული აქტივის 14318 ადამიანი, გამოყენებული იყო 3303 ავტომანქანა⁴. ბერძნები შუა აზიაში დაასახლეს.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა ბერძნულმა ოჯახმა თვითონ გამოთქვა ნათესავებთან ერთად შუა აზიაში გადასახლების სურვილი. ასე რომ დამატებით 931 საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბერძნული ოჯახი გაასახლეს აფხაზეთიდან, აქედან 12 ოჯახი ქალაქ სოხუმიდან, სოხუმის რაიონიდან – 766 ოჯახი, გულირიფშის რაიონიდან – 134 ოჯახი, გუდაუთის რაიონიდან – 18 ოჯახი, გაგრის რაიონიდან – 1 ოჯახი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 20 ივნისის №675 ბრძანების საფუძველზე აფხაზეთიდან გასახლებული ბერძნების სახლებში

¹საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 7, საქმე 141, ფურცლები 1-4.

²საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 7, საქმე 141, ფურცლები 64-66.

³საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 7, საქმე 141, ფურცელი 42.

⁴საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 7, საქმე 141, ფურცელი 44.

ჩაასახლეს მოქალაქეები საქართველოს მცირემიწიანი ადგილებიდან (ძირითადად დასავლეთ საქართველოდან)⁵.

1953 წელს იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის ახალმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უსამართლოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაციის კურსი აიღო. თუმცა ეს პროცესი სერიოზული ნაკლოვანებებით მიმდინარეობდა და ის ყველას არ შეხებია. რეაბილიტაციის მოლოდინში მყოფმა ბერძნებმა დაიწყეს აფხაზეთში თვითნებური დაბრუნება⁶. დაბრუნებულები ითხოვდნენ მათი კუთვნილი სახლებისა და მეურნეობის დაბრუნებას. ბერძნების სახლებში ჩასახლებული მოსახლეობა უარს აცხადებდა საცხოვრებელი ფართის დათმობაზე, რადგან მათი განცხადებით ისინი ხუთი წელია ცხოვრობენ ამ სახლებში და საკუთარი მეურნეობაც შექმნეს. რაც მთავარია ისინი აცხადებდნენ, რომ ხელისუფლების ნებართვით იყვნენ ჩასახლებული და არა თვითნებურად. ასეთ ვითარებაში გახშირდა აფხაზეთში თვითნებურად დაბრუნებულ ბერძნებსა და მათ სახლებში ჩასახლებულ მოსახლეობას შორის შეხლა-შემოსხლა, ფიზიკური დაპირისპირება. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ადგილობრივი მილიცია უძლური იყო თავიდან აეცილებინა კონფლიქტის შემთხვევები. ასეთ ვითარებაში აფხაზეთის კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანმა გ. ქარჩავამ თხოვნით მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივან ვასილ მუჟანაძეს, რათა ამ უკანასკნელს ყველაფერი ედონა შუა აზიაში გადასახლებული ბერძნების აფხაზეთში თვითნებური დაბრუნების აღსაკვეთად⁷.

ილუსტრაციისათვის წარმოგიდგინო 1949 წელს აფხაზეთიდან გასახლებული ბერძნული მოქალაქეობის მქონე რამდენიმე ბერძენის სიას, რომლებიც საბჭოთა კავშირში რეაბილიტაციის პროცესის დაწყებისთანავე დაბრუნდნენ აფხაზეთში და ითხოვდნენ კუთვნილ საცხოვრისებს:

1. **სოკრატ ხარლამპის ძე კუბუსი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ ბერძნებს. მისი ქონება პირველადი აღწერით 670 მანეთს შეადგენდა, ხელმეორედ აღწერისას – 863 მანეთს. მის სახლში ჩაასახლეს რაჟდენ ფილიპეს ძე რეხვიაშვილის ხუთსულიანი ოჯახი ამბროლაურის რაიონიდან. რაჟდენ რეხვიაშვილმა დაიწყო ახალი სახლის მშენებლობა. სოკრატ კუბუსი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა გულირიფშის რაიონის სოფელ აზანთაში.

2. **სიმელა გიორგის ასული ზიგირტოვი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ ბერძნებს. არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მისმა ქონებამ პირველადი აღწერით შეადგინა 491 მანეთი, ხოლო ხელმეორედ აღწერისას – 1019 მანეთი. მის სახლში ჩაასახლეს ვასილ დიანოზის ძე გობეჯიშვილის ორსულიანი ოჯახი ამბროლაურის რაიონიდან. სიმელა ზიგირტოვი შუა აზიიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში.

3. **ქრისტეფორე იორდანეს ძე ხიონიდი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ ბერძნებს. არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მისმა ქონებამ პირველადი აღწერით შეადგინა 2010 მანეთი, ხოლო ხელმეორედ აღწერისას – 3077 მანეთი. მის სახლში ჩაასახლეს პლატონ ფილიპეს ძე რეხვიაშვილის ხუთსულიანი ოჯახი ამბროლაურის რაიონიდან. ქრისტეფორე ხიონიდი შუა აზიიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში.

4. **არისტიდ საბას ძე კარაცინიდი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ ბერძნებს. არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მისი ქონება არ აღწერილა. მის სახლში არავინ ჩაუსახლებიათ. მისი სახლი დანგრეულია. არისტიდ კარაცინიდი საქართველოში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში.

5. **გიორგი ივანეს ძე ეგოროვი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ ბერძნებს. არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მისმა ქონებამ პირველადი აღწერით შეადგინა 1150 მანეთი, ხოლო ხელმეორედ აღწერისას – 2135 მანეთი, მის სახლში ჩაასახლეს სერგო ლუკას ძე რეხვიაშვილის სამსულიანი ოჯახი ამბროლაურის რაიონიდან. სერგო რეხვიაშვილმა 1526 მანეთი დახარჯა სახლისა და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე. მართალია გიორგი

⁵საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 31, საქმე 221, ფურცლები 2-3.

⁶საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 31, საქმე 221, ფურცლები 16-17.

⁷საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 31, საქმე 221, ფურცლები 3-5.

ეგოროვი სოხუმის რაიადმასკომმა ჩაასახლა ხ. იონიდის სახლში, თუმცა ის ითხოვდა თავის სახლში დაბრუნებას.

6. **თეოფილე გიორგის ძე პოპანდოპულო**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს გაასახლეს საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებთან ერთად. არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მისმა ქონებამ შეადგინა 529 მანეთი. მის სახლში ჩაასახლეს სიმონ ივანეს ძე ჭალაძის ხუთსულიანი ოჯახი ამბროლაურის რაიონიდან. თეოფილე პოპანდოპულო საქართველოში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში.

7. **დიმიტრი ტრიანდოფილეს ძე იოანიდი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებს. არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მისმა ქონებამ პირველადი აღწერით შეადგინა 1205 მანეთი, ხელმეორედ აღწერისას – 2396 მანეთი, მის სახლში ჩაასახლეს სანდრო რევაზის ძე ჯელაძის ოთხსულიანი ოჯახი. სანდრო ჯელაძემ სახლისა და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე დახარჯა 1190 მანეთი. დიმიტრი იოანიდი საქართველოში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში.

8. **რუდენა მიხეილის ასული ხიონიდი**, შვილთან ნიკიტა არისტიდის ძესთან ერთად ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს გაასახლეს საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებთან ერთად. არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მისმა ქონებამ პირველადი აღწერისას შეადგინა 1217 მანეთი, ხოლო ხელმეორედ აღწერისას – 1887 მანეთი, მის სახლში ჩაასახლეს რაქდენ გიორგის ძე რეხვიაშვილის შვიდსულიანი ოჯახი ამბროლაურის რაიონიდან, რომელმაც სახლისა და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე დახარჯა 4482 მანეთი.

9. **საბა გიორგის ძე უსტაბაშიდი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებს. არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მისმა ქონებამ ხელმეორედ აღწერისას შეადგინა 965 მანეთი, მის სახლში ჩაასახლეს მათე გლახუს ძე გობეჯიშვილის სამსულიანი ოჯახი ამბროლაურის რაიონიდან. აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ საბა უსტაბაშიდი ცხოვრობდა სოხუმის რაიონის ბესლეთის სასოფლო საბჭოში, მუშაობდა კირის ქარხანაში.

10. **გიორგი ხარლამპის ძე კაზანჯიდი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებს. არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მისმა ქონებამ პირველადი აღწერით შეადგინა 895 მანეთი, ხელმეორედ აღწერისას – 2744 მანეთი, მის სახლში ჩაასახლეს სერგო ონისიმეს ძე რეხვიაშვილის სამსულიანი ოჯახი ამბროლაურის რაიონიდან. სერგო რეხვიაშვილმა სახლისა და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე დახარჯა 1480 მანეთი. გიორგი კაზანჯიდი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა სოხუმის რაიონის ბესლეთის სასოფლო საბჭოში, მუშაობდა კირის ქარხანაში.

11. **პანაიოტ ხარლამპის ძე კაზანჯიდი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებს. არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მისმა ქონებამ პირველადი აღწერით შეადგინა 1840 მანეთი, ხელმეორედ აღწერისას – 1980 მანეთი, მის სახლში ჩაასახლეს ფედოსია ლუკას ასული გოგრიჭიანის სამსულიანი ოჯახი ამბროლაურის რაიონიდან, მან სახლის კეთილმოწყობაზე დახარჯა 720 მანეთი. პანაიოტ კაზანჯიდი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა სოხუმის რაიონის ბესლეთის სასოფლო საბჭოში.

12. **ელისე ივანეს ძე ჯომიადი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებს. არ არსებობს მისი წერილობითი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მისმა ქონებამ ხელმეორედ აღწერისას შეადგინა 2868 მანეთი, მის სახლში ჩაასახლეს ნესტორ ქრისტეფორეს ძე რეხვიაშვილის ექვსსულიანი ოჯახი ამბროლაურის რაიონიდან, რომელმაც სახლისა და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე დახარჯა 1576 მანეთი. ელისე ჯომიადი ცხოვრობდა ქალაქ ტაშკენტში.

13. **ივანე ხარლამპის ძე მისტაკოპულო**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს გაჰყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებს. არ არსებობს მისი წერილობითი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მისმა ქონებამ

პირველადი აღწერით შეადგინა 590 მანეთი, ხოლო ხელმეორედ აღწერისას – 2981 მანეთი, მის სახლში ჩაასახლეს გივი იოსების ძე ჭალაძის ოჯახი ამბროლაურის რაიონიდან, რომელმაც სახლისა და სხვა შენობა-ნაგებობების კეთილმოწყობაზე დახარჯა 1430 მანეთი. ივანე მისტაკოპულო საქართველოში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქობულეთის რაიონის სოფელ დაკვაში.

14. **ელენე პავლეს ასული კუბუსი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებს. არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მისი ქონების აღწერა არ განხორციელებულა. მის სახლში ჩაასახლეს სიმონ პავლეს ძე გოგრიჭიანის ოთხსულიანი ოჯახი ამბროლაურის რაიონიდან, რომელმაც სახლისა და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების კეთილმოწყობაზე დახარჯა 1834 მანეთი.

15. **ნიკოლოზ დიმიტრის ძე ატმაჯიევი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებს. არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მის სახლში ჩაასახლეს ნიკოლოზ მიხეილის ძე გოგრიჭიანის სამსულიანი ოჯახი ამბროლაურის რაიონიდან, რომელმაც სახლისა და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე დახარჯა 1490 მანეთი. ნიკოლოზ ატმაჯიევი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქალაქ სოხუმში.

16. **ეფროსინე ესტატეს ასული მისტაკოპულო**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებს. არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მის სახლში ჩაასახლეს შალვა ილიას ძე ჭელიძის რვასულიანი ოჯახი ამბროლაურის რაიონიდან, რომელმაც 1220 მანეთი დახარჯა სახლისა და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე. ეფროსინე მისტაკოპულო აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქალაქ სოხუმში ორჯონიკიძის ქუჩა №42-ში.

17. **გიორგი თევდორეს ძე პანტელიდი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებს. არ არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მის სახლში ჩაასახლეს ივანე მარკოზის ძე მაისურაძის ოთხსულიანი ოჯახი ონის რაიონიდან, რომელმაც სახლისა და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე დახარჯა 172 მანეთი. გიორგი პანტელიდი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა გულირიფშის რაიონის სოფელ ფშაფში.

18. **სოფია ნიკოლოზის ასული მურატოვა**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებს. არ არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მის სახლში ჩაასახლეს ვასიკო კირილეს ძე მაისურაძის ოჯახი ონის რაიონიდან, რომელმაც სახლისა და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე 2800 მანეთი დახარჯა. სოფია მურატოვა აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქალაქ სოხუმში კიროვის ქუჩა №60-ში.

19. **ანდრო ანდროს ძე ხარლამპიდი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებს. არ არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. ხელმეორედ აღწერისას მისმა ქონებამ 1538 მანეთი შეადგინა, მას თანხა არ მიუღია. მის სახლში ჩაასახლეს ანთიმოზ ზაქარიას ძე მაისურაძის რვასულიანი ოჯახი ონის რაიონიდან, რომელმაც სახლისა და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე 2560 მანეთი დახარჯა. ანდრო ხარლამპიდი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქალაქ სოხუმში საქართველოს შოსე №332-ში.

20. **ესტატე პეტრეს ძე ანასტასიადი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებს. არ არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. ხელმეორედ აღწერისას მისმა ქონებამ 2626 მანეთი შეადგინა, მას გადაუხადეს მხოლოდ 334 მანეთი. მის სახლში ჩაასახლეს ვახტანგ ტრიფონის ძე მაისურაძის ოთხსულიანი ოჯახი ონის რაიონიდან, რომელმაც სახლისა და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე 1050 მანეთი დახარჯა. ესტატე ანასტასიდი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქალაქ სოხუმში საბჭოთა ქუჩის №56-ში.

21. **ივანე ადამის ძე ხარლამპიდი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ის ნებაყოფლობით გაჰყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძნებს. არ არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. პირველადი აღწერით მისმა ქონებამ შეადგინა 1604 მანეთი, რაც მას არ მიუღია. მის სახლში ჩაასახლეს რაჟდენ ნიკოლოზის ძე უგრეხელიძის რვასულიანი ოჯახი ცაგერის რაიონიდან, რომელმაც სახლისა

და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე 8099 მანეთი დახარჯა. ივანე ხარლამპიდი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქალაქ სოხუმში საქართველოს შოსე №332/9-ში.

22. **ესტატე გიორგის ძე ანასტასიადი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. 1949 წელს ნებაყოფლობით გააყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძენებს. არ არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. პირველადი აღწერით მისმა ქონებამ 1425 მანეთი შეადგინა, რაც მას არ მიუღია. ხელმეორედ აღწერისას მისმა ქონებამ 2448 მანეთი შეადგინა. ესტატე ანასტასიადის სახლში ჩაასახლეს ნიკოლოზ მიხეილის ძე უგრეხელიძის ათსულიანი ოჯახი ცაგერის რაიონიდან, რომელმაც სახლისა და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე 11797 მანეთი დახარჯა. ესტატე ანასტასიადი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქალაქ სოხუმში შერვაშიძის №61-ში.

23. **ილია ნიკოლოზის ძე ხარტომაჯიდი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ კელასურში. 1949 წელს ნებაყოფლობით გააყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძენებს. არ არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. პირველადი აღწერით მისმა ქონებამ 3000 მანეთი შეადგინა, რაც მას არ მიუღია, ხელმეორედ აღწერისას მისმა ქონებამ 2932 მანეთი შეადგინა. მის სახლში ჩაასახლეს ალექსანდრე კონსტანტინეს ძე კოპალიანის ხუთსულიანი ოჯახი ცაგერის რაიონიდან, რომელმაც სახლისა და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე 13746 მანეთი დახარჯა. ილია ხარტომაჯიდი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა გულირიფშის რაიონში.

24. **ვასილ ხარლამპის ძე პასხალიდი**, ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ კელასურში. ის 1949 წელს ნებაყოფლობით გააყვა გასახლებულ საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე ბერძენებს. არ არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. პირველადი აღწერით ვასილ პასხალიდის ქონებამ 2250 მანეთი შეადგინა, რაც მას არ მიუღია, ხელმეორედ აღწერისას მისმა ქონებამ 3644 მანეთი შეადგინა. მის სახლში ჩაასახლეს თებრო ვასილის ასული კოპალიანის ოთხსულიანი ოჯახი ცაგერის რაიონიდან, რომელმაც 20088 მანეთი დახარჯა ახალი სახლის მშენებლობისა და სხვა საჭიროებისათვის. ვასილ პასხალიდი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა სოხუმის რაიონის სოფელ კელასურში.

25. **ანასტასი კონსტანტინეს ძე კონსტანტინიდი**, ცხოვრობდა ქალაქ სოხუმში ყაზბეგის ქუჩაზე. 1949 წელს ის გაასახლეს. არ არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. პირველადი აღწერით მისმა ქონებამ 2305 მანეთი შეადგინა, ხოლო ხელმეორედ აღწერისას – 11733 მანეთი. მის სახლში ჩაასახლეს ნ. ვეკუას ოთხსულიანი ოჯახი, რომელმაც სახლის რემონტზე 13524 მანეთი დახარჯა. ანასტასი კონსტანტინიდი ცხოვრობდა ქალაქ სამარყანდში ინტერნაციონალის ქუჩა №4-ში.

26. **ანდრო ივანეს ძე მისტაკიდი**, ცხოვრობდა ქალაქ სოხუმში გორის ქუჩა №15-ში. 1949 წელს ის გაასახლეს, თუმცა არ არსებობს მისი თხოვნა ნებაყოფლობით გასახლებაზე. მისი ქონება 973 მანეთად შეფასდა. მის სახლში ჩაასახლეს ექიმ გ. ნადარეიშვილის ოთხსულიანი ოჯახი, რომელმაც სახლისა და სხვა ნაგებობების კეთილმოწყობაზე 4542 მანეთი დახარჯა. ანდრო მისტაკიდი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქალაქ სოხუმში გულიას ქუჩა №80-ში.⁸

აფხაზეთში თვითნებურად დაბრუნებული ბერძენების 259 ოჯახი დარჩა საცხოვრებელი ფართისა და სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გარეშე.

1953 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პროკურატურიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივან ვასილ მჟავანაძეს საიდუმლოდ გაეგზავნა წერილი, რომელშიც საუბარი იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მხრიდან კანონების უხეში დარღვევით აფხაზეთიდან ბერძენი მოსახლეობის გასახლებაზე.

1955 წლის 12 აპრილის სხდომაზე საქართველოს კპ (ბ) ცკ ბიუროს სხდომამ (ოქმი 68) განიხილა 1949 წელს აფხაზეთიდან გასახლებული საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბერძენების საკითხი (მომხსენებლები: ალატორცევი, მიწიური, გოცირიძე, ჩუბინიძე, ჯავახიშვილი, გეორგაძე, ლაბახუა, კუჭავა, ინაური, გუნია, ლელაშვილი, გეგეშიძე, ჯანელიძე, არშბა, სეხნიაშვილი, მჟავანაძე) და დაადგინა დაბრუნებულიყვნენ აფხაზეთში

⁸საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 31, საქმე 221, ფურცლები 6-15.

უკანონოდ გასახლებული საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბერძნები და დაევალა „საქადასახლებმშენს“ აეშენებინა მათთვის სახლები. ბიურომ დაავალა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ კომისიას, საქართველოს სსრ პროკურორს თოფურაძეს და აფხაზეთის ასსრ პროკურორს ლომინაძეს გაერკვიათ 1949 წელს აფხაზეთიდან საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბერძნების უკანონო გასახლებაში დამნაშავე პირები, რათა მათი პარტიული პასუხისმგებლობისა და სისხლის სამართლის საკითხი დაეყენებინათ დღის წესრიგში⁹.

1955 წლის 4 აგვისტოს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვასილ მუჟანაძემ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილმა თხოვნით მიმართეს საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რათა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკიდან უსახლკარო დარჩენილი ბერძნების 259 ოჯახისათვის გამოეყოთ 518 ათასი მანეთი. თხოვნა დაკმაყოფილდა¹⁰, რის შემდეგ ბერძნებსა და აფხაზეთის ადგილობრივ მოსახლეობას შორის ინციდენტებმა იკლო.

ამდენად, 1949 წელს უკანონოდ განხორციელდა აფხაზეთიდან საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბერძენი მოსახლეობის გასახლება. იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის ახალმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უკანონოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაცია დაიწყო, თუმცა ეს პროცესი არასრულყოფილად წარიმართა. ასეთ ვითარებაში ბერძნებმა დაიწყეს თვითნებური დაბრუნება აფხაზეთში. გახშირდა ინციდენტები დაბრუნებულ ბერძნებსა და მათ სახლებში ჩასახლებულთა შორის. საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთში დაბრუნებული ბერძნებისათვის ახალი საცხოვრებელი ფართების გადაცემის შესახებ. ამით პრობლემა გადაიჭრა და ინციდენტებმაც იკლო.

Levan Jikia

History of expulsion of Greeks from Abkhazia

(1949-1955)

Summary

On the 7th of June, 1949 the political government of the Soviet Georgia applied with request to Mr. Ioseb Stalin, the chairman of Council of Ministers of the Soviet Union in order to give permission to evict some ethnic minorities from Georgia, including Greeks - from Abkhazia. The approval for Kremlin was sent immediately and respectively on the 14th of June, 1949 at 4 o'clock a.m. the special operation with the code name "Wave" was launched which finished at 8 o'clock a.m. As a result of the special operation 5619 Greek families were evicted from Abkhazia. It is important to be mentioned that several Greek households expressed a wish themselves to be expelled with their relatives in the middle Asia. So the extra 931 Greek households having the soviet citizenship were evicted from Abkhazia. In the houses of the deported families Georgian citizens from different regions were settled down.

In 1953 after the death of Mr. Ioseb Stalin the new political government of the Soviet Union began rehabilitation process of illegally repressed persons but it did not refer to everyone. The Greeks waiting for return started to come back in Abkhazia by themselves. They demanded to give back illegally deprived houses. In such circumstances the conflicts and physical resistances between the Greeks willfully returned in Abkhazia and the population settled in their houses frequented. The situation was such tensioned that the local police was powerless to avoid conflict incidents.

On the 4th of August, 1955 Georgian political government applied with request to the political government of the Soviet Union in order to allocate 518 thousand rouble from the public bank of the Soviet Union for homeless Greeks. The request was satisfied after which the number of incidents between the Greeks and the local population of Abkhazia was reduced.

⁹საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 30, საქმე 53, ფურცლები 9-10.

¹⁰საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 31, საქმე 221, ფურცლები 2-3.

ერთი აქტუალური პრობლემის ბამო, ანუ დავა უდავო საკითხზე

ქართულმა ისტორიოგრაფიამ პოსტსაბჭოთა სივრცეში, პირველმა თუ არა, ერთ-ერთმა პირველმა დასვა საკითხი მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვის თაობაზე. ეს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი პლიუსია. მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვის აუცილებლობას არაფერ უარყოფდა. მკაფიოდ გამოიკვეთა საკითხისადმი ორი მიდგომა. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი კატეგორიულად უარყოფს მსოფლიო ისტორიის მარქსისტულ პერიოდიზაციას და მხარს უჭერს მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის ევროპული მოდელის აღდგენას. „ჩვენ პირადად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყოველგვარი ორიგინალობის და ნოვაციების გარეშე საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მსოფლიო ისტორიის სწავლებისას შემოღებული იქნას ის პერიოდიზაცია, რომელიც მიღებულია ცივილურ სამყაროში. ძველ ისტორიას და შუა საუკუნეების ისტორიას შორის მიჯნას წარმოადგენს ქრისტიანობის გავრცელება, გერმანელი ტომების შემოსევები, დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა. შუა საუკუნეების და ახალ ისტორიას შორის ზღვარია რენესანსი, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, რეფორმაცია. ახალ და უახლეს ისტორიას შორის მიჯნად, ჩვენი აზრით, ყველაზე უმჯობესი იქნებოდა ავიღოთ პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი“¹. აქ მსოფლიო ისტორიის მარქსისტულ პერიოდიზაციის კატეგორიულ უგულვებლყოფასთან გვაქვს საქმე. ამ პერიოდიზაციაზე აგებული პროფ. კოტე ანთაძის რედაქციით, 90-იან წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები². ეს ხაზი გავაგრძელებთ ჩვენს შრომებში და ვცადეთ მოგვეცა ევროპის ცალკეული ქვეყნების, საერთაშორისო ურთიერთობების, ისტორიული აზროვნების და მსოფლიო ისტორიის ცალკეული საკვანძო საკითხების პერიოდიზაცია³. ეს არის ერთი მიდგომა. არსებობს სულ სხვა თვალსაზრისიც. ასეთი აზრთა სხვადასხვაობა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული თავისუფალი აზროვნების, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალგვარიანტული

¹კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი. ისტორიის პერიოდიზაციისთვის.– შურნალი „მაცნე“, ისტორიის სერია, №2, 1992, გვ. 34; მ. კალანდაძე. მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში. თბილისი, 2007, გვ. 73; კ. ანთაძე, კ. მეშველიანი, მ. კალანდაძე. მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხი.– შურნალი „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, №1-2, თბილისი, 1992. გვ. 10; **М. Каландадзе**. Грузинские школьные учебники по новой истории.– „Преподавание истории в школе“, №7, 1994, გვ. 38.

²ქ. თვალთაშვილი, ც. ჩიკვაძე. ძველი მსოფლიოს ისტორია. VI კლასის სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა). თბილისი, 2005; კ. ანთაძე, ლ. ფირცხალავა. შუა საუკუნეების ისტორია. მე-7 კლასის სახელმძღვანელო. მეორე გამოცემა. თბილისი, 2000; კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი. ახალი ისტორია. VIII კლასის სახელმძღვანელო. მეორე გამოცემა. თბილისი, 2000; გ. ბოლოთაშვილი, ნ. კიდურაძე, ე. მეძმარიაშვილი. უახლესი ისტორია. IX კლასის სახელმძღვანელო. თბილისი, 1997; მ. კალანდაძე, ნ. მამუკელაშვილი, ლ. ფირცხალავა. ისტორია. X კლასი. თბილისი, 2001, 1997.

³მ. კალანდაძე. გერმანიის ისტორიის პერიოდიზაცია.– შურნალი „კლიო“, №17, 2003; მ. კალანდაძე. საფრანგეთის ისტორიის პერიოდიზაცია.– შურნალი „კლიო“, №20, 2003; მ. კალანდაძე. ინგლისის ისტორიის პერიოდიზაცია.– შურნალი „კლიო“, №21, 2004; მ. კალანდაძე. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის პერიოდიზაცია.– შურნალი „კლიო“, №25, 2005; მ. კალანდაძე. იტალიის ისტორიის პერიოდიზაცია.– შურნალი „კლიო“, №27, 2005; მ. კალანდაძე. ესპანეთის ისტორიის პერიოდიზაცია.– შურნალი „კლიო“, №29, 2006; მ. კალანდაძე. რუსეთის ისტორიის პერიოდიზაცია.– კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ნაკვეთი 3. თბილისი, 2008; მ. კალანდაძე. გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბილისი, 2002; კ. ანთაძე, მ. კალანდაძე. საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბილისი, 2005; მ. კალანდაძე. ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბილისი, 2005; მ. კალანდაძე. დიპლომატიის ისტორიის პერიოდიზაცია.– ქართული დიპლომატია. წელიწადეული 10. თბილისი, 2003; მ. კალანდაძე. ქართული დიპლომატიის ისტორიის პერიოდიზაცია.– ქართული დიპლომატია. წელიწადეული 11. თბილისი, 2004; მ. კალანდაძე. ისტორიული აზროვნების განვითარების პერიოდიზაცია.– კრებული მიძღვნილი ვახტანგ ნანიტაშვილის ხსოვნისადმი. თბილისი, 2005; თ. ანთაძე, მ. კალანდაძე. ნაპოლეონ ბონაპარტის ცხოვრების და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები.– საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები. ტ. IV. თბილისი, 2015; მ. კალანდაძე. ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის პერიოდიზაციის თაობაზე.– გელათის მეცნიერებათა აკადემიის შურნალი, №9-10, 2015.

მიდგომის, ლოგიკური შედეგია. მეორე შეხედულებას ერთგვარი კომპრომისული ელფერი დაკრავს. აქ მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვა სანახევრო, ზედაპირულ, პალიატურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ დეკლამაციის დონეზე ხდება. მეორე მიდგომის მთავარ ტონისმიმცემად ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პროფ. გივი ჟორდანია მოგვევლინა.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი საინტერესო სტატია „შენიშვნები, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხებზე“⁴, რომელიც დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთში. ის არ უარყოფს მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვის აუცილებლობას. შუა საუკუნეებს და ახალ ისტორიას შორის მიჯნად ის იღებს XV საუკუნის მიწურულს და XVI საუკუნის დასაწყისს. ეს იყო სწორი ხედვა, მაგრამ ის რატომღაც თავს იკავებს აქედან ახალი ისტორიის დაწყებაზე და მიზანშეწონილად ესახება ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდის გამოყოფა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებამდე (1492-1789). საკითხისადმი ფორმაციული მიდგომის დაძლევის მცდელობა ამ თემაზე მისი მსჯელობის პლიუსია. საკითხისადმი ფორმაციული მიდგომა არ ცნობდა გარდამავალ ხანას. ამგვარი ხედვა სიახლის შემცველი იყო, მაგრამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა საკამათო შეიძლება იყოს და დამაჯერებლად არ მიგვაჩნია. ხომ არ ვართულებთ საქმეს? აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდის (1492-1789 წლები) გამოყოფა სრულიად ზედმეტად გვეჩვენება. საფრანგეთის დიდი რევოლუციით ახალი დროის ისტორიის დაწყება დაგვიანებული უნდა ჩანდეს და ძალიან უახლოვდება მსოფლიო ისტორიის სტალინურ პერიოდიზაციას. ამიტომ ამგვარი მიდგომა, ჩვენი აზრით, მსოფლიო ისტორიის სტალინური პერიოდიზაციის რეანიმაციის ფარულ მცდელობად აღიქმება და პრინციპულად მიუღებელია. ეს არ არის არავითარი გარდამავალი პერიოდი. ეს არის ადრეული ახალი დრო (1492-1789 წწ.), როგორც ეს მიღებულია ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესებზე, სიმპოზიუმებზე, კონფერენციებზე, სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში, სამეცნიერო ლიტერატურაში.

აღნიშნულ საკითხზე თავისი აზრი გამოთქვა ისტორიკოსმა პროფესორმა აკაკი გეთიაშვილმა. ამ თემასთან დაკავშირებით მისი პოზიცია საინტერესოა, მაგრამ საკამათოა. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემისადმი მისი მიდგომა არათანმიმდევრულად მიგვაჩნია. საქმე ისაა, რომ მან ჯერ კიდევ 2000 წელს კრებულში „შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები“ გამოაქვეყნა პოლემისტური ხასიათის ნაშრომი „რამდენად მისაღებია ეს ქრონოლოგია, ანუ განა უნდა დავუბრუნდეთ XV საუკუნეს?“⁵ აქ ის, როგორც სათაურიდანაც კარგად ჩანს, ფაქტობრივად, უპირისპირდება იმ ნოვაციებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში და ითვალისწინებდა მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადახედვას. შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაშრომში იგი არსებითად ახალს არაფერს ამბობს და მხარს უჭერს ძველ ვერსიას, რომ შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად დავტოვოთ XVII საუკუნის შუა ხანები. „აქედან გამომდინარე, სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი და მისი პროგრამა მსოფლიო ისტორიაში, ჩვენი აზრით, შუა საუკუნეების ეპოქას უნდა განსაზღვრავდეს შემდეგი ქრონოლოგიით: დასაწყისი მთელი V საუკუნე, დასასრული, დაახლოებით XVI საუკუნის ბოლო და XVII საუკუნის დამდეგი (კონკრეტული ქვეყნის, რეგიონის, კონტინენტის გათვალისწინებით). სხვანაირად შუა საუკუნეების ისტორიას, როგორც ერთიან ეპოქას მთლიანობაში ვერ აღიქვამს და ვერ გაიაზრებს ვერც ფართო მკითხველი და მით უმეტეს ვერც VII კლასის მოსწავლე“⁶. აქ, ფაქტობრივად, გულისხმობს XVII საუკუნის შუა ხანების

⁴გ. ჟორდანია. შენიშვნები მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხზე – „თბილისის უნივერსიტეტი“, 1991 წლის 29 ნოემბერი.

⁵ა. გეთიაშვილი. რამდენად მისაღებია ეს ქრონოლოგია, ანუ განა უნდა დავუბრუნდეთ XV საუკუნეს? – „შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები“. ნაკვეთი II. თბილისი, 2000, გვ. 5-11.

⁶ა. გეთიაშვილი. რამდენად მისაღებია ეს ქრონოლოგია, ანუ განა უნდა დავუბრუნდეთ XV საუკუნეს? – „შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები“. ნაკვეთი II. თბილისი, 2000, გვ. 10.

ინგლისის რევოლუციას, მაგრამ ამას არ აკონკრეტებს და ძალზე ბუნდოვნად, ზოგადი ფრაზეოლოგიით შემოიფარგლება. ამგვარი მიდგომა ახალი არაა და გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მსოფლიო ისტორიის მარქსისტულ პერიოდიზაციას. რითი განსხვავდება იგი მარქსისტული მიდგომისაგან? ვფიქრობთ, არაფრით. პრაქტიკულად, საქმე გვაქვს ახალი არგუმენტებით შეფუთულ ძველ ვერსიასთან, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში, პროფ. კოტე ანთაძის რედაქციით გამოსულ მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შემდეგ, წინ გადადგმულ ნაბიჯად ძნელია მივიჩნიოთ. ამგვარი ხედვა მარქსისტული პერიოდიზაციის წისქვილზე ასხამს წყალს და, ვფიქრობთ, მიუღებელი უნდა იყოს.

აღნიშნულ საკითხში სრულიად განსხვავებული პოზიცია უჭირავს მას „შუა საუკუნეების ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში⁷, რომელიც მან პროფესორ ბეჟან ჯავახიასთან ერთად დაწერა. აქ ისინი შუა საუკუნეების ისტორიის მეცნიერების და ტექნიკის განვითარებით და გეოგრაფიული აღმოჩენებით ამთავრებენ⁸. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს XV საუკუნის მიწურულიდან ახალი ისტორიის დაწყების უარყოფის მცდელობასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში კი შუა საუკუნეების ისტორიას ვამთავრებთ XV საუკუნის ბოლოს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებით. სად არის ლოგიკა? ამ შემთხვევაში პერიოდიზაციის საკითხში სრულ ქაოსთან გვაქვს საქმე, რაც, ცხადია, მიუღებელია. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ჩართვა შუა საუკუნეების ისტორიაში საკამათოდ მიგვაჩნია. ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა სახელმძღვანელო დაგვესრულებინა წინა მონაკვეთით რენესანსით⁹. ბოლო ნაწილი, ჩვენი აზრით, საჭირო არ იყო და ზედმეტია.

მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის ევროპული ვერსიისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ქართული მედიევისტიკის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი პროფესორ გურამ კუტალია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს 2004 წელს მისი ხელმძღვანელობით დაწერილი შუა საუკუნეების ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს V-XV საუკუნეებს. ამ ჩანაფიქრის თანახმად, მეორე ნაწილი იქნებოდა XVI საუკუნე და XVII საუკუნის პირველი ნახევარი. აქ პერიოდიზაციის საკითხისადმი დამოკიდებულება ძალიან გამჭვირვალე და ნათელია. ავტორის ღრმა რწმენით, შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად უნდა დაგვოვოთ XVII საუკუნის შუა წლები. ის ამ საკითხზე საგანგებოდ ჩერდება სახელმძღვანელოს დასაწყისში „მსოფლიო ისტორიის სამწვეროვანი დაყოფა“, რომელიც იმ ნოვაციების წინააღმდეგაა მიმართული, რომელსაც ადგილი აქვს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხში და მიზნად ისახავს მარქსისტული პერიოდიზაციის რადიკალურ გადასინჯვას. აღნიშნული პრობლემისადმი მისი მიდგომა წინააღმდეგობრივად მიგვაჩნია. ერთ ადგილას ის აღნიშნავს: „ამიტომ უპრიანია ვთქვათ, რომ XVI საუკუნე და XVII საუკუნის დასაწყისი გარდამავალი პერიოდი ან უკეთეს შემთხვევაში „ადრეული ახალი დროა“¹⁰. მეორე ადგილზე ის ამ პერიოდს, XVII საუკუნის პირველი ნახევარი, ახასიათებს, „როგორც გვიანდელი ფეოდალიზმის ანუ ადრეული ახალი დროის პერიოდს“¹¹. საქმე გვაქვს ფორმაციული მიდგომის რეანიმაციის მცდელობასთან, რაც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია. საკითხისადმი ასეთი მიდგომა იმდენად ნათელს არ ფენს თემას, რამდენადაც კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის მას. ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე. ორივე ერთად ვერ იქნება. ვფიქრობთ, საკითხი არის ძალიან გამჭვირვალე და ზედმეტად ნუ გავართულებთ. ეს საჭირო არაა. ეს

⁷ ჯავახია, ა. გეთიაშვილი. შუა საუკუნეების ისტორია. VII კლასის სახელმძღვანელო. თბილისი, 2003.

⁸ ჯავახია, ა. გეთიაშვილი. შუა საუკუნეების ისტორია. VII კლასის სახელმძღვანელო. თბილისი, 2003, გვ. 174-180.

⁹ ჯავახია, ა. გეთიაშვილი. შუა საუკუნეების ისტორია. VII კლასის სახელმძღვანელო. თბილისი, 2003, გვ. 165-174.

¹⁰ შუა საუკუნეების ისტორია. ნაწილი 1. გ. კუტალიას რედაქციით. თბილისი, 2004, გვ. 9.

¹¹ შუა საუკუნეების ისტორია. ნაწილი 1. გ. კუტალიას რედაქციით. თბილისი, 2004, გვ. 15.

არც გარდამავალი პერიოდია და არც გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო ერთად. ეს ადრეული ახალი ისტორიაა. მისი არგუმენტაცია ვერ გვარწმუნებს მისი მსჯელობის მართებულებაში. ის თავის მსჯელობას ჯ. ტრეველიანის მოსაზრების არასწორ ინტერპრეტაციაზე აგებს. საკითხისადმი ინგლისელი ისტორიკოსის მიდგომა სწორად უნდა გავიგოთ და არა სათავისოდ, როგორც ეს ამ შემთხვევაში ხდება. ინგლისელი ისტორიკოსი სავსებით მართალია, რომ ახალი ისტორიის გარიჟრაჟზე კვლავ არსებობდნენ ძველი შუა საუკუნეების სტრუქტურები, მაგრამ მისი ღრმა რწმენით, ეს არის არა შუა საუკუნეების ისტორია, არამედ ადრეული ახალი დრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძველი და ახალი სტრუქტურების თანაარსებობა. გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ჟაკ ლე გოფმა კარგად უწოდა „ხანგრძლივი შუა საუკუნეები“. ახალ ისტორიას ტრეველიანი იწყებს XIV-XV საუკუნეებიდან, როგორც ეს მიღებულია ევროპულ ისტორიოგრაფიაში. აი, ეს იქნება ჯ. ტრეველიანის შეხედულებისადმი სწორი მიდგომა, ხოლო სათავისოდ ინტერპრეტირება მიუღებელია. საინტერესოა, რატომ იწყებს ტრეველიანი თავის წიგნს „ინგლისის სოციალური ისტორია“ ჯეფრი ჩოსერიდან და არა სამრეწველო გადატრიალებიდან ინგლისში. რა კავშირი არსებობს ჩოსერსა და დედოფალ ვიქტორიას შორის? ამ კითხვაზე, ჩვენი შეხედულებით, ერთი პასუხი არსებობს. იმიტომ, რომ ინგლისელი ისტორიკოსი ამ ეპოქას ჩოსერიდან ვიქტორიამდე მოიაზრებს როგორც ახალ დროს.

ახალი ისტორია მხოლოდ პროგრესთან როდი ასოცირდება. წინსვლასთან ერთად ადგილი აქვს სტაგნაციას. ერთ შემთხვევაში ეს არის წინსვლა, პროგრესი. ამის მკაფიო გამოხატულებაა ინგლისის, ნიდერლანდების, საფრანგეთის განვითარება. მეორე შემთხვევაში ეს პროცესი შეფერხებით მიმდინარეობს და ადგილი აქვს სტაგნაციას, რომელიც გამოხატულებას პოულობს შუასაუკუნეებრივი სტრუქტურების კონსერვაციაში. ამ გზით ვითარდებოდა გერმანია, ესპანეთი, სკანდინავიის ქვეყნები, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები. ამ მიმართულებით წარიმართა საქართველოს ისტორიული განვითარება. ეს ადრეული ახალი დროა და არა გვიანი შუა საუკუნეები¹². ნუთუ ასეთი ძნელი გასაცნობიერებელია, რომ ადრეული ახალი ისტორიისათვის დამახასიათებელია შუა საუკუნეების სტრუქტურების და ახალი ურთიერთობების თანაარსებობა.

XVI საუკუნეში ძველი შუა საუკუნეების სტრუქტურების დომინირებაზე საუბარი, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გარკვეული უკმარისობის გრძნობას გვიჩენს. XVI საუკუნეში ძალუმაღ დაბერა ახალმა სიომ. სულ უფრო იკრებს ძალას რაციონალიზმი, ინდივიდუალიზმი, პრაქტიციზმი, აზროვნების სეკულარიზაცია. ყალიბდება ახალი ტიპის ადამიანი, რომელსაც აქვს სრულიად ახალი მენტალიტეტი, ადამიანი – შემოქმედი, ახალი ცივილიზაციის მესაძირკვე. ამას მძლავრი სტიმული მისცა რეფორმაციამ, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, კალვინიზმმა. უპირატესობა ენიჭება სახელმწიფოს ინტერესებს. დომინანტი ხდება „სახელმწიფოს ინტერესები“ და არა ძველი რელიგიურ-იდეოლოგიური იმპერატივები. საერთაშორისო ასპარეზზე ადგილი აქვს დაპირისპირებას არა ცალკეულ სახელმწიფოებს შორის, არამედ კოალიციებს შორის. საძირკველი ეყრება კოლონიურ პოლიტიკას. და ბოლოს, რაც მთავარია, საზღვაო ცივილიზაციიდან გადავდივართ საოკეანოზე. ნუთუ ისევ შუა საუკუნეების ისტორიაა? ვფიქრობთ, რომ არა. XVI-XVII საუკუნეები მიღებულია ახალი ცივილიზაციის დაბადების ხანად. ეს არის ადრეული ახალი ისტორია. ველოსიპედის თავიდან გამოგონება, ჩვენი აზრით, საჭირო არაა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ისტორიოგრაფიას ეს საკითხი საკმაოდ კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული. აი, რას წერდა თეიმურაზ ჭუმბურიძე თავისი „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში: „მართლაც ამერიკის აღმოჩენა და საერთოდ, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები... ღრმა მნიშვნელობის მოვლენაა...

¹²მ. კალანდაძე. მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში. თბილისი, 2007, გვ. 72-82; მ. კალანდაძე. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში. თბილისი, 2015, გვ. 48-52.

ასე რომ, ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენიდან ახალი ისტორიის დაწევა არ არის მოკლებული ერთგვაროვან საფუძველს, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ XV საუკუნის გასულს ისპობა ყველაფერი ის, რითაც საშუალო საუკუნეების ევროპა ცხოვრობდა. ამ მხრივ, რასაკვირველია, შეუძლებელია, რომ XV საუკუნის გასული ე. ი. დრო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა, გაუვალ საზღვრად დავიდოთ საშუალო საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის. პირიქით, ის მოვლენები, რომელიც თავისი წარმოშობით საშუალო საუკუნეებს მიეკუთვნებიან, განაგრძობენ თავის არსებობას ახალ ისტორიაშიც. ფეოდალური წესწყობილების ნაშთებმა საფრანგეთის დიდი რევოლუციამდე მოატანეს, ხოლო ევროპის დანარჩენ კუთხეებში უფრო გვიან მოისპნენ.

პირიქით, ის მოვლენები, რომლებიც ახალი ისტორიის დამახასიათებელ მოვლენებად ითვლება, მაგალითად ფულის მეურნეობა, ქალაქური ცხოვრების განვითარება, ახალი ჰუმანისტური მსოფლმხედველობა XV საუკუნეზე უფრო ადრე წარმოიშვა ევროპის ცხოვრებაში¹³. საკმაოდ რეალისტური მიდგომაა.

დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების მთავარ ღირსებად მსოფლიო ისტორიის სწორი პერიოდიზაცია მიგვაჩნია. ისინი შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად ასახელებენ XV საუკუნის მიწურულს და XVI საუკუნის დასაწყისს, კონკრეტულად კი რენესანსს, დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, რეფორმაციას. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს კონკრეტული თარიღის განსაზღვრა. ერთნი (ა. წერეთელი, თ. ჭუმბურიძე) ამ ორ ეპოქას შორის მიჯნად დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს მიიჩნევენ, ხოლო მეორენი (დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ს. ავალიანი) – რენესანსს და რეფორმაციას. ეს კამათი პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და მხოლოდ დეტალებს შეეხება. ანალოგიური მიდგომა გვხვდება რევოლუციამდელ რუსულ და XIX-XX საუკუნეების ევროპულ ისტორიოგრაფიაში. ამ თვალსაზრისის რევიზია ზედმეტია. ეს უკვე გააკეთეს მარქსისტებმა. რა შედეგი მოყვა ამას, ყველამ კარგად ვიცით.

შუა საუკუნეებს და ახალ ისტორიას შორის მიჯნად XVII საუკუნის შუა ხანების დატოვება ანაქრონიზმად მიგვაჩნია. ამგვარი მიდგომა მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის წისკვილზე ასხამს წყალს და გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მას. ახალი ისტორია იწყებოდა XVII საუკუნის შუა წლებში ინგლისის რევოლუციით, აღარ ვიტყვით ბურჟუაზიული, ეს მეტისმეტი იქნებოდა. რამდენად მისაღებია ეს ქრონოლოგია, ანუ განა უნდა დავტოვოთ XVII საუკუნის შუა ხანები ამ ორ ეპოქას შორის მიჯნად? ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია – არა. ჩვენი ღრმა რწმენით, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია წინ უნდა წავიდეს და არა უკან. ამიტომ მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის რეანიმაციის ნებისმიერი მცდელობა, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ის, მიუღებლად მიგვაჩნია და ეს ქართული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღეა.

ასეთი პოზიცია, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და, ჩვენი აზრით, პირველ ყოვლისა, თავდაცვის ინსტიქტით უნდა იყოს განპირობებული, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი, პრაგმატული სარჩული გააჩნია. ამ პერიოდს ახალი ისტორია წავგართმევს. ეს შეუსაბამობა ხომ უნდა გასწორდეს. ამიტომ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ დავას წმინდა სუბიექტური მოტივები უდევს საფუძვლად და ვიწრო დარგობრივი ინტერესებითაა გამოწვეული. არსებითად აქ სადავო არც არაფერია.

ბუნებრივია, სერიოზული კორექტივების შეტანას მოითხოვს შუა საუკუნეების ისტორიის შიდა პერიოდიზაცია. ამ პრობლემისადმი მარქსისტული მიდგომა დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. საბჭოთა ისტორიოგრაფიის თანახმად, შუა საუკუნეების ისტორია სამ პერიოდად იყოფოდა: 1. ადრეული შუა საუკუნეები (V-XI სს), 2. კლასიკური შუა საუკუნეების ხანა (XI-XV სს),

¹³თ. ჭუმბურიძე. ახალი ისტორია. ქუთაისი, 1920, გვ. 1-2.

და 3. გვიანი შუა საუკუნეები (XVI საუკუნე-XVII საუკუნის შუა ხანები). შუა საუკუნეების ისტორიის სამ პერიოდად დაყოფა მისაღები უნდა ჩანდეს, მაგრამ მასში ჩადებული შინაარსი, სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციები და კლასობრივი ბრძოლის პრინციპი მიუღებელია. ცალკეული ეპოქების ქრონოლოგიური ჩარჩოების დაზუსტება, კორექტირება, გამორიცხულად არ მიგვაჩნია.

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული შიდა პერიოდიზაციის აქტიურობის ქუსლად მიგვაჩნია და სერიოზული კორექტივების შეტანას, დაზუსტებას მოითხოვს გვიანი შუა საუკუნეების ადგილი მსოფლიო ისტორიაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, XVI საუკუნე და XVII საუკუნის პირველი ნახევარი არაა გვიანი შუა საუკუნეების ისტორია და არც გარდამავალი პერიოდი. ეს ადრეული ახალი დროა. ეს შეუსაბამობა უნდა გასწორდეს.

დაზუსტებას მოითხოვს განვითარებული შუა საუკუნეების (XI-XV სს.) ქრონოლოგიური ჩარჩოები. აქ, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ XIV-XV საუკუნეებში, როდესაც ჩნდება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები, წარმოიშობა წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია, იწყება რენესანსი, მიკუთვნება განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქისათვის დაგვიანებული უნდა იყოს და, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ამავე დროს XIV საუკუნიდან ახალი ეპოქის დაწყება, როგორც ამას ხაზს უსვამს ვეროპელ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი, ნაადრევი უნდა ჩანდეს.

ადრინდელი შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაციის დაზუსტება, შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იქნას. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ალბათ, გაცილებით უპრიანი იქნებოდა ეს ეპოქა დავასრულოთ არა XI საუკუნის მიწურულს, როგორც ამას ხაზს უსვამდა საბჭოთა ისტორიოგრაფია, არამედ გაცილებით უფრო ადრე – IX საუკუნის შუა ხანებში, 843 წელს ვერდენის შეთანხმებითა და ფრანკთა სახელმწიფოს დაშლით. თანამედროვე ქართულ მედიევისტიკაში შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული შიდა პერიოდიზაციის რეანიმაცია დამაჯერებლად არ მიგვაჩნია და მიუღებელი უნდა იყოს¹⁴.

შუა საუკუნეების ისტორიის შიდა პერიოდიზაცია ასე გვესახება. ის პირობით, სამ პერიოდად შეიძლება დავეყოთ: 1. ადრეული შუა საუკუნეები (V-IX სს.). ამ ეპოქის შიგნით მნიშვნელოვანი მიჯნა ჩანს არაბთა შემოსევები. ამით კი არ იწყება შუა საუკუნეების ისტორია, როგორც ამას ანრი პირენი ფიქრობს, არამედ ეს არის მნიშვნელოვანი მიჯნა ადრეული შუა საუკუნეების ისტორიის შიგნით. 2. კლასიკური შუა საუკუნეების ეპოქა (IX-XIII სს.). ამ ეპოქის შიგნით მნიშვნელოვანი მიჯნა ჩანს XI საუკუნის მიწურული, ქალაქების განვითარება და ჯვაროსნული ლაშქრობები. 3. XIV-XV საუკუნეები უნდა მოვიაზროთ, როგორც გვიანი შუა საუკუნეების პერიოდი. როგორც ჰოლანდიელი მეცნიერი ი. ჰოიზინგა იტყვოდა, ეს არის „შუა საუკუნეების შემოდგომა“. ამ ეპოქის შიგნით ყურადღებას იპყრობს რენესანსის ხანა, განვითარება, რომელსაც ჩინკვეჩენტოსთან მივყავართ, ან ის შეიძლება დავეყოთ უბრალოდ საუკუნეების მიხედვით, XIV საუკუნე და XV საუკუნე.

ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვა სურვილების დონეზე ხდება. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის რადიკალური გადასინჯვის მცდელობასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლიუსები და მინუსები. მეორე შემთხვევაში ეს ხდება სურვილის დონეზე. ამ ორ მიდგომას შორის პრინციპული განსხვავება, ჩვენი აზრით, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

აღნიშნული პრობლემის სანახევროდ გადაწყვეტასთან გვაქვს საქმე სულ ახლახანს, 2015 წელს პროფესორ მურმან პაპაშვილის რედაქციით გამოსულ სახელმძღვანელოში „დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე)“¹⁵. ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას.

¹⁴ შუა საუკუნეების ისტორია. პროფ. გ. კუტალიას რედაქციით. თბილისი, 2004. გვ. 14-15.

¹⁵ დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე). რედაქტორი პროფ. მურმან პაპაშვილი. თბილისი, 2015.

თავდაპირველი განზრახვის თანახმად, ეს წიგნი ჩაფიქრებული იყო როგორც შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოს გაგრძელება (მეორე ნაწილი), ე. ი. XVI საუკუნის დასავლეთ ევროპის ისტორია მოიაზრებოდა შუა საუკუნეების ისტორიაში. საბოლოოდ, სახელმძღვანელოს ავტორებმა გაიზიარეს პროფესორ თეიმურაზ პაპასქირის და ამ სტრიქონების ავტორის რჩევა და შეჩერდნენ კომპრომისულ ვარიანტზე – „დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე)“. ეს სწორი ნაბიჯი იყო. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ისტორიის მარქსისტულ პერიოდიზაციაზე უარის თქმაზე ლაპარაკი მაინც ძნელი უნდა იყოს. მართალია, სათაურიდან აღარ ჩანს, მაგრამ ტექსტში საკმაოდ ძალუმად იგრძნობა, რომ ეს ეპოქა შუა საუკუნეების ისტორიასთან უფრო მეტად ასოცირდება, ვიდრე ადრეულ ახალ დროსთან. ეს კი, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. ერთადერთი ისტორიული სკოლა, რომელიც XVI საუკუნეს შუა საუკუნეების ისტორიაში მოიაზრებოდა, საბჭოთა ისტორიოგრაფია იყო.

ძველი ინერცია იმდენად ძლიერი იყო, რომ 90-იანი წლების შუა ხანებში საქართველოში გამოქვეყნებული შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოებში კვლავ გვხვდება მსოფლიო ისტორიის საბჭოთა მარქსისტული პერიოდიზაცია და XVI საუკუნისა და XVII საუკუნის პირველი ნახევრის ისტორია ისევ მოიაზრება როგორც შუა საუკუნეების ისტორია¹⁶. აქ, ცხადია, სათანადოდ არაა გათვალისწინებული ის ნოვაციები, რომელსაც ადგილი ჰქონდა 90-იანი წლების დასაწყისში პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ქართველი მედიევისტებიდან მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხში ყველაზე უფრო სწორი პოზიცია პროფესორმა კარლო მეშველიანმა დაიკავა და მან მხარი დაუჭირა შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის რადიკალურ გადასინჯვას.

ერთ მოსაზრებას წინ მივყავართ, მეორე კი უკან გვექანება. ამ ორი შეხედულებიდან რომელია უფრო სწორი, ვფიქრობთ, ამის გამორკვევა მიუკერძოებელ მკითხველს არ გაუჭირდება.

* * *

ამრიგად, საბჭოთა ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს ძალისხმევით, ქართულ ისტორიოგრაფიას ძალით მოახვიეს თავს მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია და მას ამის წინააღმდეგ ხმის ამოდების არანაირი საშუალება არ გააჩნდა. საბჭოთა კავშირი დაიშალა. საქართველომ სუვერენობა აღიდგინა. ქართულ ისტორიოგრაფიას შეეძლო საკუთარი არჩევანი გაეკეთებინა. მან უარი თქვა მსოფლიო ისტორიის მარქსისტულ პერიოდიზაციაზე. ეს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი დიდი პლიუსია, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ქართველ ისტორიკოთა ერთმა ნაწილმა კატეგორიულად უარყო მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია და დაუბრუნდა ევროპულ მოდელს. შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად იღებს XV საუკუნის მიწურულს და XVI საუკუნის დასაწყისს, კონკრეტულად კი, რენესანსს, დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, რეფორმაციას.

ქართველ მედიევისტთა მეორე დიდი ნაწილი ასე არ ფიქრობს და ამ ეპოქას, XVI საუკუნეს და XVII საუკუნის პირველ ნახევარს, არ აღიქვამს, როგორც ადრეულ ახალ დროს, როგორც ეს მიღებულია ევროპულ-ამერიკულ ისტორიოგრაფიაში; საუბრობს ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდზე. ეს არც გარდამავალი პერიოდია და არც გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო ერთდროულად. ეს ერთმნიშვნელოვნად ადრეული ახალი დროა,

¹⁶მ. პაპაშვილი. შუა საუკუნეების ისტორია. ნაწილი 1. თბილისი, 1994; ნ. გომარტელი. შუა საუკუნეების ისტორია. ნაწილი 1. თბილისი, 1996. მეორე ნაწილი იქნებოდა XVI საუკუნე და XVII საუკუნის პირველი ნახევარი. ეს ძნელი მისახვედრი არაა.

რომელსაც ახასიათებს ძველი შუა საუკუნეების და ახალი სტრუქტურების თანაარსებობა. სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ ვერავითარ აუცილებლობას მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის რეანიმაციისა ვერ ვხედავთ. რამდენად მისაღებია ეს ქრონოლოგია, ანუ განა უნდა დავტოვოთ ძალაში XVII საუკუნის შუა ხანები? ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია – არა. პერიოდიზაციის საკითხში ასეთი ორჭოფობა და მერყეობა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს და ის თანამედროვე ქართული მედიევისტიკის კრიზისის ერთ-ერთ სიმპტომად გვევლინება. ამ საკითხზე კამათი ღია კარის მტვრევად მიგვანჩნია. ეს არის დავა უდავო საკითხზე.

მაშ ასე, ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვის რადიკალურ მცდელობასთან. აქ კატეგორიულადაა უარყოფილი მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია და აღდგენილია ევროპული მიდგომა, რომელიც უმთავრესად ი. სტალინის ძალისხმევით, საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიამ, სრულიად უმართებულოდ, უგულვებელყო. მეორე შემთხვევაში მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვა ხდება ზედაპირულად, სანახევროდ და კომპრომისულ ხასიათს ატარებს. ამგვარ მიდგომას დამაჯერებლობა აკლია და, ჩვენი აზრით, მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის რეანიმაციის ფარულ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს კი, რა თქმა უნდა, მიუღებელია. პირველ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ევროპულ რეალიებზე. მეორე შემთხვევაში თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიის გავლენის კვალი უფრო იკვეთება. საკუთრივ ასეთი აზრთა სხვადასხვაობა პერიოდიზაციის საკითხში საბჭოთა ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ამგვარი მრავალვარიანტული მიდგომა, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და თანამედროვე საქართველოში არსებული თავისუფალი აზროვნების ლოგიკური შედეგია, მაგრამ დროა ამ საკითხზე დავა დასრულდეს და ქართულმა ისტორიოგრაფიამაც გაიზიაროს მსოფლიო ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისი.

Merab Kalandadze

The most urgent problem, that is matter of dispute undisputed

Summary

Soviet Totalitarian State efforts by virtue of Georgian historiography imposed Marxist periodization of World History and for the removal of any sound could not afford.

The Soviet Union collapsed. Georgia regained sovereignty. Georgian historiography could own choice. He refused Marxist periodization of World History. This modern Georgian historiography plus one, naturally has its strengths and weaknesses.

Post-Soviet Georgian historiography was the first to put the issue of whether or not one of the first in the history of Marxist periodization revision. No one denied the Marxist periodization revision. Clearly identified two approaches to the issue.

One part of historians denied Marxist periodization and returned European model. Medieval and Early modern history on the XV century and XVI century, in particular the Renaissance, the Great Geographical Discoveries and the Reformation.

The other part of Georgian Medievalist does not think so, and in the XVI century, the era XVI century in the first half did not perceive it as early in the new time time, as is common in European-American historiography. They talk on the long transition period from the Great Geographical discoveries to the French Revolution (1492-1789) World History Marxist periodization review modest in the nature. This is the earliest the modern time. In this issue, we believe it is a dispute between the open door undisputed issue.

Such differences of the opinion of course is not accidental and primarily a modern Georgia, the free-thinking, historical events multi-variantic paid and logical result of pluralism.

**ზოგიერთი მოსახრება თბილისის საგარეუბნო ზონის განვითარების
პერსპექტივებთან დაკავშირებით**

თბილისისა და მისი საგარეუბნო ზოლის სამეცნიერო კვლევა, თუნდაც ურბანული კვლევების კონტექსტში, საინტერესოა ეთნოლოგიური მეცნიერებისთვისაც, რადგან ეთნოლოგია ჰოლისტური მეცნიერებაა და ეთნოსთან, თუ მის სხვადასხვა სოციალურ ნაწილთან ან გეოგრაფიულ არეალთან დაკავშირებული კულტურული, სოციალური ან ეკონომიკური პრობლემატიკა ეთნოლოგიის კვლევის სფეროცაა.

დისკუსია თბილისისა და მისი საგარეუბნო ზონის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით საქართველოს საზოგადოებაში XX საუკუნეში რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა: მსჯელობა აქტიურდება II ნახევრიდან, განსაკუთრებით მძაფრდება XX საუკუნის 80-იან წლებში და შემდგომ უკვე – პოსტსაბჭოთა პერიოდში. დისკუსია გრძელდება ჩვენ დროშიც და ქალაქის დაგეგმარებისა და მისი საგარეუბნო ზოლის სოციალურ-კულტურული ასპექტები და პრობლემები მრავალ შეკითხვას ბადებს ამ ეტაპზეც. ნაშრომში განხილულია 80-იანი წლების საზოგადოებრივი დისკუსიის შედეგად წამოჭრილი პრობლემატიკა და წარმოდგენილია სპეციალისტთა ურბანისტთა, ეთნოლოგთა) დაკვირვებები და სამეცნიერო ხედვები.

ხანგრძლივი დისკუსიის განმავლობაში ქალაქის დაგეგმარებისა და მისი საგარეუბნო ზოლის სოციალურ-კულტურული ასპექტების შესახებ გამოითქვა არაერთი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული აზრი და რეკომენდაცია. მომყავს რამდენიმე მოსაზრება:

1986 წელს გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის განყოფილების ხელმძღვანელის აკაკი კაცაძის სტატია „დედაქალაქის მოსახლეობის მიგრაცია“. აკაკი კაცაძემ გამოკვეთა თბილისის განვითარების სოციალური და კულტურული პრობლემები, გადაჯაჭვული დემოგრაფიულ საკითხთან: „თბილისი ჩვენს თვალწინ მილიონიან ქალაქად გადაიქცა. მაგრამ მისი მოსახლეობა არა მარტო რაოდენობრივად გაიზარდა, თვისობრივადაც განვითარდა. ცხადია, ეს პროცესი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი ცხოვრებაში წარმოქმნილ პრობლემებს, ასე თუ ისე, ვაფიქსირებთ, მაგრამ ამასთან მთავარია მათი გადაწყვეტის რეალური გზების ძიება, რაშიც საზოგადოებრივი მეცნიერებაც აქტიურად უნდა ჩაებას. დედაქალაქის მოსახლეობის ზრდა–განვითარებას მართვა და რეგულირება ესაჭიროება, ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ მიგრაციის სოციალური მექანიზმი... დიდ ქალაქზე მიგრაციულ დაწოლას განსაზღვრავს სასოფლო რეგიონებისა და მცირე თუ საშუალო ქალაქების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების შედარებით დაბალი დონე და, მეორე მხრივ, სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნები მუშახელზე“¹.

ამავე სტატიაში აკაკი კაცაძე გამოკვეთს ყველა იმ ძირითად პრობლემას, რომელიც თანმხლებია ზოგადად ურბანული ცხოვრებისა და საუბრობს თბილისის ზრდის გამომწვევ მიზეზებსა და პერიფერიების დაცლის პრობლემებზე: „მიგრანტთა ძირითადი ნაწილი ახალგაზრდობაა, რომელიც მოდის სწავლისათვის, პროფესიის დასაუფლებლად. მათი უმრავლესობა, უკეთესი სამუშაო და საცხოვრებელი პირობების გამო, დიდ ქალაქში მკვიდრდება. თბილისში შემომავალი და გამავალი მიგრაციული ნაკადები ერთმანეთისაგან განსხვავდება მასშტაბის, სქესობრივ–ასაკობრივი სტრუქტურის, სოციალურ–პროფესიული შემადგენლობის მოტივაციის მიხედვით... საქართველო, როგორც განსახლების სისტემა, ერთ მთლიანს შეადგენს. ამიტომ მხოლოდ თბილისში გატარებული დონისძიებებით მიგრაციის რეგულირებას ვერ შევძლებთ. უნდა გავითვალისწინოთ რესპუბლიკის რეგიონებში

¹აკაკი კაცაძე. დედაქალაქის მოსახლეობის მიგრაცია.– გაზეთი „თბილისი“, 3 თებერვალი, 1986.

მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული სიტუაცია და მისი განვითარების ტენდენციები. ამ მხრივ მრავალი საზრუნავი გვაქვს².

აკაკი კაცაძე ხანგრძლივი დროის განმავლობაში იკვლევდა თბილისის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, დემოგრაფიულ საკითხებს და სტატიის დადსასრულს, გამოთქვამს რამდენიმე მეციურულ რეკომენდაციას, რაც, მისი აზრით, განტვირთავს ქალაქს და შეაჩერებს სოფლებიდან ახალგაზრდობის მასობრივ გადინებას: „გეგმიური წესით დედაქალაქს შეემატოს მხოლოდ დეფიციტური პროფესიის ადამიანები; სამუშაო ადგილების არსებული და პერსპექტიული გაანგარიშება მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს; გავიტანოთ არამაპროფილებელი საწარმოები და მათი ფილიალები. მჭიდრო ურთიერთმიმართებით დავეგეგმოთ და განვახორციელოთ სამრეწველო ობიექტების განლაგება დედაქალაქსა და მის მეზობელ რეგიონებში; გავიყვანოთ არამაპროფილებელი საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები; სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოკლე და გრძელვადიანი გეგმების შედგენისას უკეთ უნდა გავითვალისწინოთ მეზობელი რაიონების გეგმები. დემოგრაფიული სიტუაციისა და შრომითი რესურსების დინამიური ცვლილებები განვიხილოთ მეზობელ რეგიონებში მიმდინარე შესაბამის პროცესებთან კავშირით; ქალაქის არქიტექტურულ-დაგეგმარებითს სამმართველოსთან შეიქმნას სამეცნიერო მეთოდოლოგიური ჯგუფი არქიტექტორის, ეკონომისტის, დემოგრაფის, სოციოლოგის, ფსიქოლოგის, ეკოლოგის და სხვა შესაბამის სპეციალისტთა შემადგენლობით. სამრეწველო და საცხოვრებელი ბინების ერთიანი რეციონალური სისტემის შექმნა განაშენიანების დემოგრაფიულ პრინციპს უნდა ითვალისწინებდეს“³.

1980-იან წლებში, როგორც ცნობილია, დედაქალაქში ჯერ კიდევ არსებობდა ე. წ. ჩაწერის ინსტიტუტი. „ჩაწერის“ არქმონე საქართველოს მოქალაქეები ევრ ახერხებდნენ თბილისში სამსახურის დაწყებას და საცხოვრებელი ფართის შეძენას, რაც თავისთავად აპირობებდა საზოგადოებაში მანკიერი სისტემის არსებობას. დგებოდა კრიინალური გარიგებები, ხშირად ფორმდებოდა ფიქტიური ქორწინებებიც კი, რისი საშუალებითაც ხერხდებოდა თბილისში ჩაწერა. აკაკი კაცაძე ამ პრობლემაზეც ამახვილებს ყურადღებას და წერს, რომ აუცილებელია „სრული წესრიგი დამყარდეს საპასპორტო სამსახურში, აღიკვეთოს ფიქტიური ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაცია“⁴.

1989 წელს ამ პრობლემურ საკითხს გამოეხმაურა გიორგი მჭედლიშვილი. ავტორი აკრიტიკებდა არსებულ კანონმდებლობას, რომელიც დედაქალაქში ჩაწერის პირობებს ამკაცრებდა და აღნიშნავდა: „დედაქალაქში მოსულთათვის ჩაწერის კანონის გამკაცრება არ გვეონია წარმოადგენდეს პრობლემების დამაკმაყოფილებელ გადაჭრას. იგი უფრო საეჭვო და დაუსაბუთებელი „გადაჭრაა“. უნდა ვეცადოთ და ყველაფერი ვითონოთ, რომ ეს პროცესი ბუნებრივად ხდებოდეს. იქნებ დროა ხალხის ის დაუოკებელი სურვილიც გავიგოთ, ყველას რომ სურს რესპუბლიკის ინტელექტუალური და ინდუსტრიული ცხოვრების ცენტრში ცხოვრობდეს. სწორედ ამიტომ კიდევ უფრო მეტად უნდა ვიზრუნოთ, სანამ სხვათაც არ მიუტოვებიათ მამა-პაპისეული ადგილები, შეექმნათ ახალი მისაღები პირობები ადგილებზე ქართული მოსახლეობის დამაგრებისთვის. თბილისიდან მთელი რიგი ინსტიტუტების, დაწესებულებებისა და საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნების საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განლაგებების შემთხვევაში, უფრო საფუძვლიანად გვესახება ქართველთაგან მიტოვებული მიწების აღორძინება, ვიდრე ამ მიზნით ერთი თუ ორი სოფლის ხელახალი გაშენება ჩვენს ნასოფლარებსა და ნაქალაქარებზე. სწორედ ამიტომ სავსებით ვეთანხმები იმ აზრს, რომ თბილისის განტვირთვა მოხდეს მაქსიმალური შესაძლებლობით, განსაკუთრებით ყველა იმ ობიექტისაგან, რომელთა დედაქალაქში არსებობაც აუცილებლობას არ წარმოადგენს და თავის მხრივ, ხალხთა მიზიდვის საშუალებად ქცეულან. და ეს უნდა მოხდეს და გაკეთდეს არა იძულებითი არჩევანით, არამედ სიყვარულით და რწმენით“⁵.

თბილისის ზრდით განპირობებული შიდ ამიგრაციული პრობლემები თვალშისაცემი გახდა: რაიონები იცლებოდა ახალგაზრდებისაგან და ქალაქის მასობები იზრდებოდა.

²აკაკი კაცაძე. დედაქალაქის მოსახლეობის მიგრაცია.- გაზეთი „თბილისი“, 3 თებერვალი, 1986, გვ. 3.

³აკაკი კაცაძე. დედაქალაქის მოსახლეობის მიგრაცია.- გაზეთი „თბილისი“, 3 თებერვალი, 1986, გვ. 3.

⁴აკაკი კაცაძე. დედაქალაქის მოსახლეობის მიგრაცია.- გაზეთი „თბილისი“, 3 თებერვალი, 1986, გვ. 3.

⁵გიორგი მჭედლიშვილი. „ნუ გადააქცევთ თბილისს ქართველთაგან მიტოვებულ საქართველოს დედაქალაქად“- გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 22 აპრილი, 1989.

პრობლემის შესახებ მსჯელობაში ჩაერთვნენ სხვა ეთნოლოგებიც, დემოგრაფებიც, ურბანისტიებიც. ამ მხრივ საყურადღებოა „ცისკარში“ გამოქვეყნებული მასალა: „აქტუალური დემოგრაფიული პრობლემები და ქართული სინამდვილე“⁶.

1988 წელს შიდამიგრაციული პრობლემების თეორიული ასპექტებისა და ყოფითი პრობლემატიკის შესახებ ისაუბრა ეთნოლოგმა ალექსი რობაქიძემ⁷.

ახალგაზრდობის სოფლად „დამაგრება“, ცხადია, მოითხოვდა მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის ადგილებზე შექმნას და განვითარებას. ამ პრობლემის შესახებ ბევრი იწერებოდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ პრესასა თუ სამეცნიერო პუბლიკაციებში. განსაკუთრებით გავრცელებული იყო თეზა – მუდმივი ყურადღება დაეთმოს ახალგაზრდობის თავისუფალი დროის გატარების ორგანიზაციული სრულყოფის საკითხებს; უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების წესების სრულყოფით, რათა არ დაკარგულიყო ნიჭიერი ახალგაზრდა. „თბილისის მკვიდრი მოსახლეობის გააქტიურების მიზნით შექმნათ პირობები, რათა ჭარბი პროფესიის ადამიანები იქ გავიყვანოთ, სადაც საქართველოს რეგიონები მათს ნაკლებობას განიცდიან“⁸.

საქართველოში სწრაფი ტემპით მიმდინარე ცვლევების მთელმა კასკადმა, კომეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლამ, კერძო საკუთრების აღდგენამ მიწაზე, პრივატიზაციის პროცესმა XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს ერთგვარი ქაოსიც შექმნა. სოციალისტური წყობიდან თავისუფალ ეკონომიკურ წყობაზე გადასვლა საკმაოდ რთული და ქაოტური სახისა აღმოჩნდა საქართველოს მოსახლეობისათვის. ეს სირთულეები აისახა ურბანისტიკაზეც.

საბჭოთა კავშირსა და იმ დროს მის ნაწილად არსებულ საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა ტრანსფორმაციამ განაპირობა ბევრი ცვლილება თბილისსა და მის საგარეუბო ზოლშიც. 1988 წელს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ჟურნალისტმა ქეთევან სადღობელაშვილმა გამოაქვეყნა საინტერესო ინტერვიუ – „გვიანდა იქნება“... სამი შეკითხვა აკაკი ბაქრაძეს“. როგორც სათაურიდან ჩანს, რესპოდენტი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძეა. აკაკი ბაქრაძე იმ დროს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ. ჟურნალისტის დასმული მესამე შეკითხვა ჩვენთვის საინტერესო პრობლემატიკას ეხება: „ბატონო აკაკი, ალბათ მიმიხვდებით, რომ უმწვავესი დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების პირობებში ჩვენი ინტერესი განსაკუთრებით გამძაფრებულია რუსთაველის საზოგადოების დემოგრაფიისა და ეკოლოგიის განყოფილებისადმი. ამიტომ, გთხოვთ, უფრო კონკრეტულად მოგვითხროთ, თუ რის გაკეთებას აპირებს აღნიშნული განყოფილება? როგორ გეხმობს დემოგრაფიული პრობლემების ნაწილობრივ მაინც დაძლევის გზები?“ – რაზეც რესპოდენტი პასუხობდა: „თბილისი აუცილებლად უნდა განიტვირთოს, სანამ მისი უთავბოლო ზრდა ჩვენს ბედისწერად არ გადაქცეულა. ამისათვის აუცილებელია თბილისიდან გავიტანოთ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი და ფაბრიკა-ქარხანა სამხრეთ საქართველოს რაიონულ ცენტრებში. ცხადია, მე მხოლოდ შენობის გადატანას არ ვგულისხმობ. სტუდენტობის, პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანასაც. ცხადია, ეს, რაც ახლა ვთქვი, უმრავლესობის საშინელ აღშფოთებას გამოიწვევს: თვითონ წავთრიოს, ჩვენ თბილისში თავს დიდებულად ვგრძნობთო. გეხვეწებით, გემუდარებით: დამიჯერეთ, კარგად დაფიქრდეთ. არაფერი ისე საშიში არ არის ახლა ჩვენთვის, როგორც დაუოკებელი სურვილი – მთელი საქართველო თბილისში ცხოვრობდეს. თუკი შეიძლება ლიტვის საუკეთესო თეატრი პაწია ქალაქ პანევეჟისში იყოს და არა ვილნიუსში, რატომ არ შეიძლება ამგვარი რამ საქართველოში? თუკი შეიძლება ყველაზე სახელგანთქმული კალათბურთელთა გუნდი კაუნასში იყოს და არა ვილნიუსში, რატომ არ შეიძლება ეს საქართველოში? თუკი შეიძლება მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული უნივერსიტეტი ტარტუში იყოს და არა ტალინში, რატომ არ შეიძლება ეს საქართველოში? კარგი, ბატონო, ჩვენი უნივერსიტეტი განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენი კულტურის ისტორიაში და მას ვერ შევუხებთ, მაგრამ პოლიტექნიკური, სასოფლო სამეურნეო და სხვა უამრავი ინსტიტუტი? დანარჩენმა საქართველომ რა დააშავა? რატომ არ უნდა ენთოს სხვა დაბა-ქალაქებში უმაღლესი

⁶ედუარდ კოღუა, გივი ჭანუყვაძე, ოლეგ ვიაზოვი, ვია წულაძე, თენგიზ ნიჟარაძე, გივი ლოგუა. „აქტუალური დემოგრაფიული პრობლემები და ქართული სინამდვილე“ – ჟურნალი „ცისკარი“, თბილისი, 1983.

⁷ალექსი რობაქიძე. „ეთნოსი და მიგრაცია“ – გაზეთი, „თბილისი“, 4 აგვისტო, 1988.

⁸აკაკი კაცაძე. დედაქალაქის მოსახლეობის მიგრაცია – გაზეთი „თბილისი“, 3 თებერვალი, 1986, გვ. 3.

განათლების ლამპარი? ამგვარი გადანაწილება საქართველოში თანაბარი კულტურული დონის შექმნასაც შეუწყობს ხელს და ქართული მოსახლეობის დემოგრაფიულ წონასწორობასაც. გავაკეთოთ ეს მანამ, სანამ თბილისი ქართველთა რეზერვაციად არ გადაქცეულა და მის გარშემო უცხო ტომის ზღვა არ აბობოქრებულა. როცა ეს მოხდება, მერე გვიანდა იქნება ღვინოში არეული ცრემლების დაპაღუპი სუფრაზე⁹.

საზოგადოებას აწუხებდა თბილისის მასშტაბის ზრდის ხარჯზე სოფლებისა და რაიონების დაცლის საშიშროების თემა. 1989 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული კულტურის ისტორიის კათედრის დოცენტი გიორგი მჭედლიშვილი გამოეხმაურა აკაკი ბაქრაძის ინტერვიუს: „ჩვენი ქვეყნისათვისაც პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ვითარებიდან უნდა გამომდინარეობდეს მცირერიცხოვან ქართველთათვის ერთი საბედისწერო გამოვლენა – დღეს მთელი საქართველო ლამის ერთ ქალაქად – თბილისად იქცეს. ყველა დედაქალაქისკენ მოდის. თუ ვითარება არ შეიცვალა, მდგომარეობა ამ მხრივ საგანგაშოა“¹⁰. იქვე გამოთქმული იყო გულისტკივილი: „დედაქალაქში მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ერთი უმთავრესი პირობა ხომ კიდევ ერთი დაცარიელებული სოფელი და მოხუცების ამარა დატოვებული ოჯახებია; ან იქნებ თბილისში ჩამოსულთა ბინის მიღების მომლოდინე ათასობით წყვილი, ან მარტოსულნი საცხოვრებელი ფართის უკმარისობისთვის ან საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, შობადობაზე, თვით ყველაზე ძვირფას და ჩვენი ერისათვის სასიცოცხლო გამრავლებაზე უარს რომ ამბობენ“¹¹. ინტერვიუში იკვეთება ბევრი არსებული პრობლემა, რაც გადმოყვა შემდეგ წლებსაც და დღეისათვის განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა: ქალაქის ფართი გასცდა ყველა გონივრულ ზღავრს და ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი დედაქალაქშია თავმოყრილი.

1990 წელს საქართველოს არქიტექტორთა კავშირთან შეიქმნა „ურბანისტთა საზოგადოება“. მისი პრეზიდენტი ლადო ვარდოსანიძე გაზეთ „თბილისისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა: „ქალაქის პრობლემატიკისადმი სამგვარი მიდგომა – კვლევა, დაპროექტება და მართვა, – უნდა ვაღიაროთ: დღეს თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან გათიშულად მოქმედებს. მეცნიერული კვლევა თავის თეორიულ ჩარჩოებშია გამოკეტილი და პრაქტიკულად არ ხორციელდება, არქიტექტორ–დაპროექტებლები კი ნაკლებად ეყრდნობიან სამეცნიერო ცოდნას და, ძირითადად, პირადი გამოცდილებისა და ოსტატობის იმდენით არიან, ხოლო, რაც შეეხება მართვას, იგი მუდამ ყოველდღიური, კონკრეტული საკითხებით არის „დაკავებული“. ჩვენი საზოგადოება სწორედ იმისათვისაა მოწოდებული, რომ ქალაქის ფუნქციონირების ეს სამივე მხარე გააერთიანოს, ერთმანეთთან დააკავშიროს, რასაც ვერც ერთი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ვერ შეძლებს“¹². ლადო ვარდოსანიძე აღნიშნავდა, რომ ურბანისტთა გარდაუვალი, შეუქცევადი პროცესია, ამიტომ, რაც უფრო დროულად და რეალურად დაიწყება მსჯელობა პრობლემების შესახებ, მით უფრო იოლი გახდება პროცესის მართვა. „დღემდე, თანამედროვე გაგებით, ქართული ურბანისტიკა არ არსებობდა და პრაქტიკულად ვსარგებლობდით უცხო, ნასესხები ურბანისტული იდეოლოგიით, ნორმებით, ხერხებით, პროექტირების მეთოდებით, ამან დამღუპველი გავლენა იქონია ჩვენს ქალაქთმშენებლობაზე, რაც საკმაოდ კარგად ჩანს ახალ საცხოვრებელ უბნებში. ჩვენი რელიეფის თავისებურება, კლიმატური პირობები, მიწასთან სიახლოვის ტრადიციები ანუ ეთნოფსიქოლოგიური ფაქტორები მივიწყებული იყო. რასაც ვერ იგუებს თბილისი, მცხეთა, სიღნაღი...“¹³. როგორც ურბანისტი აღნიშნავდა „განსაკუთრებით მნიშვნელოვანად თბილისის ცენტრის განვითარების პრობლემა მიგვაჩნია. ორ წელზე მეტია, რაც შედგა ცენტრის დეტალური დაგეგმარების პროექტის განხილვა, საჭირო გახდა თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით მისი ხელახალი დამუშავება, მაგრამ, სამწუხაროდ, მას შემდეგ ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯები არ გადადგმულა“¹⁴.

⁹ქეთევან საღღაობელაშვილი. „გვიანდა იქნება... სამი შეკითხვა აკაკი ბაქრაძეს“– გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 7 ოქტომბერი, 1988.

¹⁰გიორგი მჭედლიშვილი. „ნუ გადააქცევთ თბილისს ქართველთაგან მიტოვებულ საქართველოს დედაქალაქად“– გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 22 აპრილი, 1989.

¹¹გიორგი მჭედლიშვილი. „ნუ გადააქცევთ თბილისს ქართველთაგან მიტოვებულ საქართველოს დედაქალაქად“– გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 22 აპრილი, 1989.

¹²რ. ბაინდურაშვილი. „რას გვპირდებიან „ურბანისტები“?– გაზეთი „თბილისი“, 9 აგვისტო, 1990.

¹³რ. ბაინდურაშვილი. „რას გვპირდებიან „ურბანისტები“?– გაზეთი „თბილისი“, 9 აგვისტო, 1990.

¹⁴რ. ბაინდურაშვილი. „რას გვპირდებიან „ურბანისტები“?– გაზეთი „თბილისი“, 9 აგვისტო, 1990.

სამწუხაროდ, „ურბანისტთა საზოგადოებამ“ დიდხან ვერ იარსება ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური ცვლილებების გამო. საბჭოთა სისტემის დაშლისა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე ურბანისტულმა განვითარებამ უკანა პლანზე გადაიწია, რადგან უფრო აქტუალური გახდა, არსებობისათვის საჭირო, სხვა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება.

Mirian Khositashvili

Some considerations on Tbilisi suburban zone development prospects

Summary

In Georgian society the discussion on development prospects of Tbilisi and its suburban zones has become increasingly topical since the second half of the 20th century. The ongoing discussion on development of Tbilisi and its suburban area became hectic in the 80-ies of the 20th century and later in post-soviet era.

The discussion still continues and the social and cultural aspects and problems of the city planning and suburban area trigger many questions even these days. The scientific research of Tbilisi and its suburban area, even in the context of urban studies, is of significant interest also to scientist ethnologists, since the ethnology is a holistic field and cultural, social or economic range of problems, related to ethnos and its various social parts of geographic areas, is also a subject matter of ethnology.

A number of controversial ideas and recommendations were expressed during the long discourse. The study represents the picture of social and cultural development discourse of the city and its suburban zone and contains opinions and recommendations on the development prospects of the city.

ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზებისათვის (1918 წლის მაისი-1919 წლის იანვარი)

1918 წლის 26 მაისის აქტით საქართველო დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო გახდა. დამოუკიდებლობის აქტის მე-2 მუხლში აღნიშნულია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა. ნოე ჟორდანიამ საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მნიშვნელობა ეროვნული საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე შემდეგნაირად განმარტა: “საქართველო უნდა დარჩეს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ეს იმს ნიშნავს, რომ ის საყოველთაო საარჩევნო სისტემას უნდა დაეყრდნოს. საქართველო უნდა გადაიქცეს უფლებრივ სახელმწიფოდ: ეს იმას ნიშნავს, რომ აღმასრულებელი, მოსამართლე და კანონმდებელი ძალა ნათლად უნდა გაიმიჯნოს და როგორც პირველი, ისე მეორე უკანასკნელს უნდა დაექვემდებაროს”¹⁵.

ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაცია მოიცავს როგორც მთავრობის შიგნით ინსტიტუციურ ორგანიზაციას, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციურ თუ ინსტიტუციურ გამიჯვნას ხელისუფლების სხვა შტოებისგან, საჭიროდ მივიჩნევთ, ორგანიზაციის საკითხი განვიხილოთ 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით ამავე კონსტიტუციით დადგენილი მმართველობის ფორმის-პარლამენტარიზმის ჭრილში. ჩვენი შემდგომი მსჯელობა დაემყარება კონსტიტუციონალიზმის უმთავრეს „ძალაუფლების გამიჯვნის თეორიას“ რომელიც თავის მხრივ იმ სამ პრინციპზეა დამყარებული (ფუნქციური გამიჯვნა, ინსტიტუციური გამიჯვნა შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმები) რაც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც მის ისტორიულ-პოლიტიკურ სარჩულებთან ერთად ნათლად გვისახავს იმ პერიოდის მთავრობის ორგანიზაციის რეალურ მოტივებს, მიზნებს და მდგომარეობას.

1918 წლის 25 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე დაისვა საკითხი ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ. მიღებული იქნა დადგენილება

ა) აღმასრულებელი კომიტეტი უქმდება; ბ) საბჭო ირჩევს თავის ახალ პრეზიდენტს მეორე კრებაზე; გ) არჩეულ იქნეს სამანდატო კომისია, რომელსაც დაევალოს საბჭოს რეორგანიზაციის საკითხის განხილვა, წევრთა და კანდიდატთა სიის გაასინჯვა”¹⁶.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნულმა საბჭოს მიერ მთავრობის ორგანიზაციასთან დაკავშირებით შემდეგი დებულებები იქნა მიღებული:

- ა) დაარსდეს 8 სამინისტრო, საკონტროლო ორგანო დაარსდეს ცალკე;
- ბ) უქმდება სასურსათო და მზრუნველობის სამინისტროები;
- გ) შეერთებულია: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მიწათმოქმედების და შრომის სამინისტროები.

სამინისტროები და მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა შემდეგი სახით იქნა წარმოდგენილი:

1. თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა – ნოე რამიშვილი.

¹⁵გაზეთი „საქართველო“, 1918, №176.

¹⁶საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 3.

2. საგარეო – აკაკი ჩხენკელი.
3. სამხედრო – გრიგოლ გიორგაძე.
4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის – გიორგი ჟურული.
5. განათლების – გიორგი ლასხიშვილი.
6. მიწათმოქმედებისა და შრომის – ნოე ხომერიკი.
7. იუსტიციის – შალვა მესხიშვილი.
8. გზათა – ივანე ლორთქიფანიძე¹⁷.

ამდენად, დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებისთანავე ჩამოყალიბდა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი დროებითი კოალიციური მთავრობა, მის თავმჯდომარედ აირჩიეს სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი, რომელმაც შეითავსა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი. კოალიციურ მთავრობაში, უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნოდა, თუმცა მასში წარმოდგენილნი იყვნენ სოციალისტ-ფედერალისტი (გ. ლასხიშვილი, შ. მესხიშვილი), ეროვნულ-დემოკრატი გ. ჟურული და სოციალისტ-რევოლუციონერი (ივ. ლორთქიფანიძე) მინისტრები.

1918 წლის 11 ივნისს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობაში კიდევ ერთი სამინისტრო დასახელდა-აფხაზეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობა. ამის შესახებ დ. ჩიტაია ნაშრომში „საქართველოს დემოკრატიულ მთავრობაში აფხაზეთის საქმეთა უწყების შექმნის ისტორიიდან“- აღნიშნავს: 1918 წლის 11 ივნისს ეროვნულმა საბჭომ ჩამოაყალიბა საკონსტიტუციო კომისია (თავმჯდომარე პ. საყვარელიძე), რომელსაც დაევალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება, სადაც სამართლიანად გაფორმდა ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების საბოლოო ფორმა. ჯერ კიდევ 1918 წლის 11 ივნისს დაიღო ხელშეკრულება აფხაზეთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობას შორის, რომლის ძალითაც აფხაზეთი ადასტურებდა საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას, ხოლო საქართველოს მთავრობა აფხაზეთის ავტონომიის გარანტიას იძლეოდა. აფხაზეთს ენიჭებოდა სრული შინაგანი ავტონომია. ხელშეკრულება ითვალისწინებდა აფხაზეთა სახალხო საბჭოსათვის საქართველოს მთავრობის მხრიდან სამხედრო-ეკონომიკური დახმარების გაწევას. 1918 წლის 11 ივნისს, საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთა სახალხო საბჭოს შორის დადებული ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად შემოღებულ იქნა აფხაზეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობა. აფხაზეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე კანდიდატი უნდა წარედგინა და ფარული კენჭისყრით უნდა აერჩია აფხაზეთის სახალხო საბჭოს. აფხაზეთის მინისტრი იყო აფხაზეთის ოფიციალური წარმომადგენელი ცენტრში-თბილისში. იგი იყო დაკავშირებული რგოლი აფხაზეთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს მთავრობას შორის. იმ პერიოდის დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ყველა მიმართვა, გადაწყვეტილება, დადგენილება, რომელიც იღებდა აფხაზეთა სახალხო საბჭოსა და აფხაზეთის თბილისში-საქართველოს მთავრობაში, პირველად ეგზავნებოდა აფხაზეთის საქმეთა მინისტრს. აფხაზეთის საქმეთა მინისტრი იყო პოლკოვნიკი რ. ჩქოტუა¹⁸.

1918 წლის 2 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი მიმართავს საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ნიკოლოზ ჩხეიძეს: „საქართველოს რესპუბლიკის პირველ მთავრობას დაეკისრა მეტად მძიმე მოვალეობა- მოსპოს ჩვენს სახელმწიფოს ფარგლებში ანარქია და აღადგინოს სრული წესიერება რევოლუციის მონაპოვართა საბოლოო გასამტკიცებლად.

ამ მოვალეობის ასასრულებლად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მთავრობის გარშემო ყველა საზოგადოებრივ და რევოლუციონურ რეალურ ძალთა გაერთიანება, რომ პარლამენტს

¹⁷საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1823, აღწერა 2, საქმე 1, ფურცელი 31.

¹⁸დავით ჩიტაია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში აფხაზეთის საქმეთა უწყების შექმნის ისტორიიდან.– ჟურნალი „საისტორიო ძიებანი“, თბილისი, 2001, 4, გვ. 190-191.

საშუალება მიეცეს ეს მიზანი დაჩქარებით განახორციელოს თავისი ასეთი დადგენილება ახალი მთავრობის დაუყოვნებლივ შესადგენად¹⁹.

1918 წლის 24 ივნისს გაიმართა ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: თავმჯდომარის ამხანაგი იესე ბარათაშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი; მდივანი დავით ისნიაშვილი და მდივნის ამხანაგი იოსებ აბაკელია. სხდომაზე განიხილეს საკითხი: „მთავრობის თავმჯდომარის წერილი ამა წლის 24 ივნისის თარიღით და 7034 -ით რამიშივილის განცხადება, რომ მთავრობამ დაადგინა სამსახურიდან გადადგეს“²⁰.

იმავე დღეს ნაშუადღევს 2 საათსა და 15 წუთზე საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-12 საგანგებო კრება დაიწყო. კრებას თავმჯდომარეობდა იესე ბარათაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ დღის წესრიგი შეიცავს მხოლოდ ერთ საგანს- მთავრობის განცხადებას სამსახურიდან გადადგომის შესახებ. დასმულ საკითხზე გაიმართა მსჯელობა. მსჯელობის დამთავრების შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ირაკლი წერეთელმა ეროვნულ საბჭოს წარუდგინა შემდეგი შინაარსის წინადადება: „მოისმინა რა მთავრობის განცხადება- მის გადადგომის შესახებ, ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის მიანდოს საბჭოს წევრს ნოე ჟორდანიას ახალი მთავრობის შედგენა და ანიჭებს მას საგანგებო უფლებებს მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლად და გასაერთიანებლად“²¹.

იმავე დღეს, 1918 წლის 24 ივნისს, საღამოს 9 საათსა და 20 წუთზე დაიწყო ეროვნული საბჭოს მე-13 კრება. ახალი მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ, ეროვნულ საბჭოს განუცხადა მთავრობის მომავალი მოქმედების გეგმის შესახებ და აღნიშნა, რომ „ახალ მთავრობის შემადგენლობაში დარჩნენ ყველა ის მინისტრები, რომლებიც გადადგომილ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შევიდნენ. რაც შეეხება მინისტრთა ამხანაგების შემადგენლობის საკითხს, ამის შესახებ ხვალ გაირკვევა“²².

ამავე კრებაზე, კენჭი ეყარა შემეგ წინადადებას: „მოისმინა რა მთავრობის განცხადება, ეროვნული საბჭო უცხადებს მთავრობას სრულ ნდობას და აღუთქვამს მას სრულ დახმარებას წამოყენებულ გეგმის განსახორციელებლად“²³.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე, რომელიც გაიმართა იმავე დღეს 1918 წლის 24 ივნისს, მინისტრთა ამხანაგების დანიშვნის შესახებ, მიიღეს დადგენილება: „დაინიშნოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშივილის, რომელიც ამავე დროს დროებით ასრულებს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას, ამხანაგად გ. მახარაძე; საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ჩხენკელის, რომლის თანამდებობას დროებით ასრულებს ნ. რამიშივილი, კ. გვარჯალაძე და ზ. ავალიშვილი; მიწათ-მოქმედების და შრომის მინისტრის ნ. ხომერიკის ამხანაგად პ. გელეიშვილი მიწათ მოქმედების უწყებისა და - გ. ერაძე – შრომის უწყებაში-, იუსტიციის მინისტრის შ. მესხიშვილის ამხანაგად გრ. გველესიანი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის გ. ჟურელის ამხანაგად კ. კანდელაკი და გ. ნიკოლაძე; გზათა მინისტრის ი. ლორთქიფანიძის ამხანაგად ი. მაღანია და პ. საბაშვილი; სამხედრო მინისტრის გ. გიორგაძის თანაშემწედ გენ. ოდიშელიძე, რომელიც იმავე დროს იქმნეს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მთავარსარლად“²⁴.
სეცსსა, ფ.1861, აღ.3, საქმე 3, ფურცელი 8-9.

¹⁹საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 51, ფურცელი 11.

²⁰საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 51, ფურცელი 2.

²¹საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 51, ფურცელი 3.

²²საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 51, ფურცელი 5.

²³საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836 აღწერა 1, საქმე 51, ფურცელი 5.

²⁴ საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1861, აღწერა 3, საქმე 3, ფურცელი 8-9.

საარქივო მასალით დასტურდება, რომ მთავრობის შემადგენლობაში მიმდინარეობდა ხოლმე რიგი ცვლილებები. მაგალითისათვის მოგვყავს 1918 წლის 25 ივნისის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის დადგინილება, სადაც აღნიშნულია: გენერალი კვინიტაძე განთავისუფლებულ იქნას სამხედრო მინისტრის ამხანაგისა და საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სარდლის თანამდებობისაგან, და დაინიშნოს სამხედრო საბჭოს წევრად. სამხედრო მინისტრის ამხანაგის დანიშვნის შესახებ ნაცვლად გენერლის გ. კვინიტაძისა დაადგინეს: „სამხედრო მინისტრის ამხანაგისა საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სარდლის თანამდებობის დროებით ასრულება დაევალოს გენერალურ შტაბის უფროსს გენერალ მაიორს ანდრონიკაშვილს“²⁵.

საარქივო დოკუმენტიდან დასტურდება, რომ იყო შემთხვევა, როცა მთავრობის წევრი თავისი სურვილით, განცხადების საფუძველზე, ითხოვდა თანამდებობიდან გადადგომას. საქართველოს ეროვნული საბჭოს სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციის სხდომის ოქმიდან ვიგებთ, რომ 1918 წლის 20 ოქტომბერს ამ საკითხთან დაკავშირებით შეიკრიბა საგანგებო შეერთებული კრება ”ფრაქციისა და მთავარი კომიტეტისა“. კრებას დაესწრნენ : ერ. ტოროტაძე, ალ. წერეთელი, ს. დადიანი, შ. მიქელაძე და ს. ფირცხალავა. მთავარი კომიტეტიდან – ქრ. რაჭველიშვილი, მთავრობიდან გ. ლასხიშვილი, ალ. მდივანი, გ. გველესიანი. კრებაზე განსახილველი საკითხი იყო: “გ. ლასხიშვილის განცხადება განთავისუფლებისა განათლების მინისტრის თანამდებობიდან“. დოკუმენტში გადადგომის მიზეზად დასახელებულია შემდეგი: „ვინაიდან ამდენი ხნის მუშაობის შედეგად იგი სრულიად დაიღალა, დაავადმყოფდა და არავითარი ფიზიკური საშუალება არა აქვს განაგრძოს სამინისტროში მუშაობა, მით უმეტეს არსებულ პირობებში, როცა ყოველ წვრილმანისთვის დიდი ბრძოლაა საჭირო, როგორც პარლამენტში, ისე განათლების კომისიაში და მთავრობაში, ამას უნდა დაემატოს ფინანსური დიდი კრიზისი, როცა მთავრობა განათლების სამინისტროსთვის თითქმის არას იძლევა“²⁶. ამავე სხდომაზე გიორგი ლასხიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით მიღეს შემდეგი დადგენილება: „ეთხოვით დარჩეს თავის ადგილას, ხოლო თანამშრომელ თანაშემწეთა გამოძებნის საქმეში დაეხმაროს მათ ფრაქციის საგანგებო კომისია 3 კაცისაგან (გ. რცხილაძე, ოს. ბარათაშვილი, და სვ. დივანი). ფრაქცია ადგენს: ცხოვრების გაძვირების გამო საბჭომ დაადგინოს- მინისტრებს მიცენ თვიურად 3000 მან. ამხან. 2500 მ“²⁷.

1918 წლის 25 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე მინისტრების უფლება შემდეგნაირად განისაზღვრა: მინისტრებს მთავრობის სხდომაზე გადამწვევტი ხმის უფლება ეძლეოდა, ხოლო მინისტრის არყოფნის შემთხვევაში კი მის ამხანაგს²⁸.

როცა მთავრობის წევრები ეროვნულ საბჭოს სხდომებს ესწრებოდნენ, მათ განსაკუთრებული ადგილები ჰქონდათ გამოყოფილი. ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ამის შესახებ ვკითხულობთ: „დადგინდა, რომ მთავრობის „ლოჯაში“ ადგილი მისცეს (მიაკუთვნეს) მხოლოდ მინისტრებს, მათ ამხანაგებს, მთავრობის საქმეთა მმართველს, მის თანაშემწეს და იმ პირს, ვისაც იქ მოიწვევს მთავრობის თავმჯდომარე. განსაკუთრებულ შემთხვევაში უფლება მიეცეს მინისტრებს, მათ ამხანაგებს, მთავრობის საქმეთა მმართველს, მის თანაშემწეს და

²⁵საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1861, აღწერა 3, საქმე 3, ფურცელი 10.

²⁶საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 45, ფურცელი 66.

²⁷საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 45, ფურცელი 66.

²⁸საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1861, აღწერა 3, საქმე 3, ფურცელი 10.

იმ პირს, ვისაც იქ მოიწვევს მთავრობის თავმჯდომარე. განსაკუთრებულ შემთხვევაში უფლება მიეცეს მინისტრებს შეიყვანონ თავისი უწყების ერთი მოხელე“²⁹.

კ. მიქელაძე პარლამენტარული წყობილების პირობებში პარლამენტისა და ხელისუფლების ურთიერთამოკიდებულების საკითხს შემდეგნაირად განმარტავს: “მთავრობის წევრები არჩეულნი პარლამენტის წევრთა შორის წარმოადგენენ ნამდვილ გარანტიას იმისას, რომ მთავრობის პოლიტიკას ექნება ერთსახეობა. პარლამენტარული მთავრობა ინარჩუნებს ორგანიულ კავშირს თვით პარლამენტთან; ეს კი უზრუნველყოფს მთავრობის მოქმედებას სახელმწიფოებრივ ორგანოთა შორის უთანხმოებისაგან და წინააღმდეგობისაგან, რასაც შეიძლება ადგილი აქვს სახელმწიფოს სხვა გვარ ფორმით არსებობის პირობებში. პარლამენტარულ მთავრობის უპირატესობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მისი წევრთა მოღვაწეობა დამყარებული, არის სოლიდარულ პასუხისმგებლობის პრინციპზე“³⁰.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოს რესპუბლიკას თავისი კონსტიტუცია არ გააჩნდა, სახელმწიფო მშენებლობის პროცესში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები თანდათანობით დებულობდნენ ისეთ **იურიდიულ ნორმებს**, რომლითაც სახელმწიფოს ორგანოებს შორის ფუნქციების დანაწილება მკვიდრდებოდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აღმასრულებელი სტრუქტურების მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს და მათ მიერ მოქალაქის და სახელმწიფოს დემოკრატიული ურთიერთობების მოწესრიგებას. საქართველოს მთავრობა თავის ნებას უმორჩილებდა ხალხის ნებას, რომელიც პარლამენტის მიერ იყო განსაზღვრული. საქართველოს პარლამენტმა თავისი უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო დააკომპლექტა კოალიციური გზით და მის შემადგენლობაში შეიყვანა სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები³¹.

კ. მიქელაძე იმდროინდელი საქართველოს კოალიციური, გუნდურ პრინციპზე შექმნილ მთავრობას დადებითად აფასებს და ამახვილებს ყურადღებას შემდეგ მნიშვნელოვან არგუმენტზე: „მთელი მთავრობის შემადგენლობა აწარმოებს შინაგან და საგარეო პოლიტიკას, ეჭვს გარეშეა, რომ მთავრობის პოლიტიკური ნაბიჯები უნდა მომდინარეობდეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ ნაჩვენებ კალაპოტში“³².

დადებითად აფასებს ამ ფაქტს ა. აბესაძე, როცა წერს: ამ წესით დაკომპლექტებულმა საქართველოს მთავრობამ, რაც იურიდიულად 1921 წლის კონსტიტუციით გაფორმდა, ძირითადად გაამართლა თავისი დანიშნულება. მან უნარიანად მოკიდა ხელი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა იყო **კაბინეტურ პრინციპზე აგებული საქართველოს უმაღლესი კოლექტიური მმართველობის ორგანო**, რომელსაც სათავეში ედგა ერთი წლის ვადით პარლამენტის არჩეული მთავრობის თავმჯდომარე. კონსტიტუციის 67-ე მუხლის მიხედვით ერთი და იგივე პირი ამ პოსტზე ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული. მთავრობის თავმჯდომარეს ყავდა **ერთი მოადგილე**, რომელიც მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობებს ასრულებდა. მთავრობის დანარჩენ წევრებს **მინისტრები** წარმოადგენდნენ, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავდა მთავრობის თავმჯდომარე. თვითოეული მათგანი დამოუკიდებლად

²⁹ საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1861, აღწერა 3, საქმე 3, ფურცელი 2.

³⁰ კ. მიქელაძე. დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა. თბილისი, 1918, გვ. 45.

³¹ ალბერტ აბესაძე. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოები (დისერტაცია). თბილისი, 1995, გვ. 6.

³² კ. მიქელაძე. დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა. თბილისი, 1918, გვ. 45.

სწვევდა მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს და პარლამენტის წინაშე აგებდა პასუხს დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის. საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის დასახული კურსის წარმართვას მთავრობა ანხორციელებდა საკითხების კოლეგიური განხილვისა და გადაწყვეტის გზით³³.

1918 წლის 22 ივნისს საკონსტიტუციო კომისიის მესამე კრებაზე, საკონსტიტუციო კომისიის წევრმა ნოე ჟორდანიამ პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება შემდეგნაირად განმარტა: “პარლამენტი იყოს მატარებელი საკანონმდებლო და იმავე დროს აღმასრულებელი ფუნქციებისა: მინისტრები დანიშნულები პარლამენტის მიერ, როგორც მოხელენი პასუხს აგებენ მხოლოდ კანონის წინაშე, გარდა მინისტრ-თავმჯდომარისა, საგარეო და საშინაოსი,- რომელნიც პოლიტიკურადაც პასუხისმგებელი არიან. პალატა თვითონ ნიშნავს მინისტრებს და არა ერთს ანდობს კაბინეტის შედგენას, ამით მოისპობა სამინისტროს კრიზისების შესაძლებლობა”³⁴.

1918 წლის პრესაში კი ვკითხულობთ: „პარლამენტი არა მარტო პოლიტიკური ტრიბუნაა, არამედ უზენაესი საკონტროლო და საკანონმდებლო დაწესებულებაა, სადაც პარლამენტარული წესწყობილება განხორციელებული, მთავრობა პასუხისმგებელია არა მარტო იურიდიულად. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი მინისტრი პასუხს აგებს, როგორც თავისი მოქმედების კანონიერებისა, ისე თავისი მოქმედების მიზანშეწონილობისათვის. პარლამენტი უნდობლობას უცხადებს ისეთ მინისტრს, რომელიც რაიმე დანაშაულს სჩადის“³⁵.

დმიტრი გეგენავა „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში“ მინისტრების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხს შემდეგნაირად განმარტავს: კონსტიტუციაში უპირატესობა მიენიჭა მთავრობის წევრების ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. ამგვარი გადაწყვეტილების ძირითადი მოტივი, ერთი მხრივ, ის იყო, რომ მთავრობის მთლიანი გადაწყვეტების შემთხვევაში პოლიტიკურ კრიზისებს არ მიეღო ხანგრძლივი ხასიათი და ქვეყანა არ დარჩენილიყო უმთავრობოდ. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შემოღებით უზრუნველყოფილ იქნა მთავრობის დარჩენა ხელისუფლებაში, ვინაიდან ერთი მინისტრის ცუდ საქციელს არ უნდა გამოეწვია მთლიანად კაბინეტისთვის უნდობლობის გამოცხადება³⁶.

ქონდა თუ არა ადგილი ხელისუფლების უფლებათა გამიჯვნას 1921 წლის კონსტიტუციით გეგენავა მიიჩნევს: „ამ პერიოდში უფლებამოსილებათა გამიჯვნა არ ყოფილა მიღებული, ვინაიდან მთავრობის თავმჯდომარე ითავსებდა სახელმწიფოს მეთაურის გარკვეულ ფუნქციას, ხელისუფლების სისტემაში დომინირებდა პარლამენტი, მთავრობას ირჩევდა საკანონმდებლო ხელისუფლება და იგი სწორედ პარლამენტის წინაშე იყო პასუხისმგებელი კანონმდებლობა ეკუთვნოდა პარლამენტს, ხოლო უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება-მთავრობას. მაგრამ პარლამენტი მაინც ინარჩუნებს დომინირებულ მდგომარეობას და ძალაუფლების კონცენტრაციას მის ხელისუფლებაში. მთავრობა პარლამენტს ემორჩილება და მისგან გამომდინარეობს“³⁷.

კონსტიტუციის თანახმად, მინისტრის პოსტზე, სქესის განურჩევლად, შეიძლება დანიშნულიყო საქართველოს ყოველი სრულუფლებიანი მოქალაქე, რომლებსაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქონდა. კონსტიტუციის 67-ე მუხლის

³³ალბერტ აბესაძე. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოები (დისერტაცია). თბილისი, 1995, გვ. 62.

³⁴საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 201, ფურცელი 10.

³⁵გაზეთი „საქართველო“, 1918, №161.

³⁶დ. გეგენავა, ბ. ქანთარია, ლ. ცანავა, თ. თევზაძე, ზ. მაჭარაძე, პ. ჯავახიშვილი, თ. ერქვანია, თ. პაპაშვილი. საქართველოს კონსტიტუციის სამართალი (მეორე გამოცემა). თბილისი, 2014, გვ. 50.

³⁷დ. გეგენავა, ბ. ქანთარია, ლ. ცანავა, თ. თევზაძე, ზ. მაჭარაძე, პ. ჯავახიშვილი, თ. ერქვანია, თ. პაპაშვილი. საქართველოს კონსტიტუციის სამართალი (მეორე გამოცემა). თბილისი, 2014, გვ. 48-49.

საფუძველზე აიკრძალა მთავრობის წევრის მიერ სხვა თანამდებობის შეთავსების წესი. გამონაკლისს წარმოადგენდა ის, რომ მთავრობის წევრი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ პარლამენტის წევრი, ან აგილობრივი თვითმმართველობის ხმოსანი.

მთავრობისა და პარლამენტის წევრობის შეთავსება ხელისუფლების ამ ორ ძირითადი შტოს საერთო მიზნებიდან გამომდინარეობს. იგი პარლამენტარული მართვა-გამგეობის დამახასიათებელი ნიშანია.

კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი იყო როგორც მთავრობის თავმჯდომარე, ისე მისი თვითოეული წევრი³⁸.

განმტკიცებაც ემსახურებოდა აგრეთვე მთავრობის, როგორც კოლეგიური ორგანოსა და მისი თავმჯდომარის კომპეტენციების გამიჯვნა, რაც ეფუძნებოდა მართვა-გამგეობის დემოკრატიულ პრინციპებს.

კოლეგიური მთავრობა ანხორციელებდა რესპუბლიკის საქმეთა უმაღლეს მართვა-გამგეობას და მხოლოდ მას ქონდა კონსტიტუციის ძალით პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. მთავრობა ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა ქვეყნის კონსტიტუციისა და სხვა კანონების აღსრულებისათვის. იგი იძლეოდა დასკვნას იმ კანონპროექტებზე, რომლებიც პარლამენტის ან ხალხის ინიციატივით იყო განსახილველად შემოსული.

რესპუბლიკის საგარეო ინტერესების უზრუნველყოფასთან ერთად საქართველოს მთავრობა იცავდა რესპუბლიკის უსაფრთხოებას გარეშე განსაცდელებისაგან და მთელი თავისი ინსტიტუტებით ფხიზლად იდგა მისი დამოუკიდებლობის დაცვის სადარაჯოზე.

მთავრობის უფლება-მოვალეობებში შედიოდა აგრეთვე ზრუნვა შინაგანი წესრიგისა და ქვეყნის უშიშროების დაცვისათვის, რასაც იგი მთავრობის **სპეციალურად შექმნილი მმართველობის ორგანოების დახმარებით** აწარმოებდა.

მთავრობას ფართო რწმუნებანი ენიჭებოდა ეკონომიკის მართვის სფეროსიც. სამინისტროებზე დაყრდნობით იგი განაგებდა ქვეყნის ფინანსებს, უშვებდა საკუთარი ფულის ნიშნებს და ყოველწლიურად უდგენდა პარლამენტს საქართველოს ბიუჯეტს დასამტკიცებლად.

როგორც პარლამენტის მოთხოვნილ ისე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მთავრობა პერიოდულად აბარებდა ანგარიშს რესპუბლიკის პარლამენტს გაწეული მუშაობის შესახებ. კონსტიტუციის მიხედვით იგი ვალდებული იყო წელიწადში ერთხელ მაინც წარედგინა ანგარიში საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის თაობაზე.

საერთაშორისო ურთიერთობებში სხვა სახელმწიფოთა წინაშე ქვეყნის წარმომადგენლობის არსებობის საჭიროებამ, განაპირობა ის, რომ მთავრობის თავმჯდომარეს დაეკისრა რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის ფუნქცია. იგი ნიშნავდა ელჩებს სხვა სახელმწიფოებში. მასთან ხდებოდა აგრეთვე სხვა სახელმწიფოების ელჩების აკრედიტირება.

რაც შეეხება მთავრობის თავმჯდომარის ფუნქციებს საშინაო მმართველობის სფეროში, იგი ძირითადად შემოიფარგლებოდა მმართველობის ამა თუ იმ დარგში რევიზიების ჩატარებით, რისთვისაც აქტიურად იყო გამოყენებული **სახელმწიფო კონტროლიორის ინსტიტუტი**. ასე მაგალითად, 1919 წლის 30 იანვარს კანონით მთავრობასა და მის თავმჯდომარეს უფლება მიეცა დაენიშნა საგანგებო რევიზია მმართველობის სხვადასხვა დარგის, ადგილების და თანამდებობის პირთა მოქმედების შესასწავლად.

აღმასრულებელ-განმკარგულებელი ხელისუფლების განხორციელების პროცესში მთავრობის თავმჯდომარეს უფლება ქონდა გამოეცა ბრძანებები და განკარგულებები. აღნიშნული ადმინისტრაციული აქტების მიზანი იყო პარლამენტის მიღებული კანონების და

³⁸ალბერტ აბესაძე. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოები (დისერტაცია). თბილისი, 1995, გვ. 60-61.

სხვა დავალებების ცხოვრებაში გატარება და მათი შესრულების ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

რაც შეეხება რესპუბლიკის მეურნეობის ცალკეული დარგების მართვას, მას დარგობრივი და ფუნქციონალური მმართველობის სხვადასხვა ორგანოები ასრულებდნენ. დარგობრივი სამინისტროებიდან ფუნქციონირებდნენ ფინანსთა, ვაჭრობა-მრეწველობის, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და ზოგიერთი სხვა სამინისტროები, რომლებიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში არსებული თავიანთი სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით ანხორციელებდნენ მათთვის მინდობილი დარგების მმართველობას. ასე მაგალითად, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს დამტკიცებული დებულებით „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის შესახებ“, სამხედრო მინისტრი წარმოადგენდა თავისი უწყების ყოველი დარგის ხელმძღვანელს და თავისი მოქმედებით პირდაპირ ექვემდებარებოდა საქართველოს მთავრობას³⁹.

ამრიგად, ჩვენი შეხედულებით, 1921 წლის კონსტიტუციის პროექტში, მთავრობისა და მთავრობის წევრების უფლებამოსილებებიდან თვალშისაცემია შემდეგი მომენტი: „მთავრობის წევრს არ შეუძლია იმავე დროს რაიმე თანამდებობა ეჭიროს, ან რაიმე პროფესიას მისდევდეს, მას შეუძლია მხოლოდ იყვეს პარლამენტის წევრი და თვითმმართველობის ხმოსანი“⁴⁰. აღნიშნული დანაწესი მთავრობის წევრს უფლებას აძლევდა ყოფილიყო პარლამენტის წევრი რაც საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას ნიშნავს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას რომ ინსტიტუციური გამიჯვნის პრინციპისთვის აუცილებელია, ხელისუფლების შტოს, კონკრეტული ორგანო წარმოადგენდეს, რაც არსებითად, არა მარტო ორგანოს არსებობაში გამოიხატება, არამედ ორგანოს წევრების სხვადასხვაობას ნიშნავს. შესაბამისად სახეზე გვაქვს მთავრობა რომელიც ანგარიშვალდებულია იმ პარლამენტის წინაშე რომლის წევრებიც ამავე მთავრობის წარმომადგენლები არიან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გარდა პარლამენტის წინაშე მთავრობის წევრების ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა პარლამენტს მთავრობის მთლიანი შემადგენლობის დათხოვნაც შეუძლია რის საპირისპიროდაც მთავრობას პარლამენტზე ზემოქმედების არანაირი ბერკეტი არ გააჩნია: პარლამენტსა და მთავრობას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში 1921 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა მთავრობის გადადგომას. ზემოთაღნიშნული მსჯელობიდან ნათელია რომ ძალაუფლების გამიჯვნის ორი პრინციპიდან ერთი ნაწილობრივ ხოლო მეორე სრულიად უგულვებელიყოფილია, თუმცა აღნიშნულს თავისი პოლიტიკური სარჩულები გააჩნდა რაც იმ პერიოდის პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტებიდან გამომდინარეობდა.

საერთაშორისო ვითარება თუ ქვეყნის შიდა მდგომარეობა, რომელიც პარლამენტის ამგვარ „უზენაესობას“ ემყარებოდა, რაც შედეგად აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციაზე ფუნქციურ და უფლებრივ შედეგში აისახა კ. მიქელაძის აღნიშვნა რომ გამოვიყენოთ: “საქართველომ მძიმე გარდამავალ ხანაში თავისი წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის საშუალებით შეძლო ეწარმოებია სწრაფი და საღი ეროვნული პოლიტიკა, რაც იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ნორმალურ პირობებში მისი პასუხისმგებელი მთავრობა შესძლებს უფრო მეტ ნაყოფიერ საქმიანობას საგარეო პოლიტიკაში“⁴¹.

შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლება ორგანიზაციის თვალსაზრისით მივიღეთ როგორც მხოლოდ, პარლამენტის მიერ განსაზღვრული მითითებების შემსრულებელი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის მიმართულებით, აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს რ.

³⁹ალბერტ აბესაძე. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოები (დისერტაცია). თბილისი, 1995, გვ. 64-66.

⁴⁰გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, №295.

⁴¹კ. მიქელაძე. დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა. თბილისი, 1918, გვ. 45-46.

არსენიძის მოსაზრება საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე „რესპუბლიკის ჯარის“ დებულების განხილვის დროს დასმული საკითხი აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციების განსაზღვრის შესახებ: „თუ მთავრობა პასუხისმგებელი იქნება საბჭოს წინაშე, მაშინ მთავრობასვე, უნდა ჰქონდეს ჯარის განკარგულების უფლება. საბჭო პასუხს ვერ მოსთხოვს მთავრობას, თუ უკანასკნელს თავის განკარგულებაში არ ჰყავს ჯარი“⁴². ამავე სხდომაზე კითხვაზე თუ რა უფლებებელი უნდა გადასცემოდა მთავრობას ჯართან მიმართების საკითხში პასუხი იყო შემდეგი: მთავრობას ექნებოდა მხოლოდ ის უფლება რასაც გადაცემდა პარლამენტი.

Dodo Gelashvili-Beridze

The Work of the National Council for Organizing the Supreme Executive Government ((May 1918 - January 1919)

Summary

Provisional coalition government of Georgia which was responsible before the parliament was established immediately after getting independence on 26 May, 1918. Social democrat -Noe Ramishvili was elected to be the head of the government. (He immediately substituted the post of the minister of Internal Affairs). Eight ministries were established among them was the post of the Minister of Affairs of Abkhazia on 11 June, 1918.

A special meeting of the National Council was held on June 1918 . The meeting approved the advertisement on resignation of the government. On the same day the National Council gave a power to Noe Zhordania to create a new government. and granted a special right to manage the administration. The Cabinet of Ministers remained unchangeable. On the same day –on 24th of June, 1918 the resolution of appointing the ministers' deputies (i.e „comrades“) was adopted on the government meeting of the Democratic Republic of Georgia .

The issue of interdependence of Parliament and Executive Authorities was defined in the following way: The government was elected by the Executive Authorities. It was responsible before the Parliament. Legislation belonged to Parliament and the supreme executive authorities belonged to the government. The Parliament had a dominant position. The government was submissive to the Parliament and was based on it.

⁴²საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 46, ფურცელი 8.

საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიული ტოპონიმია, გზები, სათავადოები

საჩხერის მუნიციპალიტეტს მეტად მდიდარი ისტორიული წარსული გააჩნია, რასაც ადასტურებს მის ტერიტორიაზე მრავლად გამოვლენილი არქეოლოგიური თუ მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. მუნიციპალიტეტის ტერიტორია უწყვეტადაა დასახლებული ჯერ კიდევ ზედა პალეოლითის დროიდან. აღნიშნული პერიოდების კვლევის სფეროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარსულის შესწავლას ისტორიული გეოგრაფიის კუთხით, რაც ერთიან სისტემაში მოიყვანს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ისტორიული განვითარების ძირითად ეტაპებს. ნაშრომში წარმოდგენილია ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკვანძო საკითხები: ისტორიული ტოპონიმები, გზები და სათავადოები.

საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიულ გეოგრაფიაში არ არსებობს ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნიდა მისი ტერიტორიის ისტორიულ ცვალებადობაზე, თუმცა ცალკეული საკითხები მოხვდა ისეთი მეცნიერების ყურადღების ქვეშ, როგორებიც არიან: ვახუშტი ბაგრატიონი (1997), ნიკო ბერძენიშვილი (1964), ოლღა სოსელია (1981), ელდარ ნადირაძე (2001), კონსტანტინე ანთაძე, ვახტანგ ჯაოშვილი (1960), კობა ხარაძე (2003), თაილი ღვინიაძე, მარი შარაშიძე, რომან კვერენჩილაძე (1959). ცალკეული ისტორიული ცნობა გაბნეულია აგრეთვე საკუთრივ საჩხერეზე მიძღვნილ სხვადასხვა თემატიკის ნაშრომში: მიხეილ გოგატიშვილი (2012), მერაბ კეხევაძე (2008), ვასილ წერეთელი (2013, 2008), გიორგი დვალაშვილი (2010), ქეთევან მუშკუდიანი (2009), ჯურხა ნადირაძე (1975), ვალერი კეკელიძე (2013, 2014, 2015, 2016).

გარდა ქართველი ავტორებისა, აღნიშნულ თემაზე მეტად საინტერესო ცნობებს ვაწყდებით ევროპელი მოგზაურების ჩანაწერებში, რომელთაც გაიარეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გარკვეულწილად აღწერეს თავიანთი მარშრუტები, ესენი იყვნენ ჟან შარდენი (1672), იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1771–1772) და სხვ.

ისტორიული ტოპონიმის აღდგენასა და ტერიტორიული ლოკალიზაციის მხრივ მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ძველმა კარტოგრაფიულმა მასალებმაც, მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონის ატლასი (1997) და რუსული 5-ვერსიანი რუკები (მაგ. карта Кавказского края 1913) და სხვა. მნიშვნელოვანი ცნობები იქნა მოპოვებული აგრეთვე თბილისის ეროვნულ და ადგილობრივ მუნიციპალურ არქივებში.

ზემოთ მოცემული თეორიული მასალის გაცნობისა და დამუშავების შემდეგ, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციის მიერ უშუალოდ საველე სამუშაოების დროს შესწავლილი და დაზუსტებული იქნა მოპოვებული მასალები, ექსპედიციამ კიდევ უფრო გაამდიდრა და მნიშვნელოვანი სიახლეები შესძინა მუნიციპალიტეტის ისტორიული გეოგრაფიის რიგ საკითხებს. სწორედ ზემოთ მოყვანილ მასალებსა და ადგილზე ჩატარებულ სამეცნიერო საველე სამუშაოებს ეყრდნობა მოცემული ნაშრომი. მასალების ფიქსაციისა და შესაბამისი ანალიზის შემდეგ შევეცადეთ შეგვედგინა მუნიციპალიტეტის სათავადოების საზღვრების, ისტორიული გზებისა (საერთაშორისო, შიდა ქსელი, უღელტეხილები) და ტოპონიმის (მათ შორის სახეცვლილი)

რეტროსპექტული კარტოგრაფირება, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო სიახლეს და დიდ დახმარებას გაუწევს ზემო იმერეთის ისტორიული გეოგრაფიით დაინტერესებულ მკვლევარებს.

ისტორიული ტოპონიმია. საჩხერის მუნიციპალიტეტი 12 თემში გაერთიანებული 60-მდე სოფლისაგან შედგება, თუმცა ისტორიულად ბევრად უფრო მეტ სოფელს მოიცავდა, რომლებიც დროთა განმავლობაში გაუქმდა და საერთოდ დაიცალა მოსახლეობისაგან, ზოგიერთიც ახლომდებარე სოფლებს შეუერთდა.

შევეცადეთ ძველ ქართულ და რუსულ საარქივო რუკებზე, XIX საუკუნიდან მოყოლებულ აღწერებსა და ადგილზე პირადად ჩატარებული შესაბამისი კვლევების მეშვეობით აღგვედგინა გაუქმებული სოფლების სახელწოდებები და მათი ტერიტორიული განლაგება. ვითარება მეტად სავალალო აღმოჩნდა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დადასტურდა დაახლოებით 50-მდე გაუქმებული სოფელი. ჩვენი ყურადღება მიიქცია აგრეთვე სხვადასხვა სანახის სახელწოდებამაც, რომლებიც მოსახლეობაში ემპირიულად გადმოცემული ცოდნის წყალობით შემოგვრჩა, აგრეთვე შეიძლება მივიჩნიოთ ძველ სასოფლო ტოპონიმებად. ამგვარი ფიქრის საფუძველს გვაძლევს დღევანდელ სოფლებში დიდი მანძილებით დაშორებული ეკლესიები ძველი სამარხებით, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა მოიხსენიებს ისეთი სახელებით, რომელთა შესახებაც არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ; მაგალითად, სოფელ გორისაში არსებული თხმორისისა და ადაურის წმ. გიორგის ეკლესიები, ჩვენი ვარაუდით, ტოპონიმი თხმორისიც და ადაურიც ადრეულ ხანაში თანამედროვე გორისის ტერიტორიაზე განლაგებულ ორ სოფელს უნდა რქმეოდა.

გაუქმებული სოფლების ადგილზე მონახულებისას აღმოვაჩინეთ ძირითადი დამახასიათებელი ტენდენცია, სოფლების უმრავლესობა ძნელად მისადგომ მთაგორიან გეოგრაფიულ არეალშია წარმოდგენილი, ამასთანავე, სოფლები საერთაშორისო გზებიდან საკმაოდ დაშორებით მდებარეობენ. სოფელთა გეოგრაფიული განფენილობის ეს სპეციფიკა ძველად საერთო ქართული, ჩვეულებრივი მოვლენაა. მტრის გამუდმებითი შემოსევებისაგან თავდასაცავად მოსახლეობა განზრახ ირჩევდა ისეთ ადგილებს დასახლებისათვის, რომლებიც მტერს თვალში ადვილად არ მოხვდებოდა და გეოგრაფიულადაც ძნელად მისადგომი იყო. უკვე XIX-XX საუკუნეებში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე შედარებით სიმშვიდემ დაისადგურა, მოსახლეობაც იწყებს ბარად ჩამოსვლას, ძველი სოფლები კი ნელ-ნელა იცლება. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების დაცლა აგრეთვე გამოიწვია საბჭოთა კავშირის მესვეურების დემოგრაფიულმა პოლიტიკამ, როდესაც ხდებოდა მთაგორიანი, მთავრობისათვის ძნელად მისადგომი სოფლებიდან მოსახლეობის მასობრივი, ძალდატანებითი თუ ნებაყოფლობითი, გადასახლებები. აღნიშნული პოლიტიკის შედეგად ათეულობით სოფელი სრულიად ან ნაწილობრივ დაცლილი აღმოჩნდა, რამაც მრავალი სოფელი საბოლოოდ სრულ გაუქმებამდე მიიყვანა. მექანიკური მიგრაციის ეს პროცესი მუნიციპალიტეტში უმეტესად 1950-იანი წლებიდან იწყება, როდესაც საჩხერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გადაასახლეს ოჩამჩირის, გულირიფშის, სოხუმის, გაგრის, მარნეულის, ადიგენის რაიონებში. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს გადასახლებულების ნაწილი საინგილოშიც კი ჩაასახლეს. აღნიშნული მიგრაციული პროცესების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ადგილობრივ მუნიციპალურ არქივში დაცული მასალები. აღნიშნულმა გადასახლებებმა ძირითადად დააზარალა ჭალვანისა და არგვეთის თემის სოფლები, ფაქტობრივად ამ დროს გაქრა ტოპონიმები: გორიჯვარი, ლადაური, კარათი, ბუკვეთი, ბუკილაური, დედაბერა, ლომისა, ბორეული, ლაშიანთხევი, ძირულა, ფორხალა, კინიორა, შეხვეული, ძირი, ქოლგევი, ვალანდა, ლეკეთი, ოხობინა და სხვ.

დროთა განმავლობაში ცვლილებები განიცადა დასახელებათა ტოპონიმებმაც. მაგალითად, სოფელი ჯალაურთა, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის იმერეთის რუკაზე **ჯარეულთას** სახელითაა წარმოდგენილი; თავისთავად სოფლის ძველი სახელწოდებიდანვე ჩანს, რომ ეს ადგილი შესაძლოა წარმოადგენდა ჯარის შეყრის ადგილს. ასეთივე სახეცვლილება განიცადეს ტოპონიმებმა: ტბეთი – **სადარნო**, წმინი – **რწამი**, იტავაზა – **ირტოზა**, შალაური – **შალვაური**, კორბოული – **კოლბეური** და მრავალი სხვა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ერთი სპეციფიკა, ის, რომ ადგილობრივი ებრაული მოსახლეობა სოფელ საირხეს – **სარიხეს** უწოდებდა, ეს მომენტი გასათვალისწინებელია, რამდენადაც ებრაელი მოსახლეობა უძველესი დროიდან ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე და მათში ავტომატურად შემორჩენილი უნდა ყოფილიყო ძველი ტოპონიმიკური სახელწოდებები.

მრავალმა სოფელმა მეზობელ სოფელთან განიცადა ასიმილაცია და ერთი სახელის ქვეშ იწოდება, მაგალითად: **კაპნათუბანი**, **გოგოთუბანი**, **სისვაძეები**, და ა.შ. დღეს საკუთრივ კორბოულის ტერიტორიას შეადგენენ. აგრეთვე მაგალითისათვის უნდა აღინიშნოს ქალაქ საჩხერის (ქალაქად იწოდება 1964 წლიდან) ტერიტორიის გაზრდა მის მოსაზღვრე სოფლის – **ნაჩერქეხევის** ხარჯზე, რომელიც ქალაქმა მთლიანად შეიერთა. ადგილობრივ მოსახლეობაში ძველი სოფლის შესახებ ცნობას უკვე აღარ ფლობენ. საარქივო დოკუმენტების კვლევისას დადგინდა, რომ ძველი საჩხერე მხოლოდ თანამედროვე ორ პარალელურ უბანში – ბესიკ ქუთათელაძისა და აკაკი წერეთლის ქუჩებზე იყო განლაგებული. უკვე დღევანდელი კულტურის სახლიდან მოყოლებული ვიდრე სოფელ სარეკამდე, იყო სოფელი ნაჩერქეხევი, რომელიც ჯერ კიდევ 1926 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერაში სოფლის სტატუსითაა წარმოდგენილი. აღნიშნული სოფლის შესახებ საკომლო მასალები დაცულია საჩხერის მუნიციპალურ არქივში. გაუქმებული სოფლები და მათი ტერიტორიული ლოკალიზაცია წარმოდგენილია რუკაზე.

სათავადოები. იმერეთის საერისთავო სისტემა ჩამოყალიბებას იწყებს ჯერ კიდევ **ფარნავაზის** დროიდან (არგვეთის საერისთავო), ერთიანობის რღვევის შემდგომ ძირითადად სწორედ აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოიქმნა ცალკეული სათავადო. სისტემა ძალზე დიდ ცვლილებებს განიცდის მისი არსებობის ბოლომდე (XIX საუკუნის II ნახევარი). სათავადოები იმერეთში ფაქტობრივად დასრულებულ სახეს იღებს XV საუკუნეში; ამ დროს ერთიანი საქართველო იშლება და ქვეყანა რამდენიმე სამეფო-სამთავროდ ნაწილდება. სწორედ ამ დროიდან იწყება სათავადოთა განსაკუთრებული ზრდა იმერეთში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე XV-XIX საუკუნეებში არსებობდა იმერეთის სამეფოში შემავალი სათავადო ფეოდალური სისტემა. თანამედროვე მუნიციპალიტეტის საზღვრებში ორი სათავადო სახლი იყო წარმოდგენილი – **საწერეთლო** და **სააბაშიძეო**, რომელთა განლაგების მიახლოებითი რეტროსპექტივაც რუკაზეა წარმოდგენილი. აღნიშნულ საზღვრებში მნიშვნელოვანი ცვლილება მხოლოდ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ხდება, როდესაც გაძლიერებული წერეთელთა საგვარეულო სააბაშიძეო ფეოდალურ სახლს ართმევს სოფელ ლიხს, მახათაურს, სავანეს, ქორეთსა და დოდორას მიმდგომი მხარეებითურთ, ნაშრომში დართულ რუკაზე სასაზღვრო ხაზი წარმოდგენილია XVIII-XIX საუკუნეების მდგომარეობით.

სათავადოების საზღვრების კარტოგრაფირებისას წავაწყდით ერთ მცირე გაუგებრობას: მოგვექცია თუ არა თანამედროვე სოფლების: **პერევი**, **ჯრია**, **ქარქმანი**, **თედელეთი**, **ჯალაბეთი**, **ხახიეთი**, **ჭოისის** ტერიტორიები სააბაშიძეო მამულში, რომლის მამულებსაც ეს ტერიტორიები უშუალოდ ემიჯნება. აღნიშნული სოფლებიდან არცერთი არ ჩანს ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ეს სოფლები მაშინ არ არსებულა. ტერიტორიის კუთვნილების შესახებ არც ჩვენ მიერ მიკვლეული ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ რამეს. აღსანიშნავია, რომ ამ ტერიტორიის სააბაშიძეო მამულში შეყვანა

გადაგვაწყვეტინა იმ ფაქტორმაც, რომ აღმოსავლეთით მის მოსაზღვრე შიდა ქართლის სათავადოს – სამაჩაბლოს შემადგენლობაში ეს სოფლები და ტერიტორია არ მოიხსენიება. გეოგრაფიული არეალის მიხედვითაც ეს ტერიტორია უფრო მეტად საჩხერის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, მათ ჯავის რაიონის სოფლებიდან მეკეთრად გამოყოფენ მთები: სირხლაბირტი, ალხაშენთი, რიბისი, ბილიურთა, კარდანახუმი, რუსთავი. ეს სოფლები გეოგრაფიულად უშუალოდ ებმის საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას (აღრინდელ სააბაშიძეს).

ცალ-ცალკე განვიხილოთ საჩხერის მუნიციპალიტეტის თანამედროვე ტერიტორიაზე მდებარე სათავადოები:

ერთ-ერთ უმსხვილეს და ძლიერ სათავადოს წარმოადგენდა **საწერეთლო**, რომელიც დაახლოებით XVI საუკუნეში ყალიბდება. წერეთლების სათავადო განლაგებული იყო ზემო იმერეთში. ის ძირითადად მოიცავდა თანამედროვე **საჩხერისა** და **ჭიათურის** მუნიციპალიტეტებს, აგრეთვე **თერჯოლის** (ძვერი), **ონის**, **ამბროლაურის**, **ქარელის**, **ხაშურის** მუნიციპალიტეტების მცირე ნაწილსაც. აღნიშნული საზღვრები და სათავადოს განლაგების არეალი საჩხერეში წარმოდგენილია რუკაზე.

წერეთლები აგრეთვე ფლობდნენ ყმა-მამულებსაც: **ჩიხას**, **დიდწიფელას**, **ოფჩას**, **დარკვეთს**, **საკურწეს**, **კაცხს**, **წინსოფელს** და სხვა. წერეთლებს ეკუთვნოდათ: მთა ხიხათა, „სანადირო მთა“, სოფელი როკითის ნაწილი.

საწერეთლოს საზღვრები იყო: ჩრდილოეთით **რაჭის საერისთავო**, სამხრეთით მდინარე **ძირულა**, აღმოსავლეთით **ლიხის მთა**, დასავლეთით **ჭიათურის** წყლამდე.

სააბაშიძეო, იქმნება XV საუკუნეში; მასში ძირითადად შედიოდა თანამედროვე **ხესტაფონის**, **ხარაგაულის**, **წყალტუბოს**, **თერჯოლისა** და **ჭიათურის** მუნიციპალიტეტების სოფლები. სააბაშიძეო ტერიტორიულად ორად იყო გაყოფილი, მისი მეორე ნაწილი საჩხერეში მდებარეობდა, რომლის საზღვრებიც რუკაზე მეკეთრადაა გამოყოფილი. სააბაშიძეოს საზღვარი: ჩრდილოეთით **რაჭის საერისთავომდე**, სამხრეთით მდინარე **ძირულამდე**, აღმოსავლეთით **ლიხის ქედამდე**, დასავლეთით **არგვეთა-ჩხარამდე** აღწევდა. აბაშიძეების ხელში იყო: **შორაპნის**, **შროშის**, **ჭალატყის**, **ცუცხვათის** ციხე-სიმაგრეები.

ზემთ მოყვანილ წყაროთა დაყრდნობით და პირადი დაკვირვებების შედეგად მოვახდინეთ XV-XIX საუკუნეების თანამედროვე საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სათავადოების რეტროსპექტული კარტოგრაფირება.

1810 წელს რუსეთის იმპერიამ იმერეთის სამეფო დაიპყრო და გააუქმა, სამეფოსთან ერთად არსებობას წყვეტს სათავადო სისტემის მმართველობის ძველი სახე¹.

ისტორიული გზები, შიდა და საერთაშორისო ქსელი, უღელტეხილები. ძველი გზების გამოვლენა და მათი კარტოგრაფიული აღნუსხვა, გარდა მეცნიერული ფაქტორისა, პრაქტიკულ-გამოყენებით ხასიათსაც იღებს; ძველი გზების აღდგენა რიგ შემთხვევაში ძალზე ხელსაყრელ ვითარებას უქმნის მოსახლეობას, როგორც ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების გახსნის მხრივ, აგრეთვე, საგზაო მანძილის შემოკლების თვალსაზრისით, რაც დროისა და თანხების დაზოგვაზე პირდაპირ აისახება; ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე ძველი საგზაო მონაკვეთი, რომელთა აღდგენასა და კეთილმოწყობის შემთხვევაში სახელმწიფო და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობაც დიდ შეღავათს იგრძნობს.

ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის შემდეგ რაჭაში მიმავალი საგზაო მონაკვეთი ბლოკირებულ იქნა; ამის გამო შეიქმნა შემოვლითი მარშრუტი, რამაც ძალიან გაზარდა მანძილი;

¹**ოღლა სოსელია.** ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. ტ. II. თბილისი, 1981; **ვალერი ეკენაძე.** იმერეთის სათავადოების საზღვრების კარტოგრაფირება XV-XIX სს.– გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები. საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი, 2015.

ესაა შემდეგი მიმართულება: **საშური-ხესტაფონი-ტყიბული-ამბროლაური-ონი**. ძველად რაჭაში გადასასვლელი გზა არსებობდა **საჩხერე-ხრეთი-ონის** მიმართულებით, რომელიც დღესდღეობით უფუნქციოა და შეუკეთებელი. აღნიშნული მონაკვეთის რეაბილიტაციის შემთხვევაში გზა საგრძობლად შემოკლდება, რაც თითქმის ძველი, ცხინვალის მიმართულების, გზის იდენტურია. აქედან გამომდინარე, ამ ისტორიული გზის აღდგენა ძალზე ხელსაყრელია, რაზედაც უკვე მიდის მსჯელობა შესაბამის სახელმწიფო უწყებებში. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ ისტორიულ მარშრუტზედაც: **ხვანი-ჭალვანი-წმანი-დედაბერას გადასასვლელი-სურამი**, რომლის აღდგენის შემთხვევაშიც მგზავრს ჭერათხევის ხეობის, გომისა და საშურის გაუვლელად შეუძლია უმოკლეს დროში საჩხერის ტერიტორიიდანვე მოხვდეს სურამში და შემდეგ დასავლეთისაკენ სხვადასხვა მიმართულებით. ეს გზა შეამცირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტისაკენ მიმავალ მარშრუტსაც და ა.შ.²

გზას, როგორც კომუნიკაციის საშუალებას, გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მოწესრიგებული საგზაო ქსელი უზრუნველყოფს კონკრეტულ ტერიტორიაზე განსახლებული მოსახლეობის თავისუფალ მიმოსვლას, რაც ხელს უწყობს, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, აგრეთვე კულტურულ კავშირებს ეთნიკურად თუ ეთნოგრაფიულად განსხვავებულ სხვადასხვა ლოკალურ ჯგუფს შორის.

ამასთან, საერთაშორისო გზის გავლა ამა თუ იმ ქვეყანაზე ხელს უწყობდა იმას, რომ ეს ქვეყნები მუდმივად მისდევდნენ თანამედროვე მსოფლიოს განვითარებას და არ ჩამორჩებოდნენ ცივილურ სამყაროს, რაც მათი ნორმალური განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ფაქტორი იყო. საერთაშორისო გზის არსებობა ხშირად განაპირობებდა გზათა სიახლოვეს ახალი ქალაქებისა და სოფლების აღმოცენებას.

გარდა დადებითისა, გზის გაყვანას ახლდა უარყოფითი ფაქტორებიც; კერძოდ, მტრის შემოსევის შემთხვევაში, თუ მხარე არასათანადოდ იყო გამაგრებული და კარგი გზაც გააჩნდა, მტერი სწრაფად გადაადგილდებოდა და იოლად იპყრობდა მხარეს, ქვეყანას. სუსტი სახელმწიფოს არსებობის პირობებში, ომიანობისას მოსახლეობისათვის გზის მახლობლად ცხოვრება არახელსაყრელი გახდებოდა და გადაინაცვლებდა შედარებით უსაფრთხო, მიუდგომელ ტერიტორიაზე.

ომიანობის დიდი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, იმის გამო, რომ შეკეთებითი სამუშაოები აღარ ტარდებოდა, შესაძლოა გზები მეტად დაზიანებულიყო მეწყერებით, ზვავებით, ძლიერი წვიმისას გადარეცხვებით, რაც მას სავალად უვარგისს გახდიდა და შესაძლოა მალე კიდევაც გამქრალიყო. მოსახლეობისათვის აგრეთვე არახელსაყრელი ხდებოდა საზღვრისპირა მდინარეებზე არსებული ხიდები, ამის გამო შესაძლოა ისინი მიზანმიმართულად დაენგრიათ.

დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი სამი მნიშვნელოვანი უღელტეხილი, როგორც უკვე ხემათ აღვნიშნეთ, იმერეთზე გადიოდა, მათგან ორი – საჩხერის გავლით. ერთი მათგანი **ალი-მცხეთისჯვარი-ჭერათხევის ხეობა-ჯვარი-კორბოული**, საჩხერის გავლით მიემართებოდა შავი ზღვისაკენ, მეორე **სურამი-დედაბერას გადასასვლელი-წმანი-ჭალვანი-ხვანი-საჩხერე**, და მესამე, **სურამი-ჩუმათელეთი-ფონა-წიფა-ნებოძირი-მოსაკიდელ-ჩხერი-შორაპანი**. ამ გზებს, თავის მხრივ, უერთდებოდა სხვადასხვა მნიშვნელობის შიდა გზებიც, რომელზედაც გადაჰქონდათ სავაჭრო საქონელი³.

²ვალერი კეკელიძე. იმერეთის ისტორიული გზების რეტროსპექტული კარტოგრაფირება XV-XIX საუკუნეებში.– გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. 6. 2014.

³ელდარ ნადირაძე. ხალხური ქვით ხურობა იმერეთში. თბილისი, 2001.

საჩხერეზე გადადიოდა ისტორიული ქვაფენილით მოკირწყლული საქარავნე გზა, რომელიც საერთაშორისო გზის ერთ-ერთ არტერიას წარმოადგენდა. იგი ამჟამად თანამედროვე საავტომობილო გზის მიღმაა დარჩენილი. აღსანიშნავია, რომ გზას, მთელ გაყოლებაზე, ახლაც ეტყობა ქვაფენილის ნაშთები. ჭერათხევის ხეობიდან მიმავალ მგზავრს კორბოულის თემში შესვლისას გორაძირის ვულკანურ გორაკამდე უნდა ემოძრავა იმ მარშრუტით, რომელზედაც ახლაც მიემართება საავტომობილო გზა. გორაძირის მთის ძირიდან იგი ჩაუხვევდა ხელმარცხნივ და გაემართებოდა სოფელ ზემო ნიგეზარისაკენ, ჩაივლიდა ამავე სოფელში მდებარე სამთელას (სანთელა) ციხის სიახლოვეს და დაეშვებოდა ქვემო ნიგეზარის მიმართულებით, ნიგეზარიდან გამოვიდოდა გოგოლაძეების უბანში და შეუერთდებოდა კორბოულის თანამედროვე საავტომობილო გზას, მივიდოდა კორბოულის ცენტრთან (იქ სადაც ახლა სოფლის ბაზარი მდებარეობს) მარჯვენა მხრიდან გვერდს აუქცევდა კორბოულის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას და გაემართებოდა მოძვისაკენ, საიდანაც გორისის თავში გამოვიდოდა და მერჯევამდე ისევ გაუყვებოდა იმ გზას, რომელიც დღეს თანამედროვე საავტომობილო გზაა, შემდგომ ამისა გაუვლიდა მერჯევის სამების ეკლესიას, გადაივლიდა მერჯევის გვიანდელ აბანოების ახლოს გამავალ გზას და გამოვიდოდა საჩხერეში (თანამედროვე თამარ მეფის ქუჩა), ამ გზას რუსის გზას უწოდებდნენ XIX საუკუნეში, რადგან ანექსიის შემდეგ რუსეთის ჯარი უმეტესად ამ გზას იყენებდა აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადასასვლელად. აღნიშნული გზის რეაბილიტაცია განიზრახეს 1961 წელს, გაიღო ხიმინჯები მდინარე დუმალაზე (კორბოულის თემის ტერიტორია), ჩატარდა შესაბამისი სამუშაოები, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის გამო, რომელთა სახლებზე და ნაკვეთებზე უნდა გაეგლო გზას, პროექტი ჩაიშალა და გზამ გადაინაცვლა იქ, სადაც ახლა მდებარეობს საჩხერე-გომი-თბილისის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა.

კორბოულის თემს კვეთდა აგრეთვე დასავლეთიდან (ძველი ბოსლევებიდან) მომავალი შემდეგი მარშრუტის გზა: **ჩხიროული-ტყემლოვანი-მანდაეთი-კორბოული-ჯვარი-ალი**.

დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზაზე, გარდა სურამის ქედის გადასასვლელებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო მეორე გზაც, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო: **ალი-მცხეთისჯვარი-ჭერათხევის ხეობა-ჯვარი-კორბოული-საჩხერე**. ამასთანავე, კორბოულიდან გზა საჩხერის გვერდის ავლით უხვევდა და პირდაპირ შექრუთში და შემდეგ ჭიათურის მიდამოებისაკენ მიემართებოდა. მეორე გზა კი, როგორც აღვნიშნეთ, საჩხერეზე გადიოდა, რომელიც თავის მხრივ ყვირილის პირით ჩიხას მიადგებოდა. ჩიხასთან მას მეორე გზა უერთდებოდა, რომელიც ქუთაისიდან წამოსული ტყიბულში ამოდიოდა, აქედან **მუხურა-ხრეთ-წირქვალის** გამოვლით **საჩხერე-ჩიხამდე** ადიოდა. ჩიხიდან გზა ყვირილის ხეობას მიუყვებოდა. სოფელ პერევის ქვემოთ ის გაიყოფოდა. ერთი პერანგას გადასასვლელით მდინარე ფრონეს ხეობაში, მეორე კი მდინარე ყვირილის სათავეებით დიდი ლიახვის შენაკად მდინარე ფაწას ხეობაში შედიოდა. აქ მას ქუთაისი-ონის გზა უერთდებოდა. ამ გზებს ქართლში ქალაქი ცხინვალი და ნიქოზი ხვდებოდა.

საჩხერის მიდამოებში გამავალი გზები იყო: 1) **საჩხერე-ჩიხა-წონა-კეხვი-თამარაშენი-ქრცხინვალი**; 2) **საჩხერე-ჩიხა-ჭალა-დარყა-მთა პერანგა-ყორნისი-წორბისი-ერკნეთი-აგნევი-დვანი-ბრეთი**; 3) **საჩხერე-ჩიხა-ჭალა-დარყა-მთა პერანგა-გომართა-ხტანა-ოჟორა-თიღვა-ატოცი**, აქვე **საჩხერე-ხრეთი-რაჭა**; 4) **ხვანი-ჭალოვანი-ლიჩი-ნადაბური**; 5) **ხვანი-დიდმინდვრები-ვაშლარი-ულუმბო**.

ცოტა მოგვიანებით აქ გზა გადიოდა: **საჩხერე-საირხე-გორისა-მოძვი-კორბოული** – ქართლისაკენ. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებში და შემდეგაც, ქართლ-კახეთის

ურთიერთობა იმერეთთან და დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ძირითადად სწორედ ამ გზით ხდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში გადმოსულმა ჟან შარდენმა⁴ სწორედ ეს მონაკვეთი აირჩია თავის მარშრუტად. იგი წერს: „ჩავედით ქალაქ ალში, აქედან ორი ლიე ვიწრო ხეობით ვიარეთ. ეს არის საქართველოსა და იმერეთის სამეფოს საზღვარი. თოვლით დაფარულ მთებში შვიდი ლიე გავიარეთ, გვეგონა გზა აგვებნეოდა, რადგანაც თოვლს სულ დაეფარა ყოველგვარი ნაკვალევი, შევჩერდით სოფელ კოლბეურში“⁴.

როგორც ჩანს, შარდენმა ზამთარში, უამინდობაში შეძლო გაეგლო ეს რთული გზა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ რთულ მეტეოროლოგიურ პირობებშიც კი ეს გზა სავალად არცთუ ისე ძნელი იყო.

შიდა საგზაო ქსელი მეტად მრავალფეროვანი იყო, მაგალითად: სოფელ სხვიტორიდან ისტორიული საურმე გზა აუხვევდა ამავე სოფელში მდებარე ეკლესიის ხელ-მარცხნივ, როსტომ წერეთლის სასახლეს მარჯვნივ მოიტოვებდა და გაუყვებოდა მდინარე გონჯურას, ავიდოდა ნაურთვეის სერზე (ამ ადგილებს ადგილობრივი მოსახლეობა ნაურმალს უწოდებს) და გაიყოფოდა ორად: ერთი კვერეთის მიმართულებით, ხოლო მეორე გორიჯვრის სალოცავისაკენ ბაჯითის მიმართულებით, ეს გზა უკავშირდებოდა სოფელ უზუნთასაც. საჩხერე-კორბოულიდან გზა გადადიოდა სოფელ ბერეთისას მიმართულებით, სადაც აგრეთვე მდებარეობდა ძველი საბაჟო ბერეთისასა და წყალშავს შუა სოფელ ნიგოზეთში. აქვე იყო სვერის ბატონის სასახლე. ეს გზა სვერსა და ტყემლოვანს შუა გადიოდა და, როგორც ჩანს, ძველ ბოსლევში უერთდებოდა შორაპან-საჩხერის გზას ერთი მხრით და საზანო-ბოსლევ-ამაშუკეთის გზას მეორე მხრით. მუნიციპალიტეტის შიდა საგზაო ქსელი დაწვრილებით შეგიძლიათ იხილოთ რუკაზე.

გზა კაცხიდან კორბოულზე მიდის: **კაცხი-ნავარძეთი-ჭიათურა-შუქრუთი-წასრი-ჯალაურთა-კორბოული**. ქედან გზა მიემართებოდა შორაპნისაკენ: **კორბოული-საბაჟო-სვერი-თვალუეთი-კოდისწყალი-უწლევი-ქონასწყალი-მოქეიშნული-სანახშირე-შორაპანი**. შედარებით გვიანი საუკუნეების გზა გადადიოდა ზესტაფონის მიდამოებიდან ჭიათურაში: **საქარა-დილიკაური-ბოსლევ-ჯოყოეთი-კაცხი-ნავარძეთი-ჭიათურა**.

ნიკო ბერძენიშვილი რომელმაც ეს გზა განვლო გასული საუკუნის პირველ ნახევარში, ასე აღწერს თავის მარშრუტს კორბოულიდან აღის მიმართულებით: „გავიარეთ კორბოული-გორაძირი-ძირულის ხეობაში გავედით, გავიარეთ სოფელი ბორეული-ჯვარი. აქედან იწყება მდინარე წყალწყულა, რომელიც ზისხევთან ერთად ქმნის ჭერათხევს. გზა ამ მდინარეთა პირს მისდევს და საკმაოდ დამღლელია, ეს გზაც არაა, უფრო მდინარის კალაპოტი“.

ბერეთისა-კორბოულის გავლით ქვის ნივთები გადაჰქონდათ ძირულის ხეობის სოფელ **ჭალვანში, ლინში, დოდორაში, ოტრიაში, ხვანში**, რომლებიც მთიან სოფლებს წარმოადგენენ და გზაზე მძიმეწონიანი ქვის გადაადგილება, რა თქმა უნდა, დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. მეორე გზა, **ჯალაურთა-ჭორვილა-გორისის** გავლით უერთდებოდა მთავარ მაგისტრალს და ჩადიოდა საჩხერეში. ბერეთისული საფლავის ქვები ჩვენმა ექსპედიციამ ამ სოფლებში მრავლად დაადასტურა.

ბუნებრივია, ყველა მცირე გზის დასახელება შეუძლებელია, ამასთანავე, ეს მეორეხარისხოვანი გზები ხშირად იცვლებოდა და ინაცვლებდა ადგილს.

ელდარ ნადირაძის⁵ კვლევიდან ჩანს, რომ ბერეთისული ქვის ნაწარმი ზემო იმერეთის თითქმის ყველა სოფელშია დადასტურებული, რაც, ბუნებრივია, მიანიშნებს იმაზე, რომ ზემო

⁴ ნიკო ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბილისი, 1966.

⁵ ელდარ ნადირაძე. ხალხური ქვით ხურობა იმერეთში. თბილისი, 2001.

იმერეთის სოფლებს შორის არსებობდა მოწესრიგებული გზები, რომლებზედაც მარხილით ან გორვაზე დაფუძნებული ტრანსპორტით გაველა შესაბამისი სიმძიმით შესაძლებელი იყო.

XIX საუკუნის ზემო იმერეთის გზებს ძალზე ცუდ დახასიათებას აძლევენ ავტორები თაილი ღვინიანიძე და მარი შარაშიძე. მათი აზრით, გლეხობას არ ჰქონდა შესაძლებლობა მოეწყო გზისათვის, რასაც კიდევ უფრო ართულებდა მთაგორიანი რელიეფი და ნოტიო ჰავა. მდგომარეობის სირთულეზე რომ საუბრობენ, ისინი აღნიშნავენ: „ზემო იმერეთის სამიმოსელო ტრასები ვიწრო, ოღრო-ჩოღრო, ზოგან საცალფეხო ბილიკებად ქცეულ გზებს წარმოადგენდა. წვიმების შემდეგ ორმოებში ჩამდგარი წყალი და ლაფი სახიფათოს ხდიდა მოგზაურობას, ბევრ ადგილას გზები ხრამებად იქცეოდა“. გზების სირთულეს კიდევ უფრო ართულებდა ხიდების გაუმართაობა, ხშირად საერთოდ არ არსებობდა ზემო იმერეთის გზებზე. იყო მხოლოდ საცალფეხო დაკიდული (ბონდის) ხიდები, რომელზედაც ურემის ან რაიმე საზიდრის გატარება წარმოუდგენელი იყო, ამიტომაც ურემები ფონებით სარგებლობდნენ. აღნიშნულ მხარეში მოძრაობას მკვეთრად გამოსატყული სეზონური ხასიათი ჰქონდა, გადაადგილება ზამთარში ფაქტობრივად წყდებოდა.⁶

ზემოთ აღნიშნული აშკარად მიუთითებს ზემო იმერეთის საგზაო მონაკვეთების ძალზე მძიმე ვითარებაზე. აშკარა იყო, რომ თუ გზები არ მოწესრიგდებოდა, მოსახლეობის ყოფა კიდევ უფრო აუტანელი გახდებოდა, აუცილებელი იყო მთავრობას მოეწესრიგებინა გზები, რადგან ამას ეკონომიკურად მეტად ღარიბი იმერელი გლეხობა თავისი ძალებით ვერ მოახერხებდა.

მართლაც, 1860–იან წლებში საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის გზა საფუძვლიანად შეკეთდა, რაც დიდი შვება იყო მოსახლეობისათვის; აქაურებს უკვე უგზობა აღარ აბრკოლებდათ, სავაჭრო თუ პირადი კავშირები დაემყარებინათ მეზობელ მხარეებთან.

Valeri Kekenadze


Historical Toponymy , Roads and Estates of Sachkhere Municipality

Summary

Municipality of Sachkhere has a very rich historical past , that is proved by various archeological and material–cultural heritage found in its territory. The territory of the municipality is continuously populated even since Paleolithic era. In the field and process of researching these periods, a special importance is given to studying past in the field historical geography, that will unite the main stages of historical development of the municipality territory as one system. In this work it is represented main issues of historical development , such as :historical toponyms, roads and estates.

Based on proper analysis , we have made a retrospective cartography of this work, that will be very useful for researchers interested in historical geography of Upper (Zemo) Imereti.

⁶თაილი ღვინიანიძე, მარი შარაშიძე. ქვემო იმერეთის ტრანსპორტი და რაიონთაშორისო კავშირი.– გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XIII. თბილისი, 1960.



მასალები საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის IX ადგილობრივი კრებისათვის

მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, მანგლელი მიტროპოლიტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (ცინცაძე) გარდაიცვალა 1952 წლის 3 თებერვალს¹. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისთვის². საქართველოს ეკლესიის საერთო ინტერესი, ბუნებრივია, მოითხოვდა საპატრიარქო ტახტი დიდხანს არ დარჩენილიყო დაქვრივებული, ამიტომაც კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მიერ მოსაყდრედ გამორჩეულმა³ ურბნელმა მიტროპოლიტმა მელქისედეკმა (ფხალაძე) გარდაცვლილი მამამთავრის დაკრძალვიდან (10 თებერვალი) სამი კვირის შემდეგ⁴ დაიწყო მზადება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის IX ადგილობრივი კრების მოსაწვევად, რომელსაც უნდა აერჩია ავტოკეფალიის აღდგენიდან (1917 წ. 12 (25) მარტი) მეექვსე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მესუთე მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი⁵.

1952 წლის 28 თებერვალს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა (აქ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მდივანმა) დეკანოზმა პლატონ ცქიტიშვილმა⁶ კათოლიკოს-პატრიარქის კანცელარიის №35-36 განჩინებით⁷ მიმართა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის წევრ მღვდელმთავრებს: ქუთათელ-გაენათელ და ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ეფრემს (სიღამონიძე) (მასვე დროებით ებარა ბათუმ-შემოქმედისა და მარგვეთის ეპარქიები) და ბოდბელ-ალავერდელ ეპისკოპოს გაბრიელს (ჩაჩანიძე) წარმოედგინათ თავიანთი ეპარქიებიდან კრებისთვის დელეგატების სია არაუგვიანეს მარტის პირველი კვირის ოთხშაბათისა. 1 მარტს იგივე ტექსტით, №39 განჩინებით მიმართა პლატონ ცქიტიშვილმა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დროებით მიმართველს, დეკანოზ სვიმეონ გიგინეიშვილს.

¹2016 წელს შესრულდა 150 წელი მისი დაბადებიდან. ამ დღისსახსოვარ თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენციები კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

²მასალები კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ იხ. Телеграмма о кончине Святейшего Католикоса-Патриарха всей Грузии Каллистрата, Журнал Московской Патриархии (შემდგომში, შემოკლებით – ЖМП), №2, 1952, стр. 10 იქვე: Митрополит Николай. Речь у гроба Святейшего Католикоса-Патриарха всей Грузии Каллистрата, стр. 27-29; იქვე, უავტორო: Католикос-Патриарх Каллистрат (Некролог), стр. 34-35; იქვე: Митрополит Николай. Кончина и погребение Каллистрата, стр. 36-40.

³ მოსაყდრედ იგი გამორჩეულ იქნა 1943 წლის 27 სექტემბერს, იხ. უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის წერილები. *შემკრები და გადაამწერი მონოზონი დემეტრე*, თბილისი, 2011, გვ. 13; იგივე *სერგო ვარდოსანიძე*. პატრიარქი კალისტრატე, პატრიარქი მელქისედეკ III, *პატრიარქები*. II. თბილისი, 2013, გვ. 74, 176.

⁴1945 წელს დამტკიცებული საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით, ადგილობრივი კრება უნდა მოწვეულიყო კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 3 თვისა. იხ. *მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე*. საქართველოს VIII საეკლესიო კრების (1937 წ.) სახელით გამოცემული „დებულება“. საქართველოს საეკლესიო კრებები. I. თბილისი, 2003, გვ. 381, 380-388.

⁵ავტოკეფალიის აღდგენიდან პირველი კათოლიკოს-პატრიარქი – წმ. მღვდელმთავამე კირიონი († 1918) მხოლოდ მცხეთის მთავარეპისკოპოსის წოდებას ატარებდა. თბილელის კათედრა 1917 წლის 13 (26) აგვისტოდან ეპყრა მიტროპოლიტ ლეონიდეს (ოქროპირიძე). II ადგილობრივმა კრებამ 1920 წლის 5 ივლისს გააერთიანა მცხეთისა და თბილისის კათედრები და მასზე მმართველობა შეუთავსა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, იხ. *მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე*. საქართველოს მეორე საეკლესიო კრების (27. 06. 1920) მიერ გამოცემული „დებულება“. *საქართველოს საეკლესიო კრებები*. I. თბილისი, 2003, გვ. 353, 352-366.

⁶ყოფილი დეკანოზი, შემდგომში ხარისხში აღადგინა კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ 1940-იანი წლების მიწურულს. მის შესახებ იხ. დეკანოზი *პლატონ ცქიტიშვილი* (1875-1960), ფოტომატიანე: რუბრიკას უძღვებიან *ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩუროშვილი*. საპატრიარქოს უწყებანი, №23 (510). თბილისი, 2009, გვ. 18-20.

⁷საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 12.

ადგილობრივ კრებაზე დასასწრებად საჭირო იყო თითო ეპარქიიდან თითო სასულიერო და თითო საერო პირის წარდგენა⁸ ეპარქიის მღვდელმთავრის მიერ შესაბამისი წესით გაცემული მანდატებით. მანდატების გაცემა პირველმა დაიწყო მიტროპოლიტმა ეფრემმა, რადგან მას ერთდროულად ებარა დასავლეთ საქართველოს 4 ეპარქია (ქუთაის-გაენათის, ჭყონდიდის, ბათუმ-შემოქმედისა და მარგვეთის). 6 მარტს მან საეპარქიო №1171 განჩინებით გასცა მანდატი თამარ ნაკაშიძის სახელზე ბათუმ-შემოქმედის ეპარქიიდან⁹. სავარაუდოდ მიტროპოლიტმა ეფრემმა იმ დღესვე გასცა მანდატი იმავე ეპარქიის მღვდელმსახურის, დეკანოზ ალექსი სობხუკის სახელზე (მანდატის ორიგინალი არ არის შემონახული). პლატონ ცქიტიშვილის გაგზავნილი კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის №36 განჩინება ეპისკოპოსმა გაბრიელმა მიიღო 7 მარტს (რასაც თავად ადასტურებს საპასუხო წერილით), მან იმავე დღეს შეადგინა ორივე ეპარქიის (ბოდბისა და ალავერდის) დელეგატთა საერთო სია¹⁰. ალავერდის ეპარქიიდან დელეგატებად წარადგინა საკუთარი თავი (როგორც მოითხოვდა მართვა-გამგეობის დებულება), დეკანოზი დავით ბურდულაძე (შემდგომში ალავერდელი ეპისკოპოსი) და იოსებ მაზმანგლახაშვილი, ხოლო ბოდბის ეპარქიიდან: ისევ საკუთარი თავი და მღვდელი მაქსიმე მინენკოვი, ერისკაცის ვინაობის შეტყობინებას ჰპირდებოდა დეკემთ. აღნიშნული სია მან საეპარქიო №26 ბრძანებით გაუგზავნა პლატონ ცქიტიშვილს. როგორც ჩანს, ეპისკოპოსი გაბრიელი პრობლემას ხედავდა დელეგატთა რაოდენობაში ორი ეპარქიის მართვის შემთხვევაში, ამიტომაც იგი იმავე №26 განჩინებას ურთავს დამატებას (№26(ა))¹¹ რომლითაც სთხოვს პლატონ ცქიტიშვილს 6 (და არა 5) კაცის საჭიროების შემთხვევაში სიაში დაემატებინა დავით ნინაშვილი ბოდბის ეპარქიის დელეგატად. ეპისკოპოსი გაბრიელი ასევე უგზავნის პლატონ ცქიტიშვილს პირადი ხასიათის წერილს:

მაღალ ღირსო მამო პლატონ!

მივიღე თქვენი მიმართვა 7/III დღით ე.ი 8 (?) დღის შემდეგ, რომელითაც დეპუტატების სიას ითხოვთ. გაახლებთ, მხოლოდ ერთი რამ მიდეპეშეთ. ერთი ერთგან, ერთი მღვდელთაგან და მმართველი ეპისკოპოსი იგზავნება თვითივე ეპარქიიდან, მე ორი ეპარქია მაბარია, ასე რომ ორი მღვდელი, ორი ერთთაგანი და ორიც მე = 6 კაცი. მოსაყდრემ და მიტრ. ეფრემმა ასე ბრძანეს თქვენ ორ ხმას მისცემთო ეფრემმა მე სამსო და ასე, ახლა საბოლოოდ როგორ გადაწყვიტეს მიდეპეშეთ ჩემიანად ექვსნი თუ ხუთნი გამოვცხადდეთ.

სიაში არ იქნება აღნიშნული ერის კაცი ბოდბიდან. მე მაქსიმეს ვუდეპეშე რომ მან გიდეპეშოთ იმ კაცის გვარისახელი და მისამართიც.

თუ ექვსნი ვიქნებით მაშინ დამატებით სიაში რომ აღნიშნულია დავით ნინაშვილი ის იქნება თუ ხუთნი და მაშინ ამოიღეთ დავით ნინაშვილს – სია.

არ დამიყოვნოთ და მიდეპეშეთ.

წერილით კი მაცნობეთ მანდატები აქედანვე მანდ მე წინასწარ არ უნდა ჩამოვიდე – გაბრიელი.

შენი გაბრიელი

P.S. რომ გვიან მივიღე ვიბრუნებთ პაკეტს ფოსტის თარიღით შენი გაბრიელი¹².

პლატონ ცქიტიშვილმა მალევე უპასუხა ეპისკოპოს გაბრიელს და ამით ეს მცირე გაუგებრობაც ამოიწურა:

*ალავერდი ვაჟა ფშაველას ქ. 8
გაბრიელ ალავერდელს.*

ორივე ეპარქიებიდან იქნებით ხუთი. თქვენ ვაქეთ მხოლოდ ერთი ხმა. მოსაყდრის სურვილია ჩამობრძანდეთ თქვენ პირადად მარტის ბოლოსთვის. მანდატები მანდ დაამზადეთ. პლ. 12/III.52¹³.

⁸მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს VIII საეკლესიო კრების (1937 წ.) სახელით გამოცემული „დებულება“. საქართველოს საეკლესიო კრებები. I. თბილისი, 2003, გვ. 383.

⁹ საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 2.

¹⁰ საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 3.

¹¹ საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 4.

¹² საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 94.

¹³ საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 11.

საბოლოოდ მანდატები ეპისკოპოსმა გაბრიელმა გასცა უშუალოდ კრების წინ, თბილისში, 4 აპრილს საეპარქიო №29-30 განჩინებებით (უნდა აღინიშნოს, რომ დავით ნინაშვილი ბოდბის ეპარქიიდან ჯერ ნიკოფორე მელიავეთ, შემდეგ კი ეგნატე პანეჟათი ჩანაცვლდა)¹⁴. მიტროპოლიტმა ეფრემმა დანარჩენი ეპარქიების დელეგატების მანდატები დაამზადა და გასცა 9 მარტს. ჭყონდიდის ეპარქიიდან საეპარქიო №1172/1174 განჩინებით მანდატები ებოძათ დეკანოზ კოზმან კირცხალიასა და მაქსიმე მოტორნის¹⁵, მარგვეთის ეპარქიიდან: მონაზონ ელენეს (კიკნაძე) (საეპარქიო №1177 განჩინება)¹⁶ ხოლო ქუთაის-გაენათის ეპარქიიდან: დეკანოზ ამბროსი ფოფხაძესა და თამარ ჯანელიძეს (განჩინებით №1178,1179)¹⁷. საბოლოო სია მიტროპოლიტმა ეფრემმა გაგზავნა თბილისს 18 მარტს (დელეგატებს მიემატათ: ბათუმ-შემოქმედის ეპარქიიდან – დეკანოზი ალექსი სობჩუკი, ხოლო მარგვეთის ეპარქიიდან – დეკანოზი ვარლამ გაბადაძე)¹⁸. მცირე ბარათით მიტროპოლიტი ეფრემი ასევე აცხადებდა პლატონ ცქიტიშვილსა და მიტროპოლიტ მელქისედეკს, რომ შესაძლო იყო დელეგატთა ცვლილება, რადგან უამინდობის გამო მათი შეკრება ქუთაისში ძნელდებოდა¹⁹.

1938-52 წლებში ცხუმ-აფხაზეთის კათედრა დაქვრივებულად რჩებოდა, როგორც ჩანს ხელისუფლება არ იძლეოდა ნებართვას ამ მეტად რთულ რეგიონში დანიშნულიყო ადგილობრივი ქართველი მღვდელმთავარი (საკმარისია აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირი, ცარისტული რუსეთის პოლიტიკას აგრძელებდა აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორებისთვის, განსაკუთრებით XX საუკუნის 30-იანი წლებიდან).²⁰ ამიტომაც, კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს განჩინებით ეპარქიის დროებითი მმართველის როლს 1946 წლიდან ასრულებდა სოხუმის წმ. ნიკოლოზის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი სვიმეონ გიგინეიშვილი²¹. უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ გადაწყვიტა ამ პრობლემის მოგვარება (ითვალისწინებდა რა ომის შემდგომ კომუნისტური მთავრობის „დათბობას“ ეკლესიისადმი). ამიტომაც მან 1951 წლის ბოლოს შესთავაზა დეკანოზ სვიმეონს აღკვეცილიყო ბერად და მიეღო საეპისკოპოსო ხარისხი²².

სამწუხაროდ კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე 1952 წლის დასაწყისში (3. II) გარდაიცვალა. ამიტომაც, რაღაც დროით ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის პრობლემის მოგვარება გადაიდო. მოსაყდრედ გამორჩეულმა ურბნელმა მიტროპოლიტმა მელქისედეკმა გადაწყვიტა კრებამდე მოეგვარებინა ეს საკითხი. 20 მარტს პლატონ ცქიტიშვილმა დეკემბით სთხოვა მიტროპოლიტ ეფრემსა და ეპისკოპოს გაბრიელს სასწრაფოდ ჩაბრძანებულიყვნენ თბილისს ბერად აღკვეცილი დეკანოზ სვიმეონის (ბერობაში სახელდებულ იქნა ანტონად) ეპისკოპოსად სახელდება-ხელდასხმაზე 27-30 მარტს (ხუთშაბათ-კვირას)²³. 30 მარტს ხელდასხმულმა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა ანტონმა, კრების წინა დღეს, 4 აპრილს, გასცა მანდატები ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დელეგატების არქიმანდრიტ იოაკიმესა (შენგელია) და არქიმანდრიტ ლუკას (ნადარეიშვილი) სახელზე²⁴. ამით ირღვეოდა კრებაზე დელეგატების გაგზავნის დადგენილი წესი, რომელიც გულისხმობდა ეპარქიის მმართველ მღვდელმთავართან ერთად ერთი სასულიერო და ერთი საერო პირის გაგზავნას²⁵, ამიტომაც არქიმანდრიტ ლუკას დაუტოვეს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება (ე. წ. კოოპტაციის წესით გაწვევა), ხოლო მის ნაცვლად სრულფასოვან დელეგატად ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიიდან დასახელებულ იქნა აქესენტი ნადარეიშვილი. დანარჩენი ეპარქიებიდან

¹⁴საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცლები 64-67.

¹⁵საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცლები 5-6.

¹⁶საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 7.

¹⁷საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცლები 8-9.

¹⁸საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 12.

¹⁹საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 13.

²⁰1938 წლამდე უკანასკნელი ცხუმ-აფხაზეთის მღვდელმთავარი გახლდათ მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე), რომელიც ეპარქიას მწყემსმთავრობდა 1935 წლის 2 იანვრიდან 1938 წლამდე, რის შემდეგაც მოუწია ეპარქიის დატოვება, რასაც მოყვა მისი II განმოსვა (1938-1943 წწ.).

²¹მის შესახებ იხ. გიორგი მანჭურიშვილი, ლუარსაბ ტოგონიძე. XVIII-XX საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი, 2011, გვ. 253-259.

²²სერგო ვარდოსანიძე. ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები). თბილისი, 2010, გვ. 189.

²³საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 23.

²⁴საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცლები 62-63.

²⁵მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს VIII საეკლესიო კრების (1937 წ.) სახელით გამოცემული „დებულება“. საქართველოს საეკლესიო კრებები. I. თბილისი, 2003, გვ. 383.

დელეგატების წარდგენის საკითხი მოავგარა მიტროპოლიტმა მელქისედეკმა. საკუთარი – ურბნისის ეპარქიიდან მან გამოიწვია მღვდელი გრიგოლ ზამბახიძე და კონსტანტინე გოგინიაშვილი. მცხეთა-თბილისის ეპარქიაზე მიწერილი მანგლისისა და აგარაკ-წალკის ეპარქიებიდან, შესაბამისად: მღვდელი გრიგოლ ხარიტონაშვილი, იოსებ მენთეშაშვილი²⁶ და ალექსანდრე კლიმენკო (მანგლისის ეპარქია); მღვდელ-მონაზონი ინა და ალექსანდრე ციხითათრაშვილი (აგარაკ-წალკის ეპარქია).

სასულიერო დასის დიდი წილი მოდიოდა მცხეთა-თბილისის ეპარქიაზე, ამიტომაც ამ უმთავრესი ეპარქიიდან დელეგატების შედარებით მეტი რაოდენობა იქნა გამოწვეული, ამასვე მოითხოვდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, რომლის მიხედვითაც მცხეთა-თბილისის ეპარქიიდან იმ რაოდენობით დელეგატი უნდა გამოწვეულიყო, რამდენიც ყველა დანარჩენი ეპარქიიდან ერთად²⁷. ამასვე ერთვოდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქად გამორჩეული ახალი მამამთავარი იღებდა მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის წოდებას, ამიტომაც საჭირო იყო, რომ ამას ამავე ეპარქიის სასულიერო დასისა და მრევლისგან მისცემოდა გარკვეული ლეგიტიმაცია. მცხეთიდან გამოიწვიეს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილე – არქიმანდრიტი გობრონი (წკრიალაშვილი) (შემდგომში – ეპისკოპოსი), წმიდა ოლდას მონასტრის მონაზონი ანუსია (კოჭლამაზაშვილი) (თავდაპირველად უნდა გამოწვეულიყო ამავე მონასტრის წინამძღვარი – იღუმენია ანგელინა). თბილისიდან, სიონის საპატრიარქო ტაძრიდან: დეკანოზი ალექსანდრე გაბუნია, მღვდელი იოანე საყვარელიძე, მღვდელი რომანოზ პეტრიაშვილი. საეროებიდან – თავდაპირველად სიონის საპატრიარქო ტაძრის სამრევლო საბჭოს წევრი – მოქალაქე დავით თულაშვილი, მას საგანგებოდ ეცნობა ამის შესახებ²⁸ პლატონ ცქიტიშვილისგან, თუმცა მან უარი განაცხადა, ამიტომაც იგი სხვა პირით ჩაანაცვლეს კრებაზე.

1952 წლის 19 მარტს მიტროპოლიტმა მელქისედეკმა საგანგებო ცირკულარით²⁹ მიმართა ქ. თბილისის სამრევლოების წინამძღვრებს, რათა 5 აპრილს დანიშნული კრებისთვის წარედგინათ სამრევლოდან ერთი სასულიერო და ერთი საერო დელეგატი. აღნიშნულ ცირკულარს გამოეხმაურნენ³⁰: 20 მარტს – არქიმანდრიტი ზინობი (მაჭუგა) წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძრიდან, 23 მარტს – დეკანოზი კონსტანტინე ემჩინოვი წმ. მიქაელ ტვერელის ტაძრიდან, 24 მარტს – დეკანოზი ბორის ფარაფანოვი წმ. იოანე ღმრთისმეტყველის ტაძრიდან, 25 მარტს – დეკანოზი ხარიტონ დევიდარიანი ქ(ვა)შვეთის წმ. გიორგის ტაძრიდან, ასევე დეკანოზი დავით იაშვილი წმ. პეტრესა და პავლეს ტაძრიდან. საბოლოოდ ცირკულარს გამოეხმაურა 27 მარტს, ყოველადწმიდა სამების ტაძრიდან დეკანოზი მელქისედეკ ხელიძე. უთარიღოა კუკიის წმ. ნინოს ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ იოანე ლუკაშვილის გამოსხაურება. თუმცა მან, 4 აპრილს კიდევ ერთხელ მიმართა კათოლიკოს-პატრიარქის კანცელარიას ცნობით, რომ მის მიერ დასახელებული დელეგატი – ივანე ახალაშვილი სამსახურებრივი მოვალეობის გამო ვერ ახერხებდა კრებისათვის თბილისს დაბრუნებას, ამიტომაც იგი ჩაანაცვლეს შუშანა აბაშიძით³¹.

კერძო განცხადებით³² მიმართა მიტროპოლიტ მელქისედეკს პოლიევექტოს გაგოშიძემ. იგი, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიით დაინტერესებული პირი, ითხოვდა დასწრებოდა კრებას, როგორც სრული, კოოპტაციის წესით (სათათბირო) გამოწვეული დელეგატი ან უკიდურეს შემთხვევაში, კორესპონდენტი. დელეგატთა საბოლოო სიაში პოლიევექტოს გაგოშიძე არ არის აღნიშნული, როგორც ჩანს, მას არ მისცეს უფლება ყოფილიყო სრული ან სათათბირო ხმის უფლების მქონე დელეგატი და იგი კრებას ესწრებოდა რაიმე განსაკუთრებული სტატუსის გარეშე.

ამგვარად დასრულდა დელეგატთა გამოწვევა ეპარქიებიდან, მათი საბოლოო სია³³ ამგვარია:

²⁶საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 86.

²⁷მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს VIII საეკლესიო კრების (1937 წ.) სახელით გამოცემული „დებულება“. საქართველოს საეკლესიო კრებები. I. თბილისი, 2003, გვ. 383.

²⁸საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 25.

²⁹საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 15.

³⁰საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცლები 17-22, 24, 93.

³¹საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 1.

³²საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 10.

³³დელეგატთა საბოლოო სია დადგინდა შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე: საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცლები 84-85, 87, 88-89.

I. ალავერდის ეპარქია:

1. ეპისკოპოსი გაბრიელი (ჩაჩანიძე);
2. დეკანოზი დავით ბურდულაძე;
3. იოსებ მაზმანგლახაშვილი;

II. ბოდბის ეპარქია:

- (ეპისკოპოსი გაბრიელი (ჩაჩანიძე));
4. მღვდელი მაქსიმე მინენკოვი;
 5. ეგნატე პანეჟა;

III. მანგლისის ეპარქია:

6. მღვდელი გრიგოლ ხარიტონაშვილი;
7. იოსებ მენტეშაშვილი;
8. ალექსანდრე კლიმენკო;

IV. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია:

9. ეპისკოპოსი ანტონი (გიგინეიშვილი);
10. არქიმანდრიტი იოაკიმე (შენგელია);
11. აქსენტი ნადარეიშვილი;

V. ქუთაის-გაენათის ეპარქია:

12. მიტროპოლიტი ეფრემი (სიღამონიძე);
13. დეკანოზი ამბროსი ფოფხაძე;
14. თამარ ჯანელიძე;

VI. მარგვეთის ეპარქია:

- (მიტროპოლიტი ეფრემი (სიღამონიძე));
15. დეკანოზი ვარლამ გაბადაძე;
 16. მონაზონი ელენე (კიკნაძე);

VII. ჭყონდიდის ეპარქია:

- (მიტროპოლიტი ეფრემი (სიღამონიძე));
17. დეკანოზი კოზმან კირცხალია;
 18. ვასილი მოტორნი;

VIII. ბათუმ-შემოქმედის ეპარქია:

- (მიტროპოლიტი ეფრემი (სიღამონიძე));
19. დეკანოზი ალექსი სობჩუკი;
 20. თამარ ნაკაშიძე;

IX. ურბნისის ეპარქია:

21. მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე);
22. მღვდელი გრიგოლ ზამბახიძე;
23. კონსტანტინე გოგიჩაიშვილი;

X. აგარაკ-წალკის ეპარქია:

- (მიწერილი მცხეთა-თბილისის ეპარქიაზე);
24. მღვდელ-მონაზონი ინა;
 25. ალექსანდრე ციხითათრიშვილი;

XI. მცხეთა-თბილისის ეპარქია:

- (კათოლიკოს-პატრიარქი (ამ შემთხვევაში – მოსაყდრე, ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე));
26. არქიმანდრიტი გობრონი (წკრიალაშვილი) (სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი);
 27. მონაზონი ანუსია (კოჭლამაზაშვილი) (ოლღას მონასტერი);

28. დეკანოზი ალექსანდრე გაბუნია (სიონის საპატრიარქო ტაძარი);
29. მღვდელი იოანე საყვარელიძე;
30. მღვდელი რომანოზ პეტრიაშვილი;
31. დეკანოზი ნიკოლოზ მაღალდაძე (დიდუბის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი);
32. სოფიო ხახანაშვილი;
33. დეკანოზი მელქისედეკ ხელიძე (ყოვლადწმიდა სამების ტაძარი);
34. ნიკოლოზ აივაზაშვილი;
35. არქიმანდრიტი ზინობი (მაჟუგა) (წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი);
36. ლეონ კალიუჟნი;
37. დეკანოზი კონსტანტინე ემჩინოვი (წმ. მიქაელ ტვერელის სახელობის ტაძარი);
38. ვასილი კისელიოვი;
39. დეკანოზი ბორის ფარაფანოვი (წმ. იოანე ღმრთისმეტყველის სახელობის ტაძარი);
40. ვასილი ავილოვი;
41. დეკანოზი ხარიტონ დევდარიანი (ქ(ვ)აშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი);
42. დავით მაკარიძე;
43. დეკანოზი დავით იაშვილი (წმ. პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარი);
44. ნატალია ევსეევა;
45. დეკანოზი იოანე ლუკაშვილი (კუკიის წმ. ნინოს ტაძარი);
46. შუშანა აბაშიძე;
47. დეკანოზი ანდრია ტყემალაძე (ნავთლულის წმ. ბარბარეს სახელობის ტაძარი);
48. დიმიტრი ჩიჯავაძე;
49. დეკანოზი ხარლამპი ხუციშვილი (მთაწმინდის წმ. დავით გარეჯელის სახელობის ტაძარი);
50. ნინო შავდია;

XII. კოპტაციის წესით (სათათბირო ხმა):

1. მღვდელი გრიგოლ გრაბოვო (ჩაანაცვლა დეკანოზი ვასილ ნათიძე);
2. არქიმანდრიტი ლუკა (ნადარეიშვილი);
3. გიორგი ტატიშვილი;

მიტროპოლიტ მელქისედეკს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო კრებისთვის მიცემულიყო ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლების შეკრების სახე, ისეთი როგორსაც, მაგალითად, აძლევდა ადგილობრივ კრებებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია (განსაკუთრებით 1945 და 1948 წლის კრებებზე და შემდგომაც). ამიტომაც მან საგანგებოდ მიმართა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს, უწმიდეს ალექსი I-ს (1877-1970)³⁴:

Его Святейшеству,

Святейшему Алексию, Патриарху Московскому и всея Руси.

Ваше Святейшество, Святейший Владыко:

Долгом приятным почитаю уведомить Вас, что 5-го апреля с/г состоится выборы Католикоса-Патриарха всея Грузии, а 7-го того же апреля интронизация.

Было бы весьма и весьма лестно для нас, если бы Вы Ваше Святейшество, украсили своим присутствием Собор Грузинской церкви и ее скормня т(оржество).

23 მარტს პატრიარქმა ალექსი I-მა ტელეგრამით³⁵ უპასუხა მიტროპოლიტ მელქისედეკს:

Тбилиси, Сионский Собор.

Митрополиту Мелхиседеку.

Дела препятствуют мне лично быть на соборе Грузинской Церкви и интронизации будущего Католикоса Патриарха. Назначаю Нашими представителями Экзарха Украины

³⁴საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 91.

³⁵საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 96.

Митрополита Киевского Иоанна, Архиепископа Харьковского Стефана и Ректора Московской Духовной Академии протоиерея Ружницкого.

Патриарх Алексий

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის IX ადგილობრივი კრება მეტად შრომატევად დროს დაემთხვა პატრიარქ ალექსისტოვის. კომუნისტური მთავრობა ამზადებდა სსრკ-ის ყველა ეკლესიის და რელიგიური ორგანიზაციის მშვიდობის დაცვისადმი მიძღვნილ კონფერენციას, რომელიც უნდა გამართულიყო 1952 წლის მაისს, ყოველდღე სამების სერგის ლავრაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეგიდით, ამიტომაც პატრიარქ ალექსისტოვის მეტად მძიმე იქნებოდა ამ საორგანიზაციო მზადების დროს თბილისში რამდენიმე დღიანი ვიზიტი³⁶.

მიტროპოლიტმა მელქისედეკმა დეპეშით³⁷ ასევე მიმართა კრუტიცკისა და კოლომნის მიტროპოლიტ ნიკოლოზს (იარუშევიჩი) (1891-1961)³⁸, რომელიც ხელმძღვანელობდა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო ურთიერთობათა განყოფილებას (1946-60 წწ.) და წარმოადგენდა იმდროინდელ მართლმადიდებელურ სამყაროში ერთ-ერთ გავლენიან მღვდელმთავარს. მისი ვიზიტი პატრიარქ ალექსისტთან ერთად, ან მის გარეშეც, საქართველოს ეკლესიის კრებას დიდ ავტორიტეტს მოუპოვებდა.

Митрополиту Николаю

Долгом считаю уведомить В.В (Ваше Высокопреосвященство) про(что) выборы Патр(иарха). состоятся 5 с(его). апр(еля). а интронизация 7го. Ваше присутствие Владыко на этом церковном соборе придадо бы ему красивый колорит, свидетельствующий и(в) взаимной дружеской любви между двумя православными церквями.

მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ასევე ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა აღნიშნული კონფერენციის მომზადებაში, ამიტომაც მან ასევე უარი შეუთვალა³⁹ დასწრებაზე მიტროპოლიტ მელქისედეკს:

Тбилиси Сионский Собор

Митрополиту Мелхиседеку

Очень сожалею невозможности быть на Вашем празднике. Необходимо готовить доклад,⁴⁰ горячо желаю Вашего избрания.

Примите мою любовь,

Митрополит Николай.

მიტროპოლიტმა მელქისედეკმა ასევე მიმართა მოსკოვში ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქის წარმომადგენელს, არქიმანდრიტ ბასილის (სამახა), რათა მას გამოეთხოვა ნებართვა ანტიოქიის და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქის, უნეტარეს ალექსანდრე III-გან ნებართვა კრებაზე და ახალი კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებაზე დასასწრებად⁴¹. 31 მარტს არქიმანდრიტმა ბასილიმ საპასუხო დეპეშა გაუგზავნა მიტროპოლიტ მელქისედეკს, რომლითაც აუწყებდა, რომ ჯანმრთელობის პრობლემების გამო ვერ ასერხებდა თბილისს ჩასვლას⁴², თუმცა 3 აპრილს კიდევ ერთი დეპეშა გაუგზავნა მიტროპოლიტ მელქისედეკს, სადაც ახარებდა მას, რომ უნეტარეს ალექსანდრე III

³⁶ამ კონფერენციაში კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ მიიღო მონაწილეობა. მასალები კონფერენციის შესახებ, იხ. Конференция всех Церквей и религиозных объединений в СССР, посвященная вопросу защиты мира, *Материалы*. Москва, 1952; კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკის სიტყვა, იხ. იქვე, გვ. 106-109. კონფერენციის მასალების დიდი ნაწილი ასევე გამოქვეყნებულია 1952 წლის ЖМП-ის ნომრებში.

³⁷საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 90, სტილი დაცულია.

³⁸მიტროპოლიტ ნიკოლოზის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომებიდან განსაკუთრებით გამოვყოფთ ს. სურკოვის 700 გვერდიან მონოგრაფიას, იხ. **Сергей Сурков**. Митрополит Николай (Ярушевич), *Материалы по истории Церкви*. Москва, 2012.

³⁹საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 101.

⁴⁰ეს ვრცელი მოხსენება სათაურით *Церковь вместе с народом в борьбе за мир* მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა წაიკითხა 1952 წლის 9 მაისს, იხ. Конференция... стр. 30-95.

⁴¹საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 95.

⁴²საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 99.

ანტიოქიელის ნებართვით და ექიმების დაშვებით შეექძლო თბილისს გამგზავრება და მოსკოვიდან გამოფრინდებოდა 4 აპრილს⁴³.

პატრიარქმა ალექსიმ IX ადგილობრივ კრებაზე თბილისში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგატებად გამოგზავნა: კიევისა და გალიჩინის მიტროპოლიტი და სრულიად უკრაინის საპატრიარქოს ეგზარქოსი იოანე (სოკოლოვი), ხარკოვისა და ბოგოდუხოვსკის მთავარეპისკოპოსი სტეფანე (პროცენკო) და მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორი, დეკანოზი კონსტანტინე რუჟიცკი. 1 აპრილს მიტროპოლიტი იოანე და დეკანოზი კონსტანტინე რუჟიცკი მატარებლით გამოემგზავრნენ თბილისს მოსკოვიდან, რაზეც საგანგებო დეკრეტით⁴⁴ ატყობინებდა მიტროპოლიტ მელქისედეკს მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი – პროტოპრესვიტერი ნიკოლოზ კოლჩიცი. მიტროპოლიტ იოანეს თან ჰქონდა პატრიარქ ალექსი I-ის მიერ მისთვის გაცემული საგანგებო მოწმობა⁴⁵, რომელიც ნებას რთავდა მას დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად დასწრებოდა IX ადგილობრივ კრებას. მთავარეპისკოპოსი სტეფანე 2 აპრილს №13 მატარებლით გამოემგზავრა ხარკოვიდან თბილისს, რაზეც საგანგებოდ ატყობინებდა დეკრეტით⁴⁶ მიტროპოლიტ მელქისედეკს.

ფაქტობრივი მზადება კრების ჩატარებისა და ახალი მამამთავრის აღსაყდრებისთვის დასრულდა 4 აპრილისთვის. 31 მარტს მიტროპოლიტმა მელქისედეკმა ეპარქიათა მმართველ მღვდელმთავრებსა და ყველა ეპარქიის დელეგატებს ჩამოურიგა მოსაყდრის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული საგანგებო მცირე ზომის მანდატები, რომელთა ნაწილმაც ჩვენამდე მოაღწია⁴⁷. ნაკლებად მნიშვნელოვანი, მაგრამ IX კრების პრაქტიკული მხარის გასაშუქებლად აღსანიშნავია, რომ 1 აპრილს პლატონ ცქიტიშვილმა კათოლიკოს-პატრიარქის სამდივნოს სახელით „პასაჟირის ატკ-ს“ დაუკვეთა 7 აპრილისთვის ორი ავტობუსი მცხეთის მიმართულებით, რათა ახალი კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებაზე უზრუნველყოფილი ყოფილიყო კრების დელეგატებისა და სტუმრების ტრანსპორტირება⁴⁸.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა 4 აპრილს, რკინიზის ცენტრალურ სადგურზე (ე. წ. „ვაგზალზე“) მათ დახვდა მიტროპოლიტი ეფრემი და მიმართა გულთბილი სიტყვით (არ არის შემორჩენილი). წინასწარ იქნა შედგენილი ე. წ. „განრიგება კრების მოქმედებისა“⁴⁹, რომლის შედგენის თარიღი უცნობია მაგრამ არაუგვიანესია 4-5 აპრილისა.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის IX ადგილობრივი კრება გაიმართა 1952 წლის 5 აპრილს სიონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში. კრება დაიწყო მცირე სავედრებელი პარაკლისით, რომელიც აღასრულა ეპისკოპოსმა გაბრიელმა. პარაკლისის შემდეგ კრების თავმჯდომარემ (თავმჯდომარეობა მას ეკუთვნოდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით (§4)) – ურბნელმა მიტროპოლიტმა მელქისედეკმა დაიჭირა მისთვის კუთვნილი ადგილი სიონის საპატრიარქო ტაძრის დასავლეთ მკლავში დადგმული პრეზიდიუმის მაგიდის ცენტრში და ბრძანა შესავალი სიტყვა (არ არის შემორჩენილი), თუმცა მისი შინაარსი გარკვეულწილად ცნობილია, სახელდობრ მიტროპოლიტი მელქისედეკი ხაზს უსვამდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ძმურ ურთიერთობას სხვა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებთან, განსაკუთრებით კი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან⁵⁰. ამის შემდეგ მან კრება გამოაცხადა გახსნილად. „განრიგების“ შესაბამისად მიტროპოლიტმა ეფრემმა წაიკითხა მთავრობისადმი მისალმების გზავნილი:

სსსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს

სრულიად საქართველოს მე-9-ე საეკლესიო კრება, რომელიც შეიკრიბა საბჭოთა საქართველოს დედა ქალაქ თბილისში სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის

⁴³ საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 116.

⁴⁴ საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 103.

⁴⁵ საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 61.

⁴⁶ საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 109.

⁴⁷ საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცლები 26-57, 58 (დეკანოზ ანდრია ტყემალაძის მანდატი დიმიტრი ჩიჯავაძისადმი კრებაზე დასასწრებად (1. IV. 1952 წ.)).

⁴⁸ საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 59.

⁴⁹ საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 77.

⁵⁰ *Архиепископ Стефан, Новый Католикос-Патриарх всея Грузии Святейший Мелхиседек, ЖМП, № 5, Москва, 1952, стр. 34.*

ასარჩევად, გულსავსე მადლობით მოგესალმებათ საქართველოს ეკლესიის მფარველობისთვის.

საქართველოს ეკლესია, მორწმუნე ერის სახით, ყოველთვის იცავდა რა მშვიდობას, აღშფოთებულია ამერიკელ აგრესორთა არაადამიანური მოქმედებით და მოუწოდებს მორწმუნეთ – კვლავ უფრო მეტი ენერჯით იბრძოლონ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისთვის.

პრეზიდენტის თავჯდომარის მოადგილე მიტროპ. ევრემი მდივანი – პლ. ციტიშვილი⁵¹.

მთავრობისადმი მისალმების გაგზავნის შემდეგ კრება შეუდგა საპროცედურო საკითხებს. მიტროპოლიტ მელქისედეკის წინადადებით არქიმანდრიტი გობრონი გამოვიდა წინადადებით არჩეულიყო საქმიანი და საპატიო პრეზიდენტი. საქმიანი პრეზიდენტის წევრებად აირჩიეს: მიტროპოლიტი ევრემი (კრების თავჯდომარის მოადგილე), ეპისკოპოსი გაბრიელი, ეპისკოპოსი ანტონი და ალექსანდრე ციხითათრაშვილი, ხოლო საპატიოსი – მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენლები: მიტროპოლიტი იოანე, მთავარეპისკოპოსი სტეფანე, დეკანოზი კონსტანტინე რუჟიცკი და ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქის წარმომადგენელი მოსკოვში – არქიმანდრიტი ბასილი. დეკანოზ ვარლამ გაბადაძის წინადადებით აირჩიეს სამანდატო კომისია დეკანოზ ალექსანდრე გაბუნიას თავჯდომარეობით, დეკანოზ ხარიტონ დევედარიანისა და დეკანოზ კონსტანტინე ემინოვის წევრობით, ხოლო დეკანოზ დავით იაშვილის წინადადებით აირჩიეს ე. წ. „სექრეტარიტი“ – ანუ კრების სამდივნო. აღნიშნული პროცედურების⁵² შეჯამების (ისინი წინასწარ იყვნენ გაწერილი ე. წ. „განრიგების“ შესაბამისად) შემდგომ პრეზიდენტის საპატიო წევრებს რუსულ ენაზე სიტყვით⁵³ მიმართა ეპისკოპოსმა ანტონმა:

Ваше Высокопреосвященства,

Высокопреосвященнейший Экзарх Всея Украины, Митрополит Киевский и Галицкий Иоанн, Высокопреосвященнейший Стефан, Архиепископ Харьковский и Богодуховский, Досточтимый Ректор Московской Духовной Академии, Протоирей О.Константин Ружижский и досточтимый, боголюбезнейший Архимандрит о. Василий!

По поручению Всегрузинского девятого Церковного Собора, приветствую Вас и в лице Вашем всезнатного дорогого отца, Святейшего Патриарха Московского и всея Руси Алексея, по случаю Вашего приезда в древнюю столицу Грузии - в Тбилиси для украшения и духовного, молитвенного общения с ним.

Русская Православная Церковь на протяжении существования многих веков, как родная сестра, всегда была внимательна, отзывчива, Грузинской Церкви, разделяя всякий раз горе и радость с нею. За последние годы, обе эти церкви идут рука об руку в авангарде в деле защиты мира, во всем мире, разоблачая поджигателей войны, которые хотят залить кровью весь земной шар и на этой человеческой крови нажиться и обезнечить свое благосостояние. Мощное, властное слово двух ангелов Русской и Грузинской Православных Церквей облетели весь земной шар и нет уголка на земле, что бы не знать этих двух имен. Имена этих двух ангелов мира - Алексей и Каллистрат.

Несколько недель тому назад Грузинская Православная Церковь была глубоко опечалена по случаю успения дорогого, высокочтимого нами Отца Нашего, Святейшего и Блаженнейшего Католикоса Патриарха Всея Грузии Каллистрата, но по неложному Слову Божию "глаголющая Ваша претворится в радость", сегодня по милости Всешедраго Бога Отца, на горизонте Грузинской Церкви снова поднимается сияющее солнце, освещающее и согревающее своих чад.

Сегодня Грузинская Православная Церковь и вместе с нею все верующие Грузии, празднует великое, историческое собрание и торжествует по случаю избрания главы своей Католикоса Патриарха.

⁵¹საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 82.

⁵²საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცლები 78-80.

⁵³საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცლები 68-69.

Сегодня по милости Пресвятыя Богородицы - покровицы Нашей родины и молитвами посланицы ея Святой равноапостольной Нины и пред священни из виноградной лозы креста, приступает к избранию будущего кормчего духовного корабля - главы Грузинской Православной Церкви.

Верим и глубоко верим, досточтимые дорогие гости - Ваше Высокопреосвященства, Ректор Олротоиерей и архимандрит о.Василий, что Вы, как посланники от имени Русской Православной Церкви и глубоко чтимого Святейшего Патриарха Московского и Всея Руси Алексея и Антиохийского Патриарха Александра, изволили прибыть сюда, чтобы разделить вместе с нами эту священную радость и своим присутствием украсит наше скромное торжество.

Ваше присутствие в этом священном и древнейшем Соборе есть свидетельство искренней любви чад Русской Православной Церкви и Святейшего Патриарха Московского и Всея Руси Алексея и Антиохии к древнейшей Грузинской Православной Церкви и народу.

Примите от нас, Боголюбнейшие архипастыри, святители Русской Православной Церкви и Боголюбнейшие о.Ректор и архимандрит о.Василий, нашу искреннюю благодарность за понесенные Вами труды и просим передать всему Православному Русскому народу и Святейшему Патриарху Московскому и Всея Руси Алексею и Антиохийскому Патриарху бубочаишую благодарность за братскую любовь, за столь высокое внимание и благопожелания к нам.

Пусть наше сегодняшнее церковное торжество еще сильнее укрепит человеколюбец Бог дружбу и любовь между Грузинским и Руским народами и их Церквами и Антиохии на благо и процветание родины и на славу Православных Церквей и одним усты и сердцем восхвалят Господа Бога Нашего и ему же подобает честь и Слава и во веки веков. Аминь.

Антоний, Епископ Сухумский и Абхазский.

5 Апреля 1952 г.

სამადლობელი სიტყვით გამოვიდა მიტროპოლიტი იოანე, ამავე დროს მან წაიკითხა კრებისადმი მოსკოვისა და სრულიად პატრიარქის, უწმიდეს ალექსი I-ის მიმართვა⁵⁴:

Патриарх Московский и всея Руси

†

Священному Собору Грузинской Православной Церкви

Православная Русская Церковь, пережившая вместе с возлюбленной о Господе сестрой, Православной Церковью Грузии, Ее скорбь о лишении Ее Отца Святейшего Католикоса-Патриарха КАЛЛИСТРАТА в течение более двух десятилетий с великою честью Ее возглавлявшего, ныне, купно с Нею, утешается тем, что приблизилось время прекращения Ее вдовства избранием на Ее священном Соборе преемника почившего в Бозе Католикоса-Патриарха.

Мы лимся вместе с вами, всечестные отцы и братие Грузинской Церкви, чтобы на священном Соборе вашем совершилось "еже изволися Духу Святому" и вам, и чтобы ибранныи вами новый Глава святой Церкви вашей стал достойным преемником почившего брата нашего, возлюбленного и приснопоминаемого нами Святейшего Католикоса-Патриарха КАЛЛИСТРАТА.

Русская Православная Церковь с братскою любовью приветствует Церковь Грузинскую в лице досточтимых членов Ее священного Собора.

Алексий, Патриарх Московской и всея Руси.

1 Апреля 1952 г., в Москве.

უცხოური დელეგაციებისადმი სიტყვის დასრულების შემდეგ სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, დეკანოზმა ალექსანდრე გაბუნიაშვილმა მიმართა კრებას მოსხენებით⁵⁵, რომლითაც აუწყებდა დამსწრე 46 (4 მათგანი როგორც ირკვევა არ გამოცხადდა) დელეგატის სრულუფლებიანობას, 2 დელეგატის სათათბირო ხმის კანონიერებას (1 მათგანი – დავით ტატიშვილი არ გამოცხადდა კრებაზე) და საპატიო წევრების ნუსხას. ამის შემდეგ მიტროპოლიტმა მეტქისედექმა წაიკითხა მოსხენება საქართველოს ეკლესიის საქმიანობის შესახებ მშვიდობის დაცვის მოძრაობაში (საბჭოთა ხელისუფლება 40-იანი წლების ბოლოდან აიძულებდა სსრკ-ში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებს სხვადასხვა სახით

⁵⁴საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 60.

⁵⁵საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 81.

(კონფერენციებით, საეკლესიო კრებებით თუ სხვ.) მიეღო მონაწილეობა ე. წ. „მშვიდობის დაცვის მოძრაობაში“), მოხსენების საფუძველზე ქართულ და რუსულ ენაზე მომზადდა სპეციალური მიმართვა⁵⁶:

სრულიად საქართველოს საეკლესიო მე-9-ე კრება მოუწოდებს საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებას და ქართველ მორწმუნე ერს გააძლიერონ ღოცვა მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისთვის და აგრეთვე თვითუელმა მათგანმა ამ საქმისთვის იშრომოს თავისი შეძლებისამებრ.

ამასთანავე მე-9-ე საეკლესიო კრება გულისწერომას გამოსთქვამს მშვიდობიანობის მტრების – ამერიკელ ავგრესსორ-იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც უშენენ კორეილებისა⁵⁷ და ჩინელების სოფელ-ქალაქებს საშინელ ავადმყოფობათა ბაქტერიებით გატენილ ბომბებს. საქართველოს ეკლესია გამოსთქვამს პროტესტს ამერიკელთა ამ საშინელ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ და უერთდება მსოფლიოში მშვიდობიანობისთვის მებრძოლ პატიოსან ადამიანთა აღმშოთებას.

*თავჯდომარე მიტროპ. მელქისედეკი
მდივანი პლ. ცქიტიშვილი.*

საპატრიარქო კენჭისყრის დაწყებამდე მიტროპოლიტ მელქისედეკის წინადადებით კრებამ სამგზის „საუკუნო ხსენება“ უგალობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს კალისტრატეს⁵⁸. ამის შემდეგ, IX ადგილობრივი კრება შეუდგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნებს.

კენჭისყრა წარმოებდა ხმის ღიად მიცემის წესით, რომელიც ასევე მიღებული იყო რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში (2000 წლამდე). კრება ამით არღვევდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებას (§6)⁵⁹, როგორც ჩანს, მიტროპოლიტ მელქისედეკს სურდა ამ არჩევნების ფორმა ყოფილიყო მსგავსი რუსეთის პატრიარქ ალექსი I-ის არჩევნისა (1945 წ.), რომელიც ხმის ღიად მიცემის გზით, ერთხად იყო არჩეული მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად. IX ადგილობრივ კრებაზე წამოყენებულ იქნა ერთადერთი კანდიდატურა – ურბნელი მიტროპოლიტის მელქისედეკის სახით, თუმცა კრების დელეგატებს შეეძლოთ დაესახელებინათ ნებისმიერი მათთვის სასურველი კანდიდატი. კრების თავმჯდომარის მოადგილემ – მიტროპოლიტმა ეფრემმა სათითაოდ, საჯაროდ ჰკითხა კრების დამსწრე ყველა სრულუფლებიან დელეგატს, თუ ვის ირჩევდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად. კენჭისყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 50 ხმით 2-ის წინააღმდეგ (საკითხი ოდნავ ბუნდოვანია, რადგან კრების ჩანაწერებიდან ვიცით, რომ კრებას ესწრებოდა 46 სრულუფლებიანი დელეგატი 50 დასახელებულიდან, ხმის მიცემისგან დიდი ალბათობით შეიკავებდა თავს მიტროპოლიტი მელქისედეკი (იმგვარად, როგორც, მაგალითად, მოხდა მოსკოვის 1971 წლის ადგილობრივ კრებაზე, როდესაც მიტროპოლიტ ნიკოდიმეს (როტოვი) წინადადებით კრებამ აშკარა საპატრიარქო კანდიდატი – მიტროპოლიტი პიმენი (იხვეკოვი) გაათავისუფლა ხმის მიცემისგან)) ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკი არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად და ეწოდა სახელად მელქისედეკ III⁶⁰. ახლადარჩეული მამამთავარი იყო საქართველოს

⁵⁶საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცელი 72 (უკანა მხარეს ამავე მიმართვის თარგმანი რუსულ ენაზე).

⁵⁷იგულისხმება კორეის ომი (1950-53 წწ).

⁵⁸Архиепископ Стефан, Новый Католикос-Патриарх всея Грузии Святейший Мелхиседек, ЖМП, № 5, Москва, 1952, стр. 34.

⁵⁹მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს VIII საეკლესიო კრების (1937 წ.) სახელით გამოცემული „დებულება“. საქართველოს საეკლესიო კრებები. I. თბილისი, 2003, გვ. 383-384.

⁶⁰უკანასკნელად საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას მამამთავარი მელქისედეკის სახელით საჭეთმყრობლობდა 1528-29, 1540-45, 1548-52 წლებში. აღმოსავლეთ საქართველოს (ზემო ივერიის) კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ II (ბაგრატიონი), მეფე გიორგი IX-ისა და ლუარსაბ I-ის ძმა. მისი ბიოგრაფია მეტად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია, მის შესახებ იხ. ეკა კაჭარავა. მელქისედეკ II (ბაგრატიონი). საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. თბილისი, 2000, გვ. 89-90; იხ. აგრეთვე მღვდელი პოლიექტოს კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა: კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ბონდო არველაძემ. თბილისი, 2011, გვ. 86-87.

სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის რიგით 146-ე⁶¹ საჭკეთმპყრობელი, ხოლო ავტოკეფალიის აღდგენიდან მე-6. ამის შემდგომ მიტროპოლიტმა ევრემმა განაცხადა ქალაქის დიდ გრაგნილზე შედგენილი კრების უმთავრესი განჩინება⁶²:

განჩინება

**სრულიად საქართველოს მე-9-ე საეკლესიო კრებისა
19 IV/5 52**

სრულიად საქართველოს ეკლესიის სამღვდელმთავრის დასმან წმიდათა მღვდელმთავართა და განკრძალულთა კრებულთაგან და ყოველთა მორწმუნეთა საქართველოსათა ერთითა ნებითა, ერთითა გულითა და ერთითა პირითა აღიარჩიეს შთაგონებითა ღმრთისათა მთავარეპისკოპოსად მცხეთისა და თბილისისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად მალაქოვლადუსამღვდელოესი მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ი მიტროპოლიტი ურბნისისა.

სიონის საპატრიარქო ტაძარში შეკრებილმა საზოგადოებამ, კრების დელეგატებმა, მორწმუნე ერმა ახლადარჩეულ პატრიარქს სამგზის უგალობა „აქსიოს!“ და „მრავალჟამიერი“, ამის შემდეგ მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალის მიხედვით, უნდა ყოფილიყო მიღებული მთავრობისადმი მისასალმებელი სიტყვის პროექტი და მიმართვა მშვიდობის დაცვის საქმისთვის, თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს პროცედურები უნდა ჩატარებულიყო კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნებამდე, ამასვე ადასტურებს „განრიგება კრების მოქმედებისა“. ამის შემდგომ კრების დამსწრეებმა იგალობეს „ღირს არსი“ და კრება გამოცხადდა დასურულად.

კრების დასასრულს შედგა საგანგებო ოქმი⁶³, ერთგვარი კომუნიკე, რომელიც აჯამებდა IX კრების მიმდინარეობას:

ოქმი

1952 წლის 5 აპრილს შესდგა საქართველოს ეკლესიის მეცხრე კრება. კრებას შეადგენდა: საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრები, ეკლესიათა წინამძღვრები და სამრევლო საბჭოებიდან თითო წარმომადგენელი ერისთავანი.

კრება გახსნა მალაქოვლადუსამღვდელოესმა ურბნისის მიტროპოლიტმა მელქისედეკმა, იგივე თავჯდომარე კრებისა. თავჯდომარეს ამხანაგად არჩეულ იქნა მალაქოვლადუსამღვდელოესი ქუთათელ-გენათელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ევრემი. კრებას დაესწრენ („სათათბირო ხმით“ – შემდგომ წაშლილია – ი.თ.) რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები: კიევის და გალიციის მიტროპოლიტი და სრულიად უკრაინის ექსარხოსი იოანე, ხარკოვისა და ბოგოდუხოვის მთავარეპისკოპოსი სტეფანე, მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორი დეკანოზი კონსტანტინე რუჟიცკი და ანტიოქიის ეკლესიის წარმომადგენელი ვასილი სამახა.

წამოყენებულ იქნა ურბნისის მიტროპოლიტი მელქისედეკის („კანდიდატურა“ გამორჩენილია – ი.თ.) სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქობაზე. არჩევნების ჩატარების შედეგად აღმოჩნდა, რომ დელეგატების გადამწყვეტი 50 ხმის უმეტესობით ორის წინამძღვე სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად არჩეულ იქნა მალაქოვლადუსამღვდელოესი ურბნისის მიტროპოლიტი მელქისედეკი.

კათოლიკოს-პატრიარქად არჩეული ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკი,⁶⁴ ერში – მიხეილ გიორგის ძე ფხალაძე დაიბადა 1872 წლის 2 (14) ნოემბერს სიღნაღის მაზრის სოფელ ზემო ყანდაურაში, მედავითნე გიორგი დიმიტრის ძე ფხალაძისა და მისი მეუღლე ბარბარე აბრაამის ასულ ფხალაძის ოჯახში. მიხეილი მონათლა 1872 წლის 10 (22) ნოემბერს, სოფელ ყანდაურას წმ. გიორგის ეკლესიაში, მღვდელმა სპირიდონ ფხალაძემ, მედავითნეების: ლევან ელიზბარაშვილისა და ანდრია ვარაზაშვილის „თანადასწრებით“, მიხეილის ნათლია

⁶¹რიგითობის დადგენისას ვეყრდნობით შემდეგ გამოცემას – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. თბილისი, 2000. მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალში აღნიშნულია, რომ იგი გახლდათ 143-ე მამამთავარი, იხ. **Архиепископ Стефан, Новый Католикос-Патриарх всея Грузии Святейший Мелхиседек, ЖМП, № 5, Москва, 1952, стр. 34.**

⁶²საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცლები 75.

⁶³საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცლები 70-71 (ქართულ და რუსულ ენაზე).

⁶⁴ბიოგრაფიის აღდგენისას ძირითადად ვეყრდნობით შემდეგ წყაროებს: გიორგი მაჩუროშვილი. კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III (ფხალაძე) 1872-1960.– **საპატრიარქოს უწყებანი**, №3 (703). თბილისი, 2014, გვ. 17-20; **სერგო ვარდოსანიძე**. პატრიარქი კალისტრატე, პატრიარქი მელქისედეკ III, **პატრიარქები**. I. თბილისი, 2013, გვ. 173-186.

გახლდათ სოფ. ყანდაურას მამასახლისის ივანე ჯავახიშვილის მეუღლე ეკატერინე⁶⁵. 1880 წელს მან პირველდაწყებითი განათლების მისაღებად სწავლა განაგრძო თელავის სასულიერო სასწავლებელში⁶⁶, 1882 წელს დაეღუპა მშობლები. თელავის სასულიერო სასწავლებელში მასთან ერთად სწავლობდა დავით იაშვილი, შემდგომში – მიტროპოლიტი დიმიტრი (იაშვილი)⁶⁷. მისი მოგონებით: „*მიხეილ ფხალაძე კარგათ ცნობილი იყო ჯერ კიდევ ისევ თელავის სასწავლებელში, არა მარტო, როგორც პირველი მოწაფე თავის კლასში, არამედ როგორც უნიჭიერესი მოსწავლე მთელ სასწავლებელში. მას, დაწყებული პირველ განყოფილებიდან, ხუთზე ნაკლები ნიშნები არა ყოფილა. არც ერთ საგანში, არა მარტო თვიურად და წლიურად, არამედ დღიურშიაც და რაც შესანიშნავია, ყველა სამოსწავლო საგანში იხენდა ნიჭს, გათავებული გალობით*“⁶⁸. მიხეილ ფხალაძე 1890 წელს ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში. XIX საუკუნის 90-იან წლებში მეტად დაძაბული მდგომარეობა იყო აღნიშნულ სასწავლებელში, ხშირად ხდებოდა სტუდენტთა გაფიცვა, სტუდენტებს შორის იყო მრავალი მომავალი სოციალ-დემოკრატიული ფრთის წარმომადგენელი (სილიბისტრო ჯიბლაძე, ლადო კეცხოველი და სხვ.)⁶⁹, იყო დაპირისპირებები სტუდენტებსა და სემინარიის ადმინისტრაციას შორის⁷⁰. როგორც ჩანს, მიხეილ ფხალაძე გულგრილი რჩება ამ მოძრაობისადმი. მისი უშუალო თანაკლასელის, მიტროპოლიტ დიმიტრის მოგონებით: „*მ. ფხალაძემ სემინარიის კურსი დაამთავრა 1896 წელს უმაგალითო წარჩინებით... სემინარიის 70 წლის არსებობის განმავლობაში, არც ერთ მოწაფეს არ დაუმთავრებია სემინარიის კურსი ისეთი მაღალი შეფასებით, როგორც მ. ფხალაძეს. მის ატესტატში, ნიშნების აღსანიშნავ გრაფაში, საგნების პირდაპირ ჩვეულებრივად ცალ-ცალკე კი არ ეწერა ნიშნები, არამედ ამ გრაფაში იჯდა მარტო ერთი დიდი ნიშანი „5“ თავიდან ბოლომდის ჩამოტანილი*“⁷¹. თბილისის სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ მან სწავლა ყაზანის სასულიერო აკადემიაში განაგრძო (რომელიც გახლდათ რუსეთის იმპერიაში არსებული ოთხი სასულიერო აკადემიიდან ერთ-ერთი). მისი იქ ყოფნისას ყაზანში ასევე სწავლობდნენ: იპოლიტე ვართაგავა, დავით კაჭახიძე (შემდგომში მიტროპოლიტი დავითი), სერგი გორგაძე, მღვდელი ბესარიონ ხელაია (შემდგომში წმ. ამბროსი აღმსარებელი († 1927) და სხვანი⁷². აკადემია მან დაამთავრა 1900 წელს ღმრთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით, მისი საკანდიდატო დისერტაცია გახლდათ „*Антоний I, Католикос Церкви Иверской, и его сочинение „Мза-Метквелеბა*“⁷³. ის 1900 წელს დაბრუნდა საქართველოში, იმავე წლის 27 ივლისს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის რუსული ენის მასწავლებლად დაინიშნა, ხოლო 1902 წლის 26 იანვარს, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად გადაიყვანეს. მიხეილ ფხალაძე 1904 წლის 8 აპრილიდან სმოლენსკის გუბერნიის ქ. ბელის

⁶⁵ნიკო ჯავახიშვილი. ვინ მონათლა საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი?– *ისტორიანი*, №7 (31). თბილისი, 2013, გვ. 48-52.

⁶⁶გიორგი მანუჩიშვილი. კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III (ფხალაძე) 1872-1960.– *საპატრიარქოს უწყებანი*, №3 (703), თბილისი, 2014, გვ. 17.

⁶⁷მანვე დაგვიტოვა მეტად საინტერესო მოგონებები კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის თელავის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდზე, იხ. დოკუმენტი *მოგონებანი მის[ი] უწმინდესობის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ მე-III-ზე მის[ი] მოწაფეობის ცხოვრებიდან*, საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 2, საქმე 923, ფურცლები 6-10.

⁶⁸საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 2, საქმე 923, ფურცელი 6.

⁶⁹სერგო ვარდოსანიძე. პატრიარქი კალისტრატე, პატრიარქი მელქისედეკ III, *პატრიარქები*. I. თბილისი, 2013, გვ. 173.

⁷⁰XIX საუკუნის 90-იანი წლების თბილისის სასულიერო სემინარიის შესახებ, იხ. *იპოლიტე ვართაგავა*. მოგონებები. I. თბილისი, 1956, გვ. 90-218.

⁷¹საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 2, საქმე 923, ფურცელი 7.

⁷²ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლო პროცესისა და ქართველი სტუდენტების ურთიერთობის შესახებ, იხ. *იპოლიტე ვართაგავა*. მოგონებები. II. თბილისი, 1962, გვ. 9-86. მათ შორის, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ზე, გვ. 56-57, 59 (ჩანს მეტად სუბიექტური მიდგომა ავტორისაგან). ყაზანის აკადემიაში აღზრდილი ქართველი მღვდელმთავრების შესახებ, იხ. **Игумен Евфимий (Моисеев)**. Казанская духовная академия и ее выпускники – иерархи Грузинской Православной Церкви. Казань, 2014 (ინტერნეტ-პუბლიკაცია: <http://kazpds.ru/rektor-kazpds-predstavil-doklad-o-kazanskoy-duhovnoy-akademii-i-ee-vyipusnikah-arhiepastyrey-gruzinskoy-tserkvi/>) (უკანასკნელად შემოწმდა, 29. X. 2016)).

⁷³შესაძლოა, ამ გადაწყვეტილებაზე იმანაც იმოქმედა, რომ ანტონისეული მზამეტყველების ტექსტი ახალი გამოცემული და ხელმისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისთვის, ტექსტისთვის მელქისედეკ III მიმართავდა შემდეგ გამოცემას, იხ. **მზა-მეტყველება**, ქმნილი ანტონი I საქართველოს კათოლიკოსისგან, მღ. პ. კარბელოვის რედაქტორობით. ტფილისი, 1892.

სასულიერო სასწავლებელში ართიმეტიკა-გეოგრაფიის, ხოლო 1909 წლის 2 ნოემბრიდან კამენეც-პოდოლსკის სასულიერო სემინარიაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლია. 1915 წლის 15 მაისს ის ქ. ტივროვის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა, 1915 წლის 31 მაისს ხელდასხმულია მღვდლად. 1917 წლის სექტემბერში მიხეილ ფხალაძე ბრუნდება საქართველოში და ინიშნება გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. 1918 წელს გარდაეცვალა მეუღლე, ხოლო იმავე წლის 21 ნოემბერს დააჯილდოვეს დეკანოზობის პატივით. 1921 წლის ივნისში გარდაეცვალა მისი ძმა – დეკანოზი სვიმეონ ფხალაძე. 1921 (1920-?)–1922 წლებში განმოსილია და მუშაობდა კახეთის რკინიგზის მატარებლის რევიზორად, 1922 წლის 5 აპრილს დაინიშნა სიონის საპატრიარქო ტაძრის კანდელაკად (მანამდე მოღვაწეობდა ბოდბისხევეში, განიხილებოდა როგორც ალავერდელი ეპისკოპოსის კანდიდატი)⁷⁴. 1925 წლის თებერვალში ანჩისხატის ტაძრის წინამძღვრად დაადგინეს, იმავე წლის აპრილში გადაიყვანეს ალავერდის ეპარქიის ყანდაურას ოლქის მთავარხუცესად. 1925 წლის ოქტომბერში აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად მელქისედეკი, ხოლო იმავე წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობას, ხელდასხმულია ალავერდელად⁷⁵. 1927 წლის 17 ოქტომბერს დადგინდა ცხუმელ ეპისკოპოსად, 1928 წლის 24 მარტიდან – წიკლნელად, ხოლო იმავე წლის მაისში – თბილისის ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად. 1935 წლის 2 იანვარს ებოძა მიტროპოლიტობა და კვლავ ცხუმელად დაინიშნა. 1938 წლის 9 ივლისს გათავისუფლდა სამსახურიდან და მეორეჯერ განიმოსა⁷⁶. 1943 წლის 1 აპრილს კუკიის წმ. ნინოს სახელობის ტაძრის მღვდელმსახურად განამწესეს, ხოლო 1944 წლის 30 აპრილს ურბნელ მიტროპოლიტად დადგინდა⁷⁷ და დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. მალევე, კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ გამოარჩია იგი საპატრიარქო ტახტის მოსაყდრედ. იგი 1948 წლის ივლისში ესწრებოდა მოსკოვში, მოსკოვის საპატრიარქოს დაარსებიდან 500 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებებს⁷⁸.

1952 წლის 6 აპრილს, კვირას, სიონის საპატრიარქო ტაძარში აღესრულა საღმრთო ლიტურგია, ხოლო მის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, რომელიც აღასრულეს⁷⁹ მთავარეპისკოპოსმა სტეფანემ და ეპისკოპოსმა გაბრიელმა. პანაშვიდის დაწყებამდე მეუფე სტეფანემ წარმოთქვა მცირე სიტყვა მიცვალებულთათვის ღოცვის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.

ახლადარჩეული კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრება შედგა 1952 წლის 7 აპრილს მცხეთის წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა ათორმეტთა მოციქულთა სახელობის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხარების დღესასწაულზე. წინა დღით, სიონის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა მწუხრი და ცისკარი. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმკურობლის აღსაყდრებას განსაკუთრებული სახე აქვს⁸⁰. საღმრთო ლიტურგიის დაწყებამდე, მანტიამოსხულმა მღვდელმთავრებმა ტაძრის სტოაში ოღარით, მცირე ომოფორითა და მანტიით შემოსეს სვეტიცხოველში სახეიმოდ მიბრძანებული მიტროპოლიტი მელისედეკი და ანთებული

⁷⁴დეკანოზ მიხეილის მოღვაწეობის შესახებ მეტად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს მისი თანამოაზრის, დეკანოზ ნიკიტა თალაქაძის დღიურები, იხ. **დეკანოზი ნიკიტას მალაქიას-ძე თალაქაძე**. მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან. თბილისი, 2013, გვ. 165-594 (ნახსენებია მეტად ხშირად).

⁷⁵ალავერდელის საყდარზე მისი მოღვაწეობის შესახებ, იხ. **გიორგი მაჩუროშვილი**. ალავერდის ეპარქია 1917-2007 წლებში. თბილისი, 2009, გვ. 107. ალავერდელისას, 1926 წელს შეადგინა პასქალის გამოსათვლელი ორიგინალური ცხრილები, რომელიც შემდგომ XX საუკუნის 50-60-იან წლებში იბეჭდებოდა ოთხი ფართო ფორმატიანი ცხრილის სახით საქართველოს ეკლესიის კალენდრებში.

⁷⁶მიტროპოლიტ გაიოზის (კერატიშვილი) მოგონებით, რომელიც მან მოგვითხრო 2015 წლის 16 იანვარს, განმოსილი მიტროპოლიტი მელქისედეკი წვრილმანებით ვაჭრობით, სახელდობრ ასანთის კოლოფების გაყიდვით ირჩენდა თავს. იგი ასევე ესწრებოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სესიას (შემორჩენილია ვ. ბერიძის ჩანახატი).

⁷⁷მისი ურბნელად მოღვაწეობის შესახებ, იხ. **გიორგი მაჩუროშვილი**. ურბნისის ეპარქია (ნაწილი V) – *საპატრიარქოს უწყებანი*, №44, თბილისი, 2014, გვ. 19-20.

⁷⁸**А. Ш.** Церковные делегации на юбилейных торжествах Русской Православной Церкви. *ЖМП, Специальный номер*, Москва, 1948, стр. 5.

⁷⁹**Архиепископ Стефан**, Новый Католикос-Патриарх всея Грузии Святейший Мелхиседек. *ЖМП, №5*, Москва, 1952, стр. 35.

⁸⁰აღსაყდრების ქრონიკა დაწვრილებითაა აღწერილი მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალში – **Архиепископ Стефан**, Новый Католикос-Патриарх всея Грузии Святейший Мелхиседек, *ЖМП, №5*, Москва, 1952, стр. 37-38. ამ ცნობების გათვალისწინებით აღვადგინეთ აღსაყდრების მსვლელობა. საქართველოს ეკლესიის მამამთავართა კურთხევისა და აღსაყდრების შემცველი ტექსტების ხელნაწერებზე უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება ისტორიის დოქტორანტი, ი. ლორთქიფანიძის სტატია, ასევე ჩვენი პუბლიკაციაც.

სანთლებით აიყვანეს (უკვერთხოდ) ამბიონზე, სადაც პროტოდიაკონმა ამბროსი ახობაძემ ხმამაღლა წაიკითხა IX კრების განჩინება. ლოცვების, ხატებისა და წმიდა ტრაპეზზე მთხვევის შემდეგ მიტროპოლიტმა მელქისედეკმა მგალობელთა თანხლებით წაიკითხა სპეციალური კვერქისი⁸¹:

მიტროპოლიტი მელქისედეკი (მმ): შეგვიწყალებ ჩუენ ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა, გვედრებით ისმინე და შეგვიწყალებ.

გუნდი (გ): უფალო შეგვიწყალებ.

მმ: მერმეცა გვედრებით უწმიდესთა და უნეტარესთა პატრიარქთა, ყოვლადსამღვდელოთა ეპისკოპოსთა, პატოსანთა მღუდელთა, ქრისტეს მიერ დიაკონთა და ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთათვის.

გ: უფალო შეგვიწყალებ (3-გ ზის)

მმ (ასამაღლებელი): რამეთუ მოწყალებ და კაცთმოყუარე ღმერთი ხარ და შენდა დიდებასა აღუავლებთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აჲ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

გ: ამინ!

მმ: სიბრძნით, მოხედენ!

მმ: (ჩამოლოცვა სულთმოფენების კვირის ლიტურგიისა):

რომელმან სახისა ცეცხლისა ენათადათა ზეცით გარდამოუვლინა ყოვლადწმიდად სული წმიდათა მოწაფეთა და მოციქულთა თვისთა, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან...

მიტროპოლიტი მელქისედეკი დარჩა აღსავლის კართან, რის შემდეგაც პროტოდიაკონმა ამბროსიმ მიმართა მაღალი ხმით:

სამღვდელომან დასმან წმიდათა მღუდელმთავართა და განკრძალულთა კრებულთამან და ყოველთა მორწმუნეთა საქართველოდსათა ერთითა ნებითა ერთითა გულითა და ერთითა პირითა აღირჩიეს ღირსებად შენი, შთაგონებითა ღმრთისადათა, მთავარეპისკოპოსად მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად და მოგიწვევენ შენ წმიდასა ამას კათოლიკე საყდარსა (ხელით უჩვენა კათედრაზე), აღვედ უწმიდესო მეუფეო, ხარისხთა ზედა მისთა და ამკობდე მას ვიდრე უკანასკნელ აღმოფშვინვადმდე შენსა, განადიდე იგი, ვითარცა ნეტართა კირიონ, არსენ, მელქისედეკ, იოანე, ნიკოლოზ, დომენტი, ანტონი და სხუათა, უწინარეს შენსა მყოფთა, დიდებულთა კათალიკოზთა; დამწყსე ზეგარდმო შენდა რწმუნებული ერთი გზასა ზედა საუკუნოდსა ცხოვრებისასა და საძოვართა სახარებისა მადლისათა. იყავნ, იყავნ!

სამღვდელოებამ და მგალობლებმა იგალობეს სამგზისი „აქსიოს“, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქად გამორჩეულმა მიტროპოლიტმა მელქისედეკმა უპასუხა:

ჭეშმარიტად საღმრთო, დიდ და აღმატებულ არს წმიდად ესე მსახურებად, რომლისათვის თქმულებისაებრ წმიდისა ოქროპირისა, საჭირო არს ძალი და ბუნებად ანგელოზთად; გარნა მადლითა და სასოებითა კაცთმოყუარისა მეუფისადათა, მივიღებ აღრჩევას ქრისტეს მორწმუნისა ერისასა და, მოსრული წინაშე ღმთივ აღმაღლებულისა ამის სუეტისა-ცხოველისა, აღთქმასა ვჰყოფ საღმრთოთა წესთა და სარწმუნოებისა დაცვისასათვის, ერთგულებისათვის ამ კათოლიკე ეკლესიისა და თავისა და სულისა დადებისათვის ვიდრე სისხლთა დათხევამდე ერისა ჩემისა კეთილდღეობისათვის.

მიტროპოლიტ მელქისედეკის შემდეგ უპირატესი მღვდელმთავარი, მიტროპოლიტი ევრემი მივიდა მასთან, ემთხვია მარჯვენაზე და გადასცა მას საპატრიარქო ღირსების სიმბოლო – კვერთხი მანდილის გარეშე, სიტყვებით:

მიიღე კუერთხი ესე, სახე მოსწეს კუერთხისად, რათა, ვითარცა მან განაპო ზღუად მეწამული და აღიყვანა ძუელი ისრაწლი ქუეყნად აღთქუმისა, ეგრეთვე შენცა, განძლიერებულმან და მასზედა დაყრდნობილმან, განაპო ზღუად მსოფლიო ღელვა-გუემისად

⁸¹ აქაც და შემდგომშიც აღსაყდრების ღმრთისმსახურებისთვის ციტატების მოყვანისას ვვერდნობით შემდეგ ნაშრომს – კურთხევა და საყდრად აღყვანებად კათალიკოზისად, საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1976 წლისათვის, *რედაქტორ-შემდგენელი ეპისკოპოსი გაიოზი (კერატიშვილი)*. თბილისი, 1976, გვ. 88-94.

და ძლო შეყვანად ახლისა ისრაჴლისა ქუეყანასა საუკუნოდსა აღთქუმისასა. განმნდი და განძლიერდი, ვინაითგან სიტყუა გიძს მიცემად ღმერთსა ჩუენსა და მწეემსთმთავარსა იესუ ქრისტესსა.

მიტროპოლიტმა მელქისედეკმა სამგზისი „აქსიოს“ ფონზე მიიღო კვერთხი, დაბრუნდა კათედრაზე, მარჯვენით გადასახა ჯვარი მრევლს, რის შემდეგაც „Τόν Δεσπότην“ იგალობეს მგალობლებმა, მწირველი სამღვდელოება ემთხვია მას მარჯვენაზე და დაბრუნდა საკურთხეველში შემოსვისთვის. თავად მიტროპოლიტი მელქისედეკი შეიმოსა კათედრაზე საპატრიარქო წესით, გარდა საპატრიარქო მიტრის, გამშვენებული ჯვრისა და ენკოლპიონებისა, რის დროსაც დაიწყო უამნობა (?), ხოლო შემდეგ – საღმრთო ლიტურგია. მცირე შესვლაზე მან მუხლი მოიყარა კათედრაზე თავდაუბურველად, ხოლო ფეხზე მდგომმა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მღვდელმთავრებმა წაუკითხეს აღსაყდრების ლოცვები. I ლოცვა: „ღმერთო რომელმან, ყოველივე შექმენ ძალითა და დაამყარე სოფელი ზრახვითა...“ – მიტროპოლიტმა ეფრემმა, პროტოდიაკონმა წაიკითხა სამოციქულო (ებრ. IV, 14-V, 10). წმიდა სახარება (მთ. XVI, 13-19, X, 37-42, XIX, 29-30) წაიკითხა ეპისკოპოსმა გაბრიელმა.

II ლოცვა: „ღმერთო, რომელ დიდ ხარ და საუკუნე და არარად არს დაფარულ შენგან...“ – ეპისკოპოსმა ანტონმა. მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალის ქრონიკა გვაუწყებს, რომ III ლოცვა წაიკითხა თავად მიტროპოლიტმა მელქისედეკმა: „რომელმან მღვდელმთავრობისა ნიჭი მიჰმადლე ისრაელსა ხორციელებისა მსახურებისად და სულიერებრი მღვდელობად ჩუენ განმიწესე, ისმინე ჩუენი უფალო...“. რის შემდეგაც მოწიწებით წამოაყენეს ფეხზე და „აქსიოს“ გალობის თანხლებით მიართვეს საპატრიარქო გამშვენებული ჯვარი და ენკოლპიონები, ხოლო თავზე დაადგეს XVII საუკუნის საპატრიარქო მიტრა.

სამწმიდაობის გალობისას კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკი მიუახლოვდა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის მაღალდასაჯდომელს. მიტროპოლიტმა ეფრემმა, ეპისკოპოსმა გაბრიელმა და ეპისკოპოსმა ანტონმა „აქსიოს“ გალობით სამგზის დააბრძანეს მასზე. ამგვარად საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მამამთავართა უძველეს კათედრაზე აღსაყდრდა ახალი საჭეთმყრობელი – მთავარეპისკოპოსი მცხეთათბილისისა და კათალიკოს-პატრიარქი ყოვლისა საქართველოდსა უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III. ლიტურგიის ბოლოს მღვდელმთავრები გამობრძანდნენ ამბიონზე, სადაც აღასრულეს სამადლობელი პარაკლისი. უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკმა ბრძანა პირველი საპატრიარქო სიტყვა, სამწუხაროდ მისი სრული ტექსტი არ არის შემორჩენილი, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია მისი დაახლოებითი შინაარსი⁸². კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკი ბრძანებდა, რომ ღმრთის შეუცნობელმა განგებამ, რომელიც თან სდევდა მას მთელი ცხოვრების განმავლობაში, დააყენა იგი მაღალ საპატრიარქო მსახურებაზე, რომელსაც იღებდა სიმდაბლით და სასოებით ივერიის მფარველ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა და წმიდა მოციქულთასწორ ნინოსადმი. ამის შემდეგ გაცხადდა მილოცვები, პირველად სიტყვა ებოძა მიტროპოლიტ იოანეს, რომელმაც უწმიდეს ალექსი I-ის სახელით მიულოცა კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკს საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრება და უსურვა მრავალჟამიერი ცხოვრება, კეთილგანწყობილი ურთერთობის გაგრძელება ორ დას – საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის. შემდეგ უწმიდესსა და უნეტარესს მელქისედეკს მიულოცა პატრიარქ ალექსანდრე III ანტიოქიელის სახელით არქიმანდრიტმა ბასილიმ და გადასცა მას წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს I ხარისხის ორდენი. ღმრთისმსახურების დასრულების შემდეგ, მღვდელმთავრებმა საკურთხეველში მანტიით შემოსეს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი და ამბიონზე „აქსიოს“ გალობით მიართვეს საპატრიარქო კუნკულ-ბარტყულა. აღსაყდრების შემდეგ შედგა საგანგებო ოქმი⁸³ (ერთგვარი კომუნიკე), რომელმაც მთლიანად შეაჯამა 7 პრილის ზეიმი:

ოქმი

1952 წლის 7 აპრილს საქართველოს უძველეს ყოფილ ქალაქში დღეს კი ისტორიულ სოფელ მცხეთაში არსებულ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მოხდა საკათალიკოსო

⁸² Архиепископ Стефан. Новый Католикос-Патриарх вся Грузии Святейший Мелхиседек. ЖМП, №5, Москва, 1952, стр. 37.

⁸³ საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2595, ფურცლები 73-74 (ქართულ და რუსულ ენებზე).

ტახტზე აყვანა და კურთხევა ახლად არჩეული კათალიკოს-პატრიარქის მეღქმისედეგისა. საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართა და ეკლესიათა მოღვაწეთა გარდა ამ დღის საღმრთო წირვაში მონაწილეობა მიიღეს (რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის მღვდელმთავრების: მიტროპოლიტ იოანესა და მთავარეპისკოპოს სტეფანეს აღნიშვნა დაავიწყდათ – ი.თ) მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორმა დეკ. კ. რუჟიცკიმ და ანტიოქიის პატრიარქის წარმომადგენელმა არქიმანდრიტმა ვასილ სამახამ.

საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებმა აკურთხეს ამ წირვაზე და სრულიად საქართველოს საკათალიკოსო ტახტზე აიყვანეს ახლად არჩეული კათალიკოს-პატრიარქი მეღქმისედეგი.

საქართველოს ეკლესიის მღვდელ-მთავრები:

1. მიტროპ. ეფრემი – ქუთათელი
2. (ეპ. გაბრიელ ალავერდელ-ბოდბელი)
3. (ანტონი ეპისკოპოსი ცხუმ-აფხაზეთისა) მდივანი – პ. ცქიტიშვილი /პ. ცქიტიშვილი/

იმავე საღამოს საქართველოს საპატრიარქო რეზიდენციაში გაიმართა სახეიმო სადილი, რომელსაც ესწრებოდა კრების დელეგატებთან და საპატიო წევრებთან ერთად მრავალი სასულიერო თუ საერო პირი, მათ შორის სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა რწმუნებულის მოადგილე ა. ივანოვი. 8 აპრილს, მას შემდეგ, რაც მიტროპოლიტმა იოანემ ლიტია ადასრულა კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს საფლავზე, რუსეთისა და ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიათა დელეგაციებმა დატოვეს საქართველო⁸⁴.

დავასრულეთ რა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან (1917 წ.) IX ადგილობრივი კრებისა და კათალიკოს-პატრიარქ მეღქმისედეკ III-ის აღსაყდრების ოფიციალური ქრონიკა და ფორმალური მხარე, განვიხილოთ ეს მოვლენები კანონიური, ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტებით. პირველი, რაც იწვევს ყურადღებას ესაა თავად კრების თარიღის დადგენა. იგი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების შესაბამისად კანონიერად შეირჩა (არ არღვევდა მართვა-გამგეობის დებულებით (§2, ბ), შენიშვნა 2), გათვალისწინებულ სამთვიან პერიოდს კრების მოსაწვევად, მაგრამ ვერ მოხერხდა თავიდანვე ერთიანი თარიღის შერჩევა. მიტროპოლიტ ეფრემის 9 მარტს გაცემულ მანდატებში ყველგან აღნიშნულია, რომ კრება ჩატარდებოდა 19 მარტს, მაგრამ შემდეგ იგი გადასწიეს 5 აპრილამდე. გარკვეულ საორგანიზაციო პრობლემებთან ერთად (დელეგატთა ტრანსპორტირება, დაბინავება და სხვ.) უთუოა თარიღის დადგენაში ადგილობრივი მთავრობის ხელიც, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა დაებრკოლებინა კრების ჩატარება, მის დანიშვნაზე ნებართვის გაცემა. ამით იგი ცდილობდა დაქვრივებულ ეკლესია მმართველის გარეშე უფრო მეტ ხანს დაეტოვებინა (რა თქმა უნდა, ეკლესიას მწყემსთაურობდა მიტროპოლიტი მეღქმისედეგი, მაგრამ მას ეს თანამდებობა არ აძლევდა მუდმივ, მყარ სტატუსს).

ყურადღება უნდა მიექცეს ასევე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საკითხსაც. 1938 წლიდან, მას შემდეგ, რაც მთავრობის საშინელი წნეხით მიტროპოლიტ მეღქმისედეკს მოუწია მისი დატოვება, კათედრა დაქვრივდა და ასეთად რჩებოდა 1952 წლამდე. მხოლოდ 1951 წლის ბოლოს მოახერხა გადაწყვეტილების მიღება უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ დაედგინა ეპისკოპოსი. კანდიდატად მან შეარჩია დეკანოზი სვიმეონ გიგინეიშვილი, რომელიც წლების განმავლობაში წინამძღვრობდა სოხუმის საკათედრო ტაძარს და კარგად იცნობდა ამ რთული ეპარქიის მდგომარეობას. ეპისკოპოსი ანტონი (ბერობაში, დეკანოზი სვიმეონი სახელდებულ იქნა ანტონად, წმ. ანტონი დიდის საპატივსაცემოდ) კათალიკოს-პატრიარქ მეღქმისედეკ III-ის კარგი თანაშემწე აღმოჩნდა⁸⁵. სამწუხაროდ, ეპისკოპოსმა ანტონმა მხოლოდ 5 წელი იმოღვაწა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში, იგი 1956 წლის 24 ნოემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე ცხუმის კათედრაზე საერო ასპარეზზე საკმაოდ წარმატებული იურისტი, ეპისკოპოსი ლეონიდე (ქვანია) გახლდათ⁸⁶.

⁸⁴Архиепископ Стефан. Новый Католикос-Патриарх вся Грузии Святейший Мелхиседек. ЖМП, №5, Москва, 1952, стр. 38.

⁸⁵მონაზონ ირინეს (გაგარინა) პირადი მოგონებებიდან, ჩაწერილი 2009 წლის 30 ოქტომბერს.

⁸⁶ეპისკოპოს ლეონიდეს შესახებ, იხ. სერგო ვარდოსანიძე. ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები). თბილისი, 2010, გვ. 206-208.

კრების მსვლელობისას ხშირი იყო გადახვევები საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების მითითებებიდან. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, რომ თავად ეს დებულება შედარებით ახალი შემუშავებული იყო (საბოლოოდ დამტკიცდა მხოლოდ 1945 წელს) და ეკლესიაში არ არსებობდა მისი გამოყენების მყარი და ხანგრძლივი პრაქტიკა, ხოლო მისი ავტორი – კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, რომლის ხელმძღვანელობითაც შეიძლებოდა მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით პრაქტიკული საქმიანობა, გარდაიცვალა. ამიტომაც 1952 წლის IX ადგილობრივი კრების ჩატარებისას თავი იჩინა გარკვეულმა საორგანიზაციო პრობლემებმა. ამ პროცესების მეთაური და ჩვენი ნაშრომის ცენტრალური ფიგურა – მიტროპოლიტი მელქისედეკი ნამდვილად ჩამოუვარდებოდა ორგანიზებულობაში თავის წინამორბედს, რასაც არც თვითონ უარყოფდა, რადგან კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მოწვევრიგებულობასა და აკადემიურობაზე მის ცხოვრებაშივე ლეგენდები დადიოდა.

აღბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი და პოლიტიკურად დატვირთული ამ კრებაზე იყო ეპისკოპოს ანტონის მისასალმებელი სიტყვა რუსეთისა და ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიების დელეგაციებისადმი. პირველ რიგში, არ უნდა გაგვიკვირდეს რომ იგი მთლიანად რუსულ ენაზე იქნა წაკითხული თანმდევი ქართული თარგმანის გარეშე. ერთის მხრივ, თავად ეპისკოპოს ანტონისთვის უფრო ადვილი იყო რუსულად მეტყველება, ცხოვრობდა რა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში აფხაზეთში, სადაც მეფის რუსეთის დროიდანვე უკვე ნაწილობრივ შექმნილი იყო რუსულენოვანი გარემო, მეორეს მხრივ, ეს არავის უკვირდა კრებაზე, რადგან უმეტესობა სწორედ მეფის რუსეთის პერიოდში ნაცხოვრები და განათლებამიღებული ადამიანები იყვნენ, რომელთათვის რუსული ენის ზედმიწევნითი ცოდნა სრულებით ბუნებრივი იყო. მისასალმებელ სიტყვაში ყურადღებას იქცევს მკვეთრი ხაზგასმა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდეს ალექსი I-ის პიროვნების, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის და რუსი ერის მნიშვნელობაზე. ხაზგასმა პატრიარქი ალექსი I-ის პიროვნებაზე არ არის შემთხვევითი. ნებისმიერი მკვლევარი დაგვეთანხმება, რომ ამ პერიოდში პატრიარქი ალექსი I და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია (1948 წლამდე და ინერციულად შემდგომშიც, 60-იანი წლების I ნახევრამდე, სანამ მკვეთრად გამოიკვეთება კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს პოზიციები) იგი მართლმადიდებელი სამყაროს უდავო ლიდერია (სწორედ სსრკ-ის მთავრობის მიერ მისი პიროვნების ასეთი წინ წამოწევის საწინააღმდეგოდ აშშ-მა და სხვა დასავლურმა ძალებმა გადაწყვიტეს მის საპირწონედ დაეწინაურებინათ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო. 1948 წელს პრო-მოსკოვური განწყობილების პატრიარქი მაქსიმე V-ის გადაყენების შემდეგ, კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის საყდარი დაიკავა ამერიკის მთავარეპისკოპოსმა ათინაგორამ, რომელმაც მოსკოვისთვის პირველობის ჩამორთმევა დასავლური ძალებისა და საკუთარი პირადი თვისებების წყალობითაც, უკვე 60-იანი წლების დასაწყისშივე შეძლო). იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული მისასალმებელი სიტყვა მხოლოდ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის სახელზეა შედგენილი, ხოლო ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლის და მისი პატრიარქის მოხსენება მოვალეობის მოხდის მიზნით გადაღებულ ტაქტიკურ ნაბიჯს წააგავს. ეპისკოპოსი ანტონი ასევე ხაზს უსვამს პატრიარქ ალექსი I-სა და კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მონაწილეობას მშვიდობის დაცვის საქმეში, რომელთაც მეტაფორულად „მშვიდობის ორ ანგელოზს“ უწოდებს. ატომური ერისა და ცივი ომის დაწყებისას სსრკ მივიდა აზრამდე, რომ შექმნილიყო მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აშშ-ის ატომურ და შეიარაღებულ პოლიტიკას გაუწევდა მძლავრ იდეოლოგიურ წინააღმდეგობას (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ გარეგნული სახე იყო. სსრკ ამერიკაზე უფრო გაშმაგებით ამზადებდა და აგროვებდა ატომური იარაღის უზარმაზარ მარაგებს და ატომური ომის მუდმივ მზადყოფნაში იმყოფებოდა). სსრკ-ის მთავრობა აიძულებდა 15 რესპუბლიკის (და არა მარტო მათი სხვა „წითელი ბანაკის“ და პრო-საბჭოურად განწყობილი წევრი ქვეყნების) ყველა რელიგიურ ორგანიზაციას, განსაკუთრებით კი, წამყვან რელიგიურ მიმდინარეობებს, მიეღოთ მონაწილეობა ამ პროცესში სხვადასხვა საჯარო გამოსვლებით, პეტიციებით, კონფერენციებით, პუმანიტარული ტვირთის შეგროვებით და სხვ. ამ მხრივ მეტად „აქტიურობდა“ (ან უფრო სწორი იქნება ვთქვათ: იძულებული იყო ეაქტიურა) ხელისუფლების დაუნიებით მიტროპოლიტი ნიკოლოზი (იარუშვინი). მშვიდობის დაცვის მიმდინარეობაში მართლმადიდებელ ეკლესიათა მონაწილეობის ხაზგასმა მთავრობის პოლიტიკური

დაკვეთისადმი იძულებითი ხარკის გადახდის ნიმუშია (აღსანიშნავია, რომ IX კრებაზე ასეთივე ხარკის გადახდის ნიმუშად შეგვიძლია მივიჩნიოთ კრების თავმჯდომარის – ურბნელ მიტროპოლიტ მელქისედეკის მოხსენება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მშვიდობის დაცვის საქმეში მონაწილეობის შესახებ, და ამ მოხსენების საფუძველზე შედგენილი მიმართვა).

საინტერესოა, რატომ არ გამოცხადდა კრებაზე პატრიარქი ალექსი I მიტროპოლიტ მელქისედეკის გულთბილი და საპატივსაცემო მიწვევის მიუხედავად. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს ორ ფაქტორს: რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ჰეგემონურ მდგომარეობას XX საუკუნის 40-იანი წლების II ნახევარსა და 50-იან წლებში და თავად პატრიარქ ალექსი I-ის პიროვნულ თვისებებს. პატრიარქი ალექსი I ყოველთვის თავს არიდებდა სხვა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა კრებებზე დასწრებას (თავისი ხანგრძლივი მამამთავრობის განმავლობაში იგი სულ 3-4 ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიას ესტუმრა), თუმცა, იგი მოსკოვში საკუთარ კრებებზე სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა დელეგაციების დასწრებას (განსაკუთრებით კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციისა) მამამთავართა წარმომადგენლობით დიდ ყურადღებას ანიჭებდა. არც 1952, არც 1960 წელს იგი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ადგილობრივ კრებებს არ დაესწრო⁸⁷, არ იღებდა მონაწილეობას მისი იუბილეების აღნიშვნაში და მხოლოდ წერილობითი მილოცვებით ან დელეგაციების გამოგზავნით ივარგლებოდა. შესაძლოა, აქ იყო სსრკ-ის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის პოლიტიკა – მათ სურდათ სხვა ადგილობრივ ეკლესიებს მოსკოვი ალექსი I-ის მიერ დიდი იმპერიის ცენტრი, რომლის პატრიარქი იყო მთელი მართლმადიდებელი სამყაროს წინამძღოლი სტამბულ-კონსტანტინოპოლის საპირწონედ. აქვე გადამწყვეტი იქნებოდა ასევე პატრიარქ ალექსი I-ის პიროვნული თვისებები. წარმოშობით სიმანსკითა არისტოკრატიული გვარიდან, რომლისთვისაც ყველაზე პირველი და უპირატესი იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და რუსი ერი, ნამდვილად არ იწუხებდა თავს სხვათა კრებებსა თუ იუბილეებზე დასასწრებად. სინამდვილე რომ ითქვას, მას დიდად გულზე არ ეხატებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები მელქისედეკ III და ეფრემ II (განსაკუთრებით უკანასკნელი), ამის დასკვნის საფუძველს იძლევიან მისი პირადი წერილები სსრკ-ის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულ გ. კარპოვისადმი.⁸⁸ IX ადგილობრივ კრებაზე მან დელეგაციაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი უპირატესი მღვდელმთავარი – კიევის მიტროპოლიტი იოანე გამოგზავნა სხვა გავლენიან პირებთან ერთად, მაგრამ იგი თავად არ ჩამობრძანდა. მსგავს „ბრალდებას“ ვერ წავუყენებთ მიტროპოლიტ ნიკოლოზს (იარუშევიჩი) ეს ნამდვილად მეტად დაკავებული პიროვნება იყო, რომელსაც უწევდა ფაქტობრივად მოსკოვის საპატრიარქოს მთელი ადმინისტრაციულ-ფინანსურ-პოლიტიკური და საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა და ამისი შეთავსება სამღვდელმთავრო-სამრევლო მოღვაწეობასთან, რაც მას პატრიარქ ალექსისთან შედარებით, საერთოდ არ უტოვებდა თავისუფალ დროს. ჩვენში ეჭვს იწვევს ასევე, მოსკოვში ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქის წარმომადგენლის, არქიმანდრიტ ბასილის (სამახა) (შემდგომში ეპისკოპოსი) ჯერ უარი, შემდეგ კი თანხმობა თბილისში ჩამოსვლაზე. აქ უთუოა მოსკოვის საპატრიარქოსა და რელიგიის საქმეთა რწმუნებულის გავლენა, ერთის მხრივ მათ არ სურდათ საქართველოს ეკლესიას ჰქონოდა აქტიური კონტაქტები სხვა ეკლესიასთან, გარდა მოსკოვისა, მეორეს მხრივ, არქიმანდრიტ ბასილის უარი იმდენად არაბუნებრივი იყო, რომ დაუშვებს ასევე მისი გამომგზავრება თბილისში.

მნიშვნელოვანია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კანდიდატურის წამოყენების საკითხი. ალბათ ყველა დაგვეთანხმება, რომ 1952 წლისთვის გამოკვეთილი იყო ორი უპირატესი მღვდელმთავარი – ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე), 80 წელს მიტანებული მკაცრი მოხუცი და ქუთათელ-გენათელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ეფრემი (სიღამონიძე), შედარებით ახალგაზრდა, 56 წლისა. მთავრობა უთუოდ ჩაერეოდა (ამას ვერ ვუარყოფთ, განსაკუთრებით რწმუნებულის აპარატის შექმნის შემდეგ)

⁸⁷სამაგიეროდ, საკმაოდ ხშირად იხილავით მოსკოვის პატრიარქს საგურამოსა თუ წყალტუბოში, სადაც იგი თავის შეგებულებებს ატარებდა.

⁸⁸Письма патриарха Алексия I в Совет по делам Русской православной церкви при Совете народных комиссаров - Совете министров СССР, I (1945-1953), II (1954-1970). Москва, 2009 (ქართველ სასულიერო პირებზე მითითებანი იხ. ამ ორტომეულის პირთა საძიებელში).

კანდიდატთა შერჩევაში, მაგრამ აშკარაა, რომ ჯერ კიდევ კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე „კათალიკოსის თანად“ სინოდის წევრებს შორის, ყველაზე გამოცდილად და შესაფერისად საპატრიარქოს კათედრისთვის მიიჩნეოდა ურბნელ მიტროპოლიტ მელქისედეკს, რომელსაც გააჩნდა უმაღლესი სასულიერო განათლება, განთქმული იყო თავისი სიმკაცრითა და განსწავლულობით. ერთადერთი ნაკლი მის შემთხვევაში იყო ასაკი. მართვა-გამგეობის დებულება ამ მხრივ არ აწესებდა შეზღუდვას (რამაც პრობლემა შექმნა 1977 წელს, 90 წელს მიტანებულ მიტროპოლიტ რომანოზის (პეტრიაშვილი) სახით). ასაკში მიტროპოლიტი მელქისედეკს გამოუჩნდა გარკვეული უარყოფითი თვისებები, იქნებოდა ეს ზედმეტი სიმკაცრე, თუ სიფიცხე. მეორე შესაძლო კანდიდატი გახლდათ მიტროპოლიტი ეფრემი (კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს მელქისედეკ III-ის შემდეგ), მას არ ჰქონდა მიტროპოლიტ მელქისედეკისნაირი განსწავლულობა (თუმცა, დასრულებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი) და ყველაზე დიდი დაბრკოლება მისთვის იყო რეპრესირებულობა, იგი 1937 წელს გადაასახლეს. თუ გავითვალისწინებთ, როგორი ეჭვის თვალთ უყურებდა სტალინის გარდაცვალებამდე და ინერციულად მის შემდგომაც, სსრკ-ის მთავრობა რეპრესირებულებს, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მიტროპოლიტ ეფრემს თავისთავად არ ჰქონდა იმ შემთხვევაში შანსი კათალიკოს-პატრიარქობისა, ამას ისიც ერთვოდა, რომ კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე უფრო მეტი სიმპათიით იყო განწყობილი მიტროპოლიტ მელქისედეკისადმი⁸⁹, ვიდრე ეფრემისადმი (კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მამამთავრობის დასაწყისში გარკვეული დაპირისპირება ჰქონდა ეპისკოპოს ეფრემთან)⁹⁰. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას მიტროპოლიტ მელქისედეკის, როგორც პრინციპული ადამიანის კანდიდატურა არ აწყობდა, რადგან მისი კონტროლი ძალიან ძნელი იქნებოდა. მაგრამ იმ რეალობაში სხვა გამოსავალი არ არსებობდა (ეპისკოპოსების გაბრიელისა და ანტონის კანდიდატურა (განსაკუთრებით, ამ უკანასკნელის არც განიხილებოდა). თუმცა მთავრობამ მომავალში მაინც მოახერხა რამდენჯერმე კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის გადაყენების პროვოკაცია, 1954-55 (არქიმანდრიტ გიორგის (დადიანი) საქმე),⁹¹ 1955-56 წლებში (დეკანოზ მელქისედეკ ხელიძისა⁹², პროტოდიაკონ ამბროსი ახოზაძის, დეკანოზ იოანე საყვარელიძის საქმე) და 1957 წელს (დეკანოზ ხარიტონ დევიდარიანისა და მიტროპოლიტ ეფრემის საქმე).

ყურადსაღებია კრებაზე ხმის მიცემის პროცესიც. მართვა-გამგეობის დებულება მოითხოვდა მის ჩატარებას ფარულად, მაგრამ მიტროპოლიტმა მელქისედეკმა განსაზღვრა კენჭისყრის ჩატარება ღიად. ამგვარი სახით ხმის მიცემა აჩვენებდა მას სავარაუდო ოპონენტებს. სამწუხაროდ, საარქივო მასალებმა ჩვენამდე არ შემონახა იმ ორი პიროვნების სახელი, რომლებმაც არ მისცეს ხმა მიტროპოლიტ მელქისედეკის კათალიკოს-პატრიარქად არჩევას.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის IX ადგილობრივ კრებას არ განუხილავს სხვა საკითხები გარდა კათალიკოს-პატრიარქის არჩევნებისა, შესაბამისად, ამ კრებას არ გააჩნდა საკანონმდებლო ხასიათი. კრების გამართვის ამ სპეციფიკაზე – მხოლოდ საკათალიკოსო არჩევნების შესახებ, მითითებული იყო ასევე საქართველოს ეკლესიის კალენდრების კრებათა ჩამონათვალშიც. IX კრების მსვლელობისას აშკარად ჩანს 40-50-იანი წლების სსრკ-ის პოლიტიკური ტენდენციები, როგორც საეკლესიო, ისე საერთაშორისო პოლიტიკაში (მოსკოვის პატრიარქის პირველობა, ე. წ. მშვიდობის დაცვისათვის პოლიტიზირებული საქმიანობა), ასევე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უკიდურესი დასუსტება (კრებისთვის ეპისკოპოსის ხელდასხმაც კი გახდა საჭირო) და საბჭოთა მარწუხებში მისი მოქცევა, მაგრამ ამავე დროს ჩანს, რომ მთავრობამ არჩევანი გააკეთა კანდიდატურაზე, რომელსაც ალტერნატივა არ ჰყავდა სამღვდლო დასში, შესაბამისად, არ მომხდარა ვინმეს ხელოვნური დაწინაურება და „გაპატრიარქება“ (!) ეკლესიაში. კრებამ საესებით ბუნებრივად აირჩია სრულიად საქართველოს კათალიკოს-

⁸⁹ ამის დადასტურება იყო მისი მოსაყდრედ გამორჩევა.

⁹⁰ ამ დაპირისპირების შესახებ იხ. სერგო ვარდლოსანიძე. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II (1960-1972 წ.წ.). თბილისი, 2007, გვ. 16-18; ასევე: დეკანოზი ნიკიტა მაღაქიას ძე თაღლაქვაძე. მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან. თბილისი, 2013, გვ. 786-788.

⁹¹ ამ საქმის შესახებ, იხ. სსა, აღწერა 1, საქმე № 2824, № 2695, № 2658 (მეტადრე ეს უკანასკნელი), ასევე გიორგი მაჩურიშვილი. მღვდელ-მონაზონი გიორგი (დადიანი) 1909-1964.– საპატრიარქოს უწყებანი, №23 (812), თბილისი, 2016, გვ. 18-20. ასევე, მის ოჯახში დაცული მასალები.

⁹² მისი საქმის შესახებ, იხ. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 2, საქმე 755, ასევე, მის ოჯახში დაცული საარქივო მასალები.

პატრიარქად მიტროპოლიტი მელქისედეკი და უნდა აღინიშნოს, რომ ახლანდელი გადასახედიდან ეს სწორი არჩევანი იყო.

IX ადგილობრივ კრებაზე არჩეული კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკის მამამთავრობის არასრული რვაწლიანი ხანა მეტად საინტერესო მოვლენებით იყო დატვირთული, მათ სამომავლო პუბლიკაციებში შევხვებით.

Irakli Tezelashvili

Materials for the 9th Local Council of the Georgian Orthodox Apostolic Church Summary

The article presents materials for the 9th Local Council of the Georgian Orthodox Apostolic Church, which was held on April 5th in the Sioni Patriarchal Cathedral of the Holy Dormition, to elect the new Archbishop of Mtskheta-Tbilisi and Catholicos-Patriarch of All Georgia, after the death of Catholicos-Patriarch Callistratus (Tsintsadze) († 3. II. 1952). The Council elected with the absolute majority the locum tenens of the Patriarchal throne, His Eminence Metropolitan of Urnissi Melchsiedek (Pkhaldze). The article shows the entire process of the Council, with firstly published documents from the Patriarchal Archives and periodicals and also the process of enthronement, which was held on the Feast of the Annunciation of Theotokos, on 7th of April in the Patriarchal Cathedral of Svetitskhoveli in the city of Mtskheta. Firstly, there is discussed the organizing problems of the Council (managing the mandates, the regulations of the Council process, visits of the official delegations from the Greek Orthodox Patriarchate of Antioch and the Russian Orthodox Church), then, there is given also short, but detailed biography of the new Catholicos-Patriarch Melchisedek III (Pkhaldze). The article also contains the rarely published group photo of the Council Presidium and some never published archive photos of the participants of the Council. The work will be interesting for the researchers of the newest history of the Georgian Orthodox Apostolic Church.

3 0 3 3 3 3 0 3

**ენისა და კილოს ბასამიჯნი პრიტიპრიუმები
და ქართველურ ილიომთა კვლივიკაციის
კოლიტიზების რეტიროსაქტივი**

ენა არის სხვადასხვა იერარქიის ენობრივ (ბგერით) ნიშანთა მოწესრიგებული სისტემა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ემოციების, შთაბეჭდილებების, წარმოსახვის... აზრებად ჩამოყალიბება და გადმოცემა; ასევე, ცოდნის შენახვა, გაცემა, მიღება. წარმოდგენილი განმარტება ვერ მიჯნავს ენასა და კილოს/დიალექტს, რამდენადაც კილოკავითაც კი შესაძლებელია დასახელებული აქტივობების განხორციელება. უფრო ლოგიკური გვეჩვენება ასეთი მიდგომა: **ერად, ეთნოსად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ერთობის მრავალსაუკუნოვანი საერთო მეტყველება არის ენა, ხოლო ამ ერთობის ერთი ნაწილის საშინაო მეტყველება არის დიალექტი; სხვა სიტყვებით: ენა აქვს ერს, ეთნოსს, კილო კი - ერის/ეთნოსის ნაწილს¹.**

კილო ქართული სიტყვაა; საერთაშორისო ველში მას შეესაბამება ბერძნული წარმომავლობის „დიალექტი“ - διάλεκτος; დიალექტის პირველი ნაწილი - დია - უნდა უკავშირდებოდეს ბერძნულ „დი-“ (ორი) მორფემას; ლექტ- კი მომდინარეობს **λέγω legō** „მეტყველება“ ზმნისაგან; შესაბამისად, „დიალექტი“ უნდა გავიგოთ როგორც „განსხვავებული მეტყველება“ - მოცემული ენის ვარიანტი (შდრ.: διαλέγομαι, dialegomai „დიალოგი“ - „ორის ლაპარაკი“).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „დიალექტი“ გამოიყენება როგორც მოცემული ენის კუთხური სახესხვაობების - კუთხური მეტყველების, ასევე, ქალაქისა თუ საზოგადოების რომელიმე სოციალური ჯგუფის მეტყველების - აღსანიშნავად. ენის კუთხურ სახესხვაობას **ტერიტორიული დიალექტი** (ანუ გეოგრაფიული დიალექტი, გეოლექტი) ეწოდება, ხოლო სოციალური ჯგუფის მეტყველებას - სოციალური დიალექტი (სოციოლექტი).

ტერიტორიული დიალექტი შეიძლება იყოს როგორც **სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის მეორეული ვარიანტი**, ასევე, **სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის პარალელური სახესხვაობა, რომელიც იმავე ფუძეენიდან მომდინარეობს, რომლისგანაც მოცემული სტანდარტული ენა;** მაგ., იტალიურ დიალექტთა ნაწილი იტალიის ამჟამინდელი სახელმწიფო ენისაგან განვითარებული მეორეული ვარიანტებია, ნაწილი კი - იტალიური სამწიგნობრო ენის მსგავსად, უბრალოდ, ხალხური ლათინურიდან მომდინარეობს. ფლორენციულისაგან განსხვავებით, სხვა კუთხური მეტყველებები სამწიგნობრო ტრადიციის მიუხედავადაც კი ვერ იქცნენ სტანდარტულ ენებად; შდრ.: დანტე ალიგიერის (1265-1321), ფრანჩესკო პეტრარკასა (1304-1374) და ჯოვანი ბოკაჩოს (1313-1375) პოპულარობამ განსაზღვრა ფლორენციული დიალექტის გადაქცევა იტალიის სამწიგნობრო ენად. ისტორიულად **სულ სხვა ვითარებაა ქართველურ ენობრივ სამყაროში:**

ქართველთა სამწიგნობრო ენა დაფუძნებულია საერთოქართველურ ფუძეენაზე (და არა დღეს არსებულ რომელიმე ქართველურ კილოზე).

მოკლედ საკითხის ისტორიისათვის:

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ სამეცნიერო წრეებშიც გაბატონდა **დაუსაბუთებელი აზრი**, რომ ქართული სამწიგნობრო ენა დაეფუძნა აღმოსავლურ ქართულ დიალექტს - ქართლურს (ან ქართლ-კახურს), შემდეგ კი ქართლელებმა (ქართვებმა) ეს სამწიგნობრო კულტურა გაბატონეს ყველა ქართველურ ტომზეც. ეს ანტიმეცნიერული დებულება იქცა ე.წ. ქართიზაციის თეორიის საძირკვლად, რომ თითქოსდა, საქართველო მცირე იმპერიაა, რომელიც შექმნეს ქართლელებმა. ამ იდეოლოგიის მიზანი იყო ქართველი ერის ერთიანი ენობრივ-ეთნიკური თვითაქმის მოშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის

¹მსჯელობისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე. ქართველთა დედაენა და დიალექტები. თბილისი, 2008.

აღდგენის პერსპექტივის განულება². რუსეთმა ეს ვერ შეძლო, მაგრამ დღემდე ცდილობს, ნაწილობრივ ოკუპირებული საქართველო სრულად დააბრუნოს თავის გეოპოლიტიკურ ველში. დე იურე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991) ქართული მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ქართველოლოგიის მიმართულებით მსოფლიოში დღემდე ფართოდ გაგრძელებული რუსულიმპერიული იდეოლოგიების დაბალანსება, განსაკუთრებით კი ე.წ. ქართიზაციის ანტიქართული თეორიის უსაფუძვლობის დასაბუთება.

2000 წელს ქალაქ ზუგდიდში ჩატარებულ XX რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე გამოტანილი მოხსენების ვრცელ თეზისებში ვწერდით:

ქართველთა სამწიგნობრო ენა დაეფუძნა არა რომელიმე ჩვენთვის ცნობილ დიალექტს, არამედ საერთოქართველურ ენას; თანამედროვე ქართული სალიტერატურო (ნორმირებული) ენა კი ინარჩუნებს საერთოქართველური ენის სტრუქტურას. თანამედროვე ქართველური დიალექტები მეტნაკლებად განსხვავდებიან საერთოქართველურისაგან, რამდენადაც საშინაო სამეტყველო კოდები უფრო თავისუფლად ვითარდებიან (მით უმეტეს, ის განაპირა კილოები, რომლებზეც ძლიერია სხვა ენების გავლენა). სულ მცირე 30 საუკუნეა, ქართველური ენობრივი სამყარო მოიცავს ერთადერთ ენასა და ათეულობით დიალექტს. ეს ერთადერთი ენაა საერთოქართველური ენა, რომლის უშუალო გაგრძელებაა ქართველთა სამწიგნობრო ენა. ქართველთა სამწიგნობრო ენა ძვ.წ. პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში ეფუძნება საერთოქართველურ ენას და დღემდე არსებობს, როგორც ქართველი ერის მაკონსოლიდირებელი ფენომენი. ისტორიული მიმართება ასეთი სქემით შეიძლება გამოვსახოთ:

- საერთოქართველური ენა >> ზოგადქართული (ქართველური) სალიტერატურო ენა;
- საერთოქართველური ენა >> ქართველთა საშინაო სამეტყველო კოდები - ქართველური დიალექტები³.

2003 წელს ოდნავ მსგავსი მოსაზრება გამოაქვეყნა მერაბ ჩუხუაძე; კერძოდ, ის წერს: "საერთოქართველური (იბერიული) სამწერლო ენა შეიქმნა წინარექართველური (იბერიული), დიალექტურად ჯერ კიდევ გაუდიფერენცირებული, ენის ბაზაზე, როცა სამწერლო ენა და ცოცხალი მეტყველება მეტ-ნაკლებად ერთმანეთის იდენტურ-იგივეობრივი იყო. მხოლოდ მომდევნო ეტაპზე სამეტყველო ენის ბაზაზე იკიდებს ფეხს ქართულ-ზანურ-სვანური დიალექტური სხვაობა ანუ კილოურად დიფერენცირებული საერო (ხალხური) ზეპირმეტყველება. სწორედ ხალხური იბერიული მეტყველებისაგან იღებს სათავეს თანამედროვე ქართველური დიალექტები (ხაზი ჩემია - ტ.ფ.), მაგრამ, იმავდროულად, განსხვავებულად მომეტყველე კილოურ ჯგუფებს ყოველთვის აერთიანებდა სამწერლო იბერიული (საერთოქართველური) ენა, როგორც კულტურის, განათლების, რელიგიისა და, საერთოდ, სახელმწიფო ენა. ამგვარი მიმართება გრძელდებოდა ქართველთა ცხოვრების ისტორიულ პერიოდშიც. ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული, ძველი ქართული სამწერლო ენა უშუალოდ აგრძელებდა საერთოქართველური (იბერიული) სამწერლო ენის უწყვეტ ტრადიციას ტრანსფორმაციის უმნიშვნელოდ ნელი ტემპით მაშინ, როდესაც ქართველური დიალექტების ენებად ჩამოყალიბების პროცესი უკვე დასრულებული იყო (ხაზი ჩემი - ტ. ფ.). თვით ქართული საერო მეტყველება არასოდეს არ იყო იდენტური ძველი

²საკითხის ისტორიისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე. ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დღეაწინა, დიალექტები). თბილისი, 2005. The Georgians The Kartvels (Historical Home, Mother Tongue Dialects); English version. pg. 395-492; ტ. ფუტკარაძე. სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა. 2006; The Origin of the Georgian Literary Language and its Prospects. Tbilisi, 2006; <http://www.scribd.com/doc/11390384/The-Origin-of-the-Georgian-Literary-Language-and-its-Prospects>.

³ტ. ფუტკარაძე. საერთოეროვნული სალიტერატურო ენისა და „საშინაო“ სამეტყველო კოდების მიმართების საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური დიალექტების მიხედვით (სამეტყველო კოდების იერარქიისათვის). XX დიალექტოლოგიური რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, 2000, გვ. 102-106. აქ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მეცნიერული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, ზოგადად კი, შეურაცხმყოფელია ქართველთა დიდი ნაწილის „საშინაო სამეტყველო კოდების“ - ქართველური დიალექტების ერთი ნაწილის - გამოცხადება ე. წ. უმწერლობო ენებად“ (კრიტიკული მსჯელობისათვის იხ. ქვემოთ).

⁴აქვე „ენებად“ წოდებულ ერთეულებს მ. ჩუხუაძე „ქართველურ დიალექტებსაც“ უწოდებს. შდრ.: მ. ჩუხუაძისაგან განსხვავებით, მე თანამედროვე დისკურსში კი პარალელურად არ ვიყენებ ტერმინებს: „ქართველური დიალექტები“, „ქართველური ენები“; კერძოდ, საკითხის სიღრმისეულად შესწავლის შემდეგ ვფიქრობ, ტერმინი „ენა“ ეთნოსთან მიმართებითაა გამოსაყენებელი (თუკი არ იგულისხმება, მაგ., შესიტყვებები: „მწერლის ენა“, „უესტების ენა“, „ბავშვის ენა...“). მკაცრი მეცნიერული მიდგომით ისტორიული ქართველური დიალექტები დღესაც დიალექტებია და ეთნოსების „ენებად“ არ ჩამოყალიბებულა; არც ჩამოყალიბდება მანამ, სანამ ქართველი

ქართული სამწერლო ენისა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სხვადასხვა ისტორიული ეპოქების მონაცემებია. ქართლური, მესხური, კახური, იმერული... ისევე სხვაობდა ძველ ქართულ სამწერლო ენასთან, როგორც მეგრული ან რომელიმე სხვა ქართველური დიალექტი... ისტორიულად არსებული საერთო სურათი მეტნაკლები განსხვავებით დღესაც, ჩვენს სინამდვილეშიც, ანალოგიურია"⁵.

მ. ჩუხუას დასახელებული საინტერესო გამოკვლევა დაიწერა ავტორის დევნილობის პერიოდში⁶; შესაბამისად, ალბათ, მისთვის უცნობი იყო ზუგდიდში 2000 წელს ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის მასალები, სადაც დაიბეჭდა ზემოთ წარმოდგენილი ჩემი თვალსაზრისი. მსგავსი პრობლემა არ ჰქონდა გ. ცოცანიძეს, რომელმაც 2016 წელს ფაქტობრივად გაიმეორა ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისი; კერძოდ, **თანამედროვე ქართველური ქვესისტემების საერთოქართველური ხალხური ენიდან წარმომავლობის კონტექსტში** მან რატომღაც არ დაიმოწმა არც ჩემი და არც მ. ჩუხუას მიერ 2003 წელს გამოქვეყნებული მოსაზრება; შდრ.:

გ. ცოცანიძეც ფიქრობს, რომ საერთოქართული სახალხო ენიდან წარმოქმნილია როგორც "სალიტერატურო ენა", ასევე, "სახალხო მეტყველება". **გ. ცოცანიძე ასევე დაუმოწმებლად იმეორებს მ. ჩუხუას თვალსაზრისის მეორე ნაწილსაც** და აცხადებს, რომ "საერთოსახალხო ქართული ენის" "სახალხო მეტყველება" ტრანსფორმირდა "ზანური ენად", სვანური ენად" და ქართული ენად"⁷. მე-13 გვერდზე წარმოდგენილ სქემაში ("საერთოქართული სახალხო ენის სოციალურ დიალექტებად დიფერენცირების სქემა") კი გ. ცოცანიძე საერთოქართული სახალხო ენიდან - "ხალხური მეტყველებიდან" მიღებულ: სვანურ, ლაზურ, მეგრულ, ტაო-კლარჯულ, ქართლურ, კახურ, ხევსურულ, ფშაურ, გურულ, აჭარულ, ფერეიდნულ და სხვა ქართველურ ქვესისტემებს რატომღაც **სოციალურ დიალექტებად** თვლის... გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით წარმოდგენილი წიგნის ამ ნაწილში აშკარად **აღრუულია ტერმინები: "სოციალური დიალექტი" და "ტერიტორიული დიალექტი"**⁸.

შდრ.: დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სულ მცირე 15-საუკუნეა უწყვეტად ფუნქციონირებს საერთოქართველურიდან მომდინარე ქართული სალიტერატურო ენა, რომელთან მიმართებით **ქართველთა კუთხური მეტყველებები** (ხევსურული, ქართლური... მეგრული, ლაზური...) მეტ-ნაკლებად შეცვლილი ტერიტორიული დიალექტებია.

ზოგადად, დიალექტების წარმოქმნა ხანგრძლივი დიფერენციული და კონვერგენციული პროცესების შედეგია: დიალექტთა წარმოქმნას (დიფერენციაციას, დივერგენციას) ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს; კერძოდ, თუკი არ არსებობს დედაენის აქტიური და მუდმივი გავლენა (მაგ., ეკლესიის ენის, სახელმწიფო ენის, ტელევიზიის ენის... გავლენა), მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსის ენის პოტენცია სხვადასხვა კუთხეში, დიდი ალბათობით, სხვადასხვა გზით განვითარდება: მოცემული კუთხის მეტყველების განვითარების კალაპოტს, შინაგანი პოტენციის გარდა, გარკვეულწილად განსაზღვრავს: აქ მცხოვრებთა ცხოვრების წესი, განსხვავებული მეურნეობა (შესაბამისი ტერმინოლოგია), გეოგრაფიული ლანდშაფტი, მეზობლების ენის/დიალექტის გავლენა და, რაც მთავარია, ოფიციალურ, სამწიგნობრო ენასთან სიახლოვე-სიშორე. როგორც წესი, სამწიგნობრო ენის დიალექტების განვითარების დინამიკა რეგულირდება სამწიგნობრო ენის გავლენის ხარისხის შესაბამისად: დედაქალაქთან, კულტურულ ცენტრთან ახლოს მყოფი კილოები ნაკლებად შორდებიან სამწიგნობრო ვარიანტს, შორს მყოფი კილოები კი მეტად შორდებიან.

ეთნოსი/ერი ენობრივ-ეთნიკურად ერთიანია; მაშასადამე: ქართველ ერის აქვს ერთი მრავალსაუკუნოვანი დედაენა და ათეულობით კუთხური მეტყველება - დიალექტი (საშინაო სამეტყველო კოდი).

⁵მ. ჩუხუა. ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 2003, გვ. 8.

⁶მ. ჩუხუა საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა 1991-92 წლების მიჯნაზე საქართველოში განხორციელებული სამხედრო-კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ვიდრე 2004 წლამდე.

⁷იხ.: გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. II. დიალექტები (გ. გოგოლაშვილის რედაქციით). თბილისი, 2016, გვ. 14: „საერთო-სახალხო ქართული ენის ლინგვისტურ ერთეულებად დიფერენცირების სქემა“.

⁸შდრ. „სოციალური დიალექტის“ საყოველთაოდ მიღებული განმარტება:

სოციალური დიალექტი - გარკვეული სოციალური ჯგუფის/ფენის მეტყველება, საზოგადოების სოციალური მომსახურების ენა; ენა, რომელზეც ლაპარაკობენ კონკრეტულ სოციალურ კლასში. ტერიტორიული დიალექტებისაგან განსხვავებით, სოციალური დიალექტი ეროვნული ენისაგან მხოლოდ ლექსიკით განსხვავდება (და არა - ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური თავისებურებებით).

სამწიგნობრო ენის გავლენის გააქტიურების პერიოდში სხვადასხვა დიალექტში შეიძლება ნიველირდეს (გაქრეს) დიალექტური თავისებურებები და დიალექტები ერთმანეთს დაემსგავსოს (დაიწყოს კონვერგენციული პროცესები) - სამწიგნობრო ენის გავლენით მოხდეს გარკვეულ გრამატიკულ თუ სინტაქსურ მოვლენათა უნიფიკაცია; შდრ.:

ზოგ ეთნოსს (ხალხს) თავის დედაენაზე არა აქვს დამწერლობა; შესაბამისად, ეს ხალხი უმწიგნობრო საზოგადოებაა. უკეთეს შემთხვევაში, უმწიგნობრო ეთნოსი სხვა, უფრო ცივილიზებული ერის ენით იღებს განათლებასა და კულტურას. უმწიგნობრო ენის მქონე საზოგადოების მეტყველების (ენა, დიალექტი) უნიფიკაციის პროცესი უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე დიალექტზე მშობლიური სამწიგნობრო ენის გავლენის შემთხვევაში. **სამწიგნობრო ენის გავლენის პროცესი ასევე უმნიშვნელოა იმ დიალექტზეც, რომელიც ადმინისტრაციულ თუ კულტურულ ცენტრს მეტადაა დაშორებული, ანდა იზოლირებულია გეოგრაფიული მდებარეობის გამო** (მაგ., თუკი დიალექტი გავრცელებულია კუნძულზე, ან მთებით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე).

უმწერლობო ხალხის კონსოლიდაციის შემთხვევაში უმწიგნობრო ენის დიალექტების საფუძველზე შეიძლება შეიქმნას ზედიალექტური მეტყველება - კონინე. არაიშვიათად, სწორედ კონინე ხდება სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი ერთეული. მოცემული ენა შეიძლება აერთიანებდეს დიალექტებს, ასევე: დიალექტი შეიძლება ნაწევრდებოდეს კილოკავებად, კილოკავეები - თქმებად, თქმა კი - იდიოლექტებად - ერთი პირის მეტყველებად.

ერთი მხრივ, უმწერლობო ენასა და დიალექტს (კილოს), მეორე მხრივ - დიალექტსა (კილოსა) და კილოკავს, მესამე მხრივ კი - კილოკავსა და თქმას შორის საზღვარი გარკვეულწილად პირობითია: განსაკუთრებით ჭირს კილოსა და კილოკავის, კილოკავისა და თქმის გამიჯვნა. დიალექტების, კილოკავებისა და თქმების როგორც გამიჯვნა, ასევე, **დაჯგუფება შესაძლებელია როგორც ენობრივი მონაცემების** (მაგ., პალატალიზებული ხმოვნების ქონის, თანხმოვანთკომპლექსის ტრანსფორმაციის, ერგატიული ბრუნვის მორფემების, ე.წ. მეოთხე სერიის ქონის მიხედვით და სხვ.), ასევე, **მოცემული თემის საცხოვრისის მიხედვით** - ამ თემის საშინაო სალაპარაკო ენის (/დიალექტის/ გავრცელების ველის მიხედვით... როგორც წესი, ენობრივი ერთეულების დაჯგუფება-კვალიფიკაცია უფრო ადქმადია გავრცელების მიხედვით; კერძოდ, მაგ., ქართველთა დედაენა - ქართული ენა - მოიცავს ათეულობით დიალექტს; ერთ-ერთია დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, იმერეთში - სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ხონის, წყალტუბოს, თერჯოლის, ზესტაფონის, საჩხერის, ჭიათურის, ხარაგაულის რაიონებსა და ქუთაისში - გავრცელებული დიალექტი - იმერული კილო; იმერული კილოს ერთ-ერთი კილოკავია ზემოიმერული, რომელიც ზემო იმერეთშია გავრცელებული; ზემო იმერულის ერთ-ერთი თქმაა ხარაგაულური, რომელიც მოიცავს ხარაგაულის რაიონს და სხვ..

ხშირად პრობლემურია ენისა და კილოს, კილოსა და კილოკავის გამიჯვნა, არადა, ზოგჯერ ძალიან არსებითია; შდრ.:

მსოფლიოს ენათა რაოდენობა მერყეობს 2000-დან 7000-მდე; მიზეზი მარტივია: სამეცნიერო სივრცეში არ არსებობს ენისა და კილოს/დიალექტის, განსაკუთრებით კი უმწიგნობრო ენისა და კილოს/დიალექტის გამმიჯნავი სანდო კრიტერიუმები; ენად თუ კილოდ კვალიფიკაცია ხშირად სუბიექტური ფაქტორების საფუძველზე ხდება; მაგ., მოლდოვურ მეტყველებას რუმინელები რუმინული ენის დიალექტად მიიჩნევენ, რუსები კი - დამოუკიდებელ ენად; შდრ., ასევე, არაიშვიათად, რელიგიით განსხვავებული და ენობრივად ახლო მდგომი თემები დამოუკიდებელ ეთნოსებად მიიჩნევენ თავს, შესაბამისად, მათი მეტყველებებიც დამოუკიდებელ ენებადაა კვალიფიცირებული; მაგ.: მუსლიმან სლავთა მეტყველებაა ბოსნიური; მართლმადიდებელ სლავთა მეტყველებაა სერბიული და მონტენეგრული; კათოლიკე სლავთა მეტყველებაა ხორვატიული. დასახელებული ენობრივი ერთეულები ერთმანეთისაგან მცირედით განსხვავდება; შდრ., იუგოსლავიის დაშლამდე გაბატონებული იყო აზრი, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ენა - სერბულ-ხორვატიული ენა; დღესაც ზოგი სპეციალისტი თვლის, რომ სინამდვილეში გვაქვს ერთი ენის მცირედით განსხვავებული ვარიანტები, რომელთაც სამ თუ ოთხ სხვადასხვა ენად წარმოადგენენ რელიგიით განსხვავებული ზემოთ დასახელებული თემების წარმომადგენლები.

დასაწყისშივე აღვნიშნეთ:

საყოველთაოდ მიღებული განმარტების მიხედვით ენა არის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ბგერით ნიშანთა სისტემა, რომელიც გამოიყენება სამყაროს ხედვა-აქქმის, აზროვნების, შემოქმედების, განათლების, კომუნიკაციისა (ინფორმაციის გაცვლისა) და

ცოდნის შენახვის საშუალებად; ენა არის კონკრეტული საზოგადოების (ეთნოსის, ერის) ერთიანობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი. დიალექტური მეტყველებაც ბევრით ნიშანთა სისტემაა; ენის ყველა ფუნქცია დიალექტურ მეტყველებასაც შეიძლება ჰქონდეს; ამიტომაც, სამეცნიერო ლიტერატურაში არის მცდელობა, დაიძებნოს ენისა და კილოს სტატუსის დამდგენი დამატებითი მახასიათებლები. **სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეცნიერის მიერ შემოთავაზებული იყო სხვადასხვა კრიტერიუმი; მათ შორის ზოგი იყო ლინგვისტური, ზოგი - ექსტრალინგვისტური.** განვიხილოთ თითოეული სახელობის ხარისხის მიხედვით.

გაგებინება.

ზოგი ფიქრობს, რომ ენისა და კილოს გამიჯვნა შესაძლებელია გაგებინების მიხედვით. ზოგი მეცნიერი **გაგებინებას** ლინგვისტურ კრიტერიუმადაც კი თვლის; მაგ., "ენათმეცნიერების თეორიულ კურსში" ვკითხულობთ: ერთი ენის ის ვარიანტები, რომელთა მფლობელებს ერთმანეთის არ ესმით, შესაძლებელია, დამოუკიდებელ ენებად მივიჩნიოთ⁹.

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ **გაგებინება** **ლოგიკური** (ექსტრალინგვისტური) **კრიტერიუმი**ა და არა - ლინგვისტური¹⁰; რაც მთავარია, **არც ერთი კულტურული ენის სტატუსი არ დადგენილა გაგებინების საფუძველზე.** არსებითია ისიც, რომ ენად წოდებულ ბევრ მეტყველებას შორის არის გაგებინება და პირიქით: მსოფლიოს ბევრ ენას აქვს ისეთი დიალექტები, რომელთა შორის გაგებინება რთულია ან შეუძლებელია.

ჩვენი აზრით, იშვიათ შემთხვევაში გაგებინების ფაქტორს მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს **არაკონსოლიდირებული ტომების მეტყველების სტატუსის განსაზღვრისას:** თუ მონათესავე საზოგადოებებს არ გააჩნიათ წინაპრებისგან შექმნილი საერთო მწიგნობრობა და არც კონინე, ასეთ შემთხვევაში არ არსებობს ეროვნული მეობის ჩამომკერწავი, გამაერთიანებელი ენობრივ-კულტურული სისტემა და ტომებს აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული ტომობრივი იდენტობა, მათი **უმწერლობო კონტინუუმიები დამოუკიდებელ ენებად შეიძლება იქნენ მიჩნეულნი;** შდრ., საბჭოთა იმპერიის ინტერესების შესაბამისად („გათიშე და იბატონეს“ პრინციპი), კომუნისტებმა ადიღეები ანუ ჩერქეზები (საერთო ავტოთონონიმი ადღლა) დაანაწევრეს სამ „ეროვნებად“: ადიღელებად, ყაბარდოელებად და „ჩერქეზებად“¹¹. პირველი სახელწოდებით გაერთიანებულნი არიან დასავლური ჯგუფის დიალექტებზე მეტყველი ადიღეები, მეორეთი – ყაბარდოულ დიალექტზე მეტყველი, მესამე კი გულისხმობს ბესლენურ და ყუბანურ-იენჯუგურ დიალექტებზე მეტყველთ. სამწიგნობრო ენა ორია: ქვემო ადიღური ანუ „ადიღური ენა“ (რუს. **Адыгейский язык**) ადიღელთათვის და ზემო ადიღური ანუ „ყაბარდოულ-ჩერქეზული ენა“ (რუს. **Кабардино-черкесский язык**) ყაბარდოელთა და „ჩერქეზთათვის“. რუსეთის იმპერიის მესვეურებმა, ასევე, ხელი შეუშალეს ლექსების (ერთ-ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაზე მოლაპარაკე კავკასიელების) ენობრივ-ეთნიკურ კონსოლიდაციას.

წერილობითი ტრადიციის მქონე საზოგადოებას თუკი აქვს საკუთარი მწიგნობრული ენის მონათესავე ზეპირი საშინაო სამეტყველო ვარიანტიც - მეორე სამეტყველო კოდიც,

⁹იხ., მაგ., თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. 2003, გვ. 615.

¹⁰**ერცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე.** საერთოეროვნული სალიტერატურო ენისა და „საშინაო“ სამეტყველო კოდების მიმართების საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური დიალექტების მიხედვით (სამეტყველო კოდების იერარქიისათვის). XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. ზუგდიდი. 2000, 20-21 ოქტომბერი; „ქართული ენა“; **The issues of relation of Common national literary Language and the speech codes in vernacular according to Georgian literary language and Georgian dialects (for the hierarchy of speech codes);** XX Republican Dialectology Scientific Session; Zugdidi, 2000; **ტ. ფუტკარაძე.** ქართველები, ზოგადქართული სამწიგნობრო ენა და ქართველთა დიალექტები (ისტორიული მიმოხილვა). ქართველური მემკვიდრეობა. VI. ქუთაისი, 2002, გვ. 187-200. წაკითხულია მოსხენებად 2001 წლის 4-5 მაისს საერთაშორისო სიმპოზიუმზე: „ქუთაისური საუბრები“. VIII. სიმპოზიუმის თემა: საქართველო ისტორიულ ევრაზიულ სივრცეში (დიალექტოლოგიური და კულტუროლოგიური ასპექტები; მასალები დაიბეჭდა „ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში“; **The Georgians, common Georgian literary language and dialects of Georgians (historical Aspects);** Kutaisi Discussions preceding of the symposium, VIII, 2001; Theme of symposium: „Georgia in historical Euro-Asian space (Dialectological and Cultural Aspects)“; Kutaisi University Press; **თ. გვანცელაძე.** არის თუ არა გაგებინება ენის დიალექტისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი? – ენათმეცნიერების საკითხები. №2, 2003; **თ. გვანცელაძე.** ენა და კილო ქართველოლოგიაში. თბილისი, 2006.

¹¹ჩერქეზები ყველა ადიღურენოვანი ლოკალური ჯგუფის (ტომის) აღმნიშვნელი საერთო ეგზოთონონიმი იყო და არა – მხოლოდ ბესლენელთა და ყუბანურ-იენჯუგელთა სახელი, როგორც ეს ამჟამად ოფიციალურად მიღებულია რუსეთის ფედერაციაში.

ზეპირი (უმწერლობა) ვარიანტი დიალექტად მიიჩნევა; ასეთი ორი სამეტყველო კოდის სტატუსის განსაზღვრისას გაგებინების კრიტერიუმს ვერ დავეყრდნობით, ვინაიდან **გაგებინება კონტექსტზე დამოკიდებული და შესაბამისად, მეტად პირობითი ცნებაა**; რაც მთავარია, ამგვარი ე. წ. ხალხური (არაპროფესიონალური) მიდგომით იძულებულნი გახდებით, წერილობითი ტრადიციის მქონე თითქმის ყველა ენა რამდენიმე „ენად“ დაგშალოთ, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიოში არსებულ თითქმის ყველა ენას მოეპოვება ლოკალური გავრცელების ისეთი ზეპირი სახესხვაობა, რომლის გაგება გაუჭირდება ამ ენის სხვა მფლობელებს; არათუ კილოებს შორის, არამედ კილოკავებს შორისაც კი ხშირად არა გვაქვს გაგებინება; შდრ., მაგ.:

საყოველთაოდაა ცნობილი (იხ., მაგ., პ. პაულის, პ. ჰირტის, ვ. ჟირმუნსკის, გ. ტ. შარბატოვის, ნ. ვ. იუშმანოვის, გ. ა. ჟუკოვსკის და სხვათა გამოკვლევები), რომ გაგებინების არარსებობის თუ საკუთრივ ლინგვისტურ მახასიათებლებში დიდი განსხვავების მიუხედავად, არაბთა, გერმანელთა, სპარსელთა, ჩინელთა, ესპანელთა, იტალიელთა, ფრანგთა, იაპონელთა და მრავალ სხვა ხალხთა საშინაო მეტყველებანი საერთოეროვნული სამწიგნობრო ენის დიალექტებად ითვლება; მეტიც, არაიშვიათად, ადამიანები ვერ ფლობენ სამწიგნობრო ენას, მაგრამ მათ დედაენად მაინც ზოგადეროვნული ენა მიიჩნევა. სანიმუშოდ მოვიყვანოთ ნ. ი. კონრადის დასკვნას:

„იაპონიასა და ჩინეთში არა მხოლოდ სოფელში, არამედ ქალაქშიც მოსახლეობის ნაწილი საერთოდ ვერ ფლობს საერთო სალიტერატურო ენას და ზეპირი ურთიერთობების დროს იყენებს თავის დიალექტს“¹² (ნ. ი. კონრადი, 1960)... ბუნებრივია, ვერავინ იტყვის, რომ იაპონელს, რომელიც ვერ ფლობს იაპონურ სამწიგნობრო ენას და მხოლოდ დიალექტზე მეტყველებს, დედაენა არა აქვს, ან მისი დედაენაა მისივე დიალექტი: საერთო-სამწიგნობრო ენის არმცოდნე იაპონელისთვისაც დედაენა არის სალიტერატურო იაპონური.

აქვე განსახილველია ე. წ. „ჯაჭვეური გარდამავლობის“ კრიტერიუმი: ზოგი ფიქრობს, რომ თუკი მოცემულ ენას ახასიათებს გაგებინების უწყვეტობა - მოცემული ერის მოსაზღვრე თემებს ერთმანეთის ესმით, ამ ენის არამომიჯნავე მეტყველებებიც დიალექტებად ითვლება გაგებინების მიუხედავად... ლანდშაფტის გამო მსოფლიოს ბევრი ენის დიალექტებს შორის გაგებინება არ არსებობს; მაგ., ქვემოიმერულსა და მეგრულს შორის ცხენისწყლის ზონაში არსებული გარდამავალი მეტყველება შემაერთებელ ხიდს წარმოადგენს მეგრულსა და იმერულს შორის, მაგრამ სვანური კილოები იზოლირებულია სხვა ქართველური მეტყველებებისაგან და გარდამავალი ზონა არ არსებობს, მაგ., სვანურსა და მეგრულს, სვანურსა და ლეჩხუმურს შორის... სხვა ენების მომიჯნავე დიალექტებს შორისაც პრობლემურია გაგებინება მთავორიანი ლანდშაფტისა და კუნძულის იზოლირების გამო: ბუნებრივი ბარიერები ხელს უშლის ინტენსიურ კომუნიკაციას... ამ და სხვა მიზეზთა გამო გაგებინებას არასანდო კრიტერიუმად თვლიან: ვ. ჟირმუნსკი, ე. კოსერიუ, ი. ქლოუპეკი, ჯ. ჰერგენი და მრავალი სხვა¹³.

ბგერათშესატყვისობა.

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ერთი ენის დიალექტების სამეტყველო ბგერები გარკვეულ ცვლილებებს განიცდის; მაგ., ფუძეენის ა ბგერა ერთი კილოს სიტყვებში შეიძლება დარჩეს ა-დ, მეორეში კი - ტრანსფორმირდეს ო-დ. ერთი ამოსავალი ენიდან მომდინარე ისტორიულ სამეტყველო ბგერებს (ფონემებს) თანამედროვე ორ ან მეტ დიალექტში (/ენაში) თუკი აქვს რეგულარი და კანონზომიერი სახესხვაობები, ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, რომ გვაქვს **ბგერათშესატყვისობა**.

ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ ბგერათშესატყვისობა ენისა და კილოს გასამიჯნ კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ „ანუ: თუკი ენობრივ ერთეულებს შორის არსებობს ისტორიულად ჩამოყალიბებული ბგერათშესატყვისობა, ეს ენობრივი ერთეულები უკვე დამოუკიდებელ ენებადაა ჩამოყალიბებული; მაგ., მ. ქურდიანის აზრით, რამდენადაც

¹²Н. И. Корнад. О литературном языке в Китае и Японии. 1960; D. Crystal. The Cambridge encyclopedial of Language. New York, 1994; <https://www.scribd.com/doc/77462665/The-Cambridge-Encyclopedia-of-the-English-Language>.

¹³მიმოხილვისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე. ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები). 2005, გვ. 624; ინგლ. 395-394 გვ.; თურქ. 395-492გვ.; The Georgians The Kartvels (Historical Home, Mother Tongue Dialects); English version pg. 395-492; Turkish version pg. 331-394; გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“; Publishing house „Akaki Tsereteli State University“; <http://www.scribd.com/doc/2158690/The-Georgians-the-Kartvels>; <http://www.scribd.com/doc/2158759/Kartveller-Gurculer>.

გერმანელთა საშინაო სამეცხველო ერთეულებს შორის არსებობს „ბგერათშესატყვისობა“, ისინი მონათესავე ენებია, თუ არადა - დიალექტები, ხოლო, რამდენადაც რუსულსა და უკრაინულს შორის არ არსებობს ბგერათშესატყვისობა, რუსული და უკრაინული ერთი ენის დიალექტებია და არა - დამოუკიდებელი ენები... მ. ქურდიანი ასევე უარგუმენტოდ წერს, რომ „წმინდა ენათმეცნიერული“ განსაზღვრით, სვანური და ზანური „დამოუკიდებელი ენებია“, ხოლო სოციოლინგვისტური თვალსაზრისით - ქართული ენის დიალექტები. დასკვნას კი ასე აყალიბებს: „სვანური სვანების დედაენაა, ხოლო ქართული - ეროვნული ენა“¹⁴.

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ „წმინდა ენათმეცნიერული“ განსაზღვრით ენაც ბგერით ნიშანთა სისტემაა და დიალექტიც (იხ. ქვემოთ). მეცხველების სტატუსის ორმაგი „სტანდარტი“ განსაზღვრა კი ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისა და სოციოლინგვისტიკის მიზნების აღრევის შედეგია; შდრ.:

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება ორი სახისაა: პროსპექტული (ენის ისტორიის კვლევა ისტორიის სიღრმიდან თანამედროვეობისკენ) და რეტროსპექტული. სწორედ რეტროსპექტული ენათმეცნიერების მიზანია, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით (რეკონსტრუქციების გზით!) აღადგინოს დამწერლობის მქონე ენათა პრეისტორია და უმწერლობო ენათა ისტორია, რათა დაადგინოს ამჟამად მკვეთრად დაშორებული ენების ნათესაობა. ნათესაობა უეჭველ ფაქტად ცხადდება რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების დადგენის შემდეგ.

შედარებითი ანუ კომპარატივისტული მეთოდიკა აღადგენს სივრცესა და დროში ოდესღაც არსებული ფუძე-ენის სისტემას და მის წიაღში ნავარაუდავი დიალექტების დაშორიშორების პროცესს. კომპარატივისტიკა ვერ აღგენს (და არც აღგენს!) იმ კრიტერიუმებს, რომლითაც მოცემული საზოგადოება ენის სტატუსს ანიჭებს ამა თუ იმ ისტორიულ თუ თანამედროვე დიალექტს. აქვე კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ არსებობს ბევრი ახლომონათესავე ენა (მაგ., რუსული, ბელორუსული, ჩეხური, სლოვაკური...) რომელთა შორის ბგერათშესატყვისობა არ არის ჩამოყალიბებული. რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის დადგენის საჭიროება ჩნდება მაშინ, როცა რთულია მოცემულ ენათა ნათესაობის დანახვა; შესაბამისად, ბგერათშესატყვისობას არავითარი როლი არ აკისრია ახლომონათესავე სამეცხველო ერთეულების სტატუსის (ენის, კილოს, კილოკავის) დადგენის თვალსაზრისით. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოს ძირითადი ენების/კილოების სტატუსი გაირკვა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე და, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არავინ ცდილობს ამ სტატუსთა გადასინჯვას¹⁵.

ტერმინები: ეროვნული ენა და დედაენა სინონიმებია¹⁶; გარდა ამისა, ერთი მეცხველების

¹⁴მ. ქურდიანი. ენა და დიალექტი საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით; ბ. ჯორბე-ნაძის საზოგადოების III სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 4-7 ივნისი, 1996; მ. ქურდიანი, სვანთა და მეგრელთა ქართული მეცხველების საკუთრივ-ლინგვისტური სტატუსის შესახებ. XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია. ახალციხე. 1999; ქართველური ენები და დიალექტები. 2007, გვ. 6-9; იხ. აგრეთვე: გ. გუგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე. 2016, გვ. 6-10; შდრ.: ტ. ფუტკარაძე. საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი: ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის. – კრებული „საქართველოში არსებული კონფლიქტი და მშვიდობის პერსპექტივები“. საქართველოს საპატრიარქო. კონრად აღენაუერის ფონდი. თბილისი, 2009, გვ. 221-234; Some Aspects of the Geopolitical Strategy of Georgia (on Politicization of the Kartvelological Studies), Causes of War Prospects for Peace, Georgian Orthodox Church Konrad-Adenauer-Foundation, Tb. 2009, p. 173-183; On December 2-3, 2008 the Holy Synod of the Georgian Orthodox Church and the Konrad-Adenauer-Foundation held a scientific conference on the theme: Causes of War - Prospects for Peace. <http://www.scribd.com/doc/9100139/Tariel-Putkaradze-Some-Aspects-of-the-Geopolitical-Strategy-of-Georgia>.

¹⁵იხ.: მაგ., არნოლდ ჩიქობავა. ჭანურის გრამატიკული ანალიზი. ტფილისი, 1936, გვ. 205.

¹⁶ გ. რამიშვილი, გ. რამიშვილი. დედაენის თეორია. 2000, გვ. 7; ქართული ენის, როგორც ქართველთა ერთადერთი დედაენის შესახებ მსჯელობისათვის იხ.: იქვე, გვ. 6-9; არაიშვიათად, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „ეროვნული ენა“ გამოიყენება სახელმწიფო ენის სინონიმად; თუ დაუშვებთ, რომ მ. ქურდიანისთვის ეროვნული ენა სახელმწიფო ენის სინონიმია, ასეთ შემთხვევაში, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, მაგ., საქართველოს მოქალაქე აფხაზთა თუ სომეხთა დედაენები და ქართველთა ბალსზემოური (სვანური), მეგრული თუ გურული დიალექტები ქართულთან მიმართებით ერთ რიგში წარმოდგება, რაც, ასევე, სრული გაუგებრობაა; სინამდვილეში: საქართველოში აფხაზური ენა ეთნიკური უმცირესობის ენაა, რომელსაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენაა ქართულთან ერთად, სომხური - მიგრანტი უმცირესობის ენა, ხოლო მაგ., ბალსზემოური სვანური მეცხველება, მეგრული თუ გურული - ქართველთა დიალექტები. „ეროვნული ენა“ ზოგჯერ გამოიყენება „სახელმწიფო ენის“ სინონიმად; ასეთი გაგების შემთხვევაში ქართული ენა ეროვნული ენაა საქართველოს მოქალაქე ეთნიკური სომეხისთვისაც, აზერბაიჯანელისთვისაც, რუსისთვისაც...

სტატუსის ორი სტანდარტით განსაზღვრა - ენადაც მიჩნევა და დიალექტადაც, მაგრამ არგუმენტების გარეშე მაინც ენათა რიგში წარმოდგენა, ვერ თავსდება აკადემიური მსჯელობის ფარგლებში; შდრ.; „ლინგვისტიკურად“ ენა - „კულტურულად“ დიალექტის შესახებ ნიკო მარის მსჯელობა (1905, გვ. 7-10) ჯერ კიდევ 1952 წელს საფუძვლიანად გააკრიტიკა არნოლდ ჩიქობავამ, რომელმაც დაიწუნა მისი ორმაგი სტანდარტი ლაზურის მიმართ¹⁷.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ზოგი დღესაც ცდილობს ე. წ. „ორმაგი სტანდარტით“ გააბუნდოვნოს რეალობა; შდრ., მაგ., ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არის მცდელობა (ა. ონიანი, მ. ქურდიანი, გ. ცოცანიძე...), ქართველური ენობრივ ერთეულთა სტატუსი განისაზღვროს როგორც „ლინგვისტური“, ასევე, „სოციოლინგვისტური“ „სტანდარტით“; მაგ., ზოგის აზრით, სვანური ლინგვისტურად ქართულის მონათესავე დამოუკიდებელი ენაა, სოციოლინგვისტურად კი - ქართული ენის დიალექტი; აქ წარმოგადგენთ მსგავსი „ლოგიკის“ მქონე ერთ ვრცელ ციტატას:

„საყოველთაოდ აღიარებული ლინგვისტური კრიტერიუმების მიხედვით (სისტემური ბგერათშესატყვისობების არსებობა, გაგებინებადობა და სხვა არსებითი პარამეტრები) სვანური და ზანური (ანუ მეგრულ-ლაზური) ენებია და, ბგერათშესატყვისობებს რომ თავი დავანებოთ და აქ არ განვიხილოთ, მკითხველისათვის ის უბრალო არგუმენტიც კი იკმარებს ამ ადგილას, რომ გაგებინებადობა სვანური ან მეგრული მეტყველების შემთხვევაში სვანურისა და მეგრულის არმცოდნე ქართველისათვის ნულოვანია: წარმოიდგინეთ, ტელევიზიამ ერთი დღე სვანურად რომ წარმართოს მაუწყებლობა, საქართველოს მოსახლეობის რამდენი პროცენტი გაიგებს მას? იმერული ან გურული დიალექტის გამოჩენა კი სხვადასხვა სატელევიზიო არხებზე (განსაკუთრებით შოუებში) გაგებინებადობის თვალსაზრისით პრობლემას არ ქმნის, უბრალოდ სიხალისე შეაქვს. კიდევ ერთ მარტივ მაგალითს მოვიყვან ჩვეულებრივი მკითხველისათვის და ამით დავამთავრებ. ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მეგრულად არის თარგმნილი. მეგრული რომ ქართულის დიალექტი იყოს, რა თარგმნა დასჭირდებოდა შოთა რუსთაველის უკვდავ ქმნილებას? წარმოვიდგინოთ, ვინმემ რომ მოინდომოს „ვეფხისტყაოსნის“ კახურად ან გურულად „თარგმნა“? როგორი იქნებოდა ნეტავ? ეს არის საკითხის ლინგვისტური ასპექტი (რასაკვირველია, გამარტივებულად წარმოდგენილი). სოციოლინგვისტურად, ანუ ფუნქციონირების თვალსაზრისით კი მეგრულიც, ლაზურიც და სვანურიც ისეთსავე ფუნქციონირებად ოდენობებს წარმოადგენენ, როგორც ქართული ენის დიალექტები (იგივე იმერული, გურული, ხევსურული და ა. შ.); მათი გამოყენების კონტექსტი სალიტერატურო ენასთან შედარებით შეზღუდულია და გარკვეული სფეროებით შემოიფარგლება, ანუ მეგრულიც ისეთსავე მდგომარეობაშია სოციუმის მხრიდან მოხმარების თვალსაზრისით, როგორც ხევსურული - იგი არის ამ ენაზე მეტყველი სოციუმის შიდა საკომუნიკაციო საშუალება“¹⁸.

მსგავსი თვალსაზრისის მიხედვით შექმნილ ლინგვისტურ რუკებზე გაყალბებულია ისტორიული თუ დღევანდელი რეალობა და ქართული ენის გავრცელების არეალად ჩათვლილი არ არის სამეგრელო, სვანეთი, ცხინვალის მხარე, მთელი აფხაზეთი და სხვ. იხ., მაგ., იოსტ გიპერტის რუკა <http://titus.uni-frankfurt.de/didact/karten/kauk/kaukasm.htm/>:

¹⁷არნოლდ ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1952, გვ. 358-366.

¹⁸ციტატა მოყვანილია მ. თანდაშვილის წერილიდან: „საქართველოს ინტელექტუალური ინტეგრაცია ცივილიზებულ სამყაროში“ (გაზეთი „24 საათი“, 2010 წლის 2 მაისი). ამ პასკვილის მიზანია ჩვენ მიმართ ცილისწამების გზით დაიცვას მოსაზრება, რომ, თითქოსდა, ლაზური, სვანური, მეგრული „შეზღუდული გამოყენების“ უმწერლობო დამოუკიდებელი ენებია... როგორც ზემოთ აღინიშნა, ცარიზმის დროსაც, საბჭოთა პერიოდშიც და დღესაც ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების სურვილი ჰქონდა და აქვს რუსეთის იმპერიას; პოსტსაბჭოთა პერიოდში კი ქართველთა დიალექტების უმცირესობების ენებად კვალიფიკაცია გააჩნია არა მავანთა სურვილმა მოხდეს „საქართველოს ინტელექტუალური ინტეგრაცია ცივილიზებულ სამყაროში“, არამედ **ვეროპაში უმცირესობებისათვის გამოყოფილი გრანტების იოლად მიღების პრაქტიკამ**. ენისა და კილოს იდენტოლოგიზებული კვალიფიკაციებისა და არაადეკვატური ლინგვისტური რუკების კრიტიკისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2009; ტ. ფუტკარაძე, 2014, გვ. 290-292...




იხ., ასევე ი. კორიაკოვის რუკა <http://lingvarium.org/maps/caucas/14-kartv.gi/>:



სამწუხარო ის უფროაა, რომ თანამედროვე საქართველოს სამეცნიერო ცენტრებიც ვერ აღწევენ თავს საბჭოურ ინერციას; მაგ., საერთაშორისო ქსელში წარმოდგენილი კვაზიმეცნიერული რუკებისგან არსებითად არ განსხვავდება არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ახლახან განახლებული რუკაც, რომლის მიხედვით ქართული ენა არ ჩანს სვანეთში, ზემო მაჭახელში, ლივანაში, ტაოში...

http://www.ice.ge/kartuliena/iber_cavk_map.html/:



მ. თანდაშვილის ტექსტი, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ, ჩვენთვის საინტერესოა "სოციოლინგვისტიკისა" და "ლინგვისტიკის" ოპოზიციურ წყვილად წარმოჩენის მცდელობის გამო; სინამდვილეში საყოველთაოდაა ცნობილი, რომ **სოციოლინგვისტიკა ლინგვისტიკის ნაწილია და არ არის მეცნიერების სხვა დარგი**; გაუმართლებელია ლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის გამიჯვნა; ანუ: **სოციოლინგვისტური კრიტერიუმებიც ლინგვისტურია.**

შდრ.:

- არსებობს ენისა და კილოს გამმიჯნავი ლინგვისტური კრიტერიუმების ორი ჯგუფი:
- **სტრუქტურული კრიტერიუმები** (ბგერათშესატყვისობა, ენობრივი სტრუქტურების მსგავსება-განსხვავება...),
- **ფუნქციური** (სოციოლინგვისტური) **კრიტერიუმები** (ვრცლად იხ. ქვემოთ).

ხაზგასმით ვამბობთ:

ენისა და კილოს გასამიჯნვი კრიტერიუმების შესახებ საერთაშორისო ველებში არსებულ პრაქტიკას თუკი გავითვალისწინებთ, **სოციოლინგვისტური კრიტერიუმით დიალექტად ჩათვლილი მეტყველება ენათა რიგში ადარ უნდა შევიტანოთ.** ეს მით უფრო ითქმის ქართველური კუთხური მეტყველებების შესახებ, რამდენადაც, ფაქტია:

ზეპირი ფორმით არსებულ ყველა ქართველურ ქვესისტემას მრავალი საუკუნეა საერთო „ქედის“ სახით აქვს საერთოქართველურ ენაზე დაფუძნებული ერთიანი ქართული სამწიგნობრო ენა; შესაბამისად, მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენა ქართველი ერისათვის (მეგრელებისათვის, ლაზებისათვის, სვანებისათვის, კახელებისათვის, ქართლებებისათვის, მესხებისათვის, თუშებისათვის...) დედაენაა, ხოლო მეგრულ-ლაზური და სვანური, სხვა ქართველურ ქვესისტემებთან ერთად, ქართველი ერის დედაენის - ქართული ენის - კუთხურ სახესხვაობებს - დიალექტებს - წარმოადგენენ.

მეცნიერულად გაუმართლებელი და ქართველი ერის ერთიანობისათვის საშიშია 20-საუკუნოვანი დამწერლობის მქონე ქართველთა თითქმის ნახევარის კუთხური მეტყველებების (/კილოების) გამოცხადება ე.წ. უმწერლობო „დედაენებად“. ქართველური დიალექტების ენებად გამოცხადებით მიზანმიმართული საფუძველი ეყრება ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას. გარდა ამისა, ზოგი ენათმეცნიერის უსაფუძვლო სუბიექტური ხედვით, მაგ., ბგერათშესატყვისობის კრიტერიუმად „დაწესებით“, არც გერმანელები გამოაცხადებენ თავიანთ დიალექტებს ენებად და არც უკრაინელები ჩათვლიან უკრაინულს რუსულის დიალექტად: უკვე ისტორიული რეალობაა, რომ უკრაინული დამოუკიდებელ ენად მიიჩნევა უკრაინელების მიერაც და მთელი მსოფლიოს მიერაც¹⁹, ხოლო, მაგ., ბავარიული გერმანული დიალექტების ჯგუფის სახელია და არა -

¹⁹ იხ.: მაგ., ენათა ოჯახების ჩამონათვალი: **არნოლდ ჩიქობავა.** ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1952, გვ. 344; ენათმეცნიერების შესავლის საკითხები. 1972, გვ. 295; **თ. შარაპენიძე.** ენათა კლასიფიკაციის პრინციპები. 1958, გვ. 6.

დამოუკიდებელი ენისა, და რაც უპირველესადაა გასათვალისწინებელი:

ბგერათშესატყვისობა არსებობს დიალექტებს შორისაც და კილოკავებს შორისაც კი! დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციებში წარმოდგენილი ენების სტატუსი არც გაგებინებით და არც ბგერათშესატყვისობით არ დადგენილა: როგორც წესი, მსოფლიოს ენების სტატუსი განსაზღვრულია სწორედ სოციოლინგვისტური მიდგომების საფუძველზე (იხ. ქვემოთ).

არანაკლებ მთავარი ის არის, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებული ენობრივი სიტუაციის ხელოვნურად შეცვლის მცდელობა პოზიტიურ შედეგს არ მოიტანს; ენათმეცნიერის მიზანი უნდა იყოს არსებული ისტორიული მონაცემების ანალიზით შესაბამისი დასკვნის გამოტანა და არა - რეალობის ხელოვნურად გადაკეთების მცდელობა²⁰; მით უმეტეს, არც ისტორიულად და არც თანამედროვე მსოფლიოში კულტურული საზოგადოების ენათა თუ კილოთა სტატუსი არ დადგენილა არც „საკუთრივ ლინგვისტური“ ანუ ენის შიდასტრუქტურული კრიტერიუმით და არც გაგებინებით - ლოგიკური /არალინგვისტური/ კრიტერიუმით²¹.

ენათა სისტემური სხვაობა/მსგავსება.

სამეცნიერო ლიტერატურაში არის მცდელობა, სხვადასხვა ენებად იქნენ მიჩნეულნი ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურების მიხედვით განსხვავებული მეტყველებები (ენობრივი განფენილობები, კონტინუუმები); მაგ., გ. ცოცანიძის აზრით, ქართული, სვანური და ზანური ენების „დამოუკიდებელი სტატუსი განისაზღვრება იმით, რომ თითოეულ მათგანს აქვს თავისთავადი ორიგინალური ლექსიკური ფონდი, ურთიერთგანსხვავებული ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემები და ასევე, ორიგინალური სინტაქსური კონსტრუქციები“²².

„განსხვავებულობა“ მეტად ფარდობითი ცნებაა: რეალურად განსხვავებული ლექსიკურ-ფონოლოგიურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემები აქვთ, მაგ., მონათესავე აფხაზურ და ქართულ ენებს; მით უფრო, არამონათესავე ქართულ და რუსულ ენებს; ქართველურ ქვესისტემებს კი გაცილებით მეტი აქვთ საერთო, ვიდრე - განსხვავებული; თუმცა, საკუთრივ ქართველურ ქვესისტემებს შორისაც არ გვაქვს ერთგვაროვანი ვითარება: სამწიგნობრო ქართულისგან ყველაზე მეტად განსხვავდება სვანური კილოები, უფრო ნაკლებად - ზანური კილოები (მეგრული-ლაზური), უფრო ნაკლებად - ინგილოური და ტაოური, უფრო ნაკლებად - თუშური და ხევსურული; უფრო ნაკლებად - კახური, ქართლური და იმერული...

რაც მთავარია, ლექსიკურ-ფონოლოგიურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემების სხვაობის ხარისხის მიხედვით ჯერ მსოფლიოში არავის დაუდგენია არც ერთი მეტყველების სტატუსი; არც არავის დაუსახელებია ის პროცენტული ზღვარი, რომლის ზემოთ მონათესავე მეტყველებები ენებად უნდა ჩაითვალოს, ამ ზღვრამდე კი - დიალექტებად. ასეთი ზღვარის დადგენა შეუძლებელიცაა, რამდენადაც ბევრია შემთხვევა, როცა საუკუნეების მანძილზე ენად მიჩნეული ერთი მეტყველება „სისტემურად“ ძალიან მცირედით განსხვავდება მეორე მონათესავე ენისგან (მაგ., პოლონური უკრაინულისაგან) და პირიქით: საუკუნეების მანძილზე კილოებად მიჩნეულ ერთეულებს შორის შთამბეჭდავი სისტემური სხვაობაა; მაგალითად, ფონემატური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურების მიხედვით რუსული, ბელორუსული, უკრაინული, პოლონური ენები ერთმანეთთან მიმართებით უფრო ახლომდგომი ვარიანტები არიან, ვიდრე, მაგალითად, გერმანული ენის დიალექტები... შესაბამისად, რომელიმე მეცნიერის მიერ დადგენილი ე. წ. პროცენტული ზღვარის მიხედვით, არც ერთი ერი თუ თემი არ შეცვლის თავისი მეტყველების საუკუნოვან სტატუსს. მონათესავე იდიომების (მეტყველებების) ენობრივი სტრუქტურების განსხვავების ხარისხის მიხედვით ენისა თუ კილოს კვალიფიკაციის მცდელობა ყოველთვის ჩიხში შევა.

აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ:

²⁰ტ. ფუტკარაძე, ქართველები. 2005, გვ. 65-70.

²¹შდრ., რ. ამირეჯიბი-მაღვინის დაუსაბუთებელი „განცხადება“ წიგნში: კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა. თბილისი, 2006: „ენებისა და დიალექტების გამიჯვნის წმინდა ლინგვისტურ კრიტერიუმებს მიეკუთვნება ურთიერთგაგებინების ფაქტორი. ამიტომაც, მეგრულ-ლაზური და სვანური დამოუკიდებელი ენებია „წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით“ (გვ. 6-8). სამწუხაროდ, არც ამ ავტორმა იცის, რომ „ურთიერთგაგებინების ფაქტორი“ „ლინგვისტური კრიტერიუმი“ არ არის!

²²გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. II. დიალექტები (გ. გოგოლაშვილის რედაქციით). თბილისი, 2016, გვ. 6-10.

ლინგვისტიკის (ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სოციოლინგვისტიკის...) ცნებების სუბიექტური გააზრების მიხედვით არ უნდა ხდებოდეს საუკუნეების მანძილზე უკვე არსებული ტრადიციული კვალიფიკაციების თვითმიზნური გადასინჯვა, მაგ., უკრაინული დიდი ხანია დამოუკიდებელ ენადაა აღიარებული და რისი მომტანია მისი რუსული ენის დიალექტად გამოცხადება ერთი თუ ორი ლინგვისტის მიერ?

ანდა:

მეგრული (ოდიშური) მეტყველება მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველთა ერთ-ერთ დიალექტად ითვლება (ქართველთა სხვა კილოების მსგავსად) და რას მოემსახურება XXI საუკუნეში მისი სტატუსის შეცვლა და ე.წ. რეგიონულ ენად სახელდება? **მით უმეტეს, რას მოემსახურება სვანთა, მეგრულთა და ლაზთა ოცსაუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის უგულვებელყოფა და მათი ზეპირი მეტყველებებისათვის დღეს ახალი დამწერლობების შექმნა?** თუნდაც, მაგ., „ვეფხისტყაოსანის“ თარგმნა მეგრულად თუ სვანურად?

პასუხი ერთია:

ამ გზით დასახელებულ ქართველთა გაუუცხოვრებათ და, ფაქტობრივად, დაეკარგებათ ქართველური/ქართული მწიგნობრობის სახით არსებული საკუთარი დიდი კულტურული წარსული.

ფიქრობ ნათელია, რომ მონათესავე ენებისა თუ დიალექტების გამიჯვნის პრობლემა ვერ გადაიჭრება მხოლოდ ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური კრიტერიუმებით; როგორც უკვე ითქვა, კულტურული ტრადიციის მქონე მსოფლიოს არც ერთი ენა „საკუთრივ ლინგვისტური ნიშნების“ (ბგერათშესატყვისობა, მორფოლოგიური და სინტაქსურ-სემანტიკური კატეგორიები, ლექსიკა) ანუ **ენის სტრუქტურული კრიტერიუმების საფუძველზე** არ არის სახელდებული ენად. გარდა ამისა, ჯერ არავის დაუდგენია ენობრივ ცვლილებათა ის ზღვარი, რის შემდეგაც მონათესავე ენობრივ ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავებანი გადადის თვისობრივში, შესაბამისად, სისტემის ვარიანტი იქცევა დამოუკიდებელ სისტემად.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ:

რაოდენობრივი სხვაობა მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტს შორის არსებობს; თვისობრივი ცვლილების საზღვრად რომელი პროცენტული მაჩვენებელი უნდა ავიღოთ? ის სხვაობა, რომელიც გვაქვს, მაგ., მეგრულსა და სამწიგნობრო ქართულს შორის, საკმარისია მეგრულის დამოუკიდებელ ენად მისაჩნვეად? შდრ., სალიტერატურო არაბულსა და ბუხარულს შორის გაცილებით დიდი სხვაობაა; მეტიც, ბუხარულს ზოგი ტაჯიკური/სპარსული ენის დიალექტად მიიჩნევს; თუმცა, რამდენადაც ბუხარელები არაბები არიან, თავად **არაბისტების მიერ ბუხარული არაბულის დიალექტად განიხილება**. სისტემური სხვაობა კი ნამდვილად არის, მაგ., ქართულსა და მის მონათესავე აფსაზურს შორის, ქართულსა და არამონათესავე არაბულს შორის, და არა სამწიგნობრო ქართულსა და მეგრულს, ან თუშურს შორის.

დასახელებულ წიგნში²³ გ. ცოცანიძე აღნიშნავს, რომ მაგ., მეგრულ და ქართულ ფონოლოგიურ სისტემებს შორის განსხვავებაა, კერძოდ, ქართული ენის ვოკალურ სისტემაში ხმოვან ფონემათა პარადიგმატულ მიმართებებს ქმნის ხმოვანთა ლოკალური რიგი და აწეულობა, „ზანურ ენაში კი ამ ორ ნიშანს ემატება კიდევ ერთი - პალატალურობის ნიშანი. რის შედეგადაც ხუთწევრიანის მაგივრად ვიდებთ ექვსწევრიან სისტემას. სვანურ ენაში ხმოვან ფონემათა კორელაციური მიმართებები რთულდება იმით, რომ ემატება პალატალიზაციისა და სივრდის ნიშნები, რის შედეგადაც ხმოვან ფონემათა რაოდენობა 18-მდე აღწევს“...

გ. ცოცანიძის მსჯელობა არ ემყარება რეალურ ფაქტებს:

თანამედროვე ქართულმა სალიტერატურო ენამ უცვლელად შემოინახა საერთოქართველური ენის ისტორიული-ფონოლოგიურ-გრამატიკულ-ლექსიკური მოდელები, ხოლო ქართველთა ყველა დიალექტმა მეტ-ნაკლებად გარკვეული ცვლილებანი განიცადა, თუმცა ძირითადი სტრუქტურა შეინარჩუნა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა ყველა დიალექტის ფონემატური სტრუქტურა თვისობრივად ერთგვარია; ასევე, ძირითადად იდენტურია მორფოლოგიური, ლექსიკოლოგიური და სინტაქსური მოდელები; შდრ.:

ქართველთა თითოეულ დიალექტში (მეგრულში, კახურში, იმერულში, ბალსხემოურში...) არსებული სალექსიკონო მასალა თვისობრივად ერთნაირად მიემართება ქართულ

²³გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. II. დიალექტები (გ. გოგოლაშვილის რედაქციით). თბილისი, 2016, გვ. 8.

სამწიგნობრო ენაში არსებულ ლექსიკურ მარაგს (რა თქმა უნდა, არის რაოდენობრივი სხვაობები), კერძოდ, დიალექტებში ძირითადი ლექსიკური ფონდი უცვლელად ან მცირედენი ფონეტიკური ცვლილებებითაა შემონახული; არაიშვიათად, მხოლოდ ცალკეულ დიალექტებში დასტურდება ის ფორმა, რომელიც ადრე სალიტერატურო ქართულისთვის იყო დამახასიათებელი. განსხვავება ისაა, რომ რაც უფრო განაპირაა დიალექტი, მით მეტია მასში შემოჭრილი სხვა ენის ლექსიკური ერთეულები. მაგ., მეგრულს დაცული აქვს ისეთი სიტყვა-ფორმები, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ენაში არ დასტურდება, მაგრამ გვქონდა ძველი საეკლესიო მწერლობის ენაში. მაგ.: არქაულ ქართულში უწყვეტლის III პირის მრ. რიცხვს აღნიშნავდა - ეს ფორმანტი: იგინი წერ-დ-ეს „წერდნენ“; დღეს ანალოგიური წარმოება გვაქვს მხოლოდ მეგრულ-ჭანურსა და ხევსურულში: ჭარ-უნ-დ-ეს, შდრ. ხევს. წაიღებდეს „წაიღებდნენ“. ასევე, ქართველურ დიალექტებში შემონახულია ძველ ქართულ ტექსტებში დაფიქსირებული ბევრი სიტყვა, რომელიც აღარაა თანამედროვე ქართულში. მაგ., ხან. წილუა - კრეფა (შდრ. ძვ. ქართ. მოწილვა), მეგრ. წინდა - ჭუჭყი (შდრ. წიდა), მეგრ. კურთა - ქვედა საცვალი (შდრ. კვართი), ჭან. ცხოდარი - ლოგინი (შდრ. ცხედარი)...

ყველა ქართველურ ქვესისტემაში ერთგვაროვანია ფონემატური სტრუქტურა; განაპირა დიალექტების პალატალიზებული ხმოვნები ქართველური სამყაროსათვის მეორეულია - ხმოვანთა პალატალურობა (მაგარსასისმიერობა) სხვა ენების გავლენითაა გაჩენილი; რაც მთავარია, „პალატალურობის ნიშანი“ ვლინდება როგორც დასავლურ ქართულ რამდენიმე კილოში (ბალსხემოურში, ბალსქვემოურში, ლენტეხურში; იმერხეულში, ტაოურში; ზოგი თვლის, რომ ლაზურშიც...), ასევე აღმოსავლურ ქართულ რამდენიმე კილოში, მაგ., მოხეურში, ინგილოურში, სამცხურ-ჯავახურში. ხმოვანთა სიგრძე საკუთრივ ქართველური მოვლენაა: ზეპირ მეტყველებაში რეალიზდება ენის ტენდენცია, ორი ხმოვანი აქციოს ერთ მარცვლად (ერთ ხმოვნად); ზოგჯერ ხმოვნის სიგრძე დაკარგული ბევრის კომპენსაციაა; შესაბამისად, ხმოვანთა სიგრძე ბევრ ქართველურ ქვესისტემას ახასიათებს და არა - მხოლოდ სვანურ კილოებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ-ერთ სვანურ კილოს - ბალსქვემოურს - არ ახასიათებს გრძელი ხმოვნები.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მაგ., ფონოლოგიური სისტემის მიხედვით ქართული სალიტერატურო ენაც და ქართულ კილოთა უმრავლესობაც არსებითად არ განსხვავდება მეგრულისაგან; შდრ.: არსებითი სხვაობა გვაქვს ქართველურსა და მის მონათესავე აფხაზურ ენობრივ სისტემას შორის. შესაბამისად, ხელოვნურია ფონოლოგიურ საფუძველზე ქართულისა და მეგრულის გამოცხადება დამოუკიდებელ ენებად; იგივე ითქმის ლექსიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის შესახებაც (თვისობრივი სხვაობაა ქართულსა და აფხაზურს შორის);

შდრ., ასევე:

მეგრული სახელური პარადიგმაც ძირითადად იმეორებს არა მხოლოდ ადრინდელი სამწიგნობრო ენის ბრუნვათა სისტემას, არამედ ახლოსაა თანამედროვე ქართული ენის მთის კილოების არქაულ მონაცემებთან; ასევე, მაგ., განსხვავებით მონათესავე აფხაზურისაგან, თვისობრივად ერთგვარია მეგრულისა და იმერულის ზმნურ ფორმათა სისტემა და სხვ. რა თქმა უნდა, გარკვეული სხვაობებიც არსებობს, მაგრამ ისინი საკმარისი არ არის მეგრულისა და იმერულის (ქართლურის, კახურის...) თვისობრივი სხვაობის სამტკიცებლად; მით უმეტეს, როგორც აღინიშნა, არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული ენობრივ ცვლილებათა თუ თავისებურებათა (სისტემურ სხვაობათა!) ისეთი ზღვარი, რომლის შემდეგაც მონათესავე ენობრივ ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავებანი გადადის თვისობრივში; ასეთი ზღვარის დადგენა შეუძლებელია: დაკვირვება ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ენად სახელდებულ სისტემებს შორის არსებულ ლინგვისტურ სხვაობათა პროცენტული მაჩვენებელი შეუზღუდავად მერყეობს.

სოციოლინგვისტური (ფუნქციური) კრიტერიუმები:

დამწერლობის ქონა-არქონა; სტანდარტულობა, როგორც კრიტერიუმი.

მეცნიერთა ნაწილი ენისა და დიალექტის გასამიჯნავად მიიჩნევს დამწერლობისა და საყოველთაოდ გაზიარებული ნორმების ქონას; კერძოდ, ზოგი ავტორის აზრით, თუკი მოცემულ მეტყველებას აქვს სამწიგნობრო ტრადიცია და სპეციალისტთა მიერ დადგენილი ნორმები, ენაა, თუ მეტყველება უმწიგნობროა, ბუნებრივად ვითარდება (მისი განვითარება არ

ბრკოლდება მეცნიერთა მიერ დაკანონებული ხელოვნური ნორმებით) და მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციის საშუალებაა, მაშინ ის დიალექტად უნდა კვალიფიცირდეს...

ამგვარი მიდგომით მეტყველების სტატუსი ვერ დადგინდება, რამდენადაც, მსოფლიოში ბევრი ენაა, რომლის მფლობელ ხალხს არა აქვს სამწიგნობრო ტრადიცია და საქმისწარმოებისა თუ ლიტერატურული შემოქმედებისათვის მათთვის უცხო ენას იყენებენ; მაგ., ამერიკის ავტოქთონი მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეს ინგლისურს, ესპანურს, ფრანგულს ან პორტუგალიურს იყენებს. დამწერლობისა თუ ნორმირებულობის (სტანდარტულობის) მიხედვით შეუძლებელია უმწერლობო ენისა და დიალექტის გამიჯვნა²⁴.

დამწერლობის მქონე კონტინუუმი, როგორც წესი, ენადაა კვალიფიცირებული (შდრ., ერთი მხრივ, თანამედროვე მოლდავური ენა, მეორე მხრივ კი - იტალიური კილოები); შესაბამისად, პირველ რიგში, ერთმანეთთან მიმართებით ნათლად უნდა განესაზღვროთ უმწერლობო ენა და დიალექტი, ვინაიდან უმწერლობო ენობრივი ერთეული შეიძლება იყოს წერილობითი ტრადიციის არმქონე ენაც და დიალექტიც; შდრ.: დიალექტი არის მოცემული ერის/ნაციის საერთო-სახალხო (ოფიციალური) ენის განშტოება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილის მოსახლეობის ან რომელიმე სოციალური ფენის ზეპირი (არაოფიციალური) ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს. სხვა სიტყვებით:

კონკრეტული სამეტყველო ერთეული მსგავსი სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის დიალექტად ჩაითვლება, თუკი ამ სამეტყველო კოდის მფლობელ საზოგადოებას ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს მოცემული სამწიგნობრო ენის შექმნაში. შესაბამისად, უმწერლობო ენად უნდა მივიჩნიოთ ენობრივ-ეთნიკური ერთობის მქონე იმ საზოგადოების მეტყველება, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედების თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას. უმწერლობო ენა ზეპირი ფორმით (დიალექტების, კილოკავების, თქმების, ჟარგონების სახით...) არსებობს. დამწერლობის ქონა/არქონა ნამდვილად ვერ განსაზღვრავს ენის სტატუსს. შდრ., საბჭოთა პერიოდში გაბატონებული თვალსაზრისის მიხედვით, მეგრულ-ჭანური და სვანური უმწერლობო (უმწიგნობრო) ენებია.

ჩვენი აზრით, **მეგრულ-ჭანური და სვანური მეტყველებები ვერ ჩაითვლება უმწერლობო ენებად იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სამწიგნობრო ქართულის ამ სახესხვაობების მფლობელთ სულ მცირე 15-საუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიცია აქვთ საკუთარ დედაენაზე;** შესაბამისად, ტერმინი: „უმწერლობო დედაენა“ /უმწიგნობრო ენა/ შეურაცხმყოფელია 15-საუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურის მქონე ქართველების - იოვანე ლაზის, ჭყონდიდლების, მარტვილელი იოვანე მინჩხისა თუ იოვანე აფხაზის (მეგრელის) მშობლიური კუთხეების მცხოვრებთა - მშობლიური დიალექტისათვის, რამდენადაც, მათი ისტორიული სამწიგნობრო დედაენა ქართულია. ამ ისტორიული დედაენის კუთხური სახესხვაობებია ლაზურ-მეგრული თუ სვანური მეტყველების ვარიანტები: ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური... ბალსხემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური, ლაშხური, ჩოლურული.

ზოგი ფიქრობს, რომ ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართებით **ერთი და იმავე დონის** ტერმინით (დიალექტი) არ უნდა მოვიხსენიოთ, მაგ., იმერული და მეგრული. ვინც გულწრფელად ფიქრობ ასე, მათთვის გვაქვს მარტივი ამოცანა:

სამეცნიერო ველში არსებობს ორი დონის ცნება/ტერმინი: **ენა და კილო/დიალექტი**; ამ ცნებების შესაბამისად ორად დავაჯგუფოთ ქვემოთ ჩამოთვლილი ენობრივი ერთეულები: ქართული, იმერული, აჭარული, მეგრული, აფხაზური, ჩეჩნური, უკრაინული, რუსული, გერმანული, ბავარიული... უკამათოა, რომ **ქართულთან მიმართებით კილოებია მისი სახესხვაობები**: იმერული, აჭარული, ხოლო გერმანულის დიალექტია ბავარიული; შდრ., ყველა თვლის, რომ დამოუკიდებელი ენებია: **ქართულის მონათესავე: აფხაზური, ჩეჩნური და არამონათესავე: რუსული, უკრაინული, გერმანული.** წარმოდგენილი განაწილების ფონზე რომელი ტერმინის (ენის, კილოს) ჯგუფში უნდა მოვათავსოთ **ქართულის სახესხვაობა**

²⁴ტ. ფუტკარაძე. ქართველები. 2005, გვ. 64; ტ. ფუტკარაძე. თანამედროვე ქართველთა ენობრივ-ეთნიკური აღწერა „მსოფლიოს ენათა რეესტრის“ (inguarium.iling-ran.ru) მიხედვით და არსებული სინამდვილე- კრებული „საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა)“. ბათუმი, 2009; <http://www.scribd.com/doc/14098229/Putkaradze-Msoflios-EnaTa-Reestri-Da-Sakartvelo>; ტ. ფუტკარაძე. ქართველოლოგიის შესავალი. თბილისი, 2014; ტ. ფუტკარაძე. საქართველოს საფრთხეები და პერსპექტივები. <http://documents.tips/documents/-5572059f497959fc0b8b758a.html> (დამოწმებულია 15. 06. 2016).

მეგრული (რომელიც უფრო მეტადაა შეცვლილი, ვიდრე აჭარული): აჭარულ-იმერულის თუ გერმანულ-რუსულ-აფხაზურის?

ენისა და კილოს/დიალექტის გარდა მოცემული მეტყველების (კონტინუუმის, იდიომის) სტატუსის შესაფასებელი **სხვა ტერმინი არ არსებობს** (და არც არის საჭირო): საერთოქართველური ენის საფუძველზე შექმნილ **არქაულ სამწიგნობრო ენასთან მიმართებით დღეს არსებული ყველა ზეპირი ქართველური მეტყველება მეორეული წარმონაქმნია**; ეს კარგად ჩანს როგორც ფონოლოგიური, ასევე, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური ტრანსფორმაციების ისტორიიდან²⁵; გარდა ამისა, მრავალი საუკუნეა მეგრელებისათვის, როგორც სხვა ქართველებისათვის, შემოქმედებისა და საქმისწარმოების ენაა საერთოქართველურის უშუალო მემკვიდრე ენა - ქართული სალიტერატურო (სამწიგნობრო) ენა; გამომდინარე აქედან, ნაკლებლოგიკურია მეგრულის განხილვა მონათესავე აფხაზურისა თუ არამონათესავე რუსულის რანგში.

პრესტიჟულობა.

ზოგი მეტყველება განუენის მრავალფეროვნებით გამოირჩევა და მოცემული საზოგადოების დიდი ნაწილის სალაპარაკო ენაა, ზოგს კი მხოლოდ ერთი სოფელი მოიხმარს... ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ მეტყველებას, რომელსაც გამოყენების მაღალი ხარისხი აქვს, ენაა, ნაკლებად გამოყენებული კი - დიალექტი. პრესტიჟულობის მიხედვით მეტყველების სტატუსის განსაზღვრა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია შესაძლებელი /სხვა ფაქტორებთან ერთად/. ასეთი მიდგომით არასოდეს მომხდარა მსოფლიოში არსებული ენების სტატუსის განსაზღვრა. პრესტიჟულობის მიხედვით შეიძლება სამწიგნობრო ენისა და დიალექტის გამიჯვნა, მაგრამ შეუძლებელია უმწერლობო ენისა და დიალექტის გამიჯვნა.

სახელმწიფო ენის სტატუსი; რეესტრული კრიტერიუმი.

ზოგი თვლის, რომ თუკი მოცემული მეტყველება სახელმწიფო ენაა ან ამ ენობრივ ერთეულს აქვს რომელიმე რეგიონის/ავტონომიის ოფიციალური ენის სტატუსი, დამოუკიდებელი ენაა, ხოლო მეტყველება, რომელსაც არა აქვს სახელმწიფო/რეგიონული სტატუსი - დიალექტია, თუნდაც ის იყოს არამონათესავე ენა; მაგ., მ. ქურდიანის აზრით, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ქართული ენა თურქეთში თურქული ენის დიალექტია²⁶... კერძოდ, პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ საერთაშორისო სტანდარტებით და, სწორედ რომ **სოციოლინგვისტური პარამეტრების მიხედვით**, ქართული ენა თურქეთში არის არა თურქული ენის დიალექტი, არამედ - ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის ენა (ამჟამინდელი თურქეთის ართვინის გუბერნიაში).

უფრო საინტერესოა სხვა რიგის მაგალითი:

ხელისუფლების მიდგომის, ანუ ე. წ. რეესტრული კრიტერიუმის შედეგით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ კარპატულ-რუსინული მეტყველება უკრაინაში უკრაინულ დიალექტად მიიჩნევა, ხოლო სერბიაში - დამოუკიდებელ ენად, რამდენადაც სერბიის ერთ-ერთ მხარეში იგი მეორე სახელმწიფო ენაა (როგორც აფხაზურია მეორე სახელმწიფო ენა - აფხაზეთში).

ამჟამად, არც ე. წ. რეესტრული მიდგომაა გამართლებული, რამდენადაც მსოფლიოში ათასობით ენაა, სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთა რაოდენობა კი 300-ს არ აღემატება; თურქეთში ქართულის მსგავსად, სხვა სახელმწიფოებშიც ბევრი ენა არის მოცემული სახელმწიფოს ეთნიკური უმცირესობის ენა და არ აქვს რაიმე ოფიციალური ენის სტატუსი.

თვითშეფასებითი კრიტერიუმი (თვითიდენტიფიკაცია) - ენისა და დიალექტის სტატუსის განსაზღვრა თავად მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ; ამ კრიტერიუმს პლემბისციტურ კრიტერიუმსაც უწოდებენ. პ. ჰარმანი, პ. აუერი და სხვ. თვლიან, რომ ენობრივი ერთეულის სტატუსი მისმა მფლობელმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს. ადამიანების ენობრივი თუ ეთნიკური თვითაღქმა არსებითად განისაზღვრება მათი განათლების დონით. ენისა და დიალექტის სტატუსის განსაზღვრა თავად მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ ადეკვატურ შედეგებს მოგვცემს ახალშექმნილი მწიგნობრობის მქონე ან წერილობითი კულტურის არმქონე ენობრივი ერთეულის შემთხვევაში:

²⁵ამ თვალსაზრისით საინტერესოა არნოლდ ჩიქობავას მსჯელობა (1936, გვ. 205-206): „ჭანურისა და მეგრულის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ მოვლენათა ანალიზისას ცხადი და ხელშესახები ხდება ამ მოვლენათა ისტორიული წარსული და გენეტიური ურთიერთობა, როცა ამოსავლად გამოყენებულია ქართული ენა.“

²⁶იხ.: მაგ., მ. ქურდიანის ზემოთ დამოწმებული ნაშრომები.

წერილობითი კულტურის არმქონე ხალხის თვითაღქმა ხდება გაგებინების მიხედვით განსაზღვრული უმწერლობო ენის ფარგლებში (შდრ., ჩრდილოკავკასიური ენები). ამ კრიტერიუმს გადაულახავი პრობლემები შეექმნება ხანგრძლივი წერილობითი კულტურის მქონე საზოგადოების გამოკითხვისას, რადგანაც საზოგადოების განათლებული ფენისთვის თუ გასაგები და მშობლიური იქნება არქაული ენა და კულტურა, საზოგადოების გაუნათლებელი ფენისთვის ის უცხო აღმოჩნდება; მაგ., სალიტერატურო იაპონურის არმცოდნე გაუნათლებელმა ადამიანმა შეიძლება ჩათვალოს, რომ რადგან არ ესმის სალიტერატურო ენა, მისი დედაენაა ბავშვობიდან შეთვისებული დიალექტი; თუმცა, ასე არ იფიქრებს განათლებული იაპონელი. საქართველოში იშვიათია სალიტერატურო ქართულის არმცოდნე სვანი, მეგრელი თუ ხევსური, მაგრამ არიან ტაოელი, იმერხეველი, ფერეიდნელი ქართველები, რომელთაც არ ესმით ისტორიული დედაენა და მხოლოდ თავიანთ ქართულ დიალექტზე მეტყველებენ; ასეთი პირი თუკი ჩათვლის, რომ, რამდენადაც მას არ ესმის ქართული სალიტერატურო ენა, მათი დედაენაა მშობლიური კილო, ეს არ იქნება ისტორიული რეალობის ამსახველი; რეალობა ასეთია:

სვანიც, ხევსურიც, მეგრელიც, ტაოელი ქართველიც, იმერხეველიც, ფერეიდნელი ქართველიც, ინგილოც, საქართველოს ველში დარჩენილი ლაზებიც მრავალი საუკუნეა სხვა ქართველებთან ერთად ქმნიან ქართულ სალიტერატურო ენას, ამ ენაზე ქმნიან შედევრებს, ამ ენას იყენებენ სკოლაში, საქმისწარმოებში... შესაბამისად, მათი ისტორიული დედაენაა ქართული; კუთხური მეტყველება კი ბავშვობიდან შეთვისებული მშობლიური კილოა. ასე რომ, განათლების სიმწირის (ეროვნული კულტურისა და სამწიგნობრო ენის ვერფლობის) პირობებში, ადამიანთა ჯგუფი დედაენად თუკი ჩათვლის მშობლიურ კილოს, ამგვარი თვითიდენტიფიკაცია არ იქნება რეალობის ამსახველი: თვითმიკუთვნებულობის საფუძველი არგუმენტირებული შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საკუთარი ისტორიის მცოდნე განათლებულ საზოგადოებას; მაშასადამე, ენისა და დიალექტის გამიჯვნა შეუძლებელია ე. წ. პლებისციტური მეთოდით; სერიოზულად არც არავინ ცდილობს ამ კრიტერიუმის გამოყენებას. შდრ., როგორც წესი, ენობრივი თვითმიკუთვნება შედეგია ეროვნულ-ეთნიკური თვითმიკუთვნებისა²⁷.

გ. ბელმანის, ვ. კონიგის და სხვათა აზრით, დიალექტსა და ენას შორის ზღვარი ძნელი გასაგებებია; დიალექტიდან ენაში გადასვლა თავისუფლად ხდება.

ენისა და კილოს გასამიჯნ კრიტერიუმებზე მსჯელობის დასასრულს, კიდევ ერთხელ საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ თუ რომელიმე სპეციალისტი კრიტერიუმად აიღებს ბევრათშესატყვისობას, მისთვის მონათესავე ენობრივ ერთეულთა ენა-კილოებად კვალიფიკაცია, ბუნებრივია, სხვაგვარად მოხდება (მაგ., გერმანული ენის ბავარიული და მეკლენბურგული კილოები სხვადასხვა ენებად ჩაითვლება); თუ გაგებინებას აიღებს კრიტერიუმად, ბევრი ენობრივი ერთეულის სტატუსი გახდება გადასასინჯი (მაგ., არაბული კილოები: აღჟირული და ბუხარული, ქართველური კილოები: ინგილოური და გურული სხვადასხვა ენებად მისაჩინევი გახდება) და ა. შ. ბუნებრივია, ყველა მკვლევარს აქვს უფლება, აირჩიოს რომელიმე კრიტერიუმი, იმსჯელოს, მის მიხედვით გადააჯგუფოს ენები თუ კილოები (იხ., მაგ., გაგებინების მიხედვით, თ. გამყრელიძე სლავური ენების მხოლოდ სამ ზონას გამოყოფს; თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე. 2003, გვ. 616) და სამსჯელოდ გამოიტანოს, თუმცა ჩემი აზრით, კრიტერიუმის განსაზღვრა უფრო ლოგიკურია ენათა/კილოთა სტატუსის განსაზღვრის ისტორიის საფუძველზე. მსოფლიო ენების სტატუსის ისტორიაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ არსებული ენების სტატუსი, როგორც წესი, განსაზღვრულია ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-რელიგიური ნიშნის მიხედვით.

ეთნოკულტურული მიდგომა: ეთნოსს/ერს აქვს ენა, ეთნოსის/ერის ნაწილს - დიალექტი.

მოცემული საზოგადოების მონათესავე სამეტყველო კოდთა - ენობრივ ვარიანტთა - იერარქია თავისთავად რეგულირდება სამწიგნობრო ენის ისტორიასთან მიმართებით; კერძოდ, თუ მოცემულ ერს/ეთნოსს აქვს ტრადიციული სამწიგნობრო ენა, ამ ერის ცალკეულ თემთა საშინაო მეტყველებები დიალექტებია. მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ენა ერთად აყალიბებს ამ სამწიგნობრო კულტურის შემქმნელ მონათესავე საზოგადოებებს.

მსოფლიოს ენათა გენეალოგიურ სქემებშიც, თანამედროვე ეთნოლოგიურ ენციკლოპედიებშიც და ევროსაბჭოს დოკუმენტებშიც (მაგ., „რეგიონული ან უმცირესობის

²⁷ტ. ფუტკარაძე. ქართველები. 2005, გვ. 68-70.

ენათა ევროპულ ქარტიასში”) ენა ერის/ეთნოსის მეობის განმსაზღვრელადაა მიჩნეული. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა თ. შარაძენიძის მსჯელობა:

„მონათესავე კილოთაგან ან ერთი ენის დიფერენციაციით ახალი ენები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პროვინციები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდება და ამ ხალხებს შორის ერთიანობა გაწყდება“... კილოების ენებად ჩამოყალიბების „აუცილებელი პირობაა ერთი საზოგადოების ნაწილების ერთმანეთისგან მოწყვეტა“: იმისათვის, რომ ენის დიფერენციაცია განხორციელდეს, „აუცილებელია ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოება დაიშალოს და შეწყდეს ურთიერთობა გამოყოფილ ნაწილებს შორის“²⁸.

მსგავსია სხვა მეცნიერთა მსჯელობანიც; შდრ.: ჯორჯ აბრაჰამ გრიფონი, „ინდოეთის ენობრივი მიმოხილვა“²⁹, I, კალკუტა, 1927, გვ. 24: „საყოველთაოდ ცნობილია, რომ მავან ინგლისელ გლეხს სულ არ გაუჭირდება, გააგებინოს ჰოლანდიელებს თავისი ნაუბარი, ან გაიგოს მათიც, მაგრამ არავის შეუძლია უარყოს, რომ ჰოლანდიური და ინგლისური დამოუკიდებელი ენებია; ამასთან, ეს ფაქტორი განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება მაშინ, როდესაც თითოეული ერი დამოუკიდებლად ქმნის მწიგნობრობას. ამისი ბრწყინვალე მაგალითია ასამური – ეს მეტყველება დღეს ცალკე ენად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, სანამ მისი გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებანი საბოლოოდ არ ჩამოყალიბდება, ვერ უარყოფთ, რომ [ასამური] ბენგალურის კილოა – სხენებული მანგენებლების მიხედვით, ის ამ უკანასკნელი ენის სტანდარტულ ფორმას უახლოვდება ისევე, როგორც ქ. ჩიტაგონგის კილო; [მეორე მხრივ], უდავოა ისიც, რომ [ასამური] დამოუკიდებელი ერის მეტყველებაა, აქვს საკუთარი ისტორია და შესანიშნავი მწიგნობრობა, რომელიც განსხვავდება ბენგალურისგან როგორც სტანდარტით, ისე თვისობრივადაც. ესაა მაგალითი, როცა მომიჯნავე ენები სხვაობს არა ორმხრივი გაგებინების არარსებობის, არამედ ეროვნული თვითშეგნებისა და მწიგნობრობის მიხედვით“³⁰;

კაროლ დეინა, „რამდენი პოლონური კილო არსებობს ჩვენში“³¹, ვარშავა, 1968, (გვ. 39): „კილო განისაზღვრება არა მარტო დღევანდელ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, არამედ იმ არაენათმეცნიერული ფაქტორების (მაგალითად, უწინდელი ან ამჟამინდელი პოლიტიკური საზღვრები, ეროვნულ-თემობრივი დაყოფა, კულტურული ანდა გეოგრაფიული გარემო...) გათვალისწინებითაც, რომლებმაც იმთავითვე გადამწყვეტი როლი შეასრულეს მასზე მეტყველი ჯგუფის ჩამოყალიბებაში“³²;

მიქელე ლოპორკარო, „იტალიურ დიალექტთა ლინგვისტური პროფილი“³³, 2009 გვ. 3: „იტალიაში არავის დაუყენებია ეჭვქვეშ ის, რომ ენის სტატუსი აქვს ფლორენციულს (ანდა, შემდგომში – ფლორენციულს ბაზაზე შემუშავებულ იტალიურს), რომელიც ჯერ (უმეტესწილად) წერილობით იყო გავრცელებული ინტელექტუალურ წრეებში, მერე კი მაღალი (ოფიციალური, ფორმალური, სამწიგნობრო) მიზნებით გამოიყენებოდა და ბოლოს – XX საუკუნის II ნახევრიდან, გაფართოვდა, მოიცვა რა ყველა სოციალური ჯგუფი და იქცა ყოველდღიურ სამეტყველო ერთეულად. [ფლორენციულის] ასეთმა ცვლილებამ სპეციფიკური [ენობრივი] ვარიანტიდან ეროვნული ენის რანგამდე – რასაც თან სდევდა მუშაობა [ფლორენციულის] ნორმალიზაციისა და სტანდარტიზებისთვის – ავტომატურად

²⁸თ. შარაძენიძე, 1958, გვ. 42-45.

²⁹ „Linguistic Survey of India“.

³⁰ „it is said that some English peasants would in Holland little difficulty in making themselves understood, or in understanding what people say. Yet no one would deny that Dutch and English are distinct languages; and this factor is all the stronger when each nationality has developed an independent literature. There is an excellent illustration of this in Assamese. This form of speech is now admitted to be an independent language, - yet if merely its grammatical form and its vocabulary are considered, it would not be denied that it is a dialect of Bengali. It is certainly as closely related in these respects to the standard form of that language as is the dialect of Bengali spoken in Chittagong. Yet its claim to be considered as an independent language is incontestable. Not only is the speech of an independent nation, with a history of its own, but it has a fine literature, differing from that of Bengal both in its standard of speech, and its nature and content. Here, therefore, we have an example of a language differentiated from its neighbours not by mutual unintelligibility but by nationality and literature.“

³¹ Ile mamy dialektów polskich, Rozprawy Komisji Językowej ŁTN.

³² „Jak najogólniej i umownie pojmwane linie odgraniczające poszczególne obszary formowania się dialektów muszą być wypadkową z jednej strony dzisiejszych danych dialektograficznych, które trzeba dla tych celów czasem uogólniać, a nawet upraszczać, z drugiej zaś strony szeregu pozajęzykowych czynników, które warunkowały wytwarzanie się odrębnych ugrupowań ludnościowych, jak np. dawne plemiennie-szczepowe podziały, późniejsze administracyjne i polityczne granice, migracje ludności oraz fizjograficzne rozczłonkowanie kraju, odrębne warunki i powiązania gospodarcze, etnograficzne, kulturalne, cywilizacyjne itd.“

³³ Profilo linguistico dei dialetti italiani, romi, editori laterza.

ყველა სხვა მეტყველებანი მუნიციპალურ დიალექტებად განსაზღვრა³⁴ (ხაზგასმა ავტორისა).

„ენებისა და კილოების სტატუსის ისტორიის შესწავლა ცხადყოფს: როგორც წესი, კონკრეტული სამეტყველო ერთეული მონათესავე სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის ნაირსახეობად - **დიალექტად** - ითვლება, თუკი ამ სამეტყველო კოდის მფლობელ საზოგადოებას ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს მოცემული სამწიგნობრო ენის შექმნაში.

სამწიგნობრო ენა არის ოფიციალური ენა - ელიტარული მეტყველება (მაგ., სამეგრელოში „ჟინოსქუას“ ენა იყო სალიტერატურო ქართული), დიალექტი კი საშინაო ენაა; შესაბამისად, **უმწერლობო ენად** უნდა მივიჩნიოთ ენობრივ-ეთნიკური იდენტობის (მეობის, თვითობის) მქონე იმ საზოგადოების მეტყველება, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედების თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას. უმწერლობო ენა ზეპირი ფორმით (დიალექტების, კილოკავების, თქმების, ჟარგონების სახით...) არსებობს; მაგ., **მეგრულ-ჭანური და სვანური მეტყველებები ვერ ჩაითვლება უმწერლობო ენებად** იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ **სამწიგნობრო ქართულის ამ სახესხვაობების მფლობელთ** სულ მცირე 20-საუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიცია აქვთ საკუთარ დედაენაზე. ამ კონტექსტში აქტუალურია **არნოლდ ჩიქობავას მიდგომა**:

„გარდაუვალი წესია: ერთი თაობა მიდის, მეორე - მოდის... ხალხი კი უკვდავია. უკვდავია მისი ენაც, თუკი მას ხალხმა ზურგი არ შეაქცია; ენა თაობიდან თაობას გადაეცემა, და მისი წყალობით ეს თაობები ერთ ხალხად ითქმის: **ხალხის მეობას მისი ენა გვანიშნებს**“.

ტერმინი „ხალხი“ აქ ერის სინონიმია: **ერის მეობას დედაენა განსაზღვრავს**. დედაენა ენობრივი სოციუმის - **ერის** - თვისებაა (და არა - ინდივიდისა!); ენა ეროვნულობის დამცველი და შემნარჩუნებელია... ენა და ერი ერთმანეთს განსაზღვრავს (გ. რამიშვილი. 2000, გვ. 9, 70, 172).

ფაქტია: სულ მცირე 15 საუკუნეა ქართველურ სინამდვილეში ერთი სამწიგნობრო ენა - ქართული ენა - ფუნქციონირებს, რომელიც მომდინარეობს საერთოქართველური ენიდან და ყველა ქართველის საერთო დედაენაა; მაგ., სვანეთის მკვიდრი ქართველობისათვის **ქართული არის** წინაპრების მიერ შექმნილი დედაენაც (/ეროვნული ენაც), საეკლესიო ენაც, სალიტერატურო ენაც, სახელმწიფო ენაც; ხოლო, მაგ., ლაშხური ლაშხელისთვის მშობლიური კილოა.

სხვა ექსტრალინგვისტური კრიტიერიუმები.

ზემოთ განვიხილეთ **გაგებინების** კრიტიერიუმი. ექსტრალინგვისტურია, ასევე, რელიგიური და პოლიტიკური ფაქტორები.

ენის სტატუსის განსაზღვრა რელიგიური ნიშნით.

იშვიათად, რელიგიით განსხვავებული ერთი ეთნოსის სხვადასხვა თემი დამოუკიდებელ ეთნოსად იაზრებს თავს და, შესაბამისად, თავის კუთხურ მეტყველებასაც დამოუკიდებელ ენად აცხადებს; მაგ., ასეთი გზით დამოუკიდებელ ენებად მიიჩნევა: ბოსნიური - მუსლიმან სლავთა მეტყველება; სერბიული - მართლმადიდებელ სლავთა მეტყველება და ხორვატიული - კათოლიკე სლავთა მეტყველება (მონტენეგროულის გამოცალკეებას სხვა ფაქტორებიც განაპირობებს).

დასახელებული სლავური მეტყველებები ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებიან; შდრ., იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლამდე არსებობდა მხოლოდ ერთი ენა - სერბულ-ხორვატიული ენა. კომუნისტური იდეოლოგიის დამარცხების შემდეგ წინა პლანზე წამოვიდა რელიგიური იდენტობა, რამაც განაპირობა დიალექტების ენებად გამოცხადება თვით ამ დიალექტების მფლობელთა მიერ (შდრ., თვითიდენტიფიკაცია); ამას კი მოჰყვა ფედერაციის საბოლოო დაშლა და სერბ-ხორვატთა ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა.

³⁴ „Nessuno in Italia ha dubitato dello status di *lingua* del fiorentino (o, da allora in poi, italiano su base fiorentina), divenuto dapprima strumento di espressione (prevalentemente) scritta dei soli ceti intellettuali e per i soli usi alti (ufficiali, formali, letterari) ed infine estesosi, in fase postunitaria nel secondo Novecento, a tutte le fasce sociali come varietà dell'uso (anche orale) quotidiano. Questa ascesa di una specifica varietà al rango di lingua nazionale - ascesa accongnata da un'opera di normalizzazione e standardizzazione - ha relegato automaticamente al rango di *dialetti* municipali tutte le altre parlate“.

ენის სტატუსის განსაზღვრა პოლიტიკური საფუძვლით.

საბჭოთა რუსეთის იმპერიას იოლად რომ მოეხდინა რუმინეთის ნაწილის ანექსია, რუმინული ენის მოლდოვეურ დიალექტს ენის სტატუსი მიანიჭა, მოლდოვის მოსახლეობა კი დამოუკიდებელ ნაციად გამოაცხადა. დღესაც მეცნიერთა დიდი ნაწილი მოლდოვეურ მეტყველებას რუმინულის ენის კილოდ მიიხნევს, ერთი ნაწილი კი - საბჭოთა ინერციით დამოუკიდებელ ენად თვლის... მსგავსია აზერბაიჯანული ენის შექმნის „ისტორიაც“:

კავკასიის (ბაქოს ნავთობის) კონტროლის მოსურნე რუსეთის იმპერია დიდი ხანია ცდილობს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავრცელებული თურქული ენის დიალექტი აზერბაიჯანულ ენად გამოაცხადოს. „აზერბაიჯანული ენის“ შექმნის ასწლოვანი მცდელობის მიუხედავად, დღესაც კი აზერბაიჯანულ ენას ბევრი აზერბაიჯანულ თურქულს უწოდებს...

ნათელია, რომ ამგვარი მიდგომით არალოგიკურია ენისა და კილოს სტატუსის განსაზღვრა.

ამრიგად, კავკასიაში რუსეთის შემოსვლის შემდეგ (მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი) იწყება ქართველურ იდიომთა კვალიფიკაციის პოლიტიზება, კერძოდ, რუსეთის იმპერიის მესვეურნი ცდილობენ, ენობრივ-ეთნიკურად დაანაწევრონ ქართველი ერი და ამ მიზნით ქართველთა ნაწილს წარმოადგენენ უმწიგნობრო ენების მქონე ხალხებად - ქართველურ კილოთა ერთ ნაწილს აცხადებენ „უმწერლობო ენებად“.

სამეცნიერო ლიტერატურაში უმწიგნობრო ენისა და კილოს გამიჯვნა პრობლემურადაა მიჩნეული; დღემდე მიმდინარეობს სანდო კრიტერიუმის ძიება. არასანდოობის გამო თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში „ენისა“ და „დიალექტის“ გასამიჯნავ კრიტერიუმად არ ითვლება:

- გაგებინება /გაგებინება შეიძლება არ იყოს დიალექტებს შორისაც/;
- ბგერათშესატყვისობა /არის დიალექტებს შორისაც/;
- ენობრივი სისტემური მსგავსება-განსხვავება /არავის დაუდგენია ზღვარი, რამდენპროცენტიანი სხვაობა შეიძლება იყოს საკმარისი დიალექტების მონათესავე ენებად კვალიფიკაციისათვის/.

მსოფლიოში არსებული ენებისა თუ კილოების სტატუსის დადგენა უფრო ხდება სოციოლინგვისტური კრიტერიუმებით; კერძოდ, კრიტერიუმად გამოყენებულია:

- ეთნოკულტურულ იდენტობასთან მიმართება: ენა აქვს ეთნოსს, კილო - ეთნოსის ნაწილს;
- კოლიფიცირებულობა: დამწერლობის ქონა/არქონა;
- სტანდარტულობა/ნორმირებულობა;
- პრესტიჟულობა;
- პოლიტიკური მიდგომა;
- რელიგიური იდენტობა;
- სახელმწიფო ენის სტატუსი...

ამათგან მეტყველების სტატუსის განსაზღვრავად ყველაზე უფრო სანდო ჩანს მოცემული საზოგადოების ენის მიმართება ეთნოკულტურულ იდენტობასთან: **ენა აქვს ერს, დიალექტი კი - ერის ნაწილს;** რაც მთავარია, ენებისა და კილოების სტატუსის ისტორიის შესწავლა ცხადყოფს:

როგორც წესი, კონკრეტული სამეცნიერო ერთეული მსგავსი სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამწიგნობრო (/სტანდარტული) ენის ნაირსახეობად - დიალექტად - ითვლება, **თუკი ამ სამეცნიერო ერთეულის მფლობელ საზოგადოებას ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს მოცემული სამწიგნობრო (/სტანდარტული) ენის შექმნაში.** მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ენა უმთავრესი ფაქტორია ამ სამწიგნობრო კულტურის შექმნელი მონათესავე საზოგადოებების ერთიან ერად ჩამოყალიბების პროცესში.

Tariel Putkaradze

**Retrospect of Language and Dialect Distinction Criteria and
Politicizing Qualification of Kartvelian Idioms**

Summary

After the entry of Russia into Caucasus (first half of the 19th century) starts the politicizing process of Kartvelian idioms, namely, Russian leaders try to separate Georgian nation linguistically and ethnically and they represent part of Georgians as people who speak the language without a script. Declaring dialects as languages without script give advantage to those who support the minority languages.

Distinguishing language from dialect is regarded as a problematic issue in the scientific literature; the process of searching for reliable criteria is still actual. The following criteria are not considered to be reliable in distinguishing ‘language’ from ‘dialect’:

- Understanding /it might be impossible to understand dialects/;
- Relevance of sounds /does not exist among dialects/;
- Linguistic and systematic Similarity and difference /no limit has been set so far to the percentage of difference that enables the dialects to be qualified as related languages/.

Distinguishing world languages from the dialects is mainly possible by the so-called sociolinguistic criteria; namely, there are the following criteria:

- Relevance to ethno-cultural identity: language has ethnos, dialect is a part of the ethnos;
- Codification; non/existence of script;
- Prestige;
- Political approach;
- Religious identity;
- Status of the state language...

The most reliable criterion of all is regarded to be defining the status of the speech in relevance to ethnocultural identity: namely, studying the history of languages and dialects reveal the following: as a rule, a specific speech unit is considered to be a variant – dialect – of the official, literary (standard) language if the society who speaks this speech code has been historically involved in creation of the literary language.

მშობლიური ენის სწავლების პრობლემები თანამედროვე ბანათლების კონტექსტში

უცხო ენათა და მშობლიური ენის მიმართების საკითხი მრავალი კუთხითაა საინტერესო. ერთი მხრივ, უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში უცხო ენის ცოდნის (ამ ეტაპზე ეს უცხო ენა ინგლისურია) გარეშე ადამიანი თავს ძნელად გაიტანს; მეორე მხრივ, უცხო ენის შესწავლა, როგორც უაღრესად შრომატევადი და ხანგრძლივი საქმე (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს რეალობაში ეს ასეა) მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ადამიანის შემოქმედებით ცხოვრებაში და ეს ადგილი ხშირად პიროვნებისთვის არანაკლებ სასიცოცხლო მნიშვნელობის სხვა კომპეტენციების „ვერმიდების“ ხარჯზე ივსება. არსებობს მესამე მხარეც, რომელიც ჩვენთვის ამჯერად უფრო საინტერესოა: ცვლის თუ არა უცხო ენის შესწავლის თანმხლები ინფორმაციები პიროვნების ცნობიერებასა და მსოფლმხედველობას.

დასახელებულ მხარეთა შესაფასებლად საჭიროა რამდენიმე პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტა:

რა დროს და რა ასაკიდან აჯობებს უცხო ენის შესწავლა; რა ინტენსივობით უნდა ისწავლებოდეს უცხო ენა; რა დრო უნდა დაეთმოს ამ საქმეს, რა ენობრივ-შემეცნებით ცოდნას უნდა ფლობდეს ადამიანი უცხო ენის შესწავლის დაწყებამდე; აქვს თუ არა მნიშვნელობა მოტივაციას, რომლის საფუძველზეც ხდება შესასწავლი ენის არჩევა და შესწავლის სტიმულაცია; რა საშუალებებით ხდება მშობლიური ენის ცოდნისა და მშობლიურ ენაზე აზროვნების დაცვა-განვითარება უცხო ენის ინტენსიური შესწავლის ვითარებაში. რა სოციოლინგვისტური, ფსიქიკური და იდენტობისეული ცვლილებები შეიძლება ახლდეს უცხო ენის გადაჭარბებულ შეფასებას? ამ კითხვებზე პასუხები ძირითადად არაერთგვაროვანია და სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორითაა განპირობებული. რაც ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს (საგანმანათლებლო სისტემის) მიერ უცხო ენათა სწავლების პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ამ სფეროში არსებული ისტორიული გამოცდილება და თანამედროვეობის გამოწვევებიც.

ეროვნული ენების მიმართ თანამედროვეობის გამოწვევათა შეფასებისას უნდა დავახუსტოთ რამდენიმე, უთუოდ გასათვალისწინებელი, საკითხი:

– უცხო ენათა შესწავლა და წარმატებით ფლობა არავითარ შემთხვევაში არ აყენებს ზიანს მშობლიურ ენას, მისი ნორმებისა და ლექსიკურ-გრამატიკული პოტენციალის ცოდნას;

– უცხო ენათა (ენის) გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობებში აუცილებელია თანამედროვე გლობალური მსოფლიოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა სივრცეში დაუბრკოლებელი მოძრაობისთვის.

მხოლოდ ამ ორი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი რეპლიკის შემდეგ შეიძლება გადავიდეთ ისეთ საკითხზე, როგორცაა თანამედროვეობის „გამოწვევები“ ქართული ენის მიმართ.

დავიწყოთ იმით, რომ მსოფლიოს ქართული ენა არ „გამოუწვევია“, თანამედროვე საქართველოს ენობრივმა პოლიტიკამ ჩაიყენა თავი „გამოწვეულის“ მდგომარეობაში, როდესაც უცხო ენათა შესწავლის გააქტიურების პარალელურად ქართული ენის დამცრობისა და დაუცველობის გზას დაადგა.

კერძოდ:

1. სწორედ მაშინ, როდესაც საყოველთაოდ შესასწავლი რუსულის ნაცვლად საყოველთაოდ შესასწავლ ინგლისურზე გადავდით, ქართული ენის გრამატიკა, როგორც საგანი, გავიდა საშუალო სკოლებიდან; იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ენა უკიდურესად განსხვავდება ყველა იმ ენისაგან, რომელთანაც მას უწევს ურთიერთობა, ოდენ უცხო ენის გრამატიკული სისტემის აღწერა-დამახსოვრება ქართული ენის თავისებურებათა ვერგაგებისა და სხვადასხვა ტიპის გრამატიკული შეცდომის დაშვების მიზეზი ხდება. როგორც მასწავლებლები ჩივიან, რომ მოსწავლისათვის იმის ასახსნელად, თუ რა შემთხვევაში ვიყენებთ, მაგალითად, „წაეკითხა“, აეშენებინა“ ფორმებს, იძულებული ხდებიან ინგლისურის გრამატიკა (როგორც ერთადერთი ნაცნობი გრამატიკა) მოიშველიონ, რადგან ქართული ენის გრამატიკაში მოსწავლეს ცოდნა არა აქვს;

2. როდესაც განათლების სისტემამ მოსწავლის მიერ დასაზღვირებელი უცხოენოვანი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის, წესიერ და არაწესიერ ზმნათა ფორმების, დარგობრივი ინგლისური ლექსიკის დამახსოვრების ამოცანა დაისახა მიზნად, სწორედ მაშინ ქართული ლიტერატურული მასალის საუკეთესო ნიმუშთა ზეპირად დამახსოვრების ზედმეტობაზე ალაპარაკდნენ ჩინოვნიკები; თითქოს მოსწავლის მიერ ზეპირად დასამახსოვრებელი უამრავი მასალიდან (მენდელეევის პერიოდული სისტემა, ფიზიკის კანონები, მათემატიკური ფორმულები, ანატომია-ფიზიოლოგიის თავისებურებები, გეოგრაფიული რუკები თუ ისტორიული თარიღები (მათ შორის, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარსულიდან და აწმყოდან)) მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ან ვაჟას პოეზიის სტროფები ტვირთავს ფუჭად ბავშვის გონებას;

3. სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის გამოხატულებაა ოფიციალური და სარეკლამო წარწერები მთელ საქართველოში, რომლებშიც ნეონური შუქით განათებულ ლათინურ ანბანს დარიბი ნათესავივით ალაგ-ალაგ ემეზობლება მბჟუტავი ქართული ანბანი, როგორც უსიყვარულოდ მიტოვებული ობოლი;

4. ნებისმიერ სამსახურსა და უწყებაში ინგლისურის ცოდნის შემოწმება ხდება ტესტირებით, გასაუბრებით, მკაცრი შერჩევით, ხოლო ქართული ენის ცოდნის ხარისხი საზომად თვით პედაგოგებისა და ჟურნალისტების სამსახურში მიღებისასაც კი არ მოწმდება;

5. კერძო სკოლები და უნივერსიტეტები არამცთუ არ ესწრაფვიან ქართული ენის პროპაგანდირებას, არამედ მოსწავლეთა (სტუდენტთა) კონტინგენტის მისაზიდად ხაზგასმით აცხადებენ, რა საგნები იკითხება მათთან ოდენ უცხო ენებზე და რამდენი უცხოელი თანამშრომლობს მათთან;

6. ცხადია, ენის შესწავლა ამ ენის პატრონი ერის (ეთნოსის) ისტორიისა და კულტურის შესწავლასაც გულისხმობს; მოგეხსენებათ, ყველა კულტურას, მით უფრო ისეთს, რომელსაც გავლენის სფეროთა გაფართოებაზე აქვს პრეტენზია, თავისი საუკეთესო მხარეების ჩვენების დიდი პრაქტიკა აქვს; ამ ღირსებათა შესწავლა ჩვენთვისაც ძალიან სასარგებლოა, მაგრამ ამის პარალელურად არ უნდა ხდებოდეს საკუთარი ერისა და კულტურის მიმართ ნიჰილიზმის დამკვიდრება (რაც ბოლო ხანებში გაუმართლებელ ნორმად იქცა ჩვენს მედიასა და სასწავლო-შემეცნებით ცხოვრებაში); როგორც კი ვინმეს მოჭარბებულ მამულიშვილობას ან ქართული ფასეულობების მკაფიო სიყვარულს შეატყობენ, უმალ „ვაიპატრიოტიზმად“ და დღეს ესოდენ საძრახის „ნაციონალიზმად“ გამოუცხადებენ; მერე და ვინ? სახელისუფლებო, სამეცნიერო-კულტურული და „უფლებათა მოყვარული“ საზოგადოებების წარმომადგენლები; იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენს ახალგაზრდობას საქართველოსთვის კი არ ვამზადებთ, არამედ უცხო ქვეყნებში სამოდვაწეოდ ვაწვდით ცოდნას და ვაქეზებთ კიდევ, აქ ნუ დარჩებით, სხვაგან ყველაფერი უკეთესიაო; აქედან მოდის კიდევ ქართულის მიმართ გულის აცრუება; ხოლო თუ ქართველს აღარ ეჩვენება საჭიროდ ქართული ენის ცოდნა და დაცვა, რას ვთხოვთ ჩვენს

არაქართულენოვან თანამოქალაქეებს, რომელთა ქართულის მიმართ გულგრილობის ხარჯზეც ჩვენმა მოქნილ-მოხერხებულმა თანამემამულეებმა შეიძლება მსუყე გრანტებსაც გამოჰკრან ხელი;

7. ქართული ენის ცოდნის ხარისხი სკოლაში ძალიან დაბალია; ნუ ვიტყვით, რომ სტატისტიკის თანახმად, ჩვენი აბიტურიენტები მაღალ ქულებს იღებენ ე. წ. ეროვნულ გამოცდებზე; თუ გავიხსენებთ, რაოდენ უმნიშვნელო ცოდნა მოეთხოვებათ ახალგაზრდებს ამ გამოცდებზე (ქართულ ენასა და ლიტერატურაში) და იმას, რომ ლიტერატურული მსჯელობა (იქ, სადაც ლიტერატურაც ბარდება, ანუ მთელ რიგ სპეციალობებში ქართული ლიტერატურის ცოდნა საჭირო ისედაც აღარაა) მხოლოდ 500 სიტყვიან ესეს მოითხოვს, გასაკვირი არაა, რომ სტუდენტი საგნობრივი გამოცდის ჩაბარების დროს ისევ გვეკითხება, რამდენ სიტყვიანი უნდა იყოს მისი პასუხი.

რამ გამოიწვია ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართ ასეთი ერთსულოვანი გაგულგრილება და ხაზგასმული ანტიპათია სწორედ იმ წრეებში, რომლებიც ფორმალურად სწორედ საქართველოსთვის სამსახურში იღებენ ხელფასს? მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი უახლოესი წარსული განათლების სფეროში უამრავ დაწუნებულ მინისტრს მოითვლის, არც ერთი არ დაუწუნიათ ეროვნული საგნების მიმართ დაშვებული შეცდომების გამო. საზოგადოებისთვის საიდუმლოდ დარჩა იმ რეფორმატორთა სახელები და არგუმენტები, რომელთაც და რითაც ქართული ენა, როგორც საგანი, ჩამოშორდა სკოლას, ვინ მოიფიქრა, რომ ქართული ენისა და კულტურის პროპაგანდირება არ არის აქტუალური დღევანდელი საქართველოს მოსახლეობისათვის; ვინ გადაწყვიტა, რომ ჩვენი ახალგაზრდობის უსაზღვრო სურვილი საქართველოდან წასვლისა და სხვა ქვეყნებში სწავლა-მუშაობისა არ ითხოვს აქ, შინ, ისეთი სწავლების დონისა და სამუშაო პირობების შექმნას, ჩვენს ახალგაზრდებს რომ სამშობლოში დარჩენას მოანდომებს?

როდესაც ამ კითხვებზე პასუხის მიღებას ვცდილობთ, გვეუბნებიან, რომ ბოლონიის პროცესის თანახმად აწყობილი (თუ მოწყობილი) სასწავლო სისტემა დროს არ ტოვებს ეროვნული საგნებისათვის. ამიტომაცაა, რომ „ქართული ენა“ ჩაანაცვლა „აკადემიურმა წერამ“, რომელსაც ზოგ უნივერსიტეტში საერთოდ ფილოლოგიური განათლების არმქონე ადამიანებიც კი ასწავლიან; ხოლო სალექციო საგნების ნომინალიზაციამ სწავლების სისტემიდან გაიტანა ფილოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო-საგადასმული დისციპლინების მთელი სემესტრები. თუ ჩვენს განმანათლებლებს სურთ ქართული თვითობის (იდენტობის) ჩანერგვა საშუალო და უმაღლეს სკოლებში, მაგრამ მთავარი დამნაშავე ბოლონიის პროცესია, მაშინ რად გვინდა ასეთი პროცესი, ხოლო თუ ბოლონიის პროცესი ოდენ საბაბია საკუთარი უპასუხისმგებლობის გასამართლებლად მოხმობილი, მაშინ ვიდაცამ მაინც აგვიხსნას, რატომ ვერ მოიპოვება განათლების მართვის სფეროში სახელმწიფოებრივად და ეროვნულად მოაზროვნე ადამიანები.

რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ ბოლონიის პროცესსაც. ბოლონიის პროცესის ღირსება-ნაკლოვანებათა შესწავლა ფაქტობრივ ამ პროცესის პრაქტიკაში დანერგვის პარალელურად მიმდინარეობდა (და მიმდინარეობს დღესაც); თითქმის ყველა სპეციალისტი აღნიშნავს, რომ პროცესი გლობალიზაციის შეუქცევადობის წიაღში იშვა, და გლობალიზაციის ერთ-ერთ დადებით ასპექტს განასახიერებს. თუმცა ბოლო ხანებში თანდათან იმატა კრიტიკამაც.

ჯერჯერობით ჭარბობს იმ მოსაზრებათა რიცხვი, რომლის მიხედვითაც ბოლონიის პროცესი გარდაუვალი შედეგია გლობალიზაციისა და, როგორც ფაქტი, შეიცავს დადებით მომენტებსაც; აქედან მთავარი ისაა, რომ ბოლონიის პროცესი იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მას შეუერთდნენ, საერთაშორისო ცოდნისა და საგანმანათლებლო მიღწევათა გათვალისწინების გზაა¹. ამ თემას უკვე უამრავი კვლევა და მონიტორინგული ტიპის

¹ ИМПЕРАТИВЫ ИНТЕРНАЦИОНАЛИЗАЦИИ, МОСКВА • 2013 • ЛОГОС, Ответственные редакторы: Проф., М.В. Ларионова, О. В. Перфильева, стр. 420.

ანგარიში მიეძღვნა. ბოლონის პროცესთან დაკავშირებული მასალის სამეცნიერო დამუშავება და მოწესრიგება, უდავოდ, ძალიან საინტერესო იქნება არა მხოლოდ ბოლონის პროცესის შეფასების, არამედ სამომავლოდ მისი მსგავსი და მისი ჩამნაცვლებელი პროცესების დაგეგმარება-განხორციელებისას. ამგვარი სამუშაო, ალბათ, ჩასატარებელია ჩვენშიც, რადგან უკვე დაგროვდა საკუთარი ემპირიული მასალა დაკვირვებისა და ანალიზისათვის. თუმცა ძნელი სათქმელია, რა სპეციალობის წარმომადგენელი უნდა იყოს მეცნიერი, რომელიც ამ თემის ყოვლისმომცველ შესწავლას შეძლებს.

თანამედროვე განათლების უნივერსალური პროცესის შესაფასებლად სპეციალისტები მსჯელობას თავად გლობალიზაცია-ინტერნაციონალიზაციის შეფასებით იწყებენ. ვფიქრობთ, ამ საკითხისადმი რამდენიმე თვალსაზრისის განხილვაც საკმარისი იქნება მსჯელობის სტილისა და ძირითადი მიდგომების საჩვენებლად. ამ კუთხით ძალიან საინტერესოა კრებული – **ИМПЕРАТИВЫ ИНТЕРНАЦИОНАЛИЗАЦИИ**², რომელიც განათლების გლობალიზაციის პრობლემატიკას ეხება.

ჩვენი კვლევის ფარგლებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: წიგნის მეორე თავი უკვე ბრანდენბურგის³ ავტორობით „მეგობარი თუ მტერი? მითი „კარგი“ ინტერნაციონალიზაციისა და „ცუდი“ გლობალიზაციის შესახებ.“ და მესამე თავი – ჯეინ ნაიტის ავტორობით, „ინტერნაციონალიზმის განვითარება და გაუთვალისწინებელი შედეგები“. ამ სტატიებში გამოთქმულია აზრი, რომ თუკი ჩვენ ასე თუ ისე ვახერხებთ ინტერნაციონალიზაციის კონტროლს, სამაგიეროდ გლობალიზაცია თავად გვაკონტროლებს. უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია, რომელიც დღევანდელი მსოფლიოს განუყოფელი ნაწილი გახდა, მრავალი კუთხით ცვლის უნივერსიტეტების საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულ საქმიანობას და აიძულებს მათ, შექმნან ახალი წესრიგი; ეს კი გამოწვევაა უნივერსიტეტისა და სახელმწიფოსათვის.

„უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ცნება“ წარმოიშვა გასული საუკუნის 90-იან წლებში, და თუმცა ე. წ. საერთაშორისო განათლების იდეები (კლასიკური იდეები) ადრეც არსებობდა, ისინი თვისობრივად სრულიად განსხვავდებოდნენ დღევანდელი „ინტერნაციონალიზაციისაგან“; მაგ., ის გულისხმობდა მობილურობას (mobility), უცხოეთში სწავლას (study abroad), საერთაშორისო გაცვლებს (international exchanges), უცხოელი სტუდენტების (international student recruitment) ან პედაგოგების (faculty mobility) მოზიდვას, სამშვიდობო განათლებას (peace education), საერთაშორისო კვლევებს (international studies), მულტიკულტურულ განათლებას (multicultural education), რეგიონმცოდნეობას (area studies)... წინა საუკუნის საგანმანათლებლო ტენდენციები მრავალ მონოგრაფიასა და პერიოდულ გამოცემაში განიხილებოდა. ამ მხრივ, საყურადღებოა 1997 წელს დაარსებული საერთაშორისო-საგანმანათლებლო ჟურნალი *Journal of Studies in International Education*, რომლის ცვლილების მოულოდნელობა: როგორ მოხდა ფურცლებიდანაც აშკარად ჩანს განათლების სისტემაში რადიკალური ტრადიციული საერთაშორისო განათლების ინტერნაციონალიზებული განათლებით ჩანაცვლების ფაქტი. ამ ტერმინთა მონაცვლეობამ მეოცე საუკუნის უკვე 70-80-იან წლებში იჩინა თავი. ჯეინ ნაიტი აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალიზაციაში იგულისხმება უმაღლესი განათლების პროცესის მიზნებში, ფუნქციებსა და პროცესებში საერთაშორისო, კულტურათაშორისი და გლობალური განზომილებების ჩანერგვა. თუმცა უფრო ხშირად მარტო ტერმინები იცვლებოდა და არა პრაქტიკა. ჩნდებოდა უცხოური უნივერსიტეტების ფილიალები სხვადასხვა ქვეყანაში, გაიზარდა კონკურენცია, განათლებაც მოჰყვა მსოფლიო ეკონომიკური ბაზრის სისტემაში (მაგ. ავსტრალიამ დაიწყო საგანმანათლებლო სერვისის შეთავაზება მსოფლიო

²ИМПЕРАТИВЫ ИНТЕРНАЦИОНАЛИЗАЦИИ, МОСКВА • 2013 • ЛОГОС, Ответственные редакторы: Проф., М.В. Ларионова, О. В. Перфильева, стр. 420.

³ უკვე ბრანდენბურგი თერთმეტი წელიწადის მანძილზე ხელმძღვანელობდა საერთაშორისო განყოფილებას, აქედან რვა წელი – ბერლინის ჰუმბოლტის სახელობის უნივერსიტეტში.

ბაზრისათვის. გაჩნდნენ საერთაშორისო აგენტები უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად. ეს საკითხები დღეს ყველა ფორუმის (საგანმანათლებლო, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული) განსჯის საგანია. ამ დისკუსიათა საფუძვლის ჩაყრა ბრანდერბურგსა და დე ვიტს უკავშირდება, მათ საყოველთაოდ ცნობილ ნაშრომში: „ინტერნაციონალიზაციის დასასრული“ (The End of Internationalization, რომელიც პირობითად ასე ითარგმნა რუსულად „Закат интернационализации“) აღნიშნულია, რომ განათლების ინტერნაციონალიზაციის მიზანი იყო „განათლების პირობებისა და შედეგების პოლიტიკიდან შორეული შედეგებისა და განპირობებულობის პოლიტიკაზე გადასვლა (Outcomes and Impacts Approach), გლობალიზაციამ კი მოიტანა ფსევდოშედეგები და თავმოქმედება იმით, რომ: სულ უფრო იზრდება საზღვარგარეთ მიმავალი, ან უცხოეთიდან შემოსული სტუდენტების რაოდენობა; სულ უფრო მრავლდება ინგლისურად წაკითხული კურსების რიცხვი და სულ უფრო ხშირად კეთდება აბსტრაქტული განცხადებები იმის შესახებ, რომ სტუდენტები გარდაიქმნებიან მსოფლიო მოქალაქეებად.“ (ИМПЕРАТИВЫ ИНТЕРНАЦИОНАЛИЗАЦИИ, 55-56).

ბრიტანეთის საბჭოს ინიციატივით, 2012 წლის მარტის კონფერენცია „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისაკენ“ და უნივერსიტეტთა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური კონფერენცია, რომელიც პუერტორიკოში გაიმართა 2012 წლის ნოემბერში, პრინციპულად აღაპარაკდა განათლების ინტერნაციონალიზაციის ადრე აღებული გეზის გამრუდებაზე; დე ვიტმა სადისკუსიოდ გამოიტანა 8 მიზეზი, რომლის საფუძველზეც აუცილებელია გადაისინჯოს განათლების ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე მოდელი, აქედან დავასახელებთ რამდენიმეს:

1. განათლების ინტერნაციონალიზაციის თემაზე დისკუსიებში ძირითადად არ აისახება უმაღლესი სასწავლებლების რეალური ვითარება; მათ უმრავლესობაში ინტერნაციონალიზაცია ფრაგმენტული ხასიათისაა;
2. გლობალიზაციით გამოწვეული უმაღლესი სასწავლებლების კომერციალიზაცია იწვევს ახალი ფორმების წარმოშობას მომმარაგებლებისა და პროდუქციის მიწოდების სფეროში (სადაც პროდუქტიც ადამიანია (სტუდენტი));
3. საერთაშორისო უმაღლესი განათლების კონტექსტი უსწრაფესად იცვლება; ადრე განათლების ინტერნაციონალიზაცია მარტო ევროპას ფარავდა, ახლა ყველა ჩაება, და ამან არსებითად შეცვალა დასავლური მოდელი.

ჯეინ ნაიტის ანალიზით, უმაღლესი სასწავლებლისათვის საერთაშორისო აღიარების მოპოვება ხდება წარმატებული მარკეტინგული კამპანიით (რაც გულისხმობს ამ უნივერსიტეტის ჩაბმას საერთაშორისო პროგრამებსა და აქტივობებში (მიუხედავად ამ აქტივობათა ხარისხისა და საჭიროებისა) და არა საგანმანათლებლო დამსახურებებით; ანუ მოხდა არა განათლების ინტერნაციონალიზაცია, არამედ განათლების კომერციალიზაცია.

აკრედიტაციის ინტერნაციონალიზაცია და კომერციალიზაცია საბაზრო ეკონომიკის შედეგია, რადგან სასწავლებლები ძალიან დიდ თანხებს დებენ იმ კრიტერიუმების დაკმაყოფილებაში, რაც აკრედიტაციის ნორმებშია შეტანილი; ამის გამო კი ეკონომიას ეწვეიან თავად საგანმანათლებლო დონის უზრუნველყოფაში; აკრედიტაცია ამ საბაზრო ურთიერთობათა ნაწილია, მისი მეშვეობით მომავალ სტუდენტებს არწმუნებენ სასწავლებლის მნიშვნელობასა და იქ მოსახვედრად ხარჯების გაღების აუცილებლობაში; ამ შემთხვევაში ხშირად მუშაობს ე. წ. ჩრდილოვანი აკრედიტაციის სამსახური, რომელიც ყალბ დოკუმენტებს გასცემს და, თუკი სასწავლებელი სხვა ქვეყანაშია, აბიტურიენტმა, შესაძლოა, ვერც გამოიცნოს ეს სიყალბე. კომერციის წყაროდ იქცა ე. წ. ორმაგი დიპლომებიც; ნაიტის სტატიაში მოხმობილია მნიშვნელოვანი სტატისტიკაც: 95 ქვეყნის გამოკითხული უნივერსიტეტების 96% განათლების ინტერნაციონალიზაციას დადებით შეფასებას აძლევს, მაგრამ მათი 70% მიიჩნევს, რომ ამ პროცესს მნიშვნელოვანი რისკები ახლავს.

- აფრიკის, აზიის წყნარი ოკეანისპირეთის, ევროპისა და ჩრდ. ამერიკის უნივერსიტეტები კომერციალიზაციას განათლების ხარისხისათვის უმთავრეს რისკად მიიჩნევენ;
- ლათინური ამერიკის უმაღლესი სასწავლებლები მთავარ რისკს „ინტელექტის გადინებაში“ ხედავენ;
- ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის რისკი კულტურული იდენტობის დაკარგვაშია.

„მომსახურებით“ ვაჭრობის სფეროს გენერალური შეთანხმების საფუძველზე უმაღლესი განათლება, რომელიც ტრადიციული გაგებით იყო „საზოგადოებრივი სიკეთე“ და „სოციალური პასუხისმგებლობა“, ამიერიდან გადაიქცა ვაჭრობის საგნად, და ამ ხელშეკრულების ტერმინოლოგიით, „გაყიდვად მომსახურეობად“. ადრე უმაღლესი სასწავლებელი აერთიანებდა სწავლებასა და კვლევას, როგორც ერთმანეთის განმაპირობებელ ფაქტორებს, ახლა ეს ორი ასპექტი სხვადასხვა სავაჭრო სექტორში მოხვდა.

როგორც ვხედავთ, ბოლონის პროცესის სახელით მიმდინარე განათლების ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე, გლობალიზაციით გამოწვეული ეტაპი უკვე მრავალი სპეციალისტის მიერ შეფასდა კრიტიკულად, ჩვენც ამ კრიტიკულ ნაწილს ვუერთდებით, განსაკუთრებით კი იმ მსჯელობაში, რომ სწავლის ბაზარზე სტუდენტთა, როგორც მყიდველთა, მოსახიდად სკოლები და უნივერსიტეტები სწავლის დონის დაწვეის გზით თავის პროდუქტს უფრო მისაწვდომს და ამით მიმზიდველს ხდიან; ცხადია, ამ პროცესში მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგები და მკვლევრები აუცილებლობას აღარ წარმოადგენენ; „კვლევის შემძენი“ სხვა ბაზრის წარმომადგენელია, ცოდნის შემძენს კი სააკრედიტაციო ეფექტები ახვევს თავბრუს. ბოლონის პროცესის კრიტიკაში ეროვნული ენების ინტერესთა უგულვებელყოფაზეც საუბრობენ, რადგან სასწავლო ტრანსფერის კომერციალიზაცია (მგზავრობები, ენის კურსები, ენობრივი სერტიფიკაცია, ფულის მოძრაობა, დაბინავებისა და ადაპტაციის ხარჯები, სტუდენტური მუშახელის მართვა, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში გათქვეფილი ცოდნა-უნარები და კვალიფიკაცია სამუშაო ადგილის გათვალისწინების გარეშე) ბევრისთვისაა სარფიანი საქმე და ხელსაყრელი ეკონომიკური თვალსაზრისით. ეს ლოგიკა ჩვენთვის უთუოდ საგულისხმოა, რადგან ბოლონის პროცესის ავ-კარგზე მსჯელობისას, ჩვენ საკუთარი პრობლემები გვაქვს შესაფასებელი, და ამ პრობლემათაგან ქართული ენისა და ქართული იდენტობის შენარჩუნებისათვის სავალდებულო დისციპლინათა სწავლება სახელმწიფო დონეზე უნდა იქნეს აყვანილი... რაც შეეხება ბაზარს, ბაზარიც სახელმწიფოს ნაწილია, სულ ერთია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი იყიდება იქ, თუ ცოდნა. თუ ჩვენი განათლების სისტემა ვაჭრობის გარეშე ვერ გაძლებს, მაშინ საუკეთესო მარკეტინგს მაინც მიმართოს⁴.

უცხო ენის იდეალიზაციასა და გაუცხოებულ სწავლებას საქართველო დღეს პირველად არ ხვდება; იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ ნააზრევში უდიდესი ყურადღება ექცევა ენობრივი პოლიტიკის პრობლემებს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი მოსაზრებები ორენოვნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მეორე ენის სწავლებისათვის შესაფერის ასაკზე, უცხო ენაზე შესასწავლ საგანთა ხასიათზე და სხვ., უაღრესად თანამედროვედ ეღერს დღესაც.

უპირველეს ყოვლისა, გოგებაშვილი არ უშინდებოდა საქართველოში რუსული სკოლებისა და რუსული ძალადობის პოლიტიკური არსის მხილებას. ამის შესახებ ის ბევრს და მკაცრად წერს⁵. მოვიტანთ თუნდაც ერთ ციტატას:

⁴Тим Керби. Русский язык против английского - как Apple против Windows.

http://ruskline.ru/monitoring_smi/2015/06/17/russkij_yazyk_protiv_anglijskogo_kak_apple_protiv_windows/

⁵იაკობ გოგებაშვილი. თხზულებები. ტ. I. თბილისი, 1989.

„ამჟამად... ქართული ენა ან სულ არ ისწავლება და ან ძალიან ნაკლებად, ისიც როგორც მაჩანჩალა საგანი; დირექტორებმა და ინსპექტორებმა სრულიად არ იციან ქართული ენა: თვით რუსული ენა ისწავლება დედა ენის შეუწვევლად. ერთი სიტყვით, ამჟამად ჩვენში სკოლა სასწავლებელი კი არ არის, პოლიტიკურ ინკვიზიციას წარმოადგენს და ეს სიკეთე შეგძლვნა ჩვენ არა რომელიმე უვიცმა რეტროგრადმა, არამედ იანოვსკიმ, რომელსაც მთელი რუსეთი სთვლიდა და სთვლის პროგრესულ, საუკეთესო თავის პედაგოგად. ცხადია, თუ რა ძლიერია ის უკუღმართი ქარი, რომელიც ქმუტუნებს ამჟამად რუსეთის განათლების სფეროში. და საუკეთესო რუსის პედაგოგებსაც კი ინკვიზიტორებად ჰქმნის.“

დიას, ასე იყო წარსულში, მაგრამ ზოგი მაშინდელი სატიკვარი თანამედროვეობას დღესაც არა აქვს გადაჭრილი.

იაკობ გოგებაშვილი შეშფოთებით წერს ენის მეშვეობით სოციალური დიფერენციაციის გაღრმავებაზე, რაც, ცხადია, არ შეიძლება სასიკეთო იყოს ეროვნული კონსოლიდაციისათვის, და თავისთავად, არც საერთოდ ადამიანურ ურთიერთობებს უწყობს ხელს.

„სხვა ენის ფარფაშობამ ყოველ სფეროში ამართა გარდაუვალი კედელი ხალხსა და ინტელიგენციას შორის, მოსპო მათ შუა ორივე მხარეს გამაცხოვლებელი ზეგავლენა და დააყენა ხალხი გავლურებისა და ინტელიგენცია გაფუქსავატების გზაზე“. აქ, რასაკვირველია, ი. გოგებაშვილი არ გულისხმობს იმას, რომ ქართველმა ინტელიგენციამ ქართულად ლაპარაკი არ იცის, მაგრამ ენობრივი ბარიერი, რომელიც ცნობიერების შეცვლასაც იწვევს, მაინც იქმნება, აი, რას მიუთითებს გოგებაშვილი: „ჩვენი გლეხობის ენის სიწმინდეს ჰქონდა სხვა უფრო დიდი მიზეზი: ეხლანდელი გლეხი გამოჰყოფს თუ არა სოფლიდგან თავს, თითქოს უცხოეთში გრძნობს თავის-თავს. მისი დედა-ენა, მისი მეტყველება ადარაფერშია გამოსადეგი. მაღალ საზოგადოებას მისი ან სრულიად არაფერი ესმის, ან თუ ესმის, არ ჰკადრულობს მის ენას, აბუჩად იჭერს მას... ამიტომაც ჩვენი გლეხი თუ საშინლად არ გაუჭირდა, თავისი სოფლიდგან არ გამოდის. ეს გარემოება მეტად ავიწროებს გონებასა და უღარიბებს ენას...“

ენის სოციალურ დაყოფასა და ამ მოვლენის უარყოფით მხარეებზე ბევრს წერენ დასავლეთში. დავასახელებთ თუნდაც რამდენიმე მათგანს: უ. ბრაიტის ნაშრომი „ენა, სოციალური სტრატეფიკაცია და შემეცნებითი ორიენტაცია“, ჩ. ფერგიუსონის შრომები, უილიამ ლაბოვის გამოკვლევები ნიუ-იორკის ინგლისურის სოციალური სტრატეფიკაციის პრობლემაზე და სხვ. სწორედ ენის სოციალური დეტერმინაციის საკითხებს ეხება; კიდევ უფრო თანამედროვე უამრავი ნაშრომის დასახელებაც შეიძლება.

ი. გოგებაშვილის ინტერესი ენის სოციალური ასპექტისადმი პრაქტიკული გარემოებებითაა განპირობებული. მაგრამ მან კარგად იცის, რომ ყოველ პრაქტიკულ საკითხს თეორიული დამუშავება სჭირდება. ი. გოგებაშვილი აღნიშნავს:

„...მარტო სამშობლოს წერა-კითხვის სწავლება მეტათ რთული საქმეა და ბავშვს ამ საქმის დაძლევა მაშინაც კი უძნელდება, როდესაც მისი ყურადღება დამყარებულია მარტო ამ საგანზე. საზოგადოთ ბავშვის ჩვილ და სუსტ გონებას ერთსა და იმავე დროს მხოლოდ ერთი სიძნელის ატანა შეუძლია. თუ მას ერთად დააწყებინებენ ორს ან სამს საქმეს, ადვილად შეიძლება მას გონება ჩაწყდეს და დაუმახინჯდეს. ამიტომ პედაგოგიაში არსებობს ერთი კანონი, რომელიც ამგვარად გამოიხატება: ერთბაშად ბავშვს მიეცეს მარტო ერთი სიძნელე.“

გოგებაშვილის მიერ გამოთქმული შეხედულებებიც ყმაწვილთათვის მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობის თაობაზე უპირველეს ყოვლისა, შთაგონებულია სწორედ

დომინირებული მდგომარეობის მქონე ენისათვის ქართულის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის სურვილით, რაც დეეთნიზაციას აგვარიდებდა თავიდან⁶.

პრობლემები, რომელიც ექმნება ეროვნული ენების სრულფასოვან ფუნქციონირებას, დღეს მრავლადაა. ენის დაცვისა და განვითარების ბუნებრივ კალაპოტში შენარჩუნების საკითხი დღეს აფიქრებს ყველას, თვით ისეთ დაღმწილ ქვეყნებსაც კი, როგორებიც არიან სკანდინავიის წარმატებული სახელმწიფოები, საფრანგეთი და ინგლისი, გერმანია და იტალია, რუსეთი... შესაძლებელია, მათ ჩვენსავით გადაშენების საფრთხე არ აწუხებდეთ, მაგრამ თავიანთ ენებში მნიშვნელოვან არასასურველ ძვრებს ისინიც აფიქსირებენ; აი, მაგალითად პროფესორი მ. სიდოროვა წერს, რომ რუსეთში შეიმჩნევა კულტურის საერთო დაქვეითება და ის, რომ რუსეთის მსხვილი ქალაქების ახალგაზრდობისათვის „რუსული გადაიქცა არა ორიგინალური კულტურის ენად, არამედ თარგმანის ენად, არა დამოუკიდებელი, ეროვნული და ინტერნაციონალური მნიშვნელობის კულტურულ ფასეულობათა შექმნის საშუალებად, არამედ სხვა კულტურების ფასეულობათა ტრანსლაციის საშუალებად, რუსული ენა ბევრი ახალგაზრდისთვის იქცა ენა-შუამავლად, რომელზედაც კითხულობენ დასავლურ ლიტერატურას, ნახულობენ დასავლურ ფილმებს და ა. შ.“⁷ საზღვარგარეთის ქვეყნები სპეციალურად სწავლობენ ეროვნული იდენტობისა და მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის საკითხებს, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ამ კუთხით მათი დაცულობა და რესურსები ბევრად აღემატება ჩვენსას.

ჩვენც ნუ შეგვეშინდება და ნუ დავიმორცხვებით საკუთარ ენაზე ზრუნვას. ყველა ერსა და ენას თავისი პრობლემა აქვს და მის გადაჭრაზე მუშაობს; ჩვენი პრობლემა დღეს სახელმწიფოსა და მისი განათლების სისტემის ენობრივი პოლიტიკაა; ვიკითხოთ, რა ხდება საქართველოს ე. წ. ბრიტანულ, ბრიტანულ-ქართულ, ქართულ-ამერიკულ, ქართულ-ევროპულ, თურქულ, ბაქსეუდისა თუ მაასტრიხტის სკოლებში, სადაც მშობლებს, ჩვენი პარამეტრებით უზარმაზარი გადასახადების მიუხედავად, პირველი კლასიდანვე მიჰყავთ შვილები, რათა სიტაბუკეში სამშობლოდან გადასახვეწად მოამზადონ... ეს მშობლებიც ხომ დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემის გამოზრდილია? შევეცადოთ დავადგინოთ, რას არ ვაკეთებთ ჩვენს სკოლებში, რას არ ვეუბნებით ჩვენს მოქალაქეებს... თუ ეს ყველაფერი ასე დაიგეგმა კიდევ?

Manana Tabidze

Problems of Teaching Native Language within the Context of Contemporary Education

Summary

In the process of evaluating contemporary challenges that national languages face, the following issues should be specified:

– Learning foreign languages has no negative effect on the native language, its norms and lexical and grammatical potential;

⁶იაკობ გოგებაშვილი. ისტორიული ცნობანი შესახებ სამოსწავლო გეგმისა ქართული სახალხო სკოლებისათვის. რჩეული თხზულებები. ტ. III. თბილისი, 1990.

⁷Профессор Марина Сидорова: Угрожают ли заимствования русскому языку? <http://www.pravmir.ru/zaimstvovaniya-ne-glavnaya-opasnost-dlya-russkogo-yazyika> ნახვა:17.11.2016.

– Applying foreign languages (language) in the international relations is essential for unhindered movement of the contemporary global world in the space of political, economic, cultural and scientific-technical achievements.

Language policy of contemporary Georgia and its educational system should try not to focus on discrediting Georgian in parallel with making the process of foreign language learning more active. The following issues should be taken into consideration:

1. When teaching Russian was replaced with English, Georgian grammar as a subject was removed from the schedule of secondary schools;

2. When one of the most important aims of the Georgian educational system became teaching foreign phrases, rules and irregular verb forms as well as teaching English phrases for specific purposes, Georgian officials started discussions about the problem of excessive amount of quotations from Georgian literary works.

3. Official and advertising phrases in foreign languages all around Georgia clearly demonstrate language policy of the state;

4. Assessment of the level of English in any kind of offices is conducted with special language tests, interviews, strict selection, while the level of Georgian is not checked even in case of employing teachers and journalists;

5. Schools and universities (especially, private ones) do not strive to propagate Georgian language; on the contrary, in order to attract students they announce what subjects are taught in foreign languages and how many foreigners cooperate with them;

6. There should be no nihilism towards one's own nation and culture;

7. Level of the Georgian grammar awareness is very low at schools.

ფსოგოლოური ლიტერატურა და ზნეობრივი აღზრდა

პედაგოგიკის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა მოზარდთა ზნეობრივ აღზრდაში მდგომარეობს, რომელიც ყველა დროსა და ეპოქაში დიდ თავსატეხს უჩენდა საზოგადოებას. სკოლისა და მასწავლებლის დანიშნულების საკითხს რომ ეხებოდა, ილია ჭავჭავაძე წერდა: „მოგვეცით მართალი სკოლა, ქართული სულის და გონების ამამაღლებელი, გონების გამსწავლი!“ ამ სიტყვებს დიდი ანალიზი და ჩაკვირება არც სჭირდება, ისეც ნათელია: ილიას მოთხოვნა პედაგოგიკისადმი ბავშვისათვის არა მხოლოდ განათლების მიცემაა, არამედ, ამასთან ერთად, სულიერებასა და გონიერებაში თანაბრად წინსვლა, ამ სფეროების თანაბრად განვითარება. სხვათა შორის, ილია თავისი თანამედროვე განათლების სისტემის მთავარ ნაკლად ცოდნისა და ზნეობის გათიშვას, მოზარდთა მხოლოდ გონების „გამდიდრებით“ დაინტერესებას და სულიერების უგულვებელყოფას მიიჩნევდა. დღევანდელი სასკოლო ცხოვრების ოდნავ მცნობი ადამიანი დამეთანხმება, რომ ამ მხრივ ილიას ეპოქას ერთი დღეც კი არ გვაშორებს, მეტიც, ინტერესთა აბსოლუტური თანხვედრა გვაქვს.

რა მისწრაფებაა დღევანდელ სკოლაში, როგორი უნდა იყოს თანამედროვე სკოლა, როგორი პიროვნება უნდა აღზარდოს მან? – ამჟამად მიმდინარე მთელ საგანმანათლებლო რეფორმას სწორედ ამ კითხვების გადაჭრის ამბიცია ამოძრავებს. სიმართლე თუ გინდათ, დასახულ მიზნებს რეფორმა ძნელად, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ მართლაც უახლოვდება. თუმცა ის, თუ რა ზნეობრივ კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა წარმართოს საგანმანათლებლო პროცესი და როგორი ზნეობრივი ღირებულებები უნდა გააჩნდეს დღევანდელ ახალგაზრდას, რეფორმის ინტერესის სფეროს ნაკლებ წარმოადგენს...

ამთავითვე მინდა აღვნიშნო, თუ რამ მომცა სტიმული ამ საკითხზე დასაფიქრებლად: საყოველთაო გლობალიზაციის დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობის პირობებში განსაკუთრებულ ფასს იძენს ეროვნული იდენტობის, თავისთავადობის განმსაზღვრელი თვისებების გაცნობიერება, მათი ხაზგასმის აუცილებლობა, შემეცნება. ესწრაფიან რა ურთიერთკულტურული, სოციალური სიახლოვისაკენ, დიდი ერებიც კი სიფრთხილით ეკიდებიან საკუთარ ეროვნულ ღირებულებებსა და ფასეულობებს და განათლების მიღების ერთ-ერთ არსებით კრიტერიუმად სწორედ იმის შენარჩუნებას მიიჩნევენ, რაც მათი სიამაყისა და თვითმყოფადობის საგანს წარმოადგენს. თვალის ერთი გადავლებითაც კი ჩანს, რომ ჩვენს სინამდვილეში მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა: ქართული ეროვნული გონი ამ მხრივ სერიოზული გამოცდის წინაშე დამდგარა და სულ უფრო მოგვაგონებს ელექტრონის ბრდღვიალა შუქით გაოგნებულ სოფელს გოგონას, პატრიარქალური სამყაროდან უეცრად რომ აღმოჩენილა ტექნიკის საოცრებათა სამყაროში. ჩვენც ხომ ვერაფრით მოგვიშორებია კონკიას როლი, ხარბი დედინაცვლისა და მისი ქალიშვილების გარემოცვაში სრულიად რომ უგულვებელყვია საკუთარი ღირსება და ფასი და მხოლოდ იმას ცდილობს, როგორმე ასიამოვნოს მათ. (ამ უხერხული პარალელის ობიექტურობას ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო წამდაუწუმ გვიდასტურებს, მაგრამ ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს მომავალი თაობის აღზრდა და სასწავლო პროცესი წარმოადგენს). გამაფრებელი ინტერესი ყოველგვარი უცხოთა და საკუთარი ღირსებების სრული უგულვებელყოფა, სამწუხაროდ, დღევანდელი პედაგოგიკისათვის მკვეთრად დამახასიათებელი გახლავთ. ჩვენი მუშაობის მიმართულების მომცემი და სტრატეგიის განმსაზღვრელი ეროვნული სასწავლო გეგმაა, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზნებსა და ამოცანებს ასე განსაზღვრავს:

– პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. სწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები: განუვითაროს მოზარდს ძირითადი სამეტყველო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი);

– გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა;

– განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;

– ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი;

– შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;

– გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი.

როგორც ვხედავთ, ქართული ლიტერატურის სწავლების მიზნები გარკვევით და ნათლად აყალიბებს მომავლის ქართველის ძირითად მისწრაფებებს, ინტერესთა სფეროს, მის სულიერ-ინტელექტუალური განვითარების გეზს, მაგრამ მას **ძალიან ძნელად თუ დაუგუკავშირებთ ჩვენს ეროვნულ, სპეციფიურ-ქართულ მენტალობას, გენეტიკურ თავისებურებებს.** მიმართულებათა ამ ჩამონათვალში მხოლოდ ბოლოს, ისიც ზოგადსაკაცობრიო კულტურის ასპექტში, არის დანახული ეროვნული კულტურა და ლიტერატურა, როგორც ამ კულტურის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში ფრიად მოკრძალებულ პოზიციას იკავებს. ასე რომ, ქართველი ბავშვის ეროვნულ საწყისებთან ზიარების, მშობლიური კულტურის გათავისება-შეთვისების პროცესის სწორად, შესაფერისი ზომითა და ტაქტით განსაზღვრა ჯერ ისევ გადასატრეულ საკითხებს უნდა მივაკუთვნოთ...

პრობლემათა ამ ქარბორბალასგან თავდასაღწევად განუზომლად მნიშვნელოვნად მეჩვენება მშობლიური ლიტერატურის ღირებულებებისა და შესაძლებლობების გამოყენება, იმ დაფარული (ყოველ შემთხვევაში, ჯერ გამოუყენებელი) საშუალებების ამოქმედება, რომლებსაც ეს საგანი ფლობს. წმ. გაბრიელ ქიქოძის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ იგი მეცნიერებას ასარწმუნოებდა და სარწმუნოებას ამეცნიერებდა. ეს ხომ იგივე გულისა და გონების, ემოციურისა და რაციონალურის შერწყმაა, რაც მშობლიურ ლიტერატურას დიდებულად ხელეწიფება, თანაც მისი უპირველესი ხიბლიცაა. **გზა, რომელსაც შეუძლია მეტად უმტკივნეულოდ, მშვიდად და ადვილად დაუბრუნოს მოზარდი თავის გენეტიკურ ფესვებს, ლიტერატურამ იცის. ეს გზა მის სულიერებაში მდგომარეობს.**

აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ V საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის ჩათვლით (გამიჭირდება XXI საუკუნის პროცესების შეფასება) ქართული ლიტერატურა თავისი არსით, სულით ქრისტიანული, მართლმადიდებლურია, არა აქვს მნიშვნელობა იმას, აგიოგრაფი მწერლის თხზულებას ვკითხულობთ რომელიმე ქრისტიანი მოწამის შესახებ, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშს, თუ საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში შექმნილ თხზულებას. კრიტიკოსმა აკაკი ბაქრაძემ დიდებულად შენიშნა, რომ ქართულ მწერლობას მისი ისტორიის განმავლობაში მსჭვალავს მოყვანის ქრისტიანული სიყვარულის, მარადიული ზნეობრივი კატეგორიების: ერთგულების, კაცთმოყვარეობის, სათნოების სულისკვეთება. დღეს, საყოველთაო გულგრილობისა და ინდიფერენტულობის ეპოქაში, ეგოცენტრული ხედვის უსაშველოდ გაძლიერების პირობებში სწორედ ამას უნდა დავეყრდნოთ მოზარდის სულიერი ფორმირების პროცესის სწორად და ეფექტურად წარმართვისათვის. თუკი პედაგოგი მწერალზე ან მის თხზულებაზე საუბრისას ყურადღებას გაამახვილებს იმ ზნეობრივ, სულიერ სწავლებაზე, რაც ფარულად თუ ღიად აქვს მწერალს მოცემული, წინ წამოსწევს

მათ, იმის წყალობით, რომ საქმე გვაქვს ცოცხალ, დიდი დამაჯერებლობისა და ექსპრესიული მუხტის მქონე ტექსტთან (ყოველი კლასის პროგრამა საგულდაგულოდ შერჩეული სწორედ ამგვარი მარგალიტებისაგან შედგება), ზემოქმედება იქნება სასურველი. ჩვენი თვალსაზრისის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ სულ რამდენიმე მაგალითი:

როცა V საუკუნის ძეგლს, „შუშანიკის წამებას“, ვაცნობთ ბავშვს, რა თქმა უნდა, უპირველესი ინტერესის საგანი წმინდანის მოწამეობრივი გზა და ავტორის მხატვრული-იდეური პოზიციის გარკვევაა. მაგრამ რა გვიშლის ხელს, რომ პირველი ქართველი მოწამე-ქალის ცხოვრების პერიპეტიების გაცნობის პარალელურად ყურადღება გავამახვილოთ ერთი შეხედვით უმნიშვნელო როლის მქონე შენაკადებზე. მხედველობაში გვყავს შუშანიკის მახლი, ჯოჯიკი. ყურადღება მივაქციოთ იმას, ერისკაცი ჯოჯიკი როგორ შესაშურ თავმდაბლობას იჩენს, როცა მოწამე რბაღს ევედრება: „მომიტევენ მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი და ნუ მოიხსენებ მედგრობათა ჩემთა“ – ჯოჯიკი დამნაშავედ თვლის თავს ძმის, ვარსკენის, კარზე დატრიალებულ დრამაში. რა შესაშური თავმდაბლობაა, ქრისტიანული მორალის მშვენიერი გამოვლინება. პედაგოგიკაში აღიარებულია, რომ მაგალითს დიდი აღმზრდელობითი ძალა აქვს. ჯოჯიკი რომ ცოდვილად თვლის თავს და პატიებას ითხოვს, ეს შესანიშნავი ზნეობრივი ნიმუში იქნება მოზარდისათვის.(მოთხრობაში ზნეობრივი სწავლების სხვა, პოპულარულ მაგალითებზე ყურადღებას აქ აღარ ვამახვილებ).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გავიხსენოთ. უდიდესი ღვთისკაცისა და მოღვაწის ცხოვრების გაცნობა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ისტორიულ-სარწმუნოებრივ ინტერესებს ემსახურება, თუმცა იმის ხაზგასმა, რომ ქართველებს IX-X საუკუნეებში ასეთი დიდი ერისკაცები გვყავდა, მოზარდის ინტელექტუალურ აღზრდასთან ერთად ზნეობრივი სწავლების მრავალ მაგალითს მოიცავს. გავიხსენოთ ერისკაცი გაბრიელ დაფანჩული, მისი მზაობა, მხარში დაუდგეს „ზეცისა კაცს“. „– ჩვენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქვენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესენი შევზავნეთ ურთიერთას“, – მიმართავს ის ღირს მამას. ღრმა რწმენასთან ერთად, ეს სიტყვები მოქალაქეობრივი შეგნების გამოხატულებაცაა. დიდაზნაური ღვთისკაცს სთავაზობს, სულიერი და ხორციელი „სიკეთე“ შევაზაოთ ერთმანეთს, რათა ეკლესია გავაძლიეროთ. განა ეს არ არის მშვენიერი მაგალითი უფლისა და ქვეყნის წინაშე ერისკაცის მოვალეობის გაგებისა? მით უფრო, თუ გავიხსენებთ, ეს ამბავი IX საუკუნის ტაო-კლარჯეთში ხდება, არაბებისაგან მრავალჯგუფის აოხრებულ და იავარქმნილ მხარეში. მჯერა, რომ ძალზე ღირებული იქნება თანამედროვე მოსწავლისათვის, როგორც ზნეობრივი მაგალითი, იმის გაგება, თუ როგორ ედგნენ ერისკაცები მხარში საერო და სასულიერო საქმეს. ამგვარი მაგალითები წვეთ-წვეთად იკრიბება მოზარდის ცნობიერში და სამომავლოდ სასურველ შედეგს გვპირდება.

თუ ვიფიქრებთ, სასულიერო მწერლობა სულიერი ზრდისა და ზნეობის შესახებ რომ გვესაუბრებოდეს, აბა, გასაკვირი ამაში რა არისო, საერო ლიტერატურიდანაც უამრავი მაგალითის მოხმობა შეგვიძლია იმისა, თუ როგორ არის იგი თავისი არსით ქრისტიანული მორალის, მაღალი ჰუმანური იდეალების დამკვიდრების სურვილით აღბეჭდილი. „ვეფხისტყაოსანი“ ამ მხრივ მთელი ქრესტომათია და ცალკე საუბრის თემაა. იმისათვის, რომ მეათეკლასელებში ერთგვარი პროვოცირება მოვახდინო პოემის ტექსტისა (გულწრფელად ვთქვათ, ძალიან ცოტას თუ აქვს სიყვარულის წინასწარი განცდა პოემის ტექსტის შესწავლამდე, ხოლო სირთულისა და ჭაპანწვევებისა – თითქმის უმრავლესობას), პირველსიტყვაში ყოველთვის აღვნიშნავ ხოლმე, რომ პოემის არაქართველი პერსონაჟები ტიპური ქრისტიანული მორალის მატარებლები არიან, თუმცა არსად არის ხსენება ყველაზე პოპულარული ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი სახეებისა: მაცხოვრის, ღვთისმშობლის, ცხოველმყოფელი ჯვრისა და ა. შ. (ერთადერთი გამონაკლისია ქრისტეს მოციქულთა ხსენება „ავთანდილის ანდერძში“: „წავიკითხავს სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?“ ცხადია, ეს ამინდს ვერ შექმნის). მიუხედავად ამისა, განსაცვიფრებელია ის სიღრმე და ფილოსოფიური ჭვრეტა, რომლითაც რუსთველი აღიქვამს ამქვეყნიურ სამყაროს და

რომელიც თავით-ფეხამდე ქრისტიანული სულის მატარებელია. მაგ.: თინათინისათვის უფალი აბსოლუტური სიკეთეა, რომლის არსიც სულ ორიოდ ტაეპით გადმოგვცა პოეტმა: „რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა, ბოტორიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“, – ეუბნება ქალი მამას. ამ სიბრძნესთან ერთად თუ გავისხენებთ მისსივე ფრაზას: „ღმერთი ბოროტს არ მოავლენს“, განგვიმტკიცდება აზრი, რომ თინათინისათვის უფალი აბსოლუტური სიკეთე, ოდენ სამართლიანობაა, სწორედ ისეთი, როგორადაც ქრისტიანული სწავლებით ვიცნობთ სამყაროს შემოქმედს; „ყოველისათვის ტკბილად მხედი უფალი“ ავთანდილისათვის ის ძალაა, „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“. არაბთა სპასპეტმა ძალიან კარგად იცის, რომ „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“. გავისხენოთ, როგორია ავთანდილის თვალთ დანახული საიქიო ცხოვრება: „პირისპირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა“ – სწერს იგი როსტევიან მეფეს ერთ-ერთ არგუმენტად იმისა, თუ რატომ არ შეიძლება უღალატოს მეგობარს. განა ყოველი მეტ-ნაკლებად განსწავლული ქრისტიანის ზნეობრივი პოზიცია არ გამოხატა შუშანიკ დედოფალმა, როცა ბრძანა: „განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა იგი არა არს თვალღებაი(…) სადა მე და მან სწორი სიტყუაი ვთქუათ“? საიქიო ცხოვრების ხედვა ორივე პერსონაჟს მსგავსი აქვს და თან – ქრისტიანული; მოდით, კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი გავისხენოთ ავთანდილის თავგადასავლიდან: როგორ გვისხნის იგი თავის გამარჯვებას მეგობრებზე. ავაზაკთა, პროფესიონალ ყაჩაღთა მთელი რაზმის დამარცხება ერთი, თუნდაც არაჩვეულებრივი რაინდისაგან, ცხადია, დამაჯერებლობას მოკლებული იქნება, თუ საერთოდ ჰიპერბოლიზაციად არ ჩავეთვლით ავტორს. მაგრამ როცა ვუსმენთ ავთანდილს, ვეცნობით მის ხედვას იმის თაობაზე, რომ „მარტოობა ვერას გავენებს, გცავს თუ ცისა ძალთა ძალი“, ხოლო ამ ძალით აღჭურვილისთვის კი სულ ერთია, „შემა ვის ჰკრა თუნდა ხრმალი“, თანაბრად გაიმარჯვებ, გეჯერა, რომ ეს ადამიანები სულით ხორცამდე ქრისტიანული მორალის მატარებლები, „ჩვენნიანები“ არიან და არა – სხვადასხვა აღმოსავლური აღმსარებლობის მიმდევარნი (სხვათა შორის, შეიძლება პოემის მთავარ გმირთა ასეთი უჩვეულო პოპულარობისა და სიყვარულის საიდუმლოს ერთი შტრიხი, სხვა მრავალ ასპექტთან ერთად, ესეც იყოს).

რამდენი ასეთი საღვთისმეტყველო სიბრძნე მიმოხეულა ჩვენს გენიალურ პოემაში, რომელთა მინიშნება და ხაზგასმა ქრისტიანულ მორალთან ჩვენს დაახლოებას, ზიარებას ნიშნავს და, ამდენად, სულიერ საზრდოდ შეიძლება ექცეს თანამედროვე ახალგაზრდას, რომელიც, ვიყოთ გულწრფელები, სწორედ ამგვარი სწავლების დიდ „შიმშილს“ განიცდის, არანაკლებს, ვიდრე საბჭოთა ათეისტური ეპოქის მოზარდი!

ე. წ. „აღორძინების“ ხანის ორივე მწერალი დიდაქტიკურ-შემგონებლური მორალით გამოირჩევა (მხედველობაში გვყავს, ასე ვთქვათ, „საპროგრამო“ ავტორები, დავით გურამიშვილი და სულხან-საბა ორბელიანი. სხვა დიდაქტიკოსებს, გასაგები მიზეზის გამო, არ ვეხებით). მართალია, ორივე ცხოვრებისეული, ამქვეყნიური სიბრძნე-გამოცდილებით გემოდვრავს და მათი მიზანიც სწორედ ესაა, მაგრამ ორივე რომ ქრისტიანული ზნეობისა და სწავლების მქადაგებელია, ამას წყალი არ გაუვა. „სიბრძნე სიცრუისას“ ჰუმანისტური იდეალები, სიკეთის ბოროტებაზე უთუო გამარჯვების, კაცთმოყვარეობის, ოპტიმიზმისა და ბრძოლისუნარიანობის იდეის მატარებელი მაგალითები, თვით ირონიისა და კრიტიკის შემცველი იგავებიც კი არსით ქრისტიანულია, რაკი საფუძვლად ადამიანის სიყვარული, მისი გაუკეთესების, სულიერი სრულყოფისა და ამაღლების სურვილი უდევს. ილიასეული „საქმით მეტყველი სული“ სწორედ სულხან-საბას მწერლურ კონცეფციას შეიძლება ვუწოდოთ, რაკი მან შიშველი დიდაქტიკური შეგონებების ნაცვლად კონკრეტულ-სახეობრივი, მხატვრული სამყაროს გაცოცხლების გზა ირჩია, რითაც გაცილებით ძლიერი დამაჯერებლობა და ზემოქმედების ძალა მიანიჭა თავის შეხედულებებსა და პოზიციას. როგორი სუსტი და დაუცველია ამაოებასთან მებრძოლი სულხან-საბას გმირი, რომელიც თავისი უნებლიე ცდუნებებითა და გადაცდომებით გვასწავლის, „შენ უსწოროსა ნუ

შესცთები“, წინა კაცი მე ვიქნები, შენ კი – უკანა, რომ ჩემგან ისწავლო. ასეთი სახეები კი იმდენი შეუქმნია ჩვენს დიდ პაპას, უსამართლობაც კი იქნება რომელიმეს გამორჩევა. და მაინც, ორიოდვე გავისვენოთ: მთიული, ღმერთს რომ უსაყვედურა, კაკლის ხისა და ნესვისთვის ნაყოფები არასწორად შეგიბამსო. ორიოდვე წუთში კი, კაკალი რომ მოხვდა თავში, თავადვე აღიარა, სულსწრაფობა და სიფიცხე რომ სიკეთეს არ მიგვიტანს, ბავშვი, რა თქმა უნდა, გაიცინებს, მაგრამ შემდეგ უთუოდ დაიმასხსოვრებს მთიულის მაგალითით ნასწავლ სიბრძნეს და იმასაც შეისვენებს, ყოველმხედ უფალს რომ არ უნდა შეუსწორო!.. „მელი მოძღვრად“ გახსოვთ? მელასგან ცდუნებულები მშვიდად რომ მიჰყვებიან „იერუსალემში მიმავალს“. მელას პირობამ, ორ-ორ ცოდვას შეგინდობთ, მესამეს კი ვერაო, აღფრთოვანება იმიტომ გამოიწვია მათში, რომ „თავი უბრალონი ეგონათ“. მათი საბედისწერო შეცდომაც სწორედ ის იყო, რომ დაივიწყეს ცოდვიანი წუთისოფლის არსი: „არა არს კაცი, რომელი ცხოვნდეს და არა სცოდოს“. რაც დაემართათ, ამიტომაც დაემართათ. როგორც მოგახსენეთ, ამგვარი, ლაღობით მოწოდებული სიბრძნე უთვალავია ამ წიგნში. თანამედროვე პედაგოგიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მნიშვნელოვანი მეთოდი, „სწავლება თამაშით“, XVIII საუკუნის დიდაქტიკოსს მშვენივრად ჰქონია ათვისებული.

ქრისტიანული ეთიკისა და მორალის მხატვრული აღქმისა და სახეობრივად გარდაქმნის ნიჭიერი ოსტატი დავით გურამიშვილია. ამ მხრივ მისი პოეზია მართლაც ამოუწყველი მადანია. მის მისტიკურ ხილვებსა და ქრისტიანულ იგავ-სიმბოლოებს რომ თავი ვანებოთ, რომლებიც პირდაპირ, ერთმნიშვნელოვნად „დევს“ სახელმძღვანელოში (მხედველობაში მაქვს ვახტანგ როდონიას ჯგუფის მიერ გამოცემული X კლასის სახელმძღვანელო) და ავტორთა მიერ დიდებული არის დაშიფრულ-განმარტებული, რა მრავლის მომცემია ავტორის დიდაქტიკური შეხედულებები, თუნდაც:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო,
ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“...

დავით გურამიშვილის პოეტური აზროვნებისთვის დამახასიათებელი წერის მანერით, გენიალური სიმარტივით, გვითხრა პოეტმა უდიდესი სიბრძნე, ცნობილი ქრისტიანული დოგმატით გადმოცემული: „შეიცან თავი შენი“, რომელიც უსათუოდ მიიჩნევა პიროვნების ფორმირების უპირველეს პირობად. ჩვენი პოეტის აზრით, ამ დოგმატის მთელი არსი თურმე ღრთა უწყვეტობა ყოფილა. თუ მოხარდმა არ იცის ისტორია, წარსული, („სიღამ მოსულა“), ვერ განსაზღვრავს, „ვინ არის“ ადამიანი დღეს, ამ ორის გარეშე კი როგორღა განჭვრეტ მომავალს? მითხარით, რომელ საყოველთაოდ აღიარებულ ფსიქოლოგთან გინახავთ ამაზე ნათლად და მარტივად მოწოდებული სწავლის აუცილებლობის აზრი? ამ სწავლების დაგვირგვინება კი მომდევნო ტაეპია: „ვინც შეგქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნი ხელფასადაო“ ...მარტივი ალეგორია: თიხა ადამიანის მატერიალური სხეულია, სულის „ჭურჭელი“, რომლის მოძღვნისთვისაც ჩვენ, ცხადია, უფლის მაღლიერნი უნდა ვიყოთ. მთელი ეს სწავლება დაგვირგვინდება უმეცარი კაცის გასაგონად ნათქვამი შეგონებით: „...ვით რემა ხნარცეს არ ჩავარდეს, ულაგმო და უსადაო“. მაშასადამე, ცოდნა ის „ლაგამია“, ცოდვის ორმოში ჩავარდნისაგან რომ დაიცავს ადამიანს, გადაარჩენს. ასე რომ, დავით გურამიშვილისთვის სწავლა ოდენ განსწავლა კი არაა, არამედ თვითგადარჩენის, წუთისოფლის საცდურთავან თავის დაღწევის საშუალება. შეიძლება ამ სწავლებას არ ვუწოდოთ ქრისტიანული?

XIX საუკუნის ლიტერატურაზე თვალის გადავლება კი საკმარისია, რომ დამეთანხმოთ: სულიერების ძიების პროცესი მსჭვალავს მთელ ახალ ქართულ ლიტერატურას. თუ გრიგოლ ორბელიანის პოეზიის ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სწავლებები ეროვნული სატკივრის უკეთ შეგრძნებაში ეხმარება მკითხველს, ვთქვათ, ასე: „ვემსგავსეთ ცხოვარს, რომელსაცა მწყემსი არ უვის“, ნიკოლოზ ბარათაშვილის შინაგანი გაორება, რეალობის მტკივნეული აღქმა უნდა შევაფასოთ, როგორც ღმერთთან მყოფობის

იდვის უარყოფელი, არსებული დაუკმაყოფილებელი პიროვნების მუდმივი ძიების, სულიერი ბრძოლისა და შინაგანი წყვეტების გამოვლენა. თუ „მერანი“, „სული ობოლი“, „სულო ბოროტო“, „ვპოვე ტადარი“ ამ კუთხით არ გავაშუქეთ, ნამდვილად ბევრს დაკარგავს ლექსიცა და მოსწავლეს.

XIX საუკუნის მორალისტთა ბრძოლის საგანი, პირველ რიგში, ადამიანი იყო, ის „ახალი ქართველი“, რომელიც „კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედს“ თავს დააღწევდა და იმ ფესვებს დაუბრუნდებოდა, ისტორიულ ქართველს რომ კვებავდა და რომელიც მარადიული ქრისტიანული დოგმებით გამოიხატებოდა: „ჩვენს“ ლუარსაბს ხომ ილიამ სწორედ ის დაუწუნა, სწორად არ ცხოვრობ, რაკი მთავარი დაგვიწყებია, „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრულ“ და იქვე ასწავლა, როგორ დაეძლია ის უამრავი ნაკლი, რამაც იგი ზოგადქართველი ავთანდილიდან თართსა და ბოზბაშს შორის სწორი არჩევანის გაკეთებაზე მზრუნველ უსაქმურად აქცია. ამ მხრივ აკაკიც ილიას ხმაღამოღებული თანამებრძოლი იყო, რაკი მოყვასის ქრისტიანული სიყვარული, მისი შველის, გაუკეთესების სურვილი ამოძრავებდა, ხოლო მის მსოფლხედვას ლიბოდ, საძირკველად ქრისტიანული თვითშეწირვის იდეით აღბეჭდილი სიტყვები შეიძლება დავუღოთ: „მე თუ არ დავიწვი, შენ თუ არ დაიწვი, ბნელს რა გაანათებს?!“

ვაჟა-ფშაველა ქრისტიანული აზროვნების გამოვლენის მხრივაც ისეთივე არაორდინალური და განსხვავებულია, როგორიცაა სხვა ყველაფერში. ალბათ, მოსწავლისათვის ამ თემაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს, იმდენად ღრმა და რთულია, მაგრამ ზედაპირულად რომ მაინც შევახსენოთ, ვაჟაც რომ არა პანთეისტი (როგორც „ნათლავდნენ“ მას საბჭოთა ეპოქის კრიტიკოსები), არამედ იმ დონის ქრისტიანი მოაზროვნეა, რუსთაველს რომ ეკადრება, უამრავჯერ შეიძლება დავადასტუროთ თუნდაც სასკოლო პროგრამის „ვაჟადან“. „ბალახი ვიყო სათიფე, არა მწადიან ცელობა, ისევე კრავად მამყოფე, ოღონდ ამცილდეს მეგლობა“. – მართლაც სულით ხორცამდე ქრისტიანის, მაცხოვრისეული კაცთმოყვარეობით გულსავე ადამიანის ნათქვამია. არანაკლებ მრავლისმეტყველად მიმანია ამ მხრივ „მთას ვიყავ“: „...მზე, მთვარე გულზე მეფინა, ვლაპარაკობდი ღმერთთანა“ – თუკი ვიტყვით, თერგდალეულებმა და მათმა სულიერმა მემკვიდრეებმა შეძლეს ქართველი ერის გამოფხიზლება და მისი სულიერი გამოკვებაო, ეს „საკვებში“ ქრისტიანული ზნეობის ელემენტების ამგვარი უხვი „მიმოზნევის“ წყალობით მოხდა სწორედ.

ჯაჭვი არც XX საუკუნეში გაწყვეტილა, თუმცა ჯერ ვეროპული მოდერნიზმის შემოჭრა და ქართული სააზროვნო სივრცის ნაწილის დაკავება, შემდეგ საბჭოთა იდეოლოგიის გაბატონება ამ მხრივ სულაც არ იყო სასურველი ნიადაგი. გალაკტიონი გავიხსენოთ, მუდამ მშფოთვარე, მაძიებელი. თუ ვინმე იტყვის, მისი ლირიკული შედეგები „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ ხომ რწმენადამსხვრეული ადამიანის აღსარებააო, დიას, ასეა, ოღონდ აქვე დავამატებ: ლექსის ტრაგიკულ ელერადობას სწორედ ის განაპირობებს, თუ რამდენად მტკივნეულია გააზრება, აღქმა იმისა, რომ მარტოკაცობის განცდას ადამიანში ბადებს არა ერთადერთობის, სხვათაგან გამორჩეულობის ამბიცია (რასაც გალაკტიონთან არაერთხელ წავაწყდებით), არამედ სულიერი გაბზარვის შედეგად რწმენის დაკარგვა, ნიჰილიზმი. ლექსის სათქმელი, ჩემი აზრით, რწმენდაკარგული კაცის უსაშველო ყოფაა. „განსასვენებელ ზიარებაზე ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!“ – რა შემზარავი აღსარებაა, აღსარება თანამედროვე ტექნიკურ-ინდუსტრიული რევოლუციის მსხვერპლი ადამიანისა. თუ ამ ჭრილში აღვიქვამთ ლექსს და დავანახებთ მოსწავლესაც, თუ რა ტკივილის ფასად უჯდება ადამიანს გაცნობიერება „უძლები შვილის“ როლისა, მჯერა, გალაკტიონთანაც უფრო ახლოს მივიყვანოთ მას და სულიერ საზრდოსაც მეტს მივცემთ. (ეს ლექსი რომ გამონაკლისი არაა პოეტის მემკვიდრეობაში, ცხადია, ყველა ხედება, ისევე, როგორც იმის მტკიცებაა ზედმეტი, თანამედროვე ეპოქაში პოეზიის ერთ-ერთ ძლიერ ნაკადს სწორედ

სულიერად გაბზარულ ადამიანთა ღვთისკენ მიბრუნება, გადარჩენის გზის უფალში ძიება რომ წარმოადგენს).

პრეტენზია არა მაქვს, ვამტკიცო, რომ რაიმე ჭეშმარიტება აღმოვაჩინე. ის, რასაც მე ვფიქრობ, ალბათ, მრავლისათვის აქამდე ბევრჯერ ნაფიქრი და განსჯილია. უბრალოდ, შევეცადე, წარმოემჩინა, გამოემკვეთა სასკოლო სწავლების ერთი ასპექტი, დღეს რომ „მოკრძალებულად“ მივიწყებული და თითქმის უგულვებელყოფილია. „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო“, ნათქვამია, **უამრავ უცხოურ თეორიასა და სტრატეგიას ავუნთოთ მწვანე შუქი თანამედროვე სასკოლო ცხოვრების გარდაქმნისა და სრულყოფისათვის, სულიერი შიმშილის პირობებში კი ჩვენ რომ უკვე გვაქვს უდაბნოს მანანა, ეს მივიწყებულია.** ჩვენი მიზანი სწორედ ისაა, რამენაირად გავეისვენოთ, რა მრავალმხრივი საუნჯეა საგანი „მშობლიური ლიტერატურა“, (რომელსაც, სხვათა შორის, რატომღაც დღეს მხოლოდ „ლიტერატურად“ მოიხსენიებენ), რა დიდი და ჯერ აუმოქმედებელი შესაძლებლობის პატრონია იგი, თუმცა კი სწორედ ამ ასპექტის გააქტიურებაა დღეს სასურველი. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სწავლების ის მხარე, ზემოთ რომ ვისაუბრეთ, არაჩვეულებრივად ბუნებრივად და ადვილად ესადაგება თანამედროვე ულტრაპროგრესულად მიჩნეულ მეთოდებსა და სტრატეგიებს. ამ მხრივ მათი უნივერსალიზმი მართლაც მომგებიანია: თუ ლიტერატურის სწავლებას იდეად წავუძღვარებთ მოსწავლის სულიერ ამადლებასა და გამდიდრებას (რა თქმა უნდა, გონებრივ განვითარებასთან ერთად), მისი განხორციელების საშუალებად, მეთოდად გნებავთ ბლუმის ტაქსონომია გამოვიყენოთ, გნებავთ აქტიური კითხვა და გნებავთ – კორნელის მეთოდი, ამ მხრივ არჩევანი ძალიან დიდია და სრულიად თავისუფალნიც ვართ ტაქტიკური სვლის განსაზღვრაში, ოღონდ დასახული მიზნის განხორციელება შევძლოთ და კონკრეტულიდან (ამა თუ იმ ავტორისა თუ მისი ტექსტის შესწავლა) გავიდეთ ზოგადზე, მთავარზე – დავანახოთ მოზარდს, რა საუნჯეს ფლობს იგი, რა მრავალმხრივი მოვლენაა ქართული ლიტერატურა. მხოლოდ ასე შევძლებთ ჩვენ, ვიყოთ მართლები ჩვენი წინაპრების (ამ მემკვიდრეობის შემქმნელთა) და ჩვენი შთამომავლების (ამ მემკვიდრეობის მომხმარებელთა) წინაშე.

Irine Tabatadze

Native Literature and Moral Rear

Summary

Reform of education system is sealed by ambitions of making serious changes. However, on what rear criteries should educational process stand and what kind of spiritual values should modern youth have, is not important to reform. During the process of teaching Georgian Literature the ideals, strives, which are considered to be determinants of national morality could be promoted in natural way, without any constraint. Today access to these ideas, to these strives can not be feeled. Several examples illustrated in this article assure us, that during it's existence Georgian writing is pearmeated with iternal moral categories of Cristian love, such as: loyalty, humanity, goodness. We consider it necessary to take these values into account for formation of youth, to merge intelligence and spirituality harmoniously.

ნანა აბულაძე, დოქტორანტი

**ოჯახისა და ქორწინების უპველესი ფორმების ზოგიერთი
საკითხისათვის მიზნულ პოეტურ ფოლკლორში
„პირველი ღამის უფლების“ კვლი მიზნულ ხეპირსიტყვიერებაში**

„პირველი ღამის უფლების“ ჩვეულება გარკვეულ როლს ასრულებდა უძველესი და შემდგომი დროის ქორწინების პროცესში. ფოლკლორული მასალა მასზე მსჯელობის საშუალებას იძლევა.

„პირველი ღამის უფლება“ კონკრეტული ისტორიული პერიოდის საკუთრება იყო და ფუნქციონირება გარკვეულ პერიოდში შეწყვიტა, ისტორიის არქივს გადაეცა. ეს იყო ჩვეულება, რომელმაც დროს ვერ გაუძლო, რადგანაც მისი ფესვები ჯანსაღ ნიადაგზე აღმოცენებული არ იყო. აღნიშნული წესი თავდაპირველად გარკვეულ რელიგიურ რწმენასთან იყო დაკავშირებული, კერძოდ – ქალიშვილთა მიერ თავიანთი უმანკობის დემონსტრაციის მსხვერპლშეწირვაში პოვა განსახიერება, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ „ზოგიერთ ხალხებში ქალწულობის ახდა ხდებოდა კერპების საშუალებით,“ ამავე დროს, აქტი სრულდებოდა წმინდა ადგილას – სალოცავებში¹. სემიონოვი ამ ჩვეულებას ორგანისტულ დღესასწაულებს უკავშირებს².

ფეოდალიზმის დროს კი „პირველი ღამის უფლება“ მებატონე ფეოდალის მიერ იქნა მითვისებული და საყოველთაოდ აღიარებული. რუსეთში „პირველი ღამის უფლება“ საყოველთაოდ იყო ცნობილი³.

ამ უფლების საკომპენსაციოდ შემოღებულ იქნა გადასახადები. ამგვარი გადასახადი ჩვენშიაც არსებობდა „საჩქმეს“ სახელწოდებით⁴, რაც ადასტურებს ამ წესის საქართველოში არსებობას.

ქართულ სინამდვილეში „პირველი ღამის უფლების“ არსებობის საკითხს ყურადღება მიაქცია ი. გომართელმა წერილში „ნაწყვეტები წარსულიდან“. წერილში გადმოცემული იყო შემდეგი: „ბატონყმობის დროს გავრცელებული იყო ევროპაში კანონი პირველი ღამისა, კანონი მდგომარეობდა იმაში, რომ ყმა რომ ცოლს შეირთავდა, ბატონს უფლება ჰქონდა პატარძალთან დაწოლილიყო პირველ ღამეს და ეს კანონი საქართველოშიაც შემოვიდა“⁵.

საქართველოში ამ ჩვეულების არსებობის შესახებ არც ბექა აღბუღას სამართალში, არც გიორგი ბრწყინვალის ნაშრომში, არც ვახტანგის რჯულისდებასა და არც სხვა რომელიმე ისტორიულ ნარკვევებში არაფერია ნათქვამი, ასევე დუმს თეიმურაზ მეორეც თავის „სარკე თქმულთაში“, სადაც მას დაწვრილებით აქვს აღწერილი საქორწილო რიტუალის ყველა მომენტი.

ივ. სურგულაძის აზრით, „პირველი ღამის უფლება“ XIX საუკუნეში უდაოდ არსებობდა. მართალია, ისტორიული წყაროები დუმან, მაგრამ ამ ჩვეულების არსებობა მტკიცდება ზეპირსიტყვიერი ნიმუშებით და ლიტერატურული ძეგლებით. ამ კუთხით საინტერესოა მეგრული ფოლკლორული ნიმუშები და, ასევე, მის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამადასტურებელი მასალა „პირველი ღამის უფლება“ რომ წესად ჰქონიათ ქართველ ფეოდალებს, ამის შესახებ მოგვითხრობენ ინფორმატორები.

¹М. Ковалевский. Первобытное право. М, 1886, стр. 50.

²Ю. Семенов. Как возникло человечество. М.1960, стр. 307-308.

³Д. Мордовцев. Политическое движение русского народа. т. I. стр. 278.

⁴გ. ნადარეიშვილი. ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 1971, გვ. 120.

⁵ივ. გომართელი. ნაწყვეტები წარსულიდან.– ჟურნალი „ცისკარი“, 1907, №3.

ამ ჩვეულების არსებობის შესახებ სამეგრელოში საინტერესოა აკაკი წერეთლის მამის ყმის, ლაბაძის ნაამბობი, სადაც ვკითხულობთ: „სამეგრელოში, დადიანები მეგრელთა გლეხებს სასტიკათ სტანჯავდნენ. ერთ დადიანთაგანს ჩვეულებად ჰქონდა პირველი ღამის ურიგო წესი. მის საყმოში ისე ყმა გლეხი ვერ შეირთავდა ცოლს, რომ საცოლო ქორწილის პირველ ღამეს ბატონისათვის არ დაეთმო. საზოგადოთ, ეს დადიანი მეტის მეტი სასტიკი კაცი იყო, სისასტიკესთან დიდი უსამართლო. იგი თავის ყრმებს სიკვდილითაც სჯიდა, ზოგს ახრჩობდა კიდევ.“

აგრძელებს თხრობას ყმა, რომელსაც ამ თავადის სახელი არ ახსოვს, ის იმერეთიდან იყო გამოქცეული და სამეგრელოში დროებით ცხოვრობდა. „მის სახელს მე არ ვაქცევდი ყურადღებას, ბოროტების აღსანიშნავად და მოსაგონათ მარტო გვარიც კმაროდა, – გადმოგვცემს იგი“.

ამ მონათხრობიდან ვგებულობთ, რომ სასტიკ თავად დადიანს შეპასუხებია ერთ-ერთი ყმა გლეხი.

„ბატონო, – უთქვამს ყმას, – რაზედ გვაწვალებთ, რასა პგავს ეს, თქვენ ქრისტიანი ხართ, თუ სხვა ვინმე?! ასე თათარიც არ გვაწვალებს, როგორც თქვენ გეცნაჯავთ... მთელი ქვეყანა თქვენ გემდურით... მთელი თქვენი მოყმენი თქვენ სახელს და ხსენებას სწყევლიან და მრავალნი გემუქრებიან, გითვლიან: პირველ ღამეს თავი გაანებე და მეგრელ გლეხებსაც ნუ ჰყიდით ოსმალებით, მოიშალე ყველა ესენი, თორემ უსათუოდ მალე აგკუწავთ... ჩემსას თუ არ დაიჯერებთ, მაშინ თქვენ თვითონ დააკვირდით, ბატონო... თქვენ თვით დარწმუნდით მასზედ, რომ ქვეყანა გემდურით. ეს ბატონს არ ეკადრება, დადიანების სახელსა და გვარს“⁶.

1973 წელს სამეგრელოში, წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში ფიქსირებულ მასალებში ვკითხულობთ: „ჩვეულება იყო, ქორწინების პირველ ღამეს პატარძალს ხელს არ ახლებდნენ. მეორე ღამეს კი პატარძალი თავადთან უნდა მიეყვანათ. ამას ეძახდნენ „ჭყუალეს“ – გახედნას. თუ თავადი არ ინებებდა ქალთან წოლას, ის ქალი არ ვარგოდა. იყო შემთხვევა, რომ თავადს ჰკლავდნენ „პირველი ღამის უფლების“ გამო. ხან კი თავადი არ ინებებდა ქალთან წოლას, გლეხს ძალით მიჰყავდა, ემინოდა, ცუდი არაფერი მოსვლოდა ოჯახში“.

მეორე გადმოცემის მიხედვით, „იყო შემთხვევები, როცა საქმროს თვითონ მიჰყავდა პატარძალი და სთხოვდა, პირველ ღამეს ჰყოლოდა, ბევრ შემთხვევაში თავადი თანახმა იყო შეესრულებინა თავისი გლეხის სურვილი, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა უარით ისტუმრებდა. ასეთ შემთხვევაში გლეხს დასცინოდნენ: – ცუდი ქალი მოიყვანე, სოფლისთვის შეუფერებელიო, მიტომ ცდილობდა გლეხი, თავადთან მიეყვანა, თუ თავადი უარს იტყოდა, გლეხი მაინც არ მოეშვებოდა: – თავს ლაფს ნუ დამასხამ, დაიტოვე ერთი ღამითო. თავადი იძულებული იყო შეესრულებინა გლეხის თხოვნა“⁷.

იგივე აზრი გამოთქვა მთხრობელმა ნანა ბელქანიამ, რომელმაც გაიხსენა ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში მცხოვრები ქ-ნ ლენა სიჭინავას ნაამბობი, რომ სამეგრელოში თავადებს წესად ჰქონდათ „პირველი ღამის უფლება.“ ქ-ნი ლენა მადლობდა კომუნისტებს, რომ ეს წესი თავად-აზნაურობასთან ერთად გადავარდა (მთქმელი ნ. ბელქანია, ქ. ზუგდიდი, 2015წ)⁸.

ამ ჩვეულებამ თავისი ასახვა ჰპოვა მეგრულ წყობილსიტყვაობაში. მოგვყავს ნაწყვეტი ტექსტიდან:

ჯეში დრო

ფერი ყაზაყი შურო ვარდგ თი დროს სიტყვას თქუანდგნი.

ის დუცვ კვათგნდეს, თავადს ვე ფუჩუანდგნი.

⁶ჭიჭინაძე. საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები. ტ. I. ტფილისი, 1924, გვ. 111–112.

⁷თსუ ფოლკლორის არქივი, №16623.

⁸პირადი არქივიდან.

საჩილო რდგ ყაზაყი დო ბარგის ვემკაქუნანდგნი
თავადიში რდგ პირველი სერი, ოსურს ქიმიყუნანდგნი.
თაში ორდგ დასაჯული ყაზაყეფი ეთი დროს.
თავადი დო ჟინოსქუა მიკოჯანდეს სტოლს.
ღვინს გიოშუანდეს ორქოშ ჭირქასგ დო ბროლს.
თექ ყაზაყიქ მინილგკონ, გემწუყოთანდეს თოლს.
თი დროს ორდეს ყაზაყეფი უჩა დღალენს გერიხელი.
თეგვარ უჩა სამართალი თი დროსგრდგ გორჩქინელი.⁹

ბეელი დრო

იმ დროს ხმის ამომღები გლეხი არ იყო.
მას თავს ჭრიდნენ, თავადს თუ არ დაიფიცებდა.
დასაქორწინებელ გლეხს ტანსაცმელს არ აცვამდნენ.
ცოლს რომ შეირთავდა, თავადის იყო პირველი ღამე.
ასე იყვნენ დასჯილები გლეხები იმ დროს.
თავადი და აზნაური მიწოლილი იყვნენ მაგიდას.
ღვინოს სვამდნენ ოქროს და ბროლის ჭიქით.
იქ გლეხი რომ შესულიყო, თვალებს დასთხრიდნენ.
იმ დროს გლეხები შავ დღეში იყვნენ.
ამგვარი შავი სამართალი იმ დროს იყო გაჩენილი.

სამეგრელოს ფოლკლორული მასალა ამტკიცებს, რომ არსებობდა ჩვეულება, რომელიც „პირველი ღამის უფლებით“ იყო ცნობილი და ადგილი ჰქონდა თავადთა თავგასულ მოქმედებას.

ამ ჩვეულებას აღწერს ფუცუ დგებუაძე-ფულარია ისტორიულ რომანში „ოქროს ბეჭედი“. სოფელ ზიმში ქაიხოსრო ჩიქოვანის ყმა გლეხს, კოჩაია ლემონჯავას რძლად მოუყვანია აბაშელი ქალი. ლევანს თავისი მოენეების საშუალებით გაუგია, რომ ეს ქალი ძალიან ღამაზი ყოფილა. როდესაც გლეხი კოჩაია ქორწილს იხდიდა, მთავარი ლევანი თავისი ამალით დაუპატიუებლად მისულა, მაშინვე მიმხვდარა კოჩაია, რა მიზეზით იყო ლევანი მის სახლში მისული. იმ წუთშივე ქაიხოსრო ჩიქოვანთან გაქცეულა და მოუხსენებია: თქვენ ჩემი პატრონი ხართ, ერთგულად გემსახურებოდით და გთხოვთ გასაჭირში გვიპატრონოთ, თუ არ დამეხმარებით, მაშინ მე ჩემსას ვიზამ. ოჯახში ბოროტი განზრახვით მოსულ ლევანს თავს შევაკლავ და მთავარსა და მის თავადიშვილებს საჯაროდ შევარცხვენ. დამშვიდდი, კოჩა, ჩემს გლეხს რომ ვინმე დაჩაგრავს, ის მე არ მიწევს ანგარიშს. საჩქაროდ წადი შინ, ახლავე დაგეწევიო.

ქაიხოსრო თურმე მაშინვე შეჯდა ცხენზე და კოჩაიას სახლისკენ გასწია. ხალხის საჩვენებლად ქაიხოსრომ მთავარს თავყვანი სცა და ყურში კი თურმე ჩასჩურჩულა:

– აქ რატომ მობრძანებულხართ! თუ ზიმში მოდით, ჩემთან უნდა მოსულიყავით, რა გინდოდათ კოჩაია ლემონჯავას სახლში? გადაჭრით გეუბნებით: თუ გნებავთ შინ მესტუმრეთ, არადა სასახლეში წაბრძანდით, ჩვენ გაგაცილებთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ამდგარა ლევანი თავისი ამალით და ლემონჯავას ეზოდან გასულა. ქაიხოსროც აცილებდა თურმე, თან არწმუნებდა: ცხენიან-კაციანად გაგწყვეტდნენ ლემონჯავები, ქვეყნის სალაპარაკოდ გაიხდიდით თავსო.

გულმოსულ ლევანს გამცილებელი ქაიხოსრო ჩიქოვანი მალე დაუბრუნებია, თვითონ კი ზუგდიდში ჩასვლამდე თურმე სულ ივინებოდა და იქადნებოდა: სოფელი ზიმი ერთიანად უნდა გავანადგურო, რაღა მთავარი ვარ, თუ ასეთ პატარა სურვილსაც ვერ შევისრულებ,

⁹მ. ხუბუა. მეგრული ტექსტები. ტფილისი, 1937, გვ. 342-343.

პირველი ღამის უფლებით მე კი არა, უბრალო თავადებიც კი სარგებლობენო, მე კი რა გამიბედეს ესო. ან ის ქაიხოსრო რას ერეოდა ამ საქმეში, მასაც გადავუხდი პატივისცემასო¹⁰.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ერთსტროფიანი ლექსი, რომლის ძირითადი შინაარსი დაიკარგა, მაგრამ მასთან დაკავშირებით შემორჩენილია მეტად საყურადღებო გადმოცემა: ე. ი. ლექსი შექმნას საკმაოდ ღრმა ისტორიული წარსული უდევს საფუძვლად:

ვაჟიკაცო, გულოვანო,
ღვინის ფერო, მცინარეო,
ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის,
ფეხი წადგი წინარეო¹¹.

გ. კოტეტიშვილი თავის ექსკურსებში ამ ლექსთან დაკავშირებით შენიშნავს: „ხევი ამ ლექსის შესახებ ასეთი თქმულება არსებობს: საქართველოში მოსულა ერთ ბეგი, გამაგრებულა სნოს ციხეში, ურბევია ხალხი და ერთნაირი უწესობა ჩაუდგენია. ბოლოს ასეთი წესი დაუდგია: „თუ ვინმე ქალი გაათხოვონ, ისე ქმართან არ უნდა წაიყვანონ, სანამ ციხეში ბეგთან არ აიყვანდნენ საწოლად და უკეთუ ქმარმა უიმისოდ წაიყვანა, მაშინვე ბეგი ქმარს თავს მოსჭრიდა და ქალის მამას სახლს დაუწვავდა... ამ დროს ერთ არშელს თავისი ქალი გაუთხოვებია, სასიძო თურმე ამბობდა: რა ვქნა, რაკი ციხის პატრონი ბეგი ჩემს ცოლს არ დამანებებსო და პირველად ის წაიყვანსო, რაღა ჩემი იქნებაო. სასიძომ მოიფიქრა და თავის სიმამრს უთხრა: შენ ბეგთან მიშუამდგომლე და საჩუქრათ ქრთამს მოგცემ. მხოლოდ საცოლეს კი ნუ გამიწბილებსო. სიმამრმა სიძის თხოვნა შეასრულა და სიზე-სიმამრი ორივე ციხეში ბეგთან წავიდნენ. თან ერთი ხარი, ოცი თუმანი ფული და ერთი კარგი თოფი წაიღეს, ბეგის წინ წარსდგნენ და ასე მოახსენეს: ესენი შენი საჩუქარი გახლავთ და გთხოვთ, ეხლა რომ ქალი მყავს საქორწინოდ გამზადებული, ნუ გაგვიწბილებ და ეს ნუგეში გვიყავითო. ბეგს ეს საჩუქარი უცოტავევია და უთქვამს: ასე ცოტა საჩუქარზედ არ გეპატიებათ ეგ ქალიო. სასიძოს უპასუხნია: აი, უკანასკნელი ეს ხმალი მაქვს და ამასაც გიძღვნიო. წელზე ნაბამი ხმალი ბეგისთვის მიუცია. ბეგს ხმალი გაუსინჯავს და უთქვამს: ხმალზე კი გეპატივებოდათ, რომ მოკლე არ იყოსო. ამ სიტყვებით ხმალი უკანვე გადაუგდია. სასიძოს ხმალი ხელში აუღია და უთქვამს: ეს ხარი, თოფი, ოცი თუმანი და ეს ჩემი ხმალი საჩუქრად მოგართვი, რომ შენ ღმერთსაც აპატივე და მეც ნუ შემირცხვენ საცოლოსო. ბეგს დაუყვირნია; არ გესმის, ხმალი მოკლეაო და ამით გაუთავებია სიტყვა. გულზე მოსულ სასიძოს უთქვამს: „ხმალს სიმოკლე რას მოუშლის,

ფეხი წარსდგი, გაგრძელდების,
კაცს მანამდი ეშინიან,
მინამ საქმე გაძნელდების!“

უთქვამს ეს, შემოუქნევია სასიძოს ხმალი და ბეგისათვის თავი კი გაუბედინებია. რაკი ეს ამბავი იმის ქვეშევრდომთ შეუტყვიათ, მაშინვე ციხიდან გაქცეულან და ციხის საუნჯე თუ რამე ჰქონიათ, სულ იქ დაუტოვებიათ. ამ სახით მოხვევებს ასეთი საძაგელი სატანჯველი და ბილწი ბეგარა მოუშორებიათ და განთავისუფლებულან უსამართლო და უსინდისო ბატონისაგან¹².

ანალოგიური ისტორია აქვთ მთის რაჭის მებატონეებს. ესენი იყვნენ არეშიძენი, რომელნიც მეტად ავიწროვებდნენ ღებელებს საბეგრო გადასახადებით და ყმური სამსახურით. ისე გაკადნიერებულან, რომ „პირველი ღამის უფლებაც“ მოუპოვებიათ, ამას კი მთელი ღები აუღელვებია, ხალხმა თურმე პირი შეკრა და გადაწვიტა მოძალადე მებატონეების ამოხოცვა.

¹⁰ფ. დგებუაძე-ფულარია. ოქროს ბეჭედი. თბილისი, 1982, გვ. 28-29.

¹¹გ. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია. თბილისი, 1961, გვ. 244.

¹²ქართული ხალხური პოეზია. V. მისიელ ჩიჭოვანის შესავალი წერილი. თბილისი, 1976, გვ. 38.

ამ შეთქმულებას მეთაურობდა ზვიადა ლობჯანიძე, რომელიც „პირველი ღამის უფლების“ შიშით ცოლს თურმე ვერ ირთავდა. მისთვის მთელ სოფელს დახმარება შეუფიცნია, მხოლოდ ეძებდნენ არიშიძეების ამოსაწყვეტად მოხერხებულ დროს და ამ მიზნით სოფელმა მოისყიდა მათი მოურავი გაგაშვილი და ერთიც დედაბერი, რომლისათვის ალაპის გადახდა აღუთქვამთ. ერთ მშვენიერ დილას, როდესაც ორი ძმა არეშიძენი სანადიროდ მიემგზავრებოდნენ, ორივე ჩასაფრებულმა ღებელებმა მოკლეს. მესამე არეშიძე ჭიორისაკენ გაქცეულა და როდესაც რიონზე გასვლა დაუპირებია, მას ერთი მტირალი დედაბერი დასდევნებია და წყალზე გაყვანა უთხოვნი¹³. არაშიძეს დედაბერი ცხენზე შემოუსვამს და როდესაც შუა წყალში შეცურებულან, დედაბერს მისთვის ხელი წაუვლია, მძლავრად გადაუწევიან და ორივენი წყალში გადავარდნილან და იქვე დამხრჩვალან (დედაბერს ღებისათვის ანდები დაუგდია, არეშიძის მოკვლის შემდეგ თქვენ მკვდართან ერთად ტაბლა ჩემთვისაც გამოაცხვეთო. ამიტომ ღებში დღესაც მიცვალებულის პატრონი თავის წმინდა მოვალეობად თველის საკურთხის დამზადების დროს ერთი ტაბლაც ამ დედაბერს გამოუცხოს¹⁴. ამგვარად, ღებელებმა მოიშორეს თავიანთი მებატონე არეშიძენი და მათი ბატონყმური უღელი.

თავისი ეს გმირული თავგადასავალი ხალხს გაუღეჭსია. „ფერხისას“ შესრულების დროს ღებელები მღერიან:

მოგყავს ნაწყვეტი ტექსტიდან:
 პირველი საყმონი ვყოფილვართ
 ჩვენ ორის ბატონისაო,
 ორთა ძმათა არიშიძეთა
 ნუ სწყალობთ პირი ღვთისაო;
 არ ნაზოგავენ ქვრივ-ობოლთ,
 ცოლებს ნართმევენ ყმებსაო,
 არ შინებიან ცოდვისა,
 არ ნაკითხავან ღმერთსაო.
 ღმერთმა უღხინოს ზვიადას,
 ზვიადას ლობჯანიძესო,
 არ დაეღვეა შენდობა,
 სანამ მზე მიწას უმზერსო,
 დიდხანს ყოფილა ზვიადა,
 რომ არ შეერთო ცოლიო,
 ზიზღის თვალით ნაყურება,
 ცოლს რომ ნართავა ყოვლიო.

ზვიადს უთქვამს: „ღებელნო
 მიკვირს რატომ არ გრცხვენინანთ,
 რომ ამდენი ბიაბრობა
 ბატონთათვის შეგირჩენიათ!
 ჯვარს იწერთ, ცოლები მოგყავთ,
 უწინ ბატონთან მიგყავთო;
 გამხდარხართ დედაკაცები,
 მათი ჩიქილით დახვალთო.
 კაცი უნდა კაცი იყოს,
 არ ჰგავდეს ბებრუცუნასა,
 არ იკრუნხოდეს შიშითა,
 ფეხ-ქვეშ არ ეგოს ყველასა.
 დროა, პასუხი გავსცეთ მტერს,
 ბატონთ დავარტყათ მეხიო,
 ამიერიდგან მათ თესლსა
 ამოუწმინდოთ ფეხიო...¹⁵

მოსმობილ ღეჭსში ნათლად ჩანს გლეხების გალაშქრება ბატონის წინააღმდეგ, რომელსაც „პირველი ღამის უფლება“ დაუწესებია.

„პირველი ღამის უფლება“ მე-19 საუკუნის სინამდვილეში ძალაში ყოფილა აფხაზეთშიც¹⁶. ანალოგიური ჩვეულება ფიქსირდება გურიაშიც: „გადმოცემით, გურიაშიც პატარძალი როცა მოჰყავდათ, ქალი პირველად ბატონთან უნდა მიეყვანათ, – აღნიშნა მთქმელმა დ. გუდაძემ, მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ, მამაჩემის გადმოცემით გამიგია, მაგრამ გურიაში გლეხები არ იყვნენ ისე დაჩაგრულები და, ალბათ, ამიტომ გადავარდა ადრეო; ნაკაშიძე იყო თავადი:

¹³ **Л. Мансурадзе.** Гебськое селское общество. Св. Мат для опис. Мест. и племен Кавказа. вып., XXII. отд. II. стр. 214-215.
¹⁴ **თ. სახლია.** მთის რაჭა. ტფილისი, 1930, გვ. 22.
¹⁵ **თ. სახლია.** მთის რაჭა. ტფილისი, 1930, გვ. 22.
¹⁶ **Ш. Инал-Ипа.** Очерки по истории брака и семьи у абхазцев. Сухуми, 1954, стр. 151.

ქართლში უფრო იყვნენ დაჩაგრული გლეხები, ამილახვრები რომ იყვნენ, მაგი და სხვები, იმათ ხელში“¹⁷.

ამილახვრები, ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, საშინელი მოყვარულნი ყოფილან „პირველი ღამისა“. „უმისოდ ამის საყმოში ვერვინ გათხოვდებოდა ამ ბოროტისაგან სოფლის ყმანი შეწუხებულნი იყვნენ“-ო¹⁸.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხის თავადებს ეს წესი ჩვეულებად ჰქონდათ. უძველესი ქართველი ტომებისათვის ქრისტიანობის მიღებამდე უცხო არ იყო პირველყოფილი რელიგიის ის ფორმები, რომლებიც დამახასიათებელია მსოფლიოს ხალხთათვის.

კაცობრიობის განვითარების ისტორია უკუაგდება ან ხასიათს უცვლიდა ხალხის მიერ შექმნილ ტრადიციას. „პირველი ღამის უფლება“ საქორწილო რიტუალს შემორჩა როგორც გარდასულ დღეთა მატთანე. ამ ჩვეულების გაქრობას ხელი შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებამ, რადგან პატარძლის სიწმინდე საქორწილო ურთიერთობის აუცილებელ მოთხოვნილებად იქცა. შეუგინებელი ლოგინი იყო ის ქვაკუთხედი, რომელიც აძლიერებდა და ამყარებდა ოჯახის ფუძეს. სიწმინდის და დიდების შუქს ფენდა ცოლ-ქმრულ ურთიერთობას.

მართალია, „პირველი ღამის უფლებას“ საკანონმდებლო დოკუმენტები და ისტორიული წყაროები გვერდს უვლიან, მაგრამ ხალხურმა სიტყვიერებამ, ლიტერატურულმა ძეგლებმა და ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოგვინახეს მასალები, რომლებიც ცხადყოფენ ამ ჩვეულების არსებობას.

Nana Abuladze

Some Issues about Ancient Forms of Family and Marriage in Megrelian Folk The Trace of the First Night Right In Megrelian Folk

Summary

First Night Right was ascribed to a specific historical period and ceased its functioning at the definite period in history and was given to archive of history. It was the tradition that could not resist the times due to the lack of deep roots.

First Night Right is evaded by historical sources and documents, but materials are preserved from Folk, ethnographic documents and literary heritage which prove the existance of this tradition.

¹⁷თსუ ფოლკლორის არქივი, №1712.

¹⁸ზ. ჭიჭინაძე. საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები. ტ. I. ტფილისი, 1924.

სამართალი

აღამიანის უფლებათა უცხოუბრენოვანი მოკლე იურიდიული ფრახეოლოგია
ქართული მეცნიერული ბანმარტების თანხლებით*

(ნაწილი მეორე) **Casus Belli** – [ლათინ., სიტყვასიტყვით: ომის შემთხვევა]

შემთხვევა, როდესაც ერთი ქვეყანა იმ ზომით ხელყოფს მეორეს, რომ წარმოშობს ომის გამოცხადების დაწეების საფუძველს მეორე ქვეყნისათვის. სხვა სიტყვებით ომის საბაბი/საფუძველი.

Casus Foederis – [ლათინ., სიტყვასიტყვით: ალიანსის მიზეზი].

საერთაშორისო აქტი ან ხლომილება, რომლის არსებობა/წარმოშობა მოითხოვს, ან ბიძეს აძლევს კოლექტიური თავდაცვითი ხელშეკრულების/ალიანსის გამოყენებას, როგორც ეს ხდება, როდესაც მესამე მხარე თავს ესხმის ასეთი შეთანხმების ერთ რომელიმე მონაწილეს; მაგალითად NATO-ს წევრ ქვეყანას.

Cautio Judicatum Solvi (Bail Bond) – [ლათინ., სიტყვასიტყვით: საწინდარი სასამართლოსმიერი გათავისუფლებისათვის].

წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის მიერ საგაღდებულო საზღაურის (საწინდრის) გადახდა, მის მიმართ წარდგენილი ბრალდების საფუძველზე პატიმრობისაგან გათავისუფლებისათვის, რათა დაარწმუნოს სასამართლო, რომ ბრალდებული დაესწრება ყველა სასამართლო სხდომას, თუ არადა დაჰკარგავს საწინდარს. სხვა სიტყვებით, გადახდილი თანხა, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობიდან პირობით გასათავისუფლებლად (ამავეს აღმნიშვნელად საქართველოს კანონმდებლობასა და სიტყვასმარებაში საერთოდ გამოიყენება ტერმინი „გირაო,“ რაც ერთგვარ გაუგებრობად უნდა მივიჩნიოთ).

Chapeau(x) – [ფრანგ., სიტყვასიტყვით: ქუდი/თავსაბურავი].

შესავალი მუხლი ან მცირედი ტექსტი, რომელიც აღწერს, თუ რას ეძღვნება მომდევნო მუხლი, ნაწილი, თავი ან კარი ის შეიძლება წარმოადგენდეს, აგრეთვე, ამა თუ იმ სისხლისსამართლებრივი ნორმის პირველ ნაწილს, რომელშიც დადგენილია სპეციფიკური პირობები ან ფარგლები მოცემული ნორმების გამოსაყენებლად.

Contrario – [ლათინ., სიტყვასიტყვით: საპირისპიროდ/ამის საწინააღმდეგოდ]

გამოთქმა, რომელიც გამოიყენება, საკამათო თემასთან დაკავშირებით საპირისპირო არგუმენტის, შეხედულების ან შემოთავაზების აღმნიშვნელად: როდესაც ვინმე ირწმუნება, რომ A მართალია, სხვა, ვინც ამტკიცებს, რომ A არ არის მართალი. მისი აზრი გამოთქმულია **Contrario** ან **A Contrario**, ე. ი. პირველი მტკიცების საპირისპიროდ. ეს გულისხმობს პოლარულად განსხვავებულ, საწინააღმდეგო, დაპირისპირებულ პოზიციას. ხშირად, ვხვდებით გამოთქმას **A Contrario**, თუმცა **Contrario**-ც თანაბარი მნიშვნელობით გამოიყენება. განსაკუთრებით წინადადების დასაწეისში.

De Facto (v. De Jure) – [ლათინ., სიტყვასიტყვით: ფაქტობრივად, სინამდვილეში]

ის, რაც ფაქტობრივად ხდება, რეალურად და იმის საპირისპიროა, რასაც სამართლებრივი ძალა და შინაარსი გააჩნია. მაგალითად, **De Facto** დისკრიმინაცია ეს ისეთი

დისკრიმინაციაა, რომელიც არსებობს არა როგორც სამართლებრივი მოვლენა, არამედ როგორც ფაქტობრივი მოცემულობა ადამიანური აქტის (ქმედების) სახით, განურჩევლად იმისა, განზრახული იყო ის თუ არა. ეს საპირისპიროა De Jure დისკრიმინაციისა, რაც ნიშნავს, რომ იგივე ხდება სამართლებრივი მოცემულობის სახით, ისე, რომ სამართალი კრძალავს, მაგალითად, ამა თუ იმ რასისათვის საჯარო შესაძლებლობის გამოყენებას. ეს იმას ნიშნავს, რომ რა სახითაც დისკრიმინაცია ხდება, სინამდვილეა, ფაქტის საკითხია, და არ წარმოადგება სამართლის უკუღმართობიდან.

Demarehc – [ფრანგ., სიტყვასიტყვით: ნაბიჯების გადადგმა რაიმეს მისაღწევად, მოსაპოვებლად].

საერთაშორისო სამართალში/ურთიერთობებში გამოყენებული ტერმინი დიპლომატიური პროცედურის აღმნიშვნელად, რომელიც გამოიყენება, რათა vis-a-vis მიმართონ და გადაწყვიტონ სპეციფიკური პრობლემა სხვა ქვეყნის საწინააღმდეგოდ. სხვანაირად, დიპლომატიური სვლა ან მანევრი, სხვა ქვეყნის საჯარო მოხელის მიმართ გარკვეული მოსაზრებით.

Desiderata – [ლათინ., სიტყვასიტყვით: ნასურვები რაიმე].

ნდობის გამომხატველი ტერმინი, რომელიც განეკუთვნება ისეთი რამის სურვილებს, როგორცაა მსოფლიო მშვიდობა, სუფთა გარემო, მეგობრული საერთაშორისო ურთიერთობანი და სხვ. ჩვეულებრივ ეს ისეთი სასურველობანია, რომელიც ჯერ არ არის ნორმატიულად დარეგულირებული და სწორედ ამიტომ უნდათ რომ კანონმა გაითვალისწინოს. შესაბამისად, Desiderata გახლავთ მიზნების მიღწევის სასურველობა რეალობის სანაცვლოდ.

Desistement – [ფრანგ., სიტყვასიტყვით: ამოღება/გატანა].

ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საჩივრის/სარჩელის/სამდურავის პროცედურის შეწყვეტას, თუ ის აღძრული იყო ადამიანის უფლებათა დაცვის რომელიმე ინსტანციაში/ფორუმში (კომისია, ტრიბუნალი, სასამართლო). ეს ხშირად ხდება მაშინ, როდესაც მომჩივანსა და მოპასუხეს შორის მიღწეულ იქნა მორიგება და მომჩივანს აღარ აინტერესებს განაგრძოს მისი საჩივრის განხილვა. ამდგავარადვე ხდება კოლექტიური სარჩელის დევნაზე უარის თქმაც. პროცედურა მთავრდება საჩივრის უარყოფით.

Double Jeopardy – [ინგლ., სიტყვასიტყვით: ორჯერადობის საშიშროება. „არავის უნდა დაემუქროს მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საშიშროება...“].

სისხლის სამართლისა და პროცესის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, რომლის თანახმად, დაუშვებელია განმეორებით ბრალდება და მსჯავრდება ერთი და იმავე დანაშაულისათვის. ეს პრინციპი ლათინურად გამოიხატება ფრაზით Non/ne bis in idem. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში აზრობრივად მას შეესაბამება გამოთქვა: „ერთი ხარი ორჯერ არ ტყავდება.“

Drittwirkung – [გერმან., სიტყვა-სიტყვით: მესამე მხარის ეფექტი].

ტერმინი, რომელიც შეეხება ე. წ. მესამე მხარის ანუ კორიზონტალურ ეფექტს (შედგეს) ადამიანის უფლებათა ვალდებულებისა. ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულების ბუნების თეორია, რომელიც გულისხმობს ამ ვალდებულებების ეფექტის მიღწევის ორ განსხვავებულ გზას. პირველ, ვალდებულებები მარტო სახელმწიფოზე კი არ ვრცელდება (ვერტიკალური ვალდებულება/მოვალეობა), და სახელმწიფოსა და ინდივიდებს შორის არსებულ უფლებებზე, არამედ ინდივიდებს შორის არსებულ უფლებებზეც. მაშასადამე, ინდივიდებს შეუძლიათ გაასაჩივრონ სხვა ინდივიდების მიერ ჩადენილი დარღვევებიც (კორიზონტალური ეფექტი). მეორე, სახელმწიფო მარტო იმაზე კი არ არის პასუხისმგებელი, რომ თავად არ ჩაიდინოს ადამიანის უფლებათა დარღვევა, არამედ, იმავდროულად, ვალდებულია განახორციელოს ზომები (მაგ., კანონმდებლობის მიღებით ან რეგულაციების შემოღებით კერძო საქმიანობის

სფეროში) რათა უზრუნველყოს, რომ კერძო პირებმა არ ჩაიდინონ სხვა ინდივიდების უფლებათათვის ვნების მომტანი ქცევა. სრული მოცულობით გამოთქმა გერმანულ ენაზე ასეა ფორმულირებული: *Drittwirkung der Grundrechte*.

Erge Omnes (valdebulebani) – [ლათინ.,სიტყვასიტყვით: ყველაზე რომ ვრცელდება]

უფლება (*jus*) ან მოვალეობა (*obligatio*) „*erge omnes*“ არის აბსოლუტური უფლება ან მოვალეობა, რომელიც ყველა სახელმწიფოზე ვრცელდება და რომლის დარღვევა/ხელყოფა სერიოზული და კანონიერი სადრტინგელია/საფუძველია ყველა ქვეყნისათვის. ეს არის უფლება ან მოვალეობა მთელი საერთაშორისო თემობისა, ვინაიდან მას გამანადგურებელი შედეგი მოაქვს სრულიად თემობისათვის. მაგალითებია გენოციდი, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ და სხვ.

Estoppel – [ინგლისურ-საქსონური,სიტყვასიტყვით: გაჩერება, დაოკება].

მხარის შედაგების (უფლების ჩამორთმევა) იმ საფუძველით, რომ წინარე არგუმენტს მხარე შემდგომ საწინააღმდეგოს სამტკიცებლად იყენებს. სხვანაირად, პროცედურული აკრძალვა/აცილება იმისა, რომ ერთი და იგივე არგუმენტი წაღმა-უკუღმა არ გამოიყენებოდეს, რაც ძირშივე ეწინააღმდეგება „*Bona Fides*“ წესს (კეთილსინდისიერების მოთხოვნა). ჩვეულებრივ, შეჯიბრებით პროცესში, ერთი მხარე მიაქცევს სასამართლოს ყურადღებას იმ წინააღმდეგობრივ ლოგიკას, რომელსაც წარმოშობს მეორე, მოდავე მხარის ნათქვამი ან ნაქნარი.

Mindia Ugrekhelidze

Human Rights in Foreign-language Phraseology in Brief Accompanied with Georgian Definitions Summary

The work defines terms commonly found in human rights discourse primarily in the legal and political realms.

Some of the terms defined are not specific to human rights, such as *Chapeau(x)*. Although these words have no special meaning or nuance in relation to human rights, they nonetheless appear in the literature and discourse of human rights with frequency, and often without definition.

A Solidus (/) between words means “and/or”

Words in italics are foreign-language words, usually Latin, French, English or Spanish. Such terms will be followed by the literal meaning of the term or phrase in brackets, for example, “*Erge omnes* [Latin, lit.: toward everyone/all]”. This is done to give the best sense of the literal meaning of the term in hopes that it may aid in understanding the meaning in the human rights context .

The definitions are not intended as officially or legally authoritative ones. These definitions are for academic purposes solely.

Sunday Times-ის საქმე

სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ჩვენს საზოგადოებაში დაუშვებელ ცენზურად აღიქმება. ეს არც არის გასაკვირი. მრავალი განხილული სასამართლო პროცესის მიმართ დიდი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს და ხალხს აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია პროცესების მიმდინარეობის შესახებ და იქონიოს მათზე თავისი აზრი, ისევე როგორც სასამართლო სისტემის ფუნქციონირებაზე საზოგადოდ. ამის გამო, ერთი შეხედვით, თითქოს წარმოუდგენლად გვეჩვენება, თუ რატომ შეიძლება შეიზღუდოს სასამართლო პროცესების შესახებ ინფორმაციის ან კომენტარის გადაცემა მასმედიის საშუალებებით. არადა, საქმე სხვაგვარადაა. ზოგიერთმა ინფორმაციამ ან კომენტარმა შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესს და პროცესის მონაწილეთა უფლებებს. ამიტომაც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას იცავს, იმავდროულად მიუთითებს, რომ ეს თავისუფლება სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად შეიძლება შეიზღუდოს, როცა ეს „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“. კონვენციის სამართალი გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტებს, და მათ შორის ჟურნალისტებს, სპეციალურ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას აკისრებს, რათა ამ თავისუფლების განხორციელებისას ზიანი არ მიაყენონ სხვა სამართლებრივ ღირებულებებს. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ დაბალია თავისუფლებით სარგებლობის კულტურა, თავისუფლებათა განხორციელებისას ხშირია სხვისი უფლებებისა თუ საჯარო ინტერესების უგულვებელყოფა, რაც შეუთავსებელია დემოკრატიასთან. ჩვენი წარსულის უახლოესი ფაქტები მოწმობს, რომ ზოგიერთი სასამართლო პროცესის გაშუქება მედიასაშუალებებში, ნებისთი თუ უნებლიედ, სასამართლოზე ზეწოლას უფრო წარმოადგენს, ვიდრე საზოგადოებისათვის ინფორმაციის გადაცემას. იგი უფრო მეტად ზიანის მომტანია, ვიდრე სიკეთისა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც სასამართლო დავის მედიაში გაშუქება საქმის მედიაგანხილვად გადაიქცევა, საქმეზე წინმსწრები გადაწყვეტილების მიღებად, რაც ერთი ან რომელიმე მხარის სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას იწვევს მართლმსაჯულების ინტერესების საზიანოდ. ამ საკითხზე ყველას გემართება დაფიქრება, რადგან ეს მხოლოდ სამართლებრივი საკითხი არ არის, იგი ჩვენი დემოკრატიული წესით ცხოვრების ფუნდამენტურ საფუძვლებს შეეხება.

გთავაზობთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი ძალზე ცნობილი გადაწყვეტილების - **Sunday Times v. The United Kingdom** (1979 წლის 26 აპრილი), შემოკლებულ ვერსიას, რომელიც სწორედ მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად პრესის თავისუფლების შეზღუდვას შეეხება. საქმე განიხილა დიდმა პალატამ და მან 11 ხმით 9 ხმის წინააღმდეგ საქმე სიტყვის თავისუფლების სასარგებლოდ გადაწყვიტა. გადაწყვეტილებას თან ახლავს უმცირესობაში დარჩენილი მოსამართლეების განსხვავებული აზრი (ტექსტის სრული ვერსია). მართალია, მოცემულ შემთხვევაში საქმე სიტყვის თავისუფლების სასარგებლოდ გადაწყდა, მაგრამ სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა სასამართლოს ავტორიტეტის დასაცავად სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობა

– გარემოება, რომელიც ჩვენში ხელაღებით არის უარყოფილი. გადაწყვეტილებაშიც და განსხვავებულ აზრშიც კარგად ჩანს სიტყვის თავისუფლებასა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის წარმოშობილი ღირებულებათა კონფლიქტის მთელი რიგი ასპექტები, ტრადიციული პრობლემატიკა, არგუმენტები, რომლებიც მოშველიებულია დაპირისპირებული ინტერესების სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ.

ეს საქმე კიდევ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მასში განხილულია „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ შესახებ ინგლისური საერთო სამართლის ინსტიტუტის შესაბამისობა ევროპულ კონვენციასთან. საერთო სამართლის ქვეყნებისათვის დამახასიათებელ ამ ინსტიტუტს არ გააჩნია ზუსტი ანალოგები ევროპის სხვა ქვეყნებში, თუმცა ცნობილია, რომ სწორედ მისი მეშვეობით დამკვიდრდა უპრეცედენტოდ ძლიერი და დამოუკიდებელი მართლმსაჯულება საერთო სამართლის ქვეყნებში და მან იმავდროულად დიდი გავლენაც მოახდინა სხვა ევროპულ სამართლებრივ სისტემებზე, მათ შორის საკუთრივ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე. მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ კონვენციის მე-10 მუხლში, რომელიც გამოსატყვის თავისუფლებას შეეხება, ამ თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი კანონიერი მიზანი – „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვა“ – კონვენციის ტექსტში სწორედ ბრიტანეთის დელეგაციის წინადადებით გაჩნდა და დამკვიდრდა.

წინამდებარე ჟურნალის შემდეგ ნომერში, ცხადია, თუკი ჟურნალის რედაქცია წინააღმდეგი არ იქნება, დაგეგმილი მაქვს ამ გადაწყვეტილებისა და მასთან დაკავშირებული თემატიკის სიღრმისეული ანალიზი წარმოვიდგინოთ.

Sunday Times v. The United Kingdom

1979 წლის 26 აპრილი

(დიდი პალატის გადაწყვეტილება)

ძირითადი ფაქტები

1959-62 წლებში ინგლისში არაერთი ბავშვი დაიბადა თანდაყოლილი დეფექტებით, რაც, როგორც ირწმუნებოდნენ, გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მათი დედები ორსულობის პერიოდში, იღებდნენ თალიდომიდს, როგორც დამაწყნარებელ და ძილისმომგვრელ საშუალებას. მშობლებმა წამოიწყეს სასამართლო პროცესი „დისტილერსის“ წინააღმდეგ, რომელიც იყო თალიდომიდის მწარმოებელი და გამავრცელებელი კომპანია.

1972 წლის სექტემბერში გაზეთმა „სანდი ტაიმსი“ გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „ჩვენი თალიდომიდის ბავშვები – ეროვნული სირცხვილის მიზეზი“ და განაცხადა თავისი განზრახვა გაეგრძელებინა შემდგომი პუბლიკაციები ამ ტრაგედიის ისტორიის შესახებ, რომელიც შეეხებოდა, მათ შორის, ამ წამლის დამზადებისა და ტესტირების საკითხებს.

კომპანია „დისტილერსმა“ ოფიციალური წარდგინება გაუგზავნა გენერალურ პროკურორს და გაუგზავნა მას იმ ახალი სტატიის ტექსტიც, რომლის პუბლიკაციაც უახლოეს პერიოდში იგეგმებოდა. წარდგინებაში კომპანია ირწმუნებოდა, რომ ზემოაღნიშნული სტატიები წარმოადგენდა სასამართლოსადმი უპატივცემულობას, რამდენადაც სამართალწარმოება ამ საქმეებზე ჯერ დასრულებული არ იყო. გენერალურმა პროკურორმა მიმართა მაღალ სასამართლოს ამ პუბლიკაციებზე სასამართლო აკრძალვის მისაღებად. სასამართლომ მართლაც გამოსცა ამკრძალავი ბრძანება 1972 წლის ნოემბერში. გაზეთი, თავის მხრივ, ამტკიცებდა, რომ „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ ნორმები, რომლებიც მოწოდებული იყო დაეცვა სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, არ შეიძლებოდა

განმარტებული ყოფილიყო, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტებისათვის აკრძალვის დაწესება, შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობები.

სააპელაციო სასამართლომ გააუქმა მაღალი სასამართლოს მიერ მიღებული ამკრძალავი ბრძანება, მაგრამ მას შემდეგ, რაც გენერალურმა პროკურორმა მიმართა ლორდთა პალატას, მან, 1973 წლის 18 ივლისს, აღადგინა მაღალი სასამართლოს ამკრძალავი ბრძანების მოქმედება. ლორდთა პალატამ მიიჩნია, რომ გამოქვეყნებისათვის გამიზნული სტატია წარმოადგენდა სასამართლოსადმი უპატივცემულობას, რამდენადაც იგი სავარაუდოდ გამოიწვევდა საზოგადოებაში წინასწარი აზრის ჩამოყალიბებას და წარმოადგენდა წინმსწრებ გადაწყვეტილებას იმ სასამართლო დავის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა ჯერ დაუსრულებელი სასამართლო განხილვის, და მათ შორის კომპანია „დისტილერსსა“ და მოსარჩევეებს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკების (მორიგების) საგანს.

აკრძალვის მოქმედება საბოლოოდ შეწყდა 1976 წელს, ხოლო 1981 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელმაც ჩაანაცვლა „სასამართლოს უპატივცემულობის“ შესახებ საერთო სამართლის შესაბამისი ნორმები.

საქმის განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში

თავის საჩივარში, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას წარედგინა 1974 წლის 19 იანვარს, მომჩივანი კომპანია მიუთითებდა, რომ მაღალი სასამართლოს მიერ გაცემული და ლორდთა პალატის მიერ დამტკიცებული აკრძალვის ბრძანება, ისევე როგორც ის პრინციპები, რომლებსაც ისინი ემყარებოდა, ეწინააღმდეგებოდა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს. მოგვიანებით, საქმის განხილვის დროს, მომჩივანმა კომპანიამ ასევე დააყენა საკითხი კონვენციის მე-14 მუხლის ჭრილში და მიუთითა, რომ აკრძალვა იმავდროულად წარმოადგენდა დისკრიმინაციას, რამდენადაც ანალოგიური პუბლიკაციები სხვა საგაზეთო გამოცემებში არ ყოფილა აკრძალული. აქცენტი იმაზეც იყო გაკეთებული, რომ წესი, რომელიც გამოიყენებოდა პარლამენტში სასამართლო საქმეების მიმართ, განსხვავდებოდა „სასამართლოსადმი უპატივცემულის“ თაობაზე იმ ნორმებისაგან, რომლების გამოიყენებოდა პრესის მიმართ.

კომისიამ 8 ხმით 5-ის წინააღმდეგ გადაწყვიტა, რომ გამომცემლის სიტყვის თავისუფლების მიმართ დაწესებული შეზღუდვა წარმოადგენდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას;

მანვე, ერთხმოდ უარყო კონვენციის მე-10 მუხლთან ერთობლიობაში კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა.

სასამართლოს შეფასება

სამართლის საკითხები

მომჩივნების აზრით, კონვენციის მე-10 მუხლს არღვევდა არა მარტო ინგლისის სასამართლოების მიერ მათ პუბლიკაციაზე გამოცემული აკრძალვის ბრძანება, არამედ საკუთრივ ის შეზღუდვები, რომლებსაც პრესა მუდმივად ექვემდებარებოდა სასამართლოს უპატივცემულობის შესახებ საერთო სამართლის ძალიან ფართო და ბუნდოვანი ნორმების საფუძველზე. კომისიამ სასამართლოზე თავის მოხსენებაში გამოხატა აზრი, რომ პირველ საკითხზე ის კონვენციის მე-10 მუხლს დარღვევულად მიიჩნევდა. კომისიის წარმომადგენელმა სასამართლოში საქმის მოსმენის დროს თავის წერილობით წარდგინებაში ასევე განმარტა, რომ სასამართლოს წინაშე იდგა არა მარტო ის საკითხი, კონვენციის საფუძველზე შეეფასებინა ინგლისური სასამართლოების მიერ გამოცემული ამკრძალავი ბრძანების კონვენციასთან შესაბამისობა, არამედ ისიც, რომ მიუხედავად ლორდთა პალატის გადაწყვეტილებისა და, შეიძლება ითქვას, მეტადრე სწორედ ამ გადაწყვეტილების ორაზროვნების გამო, მომჩივნები და

ინფორმაციის სხვა საშუალებები ხდებოდნენ სასამართლოს უპატივცემულობის შესახებ განუსაზღვრელი და ბუნდოვანი ნორმების მსხვერპლი.

მოპასუხე მთავრობამ დაბეჭდვით უარყო კონვენციის დარღვევა.

სასამართლომ ამ მეორე საფუძველთან მიმართებაში დაადასტურა, რომ მისი შეფასების საგანს წარმოადგენდა მომჩივნების მიერ დაყენებული ყველა არგუმენტის განხილვა. კომისიას საჩივრის მისაღების შესახებ თავის გადაწყვეტილებაში მითითებული ჰქონდა, რომ მას მოუწევდა შეეფასებინა, წარმოადგენდა თუ არა სასამართლოს უპატივცემულობის შესახებ ნორმები, როგორც ისინი განმარტებული იყო ლორდთა პალატის მიერ, საკმარის საფუძველს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვების გამოსაყენებლად. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მას მხოლოდ ის საკითხი უნდა განეხილა, დაირღვა თუ არა კონვენცია ლორდთა პალატის მიერ გამოტანილი სასამართლო აკრძალვის შედეგად.

პირველადი აკრძალვა გამოტანილი იყო მაღალი სასამართლოს მიერ და შეეხებოდა მხოლოდ „სანდი ტაიმის“ სტატიის პროექტს, რომელიც გამიზნული იყო გამოსაქვეყნებლად. იგი გაუქმებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ, მაგრამ მისი მოქმედება აღადგინა ლორდთა პალატამ. ამასთან, მან არსებითად გააფართოვა აკრძალვის სფერო და მიუთითა მაღალ სასამართლოს, დაევალებინა გაზეთისათვის, რომ მას, თავად, ისევე როგორც თავისი თანამშრომლების, აგენტების მეშვეობით ან სხვაგვარად, თავი შეეკავებინა ისეთი სტატიის პუბლიკაციისგან, აგრეთვე ისეთი სტატიის პუბლიკაციის ხელშეწყობის, ნებართვის მიცემის, ანდა სტატიის ან მასალების გამოქვეყნების უზრუნველყოფისაგან, რომელშიც გამოთქმული იქნებოდა წინასწარი აზრი კომპანიის მიერ ჩადენილი დაუდევრობის, ხელშეკრულების დარღვევის, ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე, ანდა რომელშიც მითითებული იქნებოდა მოწმეთა ჩვენებები რომელიმე ზემოაღნიშნულ საკითხზე, რომლებიც წამოჭრილი იყო „დისტილერის“ წინაღმდეგ უკვე აღძრულ დავაში, ანდა წამოიჭრებოდა იმ დავაში, რომელიც უდავოდ აღიძვრებოდა მომავალში „თალიდომიდის“ პრეპარატის დამზადების, გავრცელებისა და გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით.

აშკარაა, რომ სახეზე იყო გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან. შესაბამისად, სასამართლოს უნდა შეეფასებინა, იყო თუ არა ეს ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“, ემსახურებოდა თუ არა იგი კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე კანონიერ მიზანს და იყო თუ არა იგი „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ დასახული მიზნის მისაღწევად;

A) იყო თუ არა ჩარევა კანონით გათვალისწინებული?

მომჩივნები მიუთითებენ, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობის ნორმები, როგორც ლორდთა პალატის გადაწყვეტილებამდე, ისე მის შემდგომ, იყო ბუნდოვანი და განუსაზღვრელი, ხოლო ამ გადაწყვეტილებით დადგენილი პრინციპები კი იმდენად ახლებურ ფორმულირებებს შეიცავდა, რომ შეზღუდვის დაკისრება შეუძლებელია მიჩნეული ყოფილიყო „კანონით გათვალისწინებულად“. მაგრამ, მოპასუხე მთავრობა ირწმუნებოდა, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით, გამოყენებული შეზღუდვები იყო „ძირითადად განჭვრეტადი“.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სიტყვა „კანონი“ ფორმულაში – „კანონით გათვალისწინებული“ – მოიცავდა არა მარტო სტატუტებს, არამედ დაუწერელ ნორმებსაც. შესაბამისად, სასამართლო არ ანიჭებდა მნიშვნელობას იმ გარემოებას, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობის ინსტიტუტი წარმოადგენდა საერთო სამართლის შემოქმედებას და არა კანონმდებლობისა. თუკი მიჩნეული იქნებოდა, რომ საერთო სამართლით გათვალისწინებული შეზღუდვები არასდროს აკმაყოფილებდა „კანონით გათვალისწინების“ კრიტერიუმს, მაშინ ეს დაანგრევდა საერთო სამართლის ქვეყნების სამართლებრივი სისტემის უმთავრეს საფუძვლებს.

ეს კი აშკარად წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდა კონვენციის განზრახულობებთან. შესაბამისად, შემოწმებას ექვემდებარებოდა მხოლოდ საერთო სამართლის შესაბამისი ნორმების განჭვრეტადობის საკითხი.

„კანონით გათვალისწინებულობის“ მოთხოვნა იმას გულისხმობდა, რომ მოქალაქეს, თუნდაც სამართლებრივი რჩევის საფუძველზე, შესაძლებლობა ჰქონოდა, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, გონივრულად განეჭვრიტა თავისი ქმედების მოსალოდნელი შედეგები. მაგრამ არ იყო აუცილებელი, რომ შედეგების განჭვრეტა აბსოლუტურად განსაზღვრული ყოფილიყო. გამოცდილება აჩვენებდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. სამართალი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ცვლად რეალიებს. კანონებში მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი ცნებების გამოყენება დასაშვები იყო და მათი განმარტება სწორედ პრაქტიკის საქმეს წარმოადგენდა.

მოცემულ საქმეში განჭვრეტადობის საკითხის დადგენა იმით იყო გართულებული, რომ სხვადასხვა მოსამართლემ განსხვავებული პრინციპები გამოიყენა. მაღალმა სასამართლომ გამოიყენა პრინციპი, რომლის მიხედვითაც, სასამართლოსადმი უპატივცემულობას წარმოადგენს რომელიმე მხარეზე გავლენის მოხდენის მცდელობა, რომელიც მიზნად ისახავს დავის მშვიდობიან მორიგებას (ე. წ. „ზეწოლის პრინციპი“). ლორდთა პალატის ზოგიერთმა წევრმა სწორედ ამ პრინციპებზე მიუთითა, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა უპირატესობა მიანიჭა სხვა პრინციპს, რომლის თანახმადაც სასამართლოსადმი უპატივცემულობად მიიჩნევა ისეთი მასალების გამოქვეყნება, რომლებიც წარმოადგენს სასამართლო დავის წინასწარ განსჯას, წინმსწრებ გადაწყვეტილებას, იმის მითითებას, თუ როგორი გადაწყვეტილება იქნება სწორი, ანდა რომელიც საზოგადოებას შეუქმნის წინასწარ აზრს ჯერ დაუსრულებელი სასამართლო განხილვის შედეგებზე (ე. წ. „წინმსწრები გადაწყვეტილების პრინციპი“ (**prejudgment**);

მომჩინები არ ამტკიცებდნენ, რომ მათ არაფერი იცოდნენ „ზეწოლის პრინციპების“ თაობაზე. მაღალ სასამართლოში მათ განაცხადეს, რომ „ეს სტატია, მაშინაც კი, თუ ის ახდენდა მხარეზე ზეწოლას, მაინც არ წარმოადგენდა სასამართლოსადმი უპატივცემულობას, რამდენადაც არსებული დავის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა გამორიცხავდა ამ ქმედების სამართალდარღვევად მიჩნევას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინაც კი, თუ სტატია *prima facie* გამოიყურებოდა როგორც სასამართლოსადმი უპატივცემულობა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი მის გამოქვეყნებას ყოველგვარი შეზღუდვისაგან იცავდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მაღალი სასამართლოს მოსამართლე ფილიმორის აზრით, მრავალრიცხოვანი პრეცედენტები იმაზე მეტყველებდა, რომ სასამართლო დავის რომელიმე მხარის მიმართ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნის მცდელობა უდავოდ წარმოადგენდა სასამართლოსადმი უპატივცემულებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ „ზეწოლის პრინციპი“ ფორმულირებული იყო საკმარისი ხარისხის სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა აუცილებელი ხარისხით გაეთვალისწინებინათ სტატიის პუბლიკაციის შედეგები. საქმეში *Vine Products Ltd. v. Green* (1966) მოსამართლე ბაქლეის შემდეგნაირად ჰქონდა ჩამოყალიბებული სასამართლოსადმი უპატივცემულობის ნორმის შინაარსი: „მიმდინარე სასამართლო პროცესის შესახებ გაზეთში ნებისმიერი ფორმით ისეთი კომენტარის გადაცემა, რომელსაც შეუძლია ზიანი მოაყენოს საქმის სამართლიან განხილვას, წარმოადგენს სასამართლოსადმი უპატივცემულობას ამ გაზეთის მხრიდან. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს სხვადასხვა გზით. მან შესაძლებელია რაიმე ფორმით გავლენა მოახდინოს რომელიმე მხარეზე; ხელი შეუშალოს მას სასამართლო პროცესის ჯეროვნად წარმართვაში, აიძულოს იგი დაეთანხმოს მშვიდობიან მორიგებას ისეთ პირობებში, რა პირობებში მორიგებასაც იგი სხვა შემთხვევაში არ დაეთანხმებოდა, ანდა სხვაგვარად მოახდინოს გავლენა მის მიერ თავისი საქმის წარმართვაზე, რა დროსაც იგი უნდა იყოს

თავისუფალი დაცვისა თუ ბრალდების საშუალებების შერჩევას და გააჩნდეს რჩევების მიღების უფლება, მაგრამ არ ექვემდებარებოდეს რაიმე ზეწოლას“.

„წინმსწრები გადაწყვეტილების“ პრინციპთან მიმართებაში მომჩივნებმა მიუთითეს, რომ ეს პრინციპი იყო სამართლებრივი სიახლე და მათ არ მოეთხოვებოდათ მის შესახებ ადეკვატური ცოდნა. ამის დასამტკიცებლად მათ მიუთითეს რამდენიმე წყარო, მათ შორის ფილიმორის მოხსენება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ლორდთა პალატამ „ჩამოაყალიბა მნიშვნელოვნად განსხვავებული კრიტერიუმი“. ამ არგუმენტთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა:

- მომჩივნების მიერ წარმოდგენილ მემორანდუმში მითითებულია, რომ „წინმსწრების გადაწყვეტილების პრინციპი“, რომელიც გამოყენებული იყო ლორდთა პალატის მიერ მოცემულ საქმეში, არასდროს ყოფილა ინგლისური სასამართლოების მიერ მანამდე გამოყენებული მსგავს საქმეებში;

- 1969 წელს სამინისტროთაშორისო კომიტეტმა, რომელსაც ევალებოდა სასამართლოს უპატივცემულობის შესახებ კანონის მომზადება, თავის მოხსენებაში მიუთითა, რომ არ არსებობდა ისეთი რეგისტრირებული საქმეები, სადაც ვინმე ცნობილი იქნებოდა დამნაშავედ სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის ისეთი პროცესების კომენტარისათვის, რომლებიც ნაფიცო მსაჯულების გარეშე ხორციელდებოდა... თუმცა, არსებობდა მოსაზრებები, რომ ამგვარი კომენტარი შეიძლებოდა გადაზრდილიყო სასამართლოსადმი უპატივცემულობაში; „*Hulshury's Laws of England*“-ს მე-3 გამოცემა (ტ. 8. გვ 7, 11-13) შეიცავდა პასაჟებს პრეცედენტულ სამართალზე მითითებით: „წერილობითი გამონათქვამი... რომელიც იწვევს საზოგადოების დარწმუნებას და მის უარყოფით განწყობას საქმის რომელიმე მხარის მიმართ, წარმოადგენს სასამართლოსადმი უპატივცემულობას... არ არსებობს თავისი შედეგებით უფრო დამღუპველი რამ, ვიდრე ადამიანთა გონებაში სასამართლო პროცესის მხარეების წინააღმდეგ წინასწარი უარყოფითი აზრის შექმნა მანამდე, სანამ საქმე საბოლოოდ იქნება განხილული სასამართლოში... სასამართლოსადმი უპატივცემულობა წარმოადგენს გაზეთში მიმდინარე სასამართლო პროცესზე კომენტარის გამოქვეყნება სამოქალაქო საქმეზე: ასეთ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ზიანი, რომელსაც გულისხმობს ქვეყნის სასამართლოებში განხილვების ჩანაცვლება საგაზეთო განხილვებით...; მეორე მხრივ, გამარტივებული პროცედურა (**Summary procedure**) უნდა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც დიდია იმის ალბათობა, რომ მოცემულ პუბლიკაციას შეუძლია სერიოზულად დააზარალოს სამართლიანი სასამართლო განხილვა“.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ლორდთა პალატა დაეყრდნო „წინმსწრები გადაწყვეტილების პრინციპის“ სხვადასხვა წყაროს, და მათ შორის, გადაწყვეტილებას საქმეზე *Hunt v. Clark* (1889), სადაც მოსამართლე კოტტონმა გადმოსცა იგი შემდეგნაირად: თუ ვინმე გაზეთში დაიწვებს საქმის არსებით მხარეზე ან მოწმეთა ჩვენებებზე მსჯელობას სასამართლოში საქმის განხილვამდე, ეს, ჩემი აზრით, იქნება მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებაში სერიოზული ჩარევის მცდელობა“. არ არის აუცილებელი, რომ საკუთრივ სასამართლო მივიდეს დასკვნამდე, რომ მოსამართლეს, ან მსაჯულს მართლაც ჩამოუყალიბდა წინასწარი განწყობა რომელიმე მხარის მიმართ. ჩარევად მიჩნევისათვის საკმარისია, რომ სტატია ხელს უშლიდეს მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებას“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ მომჩივნებს არ გააჩნდათ საკმარისი ინფორმაცია „წინასწარი განსჯის პრინციპის“ არსებობის თაობაზე. მაშინაც კი, თუ სასამართლოს გააჩნია ზოგიერთი ეჭვი იმ სიზუსტის თაობაზე, როგორითაც ეს პრინციპი იყო ჩამოყალიბებული საქმის განხილვის დროისათვის, იგი მიიჩნევს, რომ

მომჩინებს შეეძლოთ, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, გონივრული ხარისხით განეჭვრიტათ სტატიის პუბლიკაციის დროს აღნიშნული პრინციპის დარღვევის რისკი.

B) ემსახურებოდა თუ არა ჩარევა კანონიერ მიზანს?

მომჩინების, მოპასუხე მთავრობისა და კომისიის წევრთა უმცირესობის აზრით, სასამართლოსადმი უპატივცემულობის ნორმები ემსახურება როგორც სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის, ისე მოდავე მხარეების უფლებებისა და ინტერესების დაცვას. მეორე მხრივ, კომისიის წევრთა უმრავლესობის აზრით, რომლებიც ეთანხმებიან იმას, რომ ეს სამართლებრივი ინსტიტუტი ემსახურება სამართლიან მართლმსაჯულებას და შესაბამისად, სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვას, მიიჩნევენ, რომ მათ ამოცანას არ შეადგენდა ცალკე მსჯელობა იმაზე, რამდენად ემსახურებოდა ეს კანონი სხვა პირთა უფლებების დაცვას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოთქმა „სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა“ გაგებულნი უნდა იქნეს „კონვენციის აზრით“; ე. ი. იმის გათვალისწინებით, რომ წარმმართველ ფაქტორს ამ კონტექსტში წარმოადგენდა კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც სამართლის უხეინაესობის ფუძემდებლურ პრინციპს აღგენდა.

ცნება – „სასამართლო ხელისუფლება“ – მოიცავდა მართლმსაჯულების განხორციელების მექანიზმს, სახელმწიფო ხელისუფლების განშტოებას და თავად მოსამართლეებს სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების დროს. გამოთქმა – „სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი“ – გამოხატავდა იდეას, რომ სასამართლოები, არიან ორგანოები, რომლებიც მოწოდებულნი არიან დაამტკიცონ იურიდიული უფლებები და მოვალეობები და გადაწყვიტონ დაეები მათ შესახებ; ფართო საზოგადოებამ უნდა აღიქვას და მიიღოს ისინი ამ სტატუსით და, პატივისცემითა და ნდობით მოეპყრას მათ უნარს, შეასრულონ ეს ფუნქცია.

სასამართლო იზიარებს კომისიის უმრავლესობის აზრს, რომ მოდავე მხარეების ინტერესების დაცვას მოიცავდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის მიზანი, რამდენადაც სასამართლო პროცესში ჩართული პირების ინტერესების უზრუნველყოფა შეუძლებელი გახდებოდა, თუკი სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა არ გაგრძელდებოდა ყველაზე ვინც კი მის სფეროში აღმოჩნდებოდა. ამიტომ სასამართლოს არ ესახებოდა აუცილებლად, ცალკე განეხილა საკითხი, ემსახურებოდა თუ არა „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ ნორმები „სხვა პირთა უფლებების დაცვას“.

შესაბამისად, მხოლოდ ის საკითხი უნდა შეფასებულყო, ემსახურებოდა თუ არა მომჩინანთა სიტყვის თავისუფლებაში ჩარევა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვას.

ლორდთა პალატის სასამართლოს არცერთ წევრს, რომელიც განხილვაში იღებდა მონაწილეობას, არ ჰქონდა თავისი გადაწყვეტილება იმაზე დაფუძნებული, რომ გამოსაქვეყნებლად გამიზნული სტატია გავლენას მოახდენდა მართლმსაჯულების მიუკერძოებლობაზე. ლორდთა პალატის გადაწყვეტილების არგუმენტები შეიძლება შეჯამებულიყო შემდეგნაირად:

- სტატია წარმოადგენდა საქმის წინასწარ განსჯას კომპანიის დაუდევრობის საკითხზე, წინმსწრები გადაწყვეტილების გამოტანას საქმის განხილვამდე (პრეჯუდგემენტ), რასაც მიეყავდით ან სამართლებრივი პროცედურებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების გამოვლინებამდე, ანდა მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევამდე;

- სტატიის შინაარსი კომპანია „დისტილერსს“ უქვემდებარებდა სასამართლომდელ სასამართლოს – საზოგადოების სამსჯავროს და საქმის ასეთი განხილვა არსებითად სადავო ხდებოდა, რამდენადაც ის ხელს უშლიდა სასამართლო განხილვას და პროცესის მხარეებს;
 - გამოქვეყნების შემთხვევაში სტატია კომპანია „დისტილერსს“ დაუქვემდებარებდა ზეწოლას და მიაყენებდა ზიანს იმ საკითხების მიკერძოებული გაშუქებით, რომლებიც სასამართლო განხილვის საგანი უნდა გამხდარიყო; სასამართლოსადმი უპატივცემულობის ნორმები კი სწორედ იმ მიზანს ისახავდა, რომ ასეთი ჩარევა აღეკვეთა;
 - პრესაში წინასწარი განსჯა და წინმსწრები გადაწყვეტილების გამოტანა გარდაუვლად გამოიწვევდა პროცესის მონაწილეების უკმაყოფილებას და პროტესტს, რითაც იმავდროულად შეიქმნებოდა საქმის „საგაზეთო განხილვის“ საფრთხე, რაც შეუთავსებელი იყო მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებასთან;
 - სასამართლოებს ეკისრებოდათ ვალდებულება, დაეცვათ მხარეები ზიანისაგან, რომელსაც წარმოშობდა წინარე სასამართლო განხილვები და სასამართლომდელი პოლემიკა. სასამართლო ყოველივე ზემოაღნიშნულ მოსაზრებას მიიჩნევდა შესატყვისად „სასამართლოს ავტორიტეტის“ დასაცავად, როგორადაც ეს ცნება სასამართლოს მიერ განმარტებული იყო ამ გადაწყვეტილების 55-ე პუნქტის მეორე აბზაცში.
- შესაბამისად, გამოსატყვის თავისუფლებაში ჩარევა ემსახურებოდა მიზანს, რომელიც მართლზომიერად ჩაითვლებოდა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

C) იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ სასამართლოს ავტორიტეტის დასაცავად?

მომჩინებისა და კომისიის უმრავლესობის აზრით, ჩარევა არ იყო „აუცილებელი“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. მათგან განსხვავებით, მთავრობა მიიჩნევდა, რომ სწორედ საპირისპირო დასკვნამდე მისული კომისიის უმცირესობა იყო მართალი, როდესაც მიიჩნია, რომ ეროვნული გადაწყვეტილება თავისუფალი მიხედვლების იმ ფარგლებში იყო, რომელიც ღორღთა პალატას გააჩნდა მოცემულ საკითხში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შეფასების თავისუფლების ფარგლები, რომლებიც გადაცემული ჰქონდათ წევრ სახელმწიფოებს, ერთგვაროვანი არ იყო მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მიზნებთან მიმართებაში. ჰენდისაიდის საქმე შეეხებოდა „ზნეობის დაცვას“. ამ გადაწყვეტილებაში სასამართლოს აღნიშნული ჰქონდა, რომ „ზნეობის მოთხოვნების შესახებ მონაწილე სახელმწიფოთა შეხედულებები იცვლებოდა დროისა და ადგილის მიხედვით, განსაკუთრებით კი თანამედროვე ეპოქაში“ და „სახელმწიფო ორგანოები“ პრინციპულად იყვნენ უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, გაეკეთებინათ დასკვნები ზნეობის მოთხოვნების ზუსტი შინაარსის შესახებ“. მაგრამ იგივე არ შეიძლება თქმულიყო ისეთი გაცილებით უფრო ობიექტური ცნების მიმართ, როგორც იყო „სასამართლოს ავტორიტეტი“. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სამართალსა და პრაქტიკაში გაცილებით მეტი იყო საერთო ამ თვალსაზრისით. ამან თავისი ასახვა ჰპოვა კონვენციის სხვადასხვა ნორმაში, მათ შორის, მე-6 მუხლში, რომელიც არ მოიცავდა „ზნეობრივ კრიტერიუმებს“. შესაბამისად, აქ ფართო ევროპულ ზედამხედველობას შეესაბამებოდა ეროვნული შეფასების თავისუფლების შედარებით ვიწრო ფარგლები.

როგორც კომისიის უმცირესობა, ისე მოპასუხე მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ ფაქტს, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობის ინსტიტუტი დამახასიათებელი იყო საერთო სამართლის ქვეყნებისათვის და გამოთქვეს ვარაუდი, რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო სიტყვები (მითითება სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის

მიზანზე) სწორედ იმას ემსახურებოდა, რომ მას მოეცვა სწორედ ეს ინსტიტუტი, რომელსაც არ გააჩნდა ანალოგი ევროპის საბჭოს სხვა მრავალ სახელმწიფოში.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ ცნების მე-10 მუხლში ჩართვის მიზანი ის იყო, რომ „სასამართლოსადმი პატივისცემა“ ჩათვლილიყო მართლზომიერ მიზნად მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით, და არა ის, რომ ეს ინსტიტუტი ექცია ეტალონად, რომლის საფუძველზეც განხორციელდებოდა ამა თუ იმ დონის დიქციის „აუცილებლობის“ შეფასება. თუნდაც რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო სიტყვები ნაკარნახევი ყოფილიყო სასამართლოსადმი უპატივცემულობის შესახებ ინგლისური საერთო სამართლის ნორმებით ანდა შიდა სამართლის სხვა მსგავსი ინსტიტუტებით, სასამართლო ვერ მიიღებდა მათ იმ ფორმით, როგორც იხილავს იყენებდა გაგებული ავტონომიურ სამართლებრივ კონტექსტში. სასამართლოს „აუცილებლობა“ უნდა შეეფასებინა კონვენციის გაგებით, და მის როლს წარმოადგენდა ეროვნული სამართლებრივი ნორმების შესაბამისობის შემოწმება მოცემული ხელშეკრულების (კონვენციის) ნორმებთან.

სასამართლო ვერ იტყვოდა, რომ სასამართლოს ამკრძალავი ბრძანება არ იყო „აუცილებელი“ მხოლოდ იმის გამო, რომ ამგვარ ბრძანებას არ გასცემდნენ სხვა სამართლებრივ სისტემებში. მთავარია დადგენილიყო მისი მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება. ამასთან მიმართებაში სასამართლომ გააანალიზა სასამართლო აკრძალვის საგანი, წამალ „თალიდომიდის“ საქმის განხილვის მდგომარეობა შესაბამისი დროის პერიოდში და საქმესთან დაკავშირებული სხვა გარემოებები.

სასამართლო აკრძალავს, რა ფორმითაც იგი გამოცემული იყო ლორდთა პალატის მიერ, მიმართული იყო არა მხოლოდ სტატიის პუბლიკაციის წინააღმდეგ. როგორც მომჩივნები მიუთითებენ, აკრძალვა მათ იმაშიც უშლიდა ხელს, რომ თავიანთი გამოკვლევის შედეგები გადაეცათ ზოგიერთი სამთავრობო კომიტეტის ან პარლამენტის წევრისათვის. იგი ასევე არ აძლევდა მათ თავიანთი კვლევის გაგრძელების შესაძლებლობას, ხოლო „სანდი ტაიმის“ რედაქტორს უკვეთავდა შესაძლებლობას გაეკეთებინა კომენტარი ამ საკითხებზე ანდა ეპასუხა მის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკაზე. სასამართლო აკრძალავს გაცემული იყო ფართო ფორმულირებით, რომელიც მოიცავდა ყველა ზემოაღნიშნულ ელემენტს. საკუთრივ ასეთი სიფართოვე მოითხოვდა აკრძალვის აუცილებლობის გულდასმით შეფასებას. თუმცა, ისიც უდავო იყო, რომ აკრძალვის ძირითად საგანს სტატიის პროექტი წარმოადგენდა.

ერთ-ერთი არგუმენტი, რომელსაც ეროვნული სასამართლო ეყრდნობოდა, ის იყო, რომ ზეწოლა, რომელსაც სტატია იქონიებდა კომპანია „დისტილერსზე“, მას აიძულებდა, მოსარჩელეთა პრეტენზიები საქმის სასამართლოში განხილვამდე დაერეგულირებინა მოსარჩელეთათვის უფრო ხელსაყრელი პირობებით. თუმცა, 1972 წელს გამოქვეყნებულ პუბლიკაციას არ გაუძლიერებია ის ზეწოლა, რომლის ქვეშაც კომპანია უკვე იმყოფებოდა. ეს მით უმეტეს შეეხებოდა 1973 წლის ივლისში შექმნილ ვითარებას, როდესაც ლორდთა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება: ამ დროს თალიდომიდის საქმეზე მსჯელობდნენ პარლამენტში და ეს თემა ფართო დისკუსიის საგანი იყო პრესაში.

ლორდთა პალატაში გამოსვლების დროს გამოსატული იყო დიდი შეშფოთება, რომ სათანადო სამართლებრივი პროცედურა შეილახებოდა, ხოლო სასამართლოს ფუნქციები უზურპირებული იქნებოდა, თუკი საკითხებზე, რომლებიც სასამართლო განხილვის საგანს შეადგენდა, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება მოხდებოდა სასამართლოში საქმის განხილვამდე, ანდა პროცესის მონაწილეებს მოუწევდათ „გაზეთების სასამართლოს“ გავლა. ასეთი შეშფოთება თავისთავად შეესაბამებოდა „სასამართლოს ავტორიტეტის“ დაცვის ამოცანას. მართლაც, თუკი, სასამართლო განხილვის დროს განსახილველი საკითხები საჯარო გახდებოდა ისეთი ფორმით, რომელსაც მიყვავდით საზოგადოების მიერ თავის საკუთარი აზრის

ფორმირებასთან, მაშინ საზოგადოება დაჰკარგავდა სასამართლოსადმი ნდობასა და პატივისცემას. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ საზოგადოების ჩვევას, რეგულარულად უცქიროს ფსევდოსასამართლო სანახაობებს მასმედიის საშუალებებში, შეეძლო გამოეწვია საბოლოო ჯამში დამღუპველი შედეგები იმ საკითხში, რომ სასამართლოები აღქმული ყოფილიყვნენ სამართლებრივი დავების გადაწყვეტის ერთადერთ სათანადო ადგილად.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ „სანდი ტაიმის“ სტატიის პროექტი თავშეკავებულ და ზომიერ გამონათქვამებს შეიცავდა. იგი არ წარმოადგენდა მტკიცებულებებს ცალმხრივად, და არ ამტკიცებდა, რომ არსებობდა საქმის განხილვის მხოლოდ ერთი შესაძლებელი შედეგი, სანამდეც სასამართლო უნდა მისულიყო. მართალია, მასში დეტალურად იყო წარმოდგენილი მტკიცებულებები „დისტილერსის“ წინააღმდეგ, მაგრამ იგი ასევე მოიცავდა კომპანიის სასარგებლო არგუმენტების შეჯამებას, რომელიც მთავრდებოდა სიტყვებით: „როგორც ჩანს, მოცემულ საქმეში არ არსებობს ცხადი პასუხები...“. სასამართლოს აზრით, ამ სტატიის ზემოქმედება, მისი გამოქვეყნების შემთხვევაში, მკითხველისა და მიხედვით განსხვავებული იქნებოდა. მაშინაც კი, თუ იგი ზოგიერთ მკითხველს დაარწმუნებდა კომპანიის ბრალეულობაში, მას არ ექნებოდა უარყოფითი შედეგები „მართლმსაჯულების ავტორიტეტისათვის“, მით უფრო, ამ საკითხებზე იმ პერიოდში ფართო საზოგადოებრივი კამპანიის არსებობის გათვალისწინებით.

მეორე მხრივ, სტატიას მართლაც შეეძლო გამოეწვია საპასუხო წერილები, მაგრამ ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო ნებისმიერი სხვა პუბლიკაციის დროს, რომელიც მოცემული საქმის ფაქტობრივ ან სამართლებრივ მხარესთან იქნებოდა დაკავშირებული.

სასამართლო აკრძალვის პირველადი გამოცემისა და მისი აღდგენის დროს „თალიდომიდის“ საქმე იმყოფებოდა დავის მშვიდობიანი დარეგულირების სტატიაზე. მომჩივნები დაეთანხმნენ სააპელაციო სასამართლოს, რომ საქმე იყო „მიძინებულ მდგომარეობაში“. კომისიის უმცირესობას სასამართლო პროცესის გამართვა ნაკლებად სავარაუდო მიაჩნდა, თუმცა მოპასუხე მთავრობა და კომისიის უმცირესობა ამის რეალურ შესაძლებლობაზე მიუთითებდნენ. სასამართლო ამ თემას არ ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას და მიუთითებდა, რომ ჩარევის აღკვეთა თანაბრად მნიშვნელოვანი იყო როგორც დავის მშვიდობიანი მორეგულირების (მორიგების), ისე სასამართლო განხილვის ეტაპებზე. თუმცადა, აღნიშნავდა, რომ მოლაპარაკებები ხანგრძლივი იყო, რამდენიმე წელს გრძელდებოდა, და იმ დროისათვის, როდესაც სასამართლოს აკრძალვა იქნა გამოცემული, საქმე ჯერ კიდევ არ იყო სასამართლოში გაგზავნილი.

იბადება საკითხი, რატომ დაეყრდნო 1976 წელს სასამართლო აკრძალვის გაუქმება „ზეწოლის პრინციპს“ და არა „წინმსწრების გადაწყვეტილების პრინციპს“, მაშინ როდესაც იმ დროისათვის ჯერ არ იყო დასრულებული არა მარტო მშობლების მიერ აღძრული ზოგიერთი სასამართლო დავა, არამედ „დისტილერსისა“ და მის სადაზღვევო კომპანიას შორის არსებული დავაც.

მთავრობამ განმარტა, რომ აუცილებელი იყო მიღწეულიყო წონასწორობა სიტყვის თავისუფლებასა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ინტერესებს შორის. მთავრობამ დააზუსტა, რომ სასამართლო აკრძალვა იყო დროებითი ღონისძიება, და 1976 წელს მიღწეული იქნა ახალი წონასწორობა, როდესაც სასწორი მეორე მხარეს გადაიხარა.

სწორედ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით აფასებდა სასამართლო თალიდომიდის საქმეზე სასამართლო აკრძალვის აუცილებლობას.

როგორც სასამართლოს აღნიშნული ჰქონდა ჰენდისაიდის საქმეში, სიტყვის თავისუფლება წარმოადგენდა დემოკრატიული სოციალიზმის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს და რომ იგი მოიცავდა ისეთი აზრებისა და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებასაც, რომლებიც „შეურაცხყოფელი, შოკისმომგვრელი და შემაწუხებელი იყო სახელმწიფოს ან

საზოგადოების რომელიმე ნაწილისათვის.“ ამ პრინციპების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პრესისათვის და თანაბრად გამოიყენებოდა მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში, რომელიც საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდა და მოითხოვდა ინფორმირებულ და განათლებულ საზოგადოებასთან თანამშრომლობას. აღიარებული იყო, რომ სასამართლოები ვერ იფუნქციონირებდნენ ვაკუუმში. მართალია, ისინი წარმოადგენენ დავის გადაწყვეტის ერთადერთ ადგილს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ დავების შესახებ წინასწარი მსჯელობა არ შეიძლება მომხდარიყო კიდევ სადმე, მაგალითად სპეციალურ ჟურნალებში, პრესაში ან საზოგადოებაში. მასმედიის საშუალებებს არ უნდა გადაეღება ის საზღვრები, რომლებიც დადგენილი იყო მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესების დასაცავად, მაგრამ, მათ ასევე ეკისრებოდათ ვალდებულება, გაეგრძელებინათ ინფორმაცია და იდეები სასამართლოთა საქმიანობის შესახებ, ზუსტად ისევე, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ნებისმიერ სხვა საკითხზე. მასმედიის ამ ფუნქციას თან ახლდა საზოგადოების უფლება, მიეღო აღნიშნული ინფორმაცია.

იმის შეფასებისას, ეყრდნობოდა თუ არა ჩარევა „საკმარის საფუძვლებს“, რომლებიც მას გახდიდა „აუცილებელს“, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული საქმისადმი საზოგადოების ინტერესის ხარისხი. კონფლიქტურ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის ძიებისას ზოგიერთმა მოსამართლემ – ლორდთა პალატის წევრებმა – ჩამოაყალიბეს აბსოლუტური წესი, რომლის თანახმადაც დაუშვებელია წინმსწრები მსჯელობა და გადაწყვეტა იმ საკითხებისა, რომლებიც მართლმსაჯულების წინაშე დგას. ამას საქმე მიჰყავდა სამართლის განუჭვრეტადობამდე. გარდა ამისა, ლორდთა პალატის მიერ ინგლისური სამართლის განმარტებების თაობაზე მოსაზრებების გამოთქმა არ შედიოდა სასამართლოს ფუნქციებში. სასამართლო იძულებული იყო სხვაგვარად შეეხედა საკითხისათვის. სასამართლო არ იდგა ორ კონფლიქტურ ინტერესს შორის არჩევანის გაკეთების პირისპირ. იგი იდგა სიტყვის თავისუფლების პრინციპის წინაშე, რომელიც გარკვეულ გამონაკლისებს ექვემდებარებოდა, და რომლებიც, თავის მხრივ, ვიწროდ უნდა ყოფილიყო განმარტებული. გარდა ამისა, მე-10 მუხლზე სასამართლოს კონტროლი ვრცელდებოდა არა მარტო ეროვნულ კანონზე, არამედ მის გამოყენებაზეც. საკმარისი არ იყო, რომ ჩარევა მე-10 მუხლის გამონაკლისებით ყოფილიყო გათვალისწინებული. სასამართლო უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ჩარევა აუცილებელი იყო საქმის ფაქტებისა და გარემოებების მხედველობაში მიღებით.

სრულიად უდავო იყო, რომ თალიღომიდის კატასტროფამ საზოგადოების დიდი შეშფოთება გამოიწვია. იგი სვამდა საკითხს, ეკისრებოდა თუ არა უძლიერეს კომპანიას, რომელმაც წამალი ბაზარზე გასაყიდად გამოიტანა, მორალური ან სამართლებრივი პასუხისმგებლობა ასობით ადამიანის წინაშე, რომლებმაც საშინელი პირადი ტრაგედია გადაიტანეს, თუ მსხვერპლს მხოლოდ საზოგადოების მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონოდა; დღის წესრიგში დგებოდა ასევე ფუძემდებლური საკითხები კომპენსაციის მინიჭების უფლების თაობაზე იმ ზიანისათვის, რომელიც მეცნიერების განვითარების კვალობაზე სიახლეების დანერგვით იყო გამოწვეული.

მოცემულ საქმეში, ამ ტრაგედიის მსხვერპლთა არაერთ ოჯახს, რომლებისთვისაც ცნობილი არ იყო ამ საქმის იურიდიული სირთულეები, გააჩნდათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესი გასცნობოდნენ ყველა გარემოებას და ამ სირთულეების შესაძლო მოგვარების სხვადასხვა გზას. მათთვის ესოდენ მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღკვეთა, შეიძლებოდა დაშვებული ყოფილიყო მხოლოდ მაშინ, თუკი იარსებებდა აბსოლუტური რწმენა, რომ ამ ინფორმაციის გავრცელება წარმოადგენდა საფრთხეს „მართლმსაჯულების ავტორიტეტისათვის“.

სასამართლო აღნიშნავდა შემდეგ: 1972 წლის სექტემბერში საქმე, მომჩივანთა განცხადებით, სამართლებრივ ბურუსში იმყოფებოდა სულ მცირე, რამდენიმე წლის მანძილზე; არ იყო ცხადი, როდის განიხილავდა სასამართლო მშობლების მიერ წარდგენილ სარჩელებს; არ ხორციელდებოდა არც საზოგადოებრივი გამოძიება ამ საქმისა.

მთავრობა და კომისიის უმრავლესობა მიუთითებდა, რომ აკრძალვა არ შეეხებოდა „უფრო ფართო პრობლემების შესახებ“ მსჯელობას, როგორც იყო, მაგალითად, მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორი იყო ინგლისური სამართლის ფუქემდებლური მიდგომები დაუდევრობის სამართლებრივ საკითხზე საზოგადოდ, და ისიც სიმართლე იყო, რომ ამ საკითხზე სხვადასხვა წრეებში მიმდინარეობდა ფართო დისკუსიები როგორც მაღალი სასამართლოს მიერ პირველადი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ისე მანამდეც, ამ გადაწყვეტილების გამოტანამდე. თუმცა, სასამართლო საკმაოდ ხელოვნურად მიიხნევა მოცემულ კონკრეტულ საქმეში „დაუდევრობის“ საკითხების გამიჯვნას „უფრო ფართო პრობლემებისაგან“. საკითხი, თუ ვის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ასეთი ტრაგედიის გამო, ასევე წარმოადგენდა საზოგადოებრივ ინტერესს.

მართალი იყო ისიც, რომ თუკი სტატია გამოქვეყნდებოდა დაგეგმილ დროს, კომპანია „დისტილერსი“ იძულებული გახდებოდა, საჯაროდ წარედგინა თავისი მოსაზრებები საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ“ საქმის სასამართლოში განხილვამდე. მაგრამ ფაქტები, ვერ შეწყვეტდნენ საზოგადოებრივი ინტერესის გამოწვევას მხოლოდ იმის გამო, რომ მათ შესახებ სასამართლო დავის განხილვა დასრულებული არ იყო. ზოგიერთი ფაქტის გასაჯაროვებით სტატიას შეეძლო დაემუხრუჭებინა სპეკულაციური და არაინფორმირებული დისკუსიის გაჩაღება.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოების მხედველობაში მიღებით, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული ჩარევისათვის არ არსებობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“, რომელიც გადაწონიდა საზოგადოების დაინტერესებას, განხორციელებულიყო სიტყვის თავისუფლება კონვენციის გაგებით. შესაბამისად, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე უფლების შეზღუდვის სასარგებლოდ დასახელებულ მოსაზრებებს სასამართლო არასაკმარისად მიიხნევა. ეს შეზღუდვა არათანაზომიერი იყო დასახულ მართლზომიერ მიზანთან მიმართებაში. იგი არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოს ავტორიტეტის დასაცავად.

შესაბამისად, სასამართლომ (11 ხმით 9-ის წინააღმდეგ) ცნო მე-10 მუხლის დარღვევა.

იმავდროულად, სასამართლომ (ერთხმით) უარყო კონვენციის მე-10 მუხლთან ერთობლიობაში კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა.

სასამართლომ (ერთხმით) არ მიიჩნია საჭიროდ, ცალკე განეხილა საკითხი, იყო თუ არა საქმეზე დარღვეული კონვენციის მე-18 მუხლი, რომელიც კრძალავს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვების გამოყენებას რაიმე სხვა მიზნებით, გარდა იმისა, რომლებიც კონვენციით არის მათთვის გათვალისწინებული.

მოსამართლეების - ვიარდ კრემონის, თორ უილიამსონის, რისდალის, განსპოფ ვან დერ მეერშის, სერ ჯერალდ ფიცმორისის, ბინდ შედლერ-რობერტის, ლიშისა და მათშერის ერთობლივი განსხვავებული აზრი.

1. ვწუხვართ, რომ ვერ ვიზიარებთ ჩვენი კოლეგების უმრავლესობის აზრს, თითქოს გასაჩივრებული ჩარევა სიტყვის თავისუფლებაში ეწინააღმდეგება კონვენციას იმის გამო, რომ თითქოს იგი არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით.

2. ლორდთა პალატა წინ აღუდგა სტატიის პუბლიკაციას, რამდენადაც მიიჩნია, რომ მისი პუბლიკაციით „სანდი ტაიმსს“ დაადანაშაულებდნენ „სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის“. აღსანიშნავია, რომ საერთო სამართლის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სწორედ ამ ინსტიტუტის მხედველობაში მიღებით იქნა კონვენციაში გათვალისწინებული სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად. ამგვარი შეზღუდვები ცნობილი არ არის უმეტესი წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით; მასზე მითითება არ არსებობდა კონვენციის ტექსტის საწყის პროექტში და მასში შეტანილი იქნა სწორედ ბრიტანეთის დელეგაციის წინადადების საფუძველზე.

გვსურს შეგახსენოთ, რომ როგორც ამას აღიარებს სასამართლოს წევრთა უმრავლესობა, სასამართლოსადმი უპატივცემულობის ნორმების საერთო მიზანი გახლავთ სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვა. ეს ნორმები ითვალისწინებს, მათ შორის, ისეთი (განსაკუთრებით კი პრესის მიერ ჩადენილი) ქცევის აკრძალვასა და დასჯას, რომელიც წარმოადგენს მართლმსაჯულებაში ჩარევას იმ დროს, როდესაც საქმე იმყოფება *sub judice*. რაც არ უნდა განსხვავებული მოსაზრებები არსებობდეს ამა თუ იმ პუბლიკაციის წინასწარ განსჯით ხასიათის თაობაზე, არაერთხელ იქნა აღიარებული, რომ უნდა არსებობდეს ისეთი პუბლიკაციების აკრძალვის შესაძლებლობა, რომლებიც ქმნიან იმის გამოწვევის რისკს, რასაც „გაზეთების სასამართლოს“ უწოდებენ (იხ. ლორდი რეიდის, ლორდი მორისის, ლორდი დიფლოკის და ლორდი კროსის გამოსვლები ლორდთა პალატაში, ამ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების 29,30, 31 და 33 პუნქტები; მოსამართლე ლორდი დენინგის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში, ამ გადაწყვეტილების 25-ე პუნქტი, ფილიმორის მოხსენება, პ.110).

სასამართლოსადმი უპატივცემულობის ინსტიტუტი იმას ისახავს მიზნად, რომ *sub judice* დავის შესახებ საზოგადოებრივმა აზრმა, სასამართლო პროცედურების გარანტიების უგულვებელყოფით, წინასწარ არ განსაზღვროს დავის შედეგი და შექმნას საზოგადოებრივი კლიმატი, რასაც ძალუძს ზიანი მიაყენოს საქმეზე მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას. სასამართლოსადმი უპატივცემულობის ინსტიტუტის მიზანი ის კი არ არის, რომ სასამართლო განხილვა ყოველგვარი კრიტიკის მიღმა დააყენოს, როგორც ეს ნათქვამია სასამართლოს გადაწყვეტილებაში სიტყვებით, რომ „სასამართლოები ვერ იფუნქციონირებენ ვაკუუმში“. არავის, არასდროს მოსვლია აზრად ამის უარყოფა. ზემოაღნიშნული ინსტიტუტი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ შეზღუდვის განმარტებისა და გამოყენების დროს, რომელიც სიტყვის თავისუფლების მიმართ ხორციელდება „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის“ დასაცავად კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით.

1. ლორდთა პალატის მოსამართლეებმა წარმოადგინეს არაერთი არგუმენტი, თუ რატომაც მიიჩნევდნენ აუცილებლად სტატიის პუბლიკაციის აკრძალვას. მოსამართლე-ლორდების უმრავლესობისათვის ძირითადი საფუძვლები, ჩვენი აზრით, იყო შემდეგი:

- შემოთავაზებულ სტატიას თალიდომიდის თაობაზე პრესაში გაჩაღებულ კამპანიაში შემოჰქონდა მრავალი ფაქტი, რომლებიც შეეხებოდა თალიდომიდის დამზადების, გაერცვლებისა და გამოყენების საკითხებში დისტილერსის ბრალეულობასა და დაუდევრობას;
- სტატია გადმოცემული იყო იმგვარი ფორმით, რომ ინფორმაციიდან გამომდინარე, იქმნებოდა სურათი „დისტილერსის“ მიერ აშკარა დაუდევრობის ჩადენის თაობაზე.
- პუბლიკაციის გამოქვეყნების მეშვეობით, საკითხი დაუდევრობის თაობაზე, რომელიც წარმოადგენდა უმთავრეს პრინციპულ საკითხს სასამართლოს მიერ განსახილველ დავაში დეფექტიანი ბავშვების მშობლებსა და „დისტილერსს“ შორის, აღმოჩნდებოდა პრესის მიერ წინასწარ გადაწყვეტილად, მაშინ როდესაც მართლმსაჯულებას ჯერ არ ჰქონდა

გამოტანილი თავისი ვერდიქტი კანონით დადგენილი სათანადო პროცედურის დაცვით, რომელიც მხარეთა პროცესუალურ უფლებებს უზრუნველყოფს.

- პრესის მიერ საქმის „გადაწყვეტა“ გარდაუვლად გამოიწვევდა მხარეების მიერ საქმეზე თავიანთი პასუხის გაცემას ისევე პრესის მეშვეობით, ამით კი შექმნიდა „საქმის საგაზეთო განხილვის რისკს“, რაც შეუთავსებელია მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებასთან.

- სასამართლოს ეკისრებოდა ვალდებულება, დაეცვა მხარეები ზიანისაგან, რომელიც მიადგებოდათ ამგვარი ვითარების დროს, და აგრეთვე, იმ აუცილებლობისაგან, თავად ჩართულიყვნენ სასამართლომდელ პოლემიკაში.

აღნიშნული საფუძვლები მთლიანად შეთავსებადია მართლმსაჯულების განხორციელების იმ მიზანთან, რომელიც გამოხატულია კონვენციაში ცნებით – „სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა“.

ცნობად უნდა იქნეს მიღებული, რომ იმ ზომით, რა ზომითაც ზემოაღნიშნული საფუძვლები შეეხება საქმის მხარეთა ინტერესების დაცვას, ისინი თანაბრად შეესაბამება „სხვა პირთა უფლებების დაცვის“ მიზანს, რომელიც აგრეთვე გათვალისწინებული მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში.

2. განსხვავებული მოსაზრებები, რომლების განგვაცალკევებს ჩვენი კოლეგებისაგან, უწინარესად შეეხება ჩარევის აუცილებლობას და შეფასების თავისუფლებას, რომელიც გადაცემული აქვთ ეროვნულ ხელისუფლებებს.

3. იყო თუ არა აუცილებელი სხვა მსგავსი სტატიების პუბლიკაციების დაბრკოლება მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების უზრუნველსაყოფად? ლორდთა პალატაში გამოსვლებიდან ირკვევა, რომ მოსამართლე ლორდები საკუთარ თავს უსვამდნენ ამ კითხვას, როდესაც სასამართლოსადმი უპატივცემულობაზე საუბრობდნენ. ასე მაგალითად, ლორდმა რეიდმა განაცხადა: „(სასამართლოსადმი უპატივცემულობის ინსტიტუტი) ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის აღკვეთას და იგი უნდა შემოიფარგლოს იმით, რაც გონივრულად აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად“. ანალოგიურად, ლორდმა კროსმა და ლორდმა ჩელსიმ შენიშნეს შემდეგი: „თუ სავარაუდო სასამართლოსადმი უპატივცემულობა მდგომარეობს სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო განხილვების თაობაზე კერძოდ ან საჯაროდ აზრის გამოთქმაში, მაშინ ეს ინსტიტუტი წარმოადგენს სიტყვის თავისუფლებაში ჩარევას. და მე ვეთანხმები ჩემს კეთილშობილ მეცნიერ კოლეგას (ლორდ რეიდს), რომ აუცილებელია ფხიზლად ვადევნოთ თვალი, რათა სასამართლოსადმი უპატივცემულობის ნორმებმა იმაზე მეტად არ დააბრკოლოს სიტყვის თავისუფლების განხორციელება, ვიდრე ეს გონივრულად აუცილებელია მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის აღკვეთის უზრუნველყოფისათვის“.

4. როდესაც ლორდთა პალატა აკრძალვის აუცილებლობის საკითხს წყვეტდა, საქმე შეეხებოდა ეროვნული სამართლის გამოყენებას. მეორე მხრივ, როდესაც ჩვენი სასამართლო განიხილავს ამ საკითხს, იგი ამას ახორციელებს კონვენციის მე-10 მუხლზე მითითებით, რომელიც ერთდროულად ორ მიზანს ითვალისწინებს ამ საქმესთან რომ აქვს შემხებლობა: „სიტყვის თავისუფლება“, რომელიც გარანტირებულია როგორც დემოკრატიული საზოგადოების ორგანიზაციის ფუძემდებლური პრინციპი, და „სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა“, რომელიც გარანტირებულია იმავე ზომით, რა ზომითაც მისი დაცვა აუცილებელია ასეთ საზოგადოებაში. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ეს ორი მიზანი თანაზომიერების პრინციპთან კავშირში.

იმის განსახილვერად, იყო თუ არა საჭირო მოცემულ გარემოებებში მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მართლმსაჯულების ინტერესების დასაცავად, რომელიც ამავე მუხლის მე-2 პუნქტშია მითითებული, აუცილებელია აიწონოს, ერთი მხრივ, მოცემული და სხვა მსგავსი პუბლიკაციების აკრძალვით პრესის თავისუფლებისათვის მიყენებული ზიანი, ხოლო მეორე მხრივ, ზიანი, რომელიც ამ პუბლიკაციებს შეიძლება მიყენებინა მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებისათვის საქმეებზე, რომლებიც იმ დროისათვის განხილვაში იმყოფებოდა. მე-10 მუხლის კონტექსტში ეს ნიშნავს ბალანსის ძიებას პრესის მიერ თავისი უფლებების განხორციელებასა და ამ უფლებების რეალიზაციის შეზღუდვის აუცილებლობას შორის „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის ინტერესების დასაცავად“. ცხადია, არ არსებობს იმის შესენების აუცილებლობა, თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინგლისში სასამართლო ხელისუფლება ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საქმეში.

5. სასამართლოს უკვე ჰქონდა შესაძლებლობა, განსაკუთრებით ჰენდისაიდის საქმეზე 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, გადმოეცა სწორი მიდგომა ცნების - „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ – განმარტებისას მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით, და მიეთითებინა, თუ რაში ხედავდა თავის ვალდებულებას ამ მუხლის განმარტებისა და გამოყენების დროს, და რა გზით აპირებდა იგი ამ ვალდებულების შესრულებას.

სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ სწორედ ეროვნული ხელისუფლება იძლეოდა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების რეალურობის შეფასებას, რასაც მოიცავდა ცნება „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ანიჭებდა შეფასების თავისუფლებას, რომლითაც „სარგებლობდნენ როგორც შიდა კანონმდებელი... ისე სახელმწიფო ორგანოები, მათ შორის, სასამართლოები, რომლებიც მოწოდებულნი არიან განმარტონ და გამოიყენონ მოქმედი კანონები“ (იხ. ჰენდისაიდის საქმის გადაწყვეტილება, პ. 28).

შეფასების თავისუფლება გულისხმობს გარკვეული ხარისხის დამოუკიდებლობას და გამოიყენება უმთავრესად იმ საშიშროების შეფასებისას, რასაც მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული თავისუფლების განხორციელების კონკრეტული შემთხვევა წარმოშობს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ინტერესებისათვის; ასევე იმ ღონისძიებებს, რომლებიც ამ საფრთხის თავიდან აცილებისაკენ არის მიმართული. ასეთი შეფასების დროს, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს გონივრულად, ემყარებოდეს საქმის ფაქტებს, მოცემულ ქვეყანაში არსებულ ვითარებას და მის მოსალოდნელ განვითარებას, ეროვნული ხელისუფლება, პრინციპულად, უფრო კომპეტენტურია, ვიდრე საერთაშორისო სასამართლო.

6. ამავდროულად, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი არ ანიჭებს მონაწილე სახელმწიფოებს შეფასების განუსაზღვრელ თავისუფლებას. კომისიას და სასამართლოს ვეალებათ უზრუნველყონ ამ სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (მე-19 მუხლი). სასამართლო კომპეტენტურია გადაწყვიტოს „შეზღუდვისა“ და „სანქციის“ შეთავსებადობა სიტყვის თავისუფლებასთან, რომელიც მე-10 მუხლით არის დაცული. ასე რომ, შიდა შეფასების თავისუფლებას თან ახლავს ევროპული კონტროლი (ჰენდისაიდი, პ. 49). ეს კონტროლი, პირველ რიგში, მოწოდებულია დაადგინოს, მოქმედებდა თუ არა ეროვნული ხელისუფლება კეთილსინდისიერად, ფრთხილად და გონივრულად ფაქტებისა და გარემოებების, და ასევე იმ საფრთხის შეფასებისას, რომელიც შეიძლება წარმოშობილიყო მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ინტერესებისათვის. მან ასევე უნდა ადევნოს თვალ-ყური, რომ საზოგადოებაში, რომელსაც სურს დარჩეს დემოკრატიულ საზოგადოებად, სიტყვის თავისუფლების შემზღვეველი ღონისძიებები თანაზომიერად შეესაბამებოდნენ დასახულ მართლზომიერ მიზნებს (ჰენდისაიდი,

პ. 49. კლასი და სხვები, პ. 49). ჩვენ გვსურს იმის შესენება, რომ შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა, თუკი „ფლურალიზმი, ტოლერანტულობა და ლიბერალიზმი“ ვერ ჰპოულობს გამოხატვის ეფექტიან საშუალებებს დემოკრატიული ინსტიტუტების სისტემაში და, თუკი ეს სისტემა არ არის აგებული სამართლის უზენაესობის საწყისებზე, არ ითვალისწინებს აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებებზე ეფექტიან კონტროლს მართლმსაჯულების ორგანოების მხრიდან საპარლამენტო კონტროლისათვის ზიანის მიუყენებლად (კლასი და სხვები, პ. 55) და არ უზრუნველყოფს ადამიანისადმი პატივისცემას.

შესაბამისად, მართალია, კომპეტენტური ეროვნული სასამართლოების ჩანაცვლება არ წარმოადგენს სასამართლოს ამოცანას, მაგრამ მან მე-10 მუხლის საფუძველზე კონტროლის მეშვეობით უნდა განიხილოს გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოტანილია ამ სასამართლოების მიერ თავიანთი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში (ჰენდისაიდი, პ. 50).

7. ჰენდისაიდის საქმეში, რომელიც შეეხებოდა პუბლიკაციას, რომლის აკრძალვაც ეროვნულმა სასამართლოებმა აუცილებლად მიიჩნიეს „ზნეობის დასაცავად“, სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპეტენტურ შიდა ორგანოებს შესაბამის კონკრეტულ დროს „უფლება ჰქონდათ ევარაუდათ“, რომ პუბლიკაციას შეეძლო დამღუპველი ზეგავლენა მოეხდინა იმ ბავშვებისა და მოზარდების ზნეობისა და ჯანმრთელობისათვის, რომლებიც მას წაიკითხავდნენ.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განიხილოს საკითხი, ჰქონდა თუ არა ლორდა პალატას „უფლება ევარაუდა“, რომ სტატიის პუბლიკაცია დროის შესაბამის პერიოდში ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენდა მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ სარჩელებთან დაკავშირებით, რომლებიც განხილვის პროცესში იმყოფებოდა.

ჩვენი კოლეგების უმრავლესობისთვის მართლმსაჯულების ავტორიტეტის საკითხებზე ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლები უფრო ვიწროა, ვიდრე ის ფარგლები, რომელიც ეროვნულ სახელმწიფოებს ზნეობის დაცვის სფეროში აქვთ მინიჭებული. ჩვენი კოლეგები ამტკიცებენ, რომ ცნება – „მართლმსაჯულების ავტორიტეტი“ გაცილებით უფრო ობიექტურია, ვიდრე „ზნეობის“ ცნება; რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკას გაცილებით მეტი აქვთ საერთო პირველ ცნებასთან მიმართებაში და რომ ამ საერთო საფუძველმა თავისი ასახვა ჰპოვა კონვენციაში, მათ შორის, მე-6 მუხლში.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამგვარ აზრს.

მართალია, მე-6 მუხლის შინაარსის თაობაზე ბევრი საერთო შეიძლება იყოს ხელშემკვრელ სახელმწიფოებში და ალბათ არსებობს კიდევაც, მაგრამ ფაქტად რჩება ის გარემოება, რომ სამართალწარმოების ინსტიტუტები და პროცედურა შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ამ ქვეყნებში. ამგვარად, იმისგან განსხვავებით, რასაც სასამართლო უმრავლესობა მიიჩნევს, მართლმსაჯულების ავტორიტეტის ცნება არანაირად არ არის მოწყვეტილი ეროვნულ თავისებურებებს და შეუძლებელია იგი განისაზღვროს როგორც ერთგვაროვანი. უფრო მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული შემთხვევა მე-6 მუხლით დარეგულირებულ საკითხებს კი არ შეეხება, არამედ არკვევს, შეეძლო თუ არა პუბლიკაციას sub judice დავის შესახებ ხელი შეეშალა მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებისათვის. მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელება კი, იმის გარდა რაც მე-6 მუხლშია მითითებული, კიდევ მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული, მათ შორის, სხვა პროცესუალურ ნორმებსა და სასამართლო დაწესებულებების დამაკმაყოფილებელ ფუნქციონირებაზე.

ზემოაღნიშნული მოსაზრებები სრულად ინარჩუნებს თავიანთ მნიშვნელობას ისეთი ქმედებებისა და ვითარებების მიმართ, რომლებსაც ძალუძთ ზიანი მიაყენონ მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებას, რისი შეფასებაც მხოლოდ ეროვნულ კონტექსტში და შესაბამისი

დროის გათვალისწინებით არის შესაძლებელი. ამგვარად, ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს პირველადი შეფასება საშიშროებისა, რომელიც მართლმსაჯულების ავტორიტეტს ემუქრება და იმსჯელოს იმაზე, თუ რა შემაკავებელი ღონისძიებები იქნება აუცილებელი ამ საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. შესაბამისი ღონისძიებები შეიძლება იცვლებოდნენ მოცემული ქვეყნის სამართლებრივი სისტემისა და ტრადიციების თავისებურებებისა და მიხედვით. იმ ფარგლებში, რომლებიც შეთავსებადია დემოკრატიული საზოგადოებისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან, დაინტერესებული სახელმწიფო თავისუფალია თავად განსაზღვროს, როგორი მეთოდები ინება უფრო შესაფერისი მართლმსაჯულების ავტორიტეტის დაცვის ხელშესაწყობად (საქმე „ენების შესახებ ბელგიაში“, სერია A, ტ. 6. გვ. 34-35).

1. გაერთიანებულ სამეფოში „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც სასამართლოების სათანადო ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონვენციის ავტორებს სწორედ ეს ინსტიტუტი ჰქონდათ მხედველობაში, როდესაც კონვენციის მე-10 მუხლში შემოიტანეს „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის“ ცნება. სასამართლოსადმი უპატივცემულობის ნორმების დაცვის ამოცანა ერგო ეროვნულ სასამართლოს. ამ მიმართებაში, ჩვენ უდავოდ გვესახება, რომ ღორდთა პალატა უფრო კომპეტენტურია, ვიდრე ჩვენი სასამართლო იმ საკითხის გადაწყვეტისას, შეესაბამებოდა თუ არა სიტყვის თავისუფლების მოცემული შემთხვევა მართლმსაჯულების ავტორიტეტის დაცვას გაერთიანებულ სამეფოში; იყო თუ არა კონკრეტულ გარემოებებში მისი შეზღუდვა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ეს არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, რომ სიტყვის თავისუფლების ყოველი შეზღუდვა, რომელიც შიდა სასამართლომ აუცილებლად ცნო სასამართლოსადმი პატივისცემის უზრუნველსაყოფად, სავალდებულო წესით უნდა განიხილებოდეს როგორც „აუცილებელი“ კონვენციის გაგებით. შიდა სასამართლოების შეფასება იმ მავნე ზიანისა, რაც კონკრეტულ პუბლიკაციას შეეძლო მიეყენებინა მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებისათვის გაერთიანებულ სამეფოში, პრინციპულად არის საყურადღებო და ანგარიშგასაწვეი. ამის მიუხედავად, არ გამოირიცხება აღბათობა, რომ გამოყენებული ღონისძიებები გასცდნენ იმ ფარგლებს, რაც განიხილება როგორც „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით.

2. სასამართლოს გადაწყვეტილებაში გადმოცემული ფაქტები ნათელსყოფს, რომ აკრძალული სტატიის პროექტი იყო ერთ-ერთი მათგანი თალიდომიდის ტრაგედიის შესახებ იმ მრავალრიცხოვანი რეპორტაჟებიდან, რომლებიც ქვეყნდებოდა სხვადასხვა დროს, მოყოლებული 1967 წლიდან, „სანდი ტაიმსში“ და სხვა გაზეთებში. ეს რეპორტაჟები მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, საზოგადოების ინფორმირებას, და მეორე მხრივ, ყოველ შემთხვევაში ისინი, რომლებიც „სანდი ტაიმსში“ იბეჭდებოდა, „დისტილერსზე“ ზეწოლას და დაზარალებულებისათვის შეთავაზებული კომპენსაციის პირობების გაუმჯობესებას.

თუმცა შესაბამისი დროის მონაკვეთში მშობლების მიერ ზიანის ანაზღაურების შესახებ „დისტილერსისათვის“ წარდგენილი მთელი რიგი სარჩელები ელოდებოდა სასამართლო განხილვას, პრესაში წარმოებული კამპანია არ იწვევდა რაიმე რეაქციას, იმგვარს, რომელიც სასამართლოს ჩარევას საჭიროებდა. ერთადერთი აკრძალვა გამოცემული იქნა სწორედ ამ სტატიის თაობაზე – მოცემული განხილვის საგანზე – რომლის პროექტიც გაზეთმა „სანდი ტაიმსმა“ გადასცა გენერალურ პროკურორს, რათა დარწმუნებულიყო, რომ მისი გამოქვეყნება არ იქნებოდა მიხნეული „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ აქტად. ღორდთა პალატის – საბოლოო ინსტანციის სასამართლოს – აზრით, აკრძალვა ეფუძნებოდა მოცემული სტატიის მეტად სპეციფიკურ ხასიათს, რითაც იგი განსხვავდებოდა უფრო ადრინდელი

რეპორტაჟებისაგან. მოსამართლე ლორდების აზრით, მისი განსაკუთრებული ხასიათი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი შეიცავდა მრავალ მანამდე გამოუქვეყნებელ ფაქტს, რომელიც შეეხებოდა „დისტილერსის“ ბრალეულობის საკითხს. სტატიაში იყო მტკიცებულებების გადასინჯვის მცდელობა და ყოველივე ეს განხორციელებული იყო იმგვარად, რაც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ „დისტილერსმა“ ჩაიდინა დაუდევრობა. ამგვარად, სტატია, ერთგვარად წინმსწრებად წყვეტდა ამ sub judice დავის უმთავრეს, საკვანძო საკითხს. ასეთი წინმსწრები გადაწყვეტილება გარდაუვლად გამოიწვევდა „დისტილერსის“ მხრიდან პასუხს და საბოლოო ჯამში საქმე მივიდოდა „გაზეთების სასამართლომდე“, რაც ხელს შეუშლიდა სასამართლო პროცესის ნორმალურ წარმართვას.

ზოგიერთი მოსამართლე ლორდის აზრით, გამოქვეყნების შემთხვევაში, სტატია იქნებოდა სასამართლოსადმი უპატივცემულობის აქტი დამატებით კიდევ იმიტომ, რომ იგი ახორციელებდა ზეწოლას კომპანიაზე იმ მიზნით, რათა მას მშვიდობიანად მოერეგულირებინა დავა და არ მიემართა სასამართლო დაცვის საშუალებისათვის. ზოგიერთი ლორდი მიიჩნევდა, რომ სასამართლოში განხილვის მოლოდინში მყოფ საქმეზე ყოველგვარი წინმსწრები გადაწყვეტილება მიუღებელია, იმის მიუხედავად, თუ როგორი ზიანის გამოწვევა შეუძლია მას რეალურად. ჩვენ არ მივიჩნევთ აუცილებლად, განვიხილოთ ყველა ეს მოსაზრება, ვინაიდან, მათ, როგორც ჩანს, ვერ შეასრულეს განმსაზღვრელი როლი სასამართლოს გადაწყვეტილებაში. მოცემულ შემთხვევაში, სტატია, რომელზედაც არის საუბარი, საგანგებოდ განიხილავდა ფაქტობრივ გარემოებებს, რაც არსებითი იყო დაუდევრობაში ბრალეულობისათვის და გადმოსცემდა ფაქტებს ამ მოსაზრების მხარდასაჭერად. სწორედ ამგვარი პუბლიკაციები ქმნიან იმ რისკებს, რომელთა აცილებაც სურდა ლორდთა პალატს თავისი გადაწყვეტილებით.

აი, რატომ მივიჩნევთ, რომ ლორდთა პალატას, ყველა ფაქტორის შეფასების შემდეგ ჰქონდა საფუძველი მიეჩნია, რომ სტატიის პუბლიკაცია გავლენას მოახდენდა სასამართლო პროცესზე და რომ ეს ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას და სასამართლოს ავტორიტეტს. ეროვნული მოსამართლე, რა თქმა უნდა, უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ეს სასამართლო, გადაწყვიტოს, იქნება თუ არა სასამართლო განხილვის საგნის თაობაზე სტატია „წინმსწრები გადაწყვეტილება“ და გამოიწვევს თუ არა „საგაზეთო პროცესის“ რისკს.

1. მომჩინებები ევროპული სასამართლოს წინაშე ამტკიცებდნენ, რომ „დისტილერსის“ წინააღმდეგ მშობლების მიერ აღძრული დავები განსახილველ პერიოდში „მძინარე მდგომარეობაში“ იყო. თავის მოსხენებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნია ერთი მხრივ ის, რომ საქმეთა დიდი რაოდენობა, რომელთა თაობაზეც მაშინ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დასრულდებოდა; ხოლო მეორე მხრივ ის, რომ საქმეებზე, სადაც მშობლებს თავიანთი პრინციპული მოსაზრებებიდან გამომდინარე, არ სურდათ მორიგებაზე წასვლა, სასამართლო გადაწყვეტილებები განჭვრეტად მომავალში იქნებოდა მიღებული.

საქმეთა მდგომარეობის შეფასება იმაზეა დამოკიდებული, თუ რას შეიძლება მოველოდით მშვიდობიანი მორიგების შესახებ მოლაპარაკებებისაგან, რომლებზედაც მშობლები თანახმანი არიან... და ამ საქმეებზე შეწყდება წარმოება, მაშინ როდესაც სხვა საქმეები გაგრძელდება. სხვა სიტყვებით, შეფასება იმაზეა დამოკიდებული, როგორია მეტ-ნაკლებად ახლო პერსპექტივა მშვიდობიანი მორიგებისა თუ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისა. ამგვარი შეფასების განხორციელებისას, რომელიც მოიცავს იმდროინდელი ფაქტობრივი მოვლენებისა და პროცესუალური მომენტების მხედველობაში მიღებას, ეროვნული მოსამართლე პრინციპულად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ეს სასამართლო. ჩვენი

მოსაზრებით, ლორდთა პალატას „გააჩნდა საფუძველი ევარაუდა“, რომ არსებულ გარემოებებში შესაბამისი საქმეები ვერ იქნებოდა მიჩნეული „მძინარე მდგომარეობაში მყოფად“.

2. ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს მიყვავართ დასკვნამდე, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ იმ რისკის შეფასება, რომ სტატიას შეეძლო ხელი შეეშალა მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებისათვის, და ასევე მათი შეფასება ამკრძალავი ღონისძიების აუცილებლობის თაობაზე, რომელიც შიდა სამართლის კონტექსტში იყო მიღებული, მიჩნეულ უნდა იქნეს გონივრულად.

ამის მიუხედავად, სწორედ ამ სასამართლოს საქმეა შეაფასოს, იყო თუ არა პუბლიკაციის სასამართლო აკრძალვა დასახული კანონიერი მიზნის თანაზომიერი და შეიძლება თუ არა იგი მიჩნეულ იქნეს აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით.

ამისათვის სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს არა მარტო მართლმსაჯულების ინტერესები, რომელმაც, როგორც ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებიდან ჩანს, აკრძალვის აუცილებლობა განაპირობა, არამედ ამ ღონისძიების შედეგებიც პრესის თავისუფლებისათვის, რომელიც კონვენციით გარანტირებულია როგორც „დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ბურჯი“ და არსებითი წინაპირობა საზოგადოების პროგრესისა და განვითარებისათვის (ჰენდისაიდი, პ. 40).

აკრძალულ სტატიასა და საუბარს იყო ტრაგედიაზე, რომელიც უმაღლესი ხარისხის საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენდა. როგორც კომისიამ მიუთითა სამართლიანად, ამგვარ ვითარებაში, დაუდევრობის ობიექტურად შეფასება იქნდა საჯარო ინტერესს: იმის ანალიზიც, თუ ვის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, და საზოგადოების ინფორმირებაც, ცხადია, პრესის კანონიერ ფუნქციებს წარმოადგენდა.

ამასთან, მხედველობის არეალის მიღმა არ უნდა დარჩეს ის გარემოება, რომ ლორდთა პალატის მიერ პრესის პუბლიკაციის შეზღუდვა არ არის თალიდომიდიტით გამოწვეულ ტრაგედიაზე მსჯელობის საერთო აკრძალვის იგივეობრივი. აკრძალვა ატარებდა შეზღუდულ ხასიათს როგორც აკრძალვის საგნის, ისე მისი მოქმედების ვადებთან მიმართებაში.

3. „სანდი ტაიმსს“ აკრძალა ისეთი სტატიების გამოქვეყნება, რომლებიც წარმოადგენდა „წინმსწრებ გადაწყვეტილებას“ დაუდევრობის ჩადენის საკითხზე და აფასებდა ფაქტობრივ მტკიცებულებებს, რომლებიც სარჩელების საფუძველებს წარმოადგენდა. სხვა ინფორმაციის გამოქვეყნება ანდა მსჯელობა საქმის სხვა ასპექტების თაობაზე ხელუხლებელი დარჩა. „სანდი ტაიმსს“ არაფერი აბრკოლებდა გაერძელებინა თავისი პუბლიკაციები, მაგრამ თავი შეეკავებინა წინმსწრები გადაწყვეტილებისა და შესაბამისი მტკიცებულებების განხილვისაგან. აკრძალვა არ შეეხებოდა აგრეთვე ინგლისური ნორმების კრიტიკას პროდუქციის მწარმოებელთა პასუხისმგებლობაზე, ისევე როგორც, საქმის მორალური მხარის შეფასებას. ამიტომ, რთულია, მხარი დაეუჭიროთ ამ გადაწყვეტილებაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ აკრძალული და დაშვებული სფეროების გამიჯვნა ხელოვნურ ხასიათს ატარებდა.

უფრო მეტიც: გადაწყვეტილებაში გადმოცემული ვარაუდი, თითქოს „სანდი ტაიმსის“ პუბლიკაცია თუნდაც იმიტომ იყო საჭირო, რომ იგი წარმოადგენდა ერთადერთ საშუალებას, რომლის წყალობითაც დაზარალებული ოჯახები აუცილებელ ინფორმაციას მიიღებდნენ, არ გვესახება მართებულად. დაზარალებული ოჯახები სარგებლობდნენ იმ იურიდიული ფირმის რჩევებით, რომლისთვისაც კარგად იყო ცნობილი საქმის არსებითი გარემოებების უდიდესი ნაწილი. უფრო მეტიც: არსებობს მყარი საფუძველები იმ ვარაუდისათვის, რომ თავად „სანდი ტაიმსმაც“ სწორედ ამ ფირმის იურისტებისაგან მოიპოვა ინფორმაცია.

4. აკრძალვის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მისი გაცემის ერთადერთ მიზანს იმის მიღწევა წარმოადგენდა, რომ დროის განსაზღვრულ პერიოდში ნაადრევ პუბლიკაციებს ზიანი არ მიეყენებინა ამ სასამართლო დავაზე მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებისათვის. ლორდთა პალატის აზრით, სტატიის პუბლიკაციის აკრძალვა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ამ საქმეებზე სასამართლო განხილვები იმ დროისათვის ჯერ დასრულებული არ იყო. ლორდებმა განჭვრიტეს, რომ ვითარება შეიცვლებოდა შესაძლოა მანამდეც კი, სანამ სასამართლო პროცესები სრულად დამთავრდებოდა; რომ ბალანსი მართლმსაჯულების ინტერესებსა და პრესის თავისუფლებას შორის შეიცვლებოდა და სასამართლო აკრძალვა შეიძლებოდა გაუქმებულიყო.

ამ თვალსაზრისით მრავლისმეტყველია ლორდი რეიდის განცხადება (1974): „სასამართლოსადმი უპატივცემულობის ნორმების მიზანი ასეთი მასალების გამოქვეყნების აკრძალვა კი არ არის, არამედ მხოლოდ მათი გადავადება. წარმოდგენილი ინფორმაცია გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ შეიძლება მალე გამოჩნდეს ამ უბედურებასთან დაკავშირებული დავების რეგულირების საერთო სქემა. მაშინ შეიძლება დავრთოთ ამგვარი მასალების გამოქვეყნების ნება. მაგრამ თუ საქმე გაჭიანურდება გაურკვეველი დროით და არ იარსებებს მშვიდობიანი მორიგებისა და სასამართლო განხილვის ახლო პერსპექტივა, მაშინ დღის წესრიგში დადგება საკითხი, საზოგადოებრივი ინტერესების არსებულ შეფასება გადაიხედოს ასეთ უნიკალურ ვითარებასთან მიმართებაში“. ცნობად უნდა იქნეს გათვალისწინებული შენიშვნა, რომელიც გამოთქვა ლორდმა კროსმა ჩელსიდან: „არაფერი უშლის ხელს მოპასუხეს („სანდი ტაიმსს“) მიმართოს (სასამართლო აკრძალვის) გაუქმების შუამდგომლობით, თუკი მიიჩნევს, რომ არსებითი ფაქტების საფუძველზე იგი შეიძლება სასამართლოს დარწმუნებას, რომ აკრძალვის გაგრძელებისათვის აღარ არსებობს საფუძველები“.

წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან არ ჩანს, რომ „სანდი ტაიმსს“ ოდესმე მიემართა ამგვარი შუამდგომლობით მანამდე, სანამ აკრძალვა გენერალური პროკურორის შუამდგომლობით გაუქმდებოდა იმ საფუძველით, რომ საზოგადოებრივი ინტერესი აღარ მოითხოვდა მის შენარჩუნებას. და მართლაც, ვითარება თალიდომიდის საქმის გარშემო იმ დროისათვის შეიცვალა. კომპანია „დისტილერსსა“ და მშობელთა უმრავლესობასთან მშვიდობიანი მორიგების შემდეგ სასამართლო აკრძალვა მოქმედებდა მხოლოდ რამდენიმე დაუსრულებელ საქმესთან მიმართებაში.

ჩვენს ხელთ არ არის საკმარისი საფუძველები იმის ვარაუდისათვის, რომ აკრძალვის უფრო ადრეული გაუქმება არსებული ვითარებით გამართლებული იყო. როგორც უკვე აღინიშნა, გაუქმების მისაღწევად თავად მომჩივნებს არავითარი მცდელობა არ ჰქონდათ განხორციელებული.

5. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გამო ვასკვნით, რომ პრესის თავისუფლებაში ჩარევა, რომელიც ეროვნულმა სასამართლოებმა სასამართლოსადმი უპატივცემულობის ნორმების შესაბამისად აუცილებლად მიიჩნიეს მართლმსაჯულების ინტერესებისათვის, არ ვასცდენია იმ ფარგლებს, რაც მიჩნეულია აუცილებლად დემოკრატიულ საოგადოებაში „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის“ დასაცავად მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გატებით.

ვეყრდნობით რა სასამართლოში შემოსულ მასალებს, მე-10 მუხლის დარღვევას არ მივიჩნევთ დადგენილად.

Eva Gotsiridze

Case of „Sunday Times“
Summary

In our society restriction of freedom of expression is perceived as an unacceptable censorship, even if it is done for the sake of preservation of independence and impartiality of the judiciary. This is not surprising. There always is a big public interest when it comes to high-profile cases and people have the right to get information and have their opinion on such cases and about the proper functioning of the Judiciary. For these reason, it seems inconceivable that it should be restricted to broadcast the information and comments regarding the proceedings, but in reality, sometimes, quite contrary is at hand. Certain information and commentary can cause serious damage to the proper administration of justice and to the parties. That is why Article 10 of the European Convention on Human Rights, that guarantees the right to freedom of expression and information at the same time, can be subject to certain restrictions that are „in accordance with law“ and „necessary in a democratic society“. Several recent facts from near past clearly reaffirmed that in some occasion media coverage of court proceedings can have more negative than positive results, in terms that it can have unnecessary pressure on Judiciary and be harmful to the parties involved. This can be especially outlined when media coverage of court proceedings are transformed into „trials by the media“, that would prejudice the due administration of justice and can cause formation of public opinion in favor of one or another party of the case.

In this journal we are publishing brief version of one of the most famous decisions of the ECHR - **CASE OF THE SUNDAY TIMES v. THE UNITED KINGDOM (26 April 1979)** which is about the restriction of the freedom of the press in order to protect the authority and impartiality of the courts. This decision is followed by joint dissenting opinion of several judges (full text available). Though it is true that in the aforementioned case the European Court of Human Rights held that the there was violation of the paper's right to freedom of expression under Article 10 ECHR, nevertheless, court once again confirmed the legitimacy of restriction of freedom where appropriate, in order to protect authority of the Judiciary – the idea, that is outright rejected in Georgian reality. Both the decision and dissenting opinion revealed different aspects of the value conflict between freedom of speech and interests of Justice, and exposed traditional problems and arguments for and against of these opposing interests.

This case is important also for other reason, particularly, how English common law interpreted „Contempt of Court“ and whether this common law institute was in compliance with the European Convention. Article 10 ECHR stipulates that one of the legitimate ground that can justify restriction of freedom of expression is protection of the authority and impartiality of the judiciary. It should be noted that this legitimate aim for the restriction was absent in the original draft of the Convention and upon the proposal of the British delegation, it was introduced into the Convention.

It is planned that in depth analysis of this decision and related topics will be provided in the next volume of this journal.

სარჩევი

ისტორია

| | |
|--|--------|
| როინ მეტრეველი, ბედი ლევილის მამულისა..... | 6-10 |
| ვანტანგ გურული, გიორგი XII-ის დიპლომატია (1798-1800)..... | 11-48 |
| როზეტა გუჯეჯიანი, რელიგიურ დღეობათა ტრანსფორმაციისა და პაგანიზმის კონკრეტული მაგალითები სვანეთის ტრადიციული ყოფიდან..... | 49-55 |
| ლევან ჯიქია, ბერძნების აფხაზეთიდან გასახლების ისტორიისათვის (1949-1955)..... | 56-61 |
| მერაბ კალანდაძე, ერთი აქტუალური პრობლემის გამო, ანუ დავა უდავო საკითხზე..... | 62-69 |
| მირიან ხოსიტაშვილი, ზოგიერთი მოსაზრება თბილისის საგარეუბნო ზონის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით..... | 70-74 |
| დოდო გელაშვილი-ბერიძე, ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზებისათვის (1918 წლის მაისი-1919 წლის იანვარი)..... | 75-83 |
| ვალერი კეკელიძე, საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიული ტოპონიმია, გზები, სათავადოები..... | 84-92 |
| ირაკლი თეზელაშვილი, მასალები საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის IX ადგილობრივი კრებისათვის..... | 93-113 |

ფილოლოგია

| | |
|--|---------|
| ტარიელ ფუტყარაძე, ენისა და კილოს გასამიჯნი კრიტიკერიუმები და ქართველურ იდიომთა კვალიფიკაციის პოლიტიზების რეტროსპექტივა..... | 115-134 |
| მანანა ტაბიძე, მშობლიური ენის სწავლების პრობლემები თანამედროვე განათლების კონტექსტში..... | 135-143 |
| ირინე ტაბატაძე, მშობლიური ლიტერატურა და ზნეობრივი აღზრდა..... | 144-150 |
| ნანა აბულაძე, ოჯახისა და ქორწინების უძველესი ფორმების ზოგიერთი საკითხისათვის მეგრულ პოეტურ ფოლკლორში. „პირველი დამის უფლების“ კვალი მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში..... | 151-156 |

სამართალი

| | |
|--|---------|
| მინდია უგრეხელიძე, ადამიანის უფლებათა უცხოურენოვანი მოკლე იურიდიული ფრაზეოლოგია ქართული მეცნიერული განმარტების თანხლებით..... | 158-160 |
| ევა, გოცირიძე, „Sunday Times“-ის საქმე..... | 161-181 |

Content

History

| | |
|---|--------|
| Roin Mmetreveli , The fate of the estate Levil..... | 6-10 |
| Wakhtang Guruli , Diplomacy of George XII of Georgia (1798-1800)..... | 11-48 |
| Rozeta Gujejiani , Specific examples of transformation and paganization of religious holidays from Svans' traditional life..... | 49-55 |
| Levan Jikia , History of expulsion of Greeks from Abkhazia (1949-1955)..... | 56-61 |
| Merab Kalandadze , The most urgent problem, that is matter of dispute undisputed..... | 62-69 |
| Mirian Khositashvili , Some considerations on Tbilisi suburban zone development prospects..... | 70-74 |
| Dodo Gelashvili-Beridze , The Work of the National Council for Organizing the Supreme Executive Government (May 1918 - January 1919)..... | 75-83 |
| Valeri Kekenadze , Historical Toponymy, Roads and Estates of Sachkhere Municipality..... | 84-92 |
| Irakli Tezelashvili , Materials for the 9 th Local Council of the Georgian Orthodox Apostolic Church..... | 93-113 |

Philology

| | |
|--|---------|
| Tariel Putkaradze , Retrospect of Language and Dialect Distinction Criteria and Politicizing Qualification of Kartvelian Idioms..... | 115-134 |
| Manana Tabidze , Problems of Teaching Native Language within the Context of Contemporary Education..... | 135-143 |
| Irine Tabatadze , Native Literature and Moral Rear..... | 144-150 |
| Nana Abuladze , Some Issues about Ancient Forms of Family and Marriage in Megrelian Folk The Trace of the First Night Right In Megrelian Folk..... | 151-156 |

jurisprudence

| | |
|---|---------|
| Mindia Ugrehelidze , Human Rights in Foreign-Language Phraseology in Brief Accompanied by - Georgian Definitions..... | 158-160 |
| Eva Gotsiridze , Case of „Sunday Times“ | 161-181 |